

האירוע

6

1984

სესია

324

გამომცემის ოცდამეექვსე წელი

6

ივნისი

1984

თბილისი

სამ. კვ ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. უკვდავი ტრადიციების ერთგულება

კომეზია და კროჯა

- 6. ეშვარ კვიტიუხვილი — ლექსები
- 9. თამაზ ბიბილუჩი — შვიდი ხმისა და ტოროლასა-სათვის. რომანი. გაგრძელება
- 37. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
- 41. ვაჟა უზუნუძე — ლექსები
- 44. ბური ფთაღაბა — ხასიათები რომანიდან
- 61. ჯულიბა ვილდინი — ლექსები
- 63. პაპი ვასაძე — ვარიაციები სივარულის თემაზე. ლექსები
- 67. ივანე თანდილაძე — ლექსები
- 68. ჯორჯ გომეზაშვილი — ძველი. მოთხრობა
- 73. კობა შავდია — ლექსები
- 74. ჯემალ დავლიანიძე — შემოგობრება. რომანი. გაგრძელება.

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბეჩიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)
გურამ ბაბუნიძე
გივი ბაბუნიძე
გიორგი გუგუია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედიკა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიჟინიანიძე
გურამ ფანჯიკია
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაია
ავთანდილ ჩიქვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი შოხოველიძე
მეკა ჯონაძე

ასფურცელი

- 94. ავთანდილ მებრელიშვილი, ალექსი ნამოკაძე, მანა ბელუტაშვილი, ბალთარ არაბული, თეიმურაზიშვილი, ალექსანდრე დიდიშაშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

- 98. კოსტას კარიოტაქისი — ლექსები
- 100. სტენისლავ ლევი — დაუბარცხელი აზრები
- 112. პლატონი — პარმენიდე, წინათქმა

წერილები

- 122. გურამ კანაბა — დანაშაულისა და სასჯელის გან-ფორმებისათვის
- 132. გივი ალხაზიშვილი — „შემოქმედის ბაღი“
- 136. რევაზ სირაძე — ქართული ისტორიის სამეცნიერ-კონსტრუქციის
- 143. უსანგი ჯანგირაშვილი — ჯოჯოხეთის სახე „სტუ-მარ-მასკინი“
- 148. ამირან ლომთაძე — „შირი ნოე“
- 151. ნანა ბელუაშვილი — სიმონ მიფე ყივილბაშვას ტყვეობაზე

სკორტი

- 155. აგული დიდიანი — ქართული მითოლოგიის მემ-დღობა

იუმორი

- 158. ჯორჯ ბელუაშვილი — სოფლის საპარკამხმროვი პირველი სართულის ბაგო

უკვლავი ტრადიციების პრობლემა

„ახალგაზრდა ხელოვანის მოქალაქეობრივი პოზიცია“ ამ სათაურით გაზეთ კომუნისტში ამას წინათ გამოქვეყნდა საქინფორმის ვრცელი ანგარიში, სადაც გაანალიზებულია საქართველოს შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის ფორმები, შეჯამებულია სასიკეთო შედეგები და გამოთქმულია პრინციპული შენიშვნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული ეს სერიოზული მსჯელობა და დასახული ღონისძიებანი ნათლად მეტყველებს სისტემატურ და ყოველმხრივ მზრუნველობაზე, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს შემოქმედებითი ახალგაზრდობის მიმართ, მეტყველებს იმაზე, რომ ერთი წუთითაც არ არის დავიწყებული ახალგაზრდობის ბედი. კავშირი ახალგაზრდობასთან უწყვეტი, ყოველდღიური უნდა იყოს, — აი ამ ღონისძიებებიდან მიმდინარე აზრი. ახალგაზრდობა რომ ქვეყნის ზვალინდელი დღეა, ამ აზრს არასოდეს დაეკარგება სინედლე, მაგრამ ერთია ამ ჭეშმარიტების ცოდნა, მეორე და უმთავრესია ამ ჭეშმარიტების კვალდაკვალ სიარული, დღენიადაგ ახალგაზრდობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრა.

არავისათვის საკამათო არ უნდა იყოს, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი ხელოვნების ყველა სფეროში. უკვე არაერთგზის და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზრუნვა ახალგაზრდა შემოქმედზე ნიშნავს ჭეშმარიტად ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანზე ზრუნვას, მათთვის ყოველმხრივ ხელისშეწყობას და არა განუტრეველად ყველასათვის კარის გაღებას.

თუ ამჯერად ახალგაზრდა მწერლობის პრობლემებით შემოვიფარგლებით, ეს არ ნიშნავს, რომ სათქმელი ან საწუხარი საერთო არ არის. დღეს ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი ფართოდ ისტამბება თითქმის ყველა უურნალ-გაზეთის ფურცლებზე, სისტემატურად გამოდის მათი წიგნები. ერთი თვალის გადავლენითაც შეინიშნება რამდენად გაუმჯობესდა ამ მხრივ მდგომარეობა. ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობს რედაქციებსა და გამომცემლობებში. ცხადია ფაქიზ დამოკიდებულებას ითხოვს მოწოდებით ნურლისა და არა მწერლის ერთმანეთისგან გარჩევა, თავის ნიჭიერებაში ღრმად დარწმუნებული ახალგაზრდის გადარწმუნება და მისთვის სასარგებლო და შესაფერის გზაზე დაყენება, მაგრამ ჩვენი ვალა ძალების დაუწოგავად ვეწოდეთ ყოველდღიურ შრომას ამ მიმართულებით. ეს, ერთი შეხედვით უსიამოვნო და შრომატევადი პროცესი, გონივრულ წარმართვას ითხოვს, რათა ქართულ ეროვნულ მწერლობას ღირსეული მემკვიდრეები შემოვამატოთ, მისი ზვალინდელი გზა განვსაზღვროთ. საამისოდ ყველა პირობა ხელთა გვაქვს: ყოველწლიურად ახალგაზრდა მწერლის ოცამდე პირველი წიგნი გამოდის „მე-



რანსა“, „ნაკადულსა“ და სხვა გამოქვეყნებებში, დაარსებულია ოცთაბიანი კრებული „ახალგაზრდობა“ („საბჭოთა საქართველო“); „ცისკარსა“, „ცისკრის ბიბლიოთეკასა“ და „პირველ სხივზე“ რომ არაფერი ვთქვათ დიდ ადგილს უთმობენ ახალგაზრდების ნაწარმოებებს „კომუნისტის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „მნათობის“, „განთიადის“, „ლიტერატურნაია გრუჟიას“, „ტოროხის“, „რიწას“, „ლიახვის“, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და სხვა უურნალ-გაზეთების რედაქციები.

ახალგაზრდა შემოქმედზე ზრუნვის ფორმები ამით არ ამოიწურება. ახალგაზრდა მწერლის ადგილი ცხოვრებაში უპირველესი საფიქრალი საგანია მისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან ერთად. ამ მხრივ უამრავი რამ გაკეთდა. ახალგაზრდა მწერლები გრძნობენ, თუ რაოდენ დიდი უურად-ლებით არიან ისინი გარემოსილნი.

მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედზე ზრუნვა უფრო მეტს გულისხმობს. ზემოთ ჩვენ ქართული მწერლობის ხვალინდელი დღე ვახსენეთ. ქართული მწერლობის ხვალინდელი დღე კი იგივე საქართველოს ხვალინდელი დღეა, მისი მომავალია, მისი გზაა. როგორ წარმოვსახავთ ჩვენ ქართული ხალხის სულიერ ცხოვრებას, მის დიად მიწნებს, ზნეობრივ კატეგორიებს, როგორი სისრულით ამოვიტანთ მხატვრულ სიტყვაში ჩვენი ხალხის ღრმადდაფლულ თუ აშკარად გამოკვეთილ ღირსებებს, ამაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის, მისი საფიქრალისა და საზრუნავის, მისგან გადასაწყვეტი ეროვნული და სოციალური პრობლემების მაღალი ლიტერატურის ენაზე გაცხადება, აი, უპირველესი ვალი ახალგაზრდა მწერლის.

ერთგულდება ეროვნული მწერლობის ტრადიციებისადმი ლიტონი სიტყვები არ არის. ეს ვახლავთ სასიცოცხლო პრობლემა, რომლის სწორი გადაწყვეტის გარეშე წინ ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება. ის ტრადიციები ქართველი ხალხის სულია, მისი ფიქრები, ვნებები, იდეალები, მიწნები, სამყაროსთან მისი დამოკიდებულების ფორმებია, მისი პოზიციაა, მისი ფართო მასშტაბებია, თვალსაწიერია, ლიტერატურული ურთიერთობანია. რაც მთავარია — ეს მისი სახეა, შინაგანი და გარეგანი, რაც არანაკლებ მთავარია, ეს მისი ადგილია მსოფლიო მწერლობის ოკეანეში! ამიტომ ეროვნული მწერლობის ტრადიციებს არ უნდა შევხედოთ როგორც გაქვავებულ, უმეტყველო კატეგორიებს. სულ ეს შენაარსი უნდა გვედგას თვალწინ. მხოლოდ და მხოლოდ ამ ურთულესი არსის ღრმად გაცნობიერების შემდეგ თუ შევიმუშავებთ სწორ დამოკიდებულე-ბას.

მსოფლიო მწერლობის ოკეანე შემთხვევით არ გვიხსენებია. იმ ოკეანიდან ათასგვარი დინება იძვრის — მასაზრდოებელიც, მაცოცხლებელიც, გულსა და გონებას რომ ამოძრავებს და ისეთიც, საკუთარს გადალევით რომ ემუქრება! ასე ყოფილა მუდამ, ასეა დღესაც, მაგრამ განსაკუთრებით დღეს არის საჭირო სულიერი ძალების მეტი მობილიზება, რათა არჩევანი სწორად გავაკეთოთ. დღეს იმიტომ არის საჭირო განსაკუთრებული სიფხიზლე, რომ უფრო ახლოს, უფრო მეტს ვეცნობით, ჩვენი ღრობის წყალობით ინფორმაციების განუწყვეტელი ნაკადი მოდის. ყველაფერი ეს აღრმავებს ჩვენს ცოდნას, ხელშესახებად განგვაცდევინებს თანამედროვე ლიტერატურულ ატმოსფეროს და სწორედ ამ დროს არის ჩასაფრებული დიდი საფრთხეც. ნაყოფიერი გავლენა, შესაძლოა, არასასურველმა შეგავლენამ შეცვალოს, ფეხი მოიკიდოს მიმბაძველობამ, მოდურობამ, ჩვენი ეროვნული მწერლობისათვის უცხო და ამდენად შემაფერხებელმა ლიტერატურულმა ტენდენციებმა.

რა დასამალია და ჭანსალი სულისკვეთებისა და ქეშმარიტად ორიგინალური ფორმის ნაწარმოებთა გვერდით მომძლავრდა ისეთებიც, სადაც აშკარად ჩანს ბრმა მიბაძვის კვალი.

ახალგაზრდა მწერალი მოვალეა დღენიდაღა აუურადებდეს ეროვნული მწერლობისაგან საუკუნეთა მანძილზე თქმულს, მის მიმართულეებს, მის უმთავრეს გეზს, საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც გზადაგზა გადაუქრია დიდ წინაპრებს და რომელთა ჯამიდან ამოიზრდება მშობლიური ლიტერატურის უჭანსაღესი სული, მისი მომავლისაკენ მიმართული მწერა, ამოიზრდება ის სადღესო და სახვალისო ამოცანები, რომლებიც ახლა სწორედ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების მიერ უნდა გადაიჭრას. ეროვნული მწერლობის მომავლისკენ მიმართულ ფიქრში უნდა ვეძებდეთ იმ შემხებ წერტილებს, რაც ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურასთან აერთიანებს, რაც ზოგადკაცობრიულ შრეს შეადგენს.

ქეშმარიტად ეროვნული პრობლემები პასუხს ითხოვენ, არა ზედაპირულს, განუცდელს, არამედ მთელი სიგრძე-სიგანით აწონილ პასუხს: ქართველი კაცის ზნეობრივი სახე, ეროვნული დემოგრაფიული საკითხები, მთის პრობლემათა სისტემა, ერთმანეთთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული მსოფლიო მოვლენები და მშვიდობის უმტკივნეულებსი საკითხი ინდიფერენტისმისათვის ადგილს არ უნდა ტოვებდეს. ამ მაღალი შინაარსის სათქმელთან დამოკიდებულებაში უნდა იწრთობოდეს ჩვენი მრწამსიც და მოქალაქეობრივი პოზიციაიც.

კრებულ „ახალგაზრდობის“ შესახებ საუბრისას ცნობილმა მწერლებმა შოთა ნიშნიანიძემ, ჭანსულ ჩარკვიანმა, მიხეილ ქვლივიძემ, რევაზ მიშველიძემ, აგრეთვე „ციცკრის“ ფურცლებზე 1988 წელს გამართული დისკუსიის მონაწილეებმა და კრიტიკოსმა რევაზ თვარაძემ ღირსებებთან ერთად აღნიშნეს ახალგაზრდა მწერლების ეს სერიოზული ნაკლიც, რაზეც შემოთ ზოგადად ვილაპარაკეთ.

მხოლოდ ეროვნული ქართული მწერლობის ტრადიციების გაღრმავებით შეიძლება სერიოზული ნაწარმოების შექმნა, სხვა გავლენების ტყვეობაში გვამყოფებს და განამრავლებს იმგვარ ნაწარმოებებს, რომელთაც არც სახე აქვთ, არც გარკვეული დედაზრი, და არც საკუთარი ადგილი მწერლობაში.

შენიშვნები, ცხადია, ყველას არ ეხება. ახალგაზრდობის ძირითად ნაწილს ღრმად აქვს გაცნობიერებული მწერლის დანიშნულება. და უკვე არაერთგზის გავაზარეს კარგი ლექსით, მოთხრობით, რომანით, პიესით თუ წერილით. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი თამამად და მაღალმხატვრულად წყვეტენ ჩვენი დროის საპირ-ბოროტო საკითხებს, ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს. ამიტომ გაანალიზა რა მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბოლო ხანს შემოქმედებითი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა შექმნეს მაღალიდღური ნაწარმოებები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვეს“.

მაგრამ ჩვენი ვალია დღენიდაღა ვიზრუნოთ იმათზეც, ვინც ჭერ კიდევ ვერ შესძლო საკუთარი ხმის პოვნა, მათი რიცხვი არც ისე მცირეა, რომ მსჯელობად და გარჯად არ ღირდეს. ამიტომ მართებთ სერიოზული დაფიქრება, რათა ქეშმარიტი ნიჭი სწორი გზით წარიმართოს და ეროვნული მწერლობის უკვდავი ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინებოდეს.



ემზარ კვიციანი

სამადლოზელი

ალაგ — ავარდნილი მთები,
ალაგ — დაცემული ვაკე...
არამც იყოს ჩემი ჭიში,
მიწა ჩემი თუ არ ვაქე.

მიწყალობა — სუნთქვა, აზრი...
მომცა გული, მომცა ენა...
თეთრი, დაულამბეული,
თვალში შუქი ჩამიყენა.

როგორ გინდა გაიჩინო
მაგიერი ან ნაცვალი,
ბიჭი ხარ და გადიხადე
დედა საქართველოს ვალი.

მონა ვიყო შენი უღლის,
შენგან გამედრიკოს ქელი...
შენთვის ვენთო, ვანათებდე
შენი სისხლის ერთი წვეთი.

გიხაროდეს, მოჩქრიალებს
ჩქერი რიონის და ივრის,
დავანათლეს, დაგებედა
ფერი მზის და სინოყვირის.

არასოდეს დაგლეოდეს
პურის მადლი, მაჭრის ქაფი;
ცას ახედე, დაილოცე
და დღე დღეზე გადაბაბი.

ბაკურიანი... თებერვალი

შელამებულზე ქრება ხალისი...
არაფერია ქვეყნად უღაო, —
არც ეს კედარი, თოვლით ნალესი,
არც შენ, ვარსკვლავო, ლურჯად
მბეუტავო.

მოტიტვლებული, ცივი, ქვიანი,
მთა, შემოსილი თეთრ სუდარათი,
ჩაიხრიალებს ადრე თუ გვიან,
იშლება, არც ის არის მარადი.

შეიცნობს შუბლი ქარის სიჩქარეს —
ყინულზე დაძრულ ჰაერის ნაკადს...

ხანდახან ყვავი თუ დაიჩხაელებს,
ხსოვნას და მინდორს აჩნდება ლაქად.

ურცხვად რომ იკლებს, შენი შუქია.
საზღაურს, საზღვარს გასცილდე
ოდნავ —

ესეც მაეჭვებს, ვის გაუგია
სუსტი ფრჩხილებით ფოლადის
პოტნა.

ცას მხოლოდ მაშინ ეთამაშები
და გინდა მზესაც მხარი აუბა, —
ამ ფერდობებზე როცა ბავშვების
ერიამულია და გუნდაობა.

მე ვტირი ყველას,
რამდენი სახეც არი,
უფალს არ ელევა
საკლავ-სახოცარი.

ნუ შემოჰკლებია
და ნუმც დაღვევია;
მოსვლა — უეცარი,
წასვლაც — მალევეა.

თავად შესაბრალომა
სხვა ვინ შევიცოდო,
ცად ვარ მიმავალი,
სადღა შევიცადო.

რაც მიწას ცოდვილს
ტკივილად აღვეძარი,
აღარ დამელია
საკვნეს-სახვეწარი.

ცხოვრება სულ თეთრი
ძაფით ნაქერია,
შენს თავს დააბრალებ,
თუ გზა აგერია.

დავდივარ სახით
და ხმით მოზარეთი,
ვის რა დავუმალო,
რა მაქვს მოსარდი.

ზოგი — საწყევარი,
ზოგი — დასალოცი:
ბოროტი, კეთილი,
ბრძენი და სალოსი...

ამდენ ჭირს და ვარამს,
გულზე რომ მიმება,
წარეცხავს ბავშვის
ერთი გაღიმება.

ყვავილი უღაბნოში

აქ შენი მყუდრო საუფლოა —
პაწია, ერთხელისდადება უღაბნო.
თუ დააკვირდები, აღმოჩნდება:
აქაურობა ზომას არ მორჩილებს —
არც სიგრძე, არც განი...

სიმაღლე ცისა ისედაც იკაჯრებდა,
არ ითქმის კიდე და სარჩული
ლაქვარდის,
თავს ვერსად მიაბჯენ დაქანცული.
ამოსანთლულ ყურებს ხმას აწვდენენ
კალანხოეს ღეროებზე გამობმული
ციცქნა, წითელი ზარები.
თვითელ მათგანს ბუსუსა ყელში,

წვრილ ენასთან, ხავერდის ნამიანი,
ბრჭყვიალა მტვერი აქვს ჩაფენილი.
ეს ანელებს, გულდავს უნაზეს წკრიალს.
მხოლოდ ნეტარებს ესმით
ნიავის სუნთქვაზე აქანავებული
ციმციმა ზარების ხმა.

მიკვირს — რამ ამოიყვანა სილაზე
გატოტილი, თავდადრეკილი ყვავილი.
ნუთუ ზღაპარში უნდა გადასულიყავი,
ეს ჩაეკტილი საოცრება რომ მენახა.

ტაფაზე დახლილი, შიშინებს, იწვის
შენი არყოფნის პირველი ზაფხული.

ბავშვობის ეყოფი

მეუბნება მრავალძარღვა:
„შენზე უფრო მიწის ვარო,
ჩაგზმები და ამოვიყრი,
ისევ დამედები, ცვარო“.

ჩამჩუროხლებს ყურში შამბი:
„დახვალ, წვალობ, იწვი, გშია...
მე მიწაზე ვიშრიალებ,
შენ იღები მიწაშიო.“

„არც იფიქრო მეორეჯერ
ამოხვიდე — მეტყვის პრასი —
არას გარგებს, ვერ გიშველის,
ამაოა შიში, ბრაზი...“

ვარსკვლავებით გაჭედილმა
ასე მითხრა წუხელ ცამო:

„საწუხარი ვიცი შენი,
არ ინანებ, ჩემთან წამო...“

მე შენ გეტყვი, სიტყვა მიჭრის,
ვის ჭირდება ჩემი ქება;
წლები, ქარი, მტერ-მოყვარე —
ყველა იქით მერეეება.

შეგუება

მიეჩვიეთ თვალბო,
სიმწრით გასახელო, —
სხვამ ლექსები წეროს და
სხვები ასახელონ.

ჩალის ფასად არ უღირთ,
რაც შენ სისხლით ღებე:
აულიათ, წაულიათ
შენი ასაღები.

რისი სამღურავი ვთქვა,
ვის რა შეედედავო,

ყველაფერი შენი ბრალი
არის, ჩემო თავო.

მიგაჩვიეს, ნაჭედს შენსას
ჯობს იმათი ლამბი, —
გინდა იყოს დასტამბული,
გინდა — დასასტამბი.

შენ როგორღა დაგტოვო,
გაძარცულო ედემო,
რა ქონების პატრონმა
ან რის მოიმედემო.



თამაზ ბიბილური

შვიდი ხმისა და ტორელასათვის

რომანი

თავი მემქვსა

სახეღარი

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სიზმარში: ერთბაშად, სულმოუთქმელად, თითქოს არც დრო არსებობდა, არც ადგილი, სადაც ამბავი ხდებოდა... მანამდე კი ცხოვრება ამ ბიჭისა, რომელსაც გელა ერქვა, დღენიადავ ერთნაირი იყო. ბიჭს ჰყავდა სახედარი და ძალიან უყვარდა. სახედარსაც უყვარდა ბიჭი და სახედრისა და ბიჭის სიყვარულზე მთელი სოფელი ხარხარებდა, მთელი სოფელი კი არა, მთელი ქვეყანა... ჯერ სახედარზე ისედაც სიცილით კვდებოდა, თუმცა სასაცილო არაფერი ჭირს. თუ სადმე გზაზე გამოჩნდა, მთელი სოფელი გამოეფინება, თუ, ფუი ეშმაკს და, რაიმე მოისურვილა და დაიყოყნა, მთელი ქვეყანა ხარხარებს; თუ გაბრაზდა და ტლინკები შეყარა, ამაზეც იცინიან. თუ შარაზე გამოვარდა გახელებული და ვინმეს გამოეკიდა, აი, ისე და იმისთვის, როგორც და რისთვისაც აღამიანები გამოეკიდებოდა ხოლმე ერთიმეორეს, ამაზე ხომ გადარევას არის ხალხი, ამაზე ხომ მართლაც მთელი ქვეყანა ყაყანებს, ნაცვლად იმისა, რომ თვალი დახუჭონ, მოერიდონ და ესეც, რაც სახედარს ათასში ერთხელ ჭირს ხოლმე, იმად ჩათვალონ,

მაღალმა ღმერთმა, როგორც ბუნების შვილს, სახედარსაც რომ მოამაღლა.

ამის მერე როგორ არ გექნება სევდიანი თვალები, როგორ არ ჩაიძირები ფიქრში, იმის მტანჯველი რწმენით, რომ ეს სევდიანი თვალებიც და ეს ფიქრიც, ხალხისა და ქვეყნის თვალში სასაცილო ჩანს, არაფრად ჩასაგდები და სახედარული, რაზეც, დიხაც რომ მხოლოდ სიცილი გემართებს და მეტი არაფერი...

აბა მაშინ გენახათ გელა, თავის ოთხფეხზე ყეენივით რომ გადაჯდებოდა და ისე ამაყად ჩამოივლიდა სოფლის შარაზე, თითქოს მოლა ნასრედინი ბუხარაში შედისო. აი, მაშინ გამოეფინებოდა ხალხი. ვირის პატრონი კი არას დაგიდევდათ, იჯდა თავის ოთხფეხზე, ამაყი და ყელმოღერილი, ლილისფერი, დაკერებული შარვლით და ჭიპამდე ჩახსნილი თეთრი ხალათით, ფეხშიშველი, თმაჩამოშლილი და თავდაც შავი, როგორც თავისი სახედარი; მოდიოდა, მანქანების გნისი ფეხებზე ეკიდა და მარტო იმასლა ნატრობდა, ნეტა ამთ ჯიბრზე, ჩემმა ვირმა თავისებური გაჭირი გასწიოს, შუა გზაზე გაიხილოს და ეს ამოდენა მანქანები თავის გარშემო მოაგროვოსო.

სახედარი გაჭირს არ ეწეოდა, პატრო-

ნის დამჯერი, მკვირცხლად მიყანყალე-
ბდა და ბიჰსაც მიყანყალეზბდა. გა-
ჭირი მარტო ერთი ორჯერ გასწია
და ისიც. ბიჰის გარდა, არავენ იცის
რატომ... რატომ და იმიტომ, რომ, როგ-
ორც გითხარით, სახედარიც ბუნების
შვილია და ლობის გადაღმა ის დაინახა,
ვისი დანახვაც, მთელ მის სხეულს გამო-
უთქმელი მოლოდინით ავსებდა. ლობის
გადაღმა მისი ტომის ნაშიერი იღვა და
თანაც ისე ურცხვად და გამომწვევად,
რომ ჩვენს სახედარს, ჩვენსას კი არა,
ამ ბიჰის სახედარს, ვერარა ძალა ადგი-
ლიდან ვედარ დაძრავდა და ვერც დაძრა.
მაშინ სცემა ბიჰმა პირველად, სახრით
სცემა, მაგრამ ის მაინც ისე იღვა შუა
გზაზე, თითქოს სახრე მას კი არა, გზის
პირას დაგდებულ ლოდს ხვდებოდა.
მარტო ერთი ორჯერ შეირხა, ერთი ორ-
ჯერ გაიქნია უკანა ფეხი, ისიც იმიტომ,
რომ ბიჰისთვის გაეგებინებინა, მართლა
გზის პირას დაგდებული ლოდი კი არა,
სახედარი ვარო და ბიჰმაც გაიგო: სახრე
შუაზე გადატეხა, ხალხს თვალი აარიდა
(ღამე რომ ყოფილიყო, ტირილსაც დაი-
წყებდა), ხმაშლია თქვა, ეგე, იდექი,
რაც გინდა ქენი, მე შენი მომხელადვი
აღარა ვარო, შუა გზაზე დაარჩინა და
თვითონ შინისკენ წავიდა. ბიჰის წასვლა
იყო და, სახედარი თითქოს გონს მოე-
გო, ვნება, რომელმაც ამ შუა გზაზე,
დღისით — მზისით, ქვეყნის სასერიოდ
ფეხები შეუტრა და ამ აზრიალებულ
გზაზე გააბა, ერთბაშად ჩაქრა, თოკი,
აქამდე დაუძლეველი რომ ეგონა, დამ-
პალივით გაწყდა და სახედარმაც თავი
აიშვა. და სწორედ მაშინ მოხდა, რაც
მოხდა: გაჭიქებულ სახედარზე უფრო
ხალხმა თავაშვებულ სახედარზე დაიწყო
ხარხარი და ვიდრე ის, შერცხვენილი
და გაშავებული, ყროყინით მისდევდა
პატრონს, თან მიჰყვებოდა გაუთავებე-
ლი ხარხარი სოფლისა, რომელსაც ისე
მოსწყურებოდა სიცილი, რომ ამ მზის
ქვეშეთისათვის სრულიად ჩეულებრი-
ვი და უბრალო რამ, სახედარის გაქცევა,
სახარხაროდ ექცია.

ეს სიცილი აბოროტებდა გელას და
იმას აფიქრებინებდა, რასაც მისი ხნის
ბიჰები ხშირად არ ფიქრობენ: ბიჰი
სოფელს ემდურა და ბრალსა სდებ-
და, რომ არაფრის ვაგემის თავი სოფ-
ელს არ ჰქონდა, სოფელი სხვას, უფრო
ძნელად გასაგებს, ვერა და ვერ გაიგებ-
და, თუ ის უბრალო რამ არ ემსოდა, რას
წარმოადგენდა ბიჰისთვის ეს სახედარი,
რა აღვილი იყო მასთან ყოფნა, რა უბრ-
ალოდ და უდავიდარაბოდ წყდებოდა
ყველა საქმე, რაშიც მხოლოდ ეს ბიჰი
და ეს სახედარი იყვენენ გარეულნი; მაგ-
რამ საკმარისი იყო სხვა ვინმე, მესამე
პირი გამორჩენილიყო და, ყველაფერი
უკუღმა, თავდაყირა დადგებოდა, ვინც
უნდა ყოფილიყო ეს მესამე, გინდ თვით
ბიჰის მამა, მეზობელი ან ნათესავი.

ალბათ ყველაფერი, დიდი, რალაც
უბრალოთი იწყება და ბიჰისთვისაც ეს
სოფელი, მერე ეს ქვეყანა და ბოლოს
მთელი დედამიწა, ამ სახედრით იწყებ-
ოდა. რა თქმა უნდა, ამას ვერავის ეტყ-
ოდა, და ისევე იმის გამო, რომ კარგად
იცოდა, მის ნათქვამს ვერავინ გაიგებდა.
მაგრამ თვითონ გულის სიღრმეში ზომ
სჯეროდა, რომ ასე იყო. ბევრჯერ წასუ-
ლა ბიჰი სხვაგან, ქალაქში წასულა, ქალ-
აქს იქითაც, ბევრჯერ გამხდარა სანატ-
რელი საკუთარი კარ-მიდამო, სოფელი,
მაგრამ მაინც ყველაფერი — კარ-მიდა-
მოც და სოფელიც, ამ სახედარზე ფიქ-
რით იწყებოდა. და თუ ფიქრში თავისი
სახლ-კარის ხატვას დაიწყებდა, თუ რიკ-
ულებიანი აივნისა და ეზოს ბოლოში
ლობეს ვაგვლებდა, ლობეს აქეთ, ზედ
ჭიშკართან აუცილებლად სახედარი უნ-
და მდგარიყო, ფიქრში წასული და მო-
ლოდინის სევდით შეპყრობილი. თუ
სოფლის შარა იხატებოდა, შარაზე უთ-
უოდ სახედარი მოდიოდა და ზედ ან
თავად ბიჰი იჯდა, ან ბიჰის პაპა. თუ
ვენახი იყო, შემოდგომის გადაყვითლე-
ბული, ჩამოკრეფილი და გაძარცული
ვენახი, ვენახის თავში, ზედ კაკლის
ქვეშ, რომლის იქით ძეძვიანები იწყე-
ბოდა, ხმელ ბალახზე მიმდგარი სახედა-

რი უნდა გამოჩენილიყო. გარშემო კი ნაცრისფერ ბელუტებს უნდა ჰქონოდათ ყივვიფი ატეხილი. ეს ყივვიფი სურათზე დიახაც უნდა გაგვეგონა, მაგრამ სახედარი, თავისი ჩვეული სიღარბაისლის გამო, ყურადღებას არაფერს არ მიაქცევდა... კიდეც, კიდეც რა უნდა ყოფილიყო იმ სურათზე? ხო, ვენახის ქვემოდან პაპა უნდა მოდიოდეს და რაღაც კავშირი მყარდებოდას სურათის თავსა და ბოლოს შორის, სახედარსა და პაპას შორის, რომელსაც ვენახში დარჩენილი გოგრა, პამიდვრები, შეჭირბლული საზამთროები (ალბათ სამწნილედ) წამოუქრეფია, გოდრულა გაუქვია და ახლა სახედარისკენ მიდის, რომ ეს გოდრულა ზედ წამოჰკიდოს. ასე იწერებოდა ყველა ოცნება საკუთარ სახლ-კარსა და სოფელზე და თუ ოდესმე ბიჭს სადმე, დასაყარგავში მოუხდებოდა წასვლა, ალბათ ქვეყნიერება ამ სახედარის ირგვლივ დატრიალდებოდა და ბიჭიც, როგორც დიდ ნატვრას, ისე ინატრებდა, ნეტავ ერთი ჩემს სახედარზე დამსვა და ვენახებისკენ წამიყვანა, მეტი არა მინდა რაო.

რალა სოფელი და, შინაც, სადაც გელას მხოლოდ თავისიანები ეგულებოდა, სახედარის ხსენებაზე მუდამ ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე. მამა მეველე იყო, ცხენზე იჯდა და სწორედ ცხენი იყო, რითაც სახედარს ამცირებდა და ბიჭის თვალში მიწასთან ასწორებდა. ჯერ ცხენი რა არი ჩვენ დროში და მერე ვირი რა უნდა იყოსო. ცხენზე რო ვჯდები, ამისიც კი მრცხვენიაო. ჩამამიქროლებს თავისი „ეფგულით“ ეს ჩემი აკრონომი და აღარ ვიცი, რომელ ძეძვებს ამოვეფაროო. ამოვეფარე რა, მაინც დაგინახავს, გააჩერებს თავის მანქანას, ახრთინებს, ახრთინებს და დაგიძახებს, რა გეჩქარება, საღამომდე მაინც ჩახვალ ვენახებშიო! დაგიძახებს და გარბის, უკან აღარ იხედება...

დღდა სამკითხველოს გამგე იყო, წიგნის ქალი და თუმცა სახედარი ეცოდებოდა, ქმარს მაინც ბრალსა სდებდა,

შენ შეიცოდებ მაშინ ბიჭი და სახედარი აღარ გავყიდეთო. რა მოხდა, ორიოდ დღე იღარდებდა და აღარაფერი დაამახსოვრდებოდაო. სოფელში გავლა მეზარება, ვიღრე შინ ამოვიდოდე, სულ იმის შიშში ვარ, ბიჭმა არ ჩამოიაროს თავისი სახედრით და თავი არ მომქრასო...

პაპა კი მართლა პაპა იყო და თუ არა ის, სახედარი მართლა აქამდე სადღაც ბაზარზე გაიყიდებოდა. თქვენ რა იცით მაგისი ყადრიო, ამბობდა და იმ წუთში ის პატარა ბიჭობა ახსენდებოდა, როცა თავადაც შვილიშვილის ხნისა იყო და სახედარზე იჯდა... მაგრამ პაპის ნათქვამი ძალზე ცოტა იყო იმისთვის, რომ სახედარი გაყიდვას გადაჩენილიყო. მთავარი მაინც სხვა იყო, მიზეზთა მიზეზი, რის გამოც სახედარს ვერაფერს უხერხებდნენ: ბიჭი იმისი ჯავრით ან თავს რამეს აუტეხდა, ან სახლიდან გაიქცეოდა... ამაში პაპა მტკიცედ იყო დაჯერებული და სხვებსაც აჯერებდა, როგორც კი სახედარზე ლაპარაკი დაიწყებოდა და როგორც კი ბიჭისა და სახედარის სიყვარულს შავი ღრუბლები წამოუვლიდნენ.

მართლა არავის არაფერი ესმოდა! და გელას რწმენით, არცა ღირდა, რომ საკუთარი თავის გარდა, ვინმესთვის რამე დაეჭერებინა. დაჯერების ღირსი ვერ იქნებოდა ვერც ოჯახი, ვერც მეზობლობა და ვერც მთელი სოფელი, რაკი არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს არ ესმოდა ძალზე უბრალო რამ: რა იყო ბიჭისთვის ეს ერთი საწყალი სახედარი. აბა წავიდნენო, ზამთარში, დათოვლილ ტყეში, ფიჩხის ჩამოსაზიდად, როცა ფიჩხსა სჭრი, აგროვებ, აგროვებ და თან ხელები გეყინება, როცა გარშემო მართო ის ხმაური ისმის, ზამთრის ტყემ რომ იცის, — ან მელა გაილაწუნებს ჩირგვებში, ან ციყვი ჩამოყრის წიფლის ტოტიდან თოვლს, ან ყვავი შემოჭდება მუხის კენწეროზე და დაიხნავლებს. შენ

თაბაჯ ბიგილუარი

შვიდი ხმისა და ტორილასათვის

კი მაინც ყურადღებას არაფერს აქცევ, აგროვებ ფიჩხს და შენი ფეხის ხმა თუ, ცულის კაკუნი კარგა შორს სწვდება ხევ-ხუეებს და ღრანტეებსო. შორიახლოს მარტო ესა დგას, ჩემი სახედარი, არცა სცივა, არც ეჩქარება, ჩირგვის წვრილ-წვრილ ტოტებს კორტნის და მოთმინებით გელოდება, მორჩილად შემოქცევის. და ეგრე შეუძლია დგომა, დაუსრულებლივ, ვიდრე არ მიხვალ, არ დაჰკრავ ზურგზე ხელს და არ ეტყვი, შენი ლოდინიც დასრულდა და დროა, გზას გაეუდგეთო. მაგრამ, ბიჭოს, ამასობაში არ დაღამებულა? დამე ნელ-ნელა ხევებს ჩამოჰყოლია, ჩირგვნარი ამოუვლია და ახლა მთელ ტყეს დაბინდულ ბურუსში ჰხვევს. საღლაც უკვე ტურა ჩხავის. ქვემოთ მაგონი დათვი ბურღლუნებს. ხო, შეიძლება შემოვალს-მა კიდევაც, შიშს დიდი თვალები აქვს და იმასაც გაგავგონებს, რაც ნამდვილად არა ყოფილა. აგერ-აგერ და გორაზე მგელმაც დაიჟმულა, მაგრამ ეს ყმუილიც შიშმა მოიტანა, შიშმა და ღამის მოახლოვებამ; ახლა ჩვენია ტყე, ახლა, დიღამდე, აქაურობის ბატონ-პატრონი ჩვენა ვართო, ყველანი ერთად გვეუბნებიან, — ეს წიფლებიც, ეს ჩირგვებიც, ქვემოთ აბურღლუნებული დათვიც და გორაზე აყმუვლებული მგელიც. ეჰეე, ძმობილო, ეჰე, ძმისავ, ახლა კი ჩაავლე ხელი ამ შენ სახედარს და დაეშვი ქვემოთ, სოფლისკენ, ვიდრე მართლა დროა, ვიდრე სიბნელეს ბილიკიც არ წაუშლია... შიში რას მიქცია, შიში რა სათქმელია, მაგრამ რამე რო იყოს, ეს მაინც აქ არი, ერთგული და უღალატო სახედარი! განა რა შეუძლია? არაფერი! ვერც დათვს დააფრთხობს და ვერც მგელს უცვლის ფერს, მაგრამ მაინც სულიერია, შენ გვერდით არი და თვალებში შემოგცქერის. შენც მარტო აღარა ხარ, ორნი ხართ, და რაკი ორნი ხართ, აღარაფრისაც აღარ უნდა გეშინოდეთ. აი, მაშინ მოაჯდები სახედარს, თან ფიჩხის კონას გამოუბამ... მოდის და მოათრევს, მოდის და მოჰყავხარ ყე-

ენივით თავმოძწონედ გადაძვდარი. და მეტი რაღა დაგრჩენია, გინდა მართლა მგელი ყმუოდეს, გინდა მართლა დათვი ბურღლუნებდეს, ერთი კარგი სიმღერა უნდა დასძახო. სიმღერაო და, სახედარი სულ გიედება, დაღმართში უფრო და უფრო თავგამოდებით მოჩაქჩაქებს და გრძნობ, შენს ლაგებში მოქცეული, როგორ თბება, როგორ უთრთის ძარღვები, რა დაძაბული ვენებით გამოჰყავხარ ტყიდან. ხო, მართლა ტყიდან გამოჰყავხარ, მართლა იცის, რომ ამ წუთში სხვა რამ არაფერი მოეთხოვება, გარდა შენი სამშვიდობოზე გაყვანისა.

თოვლი თოვლია, მაგრამ აბა ახლა სიცხეში გამოსცადეთ, მკათათვის ხვატში ნახეთ იმისი თავდადება. ყოფილხართ მკათათვეში დასიცხულ ჰალდებში, მერე ამოჰყოლიხართ მზისგან გადამწვარ მინდვრებს სოფლისკენ? თუ არა, მაშ არ გეკოდინებათ რა არი სახედარი. გარშემო ყველაფერი იწვის, მდინარე დაწრეტილა და დულს. წვრილ-წვრილი ჩიტები ბუჩქებში შეფარებულან. დახეთქილ გზაზე უხსენებელი თუ გადაისრიალებს და ისიც სადმე შეძვრება. შენ კი სხვაზე არაფერზე ფიქრობ, ერთი ჩრდილში, ხის ქვეშ მიმავდო და თვალი მომატყუებიანა, ან მდინარეში ჩამაწვინა პირაღმა და ცაზე ღრუბლის ნაფლეთი მაძებნინაო. მაგრამ რას იზამ, ძმაო, ახლა ნებივრობის დრო არ არის, დაღამებისას შინ უნდა იყო, როგორც არ უნდა ვარვარებდეს ეს მზე. სახედარს ხურჯინი უნდა გადაჰკიდო, ხურჯინში საზამთროები და ნესვები ჩაალაგო, ზედ ნიორი, ხახვი და კარტოფილი მიაყოლო და დახეთქილ გზას დაადგე! გუნებაში კარგად შეუკურთხებ ამ მზეს, ამ მოწმენდილ ცასაც და ამ გზასაც, სოფლამდე ისე რომ გაჰიშულა, არც ახოებს გადაჰკვეთს, არც ჩრდილიანებს. ამ ყოფაში ხარ და ისევ ამას გადახედავ... ეს კი დგას არხეინად და არც მზეა მისთვის, არც ხვატი, წიწვნის გადამხმარ ბალახს! ხან გადმოგხედავს და თითქოს გვეუბნება, ვიცი, წასასვლელები ვართ, ნუ გეზარება, მე არ

უნდა გატაროთ შენცა და შენი ხურჯინიცო? გუუბნება და შეგრცხვება კიდეც. თქვენი არ ვიცი და, მე კი შემრცხვება ხოლმე, ძმაო. მე კი ვიტყვი ხოლმე, მართო ხურჯინს ავკიდებ და ზედ არ შევჯდები, თუკი ამას შეუძლია ამ სიტყეში სიარული, მე რაღა ვარ-მეთქი? ხო, თქვენი არ ვიცი და, მე კი ვიტყვი ხოლმე... მაგრამ თქმა ერთია და დაგანებებს? აჰკიდებ ხურჯინს და ფეხს არ იცვლის, გელოდება, ჰა, მოდი, პირველია თუ უკანასკნელიო? განა სხვასაც ეგრე გავათამამებ, მაგრამ შენ შენა ხარო. მეც თავპატიეს აღარ დავიდებ. გული რათ უნდა დავწყვიტო, ძმაო, შევჯდები, რატომაც არა? სახედარი იმისია, რომ შევჯდე! შევჯდები და ისიც იმ წუთში გზას დაადგება, თავს ჩაპლუნავს, არაფერს შეიმჩნევს, არც სიხარულს, არც კმაყოფილებას, მიდის თავისთვის და ფიქრშიც წვაა. ნეტა რა აქ ამდენი საფიქრალი: ნეტა ბედნიერია თუ უბედური? თუ ბედნიერია, რა დროს არი ბედნიერი, თუ უბედურია, რათ არი ხოლმე უბედური? როცა დასცინიან? როცა დაბამენ და არსად უშვებენ? როცა მძიმე საპალნეს აჰკიდებენ? თქვენი არ ვიცი, ძმაო და, მე კი მიყვარს ჩემი სახედარი. მიყვარს და ხან მეცოდება, ხან მშურს კიდევ იმისი...

სახედარი პაპასაც ჰყოლია და პაპის პაპასაც. ნეტავ როგორი იყო პაპის სახედარი, ისიც მორჩილი იყო ამსავით თუ ჭიუტი და გაჭირი? რა ფერისა იყო, რა უყვარდა ყველაზე უფრო — კარგა ხანია სურდა ბიჭს პაპასათვის ყველაფერი ევითხა, მაგრამ ხმას არ იღებდა, რადგან ამისი კითხვა სახლში ისე დაირხეოდა, როგორც თოფის გასროლა, რადგან სახლში საბოლოოდ იმას იფიქრებდნენ, რომ ამ ბიჭს დედამიწის ზურგზე სახედრის მეტი არავინ უყვარდა და სახედრის გარდა არაფერზე ფიქრობდა... ამით კი ოჯახი უბედური იყო, რადგან სხვები, ამ ბიჭის თანატოლნი, ჭილაობაზე, ცეკვაზე, მუსიკაზე და გიტარის კურსებზე დადიოდნენ, ბიჭს კი

იმგვარი გატაცება ჰქონდა, თქმითაც კი ვერსად იტყოდი.

ყველაზე უფრო კი ოჯახში ის დღე ახსოვდათ ავად, როცა გელამ სკოლა დაამთავრა და ქალაქის გზას გაუყენეს. ეს შარშან მოხდა, შარშან წყდებოდა გელას ბედი, თუმცა თავად, გუნებაში, საკუთარი, ბედ-იღბალი კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა. გელამ იცოდა, ათი წელიც რომ ეელო ქალაქში, გამოცდებზე სხვებს ვერ დაჯახნიდა და სტუდენტი ვერ გახდებოდა. გრძნობდა, რომ სოფელელად იყო დაბადებული და ეს ამბავი, თუ სიამაყეს არ ჰგვრიდა, არც სვედით ავსებდა, აქაოდა, სხვებზე ნაცლები რითი ვარო. სახლში კი ამაზე გულისხმეთით ფიქრობდნენ და შიშით ელოდნენ იმ შეაბნელ დღეს, როცა ბიჭი ჭიშკარს მოადგებოდა და ერთ საბედისწყერო სიტყვას იტყოდა: ჩავიჭერი...

სახედარმა მაშინ მთელი ოჯახი კი არა, მთელი სოფელი გადარია. იმ ერთ კვირაში ველარავინ იცნობდა! ახლოს პაპასაც კი არ იკარებდა. ვერც ფიჩხი აჰკიდეს, ვერც ხურჯინი, იდგა ერთ ადგილზე გაქვავებული და თუ ვინმე ახლოს მივიდოდა, ტყუბ წიხლს დაუფიქრებლად ისროდა. მაშინ გაბრაზდა პაპა, მაშინ გაიხარა ოჯახმაც, აკი ხელი არ გვახლებინე, ახლა მაინც მოვიშორით თავიდან, სანამ ბიჭი არ ჩამოსულა, სანამ ხელი არ შეგვეშლებაო, ჩამოვა და ბაღი ხო აღარ არი, მართლა და მართლა, ქალაქი თვალს აუხელდა, იქნებ არც კი მოინაკლისოსო. როგორც თქვენ გინდათ, როგორც მიბრძანებთო, — უთქვამს სახედარზე გაბრაზებულ პაპას და სახვალიოდ ბაზარში წაყვანა გადაუწყვეტია. მთელი ღამე თურმე თვალზე რული არ მოსვლია პაპას (მერე გამოტყდა, მერე უამბო ყველაფერი წვრილად შვილიშვილს), დილაადრიან კი მაშინ ამდგარა, როცა ოჯახს ჯერ ისევ სძინებია და სახედრისათვის კისერზე თოკის მობმა დაუპირებია.

თამაზ ზივილური

შვიდი ხნისა და ბოროლასათვის

ვენაცვალე, ბიჭო, მაშინვე მიმხედარა ყველაფერს! ჭერ ტყუპი წიხლი შეუყრია (აპატიე, პაპავ... აჰი ვაპატიე კიდევაც, მაშ რა ვქენი?) მერე იმოდენა ყროყინი აუტეხია, მთელი სოფელი გაულღვიძებთ და ევრე გავარდნილა ეზოდან. მგლის ლუქმაც გამხდარა, ოღონდ მოშორდეს და სადაც უნდა იქით წავიდესო, უთქვამთ შინ და დიდ სიხარულშიც ყოფილან. მაშ რა, შვილი სტუდენტი ხდებოდა და აღარც სახედარი ება ეზოში! მაგრამ ეს სიხარული დიდი ხნისა არ გამოდგა. მეორე დღეს ჭიშკარს მოადგა ბიჭი და თავჩაღუნულმა ის ერთი სიტყვა თქვა, რომელსაც მთელი ოჯახი შიშით ელოდა: ჩაიჭიკრი...

არ ვასულიყო მცირე ხანი (თუმცა ამას არავინ დაიჭერებს, რაც არ უნდა მთელი სოფელი დაგვემოწმოს, რადგან ყველაფერი სოფლის თვალწინ მოხდა), თავჩაღუნული სახედარიც მოადგა ჭიშკარს. ხო, მაშინ იცინოდა მთელი სოფელი და, კაცმა რომ თქვას, სასაცილოც იყო! ბიჭიც იცინოდა და ბოლოს, მეტი რა გზა ჰქონდათ, მამასაც გაეცინა, დედასაც და პაპა ხო იცინოდა და იცინოდა: ერთად იყავით წასულები, ბიჭო? მატარებელი რად გინდოდა, თუ ეგეც იქა გყავდაო! როგორ არიან ქალაქლები, ზრდილობა ხო არ დაუწუნეს ან სიტყვა-პასუხიო! მერე ბიჭს ეფერებოდნენ, ამხნევებდნენ და ახლა ისევ სახედარს ემდუროდნენ: ვერ უჩურობულე ერთი-ორი სიტყვა, იქნება ჩაებარებინა ის რაღაც გამოცდაა თუ ჯანდაბაო! შენ ჩურობული სად შეგიძლია, ალბათ ქვეყანა შეუყარე და გამოგაგდებდნენ, მაშ რა იქნებოდაო? სახედარი კი იღვა თავჩაქინდრული და თითქოს ამქვეყნად არაფერი მომხდარაო, თითქოს არც გაბუტულა, არც ტლინკები შეუყრია და არც გადაკარგულაო, მშვიდად ძოვდა ღობის ძირებში ჩარჩენილ ბალახს.

მაშინ მიხვდა გელა, რომ სოფელს თუ ოჯახს საბოლოოდ აეხილა თვალი და იმას აღარასოდეს აღარ მოსთხოვდნენ, რაც მისი საქმე არ იყო. ბიჭის საქმე

კი ეს იყო. ამ სახედართან ერთად მდინარისპირა ჭალებში და ტყეში ხეტიალი. სხვა დანარჩენი თავისით მოვიდოდა, თუ სხვა დანარჩენიც ამ სახედარით უბრალო და ბუნებრივი იქნებოდა. ამ წუთში, გელასთვის რომ გეთქვათ, სულ მალე მოვა დრო და ეს სახედარი დაგაიწყდება, დაგავიწყდება ის დღეები, ყენივით გადამქარო რომ დაპქროდი, რადგან უფრო სწრაფი ქროლვის ვნება შეგიპყრობსო, შენი გონებაც სხვაგან გაიქროლებს და ისე მოგვუსხავს, სხვას ყველაფერს დაგავიწყებსო, არა და არ დაგიჭერებდათ, შიშით გაგეცლებოდათ, სწორედ ამ სახედარზე გადაჯდებოდა და ტყეს შეაფარებდა თავს, რათა მართლა სინამდვილედ არ ქცეულიყო, რაც თქვენ უთხარით და რაც ბედისწერასავით აუცილებლად უნდა ასრულებოდა.

ეს მოხდა ზაფხულში სახედარზე გადამქარო გელა მიჩაქჩაქებს მტვრიან შარაზე. გარშემო გადარუჯული მინდვრებია, სწორედ ამ მკათათვის მინდვრები, როცა ყველაფერი იწვის, მაგრამ ამასაც არაფრად დაგიღვეს სახედარი. საცაა მდინარისპირა ჭალებშიც გამოჩნდება და გელამ არ იცის, რომ სწორედ აქ, ამ მტვრიან შარაზე, ამ გადახრუჯულ ჩირგვებთან, ახალ ამბავში უნდა გაეხდას.



გოგია შოფერი კამეჩს ჰვავდა. როგორც კი გელამ თვალი მოჰკრა, სწორედ ეს გაიფიქრა: კამეჩია, მაშ რა არიო. მანქანის ქვეშ ვეება სხეული ეგდო და ნიჩბისოდენა ხელეზით რაღაცას უჩხიკინებდა. წელზემით შიშველი იყო და ბალნიანი მკერდი ხავსიანი ლოდვიით უჩანდა. შავ თვალებს ბრაზით აბრიალებდა და მზად იყო ეს ჭიუტი მანქანა, ამ სიცხეში შუა გზაზე რომ გახიდულიყო, ერთი ხელის მოქნევით ნამსხვრევებად ექცია. გელას ჯერ შეეშინდა, მერე შიშით უცებ აღტაცებამ შეცვალა. ეს მაშინ მოხდა, როცა გოგია შოფერმა თავზე წამომდგარ ბიჭს ქვემოდან ახედა და გამურული სახე თეთრმა კბილებმა გა-

დაუნათა. მოდი, ხელი წამაშველე, — ეს იყო პირველი სიტყვები, შოფერმა რომ გელას უთხრა და გელაც მაშინვე მის გვერდით შეძვრა. ესმოდა, როგორ ქშინავდა გოგია, როგორ უკუერთებდა ამ მანქანის გამომგონებელსაც და გამკეთებელსაც და როგორ ნატრობდა იმ წუთს, როცა ბალახზე არხინად გაიშობტებოდა და გვერდზე ერთ კარგ გოგოს მოიწვევდა.

ამგვარი რამ ბიჭისთვის, ასე პირდაპირ და გულახდილად, ჯერ არავის ეთქვა ბიჭს ეგონა, რომ გოგოზე ოცნება თუ გოგოს გვერდით მოწვევანაზე ფიქრი მხოლოდ ჩუმად შეიძლებოდა. ბიჭი შიშობდა, რომ რასაც გოგოზე გაიფიქრებდა, სახეზეც ეწერებოდა და ამგვარი ფიქრის ნეტარებას მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, როცა ტყეს შეაფარებდა თავს, ან უცხო თვალს მორიდებული, ჰალისპირებში, მსგავსად ამ გოგია შოფერისა, ბალახზე გულალმა გადაწვებოდა და ცაზე ღრუბლებს დაუწყებდა თვალთვალს. აქ კი ეს შოფერი, მართლა კამეჩის თვალები რომ ქონდა და მანქანის ქვეშ კამეჩით ქშინავდა, ოფლში გაღვარული და ნერწყვოდენილი, ხმამალა ნატრობდა მწვანე ბალახსა და გვერდით მოწვენილ გოგოს.

გელას თვალში გოგია გამირად იქცა! ეს მოხდა ერთბაშად, თვალის დახამხამებაში და ბიჭი წამითაც არ დაფიქრებულა, როცა გოგიამ დაუძახა, სად მიხვალ, დაჯექ მანქანაზეო; შოფერს უთხრა, ცოტა ხანს მომიცადე, ამ ვირს აქვე, ვენახში პაპაჩემს გადავუყვანო და ვენახისკენ ისე მოკურცხლა, თითქოს შიშობდა, ვი თუ აღარ მომიცადოს და ის დავეკარგო, რაც სწორედ ამ წუთში, ამ გზაზე ვიპოვეო.

როცა გელა დაბრუნდა, გოგია ისევ მანქანის კაბინაში იჯდა და პაპიროსს აბოლებდა.

— მე მელოდება, — გაიფიქრა გელამ და ამ ფიქრმა რაღაც აუხსნელი სიხარული მოჰკვარა.

ეს სიხარული გელას კარგა ხანს გაპ-

ყვება და კარგა ხანს ამ სიხარულით იცხოვრებს. რაღაც ახალი აუცილებლად უნდა დაწყებულიყო. ამ ახლის მოლოდინით უკვე თრთოდა ბიჭის სული და ისიც მოვიდა! მოიტანა ამ მთასავით წამომდგარმა შოფერმა, რომელსაც თავისი ჯანის შესაფერისად ალბათ ყველაფერი შეეძლო და გელას თვალში რკინისმკენეტელი ჩანდა. წინ ფართო თვალსაწიერი გადაიშალა. ამ თვალსაწიერში გაწვა დაუსრულებელი გზა, რომელზედაც ეს ვეება მანქანა გაქროლებდა, თავისი ვეება შოფრით და ბიჭსაც თან წაიყვანდა. არა, გელა ვერ შოერეოდა ამ უბოლოო გზაზე დადგომის სურვილს და ამ ვიღაც გოგიას წაყოლაზე უარს ვერ იტყოდა! ახლა ეს გზა იყო ყველაფერი, სხვა დანარჩენი, ან ერთბაშად გამქრალიყო, ან ისე გაფერმკრთალებულიყო, რომ გელას თვალში ყოველგვარი ფასი დაპკარგოდა.

გოგიამ კარი თავისი ხელით გაუღო. ბიჭი შეხტა მანქანაში და მანქანა დაიძრა.

ერთმანეთს გაუცინეს და ამ სიცილით იღუმალი გარიგება მოხდა.

- შენ მეველის ბიჭი არა ხარ?
- ხო...
- რამდენი წლისა ხარ?
- ცხრამეტისა ვხდები.
- მე ოცდაათს ვუკაჟუნებ... ვინდა შოფრობა გასწავლო?
- მინდა.
- დღეიდან ჩემი „პამოშნიკი“ იქნები.

გელას ყურში „პამოშნიკმა“ ზარივით დარეკა. არ იცოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვა, რა მოეთხოვებოდა, რას დაავალებდნენ, მაგრამ ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ამ ვეება მანქანაში მჯდარიყო, ამ ვეება გოგიას გვერდით და თავი მთელი ქვეყნიერების მბრძანებლად ეცნო. მართლა რა დაუდგებოდა წინ ან ამ მანქანას, ან მის შოფერს? ათას სახედარს ჩამოიტოვე-

თამაზ ბიზილური
 შვიდი ხმისა და ბოროლსათვის

ბდნენ უკან და ათას კილომეტრს გაივლიდნენ, თუკი გულში რამეს ჩაიდებდნენ, თუკი გზას დაადგებოდნენ. გზები კი აქეთ-იქით იხლართებოდა, ერთმანეთს ეწყნებოდა. ისევ შორდებოდა და ისევ ერთდებოდა, გზებს დასასრული არ უჩანდათ...

იმ დღიდან სახედარი მარტო დარჩა. ეს ამბავი უბრალოდ მოხდა, თითქოს ბიჭმაც იცოდა და სახედარმაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბიჭი უკვე თვარამეტი წლისა იქნებოდა, რაღაც ეშმაკის მანქანაზე შეჯდებოდა და სხვა ყველაფერი დაავიწყდებოდა. შინ გაეხარდათ ბიჭის შოფრობა, გოგია შოფერს დაუწყეს ძებნა და მადლობაც უთხრეს. ბოლოს და ბოლოს რაღაც საქმე გამოჩნდა და ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს სოფელს სახედრის მხედრად კი არა, შოფრად მოველინებოდა. დედა ტიროდა, მე შვილს შოფრად არა ვზრდიდიო და ყველაფერს ქმარს აბრალებდა.

გელას თვალში გოგია შოფერი დღითიდღე შარავანდდით იმოსებოდა და უკვე აღარ არსებობდა ძალა, რომელიც შოფერს ადევნებულ ბიჭს სხვა საქმისაკენ გაახედებდა. გოგია შოფერი მეორე სახედარი გახდა! დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, იმას ელოდა, ან ახლა მოვა, ან ახლაო და ისიც მართლა მოდიოდა. მოდიოდა იმ დროს, როცა ბიჭი უკვე იმედს გადაიწყვეტდა და ბედს ემდუროდა; მოდიოდა, რათა თავისი ხელახალი გამოჩენით ერთბაშად ისევ ამადლებულიყო და თავადაც დიდ მდინარეში გადაშვებულს, ბიჭიც თან გადაეყოლებინა. გელას თვალში გოგია ყველაფერს ერთად გამოხატავდა — თავაწყვეტილ სიშმაგესა და ვაჟკაცობას, ყოვლისმცოდნეობას და ყოვლისმქნელობას, გზებზე ხეტიალის ვნებას და იმ ულაგამო თავისუფლებას, რაც თავად არასოდეს გამოეცადა და რაც პირველად ამ გოგიას გვერდით გამოსცადა. ყველაფერს ამ შვიი კამეჩის სურვილი განაგებდა. კამეჩი დიდ, უსასრულო მინდორზე გაშმაგებულ

მიპჭროდა და ბიჭსაც თავისთან მიაპჭროლებდა.

გელას თვალში გოგია გამოცანა გახდა. წინასწარ ვერ იტყოდი, რას გააკეთებდა ან საით წავიდოდა. ხან ვიცი იყო, ხან — ჭკვიანი, ხან — ძუნწი, ხან — ხელგაშლილი, ხან — ეშმაკი, ხან — ბალღივით მიმდობი. მაგრამ რაც გინდა ეკეთებინა, გოგია მაინც გოგია იყო და ბიჭმა იცოდა, რომ საქციელი, ამ წუთში რომ აკვირვებდა, მეორე წუთის სულ სხვაგვარ საქციელში გადავარდებოდა. ბიჭი ელოდა ამ ფერიცვალებას და მოლოდინიც ისევე ჩამორევი იყო, როგორც თვითონ ამბავი. გოგია შოფერი გელას თვალწინ თავადვე თხზავდა ცხოვრებას, თავადვე არჩევდა პერსონაჟებს და უხილავი ხელით განაგებდა ამბავს, რომელშიც, ცხადია, მთავარი როლი თვითონ მას (და არამც და არამც სხვას) ეკისრებოდა.

ბიჭი ამითაც კმაყოფილი იყო. აბა რა, ყველა ამბავში, რაც კი ამოდენა გზებზე გადახდებოდათ, მთავარი მაინც ეს გოგია უნდა ყოფილიყო.

ისინი მიპჭროდნენ გზებზე და გარშემოც ყველაფერი გარბოდა. გარბოდნენ ხეები, მდინარეები, ხიდეები, სოფლები და ტყეები. ერთმანეთს ცვლიდნენ სურათები. შობაბეჭდილებათა ქაოსი გონებაში ძლივსღა ლაგდებოდა. ადამიანები წამით გამოკრთებოდნენ და ისევ თვალს ეფარებოდნენ. ზოგი ისე ჩაივლიდა, თვალის შევლებასაც ვერ მოასწრებდი, ზოგი მათთან რჩებოდა ერთი საათით, ერთი დღით ან ერთი ღამით. ამიერიდან ის, მათთან ერთი დღით თუ ღამით დარჩენილი, უკვე ძმაკაცი ან ნაცნობი იყო, რომელნიც შოფერს მრავლად გაეფანტა მილეთვის კუთხე-კუნჭულში. გოგია შოფრის ვნებათა შორის ერთი უმთავრესი ისიც იყო, რომ საღამოობით ჩაეჭროლა ბაზრის კართან ან გზაჯვარედინთან, სადაც თავს იყრიდა ავტობუსის მომლოდინე ხალხი და სწორედ ის სოფელი ეხსენებინა, სადაც ეს ხალხი ებირებოდა გამგზავრებას. ესენი იყვნენ დიდი

კალათებით, გოდრებით და ხურჩინებით დატვირთული ნაბდისქუდიანი, გაქალარაფებული და წელში მოხრილი პაპები, შავ თავშალში გახვეული დიდებულებო, ბაზრებში ხეტიალით აღრე მომბერებული კრელკაბიანი ქალები, რომელთაც თავისი საქმე უკვე მოემთავრებინათ, გასაყიდი გაეყიდათ, საყიდლებზე ბევრი ევლოთ და ახლა ერთი სული ჰქონდათ, როდის გალევდნენ დანჯორეული მანქანით ოციოდე კილომეტრს, როდის ავიდოდნენ შინ, იგაზმებდნენ და დალილ ძვლებს დასავენებდნენ.

ამ დროს გოგია ბედნიერი იყო! ამაზე დიდი ხალისით დედამიწის ზურგზე ვერარა საქმეს ვერ გააკეთებდა. ამგვარ დროს გელას ახსენებოდა კაცი, რომელიც ერთხელ ნახა, როცა თელავში კინოს იღებდნენ. ის კაცი რეჟისორი იყო. რალაც ამწეზე იჭდა. წითლად და ცისფრად აპრელებული საჩრდილობელი ქუდი ეხურა. თეთრი მაისური ეცვა. ოფლში კურავდა. პირთან დიდი რუპორი მიეტანა და აქეთ-იქით გაშლილ უამრავ ხალხს ზემოდან დასჩერებოდა. ხალხიც, მის ნებაზე, ხან წამოიშლებოდა და სადღაც გარბოდა, ხან ისევ შეჩერდებოდა და ცხვრის ფარასავით უკან გამობრუნდებოდა. ხო, გოგია შოფერიც იმ რეჟისორს ჰკავდა. რუპორი არ ქონდა, მაგრამ მისი ხმა მაინც გარგინვასავით ისმოდა. მანქანის კაბინიდან გადმომდგარი ხალხს ზემოდან გადასაქეროდა და სურდა — უბრძანებდა, აცივდით მანქანაზეო, სურდა — მართლაც ფარასავით დააფრთხოდა. გოგია შოფრის ხელი ყველაფერს განაგებდა. მისი შეთხზული „ამბავი“ მუდამ ხალხმრავალი, თავშესაქცევი და მხიარული იყო.

— თითო მანეთი! — ყვიროდა გოგია.

ხალხი ყაყანებდა. ბერეკაცები სახრით ემუქრებოდნენ. დედაბრები ქოქოლას აყრიდნენ. ქალები დაუფარავად წყევლიდნენ. და მაინც ივსებოდა მანქანის ძარა, მაინც ერთმანეთს არა-

ვინ აცლიდა, ზოგი წინიდან მოფრთხილებოდა, ზოგი საბურავებიდან, ზოგი უკან ეჭიდებოდა საკეტებს და რომ ვერაფერს ახერხებდა, სხვებს ეძახდა, მიშველეთო; გოგია კი ამ დროს მართლა შოფერი კი არა, სარდლი იყო თავისი ჯარით, ან ქადაგი თავისი მრევლით, რომელიც ამოდენა ხალხს თავის ნებაზე განაგებდა, რომელიც ძალებს ხან მარჯვენა ფრთაზე გადაისროდა, ხან მარცხენაზე. ეს ამოდენა ხალხი მისი საკუთრება გამხდარიყო. — თავისი ხურჩინებით, კალათებით, გოდრებით და თავისი მანეთიანებით, რომელიც იქვე, მგზავრობის დაწყებამდე, ისევ წყევლითა და ყვედრებით გროვდებოდა და გოგიას ჯიბეში მიდიოდა.

რცხვენოდა გელას ამ ხალხისაც და ამ მანეთიანებისაც, მაგრამ გულში ამასაც აპატიებდა ველზე გავარდნილ კამჩს, რაკი იცოდა, რომ ერთ დღეს მართლა დადგებოდა ერთი მშვენიერი დღე, შოფერი სადღაც, დიდ საქმეზე, დიდ გზაზე ბლომად ფულს მოხვეტდა, გზაზე ცოტა შეთვრებოდა კიდეც (ფულიან გოგიას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა) და ეგრე, ვეება და ბანჯგვლიანი, მუგუზალივით შავი და მაწანწალასავით მკერდჩახსნილი, გაოფლილი და გაზინზულული, ისევ იმ ბაზრის კარს ან ისევ იმ „გადასახვევს“ თუ „გზაჯვარედინს“ ჩაუჭკოლებდა, საღაც სხვანი კი არა, ისევ ისინი იდგნენ, ვინც გუშინ თუ გუშინწინ, ერთი თვის თუ ერთი წლის წინ მდგარან, ისევის მიხა და სანდრო, კეკე და მართა, პელო და ფეფო... იდგნენ და სხვას კი არა, სწორედ ამას, ამ კამეჩ გოგიას ელოდნენ. ელოდნენ და ყრიაშულსაც დასცემდნენ: მოვიდო! აკი არ მოვო! ეგ უჩვენოდ ვერ გაძლებს და ჩვენ უმავისოდო! აბა, მანეთ-მანეთი ამოკრიფეთ ჩულქებიდან და პერანგებიდანო! ამის თქმა იყო და გოგია მართლაც გენერლის ღირსებით გადმოადგებოდა აყაყანებულ ჯარს (ამ დროს შოფერი შეურიგებელი იყო), ხელს მალ-

თამაზ ზივილური
შვიდი ხმისა და ბოროლასათვის



ლა აღაპყრობდა და ასე, ხელაპყრობილი, იქამდე იდგა, ვიდრე აყაყანებული დედაბრები და ბერიკაცები არ დაცხრებოდნენ, ვიდრე ეგრე, კალათებით და ხურჯინებით, ქრისტესაგვით გადმომდგარ გოგიას საბოლოოდ არ გაუჩუმიდებოდნენ. მაშინ იტყოდა გოგია იმას, რისთვისაც ალბათ მთელი წელი ემზადებოდა და განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა ამათი ჯიბებიდან მანეთიანებს აგროვებდა. იტყოდა: მე თქვენ ის ხო არა გგონივართო (ვინ ისაო, ვერავინ მიხვდებოდა), თქვენი მანეთიანები რაში მჭირდებაო! აქ თქვენმა პატივისცემამ მომიყვანა, თორემ, ვინ მე და ვინ ხურდაზე სიარულიო! ჩაეყარნით, უფასოდ ჩამოგარიგებთ, რო მერე არავის უთხრათ, ფულზე დადისო! ამისი დაძახნა იყო და დაღუმებული მგზავრები უფრო მეტად აყაყანდებოდნენ. მეხი შენც დაგეცეს, ბიჭო, თვალში ვეღარც ჩვენ ვიხედებით, გელოდებოდით და ის კამეჩი გოგია გვეგონე, მანეთ-მანეთს რო კრფავს და სულ იმის მუქარაშია, ერთი მშვენიერი დღეც დადგება და მეც გავაძვირებ, მე რაღა ვარო! განა არა, ჰგევხარ და არცა ჰგევხარო! შენ ფულს ხელს როგორ ახლებ, ვინ შენა და ფულოო!.. ამ ყაყანში, ამ სიცოცხლეში და ვადაკრულ-გადმოკრულში ერთი ფაშეგადმოფლული სიკო ან ლადოც გვერდით მოუჭდებოდა (მაშინ გელაც ხალხში შეერეოდა და ხალხთან ჩაიყუყუებოდა), შოფერს გვერდში შეულიტინებდა და ეტყოდა: ჰა, გამდიდრდი, ჩვენი ფული აღარ გინდაო? გოგია შოფერი ახითხითდებოდა და სიკო თუ ლადო ახლა იმასაც ეტყოდა, თავში ხო არ ავივარდა, სად ვადაკარი, მაღარიჩი ვისთან დალიეო? მაღარიჩი კი არა, ის არ გინდაო, მაღარიჩი თუ გინდათ, ჩემი თავი გენაცვალოთო (ესლა უნდოდა გოგიას?), იქვე აახროტინებდა მანქანას და გაენთებოდა...

ქალები კვიან, ნელა, ბიჭო, რა გულეები დაგვიხეტქე, რა პანტასაგით გვარბევ, თუ ჩვენ არ გეცოდებოთ, დედაშენი მაინც შეიცოდევო. კაცები ჯო-

ხით კაბინის თავზე უკაქუნებენ, ნელა, ნიან, შენ, ეი, აბა აქეთ გამოიხედე, ცოტა ნელა იარე, თორე ახლავე შენ თავს მილიციას ჩავაბარებთო. ამ ყოფაში, ამ სიცოცხლაში არიან და გოგია ერთხელაც დაახროტინებს მანქანას, ერთხელაც მოაბრუნებს თავაწყვეტილი და აბა, ვაგლახოო! სასადილოს ეზოში არ შევარდნილან? აბა ახლავე გადმოდიოთ ყველანი! — ყვირის გოგია და კაცებიც ზემოდან უყვირიან, ხო არ ვაგიყლი, რა დროს ქეიფი გაქ, ვერა ხედავ, დაგვიღამდა, შინ ხო გულეები გაუსკდებათო! დედაკაცები იწყებენ: ბიან: შენ კი ჩაქვადიო თუ ქეიფი გინდოდა, ჩვენი ცოდვა რას დაიდე, ახლა ვიჭდეთ და შენ გელოდოთო? მე კი არ უნდა მელოდოთ, დედავ თუ ბებო, თქვენთვის მოველ, თქვენი პატივისცემა მინდა, გადმობრძანდით და თითო ჰიქა დამილიეთო! ამის თქმა და ბერიკაცები და დედაბრები უფრო ხმაშაღა ყივიებენ. მაგრამ ეს უკვე სხვა ყივივია, ნეტარების და დანებების ყივივია. გული თბება, სიტყვაც უფრო ლაგდება და ალერსის საღამოც ნელა, მაგრამ აქვე, ცხადად მოიზღაზნება. შენ კი ჩაქრო. აი, თურმე რა ჰქონია გულშიო. განა ჩვენ კიო... ვალში დავრჩებითო... თუ ქეიფია, ქეიფი იყოსო. გამარჯვებული გოგია კი ყვირის და ეს ყვირილი უკვე მთელ სასადილოს ესმის. თქვენი ვის რა უნდაო, ცხვირს რო დაგაცემინებთ, აქეთ-იქით იყურებით, ფული არ დეკარგოთო, გადმოდიოთ, თავპატიეს ნუ იდებთ, თორე სუყველას ხევში გადაყრიოთ.

გადმოდიან... ნელა, თავპატიყოთ, დარბაისლურად... თან თავშლებს ისწორებენ, თან ნაბდის ქულებს. დაეწყობიან ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს ან ეს სიკო დამარხეს ან ის ლადო და ახლა ქელებში ღვინო უნდა წაუტყვიონო. დიახაც, ერთი წუთია ამგვარი, მხოლოდ ერთი დარბაისლური დამორცხვების წუთი, მერე ყველაფერი თავისი გზით მიდის, მერე თითო ჰიქას დალივენ ბერიკაცები და თვალეში

კინკები ჩაუჯდებათ, თითო ჭიქას მო-
წრუპავენ დედაბრებიც და ლოყები
თურაშაულის ვაშლებივით დაუწით-
ლებათ. სასადილოში კი გაღი-გამო-
დიან, გოგია მოვიდაო, მარტო კი არა,
თავისი ხალხითაო, აბა თქვენ იცითო!
გოგია თვალს აბრიალებს, ფული აქ
არ მომთხოვთ, ამათ არაფერი დაანა-
ხოთო. ყველაფერი თავისი წესით და
რიგით მიდის, ვიდრე ის დრო არ და-
დგება, ამ შავი კამერის სადღეგრძელო
რომ უნდა ითქვას.

ამ სადღეგრძელოთი მთავრდება ის
ბედნიერი საღამო!

ისევ გეიყვით მიჰქრის მანქანა და ეს
მანქანაც ზედგამოჭრილი კამეჩი გო-
გიაა. ხროტინითა და ქშენით მიაპობს
ლამეს, ღმუის და თავის გზაზე ყველა
სულიერს აფრთხობს. ამ მანქანას ვე-
რარა ძალა ვერ გააჩერებს, სანამ
თავადვე არ დაიქანცება, სანამ არ
დაღვრის მთელ ვენებას და, გამო-
ფხიზლებული, აქეთ-იქით გაკვირვე-
ბით არ მიიხედ-მოიხედავს. ძარაზე
მოკრუნჩხული ბერიკაცები და დედა-
ბრები ხმას ვეღარ იღებენ, ენაჩავა-
რდნილები ეკვრიან ერთმანეთს და
ყველა თავის წილ ღმერთს გულში
შესთხოვს შველას. ყველას თითო ჭი-
ქა მაინც გადაუკრავს, თუ მეტი არა
და, ამის გამო შოფერი, რა თავაწყვე-
ტილიც უნდა მოპღმუოდეს ღამეულ
გზაზე, მაინც გმირია. ამ გმირს ყველა-
ფერი შეუძლია, ისიც, რომ ლაზათიანი
სადღეგრძელოები თქვას, ისიც, რომ
ეს ფარატინა მოხუცები, ხელში მსუ-
ბუჭად ატატებულნი, დედოფლებივით
ჩასვას მანქანაში და ისიც, რომ არაფ-
რად ჩააგდოს ქვეყნიერება, როგორც
არაფრად აგდებს აი ის ვარსკვლავი,
მოწყვეტილი რომ მიჰქრის დასალიე-
რისაკენ. ღმერთო, გადმოგვხედე მოწყა-
ლე თვალით...

რა ბიჭია გოგია! ამისთანა ბიჭი მეორე
არ დადის დედამიწაზე!

მანქანა კი ახლა სხვა გზებზე მიჰ-
ქრის. მიჰქრიან ხეები და მდინარეები.
მიჰქრიან ტყეები და სოფლები.

— ის გოგო დაინახე?

— ვერა...

— თელავში დავიჭირე, სასადილო-
ში. მთელი დღე ჯაგებში მყავდა. მა-
წვალა, მაგრამ...

გელა წითლდება. გოგია გმირია!
მერე რა, რომ წინ რალაც გადაეღობა,
აწვალეს. თავისი წადილი მაინც შეი-
სრულა, მაინც გამარჯვებული გამოვი-
და, რადგან იმ სულელმა გოგომ თავ-
პატიყი დაიღო, არკი იცოდა საქმე ვის-
თანაჰქონდა! ახია, თავის თავს დააბრა-
ლოს, პირველად თვითონ ჩაუხტებოდა,
რალაცას მიახვედრებდა. მერე კი, ვითო-
მცდა შემომხედეთ, როგორი ვარო,
თავს დაიფასებდა. მაგრამ გოგიას რა-
მეს გამოაპარებ? რა სათქმელია! მიწა-
ში რა არი, ისიც იცის! შენვდა რა, მო-
სატყუებელი ჩიტი... ეს ჩიტი ახლა მან-
ქანის საქვს ჩაფრენია და არ იცის, რა
სიამაყით შესსკერის ბიჭი, რა ყოვლის-
შემძლეა მის თვალში, რა თვალდახუ-
ჭული ენდობა და მზად არის, თუნდაც
ქვეყნის დასალიერში წავიდეს მასთან
ერთად, თუ საჭირო იქნება, თავიც და-
ლოს მისთვის.

მანქანა ისევ მიჰქრის. გოგია ისევ
რალაცას ყვება და უცებ სწორედ
იმას კითხულობს, რისი კითხვაც ბიჭს
არა და არ უნდა, რომელ კითხვასაც
ამდენი ხანია ტყვიასავით გაუბრის.

— შენ?

— რა მე?

— დაგიძლევნია?

გელა ოფლად იღვრება. არ იცის ხე-
ლები საით წაიღოს. გარეთ, ფანჯარაში
იხედება.

გოგია იცინის:

— ჩემზე იყოს...

გელა პაპიროსს იღებს, ანთებს და
ღრმად ექაჩება. პაპიროსი ხსნაა, უფრო
კი — დასტური ბიჭის კაცობისა, გო-
გიას თვალში ერთბაშად რომ დაქინდა
და დაჩიავდა.

— როგორი გოგოები გიყვარს?

თამაზ ზიგილური

შვილი იმინა და ბოროლასათვის

— რავი, სულერთი არ არი?

გოგია ხარხარებს, გელამ არ იციხს თვალები საით წაიღოს. წითლდება და მარტო იმასა ნატრობს, ნეტა სადმე გადავიჩნებოთ და გოგიასთვის კი არ შემახედაო. ყოვლისმცოდნე გოგიამ უცოდინარობაში დაიჭირა! ქალი რა არის, არც კი სცოდნია... სწორედ გოგიამ დაიჭირა, ვინც არ იციხს რა არის მარცხი. ვისაც ქალები ან დასდევენ, ან ემალებიან. ამ წუთში გელას მხოლოდ სმა უნდა. გულში ნატრობს, რომ გოგიამ სადმე მანქანა გააჩეროს, როგორც ბევრჯერ გაუჩერებია, სასადილოში შევიდნენ, ჩამოსხდნენ და პირველივე ჭიქაზე გაიფანტოს ის უხერხულობა, რაც იმ ერთმა კითხვამ შექმნა. გოგია იმ ერთმა კითხვამ მდინარის გაღმა დაარჩინა, გელა კი — გამოღმა. გოგია უცხო გახდა, გელას კი უნდა, რომ უცხო არ იყოს, ერთმანეთს არაფერი ამორებდეთ. გელა ნატრობს, რომ ბოლოს და ბოლოს დადგეს ის ერთი დღე, შეხვდეს იმას, ვისაც აუცილებლად უნდა შეხვდეს, თავადაც კაცად იქცეს, როგორც გოგია ქცეულა კაცად (ნეტავი რამდენი წლისა იყო მაშინ?) და ერთბაშად წაიშალოს ყველა ზღვარი, ერთბაშად დაშრეს ის მდინარე, ამათ შორის რომ გაწელილა. დათვრება ბიჭი, ერთ ჭიქას დალევს, ორს, სამს, მოიკრებს ძალას და გოგიას ეტყვის, რიხიანად, გამოცდილი, საღერღელ-აშლილი კაცივით ის ხო არსად გეგულდებაო, ჩვენ რო ვიცითო. გოგია მოკვდება სიცილით და მიანც გაუგებს... ჩემი თავი მოგიკვდესო, მაგაზე შენ გული არ დაგწყვიტო... და ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ამ ყოვლისშემძლე გოგიას შეპყდერის. დილაადრიანად გელა იმ ქალის მკლავებში გაიდვიძებს, ვინც არასოდეს უნახავს, მაგრამ ვისაც კარგად იცნობს სიზმარცხადიდან თუ თეთრად გათენებული ლამებიდან.

მანქანა მიჰქრის და სწორედ ახლა, როცა ბიჭს ასე უნდა სულის მოთქმა და ნეტარყუჩობა, არსად ჩერდება. გა-

ჩერებით კი რამდენჯერ გაჩერებულაო, რამდენი ღამე გაუთვინეთ შორეული მგზავრობით და ათას სოფელით გამოვლით დაქანცულებს. აბა თქვენ გაიარეთ ამოდენა გზა, სწორედ ამასთან, გოგიასთან ერთად და მერე მიხვდებით, რა ბიჭია, რა დიდი გული აქვს და როგორ ჰკიდია ფეხებზე ყველაფერი... თქვენ ადით დარიალს გადაღმა და დაბინავეთ ვაშლით საგვე ყუთები. გზაში შეხვდით ათას ცრუსა და მართალს, — ზოგი ფულით დააშოშმინეთ, ზოგი ნაცნობობით. და როცა უკვე მღელვარება უკან მოგიტოვებია, როცა აღარც ის დაწყველილი ვაშლის ყუთებია და აღარც იმათი პატრონები ლაყლაყებენ ძარაზე, მოდიხარ დალილი და გამოფიტული. გოგია და გელა ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ ძილს მიანც თავისი გააქვს, თვალები ებლიტებათ, გზა თითქოს ხუთად იტოტება და ბიჭმაც და გოგიამაც იციან, რომ აქედან „ერთი ტოტი“ სწორედ უფსკრულისაკენ მიდის. ერთი თვალის დახუჭვა და აღარ არიან, აღარაფერი აღარ პრის. გარშემო აყუდებული მთებია. ცივა. ეს სატიალე ბურუსიც თითქოს აქვე, საამართოდ იყო ჩასაფრებულიო, ხეებებიდან ზემოთ ამოვიდა და წინიდან გადაუდგათ. მიდიან ბურუსში და დასასრული აღარაფერს უჩანს. ნისლში ჩამოთბა. გარშემო ჩამიჩუმე აღარ ისმის. მანქანასაც ხმა ჩასწყვეტია და თავისთვის ჩუმად ხროტინებს. ბიჭებსაც ეშინიათ ხმის ამოღება და აღარაფერზე ლაპარაკობენ. თვით ისიც კი, რაზეც გოგიას მუდამ შეუძლია ლაპარაკი, ამ ნისლში მიმალულა და მიყუჩებულია. ყველაფერს ეს ნისლი განაგებს და ყველაფერი ჩურჩულად ქცეულა. ნისლს ბოლო არ უჩანს. გასაძრომი არსად დაარჩენილა. ყველაფერი ჩაჩუმქრულა. გზები კი იკეცებიან და იკეცებიან. ერთი დღერეფანი მეორეს ცვლის, ერთი აივანი — მეორეს. მთელი მთა ტერასებად ქცეულა და ამ ტერასებს შემოხვევია ეს ნისლში გახვეული ვიწრო გზა. ბიჭი თვლემს და ისევ თვალს

ახელს. გოგია საჭეს ბლუჯავს და მართლა არ დამეძინოსო, ჩუმად (მაინც ჩუმად) ივინება. მოიტა, მე დავჯდებიო, — ეხვეწება გელა, მაგრამ გოგია უარზეა, ამ გზას ვერ განდობო, ეს დაწყველილი ადგილია, აქ მავანი და მავანი პირდაპირ ხრამში გადაყირავდაო. და რაკი მაინც ქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს, ნისლიც გაილევა, გაიკრიცება და ერთბაშად ამოანათებენ ფერღობები. ქვემოთ, ხეობებში მიყუყული სოფლები გამოჩნდება. ახლა აღარაფერია საშიში, აღარც ნისლი და აღარც სიცივე. ეს სიცივე ტბილიც არის, როცა იცი, რომ გარეთ ცივა, აქ კი, მანქანის კაბინაში, მომთენთავი სითბო და სიჩუმეა, როცა იცი, რომ ქვემოთ, გზის ბოლოში, ულაპარაკოდ გაჩერდები, მიიხედ-მოიხედავ, სულს მოითქვამ და მიიძინებ. იქ რესტორანია თუ სასადილო. იქ სასტუმროც არის და შოფრებს მუდამ გვიან ღამით მოვლიან, დაღლილ-დაქანცულ, ათას კილომეტრზე ნათრევ, დაუბანელ და დამჯავებულ შოფრებს. სასადილოში თბილა. მსახური ქალიც თბილად იღიმება და გოგია თამამდება. ქალს მოაქვს ცხელ-ცხელი წვნიანი (აუცილებლად წვნიანი), ყველი და პური, თითო მწვადი და თითო ბოთლი ღვინო. შოფრები მადიანად ხვრებენ წვნიანს და გაყინული ტუჩები საამოდ ეთუთქებათ. ეს შენ გაგიმარჯოს, — ჩურჩულებს გოგია (ჩურჩულის საღამოა). გელას უხარია, რომ გოგია ამ სადღეგრძელოს ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გოგიაც ყველაფერს ხვდება და მეორე ჭიჭხეც იმასვე ამბობს: ესეც შენ გაგიმარჯოსო! ახლა ბიჭი იცინის და იქით უბრუნებს (უკვე მესამე ჭიჭხაა), არა, შენ გაგიმარჯოსო. არა, შენაო, — ისევ გოგია აიჩემებს და ორივენი იცინიან.

სასადილოში არავინაა. უკვე გვიანობა მოსულა. დახლიდარი ფულს ითვლის, მსახური ქალი კუთხეში მიმჯდარა და ამათ უყურებს, ნეტავ როდის მორჩებიან, რომ შინ წავიდეთ. „მოგწონს?“ — ჩურჩულებს გოგია და ქალ-

ზე ანიშნებს. ბიჭი წითლდება, რას ამბობო, დედათ მერგებო... მაშინ მეო, მაშინ ჩემი იქნებაო და არ გეწყინოსო... არ მეწყინებაო... და ისევ იცინიან, ახლა უკვე ხმამაღლა და დაუფარავად. ქალიც იცინის და ბიჭებს ვადმოსცქერის. ერთი ბოთლიც ხომ არ დაგვეყირავებინაო, — კითხულობს გოგია, მაგრამ ბიჭს ეტყობა, რომ აღარ უნდა, აღარ უნდა თუ აღარ შეუძლია. გოგია ხვდება და რაკი თვითონაც დაღლილია, რაკი ამ კამეჩსაც აღარ შესძლებია, სლოკინით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს, კარგო, როგორც შენ გინდაო, ხო იცი, როგორ მიყვარხარ, შენ თუ აღარ გინდა, მე რათ უნდა მინდოდესო. და ასე, ლულულულითა და სლოკინით, მიდიან დასაძინებლად.

გარეთ რომ გავლენ, გოგია ჩერდება, ცერად იხედება და ბიჭს ეჩურჩულება: შენ აღი, ჩაწეკი, მე რალაცას ვეტყვი და ამოვალო. ვისაო? ვისა და ამ დედაკაცსაო! სახე დაუბერდა, თორემ ურიგო არ არი, კარგად ვიციო. რა იციო? განა დღეს გავიცანიო... — ისევ ჩუმად ხითხითებს გოგია და ბიჭს ანიშნებს, აღი, ნუ გეშინია, მეც მალე ამოვალო. გელა ოთახში ადის და არა წვება, ელოდება, როდის ამოვა გოგია. ეშინია, ის დედაკაციც არ ამოიყვანოსო... არა, არაფერისაც არ ეშინია! გოგიამ თავს არაფერი აუტეხოს, აი რისა ეშინია! ზის და ელოდება. საბედნიეროდ, ფეხის ხმა ისმის. ეს იმისი ფეხის ხმაა, თითქოს ტორებს ადგამსო. ეს ხმა ბიჭს არაფერში შეეშლება. გოგია კარს აღებს და შემოდის. მარტოკაა, უფრო მთვრალი და უფრო დაღლილი. ხმას არ იღებს, თავჩაქინდრული მიდის ონკანთან და ბურღულუნით, თუხთუხითა და ქშენით პირს იბანს. გელაც არაფერს ეკითხება, ან რა უნდა ჰკითხოს, რა ამისი საქმეა. ეკითხება კი არა, თვალსაც არიდებს და ლოგინში წვება. გოგია ისევ იბანს, ისევ იმშრალებს და თავდაც წვება.

თაბაჯ ბიზილუაჩი

შვილი ხვისა და ბორჯღაასათვის

— დაიძინე? — კითხულობს გოგია.
— არა, რა იყო?
— გამასწრო იმ შობელქაღალდში.
— ხო, დაიძინე, — ამბობს ბიჭი, მაგრამ გოგიას არ ეძინება, ლოგინში ბორკავს, ბრდღვინავს, ბუზღუნებს, იგინება და არც ბიჭის თვალს ეკიდება რული. მერე ერთბაშად ისევ წამოხტება, შარვალში ფეხს გაჰყოფს, ხალათს გადაიცვამს და ჩუმად, ბიჭი არ გავალვიძო, გარეთ გადის. ბიჭს ეშინია, ისეთი არაფერისა, მარტო იმისა, შოფერი ვინმე თავისნაირს არ გადაეკიდოსო, თავს არაფერი აუტეხოსო. თავადაც ადგება, შარვალში ფეხებს გაჰყოფს და ფანჯარასთან ჯდება. გარედან არაფერი ისმის. არავინ ჩხუბობს, ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს და ბიჭი ცოტა მშვიდდება. ისევ ლოგინში წევბა, წევს და ეგრესულგანაბული უსმენს ლამის სიჩუმეს. ბოლოს ისევ იმ ნაბიჯების თუ ტორების ხმაური, ისევ ის ნაცნობი ბურღულუნი — და კარი ფრთხილად იღება. ბიჭი თავს იმძინარებს, გოგიაც ვითომ ფრთხილობს, არ გავალვიძო და ლოგინში წევბა. მაინც ვერ ისვენებს, მაინც ბრდღვინავს და ერთი სული აქვს, ბიჭს ის უთხრას, რის უთქმელადაც ვერა და ვერ დაიძინებს.

— გძინავს?

— რა იყო?

— ენახე ის შობელქაღალი. თურმე მეტუფეტის წასვლას ელოდებოდა. არც იგრე ბებერი იყო...

გელა ხმას არ იღებს და სიჩუმეს აღარაფერი არღვევს.

ცოტაც და გოგია თავის მანქანასავით ღმუის.

ამ ბორკვასა და ღმუილში, როცა ეს კამეჩი გოგია, მართლაც მსგავსად თავისი მანქანისა, ძილშიაც საღდაც მიჰქრის, ბიჭს გაჰკრავს პირველი ექვი: ნახა კი მართლა ის ქალი? მაგრამ ამ ექვს ერთბაშად ჩამოიცილებს. ნახავდა! წინ რა დაუდგებოდა? ვითომ რატომ არ ნახავდა? ნახა, მაგრამ მერე რაო, ამისთანა რა მოხდა, რა გვირგვინი დაიდგა თავზე? ამისი გაფიქრება და

— ისევ გამართლება ამ მბრდღვინავი გოგიასი: რატომაც არა? კაცია და უნდა ენახა კიდევაც... ნახა, მაგრამ მაინც რად ეცოდება ეს გოგია შოფერი, ახლა რომ ტკბილად გრიალებს და ვინ იცის, სიზმარში რას არა ხედავს? ვინ არის ბოლოს და ბოლოს? ვინ უყვარს და ვინა სძულს? რად გადაეყარა ამათი გზები ერთმანეთს... თავს იტანჯავს ბიჭი და ლოგინზე წამომჯდარი გასცქერის გულაღმა გადაწოლილ, პირდაღებულ შოფერს... არა, გელამ არაფერიც არ იცის... არაფერი იმის გარდა, რომ არი ქვეყანა, არი მანქანა, არი გოგია შოფერი, ზის ამ მანქანაზე, სერავს ამოდენა გზებს და სულ ქალებზე ლაპარაკობს. და გელას, თვითონაც არ იცის რატომ, ისევ ეცოდება შოფერი. ჩუმად ადგება, ფეხაკრეფით მიუახლოვდება შოფრის საწოლს და ძირს გაღმოვარდნილ საბანს გადააფარებს.



ის გოგო სადგურის ბუფეტში იპოვეს: კუთხეში იჯდა განმარტოებით, ერთი მოსუფთავებული თეფში ედგა წინ და ლიმონათის ბოთლი. იქვე, მეორე თეფშზე პურის ნატეხი ედგო, ორი ცალი ბოლოკი და ერთი ღერი დამჰქნარი წიწმატი. ის გელამ მაშინვე შეინიშნა, როგორც კი გოგია შოფერმა უთხრა, ვიპოვნე, წამოვიყვანე და, სადაც გინდა, იქ გახედნეო. ბიჭს ისიც მაშინვე მოხვდა თვალში, რომ ეს ოციოდე წლის გოგო, ან უფრო მეტისაც თუ ან უფრო ნაკლებისაც, რაღაცნაირად უფაქიზო, დალაქავებული და გაცვეთილი ჩანდა. ნეილონის გარღვეული თავსაფრიდან გაწეწილი თმა გამოსჩროდა, დაღლილებულ სახეზე ვიდაცის ნახელავი აჩნდა, მოკლე კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა და მუხლებზეც მოლურჯო ნაკვალევი გასდევდა. გოგო აშკარად ათას გზაზე და ათას სადგურში ნათრევს ჰგავდა. გელამ თავის თავს მტკიცედ უთხრა, რომ, რაც უნდა მომხდარიყო, სადაც უნდა წაეყვანათ ეს გოგო,

გოგია შოფერისთვის გადაელოცა, თვითონ კი ისე დარჩენილიყო, თითქოს ვერც ვერაფერს ამჩნევდა, არც არაფერი უწყობდა. ამას ვაკოცებ კი არა, ხელსაც ვერ ვადავებებო, ხელს კი არა, გვერდითაც ვერ მივუჯდებო, ვაიფიქრა გელამ. ბიჰის რწმენით კი, ის პირველი გოგო, ვისთანაც თავის ვენებას დაიცხრობდა, ხელგადასახვევიც უნდა ყოფილიყო და საკოცნელიც.

გოგიამ ბიჰს ხელი წაპკრა:

— მიდი, უთხარი რამე.

ბიჰს გააუჩრქოლა და თავი ჩაქინდრა.

გოგია შოფერმა გაიცინა.

— დედალო...

ამ ერთმა სიტყვამ მაინც გული დასწყვიტა. გელამ კარგად იცოდა, რომ „დედალი“ არ იყო. „დედალი“ ყველაფერს იტევდა, ამისაც რომ გოგოსთან მისვლა ვერ გაებედა და ათას სხვა რამესაც, რაც შოფერს კარგად ესმოდა. არა, გელა არ იყო დედალი, ანუ მხდალი, ანუ პირის გამტეხი, მშიშარა და სხვა ამგვარი. ბიჰის ფიქრით, თუ იმ გამოუცნობი გრძნობით, რასაც ფიქრიც არ ერქვა, ყველაფერს ამქვეყნად თავისი სილამაზეც უნდა ჰქონოდა. ვილაც უცნობ გოგოსთან თუ სულელ ქალთან მისვლა და ღრეკით გამოლაპარაკება, იმ გამოუცნობი გრძნობის კარნახით, გელას ულაზათო საქციელად ერჩენებოდა და სწორედ ამან შეუბოროკა ხელფეხი: არა, არ იყო გოგია მართალი, ეს სიტყვა არ უნდა ეთქვა, გელა არ არის ლაჩარი და გოგიას ამას ბევრჯერ დაუმტკიცებს.

მოწონებით ცოტა ხნის მერე მოეწონა ეს გოგო... თურმე სულაც არ იჯდა ყველასაგან განმარტოებით, მთელი აყაყანებული დარბაზის, შეზარხოშებული ბიჭუჭუბების სული და გული ყოფილიყო და ყველა ისარი თუ ვასროლილი კენჭი მხოლოდ მის ბოსტანში ცვიოდა. იქით კარგად დაჰარმაგებული კაცები ქეიფობდნენ და ისინიც იმის ცდაში იყვნენ, ან გადმოვიბიროთ ეს გოგო და ჩვენ ტაბლაზე გადმოვსვათ, ან რამე ვუთხარათ ისეთი, რომ სხვებზე

უფრო ჩვენკენ ჰქონდეს თვალი ჩვენ ვევაქროსო. აქეთ ბიჭუჭუბები ისხდნენ და ისინიც ხან მივიდოდნენ და რაღაცას უჩუჩულებდნენ, ხან ცეკვავდნენ და გოგოს იწვევდნენ, ხან აღღვგრძლებდნენ და იმგვარი ქებით ამკობდნენ, ამ გოგოს წინაშე მთელი საქალეთი უფერულდებოდა. მაგრამ გოგო მაგრად იღვა: თუ ვინმე იმგვარს ეტყობდა, რაც არ ეკაშნიკებოდა, ყვირილით მთელ დარბაზს იკლებდა: მე თქვენ ის ხო არა გგონივართო, აბა ერთი ხელი დამაკარეთო, იმისთანა ძმები მაღვანან თავზე, თქვენისთანებთან ჭიქა ღვინოსაც არ ასწევენო! თქვენ ბოზ ცოლებს მიხედეთო, ვითომ შინ რომ გამოპრუწულები სხედან და მარტო მე ვიცი, სადაც დაძვრებიანო! ცეკვაში გაწვევაზე ხომ ქვას აადგებდა და თავს შეუშვერდა... რაო? ესლა მაკლიაო! წაიდი, შენთვის დაეგდე იქით, თორემ, ამ ლიმონათის ბოთლს ხო ხედავო... გინა შენი და ვარ, სადგურში ტლინკები შევყაროო. უპატრონო ხო არა გგონივართო? გამომიჩნდნენ საყვარლები... თანდათან ჩაწყყნარდებოდა. ბიჭუბიც მცირე ხნით მოეშვებოდნენ. მერე ერთი, ყველაზე გაწირული წამოდგებოდა, გოგოს გვერდით ჩაუვლიდა, ვითომ შემთხვევითო, ხელს წამოპკრავდა და გოგოსაც მეთვც არ უნდოდა, ბოთლს დაეკლებდა ხელს და იმ ბიჰს მისდევდა, უნდა მოვკლაო. სხვა ბიჭებს საბაბი ეძლეოდათ, ხელსა ხვევდნენ, ჭგლეთდნენ, ერთმანეთს ბურთივით ესროდნენ და გოგოს ყვირილიც მთელ სადგურს სძრავდა.

პირველად მაშინ მოეწონა, როცა ყველაზე უფრო ვირგლას გოგომ პამიდორი დასთხლიშა. გოგომ თუ ქალმა (გელამ ვერა და ვერ გაუგო რამე მის ასაკს) ამაყად გადახედა დარბაზს, ხუმრობა იყო, ყველას თვალწინ აყლაყუდას პამიდორი დაათხლიშა და თავისი უბოროტება ღირსეულად დაიცვა! მაგ-

თაბაზა ზივილური

წვიმი ხმისა და ბორცოლასათვის

რამ ქალას თუ გოგოს საქციელში ღირსების დაცვა არავის დაუნახავს. პამიდვრის სროლა ერთი ჩვეულებრივი რამ იყო, რომლის მსგავსიც გოგოს მართლ ამ სადგურის ბუფეტში ალბათ ასჯერ მანაც ჩაედინა. პამიდვრის ამბავი მართლ გელამ მიიღო დიდ რამედ და გოგოსკენ მზერა გააპარა. გელას უნდოდა, რომ გოგოს დაენახა, დაენახა კი არა, გაეგო, რომ მოუწონა საქციელი და ამ წუთში მასთან იყო. გოგო ყველას უყურებდა, გელას კი არა. დამინახა! უცებ გაიფიქრა გელამ და გოგოს თვალი მოარიდა. გოგო მართლა უყურებდა... გამიცინა! — გაეხარდა გელას. გოგო თუ ქალი მართლა უცინოდა, უცინოდა კი არა, თვლიც ჩაუკრა და ანიშნა, ვერ მიიღო რისი ღირსიც იყო? ამის შემდეგ ის ქალი და გელა უკვე «ერთად იყვნენ».

შოფერიც იმ გოგოს უყურებდა და გელამ იკითხა:

- ვინ არი?
- არ იცნობ? მეც ვაბურთავე ერთხელ...
- მაშ რატო გამარჯობა არ გითხრა?
- დავავიწყდი... ჩემისთანა განაორი უნასავს?

გელას გული დასწყდა. გოგოზე ფიქრი მაინც ვერა და ვერ მოიშორა. გოგოს ბარძაყზე გართხმულმა ლურჯმა ლაქამ ბიჭის თვალში ფერი დაკარგა. უძინარი და დაშაშრული სახეც დაიწმინდა. ნეილონის გარდვეული თავსაფრიდან გამოჩრილი ბლუჯა თმაც თავისით შეძვრა თავსაფრის ქვეშ და გელამ ისიც კი დაიჯერა, რომ ეს გოგო გულწრფელად ცხარდებოდა. მართლა არ იყო იმნაირი, როგორადაც ამ პაპიროსის კვამლში ჩახუთულმა და აშშორებულმა დარბაზმა მიიღო და რომ მართლა ედგა თავზე ოთხი რკინის მკვებელი ძმა, რათა გოგოს უბიწოება ღირსეულად დაეცვა. ამისი გაფიქრება იყო და ბიჭს უფრო მოუხდა გოგოსთან მისვლა.

გოგო აქეთ აღარ იყურებოდა და

ბიჭს ეწყინა. ადგა და გარეთ გასულა დააპირა.

გოგიამ დაუძახა:
— მალე მოდი, თავი არ მაძებნინო.
ბაქანზე არაფერ იყო. მატარებლის მომლოდინე ხალხი მთლიანად დარბაზს და რესტორანს შეხიზვნოდა. მოხუცი რკინიგზელი თავის ჭიხურთან თვლებდა. სადგურს ქვემოთ სემაფორის მწვანე თვალი ანათებდა. წვიმას ახლახანს გადაედო. აქა-იქ გუბებები იდგა. დაკონკილ ასფალტზე ტყაპატყუპით ცვიოდა მსხვილი წვეთები.
გელა მოტრიალდა და ისევ რესტორნისკენ წამოვიდა.

გოგიამ ჰიქა გაავსო. გელას გაეხარდა, ჰიქა აიღო და ღვინო უხმოდ გადაჰკრა. ერთ ჰიქაზე გამსუბუქდა. დარდი, რომელიც გულს უკუმშავდა, საღდაც გაქრა და ყველაფერი უბრალოდ და სასაცილოდ მოეჩვენა.

- ერთიც დამისხი...
- გოგია შოფერმა ერთიც დაუსხა.
- გელამ ისიც გადაჰკრა.
- სადღეგრძელო მაინც გეთქვა...
- იმ გოგოს გაუმარჯოს.
- გოგია შოფერი წამოხტა და მიიხედ-მოიხედა.

გელამ ერთი ჰიქაც დაისხა.
გოგია იცინოდა:
— შენ რა ჰქუაზე ხარ?

მატარებელმა სადგურს მოაკვივლა. სკამები არახრახდნენ. ჰიქებში უკანასკნელი ღვინო ჩაიცალა. უკანასკნელი სიტყვა ითქვა და მოჭიფველებმაც უკანასკნელად დაკონკნეს ერთმანეთი. მატარებელი ბაქანზე შემოხრილდა და დარბაზიც ერთბაშად დაიცალა.

- წამო, მატარებელი გაგაცილოთ.
- გელამ თავი გააქნია.
- მეზარება.
- გოგია წავიდა.

გელამ მაგიდაზე ჩამოდო თავი და არ გაუგია, როგორ დაიძრა მატარებელი.

თავი რომ აიღო, მის წინ ის გოგო იჯდა.

— შემეშინდა და გადმოვჯექი... —
თქვა გოგომ.

ეს სიტყვები იმგვარად ითქვა, თითქოს გოგომ და ბიჭმა ცოტა ხნის წინათ დაწყებული საუბარი გააგრძელეს, თითქოს ეს გოგო მთელ დღეს ამ ბიჭის წინ იჯდა, მერე ცოტა ხნით გარეთ გავიდა და ისევ უკან დაბრუნდა.

გოგო ერთბაშად ენად გაიკრიფა: ჩემზე ცუდი არაფერი დაიჯერო. ამ წუთში რო აიღო და ასი თუმანი მომაბარო, სიტყვა რო დამირჩინო, ხვალ საღამოსთვის აქ დამხვდი და ის ასი თუმანი დამახვედრეო, აქვე გავქვედები, ფეხს არ მოვიცვლი და დაგახვედრებო. შენ ამათ ნუ უყუბრებო. ესენი გაფუჭებული ხალხია, მორთულეები რო დადიან, მაგან თვალი არ აგინასო. რათ უნდა დაგიმალო, კაცთანაც ვყოფილვარ და დროც მიტარებია, მაგრამ ჩემ გემოზე... მანამდე კი მარტო ერთისა ვიყავი... ვიდრე ის ამბავი არ მოხდა, მაგრამ შენ არ იცი რა მოხდაო. გინდა დაიჯერე, გინდა არა, მარტო ერთისა ვიყავიო. ვიცი, არ დაიჯერებ, მაგრამ მაინც გეუბნები, სიტყვას ქარს ვატან, დარდს ვიქარებო.

გელამ არ იცოდა ვისი იყო გოგო. ვინ იყო „ის ერთი“, ან რა ამბავი მოხდა, რა დარდს იქარებდა... ისევ იმ სიტყვაზე გასცა პასუხი, შემეშინდა და გადმოვჯექიო.

- თითსაც ვერავინ დაგადებს.
- შენ მომეშველებოდი, აი...
- რატომაც არა?
- აბა დაიფიცე!
- რა დაფიცება გინდა?

გოგომ ერთბაშად თვალი დააშტერა, ისა ხარ, ნამდვილად ისაო... ვინ ისაო? — იცინოდა გელა. ვინა და ჩემი ძმობილიო! რომელი ძმობილიო? აი, ისაო... ეხ, რას ვამბობ, ის როგორ იქნებო, განა მართლა სულელი ვარო! ის ხო ნავთლუღის სადგურში მოკლესო, ორი წლის წინო. დანა გაუყარეს, შუადღისასო. ჩემი თვალით დავინახე, სისხლი რო სდიოდაო, დავინახე, მაგრამ ახლოსაც ვერ მივდიო, მეც მომკლავ-

დნენო. შენ კი იმასა გეგხარო, სულ იმისი თვალები გაქვსო, ცხვირიც იმისიო, ტუჩებიცო... ქოჩორიც კი იმასავით გაგიფუჭიაო.

ბოლოს გოგომ ტაში შემოჰკრა:
— მოდი, ჩემი ძმობილი იყავი!
— ძმობილი არა, ის არ გინდა?
ამაზე გოგომ ტირილი დაიწყო. ხო, მოკლეს, დღისით, ნავთლუღის სადგურშიო. რათ უნდა მოეკლათ, არ იცოდნენ რო ძმობილი მჭირდებოდაო? წედან ტყუილი ვთქვი... ოთხი ძმის ერთი და ვარო... ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ და სულ ტყუილებია. ზოგჯერ მე თვითონ დავიჯერებ ხოლმე. ვიტყვი ხოლმე, ობოლი ვარ-მეთქი და ვტირი... ვიცი კი, რომ ტყუილიაო.

რესტორანში მარტო მებუფეტე იდგა და საანგარიშოს აჩხაკუნებდა. გოგო წამოხტა და მებუფეტეს გასძახა:

- როგორი ბიჭია?
 - მებუფეტემ გაუცინა.
 - წაყვი... —
 - ეე, დორბლიანო...
 - რა იყო, ცუდი ბიჭია?
 - ცუდი რათ არი? ჩემი ძმა არი.
- გოგომ თითებით ქოჩორი გადაუგარცხნა.

უცებ წამოხტა და ტაში შემოჰკრა:
— უნდა დაგპატიყო.
— დამპატიყო არა...
— ჰეი! ერთი ბოთლი გახსენი...
მებუფეტე ბოთლის გახსნას არ აპირებდა.
— მერე აითესო და მაგ ბიჭმა გადაიხადოს?

გოგო აიღეწა, წამოხტა და მებუფეტესკენ კატასავით გადახტებოდა გელას რომ არ ეტაცა ხელი.

- გოგომ ტირილი დაიწყო.
- რა გატირებს?
- შენისთანა კარგი ბიჭი ჯერ არ შემხვედრია...
- გაჩუმდი...

თამაზ ზივილური
შვილი ხმისა და ბოროლასაძის

— შენ თუ მეტყვი, გავჩუმდები.

გოგო გაჩუმდა. იქდა და გელას თვალს არ აშორებდა.

გელას აღარაფერი ესმოდა. ვერც ის გაიგო, როგორ დაადგათ თავზე გაბადრული გოგია.

გელამ გოგიას გაუღიმა და იფიქრა, ვეტყვი, კიდევ სადმე გაიარ-გამოიაროს, ან სულაც გადაიკარგოს და ამ უცხო სადგურზე მარტო დამტოვოსო. მაგრამ არც ამდგარა და არც არაფერი უთქვამს, ისევე უაზროდ გაუღიმა და გოგიას ისლა დარჩენოდა ეფიქრა, ბიჭი დამთვრალაო.

გოგია კუშტად იყურებოდა:

— წამო.

— სადა?

— ვერა ხედავ. თვალეები გეხუჭება...

— წადი და მოვალთ...

გოგიას სიტყვა აღარ უთქვამს, ბიჭს ხელი დასტაცა და მკლავში ამოიჩარა.

გოგო წამოხტა და ყვირილი დაიწყო:

— ეე! აბა დაუკრფავში ნუ გადაღიხარ!

გაოცებულმა კამეჩმა პირი დაალო.

— შენ რაღა გინდა?

— ხელი გაუშვი, თორე, წამოვიდა ეს ბოთლი...

გოგიას გაეცინა და ახლა გოგოსაც დაავლო ხელი. ორივენი მკლავებში ნესვებივით ამოიჩარა და კარებისაკენ წავიდა.

მებუფეტე ახარხარდა.

გოგიამაც სიცილი დაიწყო.

გოგოსაც მოეწონა ამგვარი მგზავრობა და კივილი მორთო:

— ეპეი! შემოგვხედეთ!

მანქანა შორს არ იდგა. გოგია შოფერმა „ნესვები“ კაბინაში შეაგორა. ბიჭს თავზე წაადგა და თვალეებში ჩახედა.

— შენ ზემოთ დაჯექ...

გელამ ქვემოდან შეხედა და დაინახა, რომ კამეჩს ტუჩები უთრთოდა. კამეჩისათვის, ამ წუთში, რაღაც ხდებოდა იმგვარი, რაზედაც ტრიალებდა ყველაფერი, თავად გოგიაც, ეს ღამეც, მთელი წარსული, მთელი მომავალი და თვით

მთელი ქვეყნიერებაც. კამეჩს ტუჩს თითქოს ქარი ალაყლავებდა. ამ ვეება ხორცის შიგნით რაღაც ჯოჯოხეთი ბორგავდა და ბიჭს ვედრებით ჩააგონებდა, რომ გასცლოდა, სადღაც ზევით, თავისთვის მიყუყულოყო და დაეთმო ის, რაზეც ამოდენა კამეჩის ყოფნა თუ არყოფნა დამყარებულიყო.

გელამ თვალი მიაშტერა.

— ხო, რას მიყურებ?

გელას წინ ვიღაც უცხო იდგა.

გოგო ყველაფერს მიხვდა და მანქანიდან გადმოხტა.

— ეგ თუ არ წამოვია, ცოცხალი თავით არ წამოგყვები.

ამ სიტყვებმა გელას ის სიამაყე მოჰგვარა, რაც არასოდეს გამოეცადა. ამ სიტყვებით ყველაფერი იყო თქმული: დღეს, პირველად, ვიღაცა დაიწუნეს და გელა მოიწონეს, გელა ამოირჩიეს. ეს ისევე ნამდვილი იყო, როგორც ის, რომ ვარშემო ღამე იდგა და ცაზე ვარსკვლავები ისხდნენ. მერე ვინ დაიწუნეს? გოგია შოფერი, რომელსაც ყოველ სოფელში ვიღაცა ქვრივი ან ქმარგანაშევი ქალი ელოდებდა, ყოველ სასადილოში საყვარელი ჰყავს და ყოველ სასტუმროში ისე ხვდებიან, როგორც დიდი ხნის ნანატრ სტუმარს. ახლა კი დაიწუნეს და გელა აირჩიეს... ეს მოხდა აქვე, ამ ნაწვიმარზე და არც სიზმარია, არც მონაგონი. ამის გაფიქრებაზე ბიჭს სიხარულის ზმორება უვლის... გოგია მაინც ეცოდებოდა და მზად არის პატიება სთხოვოს, ქალი დიდსულოვნად დაუთმოს, თავად კი გაეცალოს, შორს წავიდეს, რათა მეორე დღეს ისევე შეხვდეს ამ კამეჩს, კამეჩმა კი გაუკრიბოს, ნიშნად იმისა, რომ ყველაფერი ისევე ძველებურადაა და ამათ ძმობას ვიღაცა ქალი ვერა და ვერ დაარღვევს.

გელას გაეცინა და მანქანაზე ავარდა. მანქანამ დაიღმუვლა.

— წავედიოთ! — დაიძახა გოგომ.

მანქანამ გრილით შერგო თავი სიბნელეში.

გელა იჭდა და ეწინოდა, სიბრაზისაგან ტირილი არ დავიწყო. ტირილი კი მართლა სურდა. ასე მიუსაფრად, ნაფოტივით გადაგდებულებით თავი არასოდეს უგრძენია. ამ საღამომდე ქვეყანა სავსე იყო, სავსე კი არა, დულდა და გადმოდულდა; მის გვერდით თუხთუხებდა, ხესა და ქვას ზათქითა და ღრიალით ედებოდა ბანჯგვლიანი კამეჩი და ამ კამეჩს მთელი არსებით მინდობილი ბიჭიც თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა. არც მანძილი არსებობდა, არც დრო და არც დაკეტილი კარი. ისინი დაპქროდნენ აღმადამა და ყველაფერი, რაც კეთდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ მათი ვნებინი სურვილის ნაყოფი იყო. ახლა ფარდა ერთბაშად დაეშვა და ყველაფერს ბოლო მოეღო. ამბავი, რომელსაც ბიჭი გახელებული მიჰყვებოდა, ერთბაშად დასასრულისკენ შეტრიალდა. ამის იქით წერტილიდა იყო, რომელიც ჯიუტად დაამტკიცებდა, რომ ყველაფერი დამთავრდა, მანქანა გაჩერდა, გზები მთლიანად დაიკეცნენ, წასასვლელი აღარსად იყო და სადმე წასვლის სურვილიც ჩამქრალიყო. ყველაფერი, რაც აქამდე დიდი თუ დიადი ეჩვენებოდა, დაპატარავებული და დაჩიავებული მოჩანდა. მოდი, გადავხტები მანქანიდან და ესენი, სადაც უნდათ, იქ წავიდნენო, გაიფიქრა გელამ. და ის იყო, წამოხტა კიდეც, რათა სიბნელეს შერეოდა, რათა კვლავ იმ ბიჭად ქცეულიყო, რაც დიდი ხნის მანძილზე იყო, რომ სარკმელიდან გოგომ გამოყო თავი და გელა მიხვდა, რომ მანქანიდან გადახტომა არ შეეძლო.

ბიჭი თავის მართლებას მოჰყვა: გოგო რა შუაშია? გოგიაა მთავარი! გოგიას შუა გზაზე ვერ დატოვებს. კაცმა არ იცის, ვინ არის და საიდან მოდის ეს ქალი, რა უდევს გულში თუ ჯიბეში, რას უზამს ამ კაცს და საით მიიმალება... გოგიას რამეს უზამს ეს ერთი ბეწო, გაცვეთილი ქალიო? — ახლა ამაზე გაეცინა და ახლა ამაზე იფიქრა, — კიდეც

კარგი, ეს სისულელე ხმამაღლა არ მოვროშეთო. გოგიას დედამწის გზე ვერავინ ვერაფერს დააკლებს! გელა ვერ მიატოვებს გოგიას ისევე, როგორც თავად გოგია არა და არ მიატოვებდა, მიატოვებდა კი არა, ამას გულშიც არ გაივლებდა. ასეთია გოგია! ასეთ გოგიას შეხვდა გელა! ამგვარი გოგიათი ამყობს... და ამის გაფიქრებაზე ბიჭს ისევ სირცხვილის გრძნობა ერევა, ისევ გოგია იმარჯვებს, რომელმაც არა და არ მიატოვა. ისევ გელა მარცხდება, რომელმაც გაიფიქრა, წაეღო და ჩემ გზას ვიპოვიო, უგოგიაო, მარტოკა, როგორც მრავალჯერო.

გოგომ ისევ გამოყო თავი და ბიჭის ფიქრი ისევ შუაზე გაწყდა.

— ამოვიდე?
თითქოს ვეღაცამ ხელი დასტაცაო, გოგომ უცებ შეყო თავი სარკმელში.

— ხო, ხელი დასტაცა, მაშ რა?
და გელას ისევ მოუნდა, სადმე, მოსახვევში, მანქანიდან გადახტომა და გაუჩინარება. გამარჯვებული გოგია გელას თვალში ისევ დამარცხდა და ძირს დაეცა. ისევ გელა იდგა გამარჯვებული და გოგიას თავზე დასტკეროდა. ხო, ბიჭს შეუძლია ახლავე გაეცალოს და მიუწიხლოს ეს საღდაც ნაპოვნი დედაკაცი, გოგიას კი არ შეუძლია. გოგია ამ დედაკაცისთვის, ამ შუალამისათვის, თუნდაც ცხრა მთას გადაივლის და ცხრა მდინარეს გადალახავს, თანაც მანქანით კი არა, ხოხვით... ბიჭისთვის კი ეს ქალი თუ გოგო არაფერსაც არ ნიშნავს. ამ წუთში აღგება, გადახტება და გაეცლება, ხვალ კი თავს ისევ დაიჭერს, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. მაგრამ რა იქნება ხვალ? სად იქნება ეს შოფერი? საღდაც, თავისთვის თუ კვლავ ბიჭის გვერდით? ეს კითხვა უპასუხოდ რჩებოდა. გელას შეეშინდა უპასუხოდ დარჩენილი კითხვისა და ხვალინდელი დღისა, როცა სულაც აღარ იყო ცხადი, ვისთან იქნე-

თამაზ ბიბილაძე
შპივი ხმისა და ბოროლასათვის



ბოდა თვითონ, კვლავ ამ გოგისთან თუ აღარავისთან.

სადგურის უბანი კარგა ხანია გადაიარეს. დაბა სიბნელეში ჩაიძირა, გარშემო წარაფები და მინდვრები გარბოდნენ. შორს ახალი სოფელი გამოჩნდა. ხეებს შორის ძლივსა ბუტბავდნენ ნათურები და ბიჭის დაძაბულ მოლოდინს არაფერს ეუბნებოდნენ.

— ნათესავთან მიიყვანს... არა, ვინმე ძმაკაცთან... ან ნათესვი რად უნდა, ან ძმაკაცი, ცოტაა მინდვრები?

მიიხედ-მოიხედა და იქაურობა იცნო. შეეშინდა. შერცხვა. ჩვენი სოფელი! უკვე კარგა დამე წამოსულიყო და სოფელს ჩასძინებოდა. გზაზე არავინ ჭაჭანებდა. სახლებში შუქი ჩაეჭროთ. მანქანა წყაროსთან დამუხრუჭდა. გოგია გადმოხტა, წყაროსთან მივარდა და წყალი მუჭით სახეზე შეისხა. ახლა გოგოც მიჰყვა, წყაროს დაეწაფა და დიდხანს ხარბად სვა.

გელა თითქოს არ არსებობდა და ბიჭმაც კიდევ ერთხელ უთხრა თავის თავს, რომ ყველაფერი დასრულდა. ამის გაფიქრებაზე გარშემო სიციარეილე ჩამოვარდა. ბიჭს შეეშინდა ამ სიციარეელისა და იმის ძიება დაიწყო, რა იქნებოდა, თუ გოგია შოფერი ხვალის დან უცხო გახდებოდა. ეძება, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

გოგო მანქანის საგვერდულს მოექიდა და ზემოთ ამოფოფხდა.

— როგორა ხარ?

— რა გააჭირე საქმე!

გოგიამ კაბინიდან თათი გამოყო, გოგოს დასტაცა და შიგ შეათრია.

გოგომ თავი გამოყო სარკმლიდან:

— გიჟია ვილაცა! ამან ჩემი ოფოფები არ იცის...

მანქანა ისევ დაიძრა და გელა ერთბაშად მიხვდა: გოგია შოფერი საკუთარი სახლისაკენ მიბორგავდა.

გელას შოფრის დედა ერთხელ ჰყავდა ნანახი და მაშინაც თავის თავს უთხრა, მეორედ აქ მომსვლელი აღარავარო. ახლა მაინც მოსულიყვნენ და ბიჭმა არ იცოდა რა ექნა. ხო, ერთხელ

ნახა და კარგა ხანს ველარ დევერსინ ქალის სახე, რომელსაც გოგია და ერქვა: ნაცვლად ღიმილად ქცეული. ჯანსაღი ქალისა, როგორადაც ამ კამეჩის დედა წარმოედგინა, ბიჭის წინ წელში ოდნავ მოხრილი, სახედლარული, გამხდარი, ჰალარა ქალი იდგა. გატანჯული ქალი! — გაიფიქრა მაშინ გელამ. ქალმა ზედაც არ შეხედა და გელა მიხვდა, რომ სხვებთან ერთად რაღაცას გელასაც აბრალებდა, და მარტო გელას კი არა, ამასთან ერთად მთელ ქვეყნიერებას. მაშინ გელას მოუნდა რამე ეთქვა, რაიმე აეხსნა ამ ქალისათვის, მაგრამ ვერაფერი უთხრა, დამშვიდობებითაც ვერ დაემშვიდობა, უხმოდ გამობრუნდა და იგრძნო, როგორ გამოჰყვა ქალის ცივი მზერა.

ფიქრიდან გოგიას ხმამ გამოიყვანა:

— ჩამო, შენთან არაფერს მეტყვის...

— მსხალი არ დაგავიწყდეს! — დაიძახა გოგომ.

გელას მოეჩვენა, რომ მთელმა უბანმა გაიღვიძა.

— რა მსხალიო?

— რა ვიცი, მსხალი მიყვარსო...

აივანზე ავიდნენ. გოგია კართან გაჩერდა, ყოყმანობდა, შევიდევ თუ არაო. კარს ფრთხილად მიაწვა. კარმა დიპრილა და ორივენი იქვე გახევდნენ.

კარის ჰრიალს ქალის ხმა მოჰყვა:

— მოხველი?

საღლაც შორიდან, ყრუდ მოდიოდა ქალის მისუსტებული ხმა.

— მთვრალი ხარ? — ისევ იკითხა იმ ხმამ.

— არა... მივდივარ.

— საღლა მიღიხარ? რაღა დროს წასვლაა, შუალამე წამოვიდა!

გოგიას არაფერი უთქვამს, ბიჭს ანიშნა, მომეყო და განჩინა გააღო. რაღაცას ეძებდა, რაღაცა დააჩხაკუნა და მეორე ოთახიდან ისევ მოისმა:

— რას ეძებ?

— ნუ აღგები, ვიპოვი...

გელამ გაიგონა, როგორ დაიპრილა საწოლმა, როგორ წამოდგა ქალი, როგორ ჩაყო ფოსტლებში ფეხი, ალბათ



რაღაც გადაიკვა და წამოვიდა. მეხის დაცემა ერჩია ამ ქალის შემოხედვას! ის ცივი მზერა, რომელიც კარგა ხნის წინათ ქალმა გამოაყოლა, ახლაც ისე აზინებდა, ოთახიდან გავარდნა და გაქცევა მოუნდა. თავადვე უკვირდა, რა-ღას იღვა, რატომ ვერ მოიცვალა ფეხი, რამ მიიკრა იატაკს... მაგრამ არსად გაქცეულა. მარტო იმისი შიში ჰქონდა, ქალს არაფერი ეგრძნო, არაფერს მიმხვდარიყო. ეგონა, გამოვა, თავისი ცივი მზერით აგვხედ-დაგვხედავს, უტყუარი გუმანით მიხვდება ყველაფერს და პირდაპირ იქით წავა, სადაც მანქანა დგას და სადგურში ნაპოვნი გოგო ზისო. ეს რომ მართლა ამგვარად მომხდარიყო, ბიჭს ოდნავადაც არ გაუკვირდებოდა, მაგრამ თავის მხრივ კი მართლა აქედან გადაიკარგებოდა და ამ ქალს თვალეზში ვეღარ შეხედავდა. ამის გაფიქრებაზე გელა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ ჩაღვა კარის ზღურბლზე და ქალს გარეთ გასასვლელი გზა მოუჭრა. იღვა კართან და მთელი სხეულით თრთოდა, ქალის შემოსვლას ოფლში გაღვარული ელოდა და ეგონა, რომ საცაა მთელი ეს სახლი თავზე დაემხოზოდა.

სინათლე აინთო, ღია კარში ხალათ-მოხურული ჭალარა ქალი იღვა და ხან თავის შვილს შესცქეროდა, ხან ბიჭს:

— დადიხარ, დაწანწალებ... დღე არ იცი და ღამე.

— ეგრეთა! შოფერი ვარ, მინისტრი ხო არა?

— დადიხარ ბალებში... აღარც დედა გინდა, აღარც ცოლ-შვილი...

— აკი გითხარი, მაგაზე ნურაფერს მეტყვი-მეთქი...

მაგრამ ქალს აღარაფერი ესმოდა.

— თავმჯდომარე დღესაც გეძებდა. განა კიდევ მოეუთმენო... საკუთარ მანქანასადვიე დააფრიალებსო. შენი ხათრი, თორემ აქამდე ცხრაჯერ გავაგდებდიო.

— ის კარგია, რომ ჩავეიჯიბავ ხოლმეო?

ქალი ახლა გელას ელაპარაკებოდა:

— დადის ეგრე, გარე-გარე... განა პატარალა? გინახავს ამისი ბალებში ანგელოზები არიან... რძალმა ფეხი დაჰკრა და გაიქცა! ამას შინ შემოსვლა აღარ უნდა... მეც სულ ავათა ვარ, დავდივარ ამ გამოკეტილში და ვკენესი... ვერც რძალს გავამტყუნებ... უთმინა და როდემდე მოეთმინა? ეს მარტო არაყს ეძებდა, ცუდ ქალებს დასდევდა. ისიც ადგა და წავიდა... ამათ შორის მეტი არაფერი ყოფილა. განა რა უნდა ყოფილიყო...

გელამ პირველად შეხედა ქალს თვალეზში და დამშვიდდა. ქალს ახლა ცივი მზერა კი არა, კეთილი თვალეზი ჰქონდა და იმ თვალეზში ცრემლები ედგა. ქალს ბიჭში თანამგრძნობი ეპოვა და თავის ჭირს ანდობდა. ამ განდობამ გელას სიხარული თუ სიამაყე მოჰკვარა. იმასლა ფიქრობდა, ნეტავ დიდხანს იდგეს ეს ქალი და თავის დარდს კენესოდეს, ნეტავ არც ის მანქანა იყოს, არც ის კაბინაში გამოკეტილი ნაპოვნი გოგო და მარტო ეს ქალი შემომჩიოდეს თავის გულის ვარამსო. გელას შეეძლო ქალის ეს ჩივილი დაუსრულებლად ესმინა. თვითონაც რაღაცა ეთქვა, ან ძალზე ბრძნული, ან ძალზე უაზრო, ოღონდ ქალისთვის პატარა იმედი მაინც დაეჩინა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. იღვა, თავის ხელ-ფეხს დასცქეროდა და ქალს თვალს მაინც ვერ უსწორებდა.

გოგია შოფერი მობრუნდა:

— ახლა მიდი და გახსენი გულააა...

ქალი ტიროდა.

გელა გარეთ გამოვიდა. აივანზე წამით შეჩერდა და სული მოითქვა. მერე კიბე ჩამოიარა. მოდიოდა როგორც ქურდი, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, მაგრამ არაფერი უთხრეს, თქმის ღირსიც არ ვახადეს. ნაქურდალია ეს შოთებიც. ეს ყველიც, ეს არაყიც, ყველაფერი, რაც თან მოაქვს და რასაც ამ ქალის საცოდავი მზერა მოაცილებს!

თამაზ ზივილური
 შიში ხმისა და ტორილასათვის

ნაქურდალია ეს ვირგლა გოგიაც. მე ვი-
პარავ, შუალამისას შინიდან მიმყავს, მეც
არ ვიცი სად მიმყავს და ეს ქალი ისევ
მარტოკა რჩება, რომ ამალამაც არ დაი-
ძინოს, ეს ღამეც შიშში გაატაროს, სულ
გზაზე ეჭიროს თვალი, ვიდრე
ორღობეში მანქანის ნაცნობი ხმა არ
შემოვარდება და ქალიც კიდევ ერთხელ
არ იტყვის: მოდის, ისევ ცოცხალია...

— მე რა შუაში ვარ? — ხმამალა
ამბობს ბიჭი.

გოგია შოფერი ფეხდაფეხ მოჰყვება.

— მსხალი ხო არ დაგავიწყდათ? —
მოისმის სიბნელიდან.



ყველაფერი ისევ ერთბაშად ამო-
ძრავდა და დატრიალდა: ქედის გადა-
ღმოდან ამოსული მთვარე ღრუბლები-
სკენ გარბოდა. ვარსკვლავებიც ერთ-
მანეთს მისდევდნენ. მანქანამ ღმუი-
ლით გადაიქროლა ჩაბნელებულ სო-
ფელზე და ვენახებისკენ დაეშვა. გელა
ძარაზე ლაყლაყებდა და რალაც ჭერ
განუცდელისა თუ მოულოდნელისა-
თვის ეშვადებოდა. კანკალებდნენ ბი-
ჭის მუხლები. თრთოდა ბაგე. თვალი
გადაბროდა ხიდან ხეზე და ბურჩიდან
ბურჩეზე. გარბოდნენ თვით ხეებიც და
ბურჩებიც. უკან რჩებოდა ჩაძინებული
სოფლის მბჟუტავი ნათურები. სიბნე-
ლე, რომელიც მანქანის შესახვედრად
მოდიოდა, ყველაფერს ჭოჯოხეთურ
სამოსელში ხვევდა.

გადაუხვიეს შარაგზიდან. დაეშვნენ
ორღობეში. გადაიარეს მინდვრები და
ვენახებში შევარდნენ. — ვენახში მი-
დის, ქოხში, — გაიფიქრა გელამ. თუმ-
ცა უკვე სულ ერთი იყო, სადაც წავი-
დოდნენ. მანქანა უკვე ქოხის წინ თუ-
ხთუხებდა. ერთბაშად დაცხრა და სი-
ჩუმე ჩამოწვა.

სიჩუმეში ქალის კისკისი და გოგაის
ჭიხინი მოისმა.

კარი გაიღო და ქალი მანქანიდან გა-
დმოხტა, თან იცინოდა, თან კაბას ის-
წორებდა: გააჭირა საქმე...

გელამ ხმა არ გასცა და ვენახისაკენ
წავიდა.

როცა დაბრუნდა, ქოხში უკვე
ცეცხლი ენთო. ცეცხლის გარშემო დი-
დი კუნძები ელაგა. ქოხის კუთხეში
თვით გაწყობილი ტახტი მოჩანდა. სა-
ყვავეზე და კავებზე ნამგალი, კალათი
და ბატარა გოდრულა ეკიდა. გოგია
ჩანთიდან ყველს, შოთებს, მწწილსა
და მსხლებს იღებდა. ბოლოს არაყიც
ამოიღო და ცეცხლის პირას, ლასტზე
დააწყო.

გელა ზღურბლთან იდგა და ქოხში
შესვლას არ აპირებდა.

ქალმა ხელი დაუქნია.

გელამ ხმა არ გასცა.

ახლა გოგიაშეცა გამოიხედა:

— რალას უყურებ, შემოდი...

ქალმა ბიჭს გაუცინა:

— რას იკრიჭება?

ქალი წამოხტა, გარეთ გამოვარდა,
გელას ხელი გადახვია და ქოხში შეა-
გლო.

გოგიამ არაყი დაასხა, ჭიქა აიღო და
ქალს გაუწოდა.

ქალმა ამაყად გადმოხედა გელას:

— არა ვსვამ.

ბიჭს გაეხარა.

გოგია გაბრაზდა.

— ნუ დამიწყებ ერთი რალაცებს.

ამაზე ქალიც გაბრაზდა და სადავეე-
ბი მიუშვა: რა თავს გაგივიდა, მართლა
და მართლაო! ვერ გაიგე, რო მისამარ-
თი შეგეშალაო? რო გითხარი, მსხალი
წამომიღო-მეთქი, განა გიყი ვიყავიო!
არაყი რო მდომოდა, არაყს დაგაბარე-
ბდიო! სულელია ვილაცაო! მაგოდენა
გოგრაში ერთი ბეწო ჭკუა არ მოგცა
ღმერთმაო? ამას ის ვეგონე, სადგურის
ბუფეტში რო გამოთვრებიან და იქვე
ჩაეძინებათ, მერე მილიციაში რო გაა-
ღვიძებენ ხოლმეო... ვეტყვი და იმასაც
არ დაიჭერებს, რო გათხოვილი ვიყა-
ვიო! ღიახ, ვიყავი, ქმარი მყავდა, ამას
ფეხებსაც არ დაბანინებდაო! მერე რა,
რომ გავიყარენით, რა გვექნა, დედა-
მთილს ვერ შეგვგუეო! ქვეყანაზე ყვე-
ლაფერს მოვითმენ, დედამთილის გარ-



დაო... ერთი ის უნდა მოგცენ სიღღ-
რათაო. იმას შევაქმევიანებდი გულსაო?
ავღექ და გავიქეციო...

— გაუტიე! გაუტიე!

— გაუტიე და კიდევ მეტიცო! ად-
გა ეს ჩემი ქალაჩუნა ქმარი (ქალაჩუნას
სიყვარულით ვამბობო) და ძუნძულით
მომდევს, მობრუნდო, ბაღს ნუ დავ-
ლუბავთო, ცოლკე ვიცხოვროთო. არ მი-
ნდა და არ მოვბრუნდები-მეთქი! ეხლა
შენ დაგიჯდები და ნიფხავს გირეცხავ-
მეთქი! წამოველ და წამოველ... სია-
რული მაინც მიყვარდა, ბაზარი მიყ-
ვარს, ვგეჟდები! სადგურიც მიყვარს!
მატარებელი რო ჩამოდგება და მოპრუ-
წული ქალები გადმოიხედავენ, ვილა-
ცა რო ხელს დაგიქნევს და გული და-
გწყდება, რატო მეც არ გავყეო... ეს
კი არაყს მამალებს, ლოთი ვგონივარო!
ქალი ერთბაშად ჩაწყნარდა და მსხა-
ლი ჩაქბიჩა.

გოგიამ არაყი გადაჰკრა, მეორე ჰი-
ქა ბიჭს მიაწოდა.

გელამ ჰიქა არ გამოართვა.

ქალმა გადაიხარხარა.

გოგია გაბრაზდა.

ქალმა თითი გაიშვირა:

— ერთი, დინახე, რა სიფათი მიი-
ლო... შენ ცოლი ვერ გავიძლებს.

— აკი ვერც გამიძლო.

ქალს შეეცოდა გოგია და ჩაწყნარდა.

ქონში სიჩუმე ჩამოვარდა.

გელამ ისევ გარეთ დააპირა გასვლა.

— ნეტა სად მიხვალ? უშენოთ მო-
გვეწყინება...

გოგია უფრო გაბრაზდა, ჰიქა გაავსო
და გადაჰკრა.

გელა მოტრიალდა:

— ნეტა რას ერეკები მაგ არაყს.

ქალი ახარხარდა:

— ჩაბეთქოს, უფრო მალე დაეძინე-
ბა!

გელა ქონიდან გამოვიდა. თავის თავ-
ზე გაეცინა: ამ წუთში სახედარი მოე-
ნატრა... სხვა არაფერი უნდოდა ქვეყა-
ნაზე, ოღონდ ჩამოველო იმ სახედარს,
მოსულიყო თავისი ფეხით და, როგორც
ყოველთვის, ხმის ამოუღებლად ეთქვა:

შემაჯექი, წავიდეთო... წავიდოდნენ

ჩაქჩაქით, ყანყალით, ბლუყუნით, სი-
ცილითა და წყრომით, ღიღინითა და
ყროყინით. ბიჭს სხვა ახლა მართლა
არაფერი უნდოდა და გულწრფელადაც
გაუქვირდა, ეს უბრალო რამ, რაც სა-
ხედარზე შეჯდომია, რატომ არ უნდა
ამიცხადდესო. მართლა ისე გულწრფე-
ლად გაუქვირდა, ვენახის ბოლოს ჩას-
ვლაც კი გადაწყვიტა, როგორც საკუ-
თარ ვენახში ჩასულა ბევრჯერ და იქ
მობალახე სახედარი მოუტყენია. გადა-
წყვიტა კი არა, მართლა ჩავიდა, მიი-
ხედ-მოიხედა, ღამეს მიუგდო ყური,
დააკვირდა, მაგრამ გარშემო ჩამიჩუმიც
არ ისმოდა, ბალახს არაფერი ძოვდა,
სახედარი არსად იყო.

გელამ კაკლიანები გადაიარა და
ვენახის თავში, ბალახზე მიწვა. გაიფი-
ქრა, ნეტავი ჩამეძინებოდესო და გულ-
ჩაღმა ჩაემხო. მიწა გულში ჩაიკრა.
ორივე ხელით ხმელი ბალახი მობლუჯა.

— ჰეი! — დაიძახა ქალმა.

ბიჭმა ხმა არ გასცა.

ამის მერე კარგა ხანს კისკისებდა ქა-
ლი და ეს კისკისი ისევე ბუნებრივი ჩა-
ნდა, როგორც ვასაკების კრუალი, რო-
გორც ღამის ჩურჩული, როგორც ქლი-
ავის ჩამოვარდნა ტოტიდან და მდინა-
რის ჩხრიალი, ვენახის ქვემოთ რომ ჩა-
დიოდა.

ბიჭმა ჩათვლიმა.

უცებ ხმაურმა გამოაფხიზლა:

— დედას გიტირებ, იცოდე...

არა, გელამ მართლა არ იცოდა, ასეთ
დროს რას აკეთებენ და როგორ იქცე-
ვიან ოც წელიწადს მიტანებული ბიჭე-
ბი, რა უფრო მართალი იქნებოდა, ბო-
ლოს და ბოლოს გასცლოდა აქაურობას
და რაც აქ ხდებოდა ყურითაც არ გაე-
გონა თუ მისულიყო, თავზე წამოსდგო-
მოდა და ეთქვა: შე აქა ვარ... მეტი არა-
ფერი, მარტო ეს სამი სიტყვა იმაზე,
რომ აქ იყო და იმათ ეს უნდა სცოდ-
ნოდათ, და თუ ეცოდინებოდათ, ყველა-
ფერი სხვაგვარად მოხდებოდა. მაგრამ

თამაზ ზიზილური

ზვილი ხმისა და ბოროლასათვის

რას ნიშნავს ეს სხვაგვარად? მაინც რაგვარად? რა იცის გელამ რა როგორ ხდება, მომხდარა კი ოდესმე ამაგვარი რამ და თავად ყოფილა მონაწილე? არა, არაფერიც არ მომხდარა, და თუ ფიქრში ყოფილა რამე, იმ ფიქრში გოგია შოფერი არც კი გაქაჟანებულა. ფიქრში ყოველთვის მარტო იყო და ის გოგო, რომელსაც ხან ერქვა სახელი, ხან სულაც უსახელოდ რჩებოდა. ესენიც მარტონი უნდა იყვნენ, მორჩა და გათავდა, ამას რათ უნდა ფიქრი!

— ჰეი! — ისევ დაიძახა ქალმა.

გელამ ხმა არ გასცა.

— მოდი, ბიჭო, გაცინო!

ბიჭის ფეხები თავისით წავიდნენ, არაფერი ჰკითხეს. როცა ხანი გაიგლის, ბიჭი ყველაფერს სიცილით მოიგონებს, უფრო კი იმას, რომ იმ ჯადოსნურ ღამეს მისი სხეული, ხელი და ფეხი, თავი და გული, ყველაფერი, ცალ-ცალკე იმას აკეთებდა, რაც თავად სურდა და ბიჭს არაფერს ეკითხებოდა.

მივიდა! გაიგლის ხანი და ამაზეც ინანებს, რად მივედიო. იქნებ რომ არ მივსულიყავი, ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო. ახლა კი მაინც მივიდა.

ქოხის ზღურბლთან შეერთა, შერცხვა და ისევ უკან მოტრიალდა:

გოგიას ტანზე სამოსი შემოედარცვა, ამოდენა კამეჩი ქალის წინ დაჩოქილიყო და თავი მის კალთაში ჩაერგო.

ქალი კისკისებდა და კამეჩის დიდ, ბრტყელ თავზე „დოლს“ უკრავდა.

გელას დანახვაზე გოგია შეტოკდა, თავი აიღო და გამოიხედა: — გადი, დაიკარგე აქედან!

არა, ეს გოგია აღარ იყო, ეს სხვა კაცი იყო და ბიჭს მოუნდა ბოლომდე გაეგო, რა სურდა ამ კაცს, რას აპირებდა და იმ ორში, იმ ძველებურ გოგიასა და ახლანდელში, რომელი იყო ნამდვილი და რომელი მოგონილი.

გოგია წამოვიდა და ბიჭს გაარტყა. გელას თვალები დაუბნელდა და დაბარბაცდა.

ახლა გელამაც გაარტყა.

გოგიამ ხელი ჰკრა.

— დაგაბრჩობ, იცოდე. გელას არყის, ნივრის და ხახვის სუნით დააცხრა ზემოდან და გული აერია. ქალმა გოგიას ზურგში კეტი ჩასცხო. გოგია ტახტისკენ წაბარბაცდა და მიწვა.

ქალი ხარხარებდა.

— მიიღო! მიიღო!

როცა გელა წამოდგა, გოგია უკვე ხვრიწავდა.

ეხლა კი მართლა წავალო. — გაიფიქრა და სიბნელეს შეერია.

ქალის ხმამ შეაჩერა:

— არსად წახვიდე, იცოდე...

ბიჭმა სხვა ვერაფერი თქვა:

— კარგი, არ წავალო...

ცოტა ხანიც და ქოხიდან გამოსული გოგიას ხვრიწვა ბნელში გახვეულ ვენახებს მოედო.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მთვარე საცაა ჩავდოდა, გათენება წამოსულა. — გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ გათენება ჯერ შორს იყო. გელა იწვა ბალახზე და შეშინებული უსმენდა ხვრიწვას, რომელიც ვენახებზე ჩამოწოლილ სიჩუმეს უფრო ამძაფრებდა. გელამ არ იცოდა, რისი ეშინოდა... გრძობდა, რომ რაღაცა კიდევ უნდა მომხდარიყო და ამ რაღაცას თან გაურბოდა, თან დაძაბული ელოდა. სადღაც, შორს, მატარებელმა ჩაიარა. მატარებლის ჩავლამ ისევ სადგურის რესტორანი, იქაური მოქეიფეები და ის ქალი გაახსენა, რომელიც სადღაც, შორს კი არ დარჩა, აქვე, ახლოს იყო. ალბათ დაიძინა, — გაიფიქრა გელამ. მაგრამ ქალს არ დასძინებოდა და ბიჭმა თითქოს ყურთან იგრძნო მისი ჩურჩული:

— ჰეი!

ბიჭმა ხმა არ გასცა.

— მოდი აქ...

ბიჭმა არც ახლა გასცა ხმა და ვენახებზე ისევ სიჩუმე ჩამოდგა.

გელა იწვა და ქალის ხმას ცახცახით ელოდა.



ეს ხმაც გაისმა:

— არ გესმის, მოდი-მეთქი!

გელა ადგა და ცახცახით წავიდა ქობისკენ.

გოგია ტახტზე გადაყირავებულიყო და პირდაღებული ხვრინავდა.

ქალი კუნძზე იჯდა და გელას უცინობდა:

— შემო, რისი გეშინია?

გელა შევიდა და გოგიას დაადგა თავზე.

ქობში ისევ არყის, ნივრისა და ხახვის სუნე იდგა.

ხო, ეს ვილაც გოგია უცხო კაცი იყო... რალათ დაველოდო ამ უცხო კაცსაო, — გაიფიქრა გელამ და კვლავ ის სურვილი მოეძალა, რაც მთელი საღამო კვავდა და ვერ კი აღესრულებინა: გაქცევა მოუნდა!

ერთბაშად ქალის ჩურჩული მოესმა: გინდა, მოვკლათ?

გელა შეკრთა. თითქოს დანაშაულზე დაიპირეს: ქალის ნათქვამი ოდნავადაც არ სწყენია. ქალმა ეს სიტყვები ძალზე უბრალოდ წამოისროლა და გელამაც ძალზე უბრალოდ მიიღო. თითქოს გაუგეს ერთმანეთს და გელას თავზარი დავცა. გოგიას თავზე მახვილივით ეკიდა ბასრი ნამგალი და ქალიც, როცა ამბობდა, მოვკლათო, ამ ნამგლისკენ იყურებოდა. ბიჭს შეეშინდა. თითქოს გოგია სახეში შესცქეროდა და ემდუროდა. იმ წუთში ბიჭს ისევ შეეცოდა გოგია. ეს უცხო ლეში ისევ მახლობელი განდა და ბიჭმა ქალს თამამად გაუსწორა თვალი.

ქალი ჩუმად იჯდა და ხითხითებდა.

— სუყველანი მშობრები ხართ. ვაჟკაცი კაცი ჯერ არ შემხვედრია.

გელა ქობიდან გამოვარდა. ეს ათას გზებზე ნატარი ქალი იმას მიხვდა, რაც გელას მთელი საღამო აწამებდა. გოგია უკვე უცხო იყო. ყველაფერი, რაც მასთან აკავშირებდა, ერთბაშად გამჭრალყო, ყველა ძაფი გაწყვეტილიყო და ის დღეებიცა და თვეებიც უაზრო გამხდარიყო, რომლებიც ბიჭს ამ ვილაც გოგიას გვერდით გაეტარებინა. ქალმა

კი ყველაფერი, რაც გელას აწამებდა ძალზე უბრალოდ, ორი სიტყვით გამოხატა და ბიჭს თავზარი დასცა: გინდა, მოვკლათ?

რა უბრალო ყოფილა ყველაფერი! რა ადვილად გასაბედი და რა ადვილად მოსახდენი! ამის გაფიქრებაზე გელა ახლა გოგოზე გაბრაზდა და დაუძახა:

— გამო გარეთ!

ქალი გამოვიდა, ცას შეხედა, გაიზმორა და გელას მოეხვია.

გელამ ზელი ჰკრა.

— დაცა, შემეხვეწები, — გაიცინა ქალმა და გულადმა გადაწვა ბალახზე.

— ბიჭმა ხმა არ გასცა, ვენახებისკენ წავიდა.

ვენახს იქით მინდორი იწყებოდა. შუა მინდორში ახლად მოთიბული თივის ზულულები იდგა.

გელა ბულულებზე მიწვა და თვალეზი დახუჭა.

— ჰეი! — დაიძახა ქალმა.

გელამ ხმა არ გასცა.

— არ გესმის? სად გაიქეცი?

მერე ბალახების შრიალი ისმოდა.

— რა მარტოკა დამარჩინე?

იმავე წუთში ქალი გვერდით მიუწვა.

— ნუ გეშინია...

— არ მეშინია.

— მე რას გამომაპარებ? ოფლში ხარ გავხითქული.

ქალი მოეხვია, კისკისებდა და ბიჭს ქამარს უხსნიდა.

ბიჭმა თვალეზი დახუჭა.

ერთბაშად მთელი სამყარო ამოძრავდა.

— ნელა, ბიჭო, სად გეჩქარება?

ბიჭს არაფერი ესმოდა.

— ამას უყურეთ რა ჯანი ჰქონია...

ქალის სიცილი მთელ ვენახებს სწვდებოდა.

— არ დამილეწა გვერდები?..

ბიჭს მაინც არაფერი ეყურებოდა.

თაბაჯი ხიზილური
შვიდი ხმისა და ბორცოსათვის

მერე ქლოშინით ჩაემხო ბალახებში. ქალმა ხელი გაიწვდინა და შიშველ ზურგზე მოეფერა.

— ხელი გამიშვი!

— ეგრე იციო, ახლა აღარ გინდოვარ...



გელა მდინარისაკენ გაიქცა.

ალარაფერი უნდოდა, ვარდა იმ მდინარეში ჩაწოლისა, ქალაში რომ ჩუმად ჩხრიალებდა.

ვარბოდა და ქალის ხმა მისდევდა:

— ვაითუ ვეღარა მნახო!

გაჩერდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ნუ მნახავ და ნუ მნახავ, რა!

ისევ გაიქცა და ქალის ხმაც მიჰყვა:

— ის რო გითხარი, მოგატყუე, ძმობილი მყვანდა და მოკლეს-მეთქი... იმასა გეგხარ-მეთქი...

ვარბოდა და ფიქრობდა, ნეტავ აღარაფერი მითხრასო.

ქალი კი იძახდა:

— ჩემი ნება რომ იყოს, მოგკლავდი.

მაშინ ბიჭი გაჩერდა, ყური დაუგდო და დაუძახა:

— რათა?

— კარგი ბიჭი ხარ და იმიტომ...

ბიჭი ისევ გაიქცა. ქალი ხარხარებდა:

— შეგეშინდა?

— შემეშინდა არა...

ხო, არ შეშინებია. ახლა აღარაფრისა აღარ ეშინოდა, არც ღამისა, რომელსაც უკვე ჩაევლო, არც გოგიასი და არც ამ ქალისა, რომელიც თავისი ახლომახლო ყოფნით აღარაფერს ეუბნებოდა. აღარც იმისი ეშინოდა, ვაითუ ისევ მოვბრუნდებოდა და თავზე დავადგე ქალსაო, აღარც იმისი, — რატომ ვავრბოვარ, უკან რატომ აღარ ვიხედებიო. ჰორიზონტი ნათლებოდა. ბიჭს კი მდინარეში ბანაობა უნდოდა, სხვა მეტი აღარაფერი.

ამ გათენების უამს გელას მარტო ქალიღა შეეცოდა და მარტო იმან დასცა თავხარი, რა ყველაფერს ადვილად ამბობსო. ქალიც (ეს გარძნეულება კი, ბიჭის ფიქრით, მართლა ჰქონდა), თითქოს

მაშინვე მიხვდა ყველაფერს და გველად უკანასკნელად დაუძახა:

— ნუ გეშინია... ესეც მოგატყუე!

ამის მერე ბიჭს აღარაფერი გაუგია.



მდინარე გრილი იყო. ვიდრე წყალში ჩავიდოდა, ხახვის, ნივრის და არყის ნაზავი ისევ სახეში სცემდა, თითქოს თელ სხეულზე, თავითფეხამდე ასდიოდა... შეეშინდა, ამ სუნს ალბათ ველარსად გავეცევიო. ცივმა წყალმა ერთბაშად გამოაფხიზლა, დაჭიმული სახსრები გაუთავისუფლა, გამსუბუქდა და ის მძიმე ლოდი, მდინარის ნაპირამდე რომ მიჰყვა, სადღაც, ქვემოთ, ფსკერზე ჩაიძირა. მთელი ღამის ამბავი უბრალო და ადვილად გასაგები გახდა. გრილ წყალს მინდობილი გელა ბედნიერი იყო. ყველაფერი უკან დარჩა, წარსული თითქოს აღარ არსებობდა. ამ წუთში ამაყოფა კიდევ ამ ღამით და იმითაც, რომ რაღაცა დასრულდა და ალბათ რაღაცა კიდევ ხელახლა დაიწყებოდა. ნივრის, ხახვისა და არყის სუნის ნაცვლად რიჟარჟს ახლად გათიბული თივის სურნელი მოჰქონდა. ის მთვარე, რომელიც მთელი ღამე ალბათ თავზე დასცქეროდა, კარგა ხანია მთის იქით გადასულიყო და ეს ვარსკვლავებიც, რომლებიც ბიჭმა ახლად შენიშნა, ნელ-ნელა ქრებოდნენ. მარტო ერთი ვარსკვლავიღა ენთო დასალიერთან, ალბათ ცისკრის ვარსკვლავი და წყალზე გულაღმა გაწოლილმა ბიჭმა ისიც ველარ შენიშნა, როდის ჩავიდა თუ ჩაქრა.

როცა მდინარიდან ამოვიდა და ქვეშაზე გაიშოტა, აღმოსავლეთიდან მზემაც ამოიხედა. ბიჭის მკერდს მზის თბილი სხივი დაეცა. მზე უფრო და უფრო ამოდიოდა და ბიჭის სხეულს საამო სითბო ეფინებოდა. იმ წუთში, კარგა ხნის მერე, პირველად გაახსენდა სახლ-კარი, პაპა, დედა, მამა, და-ძმები, გაახსენდა მთაში გაპარებული სახეღარი და მის გახსენებაზე გაეცინა. მერე რა? სახედრის ხსენებაზე ყველანი იცი-



ნიან, თვითონ სახედარი კი დაფიქრებულია და ფიქრში ჩაღრმავებულს ერთხელაც არ გაეცინება.

გელამ ტანსაცმელი გადაიცვა.

წავალ მთაში და მიანიც მოვძებნიო.

სახედარზე თქვა...

ვენახის ღობიდან გადმოწვდილი ატამი მოწყვიტა, ჩაიბიჩა და გზას დაადგა.

— ჩაჯექი, წავიდეთ...

მოიხედა.

მის გვერდით მანქანა თუხთუხებდა.

სარკმლიდან გოგია იყურებოდა. იქვე თავჩალუნული ქალი ეჯდა.

გოგიას თვინიერი კამერის თვალები ჰქონდა.

— ძან დავთვერი წუხელ?

გელამ ხმა არ გასცა.

— თუ დაიჯერებ, არაფერი მახსოვს... ერთი სიტყვა რა არი, ერთი სიტყვა არ მახსენდება, შენ რო დაგიძახე, ის მახსოვს, დანარჩენი აღარაფერი... მერე ხო აღარ იყო რამე?

— რა უნდა ყოფილიყო?

— აბა რა ვიცი, არ იცი, მთვრალი კაცის ამბავი?

— არაფერი ყოფილა.

გოგიამ დიდხანს უყურა და თქვა:

— დაჯექ, თორე, საცაა გული გამიხსკდება.

ქალმა თვალი გამოაპარა და გელას შეთქმულივით გაუღიმა.

გელას შეეცოდა გოგია, მანქანაზე ავიდა და დაჯდა.

მანქანა დაიძრა.

მიჰქროდნენ ვენახები და ნაყანობრები, აქა-იქ ჩაღმებული მუხებები და თელები. იკეცებოდა და იხვეოდა გზა. მაგრამ ეს აღარ იყო გუშინდელი, გუშისწინდელი და იმისწინდელი გზა. გოგია აღარ ჰქედა ნაცნობ სიმღერას, აღარ გასძახოდა დიდსა და პატარას და კიბეარში შევარდნილ გოგონებზე აღარაფერს ამბობდა. გოგია აღარ იყო გოგია ან გოგია ნამდვილი გოგია გამხდარიყო. მაშინ მოქალა გელას ის სურვილი, რაც სურვილად დარჩა და რაც იმ წუთში ბიკს მართლა შეეძლო გაეკეთებინა. გოგია თოჯინას ჰვავდა, ძალა-

გამოლეულს, დაჩუტულს და დემსხვრეულს. თოჯინას თითქოს ნაკერები გარღვეოდა და იმ ნაკერებიდან ნახერხი ცვიოდა. მაშინ გაიფიქრა გელამ, რომ აელო თოჯინა, ფრთხილად ჩამოეცილებინა მტვერი, ხელ-ფეხი გაესწორებინა და თავის პატრონისათვის მიეგვარა. ეს პატრონი გოგიას დედა იყო. გელა მიიყვანდა თოჯინას, დედის წინ დასვამდა და იტყოდა:

— აბა, მოვიყვანე...

მერე გამობრუნდებოდა და თავის გზას დაადგებოდა.

ნაცვლად ამისა, გელა თავის სახედრის მოსაძებნად მიდის.

მანქანა ტყისკენ უხვევს.

მერე მდინარე გამოჩნდება.

— აქედან იწყება ჩალაურის გზა, — ფიქრობს ბიკი.

მტერიან გზაზე მანქანიდან ხტება და წამით ისე დააკვდება მიწას, თითქოს გათავდაო.

შოფერს არაფერი ესმის.

მანქანა თვალს ეფარება.

გელა მდინარისკენ მიჰყვება ბილიკს.

იმ სურათზე, შეთხზული ამბის ავტორმა მდინარის პირას რომ ნახა, უკვე შევიდევინი არიან: ფიქრში წასული ამბია მახაური, ტყიდან გამოვარდნილი გოგო, შეშინებული, აქეთ-იქით მზირალი გარსოს დედა — თავისი ორი ხარით, კაჟკაჟივით ცქვიტი დედაბერი, პირხმელი, მალალი დაღარული ქალი — ლელა ღუღუშაური და მისი შვილიშვილი, ლამაზი ბიკი. შევიდევინი ვილაცაზე თუ რალაცაზე გაბრაზებულან და რომელიღაც ჩალაურის გზაზე დამდგარან. ეს შვილთა თემია, ფრინველთა პატარა გუნდი, როგორც შეთხზული ამბის ავტორმა თუ ამბის მთხველმა უწოდა და საცაა თბილი ქვეყნისკენ დაიძვრება. ზაფხული მიიწურა. მთაში მალე სიცივეები დაიწყე-

თამაზ ზიზილური

შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ბა და ამ შვიდთა გუნდმა მოსასწრები უნდა მოასწროს. იქ, ზემოთ, ჩალაურია. შვიდთა თემი ჩალაურისკენ მიდის. ჩალაურია მათი აღთქმული ქვეყანა, ზეცის წილნაყარი. ჩალაურმა ეს იცის, ჩალაურმა არ შეიძლება ეს არ იცოდეს და ალბათ შვიდთა თემის დაბრუნებას თუ წვევას ძე შეცდომილის დაბრუნებასავით ელის. ყველაფერი ახლა ჩალაურისკენ მიდის — ყოველი ცრემლი შვიდთა თემისა, ყოველი ღიმილი, ყოველი მადლობა თუ სამღურავი.

ეპილოგი ჩალაურში უნდა გათამაშდეს.

როცა „ამბავი“ უკვე დასასრულისაკენ გადაიხარა, ამბის მთხველი განგებას ევედრება, რომ ყველაფერი უბრალოდ და ბუნებრივად მოხდეს. მისი ღრმა რწმენით, შეთხზულ ამბავში, რა-

გინდ შეთხზულიც უნდა იყოს, უნდა ულო და განსაკუთრებული არაფერი არ უნდა ხდებოდეს, ყველაფერი დიანაც, რომ უბრალო უნდა იყოს, უბრალო, როგორც წვიმის მოსვლა. მას ისიც გულწრფელად სურს, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდეს, „შვიდთა თემმა“ იბოვოს რასაც ეძებს და კვლავაც ისე მოხდეს, როგორც ბევრჯერ მომხდარა: ჭირი „იქ“ იყოს, ლხინი „აქა“. მკითხველს უყვარს კეთილი დასასრული... მკითხველის ხსენებაზე შეთხზული ამბის ავტორს ახლა იმან გაუელვა, რომ ამ შვიდი ადამიანის ამბავი დედამიწის ზურგზე შეიძლება შეიძლება კაცსაც კი არ სჭირდებოდეს. ამის გაფიქრებაზე ყველაფერმა აზრი დაკარგა. ამგვარი რამ ხშირად ემართებათ ხოლმე ამბის მთხველებს...

დასასრული შემდეგ ნომერში



ავტოპორტრეტი. 1988

თეთრი ფურცლებით მოფენილი იყო მისი გზა,
თეთრი ფოთლებით გადათოვილი...

და იმ გზაზე დარბაზები არ აუგია,
არც წარმტაცი სურათები დაუხატია
და არც ნატვრის ხე დაურგია
იმ უდაბურ გზის ნაპირებზე.

დატოვა მეღნის უმწეო კვალი.
სიზმრად ნანახი ურჩხულების ნატერფალები...
უცხო ლაქები...
და თვალთაგან მონაწერი წყლის გუბეები...
თავისი ჩრდილი, ქვედაცემული...

და არა ცდილა, რომ ყვავილთა ყალბი სურნელით
მიეტყუა და იმ გზაზე
დაეყენა ვინმე ყარიბი...
ილუზიებით არ მოლობა უსამართლობა...

და ფურცლებს, როგორც კრილოზების შესახვევ ძონძებს,
სისხლის ლაქებიც შეატოვა,
ცრემლის მარილიც...

და არ იქნება ეს პორტრეტი სრულყოფილი,
თუ იმის ლანდს ცოდვის ჩრდილი არ მივუხატეთ...
თუ გვერდით შიშის ურჩხულები არ დავუყენეთ...

და არ იქნება ეს პორტრეტი სრულყოფილი,
თუ იმის ლანდს არ დავუყენეთ
გვერდით ოცნების კრელი ღრუბლები...

და არ იქნება ეს პორტრეტი სრულყოფილი,
თუ ბოლოში ეს სიტყვები არ მივუწერეთ:
უღვთოდ ვფანტავდი მე ჩემს დღეებს,
როგორც ფანტავს ყალბ მონეტებს
ქვეყნად ვინმე ფულისმომპრელი.

წინაპარი

ის ზოგჯერ ჩემშიც გაიღვიძებს,
წამოდგება და, გულუძრავი,
ქართული სიტყვის სისხლის დენას თვალს არ აშორებს.

მოდი, განკურნე ძველისძველი ჩემი კრილობა...

სისხლი რომ დუღდა იქ, —

დაშრა და აღარ გადმოდის...

ჩანს, შეეგუა თბილ ცხოვრებას, როგორც ყველა ობივატელი,

და რომელიღაც ბილწ განზრახვას მონად დაუდგა.

გული სულ ერთი მუჟა მიწაა

ძალიან ბევრს ნულარ მოსთხოვთ —

ჩემი გული უკვე მიწაა,

ჩემი გული თითქმის მიწაა,

გამოგვალული,

გადატყეპნილი...

და ქარის ბრწყალებს რომ არ გაჰყვეს

და მდინარემ რომ არ წაილოს,

ერთ გუნდადა ჰკრავს სიტყვის ფესვი

და ამკვრივებს ცრემლის მარილი...

ის ძველი გზაა,

ძველისძველი მიწის ნაგლეჯი —

ზედ მთელ სამყაროს გაუვლია ჭგლეით, ყაყანით...

რომ აბიჯებს, აბა მიწა ვის ენანება,

ვინ შედგება ფეხის წვერებზე —

მიწას რამე არ ვატყინო...

ჩემი გულიც გაიარეს ჭგლეით, ყაყანით...

გაიარა სიყვარულმა,

გაიარა მოლოდინმა,

გაიარა თრობის ღამემ —

გაიარეს ჭგლეით, ყაყანით...

ძალიან ბევრს ნულარ მოსთხოვთ —

გული თითქმის უკვე მიწაა...

და დგას პოეტი მხრებგაშლილი შუაქალაქში,

მრავლდება იგი ურიცხვ წიგნად

და პორტრეტად

და ქანდაკებად —

დგას ძირგამკრთალი... აბა, მეტი რა შეუძლია

ამ დაშაშრულ ზეს, აქ რომ დარგო ვინმე მებღალემ —

თითქოს ფესვები არ უშვებენ:
მიწის გულში გაყრილი ხმები...
კენწერობები არ უშვებენ:
სივრცეებში აწვდილი ხმები...

და დგას ასე მთელი სიცოცხლე...
და ლურჯ ფოთლებზე ამოკაწრულ ავტოგრაფებს ურიგებს ხოლმე
სუყველას,
ვინც კი იმის ჩრდილში ფეხს მოინაცვლებს...

არა, არა, აღარ მინდა თქვენთან ბაასი...

მე უნდა დავჯდე ჩემს ფიქრებთან, რომ მოვიგონო
ისეთი რამე (თუნდაც ტყუილი),
რომ იმ ძეწუნას, მიწისაკენ თმებჩამოყრილს და თვალცრემლიანს,
ჩემმა ნათქვამმა ერთხელ მაინც
თავი მაღლა ააწვეინოს —
დაინახოს, როგორ ტირის ხოლმე ღამის ცა...

თავისი თავი მაშინ აღარ შეებრალება.

ვისმინ გუგულის ხმას

ხმა გუგულისა...
ჩგი ნაზამთრალ ტყეს უყვება
შორეულ გზის და
მარადიული ზაფხულის ამბავს...

და ჟამიჟამ კენესასაც ურევს —
ცრემლს აწვეთებს თავის ობლობას.

საქართველოს გულუხვი მდინარეები
შემოდგომაზე თითქოს ნაკადულებს ბაძივენ —
ისე პატარავდებიან,
ღამის პეშვით აიყვანო...

თითქოს საყოველთაო სიკვდილს უმაღავენ
თავის მხარ-ბეჭს,
თავის ფართო, გაშლილ შორევეებს...

და მიდიან
კალაპოტის ქვა-ღორღში თავჩარგულები
ზანტად, უხალისოდ,
ბუზღუნ-ბუზღუნით...

და შენც წახვედი და დამტოვე უკუნეთში ობლადმავალი,
ვინც ქვეყნიერი ჭეშმარიტის ნატამალი — მწარე კენჭი
კიდევ ერთხელ აღმოაჩინა,
რომ საკუთარი ნათლის წვეთი ყველამ მარტომ უნდა ეძებოს,
როცა წყვდიადში
ხმის გამცემიც არ ეგულება.

მეორე, ვინც მკვლავს შენატრის

უცნაური ხარ, ჩემო მიწავ — იმათ, ვინც კი ფრთები დაკეცა,
ვინც ფეხი შედგა შავეთის გზაზე,
სუყველას ცრემლებს მიაღვენებ სინანულისას...

ხოლო იმათ, ვინც შენს მკერდზე დააბიჯებენ და მიჰკვალავენ
სევდის ღრუბლებს —
იმათ ეკლებს ახვედრებენ ხოლმე და ხოშკაკალას აყრი თავზე
დაუშურვებლად...

ბედნიერია ყველა,
ვინც კი გულადმა წევს შენი მიწის შავ სინათლეში...
და ისიც იმათ გზებს დაეძებს,
იმათკენ წასულ ბილიკებს,
ვინც ეზლა ჩემში გაიღვიძა, გულლორღიანმა,
და ლექსს მკარნახობს
და მკვდრებს შენატრის...

ვერ ვაპატივებ

„რამ შეგქმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმიდა“.

ვერ ვაპატივებ ბუნებას, ვერა,
არასრულყოფილს რომ მაქვს სურვილი
თავზე მოვექცე უმაღლეს მწვერვალს,
თვალით უხილავს აღსასრულივით.

ძმობის, ერთობის, თავისუფლების
სურვილს, ოცნებად დარჩენილს
დღემდე.

ვერ ვაპატივებ ბუნებას, ვერა,
მე — უმწიფარი მისი ნაყოფი,
რომ სულ ზეცისკენ გამიბრბის მზერა
და დედამიწის მაღლი არ მყოფნის.

გულმადლიანს და ნებადალოცვილს,
შეეძლო რადგან შევექმენ ცვარად, —
ვერ შევიგრძნობდი გამზმარ, დახოცილ
ბალახების და ფოთლების ვარამს;

ვერ ვაპატივებ, ხელზე ხუნდების,
და ყელზე ყულფის წაჭერის შემდეგ,

არ მექნებოდა დარდი წაჭსულის,
არ მექნებოდა ხეალის იმედი,
უტყვილო და უსიხარულო
ვიბრწყინებდი და ვიციმციმებდი.

დილაქტიკის კანონი

ჩვენ არაფერი
გვქონდა საერთო,
სულ არაფერი
გვქონდა საერთო,
რომ არაფერი
გვქონდა საერთო —
აი, ეს გვქონდა
საერთო მხოლოდ!
.....

და რაკი გვქონდა
რალაც საერთო,
რაკი რალაცა
გვქონდა საერთო —
ველარ გავძელით
უერთმანეთოდ
და ერთმანეთის
იმედით ვცხოვრობთ.

ფოთოლი

დღე და ღამე, დღე და ღამე
ჩურჩულდება ქართან:
სიხარულო და სიამევე,
ჩემო თავისუფლებათ,
ლაღად ფრენის უფლებათ,
სად ხარ?!

შემოდგომა როცა დადგა —
სხვებზე აღრე გაყვითლდა და
ხელი უშვა კიდევ
ტოტს, ერთადერთ საბინადროს,
და ეგონა — დაფრინავდა,
ძირს დაეცა ვიდრე.

თეთრი დილა

თბილ ღამეში, თეთრ ღამეში
მოფრინავენ ფანტელები,
თეთრი, თეთრი ფანტელები
ციდან მოფარფატებენ,
მთელი ღამე მუშაობენ
გამალებით, გახელებით,
რომ მიწაზე რაც ბნელია —
თეთრ ორმოში ჩატენონ.

გათეთრდება, რიყრაყამდე
გათეთრდება მთა და ბარი,
თეთრ საწოლში თეთრი დილა
მოგვაკითხავს უჩუმრად,
გაგვადვილებს სუნთქვა მისი,
ისე ჩუმი, ისე წყნარი,
როგორც თეთრზე თეთრ ოთახში
ავადმყოფის ჩურჩული.

დაუბერავს თეთრი, თეთრი,
თეთრზე უფრო თეთრი ქარი,
განზავდებით სითეთრეში
თეთრი უსაზღვროების,
გადაენტელ ეზოებში,
პატარებს გასახარად,
გაჩაღდება მოგუნდავე
ასეულთა ბრძოლები.

ყველა ერთად იკისკისებს,
ყველა ერთად ინეტარებს,
სითეთრეში ალტაცება
კვირტეზავით იფეთქებს...
გათოშილი უფროსები
ფიფქებს ჩამოიბერტყავენ
და შავ-შავი წერტილები
დაცხრილავენ სითეთრეს.

მეზღვარის თვალები

ცა და ზღვაა, ზღვა და ცაა
მეზღვარის მზერაში,
შეერევა სადაცაა
კაცი ზეცის კაბადონს,
მაგრამ სულში ნალველის ფერს
ვერაფერი ვერა ცვლის —
ვიღრე უნდა ეს სილურჯე
სხვის თვალებში დალანდოს.

ლურჯი ზღაპარი

დღესაც ვეწვიე ჩიტების ბაზარს,
პაწაწინები, როგორც კვირტები,
რით ამირევენ ნეტავი თავგზას,
რას მომიყლიან ნეტავ ჩიტები?

ალბათ, ლურჯ ქარებს — ფრთებში
გახლართულს,
ანდა ქარვისფერ ზღვისა და სივრცის
სუნით გაუღენთილ პანგებს
წარმართულს
და ზვირთში ჩაწულ ვარსკვლავთა
ციმციმს;

ალბათ, ფერადი, მბრწყინავი ფრთებით
მორთულ-მოკაზმულ ზღაპარს
ციხაფერს,
მიულწევლის მიღწევის ვნებით
უძვირფასესს რომ გამიიფებს.

დღესაც ვეწვიე ჩიტების ბაზარს,
სადაც ქვაზე ზის ზღაპარი ლურჯი
და თუ ხელი არ შეახვ ნაზად —
წამოდგომა და აფრენა უჭირს.

უმზერ და
ხშირად ვერ ამჩნევ მაინც
ოქროში როგორ ცურავს სამზეო,
ნისლი მთაგრეხილს როგორ გადადის,

ყვავილს პეპლები როგორ აზიან...
ღმერთმა გაშოროს და
თუ დაბრმავდი —
ნახავ ქვეყანა რა ლამაზია.

ციკლიდან „სახმელეთლები“

1.

არავინ იცის
დედამიწა ვის რით იზიდავს —
ვით კაცის მზერას
ზღვაზე მზის ჩასვლა...

ციცქნა ფანტელი ფრიალ-ფრიალით
ნუთუ იმისთვის დაეშვა ციდან,
რომ გათოშილი სული გაეთბო
მიწის სითბოთი...

და გამჭრალიყო!
სითბო თუ სურდა —
მზისკენ რატომ არ წაფარფატდა?!

2.

თუმცა ერთნაირს განიცდი ტკივილს
რომელი თითოც არ უნდა მოგპრან, —
ან ზეცას უნდა შეეღიო,
ან — დედამიწას,
ან სიყმაწვილუე უნდა დათმო,
ან — არსებობა.

3.

მთელი ცხოვრების მანძილზე მშურდა
პირისპირ მდგარი ორი ქანდაკის,
არასოდეს რომ არ განეცადათ
განზორებისგან აღძრული სევდა
და მონატრების მძიმე ნაღველი.
მთელი ცხოვრების მანძილზე მშურდა,
ვიდრე არ შეგხვდი წლობით უნახავს
და არ მივხვდი, რომ ნანატრ შეხვედრით
აღფრთოვანების შესაძლებლობას
მოკლებულია პირისპირ მდგარი.

4.

გაჩენის დღიდან გავურბივართ
დარდსა და ტკივილს,
როგორც ტალღები გაურბიან
ზღვას ადიდებულს;
ტალღის რა გითხრათ, ჩვენ კი ვიცით,
ნამდვილად ვიცით,
რომ თავდახსნილი
ბობოქარი ზღვისაგან ტალღა
თუ ისევ ზღვას არ დაუბრუნდა —
დაიღუპება.



გური ფეტელავა

ხასიათები რომანიდან

(ფართოსანი პიანხველები)

ღეზი

ბორანზე მოაკითხეს წიწიკვაკა მალი-
ჩას მეზობლის ქალებმა, რომელთაც
თეთრეული წამოედოთ ენგურში ამო-
საველებად და სანამ საქმეს შეუდგე-
ბოდნენ, დაიმართხნენ, უჯიჯინეს,
ვევდრნენ:

— წიწიკვაკა, მამის სულს გაფიცებთ,
მოაცილებინე ელას და მინაკას წყალ-
გამტარი მილისათვის ნაგავი. იქნებ მა-
მულზეც გადაგვატარონ, არც მათ ეზოს
აწყენდა წყალსაწრეტი, თვითონ ხარ
მოწმე, თუ როგორ წაგვიხდინა თხილ-
ნარი და ყანები წყალმა. შენდა იცი მა-
თი ენა. ჰქენი სიკეთე და ვალში არ და-
გრჩებით!

აქეს მომეტებით, მაგრამ საიმედო
ვერაფერი დააცდენინეს.

— მე არ დაგზარდებით, — ამბობდა
და მარჯვედ ატრიალებდა ნესტოში
ცერს, — მაგრამ ვეკვობ, რაიმე გამოვი-
დეს ამ საქმიდან.

ყრუ-მუნჯები იყვნენ ელა და მინაკა.
ჭყეტელა ჩითის კაბები ეცვათ დღემოს-
წრება. უამინდობისას იდაყვამორღვე-
ულ პალტოებს მოისხამდნენ, ქუსლდა-
ქეკვილ კალოშებში წადგამდნენ ფეხსა
ელა უფროსი იყო, ფაშფაშა, მინაკა—
ძვალკანა და ფსიორა. ცისფერი თვა-
ლები ჰქონდათ და სიყვითლეშებარული
თმა. წვივებზე ჭორფლიანი კანი შემო-
ქნობოდათ. ჯერ ცალ-ცალკე არავის
ენახა ისინი. ყველგან ერთად დადიოდ-
ნენ, დუყლა არქანისა წისქვილში თუ

დომე ცირდას მალაზიაში. წავიდოდნენ
ფეხაწყობით, წაპრიალებდნენ მოყან-
ყალე ურიკას, ხან ფქვილი მოჰქონდათ,
ხან— ნავით.

საგანგებოდ გახეხილ სპილენძის ტა-
შტივით უკრიალებდათ ეზო-კარი. ხში-
რად გამოვიდოდნენ შუკის თავში, გა-
ხედავდნენ ბორანთან მოფუსფუსე ადა-
მიანებს, თან ბუტბუტებდნენ მათთვის
ჩვეული კრუსუნით.

მეზობლის ღორი, კამეჩი ან ძროხა
თუ გაეხახუნებოდა მათ ტრიფოლია-
ტის გამეჩხერებულ ღობეს (აღამის-
ქამინდელი ტრიფოლიატი აქა-იქ ამომ-
ხმარიყო), იმ ადგილას უროთი თავდაჩე-
ჩქვილი აკაციის სარები ჩაერჭოთ, ზო-
გან თუთის წნელით ოკრო-ბოკროდ
ამოეწნათ, ზოგან ალუმინის ტაშტი აე-
ფარებინათ და ზოგან— რკინის საწო-
ლის ქანგიანი ბადე. ყოველი ღრიჭო
წყირებით დაეგმანათ და ფერად-ფერა-
დი ჰქონებოთ აეკრათ ეკლიან ძირებზე,
რაც ავი თვალისაგან იცავდა შემოგა-
რენს. ავი თვალისაგან იცავდა აგრეთვე
ჯვარზე მოფარფატე ძონძებიც, ყოველ
ათ ნაბიჯზე რომ აღმართულიყო ელასა
და მინაკას სამოსახლოში. სექტემბერში
ტრიფოლიატას ყვითელი ნაყოფით ჯი-
ბეს გამოიტენიდნენ შინმიბრუნებული
მოსწავლეები და მიბაურთავედნენ
გზა-გზა, ის კი არა, უფრო თამამები
შეიბარებოდნენ ბაღში და ხილსაც წა-
ატანდნენ ხელს. ცოცხალ ღობეს, რომ-



ლის კენწეროებს ჯერ მაკრატელი არ შეხებოდა, ხოლო ქვედა ნაწილს, პირობითად რომ ეთქმოდა ცოცხალი, ზამთარ-ზაფხულ წყლით გააბიზინებული წყლაკილი თხრალი ჩაუდიოდა. აქვე იყო შუკის სიღრმეში მოსახლე ათიოდე ოჯახის სამანქანო ხიდი, რომლის წყალგამტარი მილი გადაეკეტათ დებს, მიეყარათ, თუკი რამე ნაგავი მოჰყოლოდათ ხელში, აქაოდა, ვეტბორავსო ზემოდან მოზღვავებული წყალი და თავსხმების მერე, კვირაობითაც წყალში ყურყუმალაობდა ხიდსიქითა მიწა. ერთხელ გაზედეს ჯებირის მოშლა, მაგრამ დებმა მუგუზლების ტრიალით კინალამ გადაბუგეს სამეზობლო და ამის შემდეგ რომელი ითაგებდა იქიდან კენჭის აღებასაც კი?! „ბუჭაბუჭაჰას“ ძახილით დასწვდებოდნენ ქალები გზისპირზე მიხერგილ ქვებს და დაედევნებოდნენ პირუტყვს... როგორ იქნებოდა, მათი ნასროლი ყურისძირში ან ჩანგალა რქაზე არ მიხათქუნებოდა ბედდამწვარ საქონელს? გამოედევნებოდნენ კიოთია ქარჩას ნასახლარისკენ და კემე ჩიქას ღობემორღვეული მამულისკენ, თანაც გამვლელებს ხელების ქნევით უხსნიდნენ თავიანთ გასაჰირს, რომ გაეტიალებინათ ამათ, გავეყრანებინათ ცოცხალი ღობე და, თუ არ უთანაგრძნობდი, თუ ღიმილი შეგეპარებოდა, ვერაფერი გაგამართლებდა მერე მათ თვალში. სადაც უნდა ენახეთ, თვალს თვალში გადიყრიდნენ, თავს დაგახრევიენდნენ უნებლიე დამნაშავეს, ხოლო თუ მუხლებათროლებული ჩაუვლიდი გვერდით, მომუშტულ ხელებს ცერებთან შეატყაბუნებდნენ და ისე დაატრიალებდნენ, თითქოს თეთრეულს წურავდნენ ან ნავთის კასრს უხრახნიდნენ თავს. ეს მოძრაობა კარგად იყო შამგონელისათვის ცნობილი და დების ენაზე თავწაწყვეტის ტოლფასი გახლდათ. ზმუილისებრი ბგერები ახლდა ამ რიტუალს, მერე მიწაზე დაანარცხებდნენ წაწყვეტილ, არარსებულ თავს და ფეხით სრესდნენ. მტვრიან შარაზე აჩქარებულს გეშინოდა უკან მოხედვისა,

თითქოს ზურგში ქვა უნდა მოგვედროდა, ასე რომ, ვინც იცოდა ელასა და მინაკას ხელმარდიანობა, ყოველთვის გამოძებნიდა დროს მათთან სასაუბროდ, რაც უნდა მომხდარიყო, მაინც შეუყოვნებდოდა, აპყვებოდა ხელების უცნაურ ნახაზებს ვასაკასავით მონუსხული. ტალახში ნათრევი კამეჩისფერი დაპკრავდა დების ძველისძველ ხის ჰიშკარს, ქონგურებიანს და ტრიფოლიატის კბენია ტოტებით აბურდულს.

ქრისტეშობის ღამეს, ბარაქიან თოვლთან ერთად, მოულოდნელად გაჩნდა ეს ჰიშკარი კუტიკარის ადგილას. წიწიკვავა მალიჩას წაქეზებით, ყვამან ცირდამ, რომლის ქვრივ დედასაც მოსვენებას არ აძლევდა არდაშელ არაჰამია, ბოძებინად ამოთხრევიენა ბიჭებს და ყრუ-მუნჯებს უსახსოვრა. კი მოაკითხა თავმჯდომარემ წიწიკვავას შუამავლობით დებს, მაგრამ საქმეში მალიჩას ჩარევამ მთლად გააცოფა დები.

—რაც ამას წაართვა ღმერთმა და თქვენ გისახსოვრათ, იმის წასაღებად არის მოსული, — ხელებით უხსნიდა დებს: — მეც გადმომკარით ერთი, რომ არ იეკვიანონ, სხვებს კი — მისცხეთ და მისცხეთ! — ამას რომ უხსნიდა ყრუმუნჯებს, — მიდი, მიდი, ნუ გეშინიაო! — აქეზებდა არდაშელს და როცა ჰიშკარს შეეხო სოფლის თავი, დასწვდნენ მას ჰინძლები ტრიფოლიატის ტოტებს და სულ „ავავაის“ ძახილით აბუნძულეს დიდი და პატარა.

ეს შიმელები ღამდამობით, ბაცაცები-სგან იცავდა აქაურობას. ყოველი მომტვრეული რტო ქურდების არარსებულ ხელს ბრალდებოდა, ამ ქურდებს წააწყვეტდნენ ხოლმე კისერს დები, მათთვის ჩვეული ღიჯინით და გულმოდგინებით მარხავდნენ მიწაში. ისე, სიტყვამ მოიტანა და, იშვითად იპოვიდით შამგონაში კაცს, ვინც ერთხელ მაინც არ ჩამარხულიყო აქ. გვიტ რაფა იყო ეს, არდაშელ არაჰამლა თუ ჰოქოია კვამია-

გური ფაქალავა
ხასიათიანი რომანიდან

ლახე. პირველ ორს გაუმადლობდა ბრალდებოდა. როცა მათზე საუბრობდნენ, ფართოდ შლიდნენ ხელებს, პირში იყრიდნენ მთელს ქვეყნიერებას, ფუმფუულა საგნებს ხატავდნენ, ლოყებს გამობუშტივდნენ, თითქოს ნაწილ-ნაწილ თხზავდნენ მათ სხეულებს. ქმრის გაძევებაში აღანაშაულებდნენ ქოქოია კვაშილანეს. შესაძლოა, მომზიბველობაც აშურიანებდათ მისი. ბაძვდნენ სიარულში, ცერზე წანარნარდებოდნენ, თეძობს მიათამებდნენ, თან რალაც-რალაცის იტყინდნენ უბეში, თავზემთ გაჩაჩხულ თითებს შეათამაშებდნენ, კვპპუუუო ქშინავდნენ, თითქოს მისი ცეცხლისფერი თმის დატყვევებას ლამობდნენ, ბოლოს დაძავრავდნენ თითებს (რაც მათებურად ბევრს ნიშნავდა), მომუშტივდნენ მარცხენას, გაშლილ მარჯვენა ხელისგულს ზედ დაარტყამდნენ და გულმოდგინედ დაატრიალებდნენ. ვისი წაწყვეტილი თავი არ დამარხულა მოტიტვლებულ ჰიშკართან, პელანგია მიქახესი, კემე ჩიქსი, გუტია ბეინასი თუ სხვათა და სხვათა. ვის ფიზიკური ნაკლი შეიწირავდა, ვის მომეტებული სილამაზე, ვის — სიმდიდრე, ვის — ხელმოკლეობა, ვის — უძებობა, ვის — მრავალშვილიანობა, ვის — უზნეობა, ვის — პატიოსნება, ასე რომ მთელი არარსებული აკლდამა იყო ელასა და მიწას მოყანყალე ჰიშკართან. შებინდებისთანავე ეკლიანი მავთულით ახლართავდნენ ამ ჰიშკარს, ჩაირახებოდნენ ფიცრულში, შეშად კემე ჩიქას ფიჩხის მარაგს იმპარისებდნენ. ორი საწოლი ეტეოდა ფიცრულში, ციდა სარკმლებს მიკოსებოდა ისინი. შუაგულში, სოხანზე, ოთხკუთხა მაგიდა იდგა, ხოლო ერთკარედთან კიბე ეყუდა. იქ, მალა, ჯადოსნურ სხვენზე იწახებოდა ტბილიკვერი და ჩამიჩი, ჩირი და ჩურჩხელა, თხილი და კაკალი, თაფლი და ორნახადი არაყი. დიასახლისს, რომელსაც ნავიანევი სტუმარი ეწვეოდა და უქონლობით თუ დაუდევრობით მოუწესრიგებელი ჰქონდა სამზარეულო-საკუქნაო, შუამამეც რომ ყოფილიყო, უსათუოდ დე-

ბისათვის უნდა მოეკითხა. თანაც წიწკიკვაკვა მალიჩას იმეგზურებდა. წვალეებით გახსნიდნენ ეკალ-მავთულს, უხმობდნენ საალერსო სიტყვებით (წიწიკვაკვას რწმუნებით, ნაკლებად დეაქერებოდა დებს ყრუ-მუნჯობა). ანთებულ ასანთს ატრიალებდნენ სარკმელში, თითის წვერებზე დგებოდნენ, იქნებ როგორმე მიეჭკიათ დების ყურადღება. როდის-როდის შენიშნავდა რომელიმე მუხლზე წაუჭიკავებდა მეორეს, წამომართებოდნენ და გამოულებდნენ ათასი კაუჭითა და რახა-კოჭაკით ჩაგმანულ კარს. სხვენზე, როგორც წესი, მინავა აცოცდებოდა. ელა ჰრაქს მიუშუქებდა კიბიდან. დიდხანს ფოთიანობდა იქ უმცროსი და, ჩხრიალებდა კაკალი და თხილი, წანწკარებდა არაყი. მანდარინს და ტყლაპს უსათუოდ ჩამოუტანდა წიწიკვაკვა მალიჩას. მზიარულობდა. რამდენჯერმე საჯდომზე შემოპკრავდა ხელს დედაკაცს (ასე ესიყვარულებოდნენ გათხოვილ ქალებს, რომლებსაც, მათი აზრით, წიწიკვაკვა აკოტრიალებდა, როცა ჰკითხავდნენ ამაზე, ორპროვანად გაიცინებდა ნესტოში ცერგარკობილი), ან სახეზე ნაზად მიადებდა ნივრისუნიათ, დამსკდარ ხელისგულს, რომლის ბზარებში სიმინდის მარცვალი თუ არა, ქინძის კაკალი მიინც ჩაეტეოდა. თითქოს ეუბნებოდა, ჰაი, ჰაი, გაწყდა თქვენი სინსილა! რას თხოვდებით, არ გერჩივანთ ჩვენსავით ყოფილიყავით? რას აჩენ ბალებს? გიხარია ახლა შუალამე წანწალიო?! წიწიკვაკვას მიაჩერდებოდა ვერმიხვედრილი ქალი. ის კი სხაპასხუბით ლაპარაკობდა, თავს აკანტურებდა, თითქოს ყველაფერი წესრიგზე იყო, რაზეც მოჭარბებული ხალისით სხმარტალებდნენ დები, ხელს ირტყამდნენ მუხლებზე, იგრიხებოდნენ, გადაფიჩინდებოდნენ. როგორ უნდოდათ, კიდევ რამდენიმე წუთით შეეყოვნებინათ ანგელოზებივით შემოფრენილები. თითებს უტრიალებდნენ ცხვირწინ, მაგრამ ქალი იბნეოდა, ფრთხილობდა, ეშინოდა, რაიმე უადგილო არ წამოსცდენოდა, თანაც ვერ გაერკვია, რითი და-

ემწყურვალებიანა მათი ცნობისწადილი.
 — რა უნდათ ამ ჩემი ცოდვით სავსე-
 ებს? — ჩაეკითხებოდა მეგზურს. წი-
 წიკვაკვა აუხსნიდა, რა აინტერესებდათ
 დეკს, რა თქმა უნდა, იცრუებდა, ყვე-
 ლაზე საძავლურს, გაუმხელელს აირჩევ-
 და. საჭოროიქნოს გარდა, რას იპოვიდით
 შამგონაში, მაგრამ ფხიზლობდა დედა-
 კაცური რიდიანობაც, მით უფრო, როცა
 მის სიტყვებს ქუჩაში უეჭველი გამო-
 ქენება ელოდა და ხელებს ასავსავებ-
 და. ისინი კი მაშინვე ივიწყებდნენ ამ
 სურვილს, უთათუნებდნენ ვაგა-თეძოზე
 თითქოს არკვევდნენ, რა სიამოვნება
 ელოდა ამალამ წიწიკვაკვა მალიჩას.
 კვლავ ახლართავდნენ ჭიშკარს, გაურ-
 კვეველი ბუტბუტით ბრუნდებოდნენ
 კერიასთან და უსაშველოვდებოდა ლა-
 მე. კოჭებამდე კალთაჩამოფარებულნი
 უხსდნენ ბუხარს, ჭკვიანი თვალებით
 ზსხედნენ ერთმანეთს, გადიოდა დრო
 და მიჰქროდა ზემოზე მამლების ყვი-
 ლით შექაოსებული ზეცა.

ერთადერთი წიწიკვაკვა მალიჩა იყო
 მათი მეგობარი და ნუგეშმცემელი, ღო-
 ბე-ყორე მძრომელი წიწიკვაკვა მალი-
 ჩა. არავინ უწყოდა, რანაირად აითვისა
 მუნჯების ენა. მთელი სოფლის ამბებს
 ხელისგულზე გადაშლიდა, მიმოისვრი-
 და მაჭებს, ბრიცავდა თვალებს, ყირაზე
 გადადიოდა, რაზეც არადაამიანურად
 ტარცალებდნენ დები. ის კი ხლართავ-
 და ათასნაირ ამბავს, თუ ვის სად აუწყია
 კაბა, ვის სად წაუჭირა ყელში, ან ვის
 უპოვა ოქრო-ვერცხლი და თითების გა-
 დაჯვარედინებით როგორ მიიყუჩა... მან
 გაამდიდრა დების ენა. ყოველ ნივთს,
 მოძრაობას თუ მოვლენას, შესატყვისი
 ნიშანი დაუძებნა, ყოველ გრძნობას თუ
 საქციელს მისეული მადლი წასცხო.
 ულვაშზე ხელის მოსმა კაცს გულისს-
 მობდა, თმაზე გადავლება — ქალს. სა-
 ჩვენებელი თითების მიტყუებება —
 ცოლქმრობას, მოკაკვა — ავადმყოფო-
 ბას, დაშორება და ძირს დაგდება —
 სიკვდილს; ნეკზე კბენა — კაკალი იყო,
 ყანყრატოზე შეხება — არაყი, საფეთ-
 ქელზე თითის დატრიალება — კემე ჩი-

ქა, ენის გაღვავება — ქოქოია კვამი-
 ლახე. თანასოფლელების საუბრიდან
 ისესხა ისინი წიწიკვაკვა მალიჩამ, დაან-
 კრა და ახლა უხაროდა დებთან შეხმატ-
 კბილება. შებინდებულზე მიაკითხავდა
 ხოლმე, მოურიდებლად შეალაჯებდა
 ფიცრულში, მიუჯდებოდა ბუხარს, დე-
 ბი კი ზეზეულად ირხეოდნენ, თითქოს
 ზღვის მეწყამულ ტალღებს ეთამაშებო-
 დნენ. ჩაერთვებოდა წიწიკვაკვა და ვიდ-
 რე არ ახრკიალდებოდა ქვაბი და ქო-
 თანი, ვიდრე არ აკრიახდებოდა საქათმე
 და სხვენი, ქარავავდა ათასნაირ თავგა-
 დასავალს, ვის მწუხარებას აღრმაგებდა
 სახედამანჭვით, ვის ბედნიერებას ათი-
 თიმებდა ზეაწეული, მყავე პრას ამწყ-
 ლაპუნებდა წიწიკვაკვა მალიჩა, აცნობ-
 და დაუძინებელ მტრებს, მაგრამ არავის-
 თან უნდა დასცდენოდათ ეს. მთავარი
 იყო გაფრთხილება, თუ გაამხელდნენ,
 ზეციერი შერიხავდათ უეჭველად, ღმე-
 რთის კი, იცოცხლეთ. ეშინოდათ ელას
 და მინაქას, ამიტომაც, როცა საქონელი
 ეკარგებოდათ ხოლმე, ზშირად გაინასკ-
 ვებოდა სკამებისა და მაგიდის მუხლე-
 ბზე ფერად-ფერადი ჭინჭები და ბედზე,
 მეორე თუ მესამე დღეს წიწიკვაკვა მა-
 ლიჩა იპოვიდა უცილობლად ზღვისპირა
 ქალაში თუ სატანჯოს აკლამების შუა-
 გულში; უსათუოდ მგლების ხროვას ან
 დათვის ტორებს გამოსტაცებდა, ყვებო-
 და, რომ კბილებდაკრეჭილი მიცვალე-
 ბულებითურთ თავდასხმას აპირებდა
 მათზე გუტია ბჟინა (ერთადერთი მესაფ-
 ლავის ეშინოდათ დებს, ეშინოდათ მი-
 სი ლეყებისფერი სახისა და თამბაქოს-
 გან ჩაშვებული კბილების. მის გამოჩე-
 ნისას საჯდომზე იბწყენდნენ ხოლმე და
 ჯადოც უძლოურდებოდა) და თუ ქალო-
 დის ფული ჰქონდათ სადმე გადანახუ-
 ლი, აჯობებდა მისთვის მიებარებინათ.
 ხანდახან უბრუნებდა კიდევ პურის
 ფქვილის თუ კალოშების საყიდლად,
 ამიტომაც არაფერს იშურებდნენ მის-
 თვის დები და არც ეს პირმყრალი რჩე-

გური ფეხალავა
 ხანსამთაპი რომანინდას

ბოლა ვალში. ამას წინათ ელექტრონი შემოუყვანა, აი, იქიდან, იქიდან, საგანგებოდ მათთვის. რა თქმა უნდა, იმ გადნახული ფულით, რომელიც ხვალ-ზეგ შესაძლოა გუტია ბჟინას წაერთმია და აღგზნებული ხატავდა მეზობელ სოფელში რამდენს გამოუსვა უკვე ბასრი დანა მესაფლავემ ყელში, როგორ ითქრიალა სისხლმა, როგორ შეხვრიბა მერე იმ კაციკამიამ, იმან. უთოც უყიდა, ექიმიც მოუყვანა ერთხელ ლოგინად ჩავარდნილ მინაკას, წამლებით გაუვსო სასთუმალთან მიჩოჩებული სკამი, სოფელში კი, ბაყაყების მყარულის ფონზე ატივიტივდებოდა თუ არა ღების ზე-

აღმტაცი ხმიანობა, თავის ქნევით გადახედვდნენ ერთმანეთს, აშკარად იგრძნობოდა, რომ ვილაცის სინდის-ნამუსის სამირკველს კიდევ ერთი აგური გამოეცალა ელსა და მინაკას წარმოდგენაში.

უბრუნდებოდა ბორანზე გაშლილ პურ-მარილს წიწიკვაკვა მალიჩა, მადინად ილუქმებოდა ქალების მორთმეულ ხაჭაპურს, ეშმაკურად წყურავდა თვალებს და, ღმერთმა უწყის, რას დასტრიალებდა მისი ფიჭრი, მეზობლების დატბორილ თხილნარებს და ყანებს, თუ კიდევ სხვას, ასე მიუწვდომელს და გაუტყნობიერებელს გულუბრყვილო შამგონელისთვის.

ო ლ ა

წამებად ექცა პელანგია მიქახეს დასაშლელი ოდის ყურება, რომლის უფარდებო ფანჯრებში სიკვდილივით იღუმალი სიჩუმე ჩაბუდებულიყო. ორი კვირის წინ დაცალა სახლი, გაჰვარტლულ სამზადში შეაგროვა ბარგი-ბარხანა, იქ შემყურდოვდა ობლებითურთ, მაგრამ გვიტ რაფა რატომღაც აგვიანებდა ოდის წაღებას.

— მომაშორებდეს მაინც ამ დასაწვავს! — დაიკვნესებდა ქალი და თავსაფრის წვერს უმარჯვებდა წამოთქრიალებულ ცრემლებს. თვითონაც ვერ გავგო, რა ჩააკვნეტიებდა ბავებს, რა უთრთოლებდა სულს, ქალური სისუსტე თუ ჭერაც განუცდელი გრძნობა. მოულოდნელ უბედურებას გაემწარებინა პელანგია მიქახე, შურისგებისმაგვარი რამ ჩანდა მის საქციელში, თითქოს ნიშნს უგებდა მეგახშეს! აჰა, დატკბი, შენ გამაუბედურე და გამაოხრე, სოფლის სიბრაღული ვერ გამმართავს აწი წელში, დატკბი და ილხინეთ! როდის დაბზარვოდა ბედნიერება? ავეჯს და ფართლელს რომ დახარბდა, სამკაულისკენ და სამშვენისისკენ რომ გაექცა მზერა, ჩეროში რომ მიავლო ჩაის საკრეფი კალათი და დედოფლობა რომ შეიფერა იმ დღიდან? იქნებ მეუღლის

ლოთ-ფოთობას რომ წაუყრუა, მაშინ გამოეცალა ფეხქვეშ სიამტკილობა და ეს წლები მოლიპულზე მიქანაობდა ზვავის სისწრაფით? იცოდა პელანგია მიქახემ ქმრის მღაზიის სალაროს დანაკლისი და ვერ ებატიებინა საკუთარი თავისთვის, ასე რომ ეგულგრილა თანამეცხედრეს განსაცდელს. მოყვრულად გაისტუმრებდნენ რევიზორებს და ამგვარად, წლითიწლობით იზრდებოდა დომეცირდას ვალები. უგერგილო გამოდგა ქმარი, მომლხენი და მოთამაშე. სულ განისიავებული ჰქონდა საქონელი, უარის თქმას სიკვდილი ერჩივნა, ჩაინიშნავდა საერთო რვეულში და, თუ სინდისიერი არ გამოდგებოდა, წელიწადი ისე გავიდოდა, არ შეახსენებდა. სოფელს თვალისჩინივით უყვარდა დომეცირდა, მაგრამ სავაზო ვალებში ღაფავდა სულს. იმის ნაცვლად აეკრძალა კაცისთვის ქარხნეცტია მეგობრებში ტრიალი, მიუჯდებოდა გაშლილ სუფრას და ბროლის კბილების ელვარებით მოიღერებდა ყელს. განგაში მართებდა მაშინ პელანგია მიქახეს, სინამდვილეში კი ბეწვეულის და ტყავეულის შრიალით აბრმავებდა ხალხმრავალ წვეულებაქელეხს.

რევიზორების იმ ჭფუფს ვერაფერი

მოუხერხა ქმარმა, არ მალავდა არეულ დავთრებს, მაგრამ დანაკლისმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და როდესაც ცოლსაც ვერ დააცდენინა სანუგეშო სიტყვა, სამზადის ოჯინჯალზე აიბაწრა შეძრწუნებული სული.

სატირალში შემოსული ფული სანახევროდღა გასწვდა ვალებს. ფაცურობდნენ ნათესავები, ჩალის ფასად დაყიდეს ოქრო-ვერცხლი, ბეწვი და აბრეშუმი, ნოხი და ფარდავი, ძლივს აღადგინეს მალაზიის სალაროს წონასწორობა. რალა დროსი იყო, თორემ მთელმა სოფელმა გაუმართა ხელი, მეგობარმაც და შორებელმაც, მინც ვალოკილი თითივით დარჩნენ. გვიტ რაფას სავახშო ვალი კი ძველებურად უფსკრულივით ამოქნარებდა. მიმწუხრზე შემოუფლიდა, ხმას ჩაივიწროვებდა „პელანგია, ა, პელანგია!“ უხმობდა, სად გაქცეულიყო? გამოვიდოდა ჭიშკართან ძაძებმოსხმულს, მკლავზე ფრთხილად შეხებოდა გვიტ რაფა, თითქოს ანუგეშებდა, პროცენტებს უმცირებდა, ფულს ჩუქნიდა პატარებს. თავზარი ეცემოდა ქვრივს, „ჯერ კარგად არც გაცივებულა ჩემი დომე, ასე ხელის შეხებას მიბედავს და მერე რას იზამს?!“

კაცს ვერ იპოვიდით სოფელში გვიტ რაფას მომდურავს, ვახშს იმდენს ახდევინებდა, რამდენიც შეეძლო მოვალეს, არც წამოყვედრება უყვარდა და არც სულს ამოხდიდა, ხშირად სიცილით აპატიებდა უქონელს, ვისგანაც ნერვების მოშლის მეტი არაფერი იყო მოსალოდნელი, სათაგნოს დასჯერდებოდა, ნაწილ-ნაწილ გამაართმევდა, როგორც შეიძლებდა, ისე, დაანამუსებდა, მის სულს მაჯაზე დაიხვევდა და უნებურად ითაყვანებდა. ჯერ არავის ენახა მისგან სახელგატეხილი ქალი, მაგრამ ბევრი შეეცდინა ნებით თუ უნებლიეთ, ეს შიში უწყურავდა გულს პელანგია მიქახეს, არ იცოდა, რა ეღონა, გვიტ რაფას განაწყენება როგორ იქნებოდა, მით უფრო, მის მდგომარეობაში?! არადა, ერთ შებინდებულზე იღლიაშიც შეუყო ხელი, მკერდზე ცეცხლი შეუთხო, მერე

მოუბოდიშა შეწუხებისთვის, ქვრივს მთელი ღამე, ხან ვედროს ეჯახებოდა, ხან-ჯორკოს. მაშინ წამოაგდო ლოგინიდან თორმეტი წლის ყვავანი, მუგუზალს დასწვდა და წისა ქოიახეს თანდასწრებით ფეხებში ჩაუვარდა ნამძინარეც კაცს.

— ხუთი ვაეიშვილის პატრონი ხარ, შენი ჭირიმე, ყველას ცალ-ცალკე დასახლებ ალბათ, წაიღე ჩემი ოდა და მიხსენი ვალისგან! — იცრემლებოდა პელანგია მიქახე, — შემარცხვენენ გაუბედურებულს სინდისგარეცხილები, შემარცხვენენ, — ერთდროულად გულისხმობდა სოფელსაც და გვიტ რაფასაც, — აქამდისაც მხარში ედევნი ჩემს ოჯახს, ნურც ახლა გამწირავ, თორემ ახლოა ენგურო! — ქვითინებდა და როდესაც დაითანხმა ცოლ-ქმარი, მკლავები ჩამოუცივდა გულდათუთქულს.

არ უძუნწია გვიტ რაფას, მისი მიზანი მორვევივით დღულდა. რამდენიმე მეზობლის თანდასწრებით შეაფასეს ოდა. თხმელაში კოპიტის საფასური მისცა, კოპიტში — წაბლისხისა, ერთი სიტყვით, იმდენი, ვალიც დაეფარა და ობლებისთვისაც მორჩენოდა სალუქმაპურო. ყველა უშლიდა ამ ნაბიჯს პელანგია მიქახეს, „კიდევ შეგიგროვებთო ფულს“, ჰპირდებოდნენ, — ამას რას გვიშვრებთო წამგონელებს, ცოცხლად გვამარხივებო პატარებს?!“ კიცხავდნენ, მაგრამ თავაწივით გაეცლებოდა მათ.

ქმრის წლისთავი აღროვა გვიტ რაფამ, მერე ზამთარი მოიმიზეზა, შემდეგ ჭირვეული მარტი, ყოველნაირად აყოვნებდა ოდის დაშლას, ქვრივს აიძულებდა აქეთ მოეკითხა, ვერც საწადელს ისრულებდა და გულში იკლავდა ვენებამორეულ სურვილს. ორი კვირის წინ დაცალა პელანგია მიქახემ ოდა, პატრონი კი ძველებურად არ ჩანდა. კვლავ მუგუზალს დაავლო ქალმა ხელი, საყელოში ჩააფრინდა უფროს ვაეიშვილს და სწორედ ვახშმის პირზე უხმო მასპინძლებს.

ბური ფაბიალავა
ხასიათები რომანიდან

— მაინც არ იშლი შენსას, პელანგია, ხომ? — ხველებით ამბობდა გვიტ რაფა. — რა შეეცოდე ისეთი, თბლების ცოდვა რომ უნდა ამკიდო ამ სიბერეში? — თავსაც იმობხუცებდა. — იმ ცხონებულს გაფიცებ, წამომიყვებდებოდა როდესმე ვალი? იქნებ მოვიკოროს რამე? თავი გინდა მომპკრა შამგონელებში, ნამუსი და კაცობა შემირცხვინო, არა? მჭირდებოდეს მაინც? რა დროს ჩემი ბიჭების დასახელებაზე ფიქრია, იხვებივით ჰყუმალობენ ენგურში და... კი არ გჭუწი მაგ ფულს, დამიბრუნებ ნაწილ-ნაწილ, საცაა ყვაბანიც ამოგიდგება მხარში, ხომ ასეა, ჯიჯი?! — ბუჭუჭა თავზე უალერსებდა ბიჭს კაცი, მერე მეუღლეს თვალით ანიშნა რალაც, ისიც მიუხვდა, სახლში გაუჩინარდა და სანამ გაზეთში შეხვეული მოსაკითხით გამოფრატუნდებოდა, ისეთი თვალე-ბით ჩახედა ქვრივს სულში, ფეხის ფრჩხილებიდან თავის თმის ძირამდე დაანაკერჩხალა.

უთქმელმა სურვილმა უფრო დათუ-თქა პელანგია მიქახე, მკერდზე მიიკრა შვილი.

— უნდა გამიგოთ! — სლუჯუნებდა. — სანამ ის სახლი დვას, ცნობაზე ვერ მოვსულვარ, ხელ-ფეხი შემიკრა, ჩვენი სიყმაწვილის დღეები მარხია შიგ, მიმძიმს, მაგრამ უნდა მოვიცილო! უნდა გამიგოთ! ვაითუ, სოფელმა თქვენს სიკეთეს სხვანაირად შეხედოს. ნათესავი რომ იყოთ, კიდევ მესმის. ხომ გაგიგიათ, ერთხელ გატეხილის ამბავი?! — საცოდავად ქსუტუნებდა პელანგია მიქახე. აი, რაში ყოფილა საქმეო, გაიფიქრა წისა ქოიახემ და დაბეჯითებით შეათვალეოდა ძაძებიანი ქალი. მეუღლის თანხმობამ ფარ-ხმალი აჰყარა მეგახშეს. შეთანხმდნენ: შაბათ დილით მოიყვანდა ხუროებს და რადვანაც ასე განიცდიდა პელანგია, დაშლიდა ოდას.

იმ ღამეს თბილი ზღვაური შემოუძღვა მთვარეს მიყრდნობილ ოდაში ობლებს. იატაკზე დაავო ლოგინი და

შვილებს ძუ ავაზასავით მიუწყავდა გია მიქახე. ეძინათ პატარებს. ჭრიჭინების კაეშნიანი ქორალით ირწეოდა ოდა, მიქროდა გედისყელიან ხომალდივით, სიყვარულის საგალობელს მღეროდა, თითქოს სული გამობმობდა ყოველ კუნჭულს, თავის გაფხაჭუნება იყო ეს თუ სარტყელს შეეკედლებული მერცხლების შეჭიკჭიკება, თავლის სანთელივით ჩამოქნილი სვეტების ლანდი ნაკადულივით მილიკლიკებდა დაცვარულ მოლზე. ნიავი გაეხახუნებოდა ყავარს და სამტრედეს, ამოიკენესებდა სახურავი, ნიენივებს და ბატიყელას გადაეცემოდა ნეტარებაგარეული ჭრილი, მალა, საიდუმლოდა ჩურჩულდებდნენ დირეები, დგარი და თავზე, ბჭობდნენ მტკივნეულ მომავალზე, გაიტკაცუნებდა შეყვარებულთა თითებივით ჩახლართული ნაკადობი, ძილაგამტყდარის აწყლიანებული მზერა კი აივნის რიკულების ჭრილში აცოცხლებდა მოქოთქოთე ჩიტებს და მთვარიანში დარწულ საწუთროს. შეებაგარეული ცრემლით ეთხოვებოდა ქვრივი მზისებრი დღეებითა და ღამეებით დატვირთულ ოდას, ყმაწვილქალურ სიკეკლუცეს, ბედნიერების აცერებულ წუთებს, ერთი მტკაველისხელა ღამეც და, უკანასკნელი ტვირთიც ჩამოშორდებოდა მის მარტოქალობას, უკანასკნელ ვალსაც გაისტუმრებდა, ხელ-ფეხი გაეხსნებოდა, რათა მძლავრ ფრთებქვეშ მომეტებული დედობით შეეყუებინა პატარები. სანამ ახალს აავებდნენ, სამზადიცი დაიტევდა ჯალაბს, გამურული და მიმქრალი ცეცხლის შეუქით მოვარაყებული სამზადი. იქ ტრიალებდა მეუღლის სული. ის დათვარავდა, ის დაიხსნიდა გაჭირვებისგან. ახლაც კი, ავერ მის ობლებს სახეზე გადასდიოდათ მამის შუბლის ნათელი, ესოდენ ნაცნობი ჯიუტად მოკუმული ტუჩებით და ეკალშესეული ძილით.

დილაუთენია მოაყენა მათ ეზოს ჯანდუ შამუგვას სატვირთო მანქანა გვიტ რაფამ. პელანგია მიქახემ გაითვალისწინა ეს, გული რომ აეჩუყებინა მოსულთათვის სათითაოდ გადაჰყავდა სამზად-

1 ბიძიკო (მეგრულად).

ში ძილით მოთენთილი ბავშვები. ხელ-
მადლიანი ხურო გედე აშორტია ნახე-
ვარ წელიწადს რომ ელოლიავებოდა
მის რიკულებს, ორკარედებს, ორფრ-
თიან ფანჯრებს, სიმწრით აქნევედა თავს.
თუთის ხის ძირას მრგვალი მაგიდა გა-
მოიტანა დიასახლისმა, ქათქათა სუფრა
გადააფარა, სკამები შემოიფლაგა, ხილი
და არყით სავსე გრაფინი შემოიღვა. სა-
ზეიმო ელ-ფერს ანიჭებდა თითქოს ყო-
ველივეს, მაგრამ გვიტ რაფას ჩაღუნუ-
ლი თავი გაგრძნობინებდათ, თუ რა
ძვირად უღირდა ქვრივის მიმოსვლა. კი-
ბის საფეხურები მიაჭედეს ერთმანეთ-
ზე, მონდომებით ნომრავდნენ ფიც-
რებს, ჯერ კიდევ გულზე დაეკრიფა ხე-
ლები პელანგია მიქახეს, მაგრამ, როცა
გაზი ესტუმრა ლურსმანს, როცა ახვაწ-
კაწკდა იქაურობა, მუხლები მოეკვეთა,
თითქოს საყაჭე თუთის ტოტი ჩამოეს-
ხიპათ, ისე ჩამოუცვივდა მკლავები.
თეთრპერანგაიანი უნიფხვო გოგონა
ღნაოდა, შეაბობდებოდა კალთაზე,
მაგრამ ვერ იცლიდა მისთვის პელანგია
მიქახე. წახრიალდებოდა სატვირთო მა-
ნქანა, ცრემლიან მზერას გააყოლებდა
ქალი, აღმაცერად შეათვალიერებდა
სკამის საზურგეს მისვენებულ გვიტ რა-
ფას, მერმე ატირებულ პირმშოს წაუ-
თაქებდა, გაშტერებულ ყვებანს მიაჩე-
ჩებდა და იდგა ასე, როგორც ცხდრის
წინ, იდგა და მიაცილებდა, თითქოს სა-
მუდამოდ უნდა ჩაეჩნია, ჩაებეჭდა გუ-
ლში კედლების ელვარება, ზმორების-
მაგვარი ჭრიალი, ისამნისფერი მტვე-
რი მზის შუქზე, რომელსაც საავდრო
ღრუბელი ეპარებოდა თანდათან. ეთხ-
ოვებოდა სიცოცხლის ნახევარს და
ახალ, უფრო წახრილ, უფრო მოეკლია-
ნებულ ნაპირს ართმევდა ხელს. ჯაღოქ-
რული სისწრაფით აქრობდა ცისკენ წა-
წეულ ოდას გედე აშორტია, ნელი-ნელ
დაბლდებოდა ქვრივის ოცნება, ნელ-
ნელა ჩონჩხდებოდა ბუხრის მრუდე
აღობზე.

წვიმის წკანწკარმა და მერცხლების
ფორიაქმა დამდულრა ქლი. წიაჭებდნენ
კულმაკრატელა ჩიტები, სახეზე ეხლე-

ბოდნენ ხუროებს, თავგანწირვით
ბოდნენ ყვითელნისკარტიანი მოჭყლო-
ბინე ბარტყებისთვის. ღნაოდნენ დედის
კაბის კალთებს წაბლაუჭებული ტიტლი-
კანა პატარები და ამ სურათის შემსწრე
გვიტ რაფამ მიწაზე დაახეთქა უწინაფ-
რო ქუდი, თითქოს ხანჯალი დაეტრია-
ლებინოთ გულში ან წიხლი ამოერთყათ
საჯაროდ.

— ობლები მერცხლებს ვერ წავიყ-
ვან მე! — ჩაიდულდუნა კაცმა და უნე-
ბურად წაეტანა არყიან გრაფინს. ორკა-
პა სარზე შეაყენეს სარტყელი, გადახუ-
რეს სახლის კუთვნილი ყავრით, რათა
ბუდეები არ ჩამოერთყება მომძლავრე-
ბულ წვიმას, არ წაელეკა პეშვისტოლა
ბედნიერება და არ დაეთესა უბედურე-
ბა ცისქვეშეთში. სამზადის ისლის სა-
ხურავზე ამავალი კვამლი გაიფხეჭვეშა
თავსმამ. უკანასკნელად წახრიალდა
ჯანდუ შამუგაის სატვირთო მანქანა, ყვე-
ლამ დაცალა თითო სასმისი, გვიტ რა-
ფამ აივანზე მიჭეჭყალ ბავშვებს ხე-
ლისგულისოდენა თუმნიანები ჩამოური-
გა, დაუმშვიდობებლად გაეცალა პელან-
გია მიქახეს, რომელსაც წვიმა უუაბუ-
ნებდა კვლავინდებურად და ნათურქა-
ლი სოფლის გრძობა დაეუფლა ეზო-
კარს. ლაფაროში მივიწყებული ვედრო
ნახევრად აევსო თქეშს და წყლის ნაკა-
დი ახრივინებდა სანთლისფერ ხაპს. სამ-
ზადის აკაციის დავგარჯლულ სვეტებს
შორის დაჭიმულ თოჯზე ჩირი კონწია-
ლებდა. ნაფოტები, შმაღერის ნაუწყები
ეყარა ირგვლივ. აკაფულ ტყესავით მო-
ჩანდა გადახრალი ბუხრის ფონზე ოდის
სვეტები და დარჩნენ გაქურდულ ეზო-
ში პელანგია მიქახე, ბავშვები, სახლ-
წართმეული საყრდენები და მერცხლე-
ბი, რომელთა ჭერიც საგრძნობლად და-
დაბლებულიყო, მაგრამ მაინც ჭიკჭი-
კებდნენ მოთქარუნე წვიმის ჯობრზე და
უცნაური ყავარაჩენები შემოაფეგელა
ქალს. არასდროს მისულა ასე ახლოს
საკუთარი გულის სინათლესთან, თავი

გური ფხაძელა
ხასიათიანი რომანიდან



ამაყად ასწია, წვიმიანი ცა ეფეთქა სახეზე, პირველად იგრძნო ფრთავაშლილი არწივის თავისუფლება, პირველად დაეუფლა ცრემლის შემმუსკრელი გრძნობა, რომელმაც შეებაც მოჰგვარა. მერე რა, თუ დაეშალათ ქარვისკალთებიანი ოდა? მისი სახლის სვეტებზე ბროლის სასახლეს თხზავდა თავგამოდებული ჟღერით, სწორედ ისეთს, როგორსაც ზეასწევდა პელანგია მიქანხს კურთხეული ხელები და თითქოს აღმო-

ჩენამ გააოცაო, პირველად დახტა მისი ქვიშა, ნელინელ მიიხსლოვა სახესთან, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, მიწატკენილ აივანზე ტიტლიკანა ბავშვების სიმრავლემ გაბადრა, ააჩქარა, კილომეტრად ექცა ათიოდენაბიჯი, შეაფრინდა, შემოხვია ხელები, სწორედ ისე, ოქროსფურჩიან სიმინდის ღეროებს რომ ჩაიხუტებენ ხოლმე შესაკონად და, „ჩქიმი თოლი გვირაღეფის“ ჩურჩულით შეაუჩინარა გაკვამლულ სამზალში.

ტაშუ მავა

ლუმელთან მიჩოჩებულ ტაბლასთან ჭრაჭუნ-ჭრილით ვახშობდნენ კამე ჩიქა და ქოქოია კვაშილახე.

— გაგიხმეს ეგ ყანგიანი თავ-კისერი, თუ რამე დამიძალო! დაუფარავად თქვი, რატომ არ განაღვლებს მეუღლის მარტობა?! მართალია, ტყაშ მავას! ნაცვლად ოჩოკოჩი² გსტუმრობსო ახლა?! თქვი, თორემ გაგავდე წვიმაში! — უთხრა ქალმა.

ცალკებად გაიცინა კემე ჩიქამ, ყელში გაეჩხირა ლობიოში ამოვლებული ცივი ღომი, მღელვარების დაფარვას ცდილობდა, მაგრამ ქოქია რისი ქოქია იყო, დაბღურის ნერვის შეტოკება გამოჰპარვოდა?!
 სამხრეთით ემეზობლებოდა იგი კავშილებს. კიმოთია ქარჩას გვიროლებით გადაპენტილი ნასახლარი და თხმელნარი მიჯნავდა მათ მამულებს. კემე ჩიქას ალთა-ბალთას გაქცეული თვლების ბლაგვი კუთხე ერთდროულად ხედავდა მსმენელებსაც, ელასა და მინაკას ტრიფოლიატის გაძვალტყავებულ ღობესაც და დასველეთით წახერხემლებულ გუტია ბეინას სასაფლაოსაც.

თვეში ერთხელ გაპარსავდნენ სამადლოდ სოფლის დალაქები, პახვალა ჭანია და ყვიყვა ლეფსაია, ჩამოჯდებოდა

გადაპრილებული მერხის კიდეზე, მიეყრდნობოდა გაზეთით შეწვილ კედელს, მოაწევდა მისი რიგი, მაგრამ ენაგატლეკილი დალაქები განგებ აყოვნებდნენ და დილაუთენია მოსულს, სამხრობამდე აყოლებდნენ ტყის ასულთან დამართხელების ამბებს. თვალეზი უფართოვდებოდა საუბრისას, ლამის ბუდეებიდან გადმოსცვენოდა, ისეთი სიხარბით მიაშტერდებოდა ხოლმე იმ სურათებს, იმ ხილვებს, მისდა უნებურად აქირქილდებოდა მსმენელი, თანაც ეთანხმებოდა, გამამხნევებელ სიტყვასაც შეაშველებდა, თუნდაც ასეთს: „უყურე შენ იმ ცხენის თავის მაჭიხვინებელს, იმას?! ხო-ხო-ხო-ხო ის დედის მკვლელი, ისა! ამას რას ისმენს ჩემი ყურები?!“ წარბების აზიდვა და ზურგისკენ გადახრაც ახლდა ამ შეთანხმებას, რომელიც აუცილებელი იყო მაშინ, როცა ოცნებაში შემოცურებული ფერია გარინდავდა. მთვარიანში სტუმრობდა ხოლმე კემეს ტყაშ მავა, როცა ფაფარს უწნავდა ტრედანა მერანს მუშტისსიმსო ჭინკა და შამბნარს ჭეგავდა ენმოძალებული ოჩოკოჩი. მგლების ყმული და ჭოტების შეცხადება მოჟონავდა იმ საუბრებიდან. ტყის ღედოფლის სახე ყოველთვის განსხვავებული გამოსდიოდა კემე ჩიქას. ხან აღისფერი თმა ჰქონდა გრძნელს, მაჯაზე გველს დიხვევდა, რომელიც ორკაპა

¹ ალი, ტყის მეფე (მეგრ.).

² ოჩოპინტრე, ვაც-კაცი (მეგრ.).

ენას ალაველებდა, ფეხშიშველა მოაკითხავდა გაყვითლებული ფოთლებისგან შეკერილი კაბით და სიარულისას დამაბრმავებლად გამოუშუქდებოდა სხეული. ზოგჯერ მგლის ფაფარს ჩაფრენილი დააცხრებოდა, ლელვის გაფცქვნილი კანივით გაფატრული მკერდით და პილპილმოყრილი ტუჩებით, ხან კიდევ აბრეშუმის შრიალით მოცურდებოდა, ვეება სავარცხელს უმარჯვებდა ოქროსფერ დალალებს და გვირილები ენეოდა მხრებზე... როცა მისხრობით გულს იჯერებდნენ დალაქები, როცა შეთხელდებოდა მუშტარი და სადალაქოს დაკეტვის ჟამიც მოაწვედა, აქეთ-იქით ამოუდგებოდნენ.

— შენთანებს გაუსაბნავად უყვართ ბარსვა, — ეტყოდა ერთი.

— მაგრები რომ იყვნენ, იმიტომ, — კვერს უკრავდა მეორე.

ალვარდვარებდა ცრემლებს გადმოკარკარული თვალებიდან კემე ჩიქა, დალაქები ტყაშ მათას შეასამდნენ მალიმალ (თმას უჯაგრავდა მისი ხსენება).

ხანდისხან ნაძღვედებოდნენ პახვალა ჭანია და ყვიყვა ლეფსაია, რომელი გაპარსავდა უფრო სწრაფად სახის კუთვნილ ნახევარს. დამარცხებულს უნდა გადაეხადა კემეს გაკობტავების ფული. მაშინ შემოეგზნებოდა კემე ჩიქას დაწვეებს და ნიკაპს ჯოჯოხეთური ცეცხლი, მაგრამ ვაჟკაცურად უმკლავდებოდა წყვილ სამართებელს, ფანქარსაც რომ ვერ წათლიდა რივიანად და მთელი თვე სადალაქოს მოპირდაპირე მხარეს დადიოდა მერმე.

— მოდი, კემე, მოგვიყვიე ტყაშ მათას ამბავი, გაკითხავს თუ არა ძველებურად? — ხითხითებდნენ დალაქები.

— არა, არ გამოჩენილა! — იცრუებდა, ჩალუნავდა თავს, ჯერ არ გამოწვლვებოდა კვირის წინანდელი წამება, ჭკუას ხმარობდა, რომ დათანხმებულიყო, შეიპატიებდნენ, დაიყოლიებდნენ და ისევ განუახლდებოდა ჯვარცმა. მერე გადიოდა დრო, უშუშდებოდა ადრინდელი ტყვივლები, შეივლიდა სადალაქოში, თუმცა ვაპარსვაზე უარს ამ-

ბობდა, ტყაშ მათას იმიზეზებდა, ასევე ვურჩენივარო, ირწმუნებოდა, მაინც აცდუნებდნენ, საპონს წაუსვამდნენ მშრალად, ამოუდგებოდნენ აქეთ-იქიდან ერთი ბლაგვი და მეორე ფხიანი სამართლით და წვერსაპარსი დანის პირზე იკლაკნებოდა მისი ტკბილ-მწარე დღეები.

ბამბაზიის პერანგი ეცვა, მუდამ ამოჩაჩული. ყამირ მიწასავით დამსკლარი ხელები ჰქონდა მზემოკიდებულს და ჩაჯიკვინებულს.

— წავედი ტყაშ მათასთან, — იტყოდა, მოიხუტავდა საწვიმარს გაგანიაში და წაჩლახუნდებოდა. მუხლებამდე წვდებოდა გადაკეცილი რეზინის ჩექმები, ვიწრო, წამოზნექილი შუბლის ზედა ღარს და აგრეხილ წარბებს უერთდებოდა მოკლედ შეკრეკილი, შევერცხლილი თმა. სახელოები უფართხალვებდა სიარულისას. კი არ მიდიოდა, მიბუყბუყვება ჩექმებში ფეხშიშველად ჩამძვრალი და საიდანაც უნდა შეგეხებათ, ზამბარაზე დვასო, იფიქრებდით.

საქმეში დაუზარელი იყო კემე ჩიქა. ხუთი კაცის ღონე ბუღობდა მის ჩია სხეულში, ამიტომაც ხშირად შეიშველიებდნენ შამგონელები თონაში თუ შეშის დაპობაში.

სოფელ-სოფელ წანაყრდებოდა. საქმელს არავინ იშურებდა მისთვის, მაგრამ სასმელს უმალავდნენ. დასალევი სწყენდა, მამალი ინდაურივით გაფხოვრავდა, „ტყაშ მათას“ ძახილით დაერეოდა ქალებს, კაბის კალთებს უწევდა და უბეში უძვრებოდა, ამიტომაც არქონას მოიმიზეზებდნენ. ძველმანებსაც გაიმეტებდნენ მისთვის. ბავშვივით ახარებდა საჩუქარი. რა ამბავია ამდენი ნოშნერიო? ლულულვებდა პატივისცემით გულაჩუყებული. „ნოშნერიო“ მის ენაზე ათასნაირი ვახლდათ, ასე თუ ისე, სოფლისთვის გასაგები იყო კემე ჩიქას ენამოჩლეკილი მეტყველება. მისი სამოსახლოს შუაგულში ჯარგვალი

გური ფაჩალავა
ხასიათები რომანიდან

დაფუყულიყო, ერთადერთი ჯარგვალი მთელს შამგონაში, რომლის ისლის სახურავს მტკაველი კვამლი ებურა ზამთარ-ზაფხულს. ცეცხლი დიხაც უყვარდა კემე ჩიქას, ამიტომაც, რაღა გასაკვირი იყო თუ მის ეზოში ოთხივე მხრიდან ფიჩხი დახროვილიყო. ამ ფიჩხს გაზაფხულიდანვე აწული და ჭინჭარი შეესეოდა, უნასები და ჩალისფერი ვირთხები მოუმრავლდებოდა. მოკვდებოდა და ამ მარაგს ტოტს არ მოაკლებდა. იქიდან ელა და მინაკა იპარავდნენ ხოლმე, ან წვიმები და თოვლტყავი ალბობდა. ის კი უმატებდა ახალს, გამოკრეფდა უღრანის ფსკერს, მხოლოდ ზამთრობით, ისიც ავი ტაროსი თუ შეამწყვდევდა ძელურში, სხვა დროს ორად ორი მსხლის ხის ძირას აჩაღებდა კოცონს. დანარჩენი ხეხილი რა ხანია მოინელა პირუტყვმა, მერე მოჭრა ყველა და ცეცხლს შეურთო. მსხლებსაც იგივე ბედი ეწეოდა, წიწიკვაკვა მალიჩა რომ არა. შენი მშობლები მარხიან იქ, ეხუმრა და აკვანში დაობლებულსაც მეტი რა უნდოდა?! ცეცხლით დარაჯობდა დედ-მამის საფლავს, აესულებისგან იცავდა, საქონელს არ აკარებდა. თუ მაინცდამაინც რომელიმე გაჯიუტდებოდა, მორიდებით წაავლებდა რქაში ხელს.

— ნუ მიწუხებ ბაბაჩიას და დედაჩიას, — ვედრებოდა, ზურგს უფხანდა, თივაც ყოველთვის ჰქონდა შემონახული ასეთი შეუსმენარისთვის, დაუყრიდა და ნაღვლიანად ესაუბრებოდა, — თუ ხეებს არ გაეკარები, არც შემდეგში იზარალებ. ხომ უნდა გავუგოთ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს?! ასე, ჩემო ბაჩაჩია, ბუსკა! განა დამიშლია სხვა ხეებს რომ ეხახუნებოდი, მაგრამ დედ-მამა, ხომ იცი, სხვაა მაინც.

არაფერი ერჩინა საზამთრო მსხლის ჰამას, ყველაფერი მისით ჰქონდა სავსე. სკოლიდან მობრუნებულ პატარებსაც უმასპინძლდებოდა ხოლმე (უმწიფარის ჩამოგდებას კი არავის აპატიებდა), ჩამოჯდებოდა თხრილის პირას და მათი თვალთვალით დნებოდა. უძილობა

იყო მისი მთავარი მტერი. თეხრანს ტუტს ხავდა ღამეებს იმ ხეების სიახლოვეს დანთებულ კოცონთან. სკამ-ლოგინზე წამოწოლილს, ნახევარი საათით თვალის მილულვაც ჰყოფნიდა. ალიონზე, გადასწევდა თუ არა ბინდის ფარდას ცისკარი, წაუტყუტდებოდა ხუჭუჭა ტყეებისკენ. რა ეშველებოდა ამ ჩალაიასო, ებრალეობდათ თანასოფლელებს, საკუთარ თავთან დარჩენილს კი ვერაფრით გაეგო, რისთვის მიადევნებდნენ მის ვიწრო მხრებს ამ სიტყვას, მოსულელს რომ უახლოვდება დედა ქართულში. ეზრდებოდა დილას ფრთები, კემე ჩიქას ჯარგვალის გარდა, ყველგან ჩააღწევდა იგი, უღრანების ფსკერშიც და კუბრისფერ ღელეშიც. გაქუცული ქამრით შეკონავდა ფიჩხს (აბა, წაღს ან ნაჯახს როგორ დაჰკრავდა სულიერს?!). მწყურალად გახედავდა ტყეებით დასახლებულ სოფელს, ჟანგისფერი ნაფოტებით ამოივსებდა უბეს, კვირის სამყოფს ზიდავდა კორძიანი ქედით. დაყრიდა ფიჩხს მსხლების სიახლოვეს და კვლავ უსიერს მიუბრუნდებოდა, ოცნების სასახლედ იქცეოდა, მერმე გაუოცდებოდა რუსთან შეტოკებულ ოქროლილას, შაშვის წაკვნესებაც შეეშველებოდა კემე ჩიქას პეშვისტოლა, ბალნით ამოტენილ ყურის ნიჟარებს, გაირინდებოდა თვალგებახუჭული, მუხლებამდე ხელებდათრეული და როდესაც გამოერკვეოდა, მზე ტყის თავზე იყო უკვე. კვლავ შეკონავდა ფიჩხს, წამოხუნტურდებოდა და შებინდებამდე რამდენიმე საათით ადრე გაათამამებდა კოცონს. ზომაზე გრძელ ტოტს გაღაიმსხვრევდა წვეტთან მუხლზე, შესცივნებდა ნაკვერჩხლებზე აცეკვებულ ცეცხლის ენებს, დროდადრო სამხრეთსაც შეავლებდა შიშნეულ მზერას, მერე იქიდან წამოკისკისდებოდა ალისფერთმიანი ტყის ასული — იერშეცვლილი ქოქოია კვაშილახე, ჩაითრევდა ვნების მორევში გონებაარეულს და როცა გამოერკვეოდა, მინავლულ კოცონთან ეყარა ფოთლები და შემეკნარი გვირილები. როდესაც აცივდებოდა და ზღვის-

პირეთი უხმობდა იხვებზე მონადირეებს, კემე ჩიქას ცეცხლი მფარველობდა ყველას, შემოუხსნდებოდნენ სოფლის ბიჭები, გაიშრობდნენ დასველებულ წინდებს, წანაყრდებოდნენ, არაყს მიაცობდნენ, მასპინძელსაც უწილადებდნენ ერთ ჭიქას, რომელიც უცნაურად აღაჯუნებდა თვინიერს.

—სად ხარ, ტყაშ მათა?! გამოდი, ტყაშ მათა! —ხან ევედრებოდა, ხანაც ძალღვივით შეჰყმუოდა უღრანებს. არად აგდებდა მონადირეების მხიარულებას. სანამ მკლავს არ გამოსდებდა ვინმე, კოცონთან არ მობრუნდებოდა, ჩამოჯდებოდა მერე სკამ-ლოგინზე და ყვებოდა მეთათსედ.

—ყოჩად, კემე! —ზურგზე ხელისგულს უტყაბუნებდნენ.

—მაგრად დაუდექი, მაგრად! —ხარხარებდნენ ახალგაზრდები.

მის დახატულ ტყაშ მათას ქოქოია კვაშილახეს ამსგავსებდნენ უფრო. ღმერთმა უწყის იმ ხელიდან გავარდნილის თავი! მოაჯადოებდა ამისთანა კუროს, აბა, არა? გაუზიარებდნენ ექვს და:

—ეს რა მესმის?! ეს რა მესმის?! — იბღაჯლებდა და მსხლის ხეს დაახლიდა შუბლს, თუმცა, აბა, ოთხი თვე იწურებოდა, რაც ყველა ეჭვი გაუქარწყლა სოფლელებს წიწიკვაკვა მალიჩამ. დაუჯერა კემე ჩიქამ ეშმაკის მოციქულს და მისგანვე დარიგებული და შეგულიანებული კვატალა ჩხაპელზე ჯარგვალაში შეიტყუა, რჩევისამებრ, შემოაფლითა კაბა, გოცებამ მოკლედ შეკრეჭილი თმა აუზღარბა დაგვაჯულს.

—კი მაგრამ, შენ ხომ კვატალა ხარ? —შეჰბედა მოგვიანებით.

—ჰო! — უჩუბრულა შეშინებულმა.

—კვატალაც და ტყაშ მათაც.
კემე ჩიქამ უაზროდ მოიქეჟა კვადა. საჭირო სიტყვას ეძებდა, დაბნეულობა ამუნჯებდა.

—ის ტყაშ მათა სხვანაირი რომ იყო? უფრო მსხვილიც და ცეცხლისფერთმანიც? —ამბობდა და ლოყებს ბუშტავდა.

—მერე რა, შენთან სიარულმა გამახ-

ლუნა, — ნელინელ თამამდებოდა კვატალა.

—კი მაგრამ, ის რომ კოჭლი არ იყო? —კვლავ გოცებით ეკითხებოდა და კეთფას იქეჟა კემე ჩიქა.

—შენთან სიარულისას ვიღრძე ფეხი, — არწმუნებდა კვატალა ჩხაპელზე და აბა, მეოთხე თვე იწურებოდა, რაც ღობე შემოესალტა კემე ჩიქას მამულს, მეოთხე თვე იწურებოდა, რაც აქეთურების საქონელს მხარი აეჭკა, მეოთხე თვე იწურებოდა, რაც კემე ჩიქას პეშვისტოლა ყურის ნიჟარებში შეთხელდა ბალანი, დათმო ბამბაზიის გახუჭებული პერანგი, წვერიც მოპარსული ჰქონდა და ალთა-ბალთას გაქცეული თვალეზიც ბუდეებს დაუბრუნდა; მეოთხე თვე იწურებოდა, რაც არ მისტიროდა უღრანებს, მსხლის ძირას დანთებულმა ცეცხლმა ჯარგვალაში გადაინაცვლა, გადატრუსულ, ნაბღისგაშლა მიწას მოლი მოეკიდა, ხოლო უხვმზიან ალაგას ბოსტანი გაჩნდა. დასხდებოდნენ ხოლმე კვატალა და კემე სკამ-ლოგინზე, გამობერილ მუცელზე მიადებინებდა ქალი დაკორძილ ხელს, „შენი შვილია აქ“, ეტყუადა, კემე ჩიქა კი ნეტარებით იღიმოდა, აღმაეცრად გაიხედავდა მაინც ქოქოია კვაშილახეს ფიცრულის მიმართულებით, თითქოს იმ ტყაშ მათას მოელოდა, რომელიც მართლაც რომ გასაოცრად განსხვავდებოდა ამ ტყაშ მათასგან, მერმე ყრუდ იტყოდა თავჩაღუნული, რატომ არ აჩენ ამდენ ხანსო? გადააკისკისებდა კვატალას ქმრის სიმორცხვე, თავზე წაუთათებდა, რა სულსწრაფი ხარ, შე უბედურო, ერთი თვეც მოითმინე და გეყოლება შვილიო, დააწყნარებდა, წამოიმართებოდა კენესით, დასწვდებოდა ქვას და „სამღლებოს“ ძახილით ესროდა ელასა და მიწაკას წამოდენილ საქონელს, ბღავილით რომ წრიალებდა მათ ღობესთან.

რალაც აწუხებდა მაინც კემე ჩიქას.



აი, მაშინ შეუვლდა ქოქოა კვაშილახეს. ხან შეშას უჩებდა, ხან სიმინდს უფშენიდა, ხან კიდევ წისქვილში გაეგზავნებოდა. თვითონაც ვერ გაერკვია, რისთვის აკითხავდა, რაღაც მშობლიური

სურნელი დაჰკრავდა ქოქოა კვამილახეს. ხეს გასამზებურებლად გამოფენილ ქვეშაგებს...

და რბოდა სოფლის პირას ბინდისფერი ენგური.

ბორონჯია

მთვარით მოსირბულ სასაფლაოზე დააბიჯებდა გუტია ბეინა, სწორედ ისეთი, ხალხს, რომ გაეცოცხლებნა ლექსში, ჰინკების გაჩენილი, გველების მომჭადობელი, მკვდრის გამბატიოსნებელი. ვნებათ კუზიანი მოგვეკვდომოდა, ვნებათ — კოჭლი, ისე გააკობტავებდა, არ წამოდგესო, შიშობდნენ ჰირისუფლები. ხან კიდურებს უგრძელებდა მიცვალებულს, ხან ჰალარას უსპეტაკებდა, ჩქმეტდა და აგინებდა უღირსს, ყველაფერს უმრთელებდა, გატეხილი სახელის გარდა და მარხავდა საერთო სასაფლაოზე, სადაც ერთმანეთის გვერდით განისვენებდა შურიანი და კეთილი, წმინდანი და უზნეო. რამდენი სიკეთე და სიმწკარტე ჩაღეჭოდა სულში, დააბიჯებდა და უხაროდა მთვარის თანდათან გადახრა. გუტია ბეინა სასაფლაოთი ზომავდა კაცის ჯიბეს და გონებას თუ რამდენი სასახლე და მარმარილო დანათოდა თავზე, სად წაეღო ფული შამგონელს? ხომ უნდა გამოეჩინა როგორმე და ბზინავდა მისი სული კარ-მიდამოდან მოყოლებული, საფლავის ლოდით დამთავრებული. ეს ჰრილობებიც დაიფარებოდა ოდესმე ათასწლეულის მტვრით, ჟანგი შეჰამდა რკინა-ბეტონს, იმ კულდაზიკობსაც, ერთმანეთთან ჯიბრს, რომ მოემადლა აქაურისაფვის. ოდნავდაც არ ანადგვლებდა გუტია ბეინას ჰორწილებში რომ არ პატიუბდნენ. რა მისი საქმე იყო ლხინი? მას მკვდრების დამარხვა ევალებოდა, სოფლის აზრით, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება, ღრმად, ძაღლს რომ კბილი არ მიეწვდინა და დინგი — ღორს. პირამიდებმა ვერ უკვდაყუო ხალხი, ესენი კი ჯართით ცდილობენ გაუ-

კვდავებასო, ღიმილით გაივლებდა გულში, მერე აღიღინდებოდა, თითქოს საფლავთან კი არა, ყურძნით საგვე წაწახელთან იდგა, შარვლისტოტებაკარწახებული, ლაპლაპა ფეხებით, აღიღინდებოდა და მზერაში შემოთანდათანდებოდა კაკლის ხეივნებს იქით აფთქებული ცისკარი. იქით მიუჩქაროდა, იმ შეგუბებული სილურჯისკენ.

—ჩემი მოტვამს და, რახან ამოგიჩემებიათ, რაღა გაეწყობაო, —ფართოდ რომ შლიდა ხელებს არდაშეღ არაპამია თხუთმეტი წლის წინათ, ის წუთი ახსენდებოდა ახლა, მესაფლავეს მინც გადასწვდა მაშინ მისი მოასპიტო ენა, იმ გამოსარჩლებისთვის, აშკარა უპირატესობა რომ არგუნა ბაკურ ოდოიას სიტყვას.

—შენც ხომ კაკლის ხე არ დაგირგოთ მერე, გუტია? — დასცინა მესაფლავეს.

რომ არა ის აღელვება, რამენიარად შეიკავებდა თავს. დიდ სამამულო ომში შეიდი ვაჟიშვილის დამკარგავს, ასე თუ ისე, პატივისცემით ეპყრობოდა ზიგზაგიანი ცხოვრება და გუტია ბეინამაც არ დაუყოვნა პასუხი.

— რატომ, არდაშელის ჰირიმე, ზოგ-ზოგივით თოფი რომ არ გავარდნიათ ჩემს ბიჭებს ღობის ქვეშ გაძრომისას, მისთვის? — თვითონაც არ ელოდა ასე თუ შეჰკადრებდა მამის სიკოჭლეს, რომელიც ორმოცდაერთის ივნისის თვის მეორე ნახევარს დაემთხვა მისდა სავალალოდ. იმ ერთადერთმა კურცხალმა ეღვასავით რომ დაბასრა შამგონელების მზერა, მეტი გააკეთა, ვინემ მთელი ორი საათის ბჭობამ თუ ძიძგილმა. მართლაც, შინმოუხსველთა პარკის გაშენ-



ბაში რა უნდა ყოფილიყო ურიგო? მაგრამ, რადგანაც თემჯდომარეს არ მოაფიქრდა პირველად, რადგანა აქაც აჯობა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, წინ აღუდგა მის განზრახვას. ხეივნის გაშენებას მემორიალური დაფის გახსნა და ობელისკის აღმართვა დაუპირისპირა, თუმცა ჰაბუკმა ქვა აადლო და თავი შეეშვირა.

— ჩვენ, ახალგაზრდებს, ყორე კი არა, სულის მოსაბრუნებელი საჩრდილობელი გვეჭირდება, რომელიც ზენა ქარებისგანაც დაიცავს სოფელსო, — და როცა ერთხმად ბანი მისცეს ტოლებმა, როცა უკან დასახევი გზა მოუჭრა თავმჯდომარემ, ამჯობინა, რაღაც მისეული მაინც მიეტმასნა, მიეხმატბილებინა მათი გულის ძახილისთვის.

— დალუპული ვაჟკაცების სახსოვრად თითო ჰადრის ნერგი ჩაერგოთ, მალეც წამოქოჩრდება და იაფადაც დაგვიჯდება, — თქვა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუჭარდა.

— სარგებლიანობაზე ფიქრი რას მიქვია, როცა გმირებზეა საუბარი! — უკუას ასწავლიდა ბაკურ ოდოია. — არავითარი ჰადარი და თხმელა, არავითარი წყავი და ნაძვი, მხოლოდ, და მხოლოდ კაკლის ხე, ხალხო! — დაასკენა.

„შორს წავა ეს მამაძალი“, გაიფიქრა გუტია ბეინამ.

აშკარად ხედავდა ყველა, როგორ წამოაჩოქა თავმჯდომარე ბაკურ ოდოიამ ორთავე მუხლით, როგორ მისწვდა გულში ბრტყელბეჭიანი, როგორ მოუწურა და მოუწურა, როგორ აგრძნობინა, არაფერს რომ არ მოუტანდა მასთან კამათი. ვერც ადგილის გამოყოფაში დაიყოლია კომკავშირის კომიტეტის მდივანი. სირეგვენდ მიიჩნია ჰაბუკმა შინმოუსვლელოთა ბარკის სოფლის სამხრეთით გაშენება, სადაც ნოყიერი მიწები ჰქონდათ შამგონელებს საყანედ. განგებ ყველაზე ბერწს დაედირა, სასაფლაოს გაგრძელებაზე, ჭოფია გელანტიას ბორანს ზევით, ენგურის გაყოლებაზე.

— ჯერ ერთი, — ძველებურად სვეტიდეს არ თმობდა ბაკურ ოდოიამ გმირთა სახელები სტუმარს ჭიშკართან უნდა დახვდეს, წესისამებრ, მერე იმ ჯანგარსაც ეშველოს იქნება რამე, თანაც პარკი მაგალითი იქნება საფლავების იმ გადაგვარებულ პატრონებისთვისაც, რკინა-ბეტონს რომ გადაჰყენენ ერთმანეთთან თავგადაკრული ჯიბრით!

სასაფლაოს აუგად ხსენებამ გაუნაწყენა აქამდე ერთსულოვანი მრევლი მოპაექრეს, მაგრამ გამოესარჩლა გუტია ბეინა და მისკენ გადახარა სასწორის პინა. მაშინ აიტაცეს ერთხმად, ენგურის პირას გაშენდესო შინმოუსვლელოთა პარკი, კაკლის ხეებით გაშენდესო და აჰა, თხუთმეტი წლის მძლავრი ტოტებით მოემწყვდია ახლა კაკლოვანს მშობლიური ზეცა. სასაფლაოსგან განსხვავებით, სხვა სურნელი ქროდა აქ და რაც უფრო იხლართებოდა ტოტი ტოტში, მით უფრო ექსოვებოდა შამგონელი კაცის სიტყვა სიტყვას, ოცნება—ოცნებას. აქ ვერ იპოვიდით ძირძველ ოჯახს, რომელსაც ერთი კაკლის ხე მაინც არ უშრიალეზდა ხუთიოდ ჰექტარ მიწაზე. ბარკის სასაფლაოსგან გამოიჯენა შინდლომა ერთხელ არდაშულ არაჰამიამ, მაგრამ ბაკურ ოდოიამ თქვა, სიბრიყვეა მათი დაშორება, სიკვდილ-სიცოცხლესავით უნდა მეზობლობდესო სასაფლაო და პარკი, იქითკენ ნაღდი მკვდრები, აქეთკენ — უკვდავები და ცისფრად შეღებილი საერთო ჭიშკარი შეაბეს მერე როგორც კი მავთულ-ბადით შემოაკავეს.

არავის დაუვალეზია გუტია ბეინასთვის პარკის მოვლა. ეს თითქმის ბუნებრივად მოხდა სასაფლაოზე ყოველდღიურ ფუსფუსში. აბა, მეტი რა დარჩენოდა უშვილიძროდ ამოქვეყნებულ კაცს?! პირველად მშობლიურ ხეებს პატრონობდა, შემდეგ მეზობელ ნერგებსაც მიუფერებდა, ფაქიზად ჩამოაშორებდა ქართ ჩამორაჯულ შიმელებს, მერე და მერე სასხლავი მოუშინაურდა მის მიწისფერ ხელებს, ლიღინ-

აური ფხეღავა
ხასიათები რომანიდან



ლიონით გარშემო უვლიდა ხეივანს, ცელს, კირს და კუშტად შეკრულ ცოცხს დაუმოყვარდა და ისე შეუმჩნევლად შეესისხლხორცა კაკლოვანს, შამგონელს ვერც კი წარმოედგინა მის გარეშე ეს მალალსართულიანი ზღვა. ახლა ტოლ-მეგობრებიც, თითებზე ჩამოსათვლელი რომ შემორჩენოდა და ახლებიც, ომის შემდეგ რომ ევიწროვათ აკვნები, ტორონჯიას ეძახდნენ. ამ სახელის ხსენება მათში უმაღლვე წარმოსახავდა საშუალო ტანის, გამბდარ, მიწისფერსახიან, ცისფერთვალი მოხუცს, რომელსაც ტომარააკიდებულს ნახავდით ყველგან. მტრედების დასაპურებელს აგროვებდა ამ ტომარაში გუტია ბეინა. დაუყვებოდა სოფელს, დაკაბანდებოდა, წახუსხუსდებოდა შინმოუსვლელთა პარკისკენ.

შამგონა ერთადერთი სოფელი იყო მთელს კოლხეთში რომლის ოდა-სახლებების სახურავებზე მხოლოდ სილამაზისთვის როდი დაეტანებიათ სამტრედები. აქ ვერ მოძებნიდით ოჯახს, რომლის აივანზე, მერცხლებთან ერთად, მტრედებსაც არ დაედოთ ბინა და თუ ვისმე ჭერი ნაკლულობდა ამ სიკეთეს, ყოველი უბედურება,— მოსავლის გაბედითება იყო ეს, საჭონლის სიბერწე თუ ნიკრისის ქარების მოხშორება, სულ უმერცხლობას და უმტრედობას ბრალდებოდა. უფრო მეტი ცოდვა დაატყდებოდა მას, ვისი პეწენიკა რძალი დასკინტული მოაჯირის თუ ბუმბულის გამო, ბუდეებს მოუშლიდა როგორც ერთს, ისე მეორეს. მერე მერცხლის საბუდარის ვერცხლისფერი რკალი რჩებოდა სარტყელზე უკურნელ ჭრილობასავით, მტრედის მოდგმაც სამუდამოდ ამოირეცხავდა გულიდან მათ სამოსახლოს და თუ წაიკინკლავდნენ სადმე, უმთავრესი წამოსაყვდრებელი სწორედ ეს უმერცხლობა და უმტრედობა გახლდათ, ამიტომაც ზღვაურისაგან მიმყუდროვებულ კედელზე ფირფიცრის ყუთებს აჭედებდნენ, ჩაუფენდნენ ლელისპირას დაპუტულ სარდიკიას და უნასივით მიწა-მიწა მცურავ მა-

ფატიას, შეევედრებოდნენ მტრედს გუტია ბეინას და ემგობრებოდა ოჯახს სითბო.

არავის ჰყავდა ამდენი მტრედი, ან თუ ჰყავდა, ისევე გუტია ბეინასგანვე ნაჩუქარი. რანაირი ფერისას არ ნახავდით აქ: ოქროსფრთიანს, რომელსაც წამოპურტულ მკერდთან მწიფე ხართთისფერი სხივები ექსოვებოდა, ალაგ-ალაგ დაწინწკლულებს, ცისფრებსაც ნახავდით, სივრცეში ზეაწევისას სხევებზე ადრე რომ ერწყმოდნენ ცარგვალს, იხილავდით ისამინისფერებს, თალხებს, კუპრისფერსაც, რომელთაც როგორც წესი, სიკეთის კალთა ეფარა. დიას! სწორედ გუტია ბეინას მიწისფერი პეშვით გამოზრდილი მტრედი ბუდობდა მთელს შამგონაში, მერე ომით გაუბედურებული კაცისთვის გაერთმინიშვნელიანდა სასაფლაო, ზეივანი და მტრედი.

ძნელი სათქმელია, ვის მოაფიქრდა პირველად, ტორონჯიას თუ რომელიცა უდიდლო შეყვარებულს, ერთ დილაშმენიერზე მხარზე შემოფრენილმა ჩიტმა სისხლისფერ ფეხზე გამოხასკვული, ასევე სისხლწარვეი ცრემლით შეთხზული წერილი მოუტანა. იქნებ ეს ბუნების საოცრებისათვის მიეწერა ვისმეს, გუტია ბეინა კი სხვა ხასიათის კაცი გახლდათ, რაღაც უჩვეულო გადაწყვეტილებისკენ უბიძგა წერილის კილომ, იქვე მოგოგმანე ნისლას გაატანა და რამდენიმე დღე-ღამე მტრედის ბუდეში თბებოდა გაკრული ხელით ნაწერი, მაგრამ შემთხვევით ეწევი რომ ეწევიკია, ისიც კი არ ჩამოპურიალდება პიტალო კლდის ბუმბერაში მკერდიდან და იმედიან პასუხს სასურველი მისამართი მიუჩინა ტორონჯიამ. ასე ზეცა-ზეცა დიდხანს დაფრინავდა ორი მოსიყვარულე გულის ქალღმერთი გახვეული ნაპერწკალი, ვინემ თამადის ომანთან სადღეგარძელომ არ დამოძღვრა მდინასავით გაცურებული სეფის შუაგულიდან და რბოდა ზეივნის გაყოლებით ბინისფერი ენგური. მტრედები ძველებურად დასტრიალებდნენ შინმოუს-

სვლელთა პარკს, ნელინელ ისე გაერთო გუტია ბჟინა, ისე შეეწიალა შეყვარებულთა ამაღლებული სულების სწრაფვას, ყოველი ჯვარცმული სიზმრის თავშესაფრად იქცა, ყოველი დაბეჩავებული სულის საყრდენად იქცა და სადაც წერილი უძლური იყო, ფეხით შვენიდა. სოფელს, როცა ძირისძირამდე ჩაწვდა ტორონჯიასა და გოგო-ბიჭების მეგობრობას, როცა ვერაფრით ვაწყვიტა ეს კავშირი, თვითონაც მოუხდა მხიარული თავგადასავლით გართობა. ჯერ კანტიკუნტად ესტუმრებოდა მის ფოსტას ყოველდღიური საზრუნავით აფუსფუსებული წერილი, მერე მოუხშირდა და მოუხშირდა, მტრედმა წაშალა შამგონელებს შორის მანძილი, მისით პატყობდნენ ერთმანეთს, სთხოვდნენ საარყე ქვების თუ გუთნის დაბრუნებას, ზოგს ვალს შეახსენებდნენ და ზოგს დანაპირებს, ჭორიკანათა ბატიფეხურიც გაერეოდა შიგადაშიგ, მაგრამ იგი ტორონჯიას მიწისფერი ხელით ნაკუწდებოდა და გაბუნებრივდა შამგონელისთვის წერილიანი მტრედი. ის კი არა, ბოლო სამი თვე, რაც ყვებან ცირდა დაბრუნდა პატიმრობიდან და შეწყდა არდაშელ არაპამიასთან სტუმრობა, უფრო მოემატა საქმე მესაფლავეს. ტოლ-ამხანაგებს ვერ ელოდა ანტისა არაპამზე, ვერც ისინი ივწყებდნენ პირმშვენიერ ასულს, ოღონდ ეს იყო, ყველა ერიდებოდა ყაჩაღის მუჭარას, თუ მხედველობაში არ მივიღებდით იმ ერთადერთ გამონაკლისს, ბუტუტი ანთარიას რომ შეაძლებინა წიწიკვაკვა მალიჩას მაცდურმა ენამ. ის, რაც ამხანაგების ხათრით ეპატია ყმაწვილს, რაც სტუმრობის გამო შეენდო, წარსულს მიბარდა. ყვებან ცირდა გათავისუფლდა დედის, პელანგია მიქახეს მადლისგანაც. მერე რა, თუ შამგონელების საფიცრად ქცეულიყო ხიდისმშენებელი ბუტუტი ანთარია? რატომ უნდა გაეთელა ყვებან ცირდას ვაჟკაცობა მის თავგზაბუნეულ სიყვარულს? ყმაწვილსაც გაეცნობიერებინა ყოველივე, მაგრამ ვერაფერს შეელოდა მის აღულებულ

სულს მეგობრების გამუდმებული გონება, წიწიკვაკვა მალიჩას ხიხინიც გააარავდა მისთვის, ამ ოციოდე დღეში სარჩულიანად რომ გაუსიგრძეებან სოფლის აღმართ-დაღმართი. რა ხანია მოჰქონდა წერილები ტორონჯიასთან, პასუხი კი არა და არ ჩანდა. ვერც ყვებან ცირდასთვის მიცემულ სიტყვას ტეხდა — არ დაეკარება ჩემი ფეხი იმ ოჯახსო, ვაჟკაცურად უთხრა და როგორ შეერცხვინა თავი?!

თუნუქის მართუტობა კოლოფების გარშემო ირეოდნენ მტრედები, როცა შინმოუსვლელთა პარკში შეაბიჯა ბუტუტი ანთარიამ. მოხუცს მკერდზე, თავზე, მხრებზე, ხელზე ფრინველები ასხდნენ. პაპას ნახავდით ასე შვილიშვილებში გათუღს. თითით მოუხმობდა მტრედს, ისიც მიუხვდებოდა, მაჯაზე დააფრინდებოდა, მერე სხვები და სხვები, ტალახიანი მარჯვენით მომუშავდა დაღერლილ სიმინდს ბრეზენტის მოსასხამის ბარაქიან ჯიბეში და მოკაპკაპე ნისკარტებს უნაწილებდა.

ყმაწვილის მოახლოვება დამფრთხალმა ფრინველებმა უფრო აგრძნობინა, ვინმე ფეხის ხმამ. ღიმილი აიშვიათებდა გუტია ბჟინას. რა ხანია მალავდა ანტისა არაპამხესა და ბუტუტი ანთარიას წერილებს, მან ხომ დაბეჭითებით იცოდა ყვებან ცირდას მიუტევებელი ჟანგიანი სულის ამბავი?! ცხოვრებას გაემწარებინა ასე, არდაშელ არაპამიას სიყვარავს გაემწარებინა და ახლა ვინმე შეემეტოქებოდა ანტისას სიყვარულში, ცხადია, არ დაინდობდა. ხედავდა ჭაბუკის არეულ სახეს ტორონჯია, მაგრამ საზრიანობა აჩერებდა, უმანკო სისხლში როგორ გაესვარა ხელი?! კიდევ ერთი დღით როგორმე დააყოვნებდა ქალვაჟის მოსალოდნელ პაემანს, მერე იქნებ ხალხის სიმრავლეს, ხვალ-ზეგ რომ იზეიმებდა ხიდის გახსნას, რამენაირად

გური ფაბიალა
ხანიათმგი რომანიდან



ეხსნა განსაცდელისგან შეყვარებულე-
ბი.

— ხვალ უსათუოდ გამოგიგზავნის პასუხს, ტორონჯია! — ანუ გემა ყმაწვილი, მუჭში ჩაახველა, თრთოლვას რომ არ გაეცა, — დღემდე თუ ვერ შეგეხმინა, რა ქნას მავანაც? ყვებანის ეშინია. აბა, დაფიქრდი, რომ არ უყვარდე, განა პირველი წერილის შემდეგ სხვას წაიკითხავდა? ხომ უკან მოგიბრუნებდა ყველას? მიფრთხილდესო, მიგანიშნებს, მერე დედის ძაძასაც პატივისცემა სჭირდება, ტორონჯია! მესამე კვირაა მიწაში ჩამარხა ანგელოზი ქალი. შამგონის მთელი ახალგაზრდობა მე დავაფრინე, თქვენც მოგიხერხებთ რამეს. წადი, ძმა-ბიჭებში გაერთე, ტორონჯია! მერხზე უსაქმურად ჯდომას და კრიალოსნის მარცვლას შეკვდილი მიჩრჩენია. ვერ ვიტან და ვეკა. მე ან სამარეში უნდა ვიქეპებოდე, ან აკვანს ვთლიდე, ან კუბოებს ვაცოდვილებდე, ან კიდევ მტრედებს ვაპურებდე, რომ არა ესენი, სად ვიქნებოდი ახლა? მაინც არ ვეხატებით გულზე. კი, რაც საფლავი გათხრილა შამგონაში ამ ორმოც წელიწადში, ჩემი ხელითაა გათხრილი, მაგრამ ამ ხელებით გამოთლილი აკვნები არ ირწყევა ოჯახებში? აკვნის და სამარის სუნი სდის კაცს, ამითაა ძლიერი! — დაღერდილი სიმინდი მომუჭა გუტია ბეინამ, ბილიკზე მიმოაბნია, აფუთფუთდნენ მტრედები. — სოფელს ეჩიზნებთან ჩემი ჩიტები, — განავრძო მერე — სოფელია ყველაფრის საზომი, ტორონჯია...

ბუტუტი ანთარია გამოერკვა, ანგარიშითუცემლად გაუწოდა მარჯვენა და ათრთოლებულ ხელებში შეიცვალა სიმინდის ღეროლი. გუნდისკენ მიმართა ჭაბუკმა პეშვი. სამი წამოგოგმანდა, ღულუნითა და ფათქუნით დაასხდნენ მაჯაზე.

— აი, კრელი, ანტისასია, ტორონჯია, — ეუბნებოდა გუტია ბეინა და თანდათან ლითონი ეღვრებოდა ხმაში. ბიჭს კი კვლავინდებურად არაფერი ესმოდა, თითებში მოემწყვდია აფართქალებუ-

ლი ფრინველი და აგურისფერ მკერდს უკოცნიდა. მისმა საცოდაობამ მწყურა გალუნა ტორონჯია, მუშტი მუშტს მიაჯახა და წყლიანი თვალებით ჩააცივდა კაკლის ხეების ხშირი ტოტებით დახლართულ ზეცას. გუნდ-გუნდად აიშალნენ მტრედები; ჩამუხლული მოხუცი წყლით დამბალ ნამცეცებს აცლიდა თუნუქის კოლოფებს, თანაც ხედავდა, რაც განებრაბა ჭაბუკს, ხედებოდა თუ რისთვის ნასკვავდა მტრედის სისხლისფერ ფეხზე წერილს ნაძალადევი ხანგრძლივობით, ხედებოდა, რომ ეჭვი შეეტანა ბუტუტი ანთარიას მის გულწრფელობაში, იქნებ ფიქრობდა, რომ ყვებან ცირდას შიში ამაღვინებდა მესაფლავის წერილს და თუ ასე არ იყო, თუ აგზავნიდა, ბუნებრივია, არ შეუშლიდა ხელს, არა და, ან მხარს წაჰკრავდა, ან წაბორძიკებოდა, მიენარცებოდა ყმაწვილს, დააშორებდა წერილს და მტრედს. გააყრეოლა მოხუცს ბიჭის ჩანაფიქრმა, ფრთხილად ასწია თავი, მოახლოებულს, გაუშვიო, ანიშნა წარბებით, ფრთების ისეთი ფათქუნით აიჭრა ცისკენ მტრედი, თითქოს მარტოხელა აფრა გაეფხიზლებინა უცბად ქარს.

— ნუ სწუხარ, ტორონჯია, — ჩურჩულებდა ის, — წადი, ძმაკაცებს მიეშველე! — ეუბნებოდა და მიწისფერი ხელი უცახცახებდა ბუტუტი ანთარიას მხარზე.

ცისფერ ჭიშკარს მიღმა, მოფუსფუსე ბიჭებს იქით, შუადღის დარბაზში ბარბაცებდნენ ახოვანი კაკლის ხეები, ორსართულიანი სახლები და ხიდის იქით, ერთმანეთზე მიკეპყილი ჯუჯა გორაკები. ქვეყნიერება ტორტმანებდა ბუტუტი ანთარიას მზერაში.

ხანგრძლივი სტვენისთვის არ მიუქცევია ყურადღება ვაჟს, არც მიუხედავს ხევივისკენ, თორემ უსათუოდ შენიშნავდა როგორ დაეშვა მოხუცის მაჯაზე აგურისფერი მტრედი. კი, ზურგით ფარავდა ფრინველს ტორონჯია, მაგრამ, აბა, რა ძნელი მისახვედრი იყო, თუ რას საქმიანობდა ახლა?!





მინდვრის ყვავილი

ფრთხილად! ხელი არ გამიშვა.
 რა დიდ გულზე ხარ?! აქ ქალაქია...
 შენ კი ერთი პატარა მინდვრის ყვავილი ხარ,
 და არა მიხაკი ან ვარდი; — ქალაქელი მეტიჩარები...
 მათნაირად თავადერილი ხომ არ ივლი ამ დიდ ქალაქში?!
 დაგავიწყდა განა, რა სასოებით ჩაგრგე,
 მაღალი მთიდან ჩამოტანილ მუჭა მიწაში?!
 ჩუმად გმაღავდი აქამომდე,
 მერე კი გულში გადაგინახე,
 ჩემს სათბურში ხარ ამოსული,
 ჩემს მტკივან გულში გაფოთილი.
 რა სასოებით გამოგზარდე, რაგვარი ტანჯვით,
 ჩვილი ბავშვივით თავს გეველებოდი,
 ვისგან ისწავლე ეს ამაყი თავის დაჭერა,
 მე ხომ თბილი რძის ნაცვლად, ცრემლებს ვასმევდი,
 მე მოთმინებას, ტანჯვის ატანას შთაგაგონებდი...
 ფრთხილად, ძვირფასო!
 ამ ქუჩაზე რომ გადარბიხარ,
 არ გეშინია მოგრიალე მანქანების ნაკადის?!
 ხომ შეიძლება, რომელიმე მთგანმა,
 ტალახი შემოგახსას და დაგისვაროს
 შენი უბიწო და ფაქიზი კაბის კალთები...
 ხომ შეიძლება, ზედ გადაგიაროს
 ამ გაცვეთილმა ბორბლებმა,
 და ისე მოგასრისონ ასფალტზე,
 წვეთი სისხლიც კი არ დაგდინდეს,
 და ვაიო, არვის წამოსცდეს, არვინ წამოიკვნესოს.
 შეიძლება დაგცინონ კიდევც, ამ მინდვრის ყვავილს
 ქალაქში რა მოარბენინებდა, ქუჩებში რას დაეხეტებოდაო,
 ...მათ რა იციან, რა სასოებით
 და იღუმალად გამოგზარდე გულის სიღრმეში.

ნუ, ნუ მიცქერი საყვედურით
 პაწაწინა მინდვრის ყვავილო,
 დაბრუნდი ჩემთან,
 ჩამოდე თავი ჩემს მუხლებზე,
 დამშვიდდი, შეგთხოვ.
 მე შენ გიმღერებ მიმწუხრისას
 მოთმინების მღუმარე ჰანგებს.
 ...რატომ მატყუებ, რომ ეს წვეთები
 შენს ფოთლებზე — ნამია მხოლოდ,
 რომლებიც ზეცამ გულს დაგაბნია?!
 ...

მე ვცნობ ამ ცრემლებს,
დადენილებს გულისგულიდან,
ეს ძახილია მობიბინე ლამაზი მინდვრის
ეს ქვითინია ფეხდაუდგმელ პატარა მიწის
ამ დიდ ქალაქში დაკარგულებს რომ მოგვეტირიან.

ჩამოდე თავი, ჩემს მუხლებზე მშვენიერო მინდვრის ყვავილო.
მე შენ გიმღერებ მიმწუხრისას
მოთმინების ჩაკირულ და წამებულ ჰანგებს.

სიმშვიდე...

ჭაობისფერი ხელები მოცურავენ
შორეული ნისლეულიდან;
გამყინავი გრძნეულებით ავსებულები,
ისე ჩქარა მიახლოვდებიან, —
დაძახებასაც ვეღარ ვასწრებ,
ვეღარც გაქცევას...

ლამის სახეზე შემაცოცდნენ...
ცივისსილიანებს, საშიშართ და ეგოდენ გრილებს, —
სათარეშოდ, — ტკივილებით დანადმული,
ჩემი მკერდი აურჩევიათ.
და თითქოს სარეველებს მაცილებდნენ,
ისე მაწყვეტენ მკერდიდან ამონთებულ
სიხარულის ცეცხლისფერ ყაყაჩოებს, —
ისე მშვიდად,
თითქოს ქალი აღარც ვიყო,
თითქოს აივნებზე გადმოკიდებულ
ყუთებს მარგლავენ...

...ისე მმარგლავენ, ისე ნელა,
შემპარავად, შეუბრალებლად,
თითქოს ეს ყვავილები,
ტკივილების ნაღმებისგან არ ფეთქდებოდნენ,
და მზისგან აბრიალებული ჩემი სისხლით
არ იყონ ასე გაჩახჩახებულნი.



აკაკი ვასაძე

პარიანციები სიყვარულის თემაზე

პარიანცია № 2

„მე ისევ გიმღერ — სიყვარულს“

მე შენ მიყვარხარ,
და აღარ ძალმიძს რომ არ გითხრა,
რომ შენ მიყვარხარ, —
და არც რა გზა მაქვს,
და არც რა ხსნა მაქვს რომ არ მიყვარდე,
და უკვე მივხვდი:
რარიგ ამაოდ ვთმობდი შენს თავს იმ ზრუნვის წილად
დაგვემოდ ფიქრით რომ გამქონდა ამ სიმწერის გზაზე,
და შენს სიცხადეს,
და შენის ნდომით ყოფნის სიხარულს
რა ბრმად ვწირავდი
შორით გამომკრთალ ზმანებათა ფერად ჩვენებებს,
რომ მიზიდავდნენ მიუწვდომელის წვდომის წამებით, —
მე ეს ცხოვრება დამეხებდა წვდომის წამებად,
და რა უიღბლოდ გადამავიწყდა,
რომ ტანჯვის ღადარს სიხარულმა თუ არ ასუნთქა,
ნაკვერჩხლები სულ უნუგეშოდ ჩანავლდებიან...
მე სიხარული გამომეცალა —
ძვირფასო, მე შენ გადამავიწყდი.

და უშენობით,
შეუმჩინევლად და უნებურად,
ფიქრს ვნების გეში გამოელია
და წინ,
სივრცეში,
ფერად ლანდებად განსხეულებულ ოცნების ნაცვლად
განევრცო უტყვი და უფერული სიკარიელე
და ჩემს სავალსაც მე მივყვებოდი უკვე არცსაით,
ისე, რომ თვითონ აღარც ვიცოდი —

რისთვის?

სადამდე?

და მერე,

როცა

შემომეძარცვა ყველა სურვილი

და გავიფიქრე,

რაც კი რამ იყო — თურმე ყოფილა მხოლოდ ტყუილი,

და ცხადი დარჩა —

რა?! —

სინანული უნუგეშობის, როგორც სიმბდალე,

მე —

დავიღალე,

მე —

სიმწრით მუხლი მომედრია,

და ის-ის იყო,

ამგვარ ყოფნისთვის მსურდა უნდილად მერქვა არყოფნა

და ჩემივ ხელით გადამეხლიჩა სახეზე უთნო გესლის ღიმილი,

რომ,

უცებ,

ხსოვნამ ამოიხვნეშა,

და ისე,

როგორც

სანატრი სიტყვა სიკვდილმისჯილის

და ღვთის წინაშე ერთადერთილა სავედრებელი,

მე —

შენ გახსენე,

ტუჩებმა ძლივ-ძლივ უხმოდ წარმოთქვეს შენი სახელი

და —

დაგინახე:

იქვე,

გზის პირას,

იდექი ხის ქვეშ არავისი და უმოსელი,

და ჟრჟოლასავით გეტმასნებოდა

დავიწყების ხავსი და სურო,

თვალეში მუქად ჩაგფენოდა ბინდი ნალველის

და უგზოუკვლოდ მოხეტიალე და უსულგულო

ჭარი შორიდან ფიტულეებივით მოაგელებდა

ღრუბლის ურჩხულებს

და როცა,

ესევე,

შენი სახელი ჩავიჩურჩულე,

და შემომხედე,

და ვით ოდესღაც

შენდობის ღიმილთ გაიღიმილე —

მე შენ გიცანი,

სიყვარულო,

და კიდევ უფრო —

მე შენ

გიხილე.


და ისე, როგორც გზაბნეული მიელტვის საშველს
და როგორც სულდგმად ეხიბლება მწყურვალს მთის წყარო,
ისე მწყურხარ,
ისე მჭირდები,
და მსურხარ ახლა,
აქ,
სწორედ ახლა,
როცა დაცემა ზურგსუკან მალავით წამომპარვია
და მე კი, მუხლზე ჩაჩოქილი,
უკანასკნელ ძალღონეს ვიკრებ
და გაშმაგებით ჩაეძახი მიწას:
— გესმის? მე მიყვარს!

და თუ იქ,
მალა,
სადღაც ღრუბლებში,
ჰაეროვანი ლანდნი ჰკვირობენ
და დამცინავად გადმომცქერიან,
რომ შევლას ზეცად კი არ ვვედრებ —
მიწას ჩაეძახი,
და შევების ნაცვლად ვუხმობ სიცოცხლედ
შენს მკერდს,
შენს თვალებს,
შენს სხეულს ვნების თრთოლვით ასხლეტილს,
დე იდიმილონ მათ, უზრუნველად ღრუბლებში მყოფთა,
მე კი ვარ —

კაცი,
და ცაში ფოფინს
ვამჯობინებ შიშველ ტერფებით მიწაზე ვიდგე
და ჩემს წილ ვზაზე ვზიღო ჩემივე კუთვნილი ტვირთი
და,
თუმცა სიმწრით მუხლსაც კი ვიდრეკ,
და ჩემივე ცთომა,
და ჩემივე ცოდვა სულსაც კი მიღრღნის,
შენ არ იფიქრო, თითქოს ვარ სუსტი
და უბადრუკად ცხოვრებას ვმონობ, —
უძვირფასესო, ეს იმას ნიშნავს,
და ნიშნავს იმას მხოლოდ და მხოლოდ,
რომ მე ვარ კაცი,
მუხლში მგლის ღონე რომ ჩაუდგია,
მხრებზე კი ტვირთი აუკიღია თვისივე ნებით
და რა ზანია უდრტვინველად მიჰყვება მაღლობს,
და —

თუ კი ვცდები
და, მით უმეტეს, ჩემივე ბედით თუ შეგძრწუნდები,
მუხლის მოდრეკა უძლურებად არ მიმითვალო, —
განა ვერ ხედავ,

ეს ვედრებაა სიყვარულის —
 ჯანა ვერ ზედები,
 მე ჰირთა თმენად სიხარულის მსურს ძალისხმევა
 და თუმცა ერთი ჩვეულებრივი ადამის ძე ვარ,
 უბრალოდ, კაცი,
 მე შემოძლია ასევე მშვიდად,
 სულ უბრალოდ და უნებლიედ,
 ვიყო საოცრად და უჩვეულოდ გასაკვირველი,
 თუკი —
 ო თუკი შენს სიყვარულს შემომასუნთქებ,
 რტოდ არხეული ტანით მშვილდივით გაიზნიქები
 და ფრთაშესხმული სიხარულით თავდავიწყებულს
 ამტყორცინი ცისკენ —
 ცისკენ,
 კვლავ ცისკენ,
 რომ ერთი იქაც, ბოლოსდაბოლოს, ვნახო რა ხდება,
 და მერე,
 უკან დაბრუნებისას,
 გზად ვარსკვლავები ბლუჯა-ბლუჯა ჩამოგაკრიფო,
 უბრალოდ ისე, თუნდაც ბრჭყვიალა ყელსაბმელისთვის, —
 და შემოძლია ვიყო იმდენად გასაოცრად გასაკვირველი,
 რომ არც მიკვირდეს ეს საოცრება
 და არც არასდროს არ მოვინდომო საოცრებათა ცაში დარჩენა
 და, მით უმეტეს, არც არასოდეს არ გავიფოფრო
 განსაცვიფრებლად ბრწყინვალე ფრთებით...
 მე განა ვხუმრობ, უძვირფასესო,
 მე მხოლოდ ვთვრები —
 უკვე თვით შენი მოლოდინითაც უწყალოდ ვთვრები,
 და უკვე მჯერა,
 და უკვე ვიცი,
 და უცხადესი სიზმრებივით ჩამესმის ხმები,
 რომ იმ ფრთებს მხოლოდ შენ მომანიჭებ,
 შენვე შემასხამ,
 როს მოხვალ ჩემთან,
 ერთსულ და ერთხორც შემომეყრები
 და სიყვარულის ნეტარებით გადაშლი ხელებს, —
 სხვა არც რა მინდა,
 და არც რა არის ქვეყნად სხვა ფრთები —
 მხოლოდ ხელები,
 სიყვარულო,
 მხოლოდ და მხოლოდ შენი ხელები.



იაშა თანდილავა

იაშა თანდილავა წარმოშობით ლაზია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. სოფელ ხარფში მასწავლებლად მუშაობს.

ჩემს დაპარგულ ლაჯითს

არ გეგონოთ უცნობ დღეებს
დავსდევდე,
უხილავის ხილვა მსურდეს ძლიერ,
მართალია, ხორცი უკვე დაგკარგე,
დრო ვერ შეცვლის ჩემი სულის იერს.

სანთელს

სიმართლესავით სწორს და უხინჯოს,
უშევირვალესი მოგდის ცრემლები...
ო! ნეტავ შენებრ მეც დამეწვეთოს
ჩემივე სულის დანადგენთები.

იწვი და ჰფიქრობ, იწვი და ჰფიქრობ
და შენი სუნთქვა მუდამ თბილია,
სიბნელეს ათოვ სინათლის ფიფქებს,
ირგვლივ ღვთიური დგას იდილია.

თუმც გაქცეულმა წყლებმა დაგძლიეს,
ნათელი მაინც შენით იწყება,
შენს წმინდა სახელს მრავალჯამიერ
საკმეველი და არდავიწყება!

დღისა და ღამის განსაზარე

ო! როგორ დნება ალიონზე წამი
სინაზის,
ან რა დაიჭერს უსასრულო დროთა
ცვალებას...
არ არის ქვეყნად არაფერი უფრო
ლამაზი,
ვიდრე ფერების საოცარი
გარდაცვალება.

...და აჰა, ჩნდება სისხლიანი ველი
მოკვდავთა,
სულს დაფავს ნამი, შერჩენილი,
მთვარის ალერსით...
ნახეთ, ღვთიური მდუმარებით დამე
მოთავდა,
და იშვა მარად უფლისწული დღე—
უცხადესი!


აკოლსობა

სარფში გაემართეთ მისტერიები
მოსაგონებლად გარდასულ დღეთა,
ეს იყო ჩვენი ისტორიების
გამომზევება და გულთა ფლეთა.

გობია ლექსი უთქმელი დამრჩეს,
ოლონდ ამაღამ აფეთქდეს ნუში...
ნუ მოჭრით ხეებს, ნუ მოჭრით ამდენს,
ერთი ხეებსაც ჩახედეთ სულში!

ეს გაზაფხული მე ცრემლებს მადენს
და მახსენდება ნაცნობი ტვერი...
ოლონდაც ხეებს ნუ მოჭრით ამდენს,
უთქმელი დაგვრჩეს სტრიქონი ბევრი...

გადაგრილდნენ კლდიდან ლოდები,
ქვების ღრიალმა შესძრა ქვეყანა.
მე მზის ჩასვლამდე დაგელოდები,
ოლონდ შენ აღარ დაიგვიანო.



ზურაბ გომურაშვილი

ქ ვ ე ვ რ ი

ეს ამბავი იმ კვირადღეს დაიწყო, როდესაც კენკეზაანთ ლევანამ ქუთაისური მანქანით ვაზისუბანში უშველელი ქვევრი ჩამოიტანა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ლევანას არც უნდოდა ქვევრის ყიდვა, მაგრამ ბაზრის შესასვლელში წამოწოლილ ქვევრს რომ მოჰკრა თვალი, გული რაღაც უცნაურად შეუქანდა. რამდენჯერმე აუარჩამოუარა ბაზარს, ნავაპრით დაიტვირთა, მაგრამ თვალი და გული იქითკენ გაუბრუნდა, საითაც ქვევრი ეგულებოდა. მერე, როგორც იქნა, გაბედა, მივიდა მექვევრესთან და დააფასებინა. გაჩაღდა ვაჭრობა. კირკიტი კაკალი გამოდგა ის მამაცხონებული, მანეთი რა არის, მანეთიც არ დაუკლო. შუადღემდე ვერა და ვერ მორიდდნენ, მაგრამ ლევანა ისეთი კაცი არ იყო, გულისწადილი არ შეესრულებინა, რაკი დააფასებინა და შეევაჭრა, უკან აღარ დაიხია, დაყაბულდა ფასზე.

— „ვიყიდი და ჩავდგამ ეზოში, — ფიქრობდა ლევანა. — ზოგი ფულს მარხავს, მე ქვევრს ჩავმარხავ, წელს არა, მომავალ წელს მიანიც ჩავწურავ ყურძენს“.

ფული ჩაუთვალა, ქვევრს ალერსით გადაუსვა ხელი, მერე შეაგდეს „კოლხიდაზე“, თოკითა და ფიცარ-ფუცრით დაამაგრეს და შინისკენ გამოაქანა.

ჩამოიღეს თუ არა მანქანიდან, არ დაუსვენია, მარნიდან იარაღები გამოიტანა და ქვევრის ჩასაგდები ორმოს თხრა დაიწყო. საღამოხანზე, როდესაც

ორმოსი კისრამდე ჩაიმალა, ფაფასავით მიწა უცებ ტინივით გამაგრდა, წერაქვის დარტყმაზე უცნაურად ბუბუნებდა და ნაპერწკლებს ისროდა აქეთ-იქით. რა არ სცადა, რომელი იარაღი არ იხმარა: ხან ლომი ურტყა, ხან ფუთიანი ურო უბაგუნა, ხან წერაქვით სცადა ორმოს გაღრმავება, მაგრამ ვერა და ვერ უბოგა ნაბზარი.

— შე არ გასახარელო! — ჩამოსძახა აივანზე გადმომდგარმა ცოლმა, — ხო ხეღამ, მაგის ჯანი აღარა გაქ, წადი ან კომპრესორი მიიტა საიდანმე, ან ეგ ქვევრი მააშორე აქედან, თორემ, აღარ ვიცი, რას ვიზამ!

— გაჩუმდი, დედაკაცო, — ასძახა ორმოდან ლევანამ. — ისედაც ჩემ ჭკვზე აღარა ვარ, ცუდი არაფერი ჩამადენინო ამ სიბერეიყამსა!

— როდის იყო, მე მიჯერებდი, — არ დაუთმოო ცოლმა. — აკი იმიტომ წაიყვანე ჩვენი საქმე კარგათ... თედომ ჟიგული იყიდა, კრეჭია ნიკოლამ ვოლგა ჩამაიყვანა ლენინგრადიდან, ფეხებდაბრეცილმა სესიანთ მარგომ ბრილიანტის ბეჭედი წამაიცივა თითზე, შენ კი ქვევრი მამითრიე სახლში... მეც ვიტყვი, ქმარი მყავ-მეთქი!...

— დედაკაცო! — აიმრიზა ლევანა. — შენ რაღაც სხვანაირად უკრამ! ნეტა რომელმა სალოცავმა დაგცადა, ი, ჯიგულია თუ გიჟული, ქვევრობას ვერ გასწევს, გაიგე? ეს ქვევრი კი ათსა და ოც ჟიგულს გამაიბამს სათარივით, ჯერ ჩავწურო ყურძენი!

— ჯერ ჩადგი და მერე ჩაწურე!

— ჩადგამ, მა რას ვიზამ?!

ლევანა ორბოდან ამოფოფხდა, აკარ-
წახებული შარვლის ტოტები ჩამოუშვა,
მტვერი ჩამოიბერტყა, ხალათი გადაიცი-
ვა და ეზოდან გავიდა.

— სად მიხვალ, კაცო, გეჭამა მიინც,
მოსალამოვდა და ნაწილი არ ჩაგიღია
პირში!

— ბაღლი არ მაღირსე და ბაღლივით
რას მეფერები, მოვალ და შევჭამ!

— მალე მოხვალ?

— მოვალ, იქნება კომპრესორი ვი-
შოვო სადმე.

მოგვიანებულზე ბუზილიკანთ სო-
სიამ მანქანაზე გამობმული კომპრესო-
რი მოუთრია და ეზოში, საქათმის გვე-
რდით დაუყენა.

— აჰა, ეგე, რაც გინდა უყავ, გინდა
თხარე და გინდა ამტვრიე, ხმარება
ხო გასწავლე, ბენზინიც ბლომად ჩა-
გისხი, სანამ მოგეწყინება, ეგდოს შენ-
თან, დახმარებით კი ვერ დაგეხმარები,
არ დამემდურო...

მეორე დღეს, ირიჟრაჟა თუ არა,
ლევანამ კომპრესორი აატრაბატრახა,
ისედაც ადრე ადგომის მოყვარული თა-
ნაუბნელები ნაადრევად წამოყარა ლო-
გინიდან. ჯერ კარის მეზობელმა გად-
მოალაჯა გარღვეულ ღობეზე, მერე
სხვებიც მოჯარდნენ: ზოგი ჭიშკრიდან
შედიოდა, ზოგი ღობეზე გადმოდიოდა.

— ვიდრე ბრიგადირი დაგვიძახებს,
ხელს წავახმარებთ, კაცო!

— მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო!

ლევანას უღვაშებში ელიმებოდა, არა-
ფერს ეუბნებოდა მეზობლებს, ნათ-
ხარს მაღლა ჰყრიდა და კომპრესორს
კმაყოფილებით შეჰყურებდა.

ორმო გარმავდა. კომპრესორის ხმა
თანდათან დაიგულა, ქვა, ორმოს ფსკე-
რზე რომ ჩანდა, თანდათან გამოიკვეთ-
თა, მისი გლუვი, ბრტყელი ზედაპირი
ნელ-ნელა გამოშრა და გრანიტისფერი
გადაიკრა. ცნობისმოყვარეობა მიძალე-
ბული ლევანა ჩაქუჩის ტარს მთელი
ძალით აწვეებოდა, მაგრამ ქვის ზედა-
პირი ისლექტდა, ახლოს არ იკარებდა,

ამაო იყო ლევანას მცდელობა. მოშუად-
ლეგებულზე, სიცხე რომ მომძლოვრდა,
ლევანამ ორმოს გაფართოება დაიწყო.
ორმოს გვერდები უფრო ადვილი ჩა-
მოსათბრელი გამოდგა, და სულ მალე
გრანიტის ქვის კიდეც გამოჩნდა.

წარმატებამ ლევანა უფრო გაახალი-
სა და რამდენიმე ხნის შემდეგ, როდე-
საც მზემ დასავლეთისკენ იწყო გადახ-
რა, თვალნათლივ გამოიკვეთა ორიოდ
მეტრი სიგრძისა და ერთი მეტრი სი-
ვანის ქვის ფილა.

ლევანა რკინის ბერკეტს მთელი ძა-
ლით დააწვა, ცნობისწადილჩამდგარ
თვალეებში მოწოლილმა სისხლმა თეთრ
გუგებსაც შეუცვალა ფერი. გრანიტის
ბრტყელი ქვა კაცის ნებას დაჰყვა, ნელ-
ნელა აიწია ზევით, მერე რკინის ბერ-
კეტიდან დასხლტა, ჩამოცურდა და
ლევანას თვალწინ ათასფრად აბრჭყ-
ვიალდა ვიღაც მიცვალებულის საფ-
ლავში ჩატანებული განძეული.

საფლავის ქვა სამარეში ჩაყირავ-
და, უამრავი სამკაული აქეთ-იქით მი-
იფანტ-მოიფანტა, საუქუნეების განმავ-
ლობაში დამჯდარი მტვერი აიშალა და
ჩიბუხიდან ამოსული კვამლივით დაიკ-
ლაკნა. საფლავიდან წამოდგა მღალაი,
ორმოციოდენ წლის მამაკაცი, რომელ-
საც სახეს გრძელი ინით შეღებილი
წვერი უფარავდა, ლევანასკენ შებ-
რუნდა და მკაცრად ჰკითხა:

— ვინ ხარ და, რა გინდა ჩემგან?

ლევანა შიშისა და გაკვირვებისგან
ენადაბმული ორმოს კუთხეში მიცოც-
და და ძლივსასაგონი ხმით ამოიხვალა:

— ვინ უნდა ვიყო, ლევანა ვარ კენ-
კებაანთი, შენ ვინდა ხარ?

— მე მუშია ხანი ვარ, ვერ მიცანი?

— ხანი?! — გაოცდა ლევანა. —
მერე აქ რა გინდა, ჩემ ეზოში საიდან
გაჩნდი?

— როგორ თუ შენი?! — გაკვირვებ-
ით აჩქრა მხრები მუშია ხანმა და
განაგრძო: — ამ ეზოში ათას წელზე



მეტია ვცხოვრობ, შენ კი სიმშვიდეს
მირღვევ, ჩემსას ჩემულობა?!

— მე რა სიმშვიდე დაგირღვიე, საშ-
ვილიშვილო საქმეს ვაკეთებდი კაცი!

— ჩემი სასახლის დანგრევაა შენთვის
საშვილიშვილო საქმე! — შეჰყვირა
მუმია ხანმა.

— შეიძლება ეგრეც არი, მაგრამ ეს
ეზო ჩემია! — არ დაუთმო ლევანამ.
მერე ახლოს მიოცდა, ოქრომკერდით
ნაქარგ კაბაზე ხელი მოწიწებით წააგ-
ლო და ჰკითხა:

— მართლა ათასი წლისა ხარ?

— შენ რა, არ გჯერა? — ლევანას-
კენ დაიხარა და ჰკითხა, რა ჰქვია ამ
ადგილს?

— რომელსა, სადაც ჩვენ ვდგავართ?

— ჰო!

— ჰი, ჰი, — ჩაიციხა ლევანამ. —
ათასი წელია აქა ვცხოვრობო და არ
კი იცი, რა ადგილია? ე როგო დაგე-
მართა, ჰა?..

კახეთი ჰქვია კაცო, კახეთი, საქართ-
ველოს მაღლიანი კუთხეა!

— ჰოო, ეხლა გამახსენდა, კახეთი,
კუხეთი, ჰერეთი...

— ეგ საიდანა იცი? — გაოცდა ლე-
ვანა.

— ხომ გითხარი, მონღოლი ხანი ვარ-
მეთქი, კახეთში ისეთი სასახლე მედ-
გა, შენ ძილშიაც არ დაგვისზმრებო-
და...

— მერე, მერე? — გამოცოცხლდა
ლევანა.

— კარგად ვცხოვრობდი, — თითქოს
ოცნებაში ჩაიძირაო, ისე განაგრძო
მუმია ხანმა. — ერთმა ქართველმა დი-
დებულმა მომწამლა... ისე ვერაფერს
გახდებოდნენ... ბევრნი ვიყავით, დაუ-
თვლელნი, როდესაც ჩვენი ჯარი დაიძ-
ვრებოდა, მედროშე მზესთან იყო, მე-
აღლე — მთვარესთან...

ლევანა ფეხზე წამოდგა, საფლავის
აყირავებულ სახურავზე შედგა, თვალ-
ზე ხელი მიიჩრდილა, ჯერ თელავისკენ
გაიხედა, მერე ალაზნის ველს ჩააყო-
ლა მზერა, ველისციხის მიდამოები,
ყვარლის მთები მოჩხრიკა თვალით და

კარგად დაინახა უბელო ცხენებზე
ხედრებული, ნახევრად შიშველი დამპ-
ყრობლები, ავიზგიზებული კოცონები,
დანგრეული სახლები, აჩეხილი ვაზი,
ხეებზე დაკიდული ადამიანები, ცეცხ-
ლში ჩაყრილი ქუძუთა ბავშვები...

ლევანა სწრაფად ჩამოხტა საფლავის
ქვიდან, დაიხარა, წერაქვს დაავლო ხე-
ლი, მუმია ხანისკენ შებრუნდა და მთე-
ლი ხმით შეჰყვირა:

— ისევ მოკვდი, შენი!..

მუმია ხანი არც განძრეულა, მარ-
ჯვენა აღმართა და ლევანას აუღელ-
ვებლად უთხრა:

— დაუშვი იარალი, ჩემზე მართო
საწამლავი მოქმედებს, საწამლავი კი
კახი ერისთავმა შემომამარა.

ლევანამ წერაქვი საფლავში ისრო-
ლა, ხანის წინ გაჩერდა და ჰკითხა:

— მართლა ხანი იყავი?

— ჰო, არ მეტყობა?

— რა ვიცი, ბლომათ კი ჩაუტანე-
ბიათ ოქროული, ალბათ ნაძარცვი იყო.

— ომებში ვიშოვნე, რაც მე სიმდი-
დრე მქონდა, ეს იმის მესაღეციც არ
არის.

— დანარჩენი ალბათ მონღოლეთში
წაიღეს შენმა ცოლებმა, არა?

— არ ვიცი!

— ბევრი ცოლი გყავდა? — დაინ-
ტერესდა ლევანა.

— არც ისე, ორმოცამდე იქნებოდა.

— შვილები?

— ასზე მეტი, ზუსტად არ მახსოვს...
ჩვენი იყო ეს მიწა-წყალი... აქ დასახ-
ლება გვიდნოდა.

— არა, ხანო, — ხმა გაიმკაცრა ლე-
ვანამ. — ეს მიწა-წყალი ქართველე-
ბისა იყო და არის კიდევაც.

— ქართველები ჩვენ მოვსპეთ, ქვა-
ქვაზე არ დავტოვებთ, ვაზიც აგჩხეთ!

— ტყუილია, ქართველების მომსპობი
ჯერ არ დაბადებულა!

— ჩვენ მოვსპეთ-მეთქი! — შეჰყვირა
მუმია ხანმა.

— გეშლება, — უთხრა ლევანამ. —
თქვენ ომი მოიგეთ, მოსპობით კი ვერ
მოგვსპეთ!

ლევანა ისევ ავიდა საფლავის ქვაზე, მუმიან ხანს გაუსწრო სიმაღლეში, თვალები მოკუტა და ისევ ისე მოატარა თვალი კახეთის ველ-მინდვრებს, კმაყოფილებით ჩამოისვა ხელი წვერ-ულვაშზე და თავისი ნათქვამის სისწორეში დარწმუნებული, ამაყად ჩამოვიდა ქვიდან. გარშემო არც არაბი ჩანდა, არც მონღოლი დამპყრობელი და არც სპარსი ჭაჭანებდა, ტკბილი კახური სიმღერა ისმოდა ირგვლივ. მუმიან ხანი კი თავისას განაგრძობდა:

— თქვენ, ქართველები არ ხართ ჭკუადამაჯდარი ხალხი, რაღაც გაკლიათ, ან რაღაც გაქვთ ზედმეტი.

— აბა, აბა, ხანო! — შეაწყვეტინა ლევანამ. — ნუ გავიწყდება, რომ ჩემს მამულში დგახარ, ჩემს მიწა-წყალზე ჩემიანების ლანძღვას როგორ ბედავ?! — არ გილანძღავ, — ხმას დაუწია მუმიან ხანმა. — სიმართლეს გეუბნები, ჭკვიანი ხალხი ჩვენ წინააღმდეგობას გავიწყვედა? არა, არ გავიწყვედა, დაგვინებდებოდა, ამდენი სისხლიც არ დაიღვრებოდა, განა ერთად ვერ ვიცხოვრებდით, მორჩილება სიცოცხლის ხანგრძლივობის დედაა...

— და თავისუფლების დედინაცვალი, არა? მტრის დროშის ქვეშ მდიდრულ ყოფას, საკუთარ დროშის ქვეშ სიკვდილს ვამჯობინებდით!

— აი, ხომ გეუბნებოდი, სიგიჟეც ემართის. — არა, ხანო, ეს გამირობაა, ამნაირმა ხასიათმა მოგვიყვანა დღემდე, ამნაირი ხასიათით შევხვდებით მომავალსაც. — ვხედავ, არაფერი შეცვლილა თქვენში ამ ათასი წლის მანძილზე, — ჩაილაპარაკა მუმიან ხანმა.

— როგორ არა, ბევრი შეიცვალა, ძალიან ბევრი, — ლევანამ უროს ტარი საფლავის ქვაზე მიაყუდა, ზედ ჩამოჯდა და განაგრძო: — ყველა ჩვენ გვეომებოდა, ყველას ჩვენი დამარცხება, დამონება უნდოდა...

— ვინ ყველას?! — გაცეცხით ჰკითხა მუმიან ხანმა, — განა ჩვენთან ბრძოლის მერე კიდევ შეგარჩათ ძალ-ღონე,

რომ სხვას გამკლავებოდით, ჩვენ კი დედაბუდიანად ამოგწყვიტეთ!

— ჰმ, — გაელიმა ლევანას: — ჯერ თქვენ დაგამარცხეთ, მერე აუარებელ მომხდურს გავუთენეთ შავი დღე. ეგეც მართალია, რომ ჩვენც ბევრჯერ დამარცხდით, მაგრამ დღემდე ცოცხლები ვართ, არავისთვის ჩაგვიბარებია არც ენა, არც სული.

— კი მაგრამ, — თქვენ ხომ ერთი მუტა ხართ, მშვიერი თქვის სადილის ლუქმა, განა რანი ხართ, რამ გაგაძლებინათ?

ლევანამ უცებ არ უბასუხა, კარგა ხანს იჯდა მდუმარედ საფლავის ქვაზე მიყუდებულ უროს ტარზე და თვალმილულული რაღაცას თავისთვის ფიქრობდა, მერე უცებ წამოდგა, მუმიან ხანს წინ დაუდგა და უთხრა:

— რამ გაგაძლებინა და, მამულის სიყვარულმა გაგაძლებინა, ქრისტე ღმერთმა, ქართული ხმლის ფხამ, ქართველი ვაჟაკების მებრძოლმა სულმა და ქართველი დედის იავნანამ გაგაძლებინა, თქვენ ეს არ გქონდათ, ხანო, იმიტომაც დამარცხდით...

— მართლა გადარჩენილხართ, — შეაწყვეტინა მუმიან ხანმა, — ეხლა რაღას აკეთებთ, კიდევ ომობთ?

— არა, რაღა დროს ომი, ვაზს ვაშენებთ.

— ვაზი გაგაძლებინებთ?

— გაგაძლებინებს, რატომაც არა, ჩვენი წლის სარჩო ვაზის ნაყურია, უვაზოდ კახელი კაცი ვერ იცხოვრებს, მუმიან ხანო.

— უვაზოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია რომ მეუბნები, განა თქვენ თვითონ თქვენივე ხელით არ აჩხეთ ვაზი?

— ვაზს რად აჩხებდით, აბა, გახედე ჩემს ეზოს, ესა ჯერ ორი წლის ვაზია, ხედავ, ფოთოლი როგორ უხასხასებს, ქართველი კაცი ვაზს არ გაჩხავს, ის სხვა რჯულისა იქნება...

— იქნებ მართალი ხარ, — უთხრა

ზურაბ გომეზაშვილი
 333360

მუშია ხანმა. — არ გედავები. კარგად მახსოვს, ჩვენს ლაშქარს ნაბრძანები ჰქონდა ვაზის აჩეხა, მამრის მოსპობა, ჩვენი ნაშიერის მომრავლება... ოთხასი წელი გჩეხდით ვაზს, ოთხასი წელი ვხოცავდით მამაკაცებს... ვხედავ, საწადელისთვის მაინც ვერ მიგვიღწევია! — მუშია ხანმა ამოიოხრა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ლევანამ აღარ დააყდა, ფეხზე წამოხტა და ნიშნის მოგებით უთხრა:

— სწორე ხარ, ხანო, თქვენ ვერაფერს მიიღწიეთ, ვერც ვაზი გაგვიჩეხეთ მთლიანად, ვერც მამაკაცები მოსპეთ, ვერც ენა წაგვართვით...

— არა, არც მასეა საქმე, თანდათან ყველაფერი თავისი გზით წაევა, მაშინდელი ჩვენი დაწყებული საქმე დღეს ისხამს ფრთებს, თქვენიანები არიან თუ ჩვენი დანატოვრები, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვაზი ხომ იჩეხება, შეგნებით თუ შეუგნებლად ჩვენს საქმეს ხომ აკეთებთ, საზამთრო ვაზობას ვერასოდეს გაგიწევთ, ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, იმიტომ შემოვიტანეთ საზამთროს თესლი...

ლევანა ტყვიანაკრავივით წამოვარდა ფეხზე, წერაქვს დაავლო ხელი:

— მაშე ეგ ფულის მახე თქვენ დაგვიგეთ ათასი წლის წინ, არა?

— ჰო, ეგ და ბევრი სხვაიც...

— ეგ სხვა რაღაა, — ნუთუ ამაზე უარესიც უნდა მოხდეს რამე?

— ჰო, — მტკიცედ უთხრა მუშია ხანმა. — მოხდება, აუცილებლად მოხდება: როცა ვაზს გაჩეხთ და მის ადგილზე საზამთროს დათესავთ, როცა ღვინის მაგივრად პამიდვრის წვენს დაუწყებთ ხერებას, როცა ძეოა კეთებას შეეშვებით და ნაგარამს არ მისცემთ ხალხს, აი, მაშინ ყველაფერი დაგეგარებათ, ენაც და სამშობლოც. ვეღარ იტრაბახებთ ქართული სულის სიმტკიცით, ქართველი კაცის დიდსულოვნებით, რადგან ქართველები აღარ იქნებით ამქვეყნად...

— რას ამბობ, ხანო!..

— სიმართლეს ღიადღებს ჩემი ბაგე,

აბა, დაფიქრდი, განა ისევე ვაჩვენებ ხართ, რაც უწინ იყავით, განა ისევე იმხელაა საქართველო?

ლევანა კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული, მერე უცებ წამოხტა და მთელი ძალით დაიყვირა:

— მართლაც და, რამდენნი ვართ, ეგე, რამხელაღაა საქართველო, რამდენნი ვააართ!..

— რა იყო, კაცო, — მარნიდან ფეხშიშველა გამოვარდა ლევანას ცოლი. — რა გაყვირებს?!

ლევანა გრანიტის ქვაზე გულღმა იწვა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— კაცო, ხმა ამიღე, ცუდად ხო არა ხარ?

როდის-როდის ლევანა მოგონდა, ცოლთან მივიდა, მკლავებში ჩასჭიდა ხელი, შეანჯღრია და ყვირილით ჰკითხა:

— სად არის მუშია ხანი, სად წავიდა ის შობელქაღლი?!

ლევანა კრეკია ნიკალამ წაიყვანა საავადმყოფოში. მუშია ხანის სამარხს მილიციელი დაუყენეს ყარაულად.


...როდესაც საავადმყოფოში დარწმუნდნენ, ლევანას სიჯივისა არაფერი ეტუბათ, შინ გამოუშვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ არქეოლოგებმა ლევანას ეზოს გადათხრა დაიწყეს.

ლევანა დისაკითხად დაჰყავდათ რაიონში, გამომძიებელთან, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა გამომძიებელს, გატენილ ქვევრსა და ამოძირკვეულ ვაზებს მეტყველების უნარი წაერთმია მისთვის. ...იდგა დამუნჯებული, თითქოსდა ცხოვრების ნიშანტაკარგული, მაგრამ მომავლის იმედით აღვსილი, მუშია ხანის პირდაღებულ საფლავს ზიზღით დაჰყურებდა და ბუტბუტებდა:

— ჩაყერი, ახალ ნამყენს ჩაყერი, შენ მერე ნახე, რა ვენახი მექნება!

— გვექნება, მაშა! — უდასტურებდა ცოლი და ბებრული, დაკოჭრილი ხელით ეფერებოდა ლევანას.



ამოდის ფიქრში

დრო-ჟამისგან პერანგამძვრალი
გარინდებულა გელათი.
კედელში კვინცხას გაუყურია
ჯიუტი ფესვი,
გაუტანია ხორცი და ძვალი.

ქვეყნის საუნჯედ და სიბრძნის ნერგად
კინც ამ ჩუქურთმებს ქვაზე აჩენდა,
კინც ეს ლოდები დაძრა ცისკენ
საოცარი გული ჰქონია და
ზღვა სიყვარული საქართველოსი!

ამოდის ფიქრში მთის წვერივით და
ბინდს ეურჩება
ქვათა კოლოსი.
შევექერი გარინდებულ
და ვჭურჩულებ: ხელმადლიანი
სად ჩაიფერულა კირითხურო?
რა მაღალი სული ჰქონია!

აქ თორაბჯრიან დავეითთან ერთად
საუკუნეებს ჩაუქროლია.

მაგრად დაუხვდით

შემოსილნი მწვანით
უთქმელობას ამართლებენ
ბუმბერაზობით.
მათი მკერდიდან მოსხლეტილი
მდინარეები,
მზის ცხელ ლაჯებში გათანგულნი.
ვერ ითმენენ
ძარადის დუმისს.
სურთ გამოსტაცონ მთებს დიდი
განძი და

თავექვეშ ბორგვით დაქანებულნი
ღამეებს კრთომით ითენებენ.
გრილი ფრთებით თოკავენ მანძილს
გულში რომ აქვთ
გაყრილი ხანჯლად.

მაგრად დაუხვდით, მაგრად მთებო,
აბჯარი ტანთ
არ გაიხადოთ!

კამეჩის რქები

სასაკლაოსთან, გზის პირას,
ქვევით
ქვებს შორის ყრია
კამეჩის რქები.
მინდა, არ მინდა ეუცქირო მაინც,
მაფიქრებს ჩემი ნიკორას ბედი. —
ჩემი ამობილი აისს და დაისს
შეჭიდებია მაგარი რქებით.
ტანდაკუნთული შრიალა ხნულზე
დიდი წყლიანი თვალებით მიცქერს.
იცის, რა ელის ხვალ რიყრაყისას

ჩამომარცვლულ მის მზეს და ცისეთს?
ჩემი ნიკორას ბედი მაფიქრებს,
და გული მკერდში
ჩიტვიით მიცემს.
ნეტა მუხლებზე რომ დაეცემა
თუ იგრძნობს დანის ცივ გაელვებას?
გზის პირას ყრია
კამეჩის რქები.
ვხედავ და დარდი გულზე მედება.



ჯეშალ დავლიანიძე

შ ე მ ო ბ რ შ ნ ე ბ ა

რომანი

— აპოლონ, ეგ უველაფერი ჰო, მაგრამ ამ კაცს ჰკითხე — იქნება ში, სწყურია, სცოვა, სცხელა... ერისაა..

— თამაზ, შენ გირჩევნია მაგ ენამახვილობას თავი გაანებო...

— ბიჭო, ის მაინცა ჰკითხე, რისთვის ჩამოვიდა... ბიჭები გულიანად იცინოდნენ.

— აპოლონ, ჩემი რომანტიკოსი სცემა ძია მაკარმა გუშინ, ახლა აქ არის, შენი ნახვა უნდა, ჯონდოსაც დაინტერესებს...

— ძია მაკარმა სცემა? დაიჭირებს, ბიჭო, ის კაცი?

— ჰო.

აპოლონი წამოენთო, ჯერ ტელეფონს დასწვდა, მერე გადაიფიქრა და თამაზს უთხრა — წადი, მომიყვანე ახმანო...

თამაზი რომ გავიდა, აპოლონი სარკმელთან მივიდა და ჯონდოს უთხრა:

— ძია მაკარი ჩემი შუამდგომლობით ჩამოვიყვანე, სამსახურში მივადებინე... არიან ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში თავისდა დამოუკიდებლად ცუდად მისდით საქმე, მე არ გამოვრიცხავ ამგვარ სიტუაციას... ასეთ ადამიანს უნდა მოვუსმინოთ, გავუგოთ, დავუშვათ, დავაწვაროთ...

ახმანი და თამაზი შემოვიდნენ. აპოლონი შემოტრიალდა, მიესალმა და დაჯდა.

ახმანს ხელი უკანკალებდა.

აპოლონმა ხაფერფლე მიუჩოა ახლო. ახმანს გაუხარდა, გაახოლა და მოულოდნელად დაიწყო:

— მუშის ოჯახში დავიბადე, მამაჩემი ზეინკალი იყო, თხოთმეტი წელიწადი იმუშავა ერთხა და იმავე დაწესებულებაში... მერე ხარატობაც ისწავლა... ახლაც, ჩარხთან დგას და პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობასა თუ გეგმა-ვალდებულებას... დედაჩემი მამას თანატოლია, მამა თებერვალში დაიბადა, დედა მარტში. ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი წლისანი უოფილან,

როცა ერთმანეთი შეზგვარებით და ექვს თვეში კიდევ უქორწინიათ... ქორწილზე დედა თურმე სირცხვილით იწვოდა, ხუთი თვის ფეხშიძე უფილა ჩემზე... ექვსი წელი რომ შემისრულდა, სკოლაში მიმბარეს... სულ ხუთეზზე ვსწავლობდი მესამე კლასამდე, მერე კი... მეხუთე კლასში პირველად მევეწიე სიგარეტი, ამხანაგებს — ანატოლისა და კოსტას, ავეყვი, ერთ მარტოხელა დედაბერს ოთხი მანეთი და ერთი მომცრო ტომარა მზეხუშშირა მოვპარეთ. გავვიგეს... მამამ კინაღამ მომკლა ცემით... მერვე კლასი რომ დავათავივრე, მუშაობის, — შრომის აუტანელი სურვილი ვიგრძენი... მე ძალზე მიყვარდა მამაჩემის მეგობრების ტანსაცმლის სუნი, მათი დაკოყრებული, ჩაშავებული ხელები და სულ ვნატობდი, ნეტავ როდის შევძლებ მეც ასეთი ვიყო-მეთქი... იმავე წელს ბურთულსაქისარების სარემონტო ქარხანაში მოვეწყვე ამწყობი ზეინკლის მოწაფედ. ჩემი ოსტატი ძალზედ ჰგავდა მამაჩემს და მიყვარდა. ერთი უტყვი, მრისხანე, შავი კაცი იყო, მაგრამ ყოველ საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ არაუხსვამდა კაფე „მტირალა ტირიფში“. ერთხელაც პირველი ხელფასი ავიღე, ოსტატმა წამიყვანა, შენ უკვე კაცი ხარო და ორი ჭიქა არაუი დამაღვიანა... არასოდეს დამავიწყებდა ის დღე — პირველი ხელფასი, ჩემი შრომის წმინდა ფული, ორი ჭიქა არაუი, კაფე „მტირალა ტირიფი“, პირველი თრობა, სიმსუბუქე, უდარდებობა, მიწის ბანცალი, სიგარეტის ნაფაი... იმ დამეწამაჩემმა არ მცემა. მერე დღეს ნასმურვეზე მამამ სამწარეულოში გაიხიზო, კარი ჩაკეტა, წინ დამიჭდა და... არ მცემდა... იმასაც თავი სტიკოდა თურმე, ნახევარლიტრიანში ჩარჩენილი არაუი გულმოდგინედ გაანაწილა, ქონი დაჭრა, დედაჩემის მიერ დაყენებული ბურახი ჩამოახსა და ერთმანეთი ვადდეგრძელებო... მალე ჩემი მოწაფეობა გასრულდა და უფრო გავხდენიერდი — ამწყობ-ზეინკლად დავიწყე მუშაობა... ხელფასი მომიმატეს, ჩავიციე, დავიხურე, ხაცყავო მოედინებე დავიწყე სიარული... სწო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სისკარი“ № 4, 5.



რედ იქ გავიცანინა ლენა — ჰორფლიანი, ცხვირ-
პაქუა, ლურჯთვალა, ქერათმინია... ერთმანეთი
შეგვეყვარა, ერთგულდება შევფიცეთ და ჭარ-
შიც გამიწვიეს... მთელი წელიწადი უმისოდ
გამიწვლდა... მერე კი... როცა დავბრუნდი —
ლენა გათხოვილიყო... დავკარი ფეხი და აქეთ
გდმოვიკარგე...

ახმახი ატირდა.
ჯონდო თვალბნებში შესცქეროდა. კარგად
იცნობდა ამგვარი კატეგორიის ხალხს. ასეთებს
უყვართ, როცა მათ იბრალდებიან, ისინი ბევრნი
არიან, უბრალოები არიან, მცირეოდენივე ჰყოფ-
ნით ცხოვრობაში... ნეტავ, აპოლონი არ გაუ-
წყრესო, — ინატრა ჯონდოს.

აპოლონმა ახმახს ანიშნა, გარეთ მოგვიცადეო
და თამაშს ჰკითხა:

- თავისუფლები?
- ვაპირებ.
- გადაღებები ბევრი აქვს?
- ამ ბოლო კვარტალში რვა დღე აქვს ნამუ-
შევარი...
- გზის ფული მაინც არ გამოუვა?
- სადამდე?
- სახლამდე... მაგ კაცს თავისი კუთხე მოე-
ნატრა... თუ ფული არ ეკუთვნის, მე მივცემ
ჩემი ჭიბიდან... გაუსვი, წვიდეხ, დედ-მამას მი-
ხედოს, თავისი სპეციალობით იმუშაოს... შენც
დაარჩეო...

— ბრძანებით ვავაფრმო?

— განცხადება დააწერიხე... ოღონდ...

ამ დროს კარი გაიღო და უღვაწა შემოვიდა:

— აპოლონ ბატონო, წინ ნუ შემეყრება ეგ
უნამუსო, შემომაკვდება... ამ ხნის კაცს რას
მერჩის, წუხელ მილიციასი მუაურყუტებს მთელი
ღამე... კიდევ კარგი, ფხიწელი ვიყავი და რამ-
დენიმე კაცი წამომყვა მოწყვდე...

— დაბრძანდით, ძია მაკარი, — შესთავაზა
თამაშს.

ძია კაცი ჩამოჭდა, ახლად შენიშნა ჯონდო,
ისევ ფეხზე წამოდგა და მიესალმა:

— გამარჯობათ, ბატონო ჩეო...

აპოლონს გაუკვირდა:

— თქვენ როდისღა მოასწარით ერთმანეთის
გაცნობა?..

მაკარმა გაუღიმა ჯონდოს:

— ეს ახალგაზრდა მწერალი კაცი რომ არა,
ვინ იცის, შეიძლება თავიც გადაეპარსათ...

ძია მაკარი ჯონდოს ბიძას ჰგავდა... ბიძამისი
ბავშვობიდანვე წამოსულა სოფლიდან და კის-
ლოვადკში დასახლებულა, სადაც ჯონდოს ბა-
ბუა, პაპაღა და ბაბუის ძმები ცხოვრობდნენ.
ჯონდოს ბაბუას საკუთარი თონე ჰქონია, მერე
რაღაც ფურცლები გაუვრცელებია, დაუპერიათ,
ციხეში ჩაუსვიათ, კუჭის წყლული გასჩენია და
გაუთავისუფლებიათ... თონე მის ძმებს შეუსყი-
დათ სულ მუქთად... ბაბუა დაბოღმია,
ფრონტზე წასულა, მწნევიკებს დაუპერიათ.

გაქცეულა, რომელიღაცა უსახელო ატამანს
შეუპყრია, მოსწონებია და ვიღაც ატამანისთვის
უფეშეაშებია... ბაბუას გემრიელი კერძების
მომწავდება სცოდნია და ამის გადაურჩენია...
მერე, კიდევ გამოქცეულა, ფრონტზე მოხვედ-
რილა, კიდევ დაჭრილა და სული ძლივს ჩამოუ-
ტანია კისლოვდსკამდე, სადაც ხელმეორედ
გაუკეთებია კუჭის ოპერაცია... ოჯახს ძალზედ
გასჭირვებია, ბაბუას თონე ვაუხვნიდა, ერთხელაც
ჩაუყარავებულა, ნაოპერაციები გახსნია და გარ-
დაცვილილა... საწყალი ბებია სოფელში დაბრუნე-
ბულა, ჯონდოს ბიძა არ წამოჰყოლია... იგი
ახლაც კისლოვდსკში ცხოვრობს. სამი თუ
ოთხი ცოლისაგან ათამდე შვილი ჰყავს. მთელი
თავისი დღე და მოსწრება მზარეულად გაატარა.
ერთხელ მეგობრები მისულან მასთან, ფული
უნდა ვვასესხო, კარგ საქმეს ვჩარავთო...
უშოვია და უსესხებია... შემდეგ, როცა ციხეში
ჩასვეს, აღმოჩნდა, რომ მისი მეგობრები ანარ-
ქისტულ დამკვეთებს ეკუთვნოდნენ... ჯონდოს
ბიძამ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცოლზე
იქვიანა, სცემა და ისევ ჩასვეს... მისი შვილნი
ამასობაში წამოიზარდნენ... სიბერის დროს ცი-
ხიდან გამოსული ბიძა ცოლს გაყვარა, ებრე-
ლის ქალი შერთო, დერბენდში გადავიდა ხა-
ცხოვრებლად. შვილებიდან ოთხიღა დავადა შინ,
დანარჩენებიდან, ვინ გათხოვილიყო, ვინ და-
ქორწინებულიყო... ცოლ-ქმარი კაფეში მუშაობ-
და. ბიძა დღეში ერთ ლიტრა არაყს სვამდა,
ცოლს კვირავი ერთხელ, სცემადა, შვილებს —
სამჯერ და ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ
ერთხელ მისმა უფროსმა შვილმა ხელი შეუბ-
რუნა. ბიძა მიხვდა, შვილები დამზარდიანო, —
იტირა, დათვრა, ცოლს სცემა, სახლი გაყიდა,
კისლოვდსკს დაუბრუნდა, მზარეულად მოეწ-
ყო. მის ცოლს კარგი მშობიერი ჰქონდა — დაა-
გირავებს, მშენიერი სახლი იყიდებს, უფროსი
ქალიშვილი გაათხოვებს, უმცროსიც მიაყოლებს,
ორივე შვილი დააქორწინებს და დარჩენ მარ-
ტლად, წყნარად... სიბერის ფაშს, როგორც იქნა,
დაწყნარდა ჯონდოს ბიძა...

ჯონდოს აპოლონის სიტყვები გაახუნდა:
„არიან ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში
თავისდა დამოუკიდებლად ცუდად მისდით საქ-
მე... მე არ გამოვრიცხავ ამგვარ სიტუაციას...
ასეთ ადამიანს უნდა მოვითვინოთ, გავუგოთ,
დაუყვავოთ, დავაწყნაროთ...“

ჯონდო დანჯღრეულ „ოკლიბიდაში“ იქდა და
დღი ქალაქისკენ მიემგზავრებოდა. შოფერი
წამდელწამ იფურთხებოდა — გამკეობებს
აგინებდა ავტომანქანას... ორივენი სიცივით
ძაგძაგებდნენ. — „ლატქიპით“ (თხევადი კაუ-
ჩუკით) სავხე ათი კასრის გულისთვის ამ სი-

ჯამალ დავლიანიძე
შემომბრძენბა



შორეულ გამოგავაგზავნესო! — სულ იმას გაი-
ძახოდა შოფერი. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა,
როცა საწყობს მიაღწენ. საწყობის გამგემ უთხ-
რა, ხვალ დღით ორ საათში დავტვირთავთ და
თავისუფლები ხართო. შოფერი კარისკაცთან
მივიდა: დასაძინებელ ადგილს ზომ არ გამოგვი-
ნახავო... კარისკაცმა ტაქსით მიიყვანა რვა-
სართულიან სახლამდე... ქუთუთობენამოსივე-
ბულმა მასპინძელმა გააღო კარი. კარისკაცი
მივალბა, უფრო უჩრდილოა და წავიდა... მას-
პინძელს ნიკოლოზი ერქვა. ერთოთახიან ბი-
ნაში ცხოვრობდა... ტელევიზორთან ორი გოგო-
ნა იჯდა. ჭონდოს ჭერ ნიკოლოზის შვილები
ევანა, მაგრამ, როცა მასპინძელმა რამდენიმე
უწმინდო სიტყვა წარმოთქვა, ჭონდა დარწმუნ-
და, ქალიშვილებიც ღამეს ათევდნენ...

მალეა ახლოს აღმოჩნდა. ჭონდომ ორი ბოთ-
ლი არაყი და შამპანური იყდა, წუწუნით მი-
ხურა კარი რა მაგრად ყინავსო... ნიკოლოზის
დედამ დაუყვავა და ბებრულად გაუჭკვრა —
პირი გაიპარსე ამ წუთში, ახალგაზრდა კაცი
ხარ და უქულოდ სიარულს მოეშვი, თავს მოი-
ყინავ და ინანებო...

ნიკოლოზმა ერთი ჭიკა არაყი რომ დალია,
მოყვავსთან დაკავშირებით ერთი ამბავი გაიხ-
სენა, რომლის მოსმენაზე გოგონებმა ბევრი
იქსიციეს. თურმე, ნიკოლოზი არტილერიის სა-
წვავდებელში სწავლობდა, სხვა ბიჭებივით მცი-
ვანა არ იყო და არახოლენ იცმევდა თილ საცე-
ლებს. ერთხელაც, თხილამურებით შეჩიბრი მო-
აწყვეს. მაგარი ყინვა ყოფილა იმ დღით, თან
ქარიც ამოჭროლებულა... ნიკოლოზი სულ პირ-
ველი მისულა, მაგრამ ერთი ადგილი (მეტად
აუცილებელი) მოჰყინვა... მაშინ არაფრად
ჩაუდგია, ხოლო როცა იქორწინა, ძალზედ შე-
წუხებულან ნეფე-დედოფალი და ქვითებითან
დაუწყვიათ სიარული. ვეღარაფერს უშველია...
ბოლოს როგორღაც (ეტყობა, დღვის წყალო-
ბით) მაინც ეყოლათ შვილი, ეს ვეღარ მოითმინა
ნიკოლოზმა, ცოლთან განქორწინდა და ახლა
არის თავისთვის...

ჭონდო, ნიკოლოზი და გოგონები იციოდნენ,
მხოლოდ ნიკოლოზის დედა იცრემლებოდა, ვიშ-
ვიშებდა და შვილს სწყევლიდა... არადა, ნიკო-
ლოზი ყოფილი კაპიტანი. სად მასხურობდა?
ამისი თქმა არც თუ ისე იოლია... შვიდი ენა
იცის და შვიდი წელიწადი იქდა ციხეში. რა-
ტომ? არც ამის თქმა იოლი... აი, ოჯახის აღ-
ღომის დათვლიერება კი შეიძლება... ახლა რას
საქმიანობს? ცეცხლფარეშად მუშაობს და თავს
მშვენივრად გრძნობს... მაშ რა ეგონათ?

ნიკოლოზი დათვრა. დედამისი თავის ქალი-
შვილთან წავიდა ღამის გასათევად. ერთი გოგო-
ნა კედლისკენ გადაბრუნდა, წინა გადაფურც-
ლა... მეორე გოგონამ (ევგენიამ) ჭონდოს თხო-
ვა, თუ არ გეზარება, პაერზე გავისვირნოთო...
ევგენია მოჰყვა — ქმარგაშორებული ვარ,

ერთი შვილი მყავს და მართოდ ცეცხლფარე-
შისი მივლინებით ჩამოსულა... ქარხანაში მუშაობს,
შეიძლება კომპლექტაციის განყოფილების უფროს
ინჟინერად და ელექტრომონტაჟის განყოფილების
ხელმძღვანელობს. ძალზედ მოსწონს თავისი
პროფესია, — სულ მივლინებებში დამპირის,
ქარხნის მოწინავე ადამიანი, ყველა იცნობს,
პატივს სცემენ...

ბოლოს ლიტერატურაზე ჩამოაგდეს სიტყვა.
ევგენიას ბევრი წინააღმდეგობა წაიკიბული,
ამიტომ წერაშიც გაუწავია ხელი... ძალზედ
მოსწონს შიშკოვი... „უფროუმ-მდინარეს“ წელი-
წადში ოთხჯერ კითხულობს: გაწავლულზე —
თებერვალში, ზაფხულზე — აგვისტოში, შე-
ნობადგომით — ოქტომბერში, ზამთრობით —
დეკემბერში...

მათი გახიზნება გაჩირადნებული პროსპექ-
ტის რესტორანში (სახელად „არყევი“) დასრულ-
და... ერთი ბოთლი შამპანური დალიეს, ევგე-
ნიამ უფროუმ-მდინარე გააჩია ხელახლა და
თქვა, ეს რომანი საუკეთესოთაგანია მეოცე საუ-
კუნის საბჭოთა ლიტერატურაში... მერე საკუ-
თარი ლექსები წაუკითხა, რომლებიც დაკარგულ
უკვე შორს გაფრინდნ სიყვარულს მისტი-
როდენ... კმაყოფილები გამოვიდნენ რესტორ-
ნიდან, მისამართები გაცვალეს და ღამის გახა-
თევად გასწიეს...

ოთხი წლის შემდეგ ბედმა ჭონდოსაც არგუ-
ნა ქარხნის კომპლექტაციის განყოფილების რი-
გითი ინჟინრობა და ერთხელ აღმოჩნდა, რომ
მათ ქარხანას ის რეულ აკლდა გეგმის შესას-
რულებლად, რომელსაც ევგენიას ქალაქში
„ელექტროაპარატურის“ ქარხანა ამზადებდა...
გაწავლული იწყებოდა. მატარებელი ნელა
მიემარებოდა. ნიკოლოზი გორაკებზე დაწო-
ბული მზე და დიდი ხნის ნანატრი შეხვედრის
მოლოდინე ახარებდა ჭონდოს.

კარი ევგენიას დედამ გაუღო. თურმე ყრუ-
მუნჯი იყო და ჭონდომ ვერა და ვერ გააგებინა,
რა უნდოდა. მერე ანიშნა ქალაქზე და მიწე-
რეო და ძალიან გაიხარა, თურმე ევგენიას უკვე
რამდენჯერმე უამბინა მათი გაცნობის ამბავი...
ევგენია ქარხანაში იყო. ჭონდო დასახვედრად
გაეშურა. ხოთი საათი სრულდებოდა. ჭონდო
ქარხნის შესასვლელთან იდგა, საღამოს ცივი
ქარი უბერავდა და მუშები სირბილით გამო-
დიოდნენ ქარხნიდან. ჭონდოს მხოლოდ იმიტომ
აქცევდნენ ყურადღებას, რომ დიდი, შავი ქურ-
ქი ეცვა და ქუდი არ ეხურა... ევგენია გვიან
გამოჩნდა. გოგონებთან ერთად მოდიოდა. იცი-
ნოდნენ, გვერდზე ჩაუარეს ჭონდოს, შეხედეს,
გადაიკისციეს და ტროლებუბის გაჩერებისკენ
გაიქცნენ. ევგენიამ იცნო.

ჭონდოს ეძინებოდა, მაგრამ ევგენიამ სთხო-
ვა, კინოში წავიდეთო და უარი ვერ უთხრა...
კინოთეატრი ახლახან აეგოთ. მოხაცდელი დარ-
ხანის ვარშეშო ერთრიგად იდგა სკამები, შუა-



ში კი, თითქოს სამეჭლისო ცეკვებისათვის დატოვებს ადგილო, — გულმოდგინედ გაპირადებული პარკეტი ბზანავდა... შუაგულში არავინ იდგა. ევგენიამ ნიშნის მოგებაში არეული ხიამაყით გაბიჭა იქითკენ. ჯონდოც შეიყოფა და ხედვის ფოკუსში მოექცნენ... ჯონდო უხერხულად იშშუნებოდა, ევგენია კი ამაყად ათვალიერებდა ყველას...

კინოჟურნალი ორი ყმაწვილის შესახებ გადაეღო. მათ პირველად დალიეს არაყი, თავიანთ თანატოლს კლარნეტი წაართვეს და გაუჩინარდნენ. მილიციის უმცროსი ლეიტენანტის ვაკაცობა რომ არა, ყმაწვილებს კლარნეტი შერჩებოდათ, მომავალ მუსიკოსს გული დაეკოდებოდა საყვარელი, ყულაბაში მოგროვებული ფულით ნაყიდი, ინსტრუმენტის დაკარგვის გამო...

კინოფილმში კი ვიებერთელა მშენებლობა, სატვირთო ავტომობილები, პრინციპული ხელმძღვანელობი (რომელთაგანაც ერთი მუდამ სცდება, ანდა სასურველია ცდებოდეს) და მათი მოწინააღმდეგე ახალგაზრდა ინჟინერი ჭაბუკის ცხოვრება უჩვენებს. ახალგაზრდა ინჟინერი ინსტიტუტის დამთავრებისთანავე განაწილებით გაგზავნის მეთად განადიოზული მასშტაბების მშენებლობაზე, რომელსაც, ნუ იტყვი და, აქამდე ბეცი ხელმძღვანელობა უდგას სათავეში...

ახალგაზრდა ინჟინერმა (რომელსაც, უნდა ითქვას, თითქმის არ გააჩნდა პრაქტიკული გამოცდილება) ოპერატიულიად შეინშა მშენებლობაში დაშვებული სერიალული შეცდომები და კრებაზე ყველას თვალები აუხილა... ყველა ახალგაზრდამ მხარი აუბა, გაიმართა კამათი და მოხდა საოცრება — მშენებლობის მთავარი ინჟინერი ქალი — ნათელი, ახალგაზრდებს მიემხრო და სწორედ იქ, იმ პირველ კრებაზე ჩაიხილა სიყვარული პრინციპულ ახალგაზრდა ინჟინერსა და მშენებლობის მთავარ ინჟინერს შორის... მართალია, ნათელი ქმარგაცილებული აღმოჩნდა, შვილებიც ჰყავდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ამ წყვილის ბედნიერებისა და მშენებლობის სწორად წარმართვისათვის... კინოფილმის დასასრულს იქორწინეს კიდევ...

კინოფილმი რომ გასრულდა, ევგენია ცრემლებს იშშურალებდა. ჯონდოს თავი სტიკოდა და უკვირდა, ნეტავი რამ აატარაო...

კინოთეატრიდან რომ გამოვიდნენ, ჯონდოს უცბადვე გაუარა თავის ტკივილი... ორი ბოთლი შამპანური იყიდა და ტროლიბუსში ჩასხდნენ... კართან ხანშიშესული ქალი და კაცქანაობდნენ. მთვრალეები იყვნენ... ჯონდოს დანაგაზე ქალმა ჭერ გაიცინა, მერე დაიყვირა, ხელი სტაცა ევგენიას და ტროლიბუსში მხლომთა გახავონად მოიმართა: „ხოთანა გაქვს, შეილო, საქმე, აგრემც დედა დვისია გაგიწყრეს... მოგატყუებსი მო-გატყუებსი მოგატყუებსი ვის ენდობი მიაგათ გაანებ თავი...

ვიცი! ვიცნობ! გამოიცილა! შეგაცდენს, ბეჭეცევა და მანდარინების ბუჩქებში დაგემალს... პირველივე გაჩერებაზე ჩამოვიდნენ ტროლიბუსიდან. ევგენია აწყურებდა, თუმცა ჯონდო არ ამელანებდა სიბრაზეზე...

ევგენიას დედას სუფრა გეწყო — ძევი, კონსერვი, შემწვარი კარტოფილი, სოკოს, კიტრის, კომპოსტოს, პამიდორის, ვაშლის შწნილული, თევზი, ტორტი, შოკოლადი და რაღა არ იწყო მაგადაე...

როცა ევგენიას პატარა ბიჭი კისრზე შეაგდა ჯონდოს, იგრძნო, როგორ გათბა მთელი სახლი გულსამარევი გრძნობით. რაღაც დონდოლო სირცხვილში ათქვეფილი სინდისის ქენჯნა მოეძალა... ჯონდომ არ შეიმჩნია და პატარა ბიჭი თამაშით მოქანდა... ბავშვს მალე ჩაიძინა... ჯონდო, ევგენია და მოხუცი სამშარულოში გაციდნენ. მოხუცი არ მალავდა, რომ ჯონდო მოხსწონდა. იგი ამის გამოშვადენებას ცდილობდა ხელებს ქნევით, ტურნების ცმატუნით, ზავილით... იტყობა, დვინოც უყვარდა — ჭიპა არ გამოუტოვებია... როცა შამპანურის ბოთლები გამოცალბეს, მოხუცმა ეშმაკურად ჩაიღიმა, წამოღდა, კარადანთან მივიდა, ალუბლის ნაყენი გამოუტანა, ხელით ანიშნა, ჩემი ნახელავიაო... მართლა მშვენიერი სასმელი გამოღდა, ზუსტად ისეთი, ჯონდოს ბაბო რომ აკეთებდა ხოლმე... ჯონდოს შეებრალა მოხუცი, რომელმაც სიმღერაც კი სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ახრიალდა და ტირილი წასკდა... ევგენიაც აყუდა და კიანლამ ჯონდოც ააყრემლეს...

მოხუცი შვილიშვილს მიუწვა და უცბად დაიძინა... ევგენიამ სიგარეტს მოუკიდა და თავისი ყოფილი ქმრის შესახებ მოჰყუდა, რომელიც არმიაში გაუწვევიათ, იქ ვიღაცა შეყვარებია და დარჩენილა... ევგენიამ დაასრულა — არ მიყვარდაო... მერე შეამჩნია, რომ ჯონდო თვლემდა, ლოკინი გაუშალა და დაიხანო, — შესთავაზა... ჯონდომ ცივი წყალი გადაივლო. დაღლილობა წყალმა და ქალის სიხლოვით აღძრულმა ძლიერმა ენერჯიამ შეუცვალა... საბაზანოს კარს საკეტი არ ჰქონდა... ევგენიამ დაუკითხავად შეაღო კარი და გაკვირვებულ ჯონდოს სთხოვა, ნება მომეცე დაგზანოო... ჯონდო სახებზე არ უყურებდა... ევგენიას ხელები არ უთრთოდა, უბრალოდ ბანდა, ზუსტად ისე, როგორც ჯონდოს აბანავებდა ხოლმე დედამისი... ამან გული დასწყვიტა, დადარდინა და ძლიერი სურვილი აღძრა ამ სახლიდან შორს გადაკარგვისა...

ერთად დაწვენი... იქით კუთხიდან ბავშვის ფშვინვა და მოხუცის ხტრინვა ისმოდა... ევგენიამ იგრძნო ჯონდოს საფიქრალი და ატირდა... ჯონდოს გაქცევის ძლიერი სურვილი ჰქონდა.

ჯამალ დავლიანიძე
შემოგზარუნდა

აუტანელი სირცხვილი სწავდა, სწორედ ისეთი, დედის წინ გაშეშლებული, უკვე მოწრდელი ბიჭები რომ გრძობენ უკანასკნელი ბანაობისას...

ჯონდოს ადრე გაეღვიძა, წამოღდა. — ბავშვსა და მოზუცს ისევ ეძინათ. ევგენიაც ადგა. ხმა გაუციათ ერთმანეთისათვის. ევგენიამ ხმა დაბლა შესთავაზა. პური ჭამო. ჯონდომ იუარა... ფრთხილად გამოიხურეს კარი. ნელა ჩამოდიოდნენ კიბეზე. ჯონდომ არ იცოდა, რაზე ფიქრობდა მის გვერდით მიმავალი ქალი. თვითონ ტირილს ძლივს იმაგრებდა და უკვირდა — წუხანადელი ფილმის რეჟისორის ცემის სურვილს რომ გრძობდა...

გარეთ ადრეული გაზაფხულის განთიადი იდგა. ჭუჭყიანი, მოშავო, გათხლებული თოვლი იწირტიბოდა მიწაში და ჭილყვავების გუნდები დაფარვატებდნენ შალა... სადარბაზოსთან ორი ბილიკი იწყებოდა. — ჯონდომ ნაბიჯს შეუნელა, გამოთხოვება დააიკრა, მაგრამ ევგენია უსიტყვოდ დაადგა ერთ-ერთ ბილიკს. ჯონდო გაშტორდა. უკან აღარ იქიტირებოდა... რაც უფრო შორდებოდა კორპუსს, უფრო და უფრო უხაროდა... ტროლეიბუსში რომ ავიდა, პირველად აღმოსავლეთს გახედა და მზის ამოსვლის დაუსრულებელი სიხარული იგრძნო...

ჯონდო ბალახში იჯდა. ბალახის სუნით შეწავებული ყვავილების სურნელება იდგა... ამგვარი ირგვლივითი კაცს გაიძულებდა არაფერზე გეფიქრა. არაფერზე გეცნება, არაფრით გეცნობრა და არაფერზევე ჩაძირულიყავი... ჯონდოს გველისა ეშინოდა, საკუთარ შიშს წიწნა და ცდილობდა გაერკვია — გველისადმი შიშის სიძლიერე და მისი წარმოსავლობა. — რატომ ეშინია გველისა? როგორც მას შთავაგონეს — იბინება და იმითომ, რატომ იბინება? თავს იცავს და იმითომ. რატომ იცავს თავს? ანა მას რა ჰქნას, თუკი ვინმე ფეხს დაადგამს და შეაშინებს? შთავარია, ფეხი არ დაადგა... შთავარია, გაქუდტიტო არავის დაემუქრო და შიში არ აღუძრა, თორემ ცუდად წავა საქმე...

ტრამაღების ნიავის ხმა არ ისმოდა. უძრავა მიეფობდა, ჯონდოს განძრვების სურვილიც კი დაეკარგა. მისი ფიქრები ზოწონით მიედინებოდა. როცა მწერმა უქნინა, საშინელებათა ტრამაღებო, — გაიფიქრა და წამოადგა... საშინელია ეს უძრავობა, დუმილი, თვალთახედვას ერთი დერი წინააღმდეგობაც კი არა ხვდება, — დუნდები, რბილდები... შეიძლება ზუსტად იქითკენა საბოლოო გზა, გზა გარინდებისა, სიჩუმისა, მარადიული, ზოწონი ნეტარებისა... ამას თუ მიეჩვიე...

ჯონდომ ნაბიჯს აუჩქარა. იგი დაფინებით ფიქრობდა ვეებერთელა ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის სიტყვებზე: ჩვენი ბრი-

გადა იმდენად შეტრულია, რომ ციდან ვარჯველავებსაც ჩამოვიღებთო... ჯონდო გაბტრუნდა უფრო იმ ჰქვესტატასა თუ ოსტატს ვარსკვლავის სხელების უფლებმა არ უნდა ჰქონდესო... ის ხშირდერა კი ქარხნის შესახველზე რომ არის დაწერილი, "უღგამოტრულია" იმ ბრიგადაზე... დმერთში მთ შოაკლოს მშგვარი მანგები...

... ზომიერის საძოვრების სამმართველოს ევროში (როგორც მუდამ) რამდენიმე ავტომანქანა იდგა. შავ ვოლგას დიდხანს უტყირა ჯონდომ, — გაუკვირდა — ეს პატარა ანტენა აქაურ მანქანას საიდანო? ევროში შენაბჯად და „კოლხონთან“ ატუზულ შოფერს ჰქითა, — ვისიაო? შოფერმა ხელები გაშალა და გაკვირვებულმა აუხსნა — ვამ, როგორ არ იცი „ხაზინისაო“... ჯონდომ კითხვა დაუნაცვლა, ნამდვილი სახელი რა ჰქვიაო? შოფერმა გაოცებით აუხსნა, „ხაზინი — ხაზინიო“... ჯონდომ მიხვდა ვინც იყო „ხაზინი“, ცუდ ხასიათზე დადგა, უფერსულობა მოეძალა, სინანული იგრძნო — ცოტა ხნის წინ აქაურობაზე — ტრამაღებში მომუშავე ახალგაზრდებზე ნარკვევი გამოაქვეყნა და „ხაზინიც“ ახსენა ოროდ სიტყვით, თუმცა კი არ ენახა. ეს ისე, — პატივი სცა, აღმაიხან არაფერი ეწყინოსო... წინათ, როცა რაიონული გაზონის რედაქციაში მუშაობდა, ამგვარი რამ არ უქნისია, ახლა კი... იტყობა, რომანტიკული აღმფრენის ხასიათზე ვყავი, როცა კაცს გზურს ყველა გაახარო, — დაასკვნა...

ჯონდომ მისაღების კარი შეაღო. ხალხი ბლომად იყო... შავი კარის მიღმიდან ყვირილი ისმოდა. ჯონდოს არ გაკვირვებია, „ხაზინი“ უფროსი იყო. ასეთებს კი ყვირილი უყვართ (და მათი აზრით, ეპატივით კიდევ, რადგან ყველაფრის ამტანნი არ არიან)... მდივანმა ქალმა ურჩია ჯონდოს, შედი, თორემ კაბინეტში ხალხი არ გამოიღევაო.

ჯონდო შევიდა. რამდენიმე უღვაშოსანი კაცი უქდა გამოგრძელებელ მაგიდას; რაც რაღაცნაირად (ეს სიტყვა ზოგიერთ მწერალს ძალზე უყვარს, როცა თვითონვე არ იცის როგორ ახსნას რაიმე მოვლენა) „ხაზინის“ გაგრძელების ჩამოგვადა...

„ხაზინი“ ხასხვათაშორისოდ მიესალმა ჯონდოს და ყვირილი გააგრძელა:

— კაცო, გამოიგო, რასაც გეუბნებით, შეახრულე და უფრო მალე მომიშორებო თავიდან... საქმეს გავაკეთებ, — დამაწინაურებენ, თქვენც დაისვენებო და მეც...

რამდენჯერმე თბილისიდან დარეკეს. აშკარა იყო, „ხაზინი“ თანამდებობით უფრო ზემდგომ (და ასაკითაც უფროს) აღმაიანებს ელპარაკებოდა, მაგრამ მის კილოში არაფრისაგან გამაყვებული საზეიგო განწყობა იგრძნობოდა (რატომ ხაზიგო, — ჯონდომ ვერ გაარკვია)...

„ხაზინი“ იმუქრობდა: „თქვენ ხომ არ გგო-

ნათი? "გჩვენებთ, როგორც უნდა", "მაშ
კარგით, ვნახოთ, დამცადეთო".

ახბინტში სამოღებ კაცდა დარჩა. ყველა
აღტყინებელიც კირდადებული შესციციხებდა
„ხაზეინმა“, რომელიც, მათი აზრით მინისტრებ-
საც კი არაფრად დაგიდებდით, რადგან... „მოკ-
ლედ, მაგარი კაცია, მოჩა და გათავდა...“

ბოლოს, „ხაზეინმა“ ვიდაცს ჩაპყვირა ყურ-
მითლი და შემოსულ, ბიჭს შეაკეტრდა:
— ხომ გითხარი, არ დამენახო-მეთქი?

ბიჭმა თქვენობით მიმართა — ცოლ-შვილს
მშვიტს ხომ არ ამოვხვავა, ერთი-ორი თვით
დამტოვე სამსახურში და მერე გამათავისუფ-
ლეთო...

„ხაზეინმა“ ისეთი ყვირილი მორთო, ჯონდო
წამოიწია, მაგრამ ერთ-ერთმა პირში მოციციენე
ეღემენტმა მკლავი დაუჭირა ღმინილით, ბრძან-
დებოდეთ, უნდა შეეჩვიოთო...

ბიჭი არ მოეშვა „ხაზეინმა“, რაზე მხსნიო?
„ხაზეინმა“ უთხრა: „ეგრე მინდაო“... ბიჭმა
კბილები გააკაპუნა და წავიდა.

„ხაზეინმა“ მუშტი დაუშინა მეგადას:
— ამ ხალხს ვეღარ აუვიდო, იე ამითა... ასე-
თი უმადნისი, ზანტი, ზარმაცი, ადამიანები ჭერ
არსად მინახავს... მე ამათ მოვუვლიო უკვე რამ-
დენიმე მწუხრს, ბრიგადირს და ვიდაც-ვიდა-
ცებს მოვუარე... სხვებსაც შვად დღეს დავაყრი —
ქალებში დამიწყეს სიერონბაი...

ჯონდოს გაუკვირდა, ამ უკაცრიელ ტრამა-
ტებში, სადაც ერთადერთი კულტსახლის შენო-
ბაა, რატომ არ შეიძლება ქალს გამოეღაპარა-
კოო, მაგრამ ჩანდა „ხაზეინმა“ თავისი ადლი
ქქონდა, იმითი ზომავდა და ჭრდა...

„ხაზეინმა“ იმწამსვე დაწყენდა, ანთხითდა,
ჭერ „თავის კაცებს“ მიხედა და მერე ჯონდოს
შეაკეტრდა აშკარა ირონიით:

— ბატონო მწერალო, ეს რა ნარკვევი დამიწე-
რე, ყველა უკლებლივ, ვინც კი ნახხენება, მო-
სახსნელი მყავსი...

— მე, საერთოდ, არავის ვუწერ ნარკვე-
ვებს, — უთხრა ჯონდომ და ერთხელ კიდევ
წარმოიდგინა ის ბიჭები, რომელთა შრომა-
საქმიანობა საკუთარი თვალით ნახა... ხანდაზ-
მული შაღვა სარჭველამცე | წარმოგხება და
„ხაზეინმა“ თვალთ გაუსწორა...

„ხაზეინმა“ კი უკვე ღმობიერ ხასიათზე იყო.
ღილაკს თითი დააყრი, მდივანს უხმო — მძღო-
ლი გააფრთხილეთ, სასკოლოზე უნდა წავიყვა-
ნით ბატონი მწერალო...

ჯონდომ კვლავ იგრძნო ნათქვამის ქვეტექსტი
და ირონია...

ღურჯ „კოლხონიში“ ჩახდენენ... საყვითონ
„ხაზეინმა“ დაჯდა... ასტრახანისკენ მიმავალ გზას
დაადგენ. გზის მშენებლობა ახალი დაწყებუ-
ლი იყო.

ჯონდომ „ხაზეინმა“ თქმოსთან იარაღი დაუ-
ნახა...

ჯონდოს აღარა და აღარ მოშორდა ეს ირ-
ნია, რაც სიტყვა „მწერლის“ გაგონების მოს-
დევს ხშირად... შეეცადა ემოვნა მიწეწი... ბავშ-
ვობისას მთელი ნათესაობა დაცინოდა, „გოგ-
პოეტის“ ეძახდნენ, სკოლაში იყო და, მოწა-
ფებიდან დაწყებული მასწავლებლებამდე
(თვით ქართული ენის მასწავლებელიც კი) შენ-
გან არაფერი დადგებოდა — ეუბნებოდნენ და
ღვარქლიანად უღიმოდნენ, ზუსტად ისე, რო-
გორც „ხაზეინმა“... ჯონდო ყოველივე ამას ისევ
და ისევ ადამიანების გულმავიწყობით ხსნიდა.
მეთერთმეტე კლასში იყო, როცა ქართული ენის
მასწავლებელი ქალი, უნივერსიტეტი მაქვს და-
მთავრებულიო, — მუდამ ამით რომ ამაყობდა,
ხისს ამოკითხვას მოჰყვა და ყოველ მოსწავლეს
ცალცალკე გამოჰკითხა — რას აპირებ, რომელ
უმაღლესში გსურს სწავლის გაგრძელებაო...
როცა ჯონდოს ჭერი დადგა და თქვა — უნი-
ვერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტზე
მინდა შევიდეთო, მასწავლებელმა შეიცხადა:
„უი, არა? ოღონდ იქ არა! ნუ შემარცხვენ
ჯონდო, არ გრცხვენია, ვინდა, რომ თავი მო-
მტრად?“ მთელი კლასი ახარხარდა. ბოლოს, მას-
წავლებელმა ესადა სთქვა, თუ მაინც არ დაიშლი
და საბუთებს შეიტან, თუ გითხონ, ქართულ
ლიტერატურას ვინ მასწავლიდაო, ჩემი გვარი
არ ახსენოო... მაშინ ჯონდოს თავის კლასში
ერთი გოგონა უყვარდა. ქართული ენის მას-
წავლებლის სიტყვებმა დაცინვის ისეთი კო-
რიანტელი გამოიწვია, თვით ის გოგონაც,
რომელიც სულაც არ თანაუგრძობდა ისეცა-
რულში, — ატირდა... მას შემდეგ ჯონდო ხში-
რად შეხვედრია იმ მასწავლებელს... ცამეტი
წელიწადი გავიდა, ჯონდომ ფილოლოგიის ფა-
კულტეტზე ჩააბარა მისადები გამოცდები,
უამრავი რამ დაწერა, გამოაქვეყნა... ახლოს
ცხოვრობდა სკოლასთან და ყოველ მასწავლე-
ბელს მუდამ ქუჩის ერთ მონაკვეთში ხედავ-
და, მაგრამ გვერდს უვლიდა... მერე ის შეუ-
რაცხულოა, სკოლაში რომ მიაყენა მასწავლე-
ბელმა, მისადმი სიბრალულში გადაიწარდა.
ესეც თქვენი გულმავიწყობა... ეტყობა, მას-
წავლებელსაც დაავიწყდა, რა ტრამავა მიაყენა
მოსწავლეს და ერთხელ გზაზე გადაუდგა, შენ
ხომ ჯონდო ხარო?

ჯონდო „კოლხონის“ საბურავების ხმას
უსმენდა და ცდილობდა ამოეხსნა ის მიწეწი,
რის გამოც მწერლებს (დაწყებული ხარატიდან,
დამთავრებული უმაღლეს ჩინამდე) ოდნავი
ღმინილი (როგორცა ეს ღმინილი, ღმერთმა
უწყის, მაგრამ არის) შემუყვრიბენ და ოხუნჯო-
ბის ხასიათზეც კი დგებიან... ჯონდო არ გა-
აკვირვა საკუთარმა გადაწყვეტილებამ, ყველა-
ფერი მწერლების ბრალიო... ეს მართლა იმა-

ჯამალ დავლიანიძე
შემოგრაჟინება



თი მიზეზითაა, ვინაც შეუძლია სახარატო დაზგაში უვავილი დაინახოს (ანდა უვავილი შეადაროს ჩარხს), ხიმდერა დაწეროს ჭარხნის შესახველელზე (რომელიც თურმე აღამიანს აუღიბებს), ეს იმათი ბრალია, ვინც სიაშაჟით, აღტაცებით ხატავს ჭარხნის შიღვნიდან ამოსულ ჭუჭუიან კვამლს, ვინც სინახურლით აღწერს წყაროს რაკრას, გაცვეთილ პეიზაჟებს, იმათი ბრალია, ვინც იმ სიუჟეტულზე წერს, თვითონ რომ არ განუცდია (არც კი უნატარია), მერე მკითხველები, სკოლის მასწავლებელი, წაკითხვლის გავლენით ეძებენ, ვერ პოულობენ და ხულიერად სახიჩრდებიან. ეს ცოდვა იმ მწერლების კისერზეა, ვინც რკინის უღარუნში და ნატისუსხალში გაჯაფხულის სუნს გრძობენ...

ჯონდო თვალს არ აცილებდა „ხაზეინის“ თეძოზე დაკიდულ იარაღს, რომლის სიცვიდან შედეგებული სისხლის სუნი მოდიოდა...

სასაკლაო მადე გამოჩნდა. ეს იყო იგერეთ-წოდებული, მეცამეტე ასაქცევე. ახალი სასაკლაო რკინეზის გაღამა იყო. მატარებელს ვერ გადაასწრეს. ჯონდომ მოსწრო ერთადერთ ვაგონზე გაკრული წარწერის ამოკითხვა — „ახტარახანი-მინვოლი“.

ეტყობა, „ხაზეინის“ „კოლზონიკის“ ფერცნობილი იყო უველასათვის, — სასაკლაოსთან ათამდე კაცი დახვდათ.

ჯონდომ ბევრობიდანვე იცის, რა არის სასაკლაო. მის სოფელშიც იყო იგი. მიხანა უსახს უველა სცნობდა. ერთი პატარა, კირით ნაშენი ოთახი ჰქონდა ხევის პირას, სადაც (და რომლის ირგვლივაც) ამყავებული სისხლის სუნი იდგა, ხორცის მწვანე ბუფი ირეოდა და საჭოლის შესაბრალისი ზმოილ-ზროტინი იხმოდა... მერე, მიხანას ოჯახს რაღაც სენი დაეჭრა და ამოწვდა... თუმცა, რადგან ჯონდომ უკვე დაასკვნა, — აღამიანი გულშავიწყოაო, ამას ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა:

— ამწუთში ჯონდოს ერთი გამორკვევა ხურდა — „ხაზეინი“ რალა მიანცდამიანც სასაკლაოს მაჩვენებლს? ცნობილია, სასაკლაოსთან, იმის გარდა, რომ იქ ცხოველებს კლავენ, უამრავი რამა დაკავშირებული, რაზედაც ჯონდოს არ სურდა დაფიქრებულიყო და გადაწვეტა სასაკლაოთა გამგე „ხაზეინის“ მეგობარი იქნება... აქედან კი (თუკი ამას დავფიქრებთ) უკვე ნათელია უკველივე... ეს ფიქრი (ანუ დასკვნა) ამბის (ანუ სასაკლაოს) ერთი მხარე იყო, იქით მხარეზე კი სიბნელე იწვა და ჯონდოს ნამცეცი სურვილიც არ ჰქონდა შეეტოპა... იქ ორი კაციც ეპაროდა — „ხაზეინი“ და გამგე... ესე იგი, ეს სასაკლაო იყო სასაკლაო, სადაც საქონელი იკვდება და მეტი არაფერი. ამის გარდა (ანუ სასარგებლო საქმის გარდა) სასაკლაოში არაფერი სხედოდა, ხორჩა და გათავდა. ბოლოს და ბოლოს, ჯონდოს მოჩა არ შეეძლო ცილი

დაეწამებია შემოწმების გარეშე? ეს კერძოდ მება) მისი საქმე არ იყო... ესეც ასე

სასაკლაოს მართლა ჰყავდა უფროსი, რომელიც მართლაც აღმოჩნდა, „ხაზეინის“ მეგობარი... მწერალიაო, — „ხაზეინის“ ამ სიტყვაზე სასაკლაოს კვადაროსანში უფროსმაჟ ჩაიღინა და მობრძანდითო... ჯონდომ გუნებში ვაიმერებინა სასაკლაოს უფროსს ეს თხოვნა: „გთხოვთ, უმოჩრილებსად გთხოვთ, გვეწვიოთ და მობრძანდეთ...“ ბა? როგორია? კარგი წინადადება? ნეტავ რა ნიშნის დაუწერდა ამწირად შედეგშილ წინადადებაში მისი სკოლის ჭარხულიც ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი? არა, წინადადება კიდევ არაფერია, საინტერესოა, წესიერად რომ გავჩნია, რა აზრისა დარჩებოდა მასწავლებელი? ჯონდომ მართლა სცადა ამ წინადადებას გარჩევა, მაგრამ ვერ შეძლო და ორინიც მიიღო გუნებაში...

ჯონდოს აღტაცებით უჩვენებს სისხლიანი ხარხიბები, ჭანგები, ჩანგლები, კავები, დანები, ტყავები, ხორცი და ბოლოს — დასკლავად გამოწადებული ცხვრები... ჯონდოს ცუდად არ უგარძნია თავი და ეჭვი შეეპარა საკუთარ კაიკაცობაში, ახლა კი უნდა წამსვლოდა გულიო... ისე კი, მადლობა ღმერთს, რომ ცრემლი არ მორევია ბევრში... ამ ბოლო სიტყვამ საბავშვო ბლის იყო წარმოუღვინა, რომლის მესერის მიღმიდან რაიმე საინტერესოს ან სანადგლოს გამოსცქერიან პატარები და ჯონდო ცხვრების თვინიერ, ნადვლიან მზერას წააწუდა... პატარაობისას იმ ზღაპრებში, რომლებსაც უკითხავდნენ, ცდლობდნენ შეეკავებინათ ზოგიერთი (მატაცებელი) ცხოველი: მგელი, ჭიჭი, ფოცხვერი... მოკლედ, ყოველივე რაც (და ვინც) სხვას ერჩის... წესით, ჯონდომ უნდა გაღიმებოდა ამგვარ ნაწარვეზე, ეს რა დოკუმაიური აზრები მოსწონდა, როცა... უბრალოდ უნდა მიიღოს ყოველივე ბოძებული, — ასეა ოდითგანვე, აღამიანმა თავად კი არ მოიგონა ეს უველაფერი, ასეა დაწესებული და ასე მოღის უკუნისიდან, სხვა ვიდაცის ბრალია, ჩვენი ბრალი არაფერიც არ არის... ამ წუთში იგი სასაკლაოზეა და იმის მაგიერ, მწერალი კაცი მოყვასის კეთილდღეობაზე ზრუნავდეს, ბრყველი ცრემლები ერევა... აბა მაშ, ეს საქმეა?.. აღამიანებს ბანდანს ისეთი რამ მოუწყვარებდათ... თუნდაც მისი სიმაშრის ამბავი ავიღოთ... ამაში კი ვერავინ წაეღებვა — საკუთარი თვლით ნახა: სიმაშრის „მორეობდა“, ასე ეძახიან ზამთრობით (ყინულ-თოვლ-ჰყავში) წყალში მოცურავად აღამიანებს... ჰოდა, ჯონდოს სიმაშრის საავადმყოფოში რომ დაწვიინეს, უველა გაოცდა: როგორაო: დათვივით კაცი, სპორტსმენი, თანაც „მორეო“, ავად გახდაო? არადა, ასე დაიწყო უველაფერი — ბაღლიან პამიდორს ეწოდებოდა. ბოლო გზობაზე მდინარეცადა შეესხნა, გაოფლილმა შეესხნა, სველ ტანზე ჩაიკცა, ბუფეტში შევიდა, ახ ორ-



მოდდათ. გრამი წიწკის არაყი უშუშმა, შავი პურის ნაჭერზე სქლად წასმული მღოგვი მიაყოლა და მეორე დღით ვეღარც წამოგდა — სიცხე მისცა, შეამცივნა და ეს თეთრი დათვიანი გრძელ-სქელი კაცი, სპორტსმენი, თანაც „მორტი“ ღოგინად მხვარდა... ჭერ სურღო გგონა, მერე გრამი, — პილილიდან არაყს მიტანა... სიღერდმა სასწრაფო დახმარების გამოძახება უჩინა. ისედაც ეგვიანი სიმამრი აიბურძქვლა: ძალით მგზავნა საავადმყოფოში, თავიდან მიშორებ, რომ, როგორც ვნებავს სიგინათო, იჩხუბებს, სიღერდმა რაღა არ წასძახა: ღლით, გარყვნილი, ყუყუი, დოყლაპია... საქონელი ხარო, ისიც კი შექაჯარა... სიმამრს ვერ უშველა არაყმა. სიცხე აღარ გამოჩნდდა, საქდომის მიღამობი სტეხდა ურღ. ამისაც გაუძლო, მაგრამ, როცა დაუსივდა და დაეკუთდა, — ექიმს დაუძახებს. ოპერაციაა საჭიროო, — გადაუწყვიტებს. სიმამრმა იუარა, ჩემთან („მორტიან“, სპორტსმენთან) რა უნდა საოპერაციო სენსო და ექიმს (გავიდა თუ არა) აგინა. სიღერდმა გამოლანდა ქმარი — ხეიბარი რაღაში გამოდგებო. სიმამრი დაბოლომა — ადრე უნდა გავურდი ამ ქალს, მაინც რა დღემ გაჯარდა, სამსახურიდან ერთი საათი ვერ დამიგვიანია, ერთი ბოლოდ არაყი რა არის, რომ დამეღლია, მეზობლების გასაპროი ვხდებოდი... სიღერდმა ციოც აიყოლია, ციომ — ჯონდო, რომელიც ვაჟაკობაზე ელაპარაკა მთელი საათი... ახალგაზრდა ხარო, ეუბნებოდა, ქალებს კი არ უყვართ დაქუქული მამაკაცები... სიმამრმა ვერაფრით ვერ გაარკვია, რა იყო „დაქუქული მამაკაცი“... მაინც დათანხმდა ოპერაციაზე. იმ დღითვე გაჭრეს, სწორი ნაწლავის აქეთ-იქით ჩაჭრება, ჭრილობა ამოუკარავი დატოვეს (ახე უნდაო), დაამშვიდეს და პალატაში შეაგორეს... ყველაზე მაგრად მაინც ეგვიანობა ღრღინდა — წარსულში იქეებოდა — ცოლთან ბავშვობიდანვე იყო შეზრდილი... მეუღლე ღამაში ჰყავდა... ვინ აღარ დახდებდა... სიმამრი რესპუბლიკური კატეგორიის მხავი იყო ფეხბურთში, — სულ აღმა-დაღმა ჰქონდა გზა, — თამაშები, მივლინებები... ვინ რა იცის? ეს ავადმყოფობაც რომ რაღაცნაირი, სახირცხვილო შეეყარა დილა-საღამოს ტამპონებს უცვლიან... ადრე რყემის კაცი, თეთრი დათვიანი ჩამდგარი, სრული, სპორტსმენი, თანაც „მორტი“ საავადმყოფოშიც წესრიგის მოყვარული დარჩა: დღით თეთრხალათა გოგონას გამოჩენაზე პირველ ვადრიალდებოდა, შვიდაღშიც ხუნუნასაც შეუტრედა და ბლანტი სირცხვილის გასაქარებლად ჯონდოს ნათქვამ, უკვე აკვიტებულ სიტყვებს ხუმრობით იმეორებდა: დაქუქული მამაკაცი ვილას რაღად უუნდვარო... ამშვიდებდნენ — ავადმყოფობამ სირცხვილი არ იცისო... მაგრამ ჯონდოს ნათქვამი „დაქუქული მამაკაცი“ ფეხბურთული თუნუქის ყუთივით ხრიგინებდა,

სხეულში წვილიად იფანტებოდა, სატკივარს ერთვოდა და სწიწკინდა... საავადმყოფოშიც დღისა არაყი, სხეებსაც მოუწოდა, მეტი რა შეგვჩნებო, მაგრამ არავინ აწყვა... წამლებს არ სვამდა — ტულეტში ჰყრიდა... ერთხელაც მთავარმა ექიმმა დანახა არაყის სმისად და გამოწერეს... შინ უფრო მოეწონა. ჯონდომაც გაუღიმა... ახლა უკვე სიღერდი უწყობდა ტამპონებს, ღვინოსაც ასმევდნენ, სამსახურსაც დაუბრუნდა. შერთალია, სპორტსმენი და „მორტი“ აღარ იყო, მაგრამ მთავარი — დათვური რაღაცა შერჩა — ტამპონების გამო სიარულის მანერა შეიცვალა... სიგარეტსაც, თავი მიანებდა. გასულდა. მეგობრებს ჩამოშორდა. შინ აღარ იგვიანებდა. ცოლი, შვილი, სიძე, შვილშვილი (ანგარიხს უწევდნენ უკვე) უმიზნოდ ლუპობს არ ღებავდნენ. მერე კი — რამდენიმე ჰუი არაყი, ტელევიზორი, ყურნლა-გაზეთები. მხატვრული ფილმის დაწყებამდე ჯონდო მეორე ოთახში გადიოდა, სიღერდი ჭრილობას უხვევდა და მერე ისევ ტელევიზორი, ყურნლა-გაზეთები, ოჯახური მუდროები... ერთხელაც სიღერდმა დააგვიანა. სიმამრი აუვიცირდა. სიღერდი გაანჩხლდა — ამა და ამ ქალაქში გენიალურად აეთებენ ოპერაციას, წადი, გაიკეთე, დღეის ამას იქით ხელს აღარ შეგედავ, ახალგაზრდა ქალი ვარ, ცხოვრება მეც მინდაო და... მოულოდნელად აირია ყველაფერი: ტაშტი გაგორდა, შვილიშვილი ატირდა, გაფუჭებული კატა ნიხურ ჩამოკონწილდა... სანახევროდ შიშველი სიმამრი ჭურჭელზე გადავიდა, — დაღიწა, გადაუარა... როცა ბროლის ღარნის ადარ დაამტკრეინეს — ატირდა... არ უნდოდა ოპერაციის გაკეთება... საკუთარი სენი შეუყვარდა და ვინც კი მის მოჩინას შეეცდებოდა, შეეწირებოდა კიდევ...

ჯონდო მოშორდა სასაკლავოს. — მოდი ეხლა და სიმამრის შემხედვარემ უახბები გაამტყუნე... როცა სასაკლავოდან ყველა გამოვიდა, ჯონდომ აპოლონი წარმოიდგინა: „ხაზეინს“ ადგილზე — ნეტავ ის თუ წამოიყვანდა სასაკლავოს საჩვენებელი?..

წამოსვლა დააპირეს, მაგრამ სასაკლავოს გამგემ რიხიანად სიხოვა, — ბუღას ვკლავ და იქნება დანეტერებსღეს ჩვენი მწერალი... ყველა დანეტერებსღა და ჯონდო იძულებული იყო სასაკლავოს დაბრუნებოდა... ცენტრში, ჩაღრმავებულ ადგილზე მშვენიერი, თეთრი ბუღა იდგა. ცოტა არ იყოს, შეკრთნენ მისი სიმშვენიერის დანახვად. ჯონდო განცვიფრდა მაგრამ დაიჭერა, ნაღდად დაკლავნენ...

ტანდაბალი, კუნთმაგარი საღამო ფრთხილად მიუახლოვდა ბუღას, ურო ძლიერად მოუქნა და რქებს შუა ჩაუხატუნა ზუსტად ისე, რო-

ჯამბალ დავლიანიძე
შემიღბრუნება

გორც მინანა უნახმა იცოდა, მაგრამ ცხოველ-
მა ყური არ შეიბერტყა. ჯონდოს გაეზარდა,
იქნება ახლა მინც გადაიფიქრონო... ამასობა-
ში საღახმა მეორედ სთხოლიშა ურო, ცხოველი
ოდნავ შეინძრა, გაცეცებით მიაჩერდა ადამიან-
ებს და ყურები გააბარტყუნა... სასაკლაოს
გამგე ლანძღვას მოჰყვა, „საზეინმა“ თქვა, ლა-
ყუები ხართო... როგორ თუ ლაყუებო, ერთი
ახლაგარდა ბიჭი (სასაკლაოს უფროსის მარჯ-
ვენა ხელი) გადახტა, ურო გამოპლვიჭა ხელი-
დან პატარა კაცს, რამდენჭერმე გაქნია და ჩა-
ბრტყა ბუღას, რომელმაც ამოხადვლა, თვალე-
ბი გადმოატრიალა, დაითვრა, დაიძრა, ჭერ მო-
პირდაპირედ კედელს მიაწყდა, მერე მოტრიალ-
და, ჯონდოსკენ გამოქანდა... ჯონდომ თვალეში
დახტუა, ერთიდა გაიფიქრა — ღირსი ხარო, მაგ-
რამ ბუღა არ დასჭახებია, — გვერდი აუარა,
თუ რა ქნა, ალბათ არავინ იცის, კედელს მიე-
ხეთქა, გათვარა და ტრამალეხს მიაშურა... მდევე-
ვრებმა თოფები გამოიტანეს, სატიერთო მანქა-
ნაზე შესხდნენ და ბუღას გაეკედნენ...

ჯონდოს აღარაფერი აინტერესებდა. რამდენიმე
კაცმა გადაარჩინა მიულოცა...

უკვე ბნელდებოდა უჯან რომ გამობრუნდნენ.
ჯონდომ იცოდა, ბუღას დღეს თუ არა, ზვალ,
მინც მოკლავდნენ, ვერ უშველიდა მას... ტრა-
მალეხს გასცქეროდა. ძლიერი ქარი ჰქროდა,
ძირში მოთხრილ ხალხს ფეხზე აყენებდა, აგო-
რგოლავებდა და კასიის ზღვის პირებისკენ
მიავარებოდა:



ჯონდო ტუბოპოსიტალიში დააწვივნის ორი კვი-
რით. — სამხედრო კომისარიაში დაეკვდნენ —
კავენოზული ტუბერკულოზი არამც და არამც
არ გექნებოდაო...

პოსიტალის შენობა ორსართულიანი იყო...
ექვმეტანელი ხალხი (რომლებშიც მართლაც
ერთი რამდენიმე მოღვეურტირო ბიჭი, შეგენ-
ბულად თავს რომ არიდებდა ჭარს) ერთ პალა-
ტაში მოათავსეს. დანარჩენ ავადმყოფებს (რო-
მელთა შორის ბევრი ომგადახელი იყო) ეწიზ-
ღებოდათ ექვმეტანელები. „ულაყუები“ შეარქ-
ვეს და, მათი აზრით, ყველანი სათანადო გამო-
კვლევის გარეშე უნდა შეეკრიბათ, ჭერ გამო-
სასწორებელ კოლონიაში ეკრათ თავი, მერე
კი ჭარში... მაშ (მათი აზრით) ამას ამდენი ფიქ-
რი სჭირდებოდა?

ვინც ასე სჯიდა — უკლებლივ უძეაყოფი-
ლონი იყვნენ სასადილოთი. მუღამ ექვმეტანე-
დნენ, კატლეტს წონაში აკლია, წვნიანს კარაქი
არა აქვს, (მარგარინს ხმარობნენ), ფლავი
უშაქროაო...

სასადილოში ყველას დროებითი (საკუთარი)
ადგილი ჰქონდა... ექვმეტანელები („ულაყუები“)
განგებ განაწილეს ცალ-ცალკე, ერთად აიკლ-
ბენ იქაობასო... ჯონდოს (დროებით) მაგადას-



თან ორი მწერლობის მოსურნე, მომწერდნენ...
კაცი და ერთი ამწყობი ზეინკალი იქნა. ჯონდო
და ზეინკალი ჩუმად ჰამდნენ. მომწერლობები
ბაასობდნენ... ერთი მათგანი ამბობდა, მწერალს
რვაოთახიანი ბინა და, კახინეტი (მეცხრე ოთა-
ხი) უნდა ჰქონდეს, რათა ოჯახმა არ შეწყურო-
სო... მეორე მუღამ ეწინააღმდეგებოდა, — ესეც
მეტია რვეინთვისო... ჯონდომ არ იცოდა, რას
ფიქრობდა ზეინკალი ამ საკითხზე...

დღესასწაულიც საავადმყოფოში გაატარა
ჯონდომ. ავადმყოფთა უმრავლესობა დათვრა —
კარტი, ღომინო, კლარკი გაჩაღდა, ზოგიერთ-
მა იტირა. ბოლოს სამამულო ომზე უჩვენეს
კინო.

მეორე დღეს საუზმე დააგვიანეს. ავადმყოფებ-
მა უცადებ, უცადეს და კოვზები შემოჭრეს
ჩანგლებზე. „ულაყუები“ ხელად აიტაცეს ქრო-
ნიკული ავადმყოფების გამოცდილება და აურ-
ზაური ატხეს... ზეინკალი იშუქებოდა — რე-
დაქციას მიეწვირო, ვიღაცამ სასამართლო და
პროკურატურა ახსნა. მომწერლობები ჩუმად
ისხდნენ და ირონიით ათავალებდნენ მშვიდ
ავადმყოფებს, ჯონდო კი მათ უცქეროდა... რო-
გორც იქნა, ერო-კვერცი მოიტანეს. გაჩუმ-
დნენ. გემრიელად ჰამდნენ, ახლა ჯონდოსთვის
ძნელი გასარკვევი იყო ვინ მწერლობდა და ვინ
დურგლობდა, რადგან ადამიანები ერთნაირად
ილუკებოდნენ.

კატლეტის მოლოდინში ახმარდნენ. მომწერ-
ლობებმა სერიოზულად (მწერლურად) გაანალი-
ზეს „ეს ექსცენსი“ (როგორც მათ უწოდეს),
ასანთის ღერები მოიმარჯვეს, პირთან მიიტანეს...
კატლეტი და ჩაი რომ მიირთვეს, კვლავ განაბ-
ლეს სჯა-ბასი: თურმე, საერთოდ, ადამიანები
შიგაღაშიც კი სჩადიან უჯანონობას... მოთმინე-
ბა არა აქვთ... ვინც ომინაობას მოვეწვარით,
სულ სხვა ხალხი ვართო...

ამის თქმა იყო და, ზეინკალი წამოხტა, მათ-
ლაფა ძირს დაახეთქა, ჩანგალს დასწვდა, ყელზე
მიაბჭინა ერთ-ერთ მათგანს, შეაგინა და დაუ-
ყვია — ვის არ უნახავს ომი, შე მამაძაღლო,
აქ როგორ, თითისტოლადაც ვეღარ მხედავთ,
თქვენ ხად ისხედით, მე რომ ფენეთში სისხლს
ვაქცევდი თქვენნაირი ლაწირაკებისთვის,
სხუქდით? გაგიტკაბთ? მაშ, რვა ოთახის ღირსე-
ბი ხართ? მე ერთი, თქვენ რვა? ვის დასცინით?
თქვენ... ახა შეაყოფით აქედან, თორემ ჩან-
გალს ხომ ხედავთ, თითო დარტყმით ოთხ-ოთხ
ნახვრეტს გაგიკეთებთო... ისინი გაიქცნენ. ზეინ-
კალმა ჯონდოსაც შეუტია, მაგრამ ექიმე გამო-
ჩნდა და ზეინკალი ჭარისკაცურად, სხარტად ჩა-
მოქდა სკამზე... გულანდლულებმა ექიმთან დაა-
ბეზლეს ზეინკალი, მაგრამ რაღაცა დიდი დამ-
სახურებისა აღმოჩნდა და ჰოსპიტლიდან არ
გაუშურიათ.

შეზინდებისას ციო მოვიდა, საქმელი მოუტა-
ნა. კლუბში ისხდნენ. ზეინკალი და მისი ცო-



ლიც იქვე ჩურჩულდნენ.. ცოლები რომ გააცილებს, ზეინკალი წინ გადაუდგა ჯონდოს, მოუბოდიშა, არაფის ბოთლი უჩვენებდა, სთხოვა, — ერთად დავლიოთო, ჯონდომ უთხრა, შენთვის სხვა შეიძლებაო. ზეინკალმა არ დაუჭერა, იქვიანა, მინც ნაწყენი და კიდევ სამჯერ მოუბრუნდა. ჯონდო დათანხმდა და თავის პალატაში შეიწვია. საწოლზე ჩამოსხდნენ. ბიჭები ცალკე ისხდნენ, სვამდნენ. ზეინკალი მალე დათვრა, ფინეთის ომი გაიხსენა, იტირა, უცხად ასწია თავი, გამოყენული თვალებით მიაშტერდა, ხელი გადახვია და კიდევ ერთი ეპიზოდი გაახსენდა, რომელიც მის ქორწინებას ეხებოდა. თურმე წინათ მტახხელად „საუბრები“ ერქვა, მეილი ქალაქი იცნობდა... დამაზო ქალი არ გაუშვია ქალაქში... მერე იქორწინა, სხვა დაიწყო და... ჯონდოს ყურში ჩასჩურჩულა დანარჩენი. მერე ხმადალა ჰეთხა — ჩენ რასა იქმ ამ მხრივო. ჯონდომაც ყურში ჩასჩურჩულა, რამაც ძალზე დაანადგვინა ზეინკალი, არაფი გადაჰკრა, თავი ჩაღუნა, აცრემლდა და ჯონდოს ჰეთხა: ჩემი ცოლი თუ მოგწონსო...

ჯონდოს არ შეშბრალდება ზეინკალი და არც გააჭირვებია... ეს იყო, მსმელი ხალხით გამოკედილი ნაირგვარი სახელწოდების შენობები წარმოუდგა, სადაც ყოველდღიურად, წუთიერად, წამიერად, ათასობით კაცი შედის ერთი განწყობით — სიცილით, სიმღერით, აღტაცებით, ბოლოს კი (თითქმის) ყველა დარდობს (ან ტირის, იმუქრება, ზღაპრებს) და (მათთვის) რაღაც შეუცნობელ ნაღველს მიათრევენ აკაკული მხრებით...

ჯონდომ დაასვენა — სიმთვრალე სიცოცხლეს ამოკლებს და მრავალი მათგანი შეუგნებელი შეგნებით (ჯონდო არ გააოცა სიტყვების ამგვარმა კომბინაციამ) იმოკლებს ყელში ამოსულ სიცოცხლეს (რაც ისევ და ისევ მათივე ბრალადია)... ჯონდომ თავის თავზე გამოსცადა — რამდენიმე წელიწადია არ სვამდა და ისე ტატით ვადიოდა დღეები, რომ სამი წელიწადი სამზე უნდა გამარავლო, გახანგრძლივებული სიცოცხლის რაოდენობა რომ მიიღო... მერე, როცა ჯონდო სმას გადაჰყვა, საბოლოოდ ირწმუნდა ერთი სიმღერის მარტივი, მაგრამ უნაღვესი სიტყვები: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტოვით გავიფორინდება“.

არის კიდევ ერთი ვარიანტი სმის მიზეზის თაობაზე, რაზედაც ჯონდო სწორად ფიქრობს — ადამიანის მატერიალური ნაწილი იმითაც სვამს, რომ ჰავრი იყაროს მასში შესახლებულ იმ უცნობზე, რომლის არსებობას გრძობს, მაგრამ ვერ უპოვია და უბრალოდ ათრობს, აბრუებს. ჯონდო ნელ-ნელა ასკვნიდა, რომ ასეთი ადამიანები ჩვეულების მხხვერპლნი არიან... მას მუდამ აშინებდნენ ადამიანები, რომელნიც რაღაც რაღაცა მიზეზების გამო ტანჯვას შეეჩვევიან და

შეიფარებენ... ეს უკვე საშინელება... ერთ მაგარ, კუნთმაგარ ბიჭს იცნობდა ჯონდო. თხუთმეტი წელიწადი გაატარა ციხეში (ნაწილ-ნაწილ)... ყველგან შეხედრავს ეუბნებოდა: ნაცოქეტიები ხართ მწერლები, ერთად უნდა გადაგაბან ყველა და ცეცხლი წაგაიქონოს... რას ერიჰოდა მწერლებს? იმ საწყულს (ავარიანი დიდუშა) რა აბრაზებდა? მტყუანი იყო თუ მართალი? ჯონდოსაც ხომ უფიქრია — ნეტავ სა საქმის კაცი ვარ, მწერლობა რაღა მოსაგონიაო? მაგალითად, მშენებელი კაცი სულ სხვაა — რაღაცას აშენებს, რაც ადამიანს მუდამ გამოადგება... წიგნები? ისინიც ყველას გამოადგება? ამ ქვეყანაზე ბევრი მწერალი (გენიოსი) იყო და კიდევ არიან ბევრი (ცოცხლები და ამიტომ ჭერ არა გენიოსები), რომლებიც ჯოჯოხეთურ ტანჯვას უწოდებდნენ თავიანთ საქმიანობას... კარგია ჯოჯოხეთი? წამება? ანა ჩაგოშვან ცეცხლიან ჭაში და უფროდ ვადავლო... თუმცა ჯოჯოხეთის მწერლები მხოლოდ ერთი ასხენებენ. (მათ იმედი აქვთ, რომ იგი არ არსებობს)... სინამდვილეში კი, უბრალოდ, ადამიანურად ამბობენ (რის უფლებებს მათ ვერავინ წაართმევს) ჩვენი საქმიანობა ჯოჯოხეთურია და არავინ აფხებსბო... ვინმემ შეიძლება სიტყვაც წაგვაშველოს (თუ არ დაიბოღმა) — თქვე კი ხალხი, თუ ჯოჯოხეთურია, ეს ოხრად დადასრენი კალამი ხომ მსუბუქია და ვეღარ გადაადგეთო? ჯონდოს გაუგია — სწორად იმ ჯოჯოხეთური წამების შემდეგ მოდის შემოქმედის სულიერი ამაღლება და სულით ტკობა... ესე იგი, ტანჯვა-წამებით მიღწეული სიტკობა სიტკობა და ნეტარებით მოკვებულნი? ჯონდო სულაც არ ფიქრობდა, რომ წერისას ტანჯულის მწერლები არ არიან მწერლები, მაგრამ მას ერჩინა უჯოჯოხეთობა, უწამებლობა... აჰ, ერთ რამეშიც შეიძლება დაიქვდე — ვინც ასე ხელწამოხაკრავად ჰხდის ჯოჯოხეთს (ასე ადვილად რომ ასხენებს) მას არ წარმოუდგენია იგი (და იმედოც კი აქვს იმისი, რომ იგი არ არსებობს)... ისე კი, ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი მწერალი, ვინც თავის საქმეს ჯოჯოხეთურ ტვირთს უხმობს, ბრწყინვალე დურგალი ან ხარატია და ამიტომაც... და კიდევ ასეთი რამ — თუ მწერლობის პატვისაცემად ამბობენ ასე, მაშინ თქვან, რომ მწერლობა ყველას საქმე არაა, ანდა — ყველა არ არის მწერალი, ოღონდ იმ ჯოჯოხეთის თავი გაანებო... მაშ მს გამრტყმელი ბიჭი ოღნავ მაინც არ იყო მართალი? მს უნდოდა, რომ ყველა გენიოსი ყოფილიყო... თუმცა გენიოსობაც ამოუცნობი (შეიძლება საექვო) მოვლენაა, იგი ჩვენი ბრალა არაა, აჰ სხვა მიზეზებია, რომელთა არცოდნა უნდა იყოს ჩვენი მარადიული საღარდელი და არა ის, მწერ-

ჯემალ დავლიანიძე
შემოკრულება



ლობა ჯოჯოხეთია თუ არა... ჯონდო კუნთმაგარს
 მაინც არ უტყერდა მხარს, რადგან, თვით მოჩა-
 ლჩიე, მომწერლო ელემენტები კი ერჩივნა ხუ-
 ლდგანს...

მოკლედ, ის გამრტყემლი მართალიც იყო და
 არც იყო მართალი... თვით კრიტიკოსებიც მუ-
 ლამ გრძნობენ (თუ შეგრძნების გრძნობა გააჩ-
 ნიათ) ნაყარ-ნუყარი ლექსების, მოთხრობების
 სიყარბებს, მაგრამ ასეთ გამოსავალს პოუ-
 ლობენ: იყოს, ასში ერთი, ოთხში ორი,
 მაინც გამოვა ნაღვი მწერალი... ანდა, მინ-
 დორში უყვლა უყვავილი არაა თვალში ხაცემი,
 მაგრამ სურნელი (იქნებ) მასაც გააჩნია... თუმ-
 ცა აქ ერთი მომენტიცაა, ეს არის დრო და
 დაუნახავი მიწვდის შერწყმა, რაც აღმანიების
 უკთხავად წამოაჩენს ხოლმე გენიოსს... არის
 ასეთი შემთხვევები ლიტერატურის ისტორია-
 ში? არის? და, ვითომც არ არის? ვითომდაც —
 ვინმემ არ იცის? მართლაც, შეიძლება ვინმემ
 იცოდეს კიდევ, მაგრამ იმდენი გამრტყემლია...
 ეტყობა, უკველივინ ისე, როგორც არის და
 ჩვენი „არის“ არსში არ უნდა ჩავერიოთ, ჩვენი
 საქმე უნდა ვაკეთოთ (არაჯოჯოხეთური), ვი-
 ყუთ კარგად, ბედნიერად, ჯანმრთელად, თბი-
 ლად, მუხღროდ, ნებიერად, ზუსტად ისე, რო-
 გორც ჯონდოს სიამარია... ჯონდო არ დასცინის
 სიამარს, უბრალოდ, ასეთი შთაბეჭდილება რჩე-
 ბით მის ნათქვამზე მუღამ და ეს მისი ბრალი
 არაა... სიამარს დღისი ექვსი საათიდან დღის
 პირველ საათამდე შეუძლია იფუსფუსოს სამწა-
 რეულოში ისე, რომ ფეხი არ გამოადგას... განა
 ეს არ არის ხელოვნება? შეიძლება კიდევ არის
 და ჯონდოს არ ესმის ჯეროვნად... ან იქნება
 სპორტია და უბრალოდ სახელი არ გააჩნია...
 სპორტზე ამბობენ, რომ იგი გამძლეობის, ამტა-
 ნობისა და უამრავი ამნარი სიტყუთა კორიან-
 ტელია... აბა გასქედი სამწარეულოში შევიდი
 საათი! ადვილი ხომ არ ჰგონია ვინმეს? არა?
 ჰო? მაშინ თვითონვე განსაქეთ: დილით კენსით
 (ჰო, კენსით) დგება სიამარსი, ხვეწებით მიემარ-
 თება სამწარეულოსაკენ, შუქს ანთებს, ცოცხს
 იღებს, ჰგვის, ჩაიდანსა დგამს, ჩვარს ასველებს,
 მაგიდას წმენდს, ისევ ცოცხს სწვდება, გულ-
 მოდგინდ მოჰგვის, ტაშტს ჩამოიღებს, ცივი
 წულით ვაგვებს, ონკანს შეამოწმებს, ჩაიდანთან
 მივა, თავსახურს ახდის, დაფარებს, ცხელ სახე-
 ლურს დასწვდება (მუღამ ასეა), ხელი ექვსი
 (სულ ასე მოხდის), ჩაიდანს გაღმოდგამს, ტაშტ-
 ში წყალს გაანელებს, ჩამოქდება, ორთქლს და-
 ატყერდება, ადგება, მწვანე ქვაბს სახურავს
 ახდის, სუნავს, კარადას გამოადგებს, სახელურს
 შეამოწმებს, ჯერ ერთ ფინჯანს დასწვდება, მე-
 რე მეორეს, მესამე მოეწონება, მწვანე ქვაბიდან
 კისეღს დაისხამს, რულუნებით (აუცილებლად)
 მიხურავს კარს (სახელურს კიდევ შეამოწმებს),
 ძალღ დაიყოფს თუ არა ეწოში, სასკმელთან
 მივა (ცალ ხელში კიხელით ხავს ფინჯანი უკა-

ვია), მიღამოს დაწვერავს, რადაცაა (გაქურავი-
 ველს) ჩაკვირდება, ძალზე ნელა შეჩერდება,
 ფინჯანს მაგიდაზე დადგამს, ჩვარს აიღებს,
 მაგიდას კიდევ გადასუფთავებს (ჯერ ხალ არის!)
 ჩვარს დაბერტყავს, მაცივართან მივა, დააყურა-
 დებს, დაადის, ელემტროლოტორის ამუშავებს
 უცდის, უსმენს და მერე, როცა მოტორი შე-
 ჩერდება, კმაყოფილდება — პატარა ხმა აქვსო...
 მაცივრის კარს გამოადგებს, ერთმანეთში აწე-
 ლილ ხორავს დახედავს, უცბადვე ხურავს კარს
 (რათა მაცივრის ტემპერატურა არ შეიცვალოს)
 თვალს ხუჭავს, უკვე თვალდაკრულ ნუგბარს
 გონებაში წარმოიდგენს, კარს სწრაფად აღებს,
 ელვისებურად გამოიბატებს ტორტის კოლოფს,
 მაგიდაზე დადებს, ფრთხილად მხდის, კარადის
 უჭრას გამოადგებს, სახელურს მოხინჯავს (ვთქვით
 და მოფამვალდა!), ხუთ დანას ამოიღებს, ფხას
 გაუხინჯავს, არ მოეწონება, ხუთივეს აღესავს,
 თითოტარიანს იტოვებს, ტილოზე გაწმენდს,
 წულით ჩარეცხს, გაჭურათთან ქალღმის ნა-
 კუწს შენიშნავს, დასწვდება, დააშტერდება
 (ვთქვათ და, რაიმე წერილის ნაკუწია, ვინ
 იცის?), სინათლეზე გახედავს, ურნის სატერ-
 ფულს დააწვება, არ მოეწონება, კიდევ დააწვე-
 ბება, დააყურადებს, ნაკუწს ჩაადგებს, ჩაკუცქე-
 დება, სატერფულს საფულიერებს, უკმაყოფი-
 ლოდ გამოიღებს ტენიკური წებით ხავსე
 ბოთლს, ურნასთან მივა, ბოთლს ჯერ ჩახუნავს,
 მერე სატერფულს დააწვითებს, მერე დააწვე-
 ბა — კიდევ დააწვითებს. მერე კიდევ და მანამ-
 დი, სანამ არ დაკმაყოფილდება... ბოთლს კიდევ
 ჩახუნავს, კარადაში შედგამს, ცოცხს დასწვდე-
 ბა, მოჰგვის, ონკანთან მივა, საპონს ჩამოხსნის
 მაგნიტური საკიდიდან, საპონში ჩაჩრღო მაგ-
 ნიტს დახედავს, არ მოეწონება, დააწვება, საპო-
 ნს ტუღება, სანაგვეში ავღებს, კარადას გამოა-
 დებს, მარწყვის საპონს გამოიღებს, სუნავს,
 კმაყოფილი რჩება, მაგნიტს ჩამაგრებს, მაგნიტ-
 ზევე მიაკრავს, ცოცხს აიღებს, იატაკს მოუს-
 მევს, წყალზე ხელდებს ჩაიბანს, საპონს ხსნის
 მაგნიტიდან, დაეჭვდება — ისევ მიამაგრებს —
 ჩამოხსნის, მიამაგრებს — ჩამოხსნის, დაკმა-
 ყოფილდება, ხელდებს იმწოდებს, პირსახოცს
 აკვირდება — ჩამოხსნის, უფრო ღამაზად, ღა-
 მათიანად ჰკილებს, რამდენიმე ნაბიჯიდან ვაბე-
 დავს პირსახოცს, სინჯროულად არ არისო, ისევ
 ჩამოხსნის, გაასწორებს, შეხედავს, მოეწონება,
 ცოცხს აიღებს, იატაკს მოჰგვის, ჩვარს აიღებს,
 მაგიდას გაუსმევს, ხელდებს ჩაიბანს, დანას
 აიღებს, ტორტს ერთ სამუთხა ნაჭერს ჩამოჭ-
 რის, ჩამოჭდება, სკამს მოხინჯავს, ადგება-დაჭ-
 დება, ადგება-დაჭდება, კისეღს და ტორტს
 ჰამს, ფინჯანსაც გარეცხავს, კარადაში შედგამს,
 ცოცხს აიღებს, მოჰგვის, ჩვარს აიღებს, მაგიდას
 გადაწმენდს, კარს შეაღებს, აყურადებს — რო-
 მდღმა გაიღვიძაო, კმაყოფილი რჩება, ჩაიდან-
 ში წყალს გამოცემის, გაჭურავზე შედგამს,



ონკანის ქვეშ მოთავსებული კარადიდან ჭუჭუბიანი წყლის ვედროს გამოდგამს, კარადის უკნიდან პატარა ჯოხს გამოიღებს, ვედროზე დადებს, ჩამოჭდება, ჩაახველებს, აბუხუხუდება, კვლავ ჩაახველებს, წარებისაგან იცდება, მერე ვედროს ადგილზევე შედგამს, ხელებს იბანს, იხოცავს, უბედნიერესი თვალებით გაიხიდავს გაჭურისკენ, საითაც კარტოფილი იხარშება, ჩაიღინ თუნთხებს, ცეცხლი კიაოვს და სახე უბრწყინავს, უბრალოდ სიხარულით, აღტაცებით, მაღლიერებით...

ეს არის სიმამრის საქმიანობის უმოკლესი შინაარსი, რომელმაც სხვა კი არა, თვით ჯონდოც ლამის გამოიყვანა წინასწორიდან... ესეც ასე!.. მშ არ არის ბედნიერი ჯონდოს სიმამრი? მშ არ არის კარმა (შრომის) იოგა მისი ფუსფუსი? მშ არ არის კაცური კაცი? მშ არ არის კაცური კაცი? მშ არა ჰქონია ჯანსაღი ნერვები? მშ არ არის ოჯახის კაცი? ადვილია ამის შეძლება? აბა სცადეთ მაგრამ აქ ერთადერთია მთავარი — სიმამრი თავის საქმიანობას რომ არა თვლის ჯოჯობეთურად...

ჯონდოს არ ჰქონია, მისი სიმამრი რამდენი განსხვავებულადეხი ურუნალიტისაგან, რომელიც რვა საათზე დგება, სარკმელთან მივა, გამოადებს, ალვის ხეებს გახედავს, სამსახურში სირბილით მიმავალ ადამიანებს უცქერის, იღიმება, მერე სამზარეულოში შევა, ახლა იქიდან აკვირდება, როგორ იღვიძებენ ადამიანები, როგორ ქრება სინათლები, როგორ იცმევენ ბავშვები, მამები, დედები... მერე მაკივარს გამოადებს, რძეს დაღვევს, ჩაიდანს გაავსებს, გაჭურაზე შედგამს, ჩაის დააუენებს, მერე სამუშაო კაბინეტში შევა, ჩაიკეტება, მაგილას მიუჭდება ფურცლებს დააააგებს (სინკრონულად) სამ (სამს) ფანქარს გულმოდგინედ წაიღებს, ხელებისგულზე მოსინჯავს, მოეწონება, მერე სამიდან ერთს ამორჩევს, თავისად იგულვებს, სტრიქონს-სტრიქონზე მიაბას და მეუღლეს მოუკაჟუნებს, ჩაი მწადააო...

რა განსხვავებაა სიმამრსა და იმ ურუნალიტს შორის? ჯონდო ვერ ხედავს განსხვავებას. მაგრამ — ერთი მათგანი თავის საქმიანობას არაოდეს თვლის ჯოჯობეთურად, მეორე კი... სამწუხაროდ... უკმაყოფილო ცხოვრებისა... იგი ფიქრობს, რომ ჯოჯობეთური ტანჯვის გამო მას უფრო მეტი ეგების... საკითხავი კი ერთადერთია: ვისაც თავისი (საყვარელი?) საქმე ჯოჯობეთურად მიანია, რატომ თავს არ გაანებებს და ანდა რატომ ეგების მეტი? იმითღმ ხომ არა, რომ იგი მიეჩნია ჯოჯობეთს? მშ გაზაფხულის ჩიტებმა რაღა ჰქნან?...

ჯონდოს ერთი შეგობრის ნათქვამი დაუტრიალდა თავში — ცხოვრებაში შენ უპოზიციო კაცი ხარო... ჯონდომ არ იცის ეს. არ უნდა... მისთვის მისივე არსებობა უკვე პოზიციაა... მისი პოზიციაა არსებობა სივრცეში... პოზიციაა კი.

ჯერ ერთი, ადამიანის (დმერთმა იცის, რეგულურობა) გააზრების პრობლემა... ესეც ჩვევად გვეყვარება დროიდან, — ადამიანი რამეს შექმნის და მერე თვითონვე მოექცევა მის ტყვეობაში, ეს იმითომ, რომ ამისი მომთხრობილობა აქვს...

ჯონდო აღარ ჩაუღრმავდა სიმამრისა და ურუნალიტის შედარებას, სამაგიეროდ ბაზარი (მოუყვანე, რამეების მოსურნე ხალხის ერთობლიობა) წარმოადგინა... ბაზარი, სადაც ათასწიკრი აზრი — სურვილი, სიყვარული, გემოვნება (და უსასრულოდ ასე შემდეგ და ასე შემდეგ და სხვა) დაცუცულებს... თუმცა, აბა ჰკითხე თითოეულს — უცველის აზრი ერთადერთი სიმართლე და ჭეშმარიტებაა. ამდენ ხალხს რომ წინამძღოლი არ მისცვა, რა ეშველებოდათ? მეტაფორა ცდილობს ერთ აზრს (კეთილ აზრს) მოუყაროს თავი... ჯონდოს სჭერა, რომ იმათ, ვინც ძალზე ცდილობს, ვისაც სიკეთისათვის უნდა რამე, ჩვეულებს უხელავი ძალა ესმარება თავისივე (იმ ძალისვე) რეზუსის ამოცანაში... მაგალითად, — ასეთები ბევრია და ყველგანა: ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მოგზაურები, პოლიტიკოსები, ასტრონომები... ჩვენ ხშირად ვგვონია, რომ რამე მოვლენა შეიძლება თავისით მოხდეს — დაიბადოს, იყოს და დაიკარგოს, ამიტომ ადამიანი მუშაობს ამა თუ იმ პრობლემის ამოსწაწე... არა ჰგავს ეს უცველივე გამოცდას? მაგრამ, ნეტავ ჯონდოს სიმამრი და ურუნალიტი ჩაბარებენ იმ გამოცდას? და თუ ვერ ჩაბარებენ ეს ტრაგედია? ისევ ჯონდოს სიმამრზე ვილაპარაკოთ, ეს კაცი როგორი მოწუხეა, ახლა შევაფიქროთ: სიმამრი დილის ექვს საათზე ადგა. წინა დღით ლიტრანახევარი არაყი დალია, გამოთავჯანდა, კედელკედელ მივიდა საწოლამდე, სიდედრე იტყვინა, ძუქნა უწოდა... სიდედრმა გაუაღწუნა... დილით კი შერაგდნენ: სიმამრმა ჩვარს დაავლო ხელი, სიდედრმა — ცოცხს... თანაც ისევ ეთო გაჭურა, ჩაიდანს თუნთხებდა, წყალი დოღდა, კარტოფილი იხარშებოდა, კომბოსტო იშუშებოდა... მერე ვარაზი (ჯონდოს უფროსი ვაჟი) გააღვიძებს, ჩაიკვებს, გინდა თუ არა, საპარკმანტე რომი უნდა წამოხვიდე, თავი უნდა გაიკრიჭო, ვარაზმა არაო და გარეთ გავარდა. სიმამრმა ჯონდო და ციო ახსენა — იმათი ბრალიაო... სარკეშიც კი ჩაიხედა და განაცხადა: აი, რა კარგად გამკრიჭებო... არა და, ასეთი იყო: „ბოქსის“ ყაიდზე გაკრეპილი, კეთაქორტნილი, პატარა თავის ქალა, დიდი სახე (ვარაზი რომ ბულდოგურის ამგავსებს)... სიმამრი დაიბოღმა — ჩემი არავის გეუფრებოთო, არაყი გადაჭკრა, ეწოში გახსლტა, გრძელტარაინი ცოცხი აიღო და საქმიანობას შეუდგა (ყინულზე თოვლის მოგვა

ჯემალ დავლიანიძე
შემოგზარუნება



დაიწყო... სიმამრს ძალზედ სურდა შვილიშვილი მას დამსგავსებოდა... ჯნდო ვარაზის წაძენელად გავიდა. სიმამრი ისევ ეწოშა ტრიალებდა და ყინულს ახუთავებდა... ჯნდო დარღობდა სიმამრის შეცდომებზე... ამას ადამიანებმა სახელიც მოუძებნეს — ადამიანური შეცდომა... არადა, ზოგერთი შეცდომის უდიდებულესობის გამო, ჩვენ მათ ვერ ვხედავთ... ისე კი (კაცმა რომ თქვას), არავის უფლება არა აქვს სხვის ცხოვრებაში ჩახედვისა. ყველას თავისი გზა აქვს უხასრულობისაკენ... სხვა სხვის გზაზე ძალიანაც რომ უფლოდეს, ვერ გავივლის...

იმავე ხალხის, ვაშაშვი, ვარაზმა სათამაშო ქვეშეხედა, ავტობატები, პისტოლეტები დაიღობა წინ და მოზანას თამაში გაახურა... სიდედრისიმამრის უხაროდათ (ომობანა), ჯნდოს კი პირიქით — ამ ბავშვს ვერ მოვაშლევინე ომობანაო — ჩაილაპარაკა თავისთვის. სიდედრისიმამრს ეწყინა. სიდედრმა უთხრა — არა ხარ მართალი, — უხსოვარი დროიდან თამაშობს ადამიანი ომობანას და ჩვენ რა უფლება გვაქვს ავუკრძალოთ? ამ თამაშზე სიმედრაც კი არსებობსო და სიდედრი ატირდა... მოკლედ, სიდედრისიმამრს სურთ ბავშვები მათ დაემსგავსნონ. იმათებურად იცოვრონ, გაიკრიბონ, ომობანა ითამაშონ, ილოთონ...

ამიტომაც არამც და არამც ვერ ჩააბარებენ იმ გამოცდას სიმამრი და შურნალისტი მანამ, ხანამ ისინი ცდილობენ თავიანთი ცხოვრება ინე წარმართოს, რომ ვინმე აუცილებლად თავიანთივე ბილიკზე გაატარონ... ის სიყვარული, რომელიც შურნალისტმა აღიქვა, მის შვილს მხოლოდ გზას გაუმარუდებს და თავისივე მამის სატანჯველს გაუმოიკრებს... ჯნდოს არც ენადვლება, რომ სიმამრი და შურნალისტი ჩააჭრებინან გამოცდებზე, ამითი არაფერი დაადიდებინან ამ ქვეყანას, პირიქით — თავისუფალ გაზაფხულზე გაჩენილები უკეთესად ისწავლიან და... ჯნდოს ამიტომ უხარია ადამიანების უწყურტილად დაბადებები და კიდევ იმიტომ, რომ...



კოჩუბებიში რამდენიმე შავი „ვოლგა“ გამოჩნდა. მთელი დაბა ალაპარაკდა.

ჯნდო ნაცონოს შეხვდა, რომლის სახელიც კი არ იცოდა და რომელმაც ჯერ პურის ჭამა შესთავაზა, მერე არაყი, ლუდი, ქაბაბი, ბოლოს მესხურმარა... ამაზე შეთანხმდნენ ბოლოს...

საპარკმახეროსთან წვერულვაშოსანი კაცები ხორბორებდნენ... მთელი მოედანი (ამ დაბის ცენტრი) მოფუსფუსე ხალხით იყო სავსე... ეგვრთ წოდებული „ხანაგებმა“ სპარბობდნენ, „ტილეთიკები“ ეცვათ, ხელ-თავ-ფეხი უცხახებდათ და სიწითლშეპარული იისფერი ქლოთ... „ხანაგები“, როგორც ადგილობრივ აუხსენს — უმეტესად ნაციონრბია. მათ აღარა მყავთ ცოლი, შვილი, ნათესავი, თვისტომი, სამაგიეროდ თუ დაიჭირებენ, — გამრჩე ხალხია...

ოღონდ ერთი პირობით — ბევრი არა უნდა უკვირობას ნუ ჰკითხავ და გულმოდგინდობა შეგვებს... შეიძლება სწორად დათვრეს, მაგრამ ეს უკვე მისი ერთადერთი უფლებაა ამ ცხოვრებაში... ბოლო დროს „ხანაგებმა“ დიდი დანაქლისი განიცადეს — გარდაიცვალა ყველაზე ჰკვიანი „ხანაგა“ — გენა, ყოფილი ინჟინერი, უმაღლესდამთავრებული. იგი მკვლელობის გამო გახანაგებულია: ცოლისთვის მიუსწრია საყვარელთან, ორივენი დაუჩინა (დაუხოცია), ციხეში ჩაუსვით და გათავისუფლების შემდეგ ამ მხარეებში გადმოხვეწილა... ჰქადრაციც იცოდა, ზრდილობიანი იყო... ჯნდო რამდენჯერმე შეესწრო სუფრაზე გენას შეხანდობარს...

ბაზარში მრავალი ეროვნების ხალხი ირეოდა: ჩიჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, რუსები, უკრაინელები, ოსები, ქართველები, ყალმუხები, კორეელები (რომელთაც ამ მხარეებში ხაზვის დიდი მოსავალი მოჰყავთ) და მრავალი სხვა. კლუს „ხანაგებმა“.

ჯნდოს თვალი გაუშტერდა... ხალხის ფუსფუსი ცომივით შესქელდა, უგუნებობაში აეზილა და შემორჩა მხოლოდ შესქელებული, არაფრისმანისი მოძრაობა, სიცილი, ხვეწნა-კიცნა... როცა ორმა შავმა „ვოლგამ“ ჩაიჭრლა და მტერის კორანტული დაწყდა, შეჩველებული მიმოსვლა ასწრფდა, აიღვიბა, შეთხელდა და ყაყანად იქცა...

ჯნდო ატყობს, რომ ამ ბოლო დროს რაღაც-რაღაც მოვლენებს დარღობი შესქეცრის... დარღობს: სიხარულს, ტაშის ცემას, კონცერტებს, აღტაცებულ სახეებს, მწუხარებას, გლოვას, სიმედრებს, ფეხბურთს, ფუსფუსს და... მოკლედ, რაღაც უხახელი, ვეროქმული ენანება... სულ ჰგონია, რომ ეს ყოველივე შეიძლება უცხად გაქრეს, შეიცვალოს... ერთ მოშვენიერ დღეს შეიძლება ვეღარ გავუგოთ ერთმანეთს, შეიძლება ერთერთის ყოფნაც გაგვიკვირდეს და ერთობლივად აღმოგვხედეს... შეიძლება ბაქრის მოწოდება შეგვიწყვიტონ და უცხად დავიჭრეთ...

ჯნდო მოსცილდა ბაზარს, რომელსაც დაბრალდა მისი ამწუთიერი, არეული ნაფქარი.

...მაღაზიისთან დედაბერს გაუსხლტა ფეხი, წაიქცა, რძის ბოთლიც დაემსხვრა. ათამდე კაცი გაქანდა მისკენ, წამოაყენეს, ქვეა ჩამოსვეს, დაამშვიდეს და იხევ თავ-თავიანთ ადგილას დაუბრუნდნენ, ოღონდ მამაკაცები ახლა უფრო გაბადრულნი, კეთილნი, ამანი იყვნენ, ვიდრე წვდან... ჯნდოს არ გაჰკვირვებია — ადამიანს ახარებს, როცა ვინმე მწუხენის... ამნაირ რამეს ბევრჯერ შესწრებია და მუდამ რომის იმპერია (აუცილებლად რომის იმპერია) წარმოუდგებოდა ხოლმე, რომელმაც უმარბე ომი ჰქანა... ომი ხომ სიბრყივის გზაზე შემბეველი ცოდნაა, რომელიც გარკვეული ადამიანების ცული შედგენილობის გამო მათივე არ...



ცოდნის უკიდურესი წერტილია... ომი თითქმის ადამიანების ის შეცდომაა, რომელიც შეეცდებოდა ხოლმე ადამიანებში ჩათესილი (ზოგჯერ ჩაქრული) უდიდესი სამოთხე დაღწეოს... სამოთხე, საიდანაც ზოგიერთი ცუდი მოწაფეთების გამო ვაჟა-ფშაველას, სწორედ იმ განოსანლებულების ბრალია ომი...

ჯონდომ გუნებაში ვეღარ გაიმეორა ეს საკმაოდ ამღვრეული (მაგრამ უთუოდ სასიციო) თორემ, კედელს მიყრდნობ, თავი ჩაღუნა, მიწაზე დაგდებულ პატარა ცხვირსახოცს დააშტერდა და მის შემხედვარეს ასეთმა ფიქრმა გაუღვია: რატომ არ შეიძლება ადამიანის აბსოლუტური ჯანმრთელობაო, მაგრამ ეს უცბადვე გადაპარალა ადამიანს და სადალაქოსკენ წავიდეს...

სადალაქოში რიგი იდგა. ჯონდო რიგში აპირებდა ჩადგომას, მაგრამ გზა დაუთმეს. „მობრძანდი — არას“ აღიქმოს მოერიდა და დაგდებულ გზას გაუყვა (ეტყუება, იცოდნენ — მწერალიაო)... დალაქებს ხუმრობა უყვართ, კლიენტებს ძალზე უყვართ საპარიკმახერო, ყოველივე ერთად კი ჭორის ბუდეა... დალაქებმა კი (თავითვე და ზოგიერთი ყუყუნი-ბრიყვი კლიენტის აზრით) ყველაფერი იციან, ყველაფერზე ამართებენ და ერთ სიტყვას არ დაგითმობენ. აიტომ ისინი ერთდროულად არიან: მეცხვარე, მძღოლი, ტრაქტორისტი, მუშა, მენავე, კარიერისტი, ინტელიგენტი, მწერალი, ეურნალისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი... სადალაქოში (ისევე, როგორც საპარიკმახერო) ზოგიერთი განათლებასაც დებულობს. ჯონდო იცნობს ადამიანებს, რომელთაც ამგვარი განათლება აქვთ და თავიც მოაქვთ.

ერთი ჰალარა მოხუცი ძველდებურ ამბებს სვეტობა, ყველას აცინებდა. ჯონდო სარკმლის რაფაზე ჩამოჯდა. აქ მოსმენილი ამბების ნაფლეთები ასე დამახსოვრდა: თურმე თრიალეთში, თემის, ტანასა და ძამას ხეობებში, დოდაშვილი — ერთი პატარა, მაგრამ მაგარი კაცი გავარდნილა უჩაზად... ვიდაცას მოუსყიდა შიში შევარდნული და მოუკლავთ. როცა სოფელში ჩამოუტარებიათ, ხალხი გარეთ გამოშლიდა — ახეთი დიდი სახელი რომ ჰქონდა, როგორია ვითოროლი... არადა, ერთი გაღლეული კაცი ყოფილა... ქალებს სულ ეს ეყრათ პირზე — მიზეზი დაავარეთ ამ კაცებს, ეს ერთი გაღლეული როგორ ვერ მოკლეს აქამდეო...

მოხუცის სიტყვის პასუხად, დალაქმა შოფერ ჩოყნა ვალას ამბავი მოჰყვა: გზიდან მომზუნებულა ჩოყნა ვალა, — მანქანა გაფუჭებია, ცოლი (მარუსა) ვიცოლასთან შეუსწრია, მაგრამ... საკვირველება არ გინდათ? ანა თქვენი აზრით, რას იზამდა ჩოყნა? რა ჰქნა და — ერთი გაბიშულა (სმენაზე დამდგარა), ახარხარებულა, ამღვრებულა, — წარმოგიდგინათ? და იმის შემდეგ სულ მღერის თურმე უბედური...

ჯონდო დამშვიდდა. როცა დალაქი მის გაქმნებას შეუდგა, ხმაურით შემოვიდა ტყაპუქიანს წვეროსანი, მაღალი ახალგაზრდა, ილიაში ერთი კრელი (კაახურა) დედალი ამოეჩარა. ყოველგვარი საუბარი შეწყდა. ილიაში გაჩრილმა ქათამმა და მისმა პატარონმა დალაქებიც დაადუნა მათ მალულად შეისწავლეს ახალი კლიენტი და როცა გარკვეული (მაგრამ ერთნაირი) აზრი შექმნათ, ალაპარაკდნენ, შორიდან — ფერმებიდან დაიწყეს საუბარი, მამლები ჩხუბიც ახსენეს და დედლებზე გაამახვილეს ყურადღება... ბოლოს ერთმა დალაქმა თქვა — ზავენა პარიკმახერს შეუძლია ხელში აიყვანოს დედალი, მუცელზე თითი დააჭიროს, წონაც დაადგინოს და ისიც კიანობას — ყურაცხის მიღებელია თუ კრუხიო. ამან ბიჭის აუტარებდა მისიყარი (დალაქებსაც ეს უნდოდათ), ტყუილიაო, — თქვა, დალაქები ახმაურდნენ — ამა, ზავენა და ამა, კაახურა ქათამო. ზავენამ იუარა — ჭერ გაიპარსო და მერე გაუხინჯა ქათამსო. ბიჭს რიგი დაუთმეს, ფეხბაქრული ქათამი სკამის ქვეშ შეხვეს და მთიულური კარაქის ჭებას მოჰყვენ... ზავენამ სწრაფად გააკობტავა ბიჭი, რომელმაც ათმაგად გადაიხადა გაპარსვის საფასური... ზავენას ვითომც დააიწყდა ქათმის გახინჯვა, სხვა კლიენტი დასვა, მაგრამ ბიჭი ქათამს დასწვდა, ფეხები გაუხსნა და უთხრა, თუ გამოიცნობ ამის წონას, გაჩუქებ, თუ არა და, ბუმბულიანად შეგაქმევ. სიჩუმემ დაისადგურა. რამდენინა კაცი გარეთ გავიდა... ზავენამ თვალები მოჭუტა — შამისხელა კაცს ეს როგორ მაკადრავ, სამართებელი გახსნა, სარკესთან დადო, ხელები აუცაცაცხდა... ბიჭმა ხელი წაჭრა — ჩქარაო და ამაყად გადახდა კლიენტებს. ზავენამ უფრო კობტად დადო სამართებელი (ბიჭმა ეს შენიშნა, მაგრამ არაფრად ჩააგდო) და ქათამი გაოართვა... ჰალარა კაცი მიუახლოვდა ბიჭს და უთხრა: ვაჩე, გაანებე თავი, მანქანა გველოდებო... ვაჩემ მხრით მოიშორა ნაცნობი...

ზავენამ რამდენჯერმე გადაატრიალა ქათამი, გულაღმა მოაქცია, კურტუმი ვაჩეს მიუშვია, მუცელზე მაგრად დააჭირა ცერა თითები, ქათამმა დაიკიახა, გაახკიტლა, სახე შეუთხუნა ვაჩეს. საპარიკმახეროში ყელში მომზრჩვლია სიცილი ატყდა. ვაჩემ უცბად მოიწმინდა თვალები, ხელი დაავლო ზავენას, რომელმაც სამართებლის აღება ვერ მოასწრო, სარკეს შეანარცხა, მერე მეორე დალაქი გაუყენა იმის გზას, სამართებელი აიღო, — მესამე დალაქს დაუქნია... სადალაქო დაცარიელდა... ერთი ფერმკრთალი ბიჭი შემოვარდა და ვაჩე გაჩერდით, — აუვირდა. როცა ვერაფერი გააწყო, ჭერ ვიდრე ჩამოამხო თავზე, მერე სკამი დაუშ...

ჯამბალ დაბლანინძი
შემოგზარდნობა

ვა... ვაჩემ სინანულით შენედა ბიჭს — ვაჟა, შენ როგორღა შემოგობრუნო ხელიო...

ჭონდო და ვაჟა ერთად გამოვიდნენ გარეთ... მთელ ბაზარს აქეთ ვადმოენაცვლა თავისი მოძრაობით, უყაყინო... ადამიანები უბრალოდ უყაყაყებდნენ, არ არჩევდნენ ვითარებას, არც აინტერესებდნენ... მილიციამაც მალე გააჩქვია საქმე, ბოლოს დალაქებინა, ვაჩემ და მილიციელები ბაზრისკენ წავიდნენ და სამწვადესთან გაახებს საუბარო...

ვაჟა და ჭონდოც სახანდლოში შევიდნენ, სადაც პირმისუქანი ახალგაზრდა ბიჭი ელოდებოდათ... ცალკე ოთახში დასხდნენ... ვაჟა იყო თამადალ.

— ჭონდო, ბატონობით ვერ მოგმართავ... ებ არის პირადად ახლა გაგიცანი, თორემ შენი ნაწერები წაითხული მაქვს...

ჭონდოს გაეცინა და თავის თავზე ჰკითხა:

— რა მინდაო?

— ისეთი არაფერი, ერთი კაცი მეც ვლივიდებო, — ჩაერთა უშანგი.

ვაჟამ უშანგის შეხედა:

— ჭონდო, ეს კაცი, ბუდას რომ წააგავს გარეგნულად, დღესდღეობით ჩვენი სამმართველოს საქსოვლტექნიკის მთავარი ინჟინერია... ერთბედი, დილით, ნახმურზე მესტუმრა, შამპანურის ორი ბოთლი დადგა მაგიდაზე, სარკესთან მივიდა და მწუხარედ ჩაილაპარაკა — კაცო, ბავშვობიდანვე ვილაყას ვამსგავსებ თავს და ვერ მომიგონებიაო... მე ვუთხარი, ზედგამოჭირილი ბუდა ხარ-მეთქი... ძალზე გაეხარდა, ცას ეწია — მთელი ჩემი ბაღლობის დარდი მომამოშორო.

უშანგის გაეცინა:

— აბი კი იყო შენზე, ვაჩემ გარეთ გამოექინე!

ჭონდომ იმწამსვე ჰკითხა:

— იცნობთ?

— როგორ არა... ერთად დაზარდილები არიან ვაჟა და ებ — უახაუხა უშანგის.

— ვინ არის?

ვაჟამ გაკვირვებით დაიწყო:

— ჩვენებურია, მე რომ უაზბეგის რაიონის კომკავშირის პირველ მდივანად ვიყავი, ბევრჯერ უყოფლა ჩემთან... კარგი ბიჭია, მწუხმხადა. რა მოუვიდა მაგრამ... სულ მტუჟანი არ ექნებოდა.

ჭონდო დაეთანხმა:

— ეგეთი ხუმრობა, ძმაო... რამდენი წლი-ხაა?

— ოცდერითხა... ეხლახან შეირთო ცოლი, ქორწილის მეორე დღეს ცხვარში წამოვიდა.

ჭონდოს გაუკვირდა.

— რას იზამ, — გააგრძელა უშანგის, — ჩვენთან ხშირად ხდება ეგეთი რამ...

— ოჯახობა ხომ არავის ჩამოჰყავს? — დაინტერესდა ჭონდო:

— რის ოჯახობა, კაცო...

— მაშ ამდენი ხანი...

— ცხრა თვე...

— იქ რომ ჩადაინ?

— იქაც რა, ეს საზოგადოლო სამკურებლო, ასახს საქმეა...

— აუტანელია, — დაასკვნა ჭონდონ.

— რას იზამ, შეჩვეულები არიან, — მხრები აიწურა ვაჟამ.

— შენ რაღას საქმიანობ?

— აქამდე ციკავშირის კონტრების განყოფილების დირექტორი ვიყავი, ეხლა უფროს ინჟინრად ვარ...

— კომკავშირის მდივანობიდან? რამ წაგიუყვანა ციკავშირში?

— ებ, წესით, რატომ უნდა იყოს საგინებელი, მაგრამ... „ხაზინმა“ მითხრა, — დროებით კაცი მჭირდებო, მერე ერთ საწყობში დანაკლისი აღმოვაჩინე, დავაფარინე, მე გამსვიცხ...

ციოდა გორში. ჭონდო თოვლში მიიბიჭებდა. ბრავუნით მიიკვლიდა გზას. უხაროდა, ფეხის ხმა. ამას გარდა, ერთი რამაც ახარებდა — უვერა ნაცნობისკენ რომ გზა ჰქონდა მოჭრილი... არავისთან მიხვლა არ ხურდა... უველა გზა გადაკეტული ჰქონდა, სურვილები კი — გაყინული და უხმაურო... ფეხები კი მიიბიჭებენ და უინულს აშხრალებენ...

ფეხი წაჭრა უინულის ბორცვას, კინაღამ წაიქცა... დღეს დილით თავის დეიდას წაჰყვია ქალაქის საბჭოში. მეზობელმა ვანეზამ დეიდას სახლზე გარეთი მიაშენა, ზედ ორმეტრიანი შენერი გადააღო და დეიდას ორსართულიანი სახლის ზემო სარკმლებიც კი ჩამოუღებოდა... ვანეზა უთრესსაც შვებოდა — უკველ დათრობაზე ლანძლავდა ჭონდოს დეიდას, მის ქმარს და მიჩნის გამო უკველწუთში შეიძლებოდა სისხლიც კი დაღვრილიყო... ინჟინერი ვანეზას მიმხრობოდა და ჭონდო ვერაფერში ვერ გაერკვია...

საბჭოში თბილყოდა. ჭონდო და დეიდამისი კართან ატუხულ ადამიანებს ამოუდგნენ უანე... კარზე ეწერა: „კომუნალური განყოფილების გამგე“. რაც უფრო მოკლდებოდა რიგი, მით უფრო ცახცახებდა დეიდა... მისადგეში ტელევიზორი იდგა. — ძილის თაობაზე იყო საუბარი, — რამდენიმე წეროსანი (აღბათ მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი და...), რამდენიმე ქალი, ვიდაც კორესპონდენტი და გაურკვეველი საქმიანობის ადამიანთა ჯგუფი ცდილობდნენ ტელემეპურებლებსათვის აეხსნათ ძილის არსი... ჭონდოს არ აინტერესებდა მათ მიერ ახსნილი ძილის რაობა. ლაპარაკით კი — მიმოიხილეს უძილობა, ნერვების აშლა, სამსახური, ოჯახი... ჭონდომ ბოლოს და ბოლოს ვერ გა-



გო — რატომ შეიყარა ეს ხალხი ერთად და რა უნდოდათ...

ჭონდო სარკმელში იცქირებოდა. — ნაძვებზე ფანტელები ცვოდა და ეს (თოვლი და მისი მოძრაობა) მისთვის არ იყო რაიმე პოეტური განწყობის აღმშრელი... ნაძვებთან უამრავი ავტომობილი მოჩანდა. სკოლა მოგონდა (მერცხე წინადადება ზუსტად ასევე გაიანჯრა „სკოლა მომავლდა“ და არა ამჟამად მწერლობაში გაფრთხილებული „რატომღაც სკოლა მომავლდა“). მან კარგად იცოდა, რატომ მოგონდა სკოლა, რომლის წინ ფიქსულტურის მასწავლებლის (ილიო რომ ერჭვა) მწვანე, ძველი „მოსკვირნი“ იდგა მუდამ (ასეთი „მოსკვირები“ ხანშიშესულ ავღაბრელებს ძალზედ მოსწონდათ)...

კომუნალური განყოფილების გამგის კაბინეტის კარი გაიღო და იქიდან ყუანით გამოცვივდნენ ინფინტები, ანტიტიქტობები... ისე უცვად ჩაიყლაბნენ. — ყველა გაშტერდა... მერცხე, ახალგაზრდა ქალმა უთხრა ხანშიშესულს: „ჩემი ქმარი დასაქვრია, — ჩვენს შეილისტოლა გოლოზე გამცვალა, — ის გათახიანებული ფოსტაში მუშაობს, გეცოდინება, — დაბალია, განიერი, რახა ჰგავს, დეტოთ ჩემო! ახლა ჩემს არხაზგინებელ ქმარს არ იტყვი? ორსმანეთთან ქამგირიდან განთავისუფლა და სამოციანზე მოეწყო, რა არის, აღიმენტი ცოტა ეძლია... მამ კაცია ჩემი ქმარი? ეხლა იმაზე ვარ მოსულელი, რომ ჩემმა მეზობელმა ბინა მიიღო, გადადის, იქნება გავფართოვდებ-მეთქი, ის ჩემი პირველდასამარის ქმარი უნდა ამოვწერო...“

ჭალების გასწვრივ თვალგარეული ბიჭი იქდა. როცა კაბინეტი დაცარიელდა, უველა მას შეაქტრდა — ნეტავ რაღაც არ შედისო? ბიჭი კი მშვენივრად გრძნობდა თავს, კმაყოფილი იქდა, მგონი ისვენებდა და ეძინებდა კიდევ რეტუობოდა უყვარდა (ანდა უკვე მიჩვეული იყო) მისადებებში თვდებოდა... ხალხმა აიძულა „გონებზე მოსულიყო“ და კაბინეტში უკრეს თავი... დედაკაციები აქოთქოთდნენ: ეს უბედური კუპონალებია, ასე დადის ორი წელიწადია, — ხალხი დაუნგრეის და ერთი ოთახი აღარ დაირჩესო.

ბიჭი მალე გამოვიდა, ყველას ხმაბალა მოუნდა მადლობა და წაფრატუნდა... ერთი გოგონა უკან მიჰყვა... სიცილით მობრუნდა — ქაა, ძალიან მანტირებსებდა რა უთხრესო. ხალხიც დაინტერესდა — რა უთხრესო? გოგონაც მომართა: რა უთხრესო, და, ესე უთქვიათ — უმოკლეს ვადაში გავცემთ განკარგულებას თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლადო...

ჭონდო და დეიდამისი შევიდნენ. გამგემ მოსმინა ჭონდოს, რომელმაც აუხსნა — როგორმე გარკვეით მტყუანი და მართალი — შეიძლება ხისხლი დაიდგაროს... გამგემ (ეს მათი საუკეთესო თვისებაა) დაამშვიდა — არაფტრია, ჩვენ ვიცითო...

როცა კაბინეტიდან გამოვიდნენ, ჭონდომ მგონივრად ხალხში შეტრებილი (თავისი თუ სხვისი ნებით) შეწუხებული ხალხი მიმოათვალიერა...

რა კარგია, რომ აღარხად წაესვლება... ბაბომ იცოდა წყევლა — შე ფუნჯახახობო, შენაო... უხაროდა, რომ გზა მოკრილი ჰქონდა...

შინ რომ დაბრუნდნენ, ტელევიზორში ქვეყანა აჩვენეს, ხალხი ხოცვა-უღბა იყო, — ძუძუებჩამოყრილი დედები ტიროდნენ... ამის შემხედვარე ჭონდომ კომუნალური განყოფილების გამგე დაანაშაულა ამაში, მისი გვარის გაიმეორა გუნებაში და ისევე წახმარა თვალგებში... მერცხე გამგე შეეცოდა, რას ვერჩიო...



ჭონდომ ველარ გაუძლო კოჩუბები ჩახუთულ ჰაერს და მდინარეზე წავიდა. ვერაფრის დიდებით ვერ გაიგო, ამ სიცხეში ამდენი ხალხი საიდან გაჩნდა ტრამალებში ჩაქარგულ პატარა მდინარეთან...

ხალხი ჰერედი ფარდაგებზე მოკეცილიყო და ზემოდან ზეწრები ეტარათ. ასეთი იყო ტრამალების პლაჟი...

ქოჩორა ბიჭები ცდილობდნენ გოგონების უურადლებს მიპყრობას... ამისათვის კი ყველგან ათხანაირი ხერხი თუ ხრიკი არსებობს, მაგრამ აქ ყველა აქამდე ცნობილი ხერხი უადრესად გაემარტივებინათ — ბიჭები ჭკუფ-ჭკუფად შეტრებილიყვნენ, შუაში თავიანთი უსაყვარლესი გიტარისტი ჩაესვთ და სხვა გიტარისტს აჭიბრებდნენ... სიმღერების უმრავლესობა ისეთი იყო, ადამიანების უმრავლესობას რომ უყვარს... ტექსტებში ძირითადად ცვედანი მაკაკის თვალებით დანახული სიყვარული, განშორება, უხამსობა (და სხვა) იყო გადმოცემული...

ჭონდოს გვერდით ორი ბიჭი იქდა, რომლებიც ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის და სხვა მწერლების წიგნების გარეგნულ გაფორმებაზე საუბრობდნენ და აზრით კი გამოთქვენ პლაჟზე მონარარე სიმღერებზე: საერთოდ, მანდახან და ხშირადაც სწორედ ასეთი სიმღერები შეინახვენ ხოლმე ამა თუ იმ სინამდვილეო... გოგოები თითო-თითოდ იწვენენ და ისე ფეიფხებოდნენ მზეს, ვითომც მათთვის სულ არ არსებობდნენ გიტარისტები. არადა, მათი ყველა კუნთი პლაჟის მომღერლების ხმას ასდევდა, მათი თითები ქვიშაზე თვლიდნენ რიტმს.

შუადღისას ბიჭებიც შეთხელდნენ და ეუღლი გოგოების გვერდით ჩაიშრტნენ...

ჭონდო მზეს არიდებდა თავს, მას უყვარდა ეს მნათობი, მაგრამ გარუჭვა ენაზეობდა... იცოდა, რომ მზის სხივებზე ყოფნა სხეულის დამანგრეველი, გულის რიტმის მოშლელი, ტვინის ამღვებელია...

ჯემალ დავლიანიძე
შემოზარუნება



პლაჟი კი უკვე თანაბრად დუღდა. ბიჭები და გოგონები მათში წარმოშობილ, მათთვის აუხსნელ გრძნობას უმარჯვებდნენ მზის სხივებს... ჯონდოს კი არ უკვირდა, ამ ლაფიან წყალში რომ ეყარა ხალხი, პირიქით — უხაროდა კიდევ, იმდენად უზღებოდნენ ერთმანეთს აქაურ ბუნება და ადამიანი... მოკლედ, უერთმანეთოდ ვერ წარმოუდგინა.

ჯონდო იმ გოგონას ეძებდა, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაიცნო ავტობუსში. მისი სახელი და გარეგნობადა ახსოვდა. ტატიანა ნაღდალ და შლაშიან მდინარესთან უნდა ყოფილიყო. ჯონდო აღმა-დაღმა დაუყვებოდა წყალს და აღშულიან ქვიშაზე წამოწოლილ წვეილებს აფრთხობდა. ამ სიარულში, გარდა წვეილებისა, ნახა ორი ნაცემი ბიჭი, ერთი ხანჯალამოწვდილი მწყემსი, ერთი წყალნაყლაპი გოგო, ერთი შიშველი ბიჭი, რომელსაც ტრუსის გაწურვისას ტანსაცმელი მოპარეს, და ბოლოს, გიტარის ცემით დალურჯებული, ლტოლვილი ქაბუკი...

პლაჟიდან ხუთასიოდე მეტრზე, ტრამალებისკენ ავტომობილები მოჩანდა. იქით მანქანის მფლობელები იყვნენ და არ სურდათ რაიმე საერთო ჰქონოდათ უმანქანოებთან... შეიძლება ტატიანა მანქანათმშენებელი იყო, — გაიფიქრა ჯონდომ და იქით წავიდა. ავტომობილების კარები გაღო, აღმოსავლური ჰუკიტინა, გულისამრევი მანგები იღვრებოდა ტრამალებში... ისე, რომ ადამიანები მშვენივრად ისვენებდნენ (ან მათი სიტყვისა არ იყოს — „დროს ატარებდნენ“, „დროს ჰქლავდნენ“ და ტუბებოდნენ...).

ტატიანა შავტუხა ბიჭს უჯდა ღია-ყვითელ მანქანაში. ბიჭს ეძინა. ტატიანამ ანიშნა ჯონდოს, იქით წადი და მოვალე... ტრამალების სიღრმეში შევიდნენ და თვალს მიეფარნენ... მათი საუბარი ფაქტიურად ავტობუსში გაცნობისა დაწყებული სისულელეების ნაწყვეტები იყო: „შეიძლება თუ არა ერთი ნახვით შეეყარება?“, „შეიძლება თუ არა სამჯერ გათხოვება ან დაქორწინება?“, „შეიძლება თუ არა ოთხი თვისა და უფრო მეტი დროის ფეხმძიმობის მოშლა?“, „მარტლა არხებობს თუ არა სიყვარული?“, „იხს და ეს ფილმი როგორ მოგწონს?“, „გვყარებია ვინმე?“, „რა კარგია ვაჟფხული“, „ზამთარი არ ვარგა“, „ეს კაბა ძალზე გიხდება“, „როგორ მიყვარს ჰალარა თმა“, „მიყვარს ჯინსიანი ბიჭები“, „რა კარგი თითები გაქვს“, „შენც!“, „მე შენთან მრცხვენია, სხვასთან არა“, „მე შენ კი არ მიყვარხარ, უცნაურად, რალაცნაირად მომწონხარ“, „ძალზედ კარგი ხარ“, „შენ უფრო კარგი ხარ“, „აბა რამდენი წლისა ვიქნები?“, „აბა შენ გამოიცანი?“, „მაშ რამდენი გეგონა?“, „ვეინ იყო შენი პირველი სიყვარული?“, „არაყი გიყვარს თუ კონიაკი?“, „საშიშვლია აქაურობა, არ მიყვარს“, „შენ დიდი ქალაქი უფრო მოგიხდება“, „რა კარგი იყო მისკოვი. შემიყვარდა, უნდა გავიქცე. ქარხანაში

ვიმუშავებ“, „ადამიანებმა ლალატი უყვართ“, „ადამიანებს ყველაფერი უყვართ“, „სიყვარულიც უყვართ!“...

- ტატიანა წინ მიდიოდა:
 — ჯონდო, არ გაინტერესებს, ვისთან ვარ?
 — არა.
 — კარგი ბიჭი ხარ, მიყვარს შენაირები... თვითონ მნაგან რომ შენთან დამინახოს...
 — ზემეს?
 — ჰო.
 — თუ ვგრე გეშინია, რალას გამოეპარე?
 — მიყვარს, როცა ბრაზობს...
 — შენ ისიც ხომ არ გიყვარს, სილას რომ გტაკიავს ხოლმე?
 — როგორ ვითხრა... ისე კი საშინელება ყუბაში, სილა...
 — კარგი ბიჭია?
 — ეჭვიანობა უყვარს.
 — აეჭვიანებ?
 — ერთი და... მე თავისუფლება მიყვარს!
 — რამდენი წლისა ხარ?
 — ოცდარობი...
 — სასმელი გიყვარს?
 — ყველაფერი არ მიყვარს...
 — მაინც?
 — შენ რომელ საყვარელ სასმელს შემომთავაზებდი?
 ჯონდომ არ უპასუხა.
 — კონიაკს?
 ჯონდო სდუმდა.
 — კონიაკი არ მიყვარს. მეზოზედა. საბაგ-ლობაა. იაყი მიყვარს. კიდევ ის მიყვარს, მთავი ღვინო...
 ჯონდოს აღარ აინტერესებდა ტატიანა. მას აღარ სურდა ეს ცარიელი, ფუტურო, ქარაფუტა, არაფრისმაქნისი ქალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბარძაყებით, მკერდით, ტურჩებით, თმით და ხორციით აზროვნებდა.
 ტატიანა შემობრუნდა:
 — ჯონდო, შენ ვერ შეგიყვარებ, ხომ არ გაბრაზდები?
 — არა.
 — რატომ?
 ჯონდო გაბრაზდა.
 — რატომ? — გაიმეორა ტატიანამ.
 — ქალი არასოდეს მიცემია...
 — არც ვაგირტყამს?
 — კი.
 ტატიანას გაეხარა, მიუახლოვდა, ზედ მიეცრა, ყელზე ჩამოეცდა:
 — მწარე ხელი გაქვს?
 — ძალიან.
 — არა, იმას უფრო მწარე ხელი აქვს... ის უფრო ჩასხმულია, მკვრივი... შენ გამხდარი ხარ, თუმცა მაღალი, მე რომ მიყვარს, ისეთი...
 — ვისზე ამბობ?
 — იმაზე, დაღვთაზე...

— ვისთანაც იყავი?

— ჰო.

— ხადაურია?

— აქაურია, ყუმუზი... ვუყვარვარ...

— ყუმუზია?

— ჰო...

— ხად მუშაობს?

— არ ვიცი.

— ეგეთებს ბევრს იცნობ?

ტატიანა უცხად გაბრაზდა:

— ეგრე რატომ მიკითხები?

— ისე... მიყვარს...

ტატიანა მიხვდა, რატომ გაიმეორა ჯონდომ მისი არემიებული სიტყვა „მიყვარს“ და გააკანკლა:

— შენ ვინა გგონივარ? ეგეთები არ მიყვარს! ჯონდომ ფეხი მოიცივალა:

— ერთი უბრალო, ელემენტარული, ქერქუტაკა ხარ, რომელმაც აღერსიც კი არ იცის...

ტატიანა ბოღმისაგან აცახცახდა:

— შე ვარ?..

— ძალიან გინდა, სილა დამტყუო? — აბა წადი, დროზე მოუხვი აქედან, შე ლაწირაკო, შენა!.. — ხმამალა უთხრა ჯონდომ.

ტატიანა გახევდა.

ჯონდომ ძალათი შეებარუნა და უბიძგა.

— არ წავალ... გგონია, მართლა ის მიყვარს? ჯონდომ მიხვდა, ტატიანას მოცილებლა უკვე ძნელი იყო.

— გინდა გითხრა შენი ცხოვრების მიზანი?

— მკითხაობა იცი?

— მკითხაობა არა, ისა...

— მითხარი, მითხარი, მე ძალიან...

ჯონდომ აღარ ათქმევინა, „მიყვარსო“.

— შენი მიზანია: არაყი, ქეფი, ჩაცმა, კაცი და მერე ისევ: კაცი, ჩაცმა, ქეფი, არაყი...

ტატიანას გაუკვირდა:

— მაშ სხვა ქალები სხვა რამისთვის ცხოვრობენ?

— უმეტესობა მართლაც რომ შენა გგავს...

— დამცინე? ქარხანაში ვმუშაობ, გეგმას მუდამ ვასრულებ, პრემიას მაძლევენ!

ჯონდომ მიწაზე დაჭდა. ტატიანა უცხად მიუძღა გვერდით, ის იყო ვადმოწვა მისკენ, რომ ჯონდომ წამოდგა და გოგო კინაღამ ძირს გაგორდა.

— ბოროტი კაცი ხარ, ქალებს არ უყვართ შენაირები!

— მართალი ხარ...

— მაშ რა უნდა გავაკეთო ამ გამოყრუებულ მხარეში? რითი გავერთო, ხად წავიდე? მითხარი! მითხარი! მითხარი!

ტატიანა ატირდა.

ჯონდომ მოსცილდა. ესეც შენი ისტორია ქალთან: ავტობუსში გაიწყო, იძებდა, იპოვა, კაცს გვერდიდან აართვა, ტრამალებში წაიყვანა, სურვილი გაუწილა, გაანერვიულა, ატირა...

... პლაეს რომ მიუახლოვდნენ, ტატიანამ წასჩურჩულა ჯონდომს:

— მიყვარხარ...

— აუჰ!

— მართლა... ის ყუმუზი დაველეთა კი მეწილდება.

ჯონდომ ამ ბრყვიე ქალის მოშორება სურდა, რადგან იცოდა ამნაირი გოგონების გამო შეიძლება ან მისთვის ჩემიტვრით კბილები, ანდა პირიქით...

ყუმუზმა დანახა თუ არა ისინი, რამდენიმე ნახტომში მივარდა, ტატიანას ხელი დაავლო იქით გაათრია, სილა სტიკა და ჯონდომსთან მივიდა:

— იცნობ?

— კი.

— დიდი ხანია?

— ჰო.

— ხაიდან?

— ავტობუსიდან.

— გიყვარს?

— არა?

— უყვარხარ?

— არა.

— რა რჭულია ხარ?

— ქართული.

ყუმუზი დაიძაბა, მაგრამ ჯონდომ დაასწრო:

— მილიციაში მსახურობ?

— არა, — ყუმუზი გაოცდა.

— მაშ რა გამოშვიებელივით მიკითხები?

ყუმუზი გაბრაზდა:

— შენ ლეკვი გგონივარ?

— არა.

— დამცინე?

— არა-მეთქი. მეგობარო, წადი, წაიყვანე შენი პრინცესა და თავი გამანებეთ...

— არა, მოიცადე... ხად იყავით?

— ხალოღა? — ახლა ჯონდომ დაუწყო გამოკითხვა.

— არა.

— დიდი ხანია იცნობ?

— კი.

— მოგწონს?

— როგორ გითხრა, — რამდენიმე წელიწადია დავდივარ...

— გიყვარს?

— არა-მეთქი.

— არა, გიყვარს და მალავ...

— არა-მეთქი, გამიგე!

— მაგას უყვარხარ?

— ჰო.

— აქაური ხარ?

— კი.

— რა რჭული ხარ?

- უშუბი...
- ჰოდა, წაიყვანე ეგ გოგო.
- უშუბი დაიბნა:
- არა, მოიცა... ხად იყავით?
- ეჭვიანობ?
- არა.
- მაშ რა გინდა?
- მინტერესებს...
- შენთვის სულ ერთი არ არის?
- არ არის, ბიჭები დამცინებენ...
- ესე იგი, ვიყვარს!
- არა-ნეთქი.
- ჰო, გუყვარები...
- ღმერთი-რჯული!
- მიგყავს? წაიყვანე...
- კი... ოღონდ მოთხარი...
- მინდორში ვიყავით...
- ამა მერე?
- შენ უშუბი ხარ?
- კი...
- ჰოდა, წაიყვანე შენი გოგო, უყვარხარ...
- უშუბი დაეკვდა:
- თვითონ გითხარი?

ჯონდო უცბად მოერია ბრაზი, მარტოხეა ხელი ვაშლა, ის იყო გაიფიქრა, — უნდა გავარტყაო, რომ მდინარის პირზე ხალხმა იხუფლა უცბად... უშუბი ადვილს მოსწყდა და იქით გავარდა, საითაც ხალხი ბორბორებდა, ხარხარებდა, ყშოდა, წიოდა, უსტვენდა... ვიღაცან აბღავლებდნენ...

ტატიანაც იქით გაიქცა. ჯონდო შორიდან უცქეროდა სერის. ვიღაცას ტანსაცმელი შემოახიხეს. როცა ხალხი დანაწილდა და მდინარისპირი მოკარიელდა, ქვოშაზე (ეს უკვე ძალზედ მკავს კონოფლმეშო სწორად გამოყენებულ სურათს) დარჩა გასისხლიანებული, ტრუსშემოგლეჯილი ბიჭი, იგი კვნესოდა და სლუჯუნებდა.

უშუბი სიცილით გამოემართა ჯონდოსკენ, რომელმაც კვლავ დაანწრო:

- რა მოხდა?
- უშუბმა მხიარულად მოუთხრო:
- ის ბიჭი, შღარავად მუშაობს ტატიანასთან ერთად ქარხანაში... არავის გვერდზე არ გვეკარებოდა, სულ ჰალსტუხით დადიოდა, არავისთან ძმაცაობდა. მოკლედ, ბებერბოლა... თან ამბობდნენ ყველაზე... მოკლედ, გოგოები უკან დასდევდნენ... დღეს კი ერთმა ჩემმა ძმაცამა შემოაგლეჯა საცურაო ტრუსი... თურმე დახვედლებული გრძელი ნაჭერი ედო მისგან... მაგარად დაფეთქვეთ, რომ ასეთი რამ აღარ ჰქნას... მთელმა გოგოებმა ნახეს, მე მაგისი..

ჯონდო კინაღამ შეშალა ამ ამბავმა. უშუბის არა თორხა რა, მიატოვა და მდინარეს აღმა აუყვა... თანდათან დაიკარგა ბაიანის წოწინა, არეული ხმა, აშლილი გიტარის უღრიალი, ჩახლებილი ყელიდან ამომსკდარი სიმღერა-აბღავი-

ლი, ნაცში მამაკაცის სლოკონი გაქცა... მული, გაკვირვებული, უშუბი და ტატიანა... სამაგიეროდ, ჯონდოს კითხვათა კორიანტელი გამოჰყვა პლაჟიდან: ნეტავ ადამიანს რატომ აქვს სურვილი, იმაზე მეტი ჰქონდეს რაც ბუნებაში მისცა? ზოგიერთები ამ სურვილს წინსვლას უკავშირებენ. ჯონდოს არ უყვარს (ტატიანასი არ იყო!) ის ხალხი... ისინი ბეცები არიან, მათი სარგო სათავად არც ერთ აფთიაქში არ მოიძებნება... იმ „მეტის სურვილზე“ დაფუძნებული მეზობლების დავა, — ვენახების გაჩხება, ცოლ-ქმრის შეხლა-შემოხლა, მუშტი-კრავი და უფრო ფართო მასშტაბის ჩხუბი, რომლისაც ძალზე ეშინიათ ადამიანებს...

ჯონდო იმ მიწებს ძებდა, სურვილებს რომ უძლიერებს და უღიზიანებს ადამიანს... ერთი ხანობა ფიქრობდა — მეც მეთინია იმისი პოვნაო და კოჩუბიის გახედა, რომლის მაცხოვრებლებმა დღეს კარგი გასართობი და სალაპარაკო სიერი ნახეს. საწყალი ჰალსტუხიანი, საწყალი ტატიანა, საწყალი უშუბი... მერე ჯონდომ უკუაგლო ხიტყვა „საწყალი“, რადგან დარწმუნდა, უფლებმა არ ჰქონდა ამ ხალხის ცხოვრებაში ჩაერეულიყო. რატომ უნდა დაარღვიოს ჯონდომ წლობით ნაშენობა მათი წესი, შათი იუმორი, სიყვარული, ტრფეზა და ათასი რამ?

... კოჩუბიში მტკერი იდგა. — ავტომობილები ირეოდნენ, ნეხვის მტკერში არეულ ბულს აყენებდნენ. ძაღლები ყუფდნენ, ცხვრები ბღო-დნენ, მოვრალეები ირწეოდნენ და მღეროდნენ.

... ჯონდომ კარი ჩაკეტა, თოფს გახედა, სინათლე ჩააქრო, წაიწვია და მდინარეზე წანახს კიდევ ერთხელ გადახედა. ბევრი უკირკიტა და მერე მოგონებებს გადააბარა თავისი სადარდელი — ისინი რომ არ იყვნენ, რა იოლი იქნებოდა ყველაფერიო. ბოლოს ისევ ტატიანა წარმოიდგინა, მანანას შეადარა და შეეცადა განსხვავება ეკოვა.

მანანა მალე შეეჩვია ჯონდოს. დღეში ხუთჯერ თუ არა, სამჯერ მინც შედიოდა მასთან და საათობით ელაპარაკებოდა (ჯონდოს აზრით „კი — აცდენა მას). თურმე (მანანას აზრით) ყველაზე დიდი სიკეთე, რაც ჯონდოში შეინიშნა, ეს არის უცნაური ჩვეულება (რატომ უცნაური, მხოლოდ ქალს შეუძლია ამისი დადგენა), დაუმალავად ილაპარაკოს ის, რაც არის, და ამავე დროს ლამაზი ხელის მტკენები მოსწონს და იზიდავს!.

მანანა (თავისივე აზრით) საკმაოდ ლამაზი იყო. როცა ჯონდომ პირველად ნახა, ის იგრძნო და გაიფიქრა, რასაც მხოლოდ მამაკაცები გაიგებენ... მანანამ საკუთარი ლექსები მიუტანა ჯონდოს, შენი აზრი ძალიან მინტერესებსო. ლექსების შენარჩნის ასეთი იყო: მე ბევრი მტანჯა შენმა სიყვარულმა. ვანა მე კი არ მიყვარდი? დიდ ხანს ვიყავი ტყვე შენი სიყვარულისა, რა-

მელმაც ბევრი ცრემლი მაფრქვევინა. მერე გავკაჟდი. ჩემივე ცრემლები შემაშრა და აღგიღი აღარ მისცა სხვა ცრემლებს. გულიც კვად მექცა. შენ ალბათ გიგონა ვერავის ვიპოვდი. ვიპოვე! ახლა დაიწყება შენი ტანჯვა. როცა გამოსცდი, მაშინდა გაიგებ. თუმცა გვიან იქნება... იცი შე რამ მიშველი? გეტყვი, ახლა აღარ შეშინია, გეტყვი — კონიაკმა, სიგარეტმა, ყავამ, შეხვედრებმა... ბოლოს კი მართლა შევხვდი.. მე მიყვარს იგი და ამდენად, ჩემი სიყვარული აღარ არის ჩემი მახრჩობელა... მე ბედნიერი ვარ მე მიყვარს!


ეს იყო საქალეთის ამოძახილი... ეს იყო მანანას ლექსები, რომელთა წაკითხვა ერთგვარ შანსს იძლეოდა, ჯონდო უფილიუო ამ ქალის მიერ ნაპოვნი „ახალი“ სიყვარული...

ჯონდო რეგვენად არ თვლიდა თავს და ამიტომ ქალებთან არასოდეს ამაყობდა. მან არც ის იცოდა — საერთოდ, რატომ ამაყობენ ქალებთან... ებ, სხვებს რაც უნდათ, ის უქნიათ... თუმცა ქალი... რას გაიგებ კაცი — ქალებთან შეიძლება არც იყო ამაყი, მაგრამ სწორედ ამის გამო (რომ არ ამაყობ) მათ უფრო ამაყი ეგონო, რაც თავისთავად მამაკაცისა და დედაკაცის უდიდესი ტანჯვის დასაწყისია... მანანა ისეთ ქალთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც ისწრაფვიან კაცისკენ და როცა საქმე-საქმეზე მიდ-

გება, როცა მიხვდებიან, რომ დაგძრეს ადგილიდან, წაგიტყუეს, მაშინ გადგებიან განზე და მედლეურად ჩაგჩურჩულდებიან, — არაო... ჯონდოსა და მანანას შორისაც ასე მოხდა — ჯონდო ახალი წლის დღით გაეხუმრა (მართლა გაეხუმრა) — მომბეჭრდა ამდენი პურ-მარილები, მოდი ახალ წელს მხოლოდ მე და შენ შევხვდეთო... მაგრამ ასეთი ხუმრობა არ ეხმის ქალს. მისთვის არ არსებობს ამგვარი რამ... ამიტომ, მანანამ ქალური სერიოზულობით მიიღო ნათქვამი და კუდი აიპრისა — ისეთი საღამო ეწყობა სამსახურში, მოსაწყვეიც კი მომცეს... თანაც შენ გატყობ, იმნაირი გგონივარო...

ახალი წლის შემდეგ მანანა მინც შეცუნცულდა ჯონდოსთან და ნაღვლიანად უთხრა — საავადმყოფოში ვწვიბიო... მესამე დღეს კი ჯონდომ ვიღაც ბიჭთან ერთად ნაზა რუსთაველზე. სამსახურში ავადმყოფობის ცნობა მოიტანა მერე და კვლავ აკენესებულმა უთხრა ჯონდოს — საზიზღრობაა საავადმყოფო. ჯონდოს სულ აღარ აინტერესებდა ეს ჭიანი ქალი და ფიქრობდა — ზოგიერთი ალბათ ავადმყოფობის შვილებია, — ჯანმრთელთა ქვეყნიდან გაქვებულნიო... თუმცა ეს ეჭვი გახლდათ და ექიმების აზრით ნორმალურ კაცს უნდა გაეციონოს. ამ შემთხვევაში ჯონდოს მხოლოდ გაუღიმა.

გაბრძელობა იქნება



ასფურცელია

ავთანდილ მეგრელიშვილი

რა წარმტაცი მამული მაქვს

ჩანჩქერს კლდეზე გაუშლია,
ვერცხლისფერი თმები.
ჯერ მის ჩქერში ვიბანავენ,
შემდეგ მზეზე ვთბები.
ხეებიდან ისმის ლალი
ფრინველების ხმები.
საამურად შრიალებენ

მუხა და ვერხვები...
ლამის სიხარულისაგან
გამოვისხა ფრთები.
მსურს ჩიტვით გადავსერო,
მწვერვალები, მთები...
რა წარმტაცი მამული მაქვს,
სიყვარულით ვთვრები!

თუთები

პაპის მიერ დარგული
მოვლილ-ნასათუთები.
ჩვენს მოლიან ეზოში,
გაიზარდნენ თუთები.
სითბომ გაზაფხულისამ,

ყველა მწვანედ შემოსა.
კობტა და ლამაზები,
რთავენ გარეშემოსა.
წელს პირველად ვიგემებთ
მათი თუთის გემოსა.

ლუკა

ნახეთ, დღესაც ლუკამ
გაიშარაშუკა.
არ შემოდის სახლში,
არ შეჭამა ლუკმა.

არ კითხულობს წიგნებს,
დროს ატარებს უქმად.
დადის, დააზმორებს.
მიტომ იღებს ორებს!

გაუმარჯოს მუმს

მზემ თვალები ჭყიტა,
დაიძახა: — ჭიტა!
პატარა ნარჩიტა
უცებ აჭიკჭიკდა.
გაიღვიძა ყველამ,
დათემა, მგელმა, მელამ,
გოგიტამ და მზიამ.
ფისო — ფისუნამ,
ყვავილმა და წყარომ,
თავთავმა და ტარომ.

ქარის შვილიშვილმა, —
სიომ, სანტარომ...
საამოდ ნათელი
დროა არის მშვიდი.
ყველას მიესალმა
მზე, ბრდღვილა, დიდი.
ამ ცეცხლოვან მნათობს,
ყველა კდემით მზერს.
გაუმარჯოს მუმს!
გაუმარჯოს მუმს!

ნათია და ბებია

წუტელ ჩვენმა ნათიამ,
ლამე თეთრად ათია.
ავად ჰყავდა პატარას
საყვარელი ბებია.
ექიმით უვლიდა,
წუთიც არ სძინებია.
თავთან უჯდა, აკმევდა,

ტანზე თბილებს აცმევდა.
ხან წამალს აწოდებდა,
ხან — ცხელ ჩაის ასმევდა...
თურმე ისე დადლილა.
თავი ატკივებია.
ამას სულაც არ დარდობს, —
მოარჩინა ბებია.

ალექსი ნამორაძე

პირველად ანბანს გვასწავლის,
გვაცნობს ლურჯთვალა იას.
ცოდნის დედას და მშვენებს
თქვი სახელად რა ჰქვია?

(დედა ენა)

ცხადში კი არა სიზმარშიც
ალარ გვენახოს ომი.
ჩენი სამშობლოს დამცველნი,
გმირები გახდნენ შრომის.

ვინ იყო გმირი ქართველი?
ვინაც გარდასულ დრო-ჟამს.
თვით რაიხსტაგზე აღმართა
საბჭოთა ხალხის დროშა?!

(მელიტონ ქანთარია)

მაია გელუტაშვილი

ელექტროსადგური

მოიტანეს ბავშვებმა
ამწე ერთი ციდა.
თქვეს გოგამ და ირაკლიმ:
— მუშაობა გვინდა.
— შევაგროვეთ წყაროსთან
ბევრი ქვიშა, აგური,
რომ ავაგოთ ეზოში
ჩვენ ელექტროსადგური.

ხიდი

— გუშინ ბევრი საქმე მქონდა...
უყვებოდა დედას ბელი.
კურდღლებს ხიდი ავუშენე:
მდინარეზე გავდე ძელი.

ბაღათურ არაბული

მოცეკვავეები

მოიყვანეს დამკვრელები
ლოლისა და დაფდაფისო,
აცუნდრუკდა მელაქუდა,
ახტა ფისო,
დახტა ფისო...
იქით დათვი დაბაჯბაჯებს,
არ რცხვენია არაფრისო,

აქეთ სპილო იჯგიმება:
— ვინ აჯობებს ვნახოთ ვისო,!
ცეკვის დიდი ოსტატი ვარ,
შესაშური რა მჭირს სხვისო!..
ოფლს იწმენდენ დამკვრელები
ლოლისა და დაფდაფისო.

ზარმაცი ანა

უწყრებიან სახლში ანას:
— შეიძლება ასე განა?
შენ არც თმების ვარცხნა გიყვარს
და არც კიდევი პირის ბანა!

დათა

დათა სამი წლისაა
და კაცივით აბიჯებს,
წელზე ხანჯალს იზომებს,
ფეხზე წინდა-პაჭიჭებს
და დევებზე საომრად
მიუძღვება ძმაბიჭებს.

კატა და კნუტი

კარადის ქვეშ დამშეული
მეიპარა კატა კნუტით,
სადლაც, იქვე, ხვრელში თაგვი
კაკალს კვნეტდა კნატაკნუტით...

სხვა თაგვებიც კედლის უკან
წრუწუნებდნენ კანტიკუნტად,
მაგრამ ყველა შეაშინეს
იმ კატამ და კატის კნუტმა.

თემურ შიმშილაშვილი

მასწავლებელი

ფიქრებით დაგფენია
შრომით მოციმციმე წლები,
კვლავ მახარებს შენი ხილვა
ლიმილით რომ მეგებები.

კრძალვით ვამბობ დღეგრძელ იყავ
მზის და მთვარის შესადარო,
ხალხს და ვამულს არ მოაკლო
მოჩუხჩუხე ცოდნის წყარო.

თამუნა და დიტო

ლაპარაკი არ იცი
თამაში კი გინდა,
დღეს თოჯინას მაგივრად
გამომტაცე წინდა.

აბა, ამას რა ჰქვია,
ფეხშიშველი ვიარო?
არხეინად იციანი
რადგან არა გსჯიანო.

ალექსანდრე დიდებაშვილი

ვაზი

ვაზი ჩვენი ვენახისა
მთელ კალათა მტევანს ისხამს.
შარიშურობს: თბილო მზეო,
ტკბილი წვენით ამავსეო...
ბეჯითებო, მომიარეთ,

წყალი მასვით მსხმოიარეს,
გამიმაგრეთ წელი სართო,
ყლორტს ვერ მტებდეს ცელქი ქარი.
ზრუნვით გულს ვინც გადამიშლის.
ეს მტევნებიც ალაღმისი!

მძსკურსნია

გვინდა რომ მოვინახულოთ
დედა-სამშობლოს მთა-ბარი,
მამა-პაპათა ნაძერწი
ნიში, ციხე თუ ტაძარი,
ტყე მწვანედ განათებული,
უსასრულობის ზღაპარი,
ცა — მდინარეში ჩალვრილი,

მზე — ხეობებში ჩამდნარი.
გულებს გვიჩქოლებს ხალასი,
ალფრთოვანება სხვაგვარი:
ვალიც გვეძახის
გზებიც გვეძახის,
და...
ავტობუსიც მზად არის!

და-ძმბ

არასოდეს ვჭირვეულობთ,
ზოგიერთი ბავშვის მსგავსად.
არც ლოგინში ვკოტრილობთ,
მივლულავდეთ ვიდრე თვალსა.

სანდრო პაპას მე ვეკუთვნი,
ნინო მართა ბებიასა,
იგი „წითელქუდას“ ისმენს,
მე კი — ნაცარქექიასა!

თავგანჯი

კოსტას კარიოტაკისი

ჩინოვნიკები

ჩინოვნიკი ყველა
იღვეა და ღნება,
ღნება როგორც
ცხელ ტაფაზე
დაგდებული ერბო,
არას შველის პატივი და
არას შველის კვება
თუნდაც დღეში ათჯერ
საგანგებოდ კვებო.
კაბინეტში,
ისე როგორც
ჰირიანი წიწილა
ნელ-ნელა და უკლებლივ
ლურჯდებიან ყველანი.
კაბინეტში,
დიახ, დიახ,
სათითაოდ,
წყვილ-წყვილად
ორთქლდებიან ვითარცა
სამელნიდან მელანი.
სახელმწიფო,
სიკვდილი,
აი, ვინც მათ კვებავს,
სკამის ზურგს მოფარებულ
წელმოწყვეტილ ვირთხებს,
წაიბილწა ქაღალდი,
აღარ ეშველება
უსპეტაკეს ფურცლებზე
რაღა აღარ თითხნეს.

ვის მსახურებს
ეს ჯარი,
ვისთვის წერს და ბლანდავს?
მელაძუებს,
წყალწაღებულ
ცნობილ ვიგინდარებს!
„ამ წერილით
გვაქვს პატივი...
„პატივი გვაქვს...“ ანდა,
არწმუნებენ ადამიანს
მომლოდინეს გარეთ.
ის „პატივი“
კაბინეტში რჩებათ,
როცა მჭრქალი
რვა საათზე სკამებიდან
წამოაგდებს ბინდი,
ჩინოვნიკთა კოლონები,
როგორც მღვრიე წყალი
აუყვება მაღლა აღმართს
მილოდავს და მიდის.
დასაქოქი თოჯინები
(სპილენძის ან რკინის!)
ყიდულობენ გზაში წაბლს და
ფასებს ჩხრეკენ ზახლის,
ბჭობენ ქვეყნის კანონებზე
ვალუტაზე — ეინით
იჩეჩავენ მხრებს საწყლები —
საცოდავი ხალხი.

უბედურება

ულალატეს რა იდეალებს
წმინდათა წმინდას,
უქანასკნელებს
პირველობის მიერთვით რიგი!

ფული გაქვს? მიდი,
გაინათებ ჯოჯოხეთს გინდა,
იყიდი სვინდისს იმისგან,
ვისაც კიდევ შემორჩა იგი.

ამიერიდან შავბნელ მითს ჰგავს
ცხოვრება ლაყე.
სასოწარკვეთას
უსახური მოიტანს და
ამძაფრებს ღამე.
ტუჩებზე სულ ვგრძნობ
მწარე გემოს —
საძაგელი აბზინდის ნაყენს
და ძლივს ვიხსენებ
თუ ოდესღაც ვისურვე
და მიყვარდა რამე.
ღრმა არის ღამე.
ძალიან ღრმა
სულში მობობღავს
საწოლიც ეშმაკს წაუღია,
კუბოა ნისლის.
ცარიელ სახლში შევვარდები
ვხედავ ობობას,
ხელსაწყოები გაუშლია
ყოველგან თვისი.
იმედი არსად,
ალარაფრის!
სიჩუმე ბარდნის.
მე განწირული ხმით გავყვირი:
„უბედურება!“
ლოთობას მორჩა

და შინ მიდის
ღამურას ლანდი,
გავკვივი, მაგრამ
აქ, არავის
არ ეყურება.
ეს შემზარავი სიტყვა
ცაზე დაიწერება,
აეარვარდება ცაზე ცხარე
ცეცხლის სტრიქონი,
ზედ მიახმება ვარსკვლავებიც,
ხეთა წვერებიც,
მაგრამ ვერავინ
ძახილს ჩემსას
ვერ გაიგონებს.
კარგახანია
წამოგექცათ კედლები თავზე,
ტრიალებს ყველგან,
ცეცხლში იწვის
„უბედურება“.
მალღებმა იგრძნეს
საზარელი სტრიქონის აზრი,
ემუიან!
თქვენ კი
დაურუვდით თუ
არ გეკუთრებათ?!

ბერძნულიდან თარგმნა
იზა ორჯონიძემ



დაუპარცხნელი აზრები

ს. ე. ლეცი (1909-1966) თვალსაჩინო პოლონელი პოეტია. ლეციის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1933 წ.) თანამშრომლობდა მემარცხენულ ჟურნალებში. 1941 წელს საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც გაიქცა (1943 წ.) და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1944-1945 წლებში პოლონეთის ჯარის ოფიცერია. იყო აგრეთვე დიპლომატიურ სამსახურში (1946-50 წ.). ლექსების პირველი წიგნი — „ფერები“ 1933 წელს გამოსცა. ლეცის პოეზია გამოირჩევა მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემატიკისადმი ინტერესით, სახეთა და განსჯათა პარადოქსულობით, რაც განსაკუთრებით ახასიათებს მის სატირასა და ფრაშეებს. დიდი პოპულარობა ხვდა წილად პოეტის აფორიზმების, სენტენციებისა და ეპიგრამების ციკლებს — „დაუპარცხნელი აზრები“ (1957 წ.), „ახალი დაუპარცხნელი აზრები“ (1964 წ.). „ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ სწორედ ამ ორი კრებულიდან ამოკრებილ „აზრებს“, თარგმნისლ გურამ გოგინაშვილის მიერ.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც ვერ მოახერხა, რომ თავისი თავი საზოგადოების თვალში სამარცხვინო ბოძზე გაეკრა.

თავჩამოხრჩობილის ოჯახში თოქზე არ ლაპარაკობენ. ჭალათის ოჯახში?

ღმერთები ერთმანეთისგან შემკვიდრეობით ატრიბუტებსა და მორწმუნეებს იღებენ.

რეცენზიიდან: „მისი პოეზია გამოირჩეოდა სულის კეთილშობილური სელაქიით“.

ამქერად უხასწაულად გადავჩრით. აი ხასწაულიც ეს იყო!

კიბო სიკვდილის შემდგომ წითლდება. მსხვერპლის მხრივ მართლაცდა რა მისხაბი დელიკატურობაა!

შეცდომა მაშინ იქცევა შეცდომად, როცა ქეშმარიტებასავით ჩნდება.

შეიძლება თუ არა, რომ ბრტყელტერფიანმა კაცმა დეზი ატაროს? შეიძლება. ოღონდ არ უნდა აწკარუნოს.

კუდიანებმა პროცესებზე აღიარეს, კუდები ეშმაკებთან გვქონდა გადაბმულიო. პირდაპირ სისხლი გაწვევა უელში, როცა ამას იგებს როგორ შეიძლება იძულებული გახადო კუდიანები და აღიარებინო ამისთანა რამ, როდესაც ეშმაკი არ არსებობს?! მაგრამ ამ დროს გონების ბმა გესმის: „ტყუილია, ტყუილი! ეშმაკი არსებობს, განა ის არ იყო ინკვიტორი?!“

გახსოვდეს, თუკი ეშმაკმა წიხლის კვრა მოინდომა, თავის ჩლიქს სულ არ გამოაჩენს, კაცის ფეხს დაჯაუღებს.

საშინელი სიწმარო ვნახე: სადაც უწიგნურობას გუშინ დააწვიეს თავი, დღეს იქ ბიუროკრატობა ყვაოდა და იფურჩქნებოდა.

ნეტავი ერთი მაცოდინა, გარდა მიწიღულობის ძალისა, კიდევ რას ვუქერივართ ამ დედამიწაზე?

აღდგომა მხოლოდ მკვდრებს შეუძლიათ. ცოცხლებს უჭირთ.

ერის ცხოვრებაში გარდატეხის უამს ბევრი დგას და ცხვირს იჩიჩქნის. ამას უფრო ბშირად ისინი შვრებიან, ვის ოჯახშიც ცხვირის ჩიჩქნაცულ საქციელად მიაჩნიათ.

არც ერთი საათის ისრები არ უჩვენებენ, როგორ უნდა ვიცხოვროს.

ყველაფერი აღამაინის ხელშია. ამიტომ ხშირად უშდა ვიზანდეთ ხელებს.

წვერი წინასწარმეტყველსაც კი შეიძლება ჩამოეპაროს!

ფაქტი ყოველთვის შიშველია, თუნდაც უკანასკნელი მოდის მიხედვით იყოს გამოწყობილი.

მჭერა, აღამაინი ოღესმე ნამდვილად შექმნის „პომუნკულუსს“, ხელოვნურ აღამაინს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაზეციერის შეცდომა

მოუვიდეს და ახალი არსება თვითონ დაიხსნავს.

დანაშაულის დედა სიბრძევეა, მაგრამ მამა ხშირად გენიოსი ჰყავს.

არამცა და არამც არ უნდა დავუშვათ, რომ ქალაქის მთელი სატრანსპორტო პარკი მხოლოდ სახარკიადოდ გამოდგეს.

ნუთუ უსულგულობამ იმიტომ დამსაჯა, რაკი ხულის არსებობა არა მწამს.

წარწერა — „შესვლა აკრძალულია“ მირჩენია წარწერას — „გასახვლელი არ არის“.

ყურადღება, სატირიკოსნო! აფთარნი მრუდე სატრეშიც იღვსავენ თქვენზე კბილებს.

ყუველთვის შეიძლება ისეთი ესკიზისი პოვნა, რომელიც კონგოს მცხოვრებთათვის ინსტრუქციას შეიმუშავებდა, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი პაპანაქებაში.

ვკრძობ, როგორ მეწრდება ფრთები! — წამოიწრისინა თავება, მერე რა მოხდა, პატივცემულო ლამურავ?

რომ შეიძლებოდეს სიკვდილის ნისიად გამოძინება!

უკვდავების პირველი პირობა სიკვდილია.

როცა მითი მითს ეგახება, შეგახება ძალზე რეალურად ხდება.

ღრმა აზრამდე ამაღლება საჭირო.

ან იქნებ სულაც დმერთმა დამაქისრა თავისი ათვისტობა?

წურგი თუ არა გაქვს, წილებზე ფეხს ნუ დაიდგამ.

შარვალი ტახტზე ჭდომისასაც იხებება.

ლამაზი ვარ, ძლიერი ვარ, ჭკვიანი ვარ, კეთილი ვარ. და ეს ყველაფერი მევე აღმოვაჩინე!

ზოგიერთი ადამიანის წინააღმდეგ აზროვნების პროცესი უნდა აღიძრას.

ხანდახან გუბეც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.

იმ კაცზე ამბობენ „ლომიაო!“ მერე რა ვუყოთ, უღაბნოს ვერ გავუჩენთ. ან ცირკს უნდა ჩავაბაროთ, ან ზოოპარკს. ანდა სულაც გამოვავლილოთ სამუზეუმოდ.

თავისუფლების სიმულირება არ შეიძლება

ძალდატანების საკრავით „თავისუფლების სიმულირას“ ვერ შეასრულებ.

ჭუნგლებში ბადეგადაკრული კორპის ჩაფხუტები ჰმურავთ, იმ ბადეებში შენიღბვის მიზნით მწვანე ფოთლებია ჩაწული. მე ფრიგიული ჩაჩი მხურავს, ტაქსიმახარის ზანზალაკებით დამშვენებული.

„მხოლოდ თითით დაგემუქრები“, მითხრა და ის თითი ჩაბნახს მიაღო.

ადამიანების დაუფა სხვადასხვაგვარად შეიძლება. ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია. შეიძლება დავყოთ ადამიანებად და არაადამიანებად. „მე კი თავებად და ტანებად ვყოფ“, — თქვა გაოცებულმა ჩალათმა.

ცხენებისთვის და შეეყვარებულებისთვის თივას სულ სხვადასხვანაირი სუნი ასდის.

აი განტევიების ვაცის მოწველაც რომ შეიძლებოდეს!

ერთისა და იმავეს განმეორება არ ვარგა! სუ-უ-უ! ბედნიერებამ არ გაიგონოს!

ხან ანკესს მეთევზესთან ერთად გადაულაპყვენ ხოლმე.

ვაი იმ დიქტატორთ, რომელთაც ირწმუნეს, რომ დიქტატორები არ არიან!

მაერში იის სუნი რომ დატრიალდა, ნებვმა თქვა: „რა ქანს, იაფი კონტრასტის მისაღწევად მუშაობს“.

„როგორ უნდა მოიქცე კაცი, — მკითხა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, — თუ შენი ცოლის მგობარს შენს პერქვეშ ხვდის ცოლთან ნახვ ლოგინში?“

საკვირველი ქმნილებაა ადამიანი! ზოგიერთი კატორღაშიც რომ არის და ქვის სატნში მუშაობს, იქაც კი თავისი ძეგლის შესაფერის გრანიტის ლოდს დაიძებს.

„ვითომ რატომ დაწერეთ ამაზე, — შევეკითხე ერთ კრიტიკოსს, — როგორც ეპოქალურ მოვლენაზე, რომელიც გარდამტეხს მნიშვნელობას იქონიებს-მეთქი?“ „რაზე?“ — მკითხა კრიტიკოსმა.

მცნება: „ნუ ისიტყვამრუშები!“



რა არის ქაოსი? რა არის და, ის წესრიგია, ხამ-
უაროს შექმნისას რომ დაირღვა.

ხისხლის გადახსნა ხშირად ჩიბიდან ჩიბეში
ხდება.

მორიჟონტალისა და ვერტიკალურის ჭადაკვე-
თით ჭვარი წარმოიშობა.

ვითომ ოდესმე ჩამოვარდნია ყოვლისმზილველ
თვალს ადამიანის ცრემლი.

ხალხნო, ნუ თავმდაბლობთ! თავს ლომებად ნუ
გვაჩვენებთ.

ვის გავურბოთ თავისუფლება, რომ უშვილძი-
როდ არ გადაეგოს?

მეროსტრატეს სახელის გაგონებაზე ვერა და
ვერ ვბრაუნდები, სანამ ეფესში დიანას ტაძრის
არქიტექტურას არ ვნახავ.

სიკვდილის შემდგომ ცხოვრება ადვილი როდია.
ამ ამბავს ხან მთელი სიცოცხლე უნდა მოახ-
მარო.

მზეს ნუ უტურტურებ. იგი კიდევ უთვალავ წე-
ლიწაღს უნდა გვეუოს.

მსუქნები ნაკლებს ცოცხლობენ. სამაგიეროდ
მეტს მიირთმევენ.

ერთხელ მკითხველის წერილი მივიღე: „კაცმა
თქვენი აფორიზმები რომ გაიგოს, ნაკითხი უნ-
და იყოს“. „აბა, როგორ!“ — ვაფრინე პასუ-
ხად დებეშა.

უკეთუ უფალი კვლავ შიშვლებს შეგვიყვანდა
სამოთხეში, ვფიქრობ, ჩვენი სიშიშველე დღეს
იქ მოდური აღარ გამოჩნდებოდა.

„ადამიანი მოაზროვნეა“, რომ ვამბობთ, განა
ეს განსაზღვრება კაცობრიობის მიმართ თქმუ-
ლი ქათინაურია?

თვით მის დუმილშიც გრამატიკული შეცდომები
იყო.

არ ვციო, უფლებამოსილი ვინ არის, მე უფლე-
ბაგაუმადარი ვარ.

უკვე თვით პარაგრაფის ნიშანი წამების იარა-
ღით მოჩანს.

„მობრძანდით!“ ნურასოდეს ნუ ეტუკვით იმას,
ვინც უკვე დაუკითხავად შემოგიღოთ კარი.

თქვენს ხიზმრებს ნუ მოჰყვებით. ხამ-
უაროს ხელისუფლების სათავეში ფროიდის ტიპი
მოექცენ!

რომელ ტოტემზე ზიხარ, მხოლოდ მაშინ ჩამო-
ხერხე, თუ ზედ ჩამოხრჩობას დაგპირებენ.

წამებით მაზოხისტებიც უველაფერს აღიარებენ
ხოლმე, მაღლიერების გამო.

ვისაც კარგი მახსოვრობა აქვს, იმისთვის ბევრი
რამის დავიწყება ადვილია.

კანონის ანაბანა ანბანში უნდა შევიღებს.

ჭოჭობეთში ეშმაკი დადებითი სახეა.

რატომ არ უნდა გავზარდოთ სამუდამო პატიმ-
რობის ვადა სიცოცხლის ხელოვნური განანგრ-
ძლივების გზით?

პირუთვნელნიც არ არიან პირუთვნელნი. ისინი
სამართლიანობის მიმართ იჩენენ მიტერპოებას.

ის მელოტ თავზე დასუკებულ ტილს მაგონებს.
ირგვლივ ამდენი ბრწყინვალეობა და მაინც
ტილია.

ნაბათის მრეკველ ზარს ენა ვაჟაკური უნდა
ეგახ.

ერთხელ ტიტანი ვნახე, წინდებს იკემსავდა, პი-
რველად მაშინ დასპირდა ტიტანური ვარჯა.

ზოგიერთი ადამიანის აზრი ისეთი ზენა-ქვერია,
თვითონ იმას არ შესდის თავში.

მითებს უველაზე ერთგულად დაქირავებულნი
უჭერენ მხარს.

ცხვარი, რომელსაც ოქროს საწმისი ჰქონდა,
ვერ გაშლიდრდა.

ისეთ ღუზაზე ვოცნებობ, თან ნაპირებს რომ
წაიღებს.

ვარდები პროფესიულად აფრქვევენ ხურნელს.

იუდას კოცნა პოეტს კლიტიდ ეღება პირზე.

უველაფერი ადამიანს უნდა შევწიროთ. ოღონდ
არა სხვა ადამიანები.

ღმერთს — ღვთისა, კეისარს — კეისრისაო.
ადამიანებს რაღა?

ლანცუტის სახსლის ერთ-ერთ დედათა საბა-
ზანოში მარიაშ-ანტუანეტას მშვენიერი, რო-
კოკოს სტილის ბიდე დგას. მე ალბათ გადაგვა-
რებული კაცი ვიქნებოდი, რომ ამ იშვიათი სამე-
ფო ჰურჭლის დანახვისას საფრანგეთის რევო-
ლუციასე შეფიქრა.

ნუ ხარ სნობი. ნუ იტყუები, როცა სიმართლი-
სთვის შეტს გიბღანა.

ჩვენ კი გავიყავით ღმერთები, მაგრამ იმათ რო-
გორღა გაგვიყეს?

ჩემს მკვლელებთან საიქოში შეხვედრა თუ მე-
ლოდა, მაშინ იმათთან ერთად წუთისოფელში
ყოფნა მერჩივნა.

კაბა ხარო, ადვილად ეტყვი ვინმეს, კაბაობა
უფრო ძნელია.

ერთ კაცს ვიცნობდი, იმდენად უწიგნური იყო,
რომ იღვა და კლასიკოსების ციტატებს თვი-
თონ იგონებდა.

მარიონეტების ჩამოსწრაობა ადვილია. ბაწრები
ზედვე აქვთ.

თუკი პირში წყალი დაიგუბებ, მერე მაინც ნუ-
ღარავის მიაპურტყუებ.

ყოცონებით წყვიდავს ვერ გაფანტავ.

ჟონგლიორის სწავლებაში აუცილებლად უნდა
შედიოდეს ფიზიკის კანონების უცოდინარობა.

ყოველ საუკუნეს თავისი შუა საუკუნეები აქვს.

ყოვლად უმნიშვნელო სიმყარაღეს, რომელიც
ვენტილატორს ებრძვის, თავი დონკიხოტად წა-
რმოუდგენია.

ტემპი! ტემპი! შეიძლება ერთ დღეში გალიო
მთელი ცხოვრება. მაგრამ დარჩენილ დროს მა-
შინ რაღას უწამ?

სინამდვილეს ზურგს ნუ შევაქცევთ? თითქოს
სინამდვილე ყოველი მხრიდან არ გვერტყას!

თუ ორ მტერს ერთი საერთო მოწინააღმდეგე
გაუჩნდა, ეს ამბავი მხოლოდ ამაფრებს იმათ
ურთიერთსიძულვილს. ყოველ იმათგანს უნდა,
რომ მან ერთადერთმა დაამარცხოს მესამე.

ბნელი ფაქტები ბშირად ნათელსა ჰყენენ საქ-
მის არსს.

როგორ უნდა ვავარჯიშოთ მეხსიერება, რომ
დავიწყება ვასწავლოთ?

ვერბეები ყოველი წყობილების დროს თრთიან.
მაგრამ, დასწყევლის ღმერთი! — ყოველი წყო-
ბილების დროს იფოთლებიან!

ხდება ხოლმე, რომ უბრალო ჩქმაც კი წარუშ-
ლელ კვალს ტოვებს.

თვით შუშის თვალიც კი ხედავს თავის სიბრ-
მავეს.

სპილენძის შუბლებიც პრიალებენ.

მერანი ოთხივე ფეხით არ უნდა იყოს დაქე-
დილი.

გახსოვდეს: სიმართლეს არასოდეს უღალატო!
თვითონ სიმართლეს აღალატებინე!

ჰორი რომ ბერდება, მითად გადაიქცევა.

ჭერ იყო სიტყვა, მერე გაჩნდა ფრაზა.

სიცოცხლე ძალიან კარგი რამ ვერ არის. ვინც
ცოცხალია, უნდა მოკვდეს.

ის ენციკლოპედიური უმეტრებით არის აღჭურ-
ვილი.

პემანზე ცოტას თუ კიდევ დაიგვიანებდი, პეტ-
რარკობა არ ამცდებოდა.

ჭვეწისთვის ერთადერთი სიტყვის თქმა მინდო-
და. და რადგან ეს ვერ მოვახერხებ, მწერალი
გავხდი.

სხვის სულში კალოშებიანი ფეხებით ნუ ჩაძ-
ვრები. გაიწმინდე თუ არა, მნიშვნელობა არა
აქვს.

მუდამ ნუგეშის მომგვრელია იმის ცოდნა, რომ
ვარსკვლავები, რომლებიც „ტბაში იძირებიან“,
უდაბური და უკაცრიელი ცთომილებია.

ეს ჰუჭუყიანი გუბე ჭერ კიდევ ამას წინათ ქათ-
ქათა თოვლი იყო. პატ-ვისცემით ვუვლი
გვერდს.

ხალტო-მორაღე გაცილებით უფრო საშიშია,
ვიდრე ხალტო-მორტაღე.

იხე ჩაბჭუტებიან ერთმანეთს, რომ გრძნობების-
თვის ადგილი აღარ დარჩენილა.

„სტილი აღამაინა“. რა ცოტა მცხოვრები იქ-
ნებოდა დედამიწის ზურგზე!

1 ლანცუტი — ციხე-სიმაგრე პოლონეთის
სამხრეთით.

ჩრევა მწერლებს: გარკვეულ დროს წერა უნდა შეწყვიტოთ. დაწყებული რომც არა გქონდეთ.

იმას ეკვივს ჩრდილი დაცვა. ისიც ადგა და იმ ჩრდილს შეაფარა თავი.

ბაღლინჯო თვით სამყაროს სურათის ჩარჩოშიც კი ძვრება.

ვინც თავი გაიმანათობელავარსკვლავა. ბევრნი მერე ფარნებზე ჩამოკონწიალდნენ.

ჩვენც დასავლეთს გვეძახიან აღმოსავლეთში. ჩვენც აღმოსავლეთს გვეძახიან დასავლეთში.

ვითომ მოსახერხებელი მსოფლმხედველობაა სკეპტიციზმი? სკეპტიკოსები ამას სკეპტიკურად უუპურებენ.

სიბრიყვე დაფიქრების აუცილებლობისგან არ გვათავისუფლებს.

ოპტიმიზმი და პესიმიზმი მხოლოდ ქვეყნის დასასრულის წუსტი თარიღის გამო ვერ თანხმდებიან.

ყოველი მოსახვევის იქით ახალი გზაჯვარედინი გველოდება.

წარმოგიდგინათ? იმ ცეცხლზე, რომელიც პრომეთემ ღმერთებს მოხატა, ცორდანო ბრუნო დაწვეს!

ნახევრადინტელიგენტების დიპლომა მიეოთხედინტელიგენტების მონოლოგს უდრის.

ვენაში საწოლი მაჩვენებს, რომელშიც გრილპარცერს¹ სძინებია. დიდი ამბავი! მე ბშირად ვნახულვად პანი ნ-ის საწოლს, რომელშიც ეძინა პოეტ ა-ს, კომპოზიტორ ბ-ს, მხატვარ ვ-ს, მსახიობ გ-ს. ქერქერობით მხოლოდ ამათ...

ერთნი სიმართლეს იმიტომ მაღავენ სხვებისგან, რომ ეშინიათ ამ სიმართლისა, მეორენი კი იმიტომ უშმაღავენ პირველთ, რომ გარკვეულ დრომდე არ სურთ გაჟღავნება. და ეს სიმართლე კი ერთი და იგივეა.

კაციაშია თუ დანა-ჩანგალს ხმარობს, ვითომ ეს პროგრესია?

აჰ, გამომართვი სიტყბოში ამოვლებული მწარე აბი. ეს აბი თავისთავად უვნებელია, საწამლავი სიტყბოშია.

„მეფე ტიტულია“. მაგრამ მდიდრულ სამოსელქვეშ.

ხან ეშმაკი მაცდენს ხოლმე და ღმერთს მაწამებინებს.

შეიძლება უკუღმა არღნის კორბა დაატარალო, მაგრამ არა მელიოდა.

სადისტები და მაწოხისტები ლოკალურ კავშირებად, ტრესტებად და სახელმწიფოებად უნდა გაერთიანდნენ.

წითელ ბალიშისპირებს ჩვენ დროშებად ვიყენებდით, ისინი კი დროშებს — ბალიშისპირებად.

დრო თავისას შვრება. შენ რას შვრები, ადამიანო?

აწროვნებისთვის ტვინია საჭირო, ადამიანზე რომ უკვე აღარაფერი ვთქვათ.

სიკვიდის მუშტარი არ უწყდება.

იმის გამო, რომ ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის თვალში სულ უფრო მეტი ფასი ედებოდა ისლამს, უნდა შეგახსენოთ, რომ მუსულმანური რელიგია მკაცრად კრძალავს სპირტიან სასმელებს.

კენმა რომ აბელი მოკლა და ამ უკანასკნელს ხმა არ გაუღია, ეს პირველი პრეცედენტი იყო დასკვნისათვის: „მკვდარი მსხვერპლი პროტესტს არ აცხადებს“.

კუბოს სახურავის ის ნაწილი, რომელიც მომხმარებლისკენ არის მიქცეული, შეუღლებავია.

აი თვითჩასახვის საყურადღებო კაზუსი: მავანი მწერლის წიგნებში ეპითეტი წარმოშობს საგნის ხარისხს.

დრამატურგი: სულის მუცელმოგვი.

ყოველთვის უნდობლად იღივებოდი, როცა კი სიტყვას მოუტანია და მითქვამს, ხანდახან ჩემს თავს ჩემივე ანეკდოტებს ვუყუები და იმით ვერთობი-მეოქი.

სამოთხიდან გამოაძევეს მხოლოდ ადამი და ევა. როგორღა აღმოჩნდნენ სამოთხის გარეთ ლომები, არწივები, მიიმუნები, რწყილები და სხვანი. აი თუნდაც თვით ვაშლზე რაღას იტყვიოთ!

შენს მრწამსს ღობეზე ნუ მიაწერ.

უიღებოა სხვებს ზოცავს.

¹ ფრანც გრილპარცერი (1791-1872) — ავსტრიელი დრამატურგი და პოეტი.



ყოველთვის მოიძებნება კიდევ უფრო მახვილი სიჩღუნე.

ქცევა? — ვფიქრობ ხოლმე, როცა ხავერდის თოვლის ქალს ძერწავენ.

ვითომ მსხვერპლისთვის შეურაცხველია, თუ კაცობაშია პირში არ გაიჩერებს და წიწღით გადმოაფურთხებს?

შეიძლება კაცი მტრის პოზიციაზე გადაზიდვით შენი პოზიციის დაუთმოხლად.

„გარეული ღორი“ გაცილებით კეთილშობილურად ქედებს, ვიდრე უბრალოდ „ღორი“.

„შეკვდარი სული“ ხან ცოცხალზე ძვირი გვიჩვენება.

წელი 1957. პირველად ტყვეობაში დაიხადა გორილა. ეს უდიდესი ხამენიერო მიღწევაა. ახლა უკვე შეგვიძლია გამოთვლა, თუ რამდენი მათგანი წლით ადრე გაჩნდა ადამიანი.

შეიძლება კაცმა ღვთის გამოუცვლელად გამოიცვალოს რწმენა. და პირიქით.

ძირი ძირადვე რჩება მაშინაც კი, როცა ყველაფერი უიარაღოა.

ყველაზე მეტად სიმართლეს მაშინ უჭირს, როცა ყველაფერი შეიძლება სიმართლედ გამოდგეს.

კანონიწაცია ჩემს თვალში კლავს ადამიანს, რომლის წმინდანად შერაცხვა შემძლეო.

მიმართვით ყოველთვის სხვის ღმერთებს მიმართეთ. რიგგარეშე მოგისმენენ.

ჩრდილი ნათელ მიწებსაც ახლავს.

სიტყვაზე შეიძლება ალიკაპი იყოს.

ზოგი ჭირი მარგებელია... იაროსი და დედამისი ძირს რომ ჩამოცვივდნენ, ანგელოზებად იქცნენ, საკუთარი ფრთები გამოიხსეს და ამის შემდგომ თავიანთ ნებისად დაფრინავდნენ.

არღანი ყოველგვარ მელოდიას დაფუძვებს.

ზოგიერთნი თვალგაფაციებულნიც რომ იცქირებიან, მაშინაც კი ისე ხედავენ, თითქოს ციხის ხაკის კუპრუტანაში იჭვრიტებოდნენ.

„ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ცოცხლებში ბერიკაცობას რომ მოვსწრებოდი“, — წამოიძახა მკვდრებში მოხვედრილმა ახალბედმა.

აინშტაინის ღროც ქალაქის საათებზე იყო დამოკიდებული.

როცა კი ჩემი ჭკუით რამე იღვას მივდგომივარ, ადრე დიდი ფილოსოფოსების მიერ უკვე გამოთქმულს, ამ ამბავს ჩემს თვალში კი არ აუღმალღებია, არამედ ის ფილოსოფოსები დაუკინებია. არ ვიცი, ამას რა დავარქვა — მიკროს თუ მეგალომანია?

ყოველი პირველობის პალმა როდი ისხამს ქოქოსს.

მიწისქვეშა საპირფარეოებს გაძლიების მეტი შანის აქვთ, ვიდრე ყველაზე უფრო მშვენიერ გოტიკურ კოშკებს. ყველაფერი დაბალი ღონის ამბავია.

რომელი მწერალია, რომ თავისი ნებით თქვას უარი გენიალურობაზე? აი მე კი საკმაოდ ხწრავდა შევურიადი ამ ამბავს. მივხვდი, რომ არც თუ მაინცდამაინც მოსაწყენად ვწერ.

ყოველი ცოცხი თანდათან თვითონ იგვება.

რ-ის ტრაგედია ის არის, რომ საკუთარ თავს შესტრფის, ხოლო რასაც წარმოადგენს, იმ კაცად უოფნა არ უნდა.

ძირი არა აქვს თუ ღრმად არ გიშვებენ!

ჭრილობა ხორცდება, მაგრამ ნაჭრილობები ჩვენთან ერთად იზრდება.

ზოგიერთი დიდის ხალისით დაიხურავდა ფრიგოლ ჩაჩს, უჩინაჩინის ქული რომ უოფილიყო.

ხან მეზობლის ბებო იშხელები იზრდებოდა, რომ რაც წედ ასხიათ, სულ ჩვენ ბმეურება თავზე.

ყოველი ღამე განთიადით არა მთავრდება.

ვისაც ჭკუა აქვს დაკარგული, თავი ხშირად სტიკდება.

შეგიძლიათ თუ არა წარმოიდგინოთ ისეთი კალი, რომელიც თავის შეეყარებულს ათას და კიდევ ერთ ღამეს ზღაპრებს მოაყოლებინებდა?

მთებაც უოფენ უფსკრულებს.

ღვთის თითის ანაბეჭდები არასოდეს არ არის ერთნაირი.

„განა ღირს კი ასე ხანმოკლე დედაკაცად

ზოგჯერ უნდა გაჩუმდე, თუ გინდა, რომ მოგის-
მინონ.

„მგავს ფრინველის ტვინი აქვს“, — თქვენ არ-
ეძღე.

რა მწამს? რა და, ღმერთი, თუკი არსებობს.

მარტორქამ არ უნდა უჩვენოს ცხვირზე ამოსუ-
ლი რქა „განსაკუთრებული ნიშნების“ გრა-
ფაში.

ქორწინების ინსტიტუტი. მმ, შეტისმეტად ცოტა
თანამშრომლები ხომ არა ჰყავს.

მტრის სახე მაშინ უფრო მაშინებს, როცა ვზე-
დავ, როგორა ჰგავს ჩემს საკუთარ სახეს!

ისწავლეთ ენები. არარსებულიც კი.

ამერიკის აღმოჩენა ამერიკელთა დამსახურება
არ არის. სამარცხვინოა!

ვისაც ჭოჯოხეთში სამხრეები ჰქონდა, იმას სა-
მოთხეშოც აქსელბანდები აქვს.

უძლური მრისხანება სასწაულებს ახდენს.

რა ეთქმის ეშმაკს, თუ ღმერთი აღარა სწამს?

არის უბრალოდ არარა და არის სრული არა-
რაობა.

დედალი ვირაფის კისერზე დასკუბებულ
რწყილს თავი უკვდავი ჰგონია.

ქარმა რა იცის, სად უნდა დაუბეროს?

ნუ შეიქმნით ღმერთებს თქვენისთანებს და
თქვენთა მსგავსთ.

თავის თავზე ისეთი დიდი შეხედულება ჰქონდა,
რომ თავი ხან ქონდრისკაცი ეგონა.

ვითარების გახადები ხან მეზობლის კლიტეშია
გაჩრილი.

თევზებს, რომლებიც ბადეში ძვრებიან, სჭირთ
თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსი?

მართლაცდა უწრდელობაა, დადგე და გარდაც-
ვლილის დუღუკით ის მელოდია დაუქრა, იმას
რომ ეჭავრებოდა.

ფრთხილად იყავი, ფორტუნამ სხვისი ბორბლის
ქვეშ არ მოგიტანოს.

ახალი საზრუნავი გამიჩნდა: როგორ მოვიქცე,
უკეთუ აღამიანები უცახედად დაიწყებენ

ზრდას? ისინი დავამოკლო თუ იმათი გულს-
თვის სამყარო გადავადეთო.

დალტონიკებს ლურჯ ფრინველს ნუ გამოადგე-
ნებთ. შეიძლება ზელცარიენლი დაზრუნდნენ.

აკლდამაზე დიდი ნუ გაიზრდება.

იდეალისტებს სულების მატერიალიზაცია სწყუ-
რიათ.

ლომის წილხაც ვიღაცა შეანთქამს.

დანაშაული ჩაიდინა: „კაცი მოკლა! თავის თავში.

ყველა ჩვენი კერძო ფიქვია ერთ საერთო სი-
ნამდვილედ ჩამდება.

ჭინტლმენისთვის საკუთარი სიკვდილი არ შეიძ-
ლება გასამართლებელი მიწევი იყოს.

ძველი მითების გმირები ნახევრად გახდილები
არიან, თანამედროვე მითების გმირებს კი საერ-
თოდ არაფერი აცვიათ.

რომელმა გენოსმაც არ იცის, რომ გენოსია,
თითქოს მართლა არც არის კიდევ.

რაც უფრო მდიდარი ფანტაზია აქვს ადამიანს,
მით უფრო საწყლად წარმოუდგენია საკუთარი
თავი.

ქვეყნად მოსახლეობის სიჭარბე ის გამოიწვია,
რომ ერთ ადამიანში უამრავი ადამიანი ცხოვ-
რობს.

კარგი იქნებოდა, თუ გამოსაფხიზლებელს შეე-
ქმნილით ბედნიერებისგან მთვრალთათვის.

რაკი მოკვდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხ-
ლობდა.

ანგელოზებსაც ჰყავთ თავიანთი ეშმაკები, და
ეშმაკებსაც — თავიანთი ანგელოზები.

რა მშვენიერი რამ არის პერსპექტივა, — რა
საწაწინებს ზედავ შენს მტრებს.

შენს თავში დაუკაუნებლად შებრძანდი.

პირი შეიძლება აღტაცებისგან დაალო და
მთქნარებით მოკუმო.

სახის დამალვა თუ გინდა, ტიტველი გამოდი.

სხვების მონობისგან დაიხსნა თავი, მაგრამ
კვლავინდებურად საკუთარი თავის მონად და-
რჩა.

ძალა თავისი სუსტი მხარით არის ხაშიში.

სიმსუბუქესაც თავისი ხვედრითი წონა აქვს.

ვინც ფეხშიშველი დადის, იმისთვის გზა იაკარდებით მოუენილი როდია.

უფრო ხშირად გასახვლელო იქ არის, სადაც შემოსახვლელო იყო.

ფსიქიატრი თუ არა ხარ, იდიოტებს ნაცნობობას ნუ გაუბამ. ისინი არც ისეთი სულელები არიან, რომ არასპეციალისტს ფული გადაუხადონ.

სინდისის ხმასაც თავისი გარდატეხის ხანა აქვს.

ნახე, ემანდ ვინმეს მღელვარება არ მოგაწვევს ყელში.

მარტოობავ, რარიგ ჭარბად ხარ დასახლებული ტალახიდან დასკვნების გამოტანა საჭირო არ არის.

ხან იმდენად ბნელი ღამეა, რომ ვერცა ხედავ.

აბსტრაქციას გამოსახვის ყველაზე მეტი ფორმა აქვს.

თამაში მწერალია! წერტილი ისე დახვა, წინადადება დასრულებული არა ჰქონდა.

კაპიტანი გემიდან სულ ბოლო ჩამოდის. აი რატომ სძინავთ ჭარბულიან ამინდში აღმირალებს ასე მშვიდად.

დამამშვიდებელ პერანგსაც სიჯიჟის ზომის მიხედვით ეკრავენ.

ჭარბი გზის მაჩვენებლებს ცვლიან.

ყველას როლი შეუძლია ცეკვა მომავლის დაკრულზე.

ხან ზდება ხოლმე, რომ მდროშე სხვა მხარეს მიქანება, ვიდრე დროშა.

ბოლოსწინა მოპიკანი ხშირად ბოლო მოპიკანს კლავს, რათა თვითონ გახდეს ბოლო.

თავს იმ მოჩვენებად გრძნობდა, რომელიც ჭერ არავის მოსჩვენებოდა.

ცხოვრება ძალზე ბევრ დროს ართმევს აღმნიანებს.

დროის სული ათისტებსაც მოეკლინება ხოლმე.

უჩაღები აზრის გზებზეც არიან ჩასაფრებულნი. ჩანს, ისინიც ინტელიტუალისტებად გრძნობენ თავს.

ბევრ ნულს თავისი თავი ელიფსი მგონია, რომლის მიხედვითაც ბრუნავს ეს ქვეყანა.

ვისაც სინდისი არა აქვს, უსინდისობით უბღება ამის ანაზღაურება.

იდეების ბრძოლაში ადამიანები იღუპებიან.

ვინც უდანაშაულოა, ადგეს და პირველმა ისროლოს ქვა. მანხა დაგებული: მაშინ აღარც ის იქნება უდანაშაულო.

რა ცოტააა სოკოს შეგამანდში ტყის მშვენიერება დარჩენილი!

ყოველი ბუჩქი შეიძლება გახდეს უწავი მაყვლოვანი, ოღონდ შენ წარმოსახვის ცეცხლის წაქიდება შეიძელი.

ხალხსო, ერთმანეთისგან პირს ნუ ვბრუნებთ! ვინ იცის იქნება სულაც ცალი მხრიდან ვართ შელებილნი.

ასე მოკლედ რატომ ვწერ? რატომ და, სიტყვები არა მყოფნის.

როდის გავუშვებთ აზრმავალს ჩვენი გონების მიღმა?

ვარშავა. ოკუპაცია. სისხამი დილაა, უანდარბის კოსტის მახლობლად კედელზე ეს-ეს არის სადებავით მიუწერიათ: „გაუმარჯოს ოავისუფლებას!“ „რა თქმა უნდა“, — ჩაილაპარაკა ცნობილმა ლოგიკოსმა X-მა, რომელიც ჩემთან ერთად არალეგალური ღამის თევდიან ბრუნდებოდა.

მთმინება უნდა მოიკრიბო, რათა მომთმენობა ისწავლო.

ოცნებისგან შეიძლება მურაბა მოხარშო; საჭიროა მხოლოდ ხილისა და შაქრის დამატება.

მონუმენტები უმეტესად ქვისაა.

უიღბლო კაცს ძილშიც კი ის ესისმრება, რომ ჭერ კიდევ ამქნარებს.

გახსოვდეთ: ნომერი მხოლოდ მონადირეა აქვს, ნანადირეც — არა.

ნაცნობი აფთარი რამდენიმე წლის შემდეგ ციყვად თუ შეიცანი, ამ ამბავმა ერთი წუთით მაინც ჩაგაფიქროს.

თოფი გაუტენელიც საშიშია. შეუძლიათ, რომ დაგცხონ და თავი გაგიხეთქონ.

მოსახლეობა რაც უფრო წვრილდება, მით უფრო დიდი ეჩვენება იმპერია.

გულსაკლავია, როცა შენი ყველაზე ძვირფასი არსება სხვებისთვის მხოლოდ პრობლემის არსია.

არამართლმსაჯულების მახვილი მუდამ საკადრისის ხელშია.

თუ ასე ძვირი გვიქდება, მერე რა ვუყოთ, რომ წარმავალია ცხოვრება!

ერთ ინდივიდუალობას ხან შეიძლება მთელი დაწესებულება ეურდნობოდეს.

რის წარმოდგენაც შეუძლებელია, ხშირად ყიდვაც შესაძლებელი.

დაფიქრდი, სანამ იფიქრებდე!

გულგრილობის ზღვა დელავს.

რელიგებული სიურრელიში კიდევ სიურრელიშია თუ არა?

სამწუხაროდ, იმ ეპოქაში აღარ მოგვიხდება ცხოვრება, როცა აღმოჩნდება, რომ დროის ჩვენებური სათვალავი თურმე მცდარი უოფილა. და სულაც არა ვებრდებოდით.

ბევრი მეგობარი მტერი გამიხდა, ბევრი მტერი დამიშეგობრდა. მხოლოდ გულგრილინა დარჩენენ ჩემი ერთგულნი.

ჩვენს აფრებს ჩვენვე დავუბერავთ!

ცარიელი დაბეჭდილი კონვერტიც საიდუმლოებას შეიცავს.

მეცნიერებას კი დაეუფლა, მაგრამ ვერ გაანაყოფიერა.

ეკვის მიტანა ულამაზოა, როცა სხვებით დარწმუნებული ხარ.

სანამ ქარი არა ქრის, საქარესაც თავისი ხსიათი აქვს.

თუ უცხო ენა არ იცი, ვერასოდეს ჩახვდები უცხოელის დუმილს.

გვერდები ქამბალასაცა აქვს.

ნუ გაანოყიერებთ გონებრივ უდაბნოებში, ქვეყნიერების შექმნის შემდგომ გაჩნდა მრავალი რამ შესაქმნელი.

მიყვარს ნაგერალა კაცი, ანუ ვინც იქ ამოდის, სადაც არ დაუთესიათ.

როცა მითი სინამდვილედ იქცევა, ვისი გამარჯვებაა — მატერიალისტებისა თუ იდეალისტებისა?

ყოველი კვერცხიდან კოლუმბი არ იჩეკება.

ანდაზები ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ამაშია სწორედაც ხალხური სიბრძნის მაღლი.

თუ გაიგონო: „გაუმარჯოს პროგრესს“, ყოველთვის იკითხე: „რის პროგრესსთვის?“

დანაშაული არ იბეგრება.

მამალი იმ დღითაც ყვივის, როცა უნდა ჩახოხბონ.

კალენდრის რეფორმა ფეხმძიმობის ვადას არ ამოკლებს.

მცირეწლოვან დამნაშავეებს გაურკვეველი მომავალი აქვთ. იმათგან შეიძლება წესიერი ხალხიც დადგეს.

მორწმუნე ვარ თუ არა? მარტოდენ დმერთმა უწყის.

ყველა აბელს როდი შეუძლია საკუთარი კენის ულა. ზოგს საერთოთი უხდება დამაყოფილება.

არა მგონია, თევზი მუნჯად დარჩენილიყო, ჩვენოდენი საიდუმლოება რომ იცოდეს.

ყოველ მწვერვალზე უფსკრულის პირას ვდგევართ.

შეიძლება კაცი ყალბი დაკრის ვირტუოზი იყოს.

პურიტანელებმა ორი ლედვის ფოთოლი უნდა ატარონ — თვალზე ფარებული.

ვინც იმ საწოლში იღვიძებს, რომელშიც არ დაწოლილა, მაშინვე უნდა შეამოწმოს, მართლა თვითონ არის თუ არა.

მან ცხოვრება შუაზე გადაიხსვრია. და ახლა ორი ცალ-ცალკე ფრიალ სხიამოვნო ცხოვრება აქვს.



ადამიანი მით უფრო მეტად ფასობს, რაც უფრო მეტს იხდის.

თავში ათასნაირი აზრი დედრწის. ზოგიერთი გარეთაც გამოდის.

ხან სულისთვისაც მარჯებელია დეტაზე უოფნა.

ჩვენი თვალსაზრისები ერთმანეთს ემთხვევა. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვინ ვისას ემთხვევა.

საკუთარ თავს შეიძლება პირდაუღებლადაც მიაფუროთხო.

როგორ ვთარგმნოთ ოხვრა სხვა ენაზე?

უმჯობესია, რომ სულის პროთეზი უჩინარო იყოს.

თუ ერთ სულ მოსახლეზე ნახევარი სული მოდის — მაღალი დონეა.

სულაც დროის სხვა სათვალავი ზომ არ მოვიგონოთ, რათა XX საუკუნეში არ ვიმყოფებოდეთ?

გზის მაჩვენებლები ადგილზე დგანან.

ნამდვილი ჭორი არასოდეს არ უნდა დადასტურდეს მთელი ასი პროცენტით.

ტროგლოდიტი არ იყო ტროგლოდიტი. ის იმ დროის ცივილიზაციის დონეზე იდგა.

სიხარულით რომ შეხტები, ფრთხილად იყავ, ემანდ ფეხქვეშ ნიადაგი არ გამოგაცალონ.

ყველაფერი ილუზიაა. ცხადია, წინა განსჯაც.

ჩემი ცხოვრების გზაზე ისეთ ადამიანებს შევხვედრივარ, რომელთაც ჩვეულებრივ სხვა ადგილებშიც ვხვდები.

ვინ ეკითხება თეზას და ანტითეზას, ვინდათ თუ არა სინთეზად გახდომარა?

გოლიათებში ქონდრისკაცობას ესწრაფენ, ქონდრისკაცებში — გოლიათობას, მაგრამ თანასწორებთან თანასწორი იყავი.

ჩვენი უტოლინარობა სულ უფრო შორეულ სამყაროებს სწვდება.

სამშობლოს სიყვარულმა საზღვრები არ იცის.

შე მერჩივნა, რომ დავითს ქნართ მოეკლა გოლიათი!

დემოსთენე თავისუფლად შეტყუვდება პატრიარქალური კენჭადებული. კენჭიც დაბრკოლებია რადამდე.

შემჩნეულია საყურადღებო მოვლენა: თრთოლაროგორც ადამიანებს შორის ურთიერთგაგების საშუალება.

ბგერა არასოდეს არ უბრუნდება სიმს.

დიდი ღრუბლის პატარა ჩრდილი? პირდაპირ საკვირველია.

ზოგიერთებს არასოდეს ჰქონიათ იმედი, ზოგიერთები კი სულ იმედის კარგვაში არიან.

საშინელებაა, როცა ერთ ბატონს უამრავი მონა ჰყავს. თუმცა, მგონი, არც ის არის უკეთესი, როცა ერთ მონას უამრავი ჰყავს ბატონი.

ვინც თავის დროს გაუსწრო, იმათგან ბევრს მერე არცთუ მაინცდამაინც კომფორტაბელურ კერქვეშ მოუხდა დროის დაცდა.

ბევრნი აღრიცხულნი არ არიან „ამჟვეწად ყოფნის სიაში“.

განთიადის უამი გეოგრაფიულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ბევრს უცდია ფილოსოფიური ქვის მოპოვება აზრის პეტრიფიკაციის გზით.

ზოგიერთ ლექსიკონს პათოსანი სიტყვა აკლია.

თუ მიჩაფი სინამდვილე გამოდგა, წარალის ანაზღაურება მოითხოვეთ.

იდეალები იდეალისტებისთვის როდი არსებობს.

ზოგიერთ გურმანს სურს, რომ თევზმა იფართხალოს ცხიმში, რომელშიაც სწვავენ.

„მე მზის ასული ვარ“ — მითხრა ლიდა ნაის ცხვირზე დასკუპებულმა კორფმა.

ქეშმარიტ სიბრძნეს თავი არ ექინდრება.

ჩვენ ერთმანეთს თვალეში ვუყურებდით. შე ჩემს თავს ვხედავდი, ის — თავისას.

როდის იყო, რომ მიწანი თვითონ აღწევდა მიწანს?

ბრბო ერთი დიდი პირით ღრიალებს, ოღონდ ათას პატარას ჩენს.



აქვს თუ არა კაცობიას უფლება, რომ შეტ-
მულთა სახელით ილაპარაკოს?

ცივ რამეს თუ უბერავ, შეიძლება საკუთარი
გზნება გაიციო.

ისეთი რომინზონებიც არიან, რომელნიც თა-
ვიანთი მარტოობიდან მომავალი დამარცხდნენ
და ტრაგიკულად გადმოვიდნენ დასახლებულ
სამყაროში.

განვიღო ჩემგან, მამალო ეშმაკო! შე ჩემი დედა-
ლი ეშმაკი მყავს!

სწორედ ჩავეის უველაზე სუსტი რგოლია უვე-
ლაზე ძლიერი: ის ამსხვრევს ბორკილს.

ვინ იცის, სუფთა ხელები იქნება სულაც უფ-
რო გრძელები უნდა უოფილიყო?

ქეშმარიტი ბრძენი თავს მუდამ ისე უბრიდა
თავის ბატონს, რომ საჯდომი მის მსახურთა-
თვის დაენახებინა.

ოპ, ერთი მამაშეციერის ბინის მისამართი ვი-
ცოდელ!

მარჯვე გასროლა ის არის, ადამიანს რომ არ
მოხვდება.

სისულელეს ნუ ლაპარაკობ — მტერი უურს
გიგდებს.

მოვითხოვთ რვასათიან სამუშაო დღეს აზროვ-
ნებისათვის!

ქვეყნიერების დასახლებაც ადვილია, გაუდაბუ-
რებაც, მაშ, ახა სიმწელი რაღაა?

როცა შიში ფერმერთაღია, სისხლს ნდომუ-
ლობს.

იყო დრო, როცა მონების ყიდვა დაუფარავად
უხდებოდათ.

საგნებს თავ-თავის სახელს ნუ დაარქმევ, თუ
არ იცი, რას რა ჰქვია.

თავს უნიჭოდ რომ იგრძნობ, ის წუთი გენიალუ-
რობის ნაპერწყლათ არის განათებული.

გენიალურ აზრს შეიძლება უველა სიტყვა ჩა-
მოაშორო.

არსებობენ პაროდები არარსებულ ნაწარმოე-
ბებზე.

ინტელექტუალურად დამოუკიდებელი
ლოდ გენიოსები და ბრიყვები არიან.

ნუ აღძრავთ ასოციაციებს, თუ იმათი გაქარწყ-
ლების თავი არა გაქვთ.

ნულებიცან ადვილად კეთდება ჩაქვი.

საათი რეკავს... უველას.

ქვეყანა უფსიქოპათებოდ? არანორმალური იქ-
ნებოდა.

ბევრი რამ იმიტომ არ არის, რომ სახელი ვერ
დაურქმევიათ.

ვარდებში ის დადის, ვინც კვლებს ქელავს.

სისხლის ღვრას მოვერიდებით, შემოვიდებთ სა-
პატიო შემოშრის წოდებას.

მანამ დავანგრიოთ ბასტილიები, სანამ ააშენებ-
დნენ...

ფრთხილად იყავით, როცა უფროსნი ფრთებს
ისწორებენ.

საფრანგეთის რევოლუციამ ცხადად გვიჩვენა,
რომ ისინი აგებენ, ვინც თავს აგებს.

ნუ ავეუშენებთ თავშესაფრებს სულით ლატკათ.

გვერდივერდ ორი გილიოტინა, ანუ კაცკელატი
გამართებს. ქალათები ერთმანეთს ეჭიბებოდ-
ნენ. ვინ უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა საკუ-
თარ თავს.

ურთიერთგაგების სიბრტყე ბრძოლის იდეალუ-
რი ველია.

საცვლელი სამართლიანობა — თვალი თვალის
წილ, კბილი კბილის წილ — თანდათან სამყი-
დველო სამართლიანობის დონემდე ავიდა.

ვის ეუფრება, როგორ იზრდება ბალახი? მთი-
ბავს.

აშაშაინები კანონებს უფლებებში ურყვენ.

წერაში სხვისი უწინგურობაც ხელს გვიშლის.

მომჭირნედ გამოიყენეთ ვარდნის დროს წარ-
მოქმნილი ენერჯია.



ბევრი რამ სინჰარში ვისწავლე, სინჰარში ქარა-
გმულად არ ლაპარაკობენ.

ყოველ მსაუბრებელს თეატრში თავისი
ტიკა შიამჭვს.

ნახეთ ერთი, რამდენი წარღვა უფილა უნო-
ვლი!

ყველაზე სისხლიანი ტრაგედია ის არის, რო-
ცა მსაუბრებელს სისხლი საზეში აწვევს.

მფრინავი გალიები დავინახე. შიგ არწივები ის-
ხდნენ.

თუ სერხემალი გადამტვრეულია, კუში ფსი-
ქიკაზე ამოდის.

მთელი ცხოვრება შეიძლება იარო მიწისქვეშ,
ოღონდ თუ ის ნიადაგ უკან იწევს.

ზოგიერთს პოლიტიკური ჭირკვლების ჰიპერ-
ტროფია სჭირს.

არსებობს სიცრუის იდეალური ხამუარო, სადაც
უვლადფერი ჭეშმარიტია.

არც დიქტატურის მექანიზმა პერპეტუუმ
მობილედ.

უმოქმედობას ხშირად კატატროფულ უშედე-
გობამდე მივყუვართ.

ერთი ნადირი მეორეს განჯრაბ რომ კლავ-
დეს, ეს ადამიანური იმპულსი იქნებოდა.

ელიტარობა საყოველთაო საკუთრებად გავხა-
დოს!

ჭერ კადევი დიდხანს ვერ დავადწევთ თავს
ერთ სისტემა — მისხას.

რა სარგებლობა მოაქვს ფართო თვალსაწიერს?
ძალიან ხშირად ის შეიძლება აღმოაჩინო მხო-
ლოდ ყველაზე ვიწრო წრეში.

მამლეთი უკვე კრეზია. საუკუნეების მანძილ-
ზე ვიღას არ შეუტანია წველილი მის მონოლოგ-
ში?!

რალა ადამიანთმცოდნეობის მწვერვალი და
რალა საიდუმლო პოლიციის დოსიე.

ჭეშმარიტი მსახიობი სცენას რომ მიატო-
ვებს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მხო-
ლოდ ადამიანს თამაშობს.

მის ზაგთაგან უკეთილშობილები სიტყვები
ისმის. მერედა გიკვირო?

ხელოვნების ძალა ის არის, რომ გმირად შეიძ-
ლება ლაჩარი ჰყავდეს.

გზა შეიძლება პოლიციელის კეტმაც გიჩვენოს.

მსახიობები თავიანთ როლს რომ შეასრულე-
ბენ, სცენიდან ჩამოდიან.

მსახიობს სათქმელი მაშინაც კი აქვს, თუ უსიტ-
ყვო როლს ასრულებს.

ხშირად სინამდვილის ფარსის გადმოცემა
სცენაზე მხოლოდ ტრაგედიას შეუძლია.

დიდი მსახიობი სწორედ გრძობის, პარიკისა და
მიწებებულ ცხვირის წყალობით იძენს საკუ-
თარ სახეს.

მწერლებო, მეღნით კი არა, სისხლით უნდა
წერდეთ! ოღონდ არა სხვისით.

ბევრი დიდი მსახიობი მინახავს, რომლებიც თა-
ვიანთ თავს თამაშობდნენ. მაშინ ვიფიქრე სწო-
რედ, რა პატარები იქნებოდნენ, დიდები რომ
არ უფილიყვენენ-მთქი.

ამბობენ, კბილებდაცივუნულს ენა ულადდე-
ბაო.

ხალაამის ჭაკი ვირი ადამიანივით ამეტყველდა.
რატომ არ უნდა მიჭბაძოს ზოგიერთმა მსახიობ-
მა მის მაგალითს?

მხოლოდ პოეტების მარადიულ დაუწყაყოფი-
ლებლობას შეუძლია ლიტერატურის დაკმაყო-
ფილება.

შექსპირი იქნებ შექსპირი არც უფილა, მაგრამ
X ნამდვილად არ არის შექსპირი.

პლაგიატორებს მშვილად სძინავთ. მუზა ქა-
ლია, იშვიათად თუ აღიარებს, ვინ იყო პირვე-
ლი.

ამ დრამატურგის პიესებში ქვეყანა კულიხებს
მიღმა.

პ ა რ მ ე ნ ი დ ე

წინათმშა

„პარმენიდე“ იყო და რჩება ყველაზე დიდ გამოცანად პლატონის ნაწარმოებთაგან. არც ერთი სხვა დიალოგი ისე გაუგებარი არ არის მკითხველისათვის, როგორც „პარმენიდე“, მისი მთლიანი მიზანი და ცალკეულ ნაწილთა აზრი“ წერს გამოჩენილი ფილოსოფოსი და პლატონის მკვლევარი ფრიდრიხ უებერგეცი თავისი ფუნდამენტური ნაშრომის „ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი მოწინააღმდეგეების“ პირველ ტომში. „უსიამოვნების ბუდე“ უწოდებს „პარმენიდე“ სხვა მკვლევარი — ლაიზენგანო, ვილამოვიც-მოლენდორფი — „უთავბოლობას“, აკელტი — „მძიმე და დამძლელ თამაშს“. მაგრამ შინაც „პარმენიდე“ ითვლებოდა და ითვლება პლატონის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად. ასეთად მიიჩნდათ იგი ნეოპლატონიკოსებს; ზეგელი შას „ძველი დიალექტიკის უდიდეს ნიმუშს“ უწოდებდა. თანამედროვე მკვლევარებიც „ამოუწურავი“, ღრმა აზრის მქონე თხზულებად მიიჩნევენ, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია პლატონის დიალექტიკის გასაგებად. ქართველი მკითხველისათვის დიალოგს მნიშვნელობას მატებს ისიც, რომ, როგორც ს. წერეთელი „ანტიკურ ფილოსოფიაში“ წერს — „პლატონის „პარმენიდე“ გარეშე შეუძლებელია არა მარტო პლატონისა და ნეოპლატონიზმის, არამედ პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებათა გაგებაც“.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწის „განმარტების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს პლატონის დიალოგი „პარმენიდე“ წარმოადგენს.

ერთხელ, დიდ პანათენაიებზე ათენში ჩამოსულან ელელით ფილოსოფოსები — პარმენიდე და ძენონი, რომელთაც თავიანთი ნაწერები გაუცვნიათ ათენელებისათვის. ახალგაზრდა სოკრატეც იქ ყოფილა და მასზე უფროს და სახელგანთქმულ ფილოსოფოსებთან კამათი გაუმართავს. „პარმენიდეშიც“ სწორედ ეს კამათი თუ მსჯელობაა გადმოცემული.

მსჯელობა პითაგორასის სახლში გაიმართა, პითაგორასმა მისი შინაარსი ანტიფონეს მოუთხორო, ანტიფონემ, უკვე დაკაცებულმა — კეფალოსს, რომელიც ამ ამბის გასაგებად კლა-

ძმენედან ათენში ჩამოსულ სიბრძნის მოყვარულებს ჩამოძლოლოდა და ჩვენ ახლა მისი მონაყოლით ვეცნობით ჩვ. წ. აღ-მდე 448 თუ 450 წ-ს გამართულ მსჯელობას. ვინ ესწრებოდა ამ საუბარს? პირველ რიგში პითაგორა, სახლის პატრონი, ძენონის მეგობარი, რომელსაც, როგორც „I ალიკიბადემია“ ნათქვამი, ძენონისათვის 100 მინა გადაუხდია გაკვეთილებში. ეს, როგორც ჩანს, ის პითაგორასია, პერიკლესთან დაახლოებული პირი და მისი სიკვდილის შემდეგ სარდალად რომ იყო, ფილოსოფოსების მზარველი. იგი არა თუ თვითონ არ ეკამათებოდა ძენონს და პარმენიდეს, არამედ იმასაც შიშობდა, ახალგაზრდა სოკრატეს სითამამეს არ გაეღიწიანებინა სახელგანთქმული სტუმრები. სოკრატე — ჯერ სრულიად ახალგაზრდა, 16-17 წლისა, სიბრძნის დაწაფებული და ერთგვარად თავდაქრებულად კი, რომელიც პითაგორასგან განსხვავებით სრულიად არ ეკუთვნა მოწინააღმდეგეთა ავტორიტეტს. დიალოგის III ნაწილში იგი გაჩუმებულია, მაგრამ მისი დუმობაც მნიშვნელობითაა სავსე. არის სტატუსები, დამსწრეთაგან ყველაზე ახალგაზრდა, რომელიც ჭაბუკობაში ფილოსოფიას სწავლობს, შემდეგ კი პოლიტიკური მოღვაწე ხდება. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ იგი პირველად პარმენიდესთან ერთად გამოჩნდება — მომავალ თანამოსაუბრეებს ჩვენ თავიდანვე ერთმანეთის გვერდით ვხედავთ. მაგრამ იგი ფორმალური წვერია დიალოგისა, თავის დამქნევია, მოს მთქმელია, პარმენიდეს სუნთქვითი პაუზას შემავსებელია. პარმენიდეც სწორედ იმითომ ირჩევს მომასუხედ, რომ მან ზედმეტი შეკითხვებითა თუ პასუხებით არ დაარღვიოს მის აზრთა მდინარე. და, რალა თქმუნდა; პარმენიდე და ძენონი: — ერთი — სრულიად გაქაღარავებული, 65 წლისა, პლატონის სიტყვით „ღრმადმოხუცებული“, დარბაისელი მოკაშთი, რომელიც მწარუნელობითა და აღტაცებით უყურებს სოკრატეს. სოკრატეს სიმპათიებიც მის მიმართ უფრო იგრძნობა, ვიდრე ძენონისადმი, რომელიც ამ დროს 45 წლისაა, დიალექტიკის კურსები აქვს დაარბებული და მოწაფეთაგან გასამრჩელოს იღებს.

დიალოგის მიხედვით იგი არცაა დამოუკიდებელი პიროვნება, თითქოს პარმენიდეს ჩრდილია, რომელსაც „არა მარტო სიყვარულით, არამედ თხზულებებითაც სურს მასწავლებელთან დაახლოვება“. იმ დღესაც პარმენიდესაგან განსხვავებულს არაფერს ამბობს.

ამგვარად, თხზულების ეს ნაწილი წარმოადგენს შესავალს, რომელიც გვაცნობს დიალოგის პერსონაჟებს. ძირითად ნაწილს კი შეადგენს: 1. კამათი პარმენიდესა და სოკრატეს შორის იდეების თაობაზე, 2. მცირე შესვენება, რომელიც ლაპარაკია დასაბუთების ხელოვნებაში ვარჯიშის აუცილებლობაზე, 3. მსჯელობა ერთისა და სხვის ურთიერთმიმართების პრობლემაზე პარმენიდესა და სოკრატეს შორის.

ამ საკითხებზე მსჯელობისას აღიძვრება შემდეგი პრობლემები:

I. იდეა და საგანი (მყოფი): 1. არსებობს თუ არა განურჩევლად უკვლავ საგნის შესაბამისი იდეა; 2. იდეა ერთი მთლიანი რამაა თუ დაყოფადი; 3. რამდენადღაც საგნის იდეასთან ზიარება სხვა არის რა, თუ არა მასთან დამსგავსება, აღმოჩნდება თუ არა ამ დროს რაღაც შეხამის საჭიროება, რომლის საშუალებითაც ხდება საგნის იდეასთან დამსგავსება; 4. შეცნობადი თუ არა იდეა.

II. ინტერმედია (შესვენება): ხანაჲ კაცი ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობას შეუდგებოდეს, მანამდის კამათის ხელოვნებაში უნდა გაჯარჯოვდეს.

III. ერთისა და სხვის (სიმრავლის) დიალექტიკა. იგი რვა ჰიპოთეზის (დიალექტიკური პროციის) საშუალებით გადმოიციმება: ა) რა შედეგები გამომდინარეობს ერთისათვის — I ჰიპოთეზა: თუ ერთი არის, II ჰიპოთეზა: თუ ერთი არსებობს, ბ) რა შედეგები გამომდინარეობს სხვისთვის — III ჰიპოთეზა: თუ ერთი არსებობს, IV ჰიპოთეზა: თუ ერთი არის, გ) რა შედეგები გამომდინარეობს ერთისათვის — V ჰიპოთეზა: თუ ერთი არ არსებობს, VI ჰიპოთეზა: თუ ერთი არ არის, დ) რა შედეგებზე გამომდინარეობს სხვისთვის — VII ჰიპოთეზა: თუ ერთი არ არსებობს, VIII ჰიპოთეზა: თუ ერთი არ არის.

ანეთა მოკლედ დიალოგის მკაცრი შინაარსობლივ-კომპოზიციური ჩარჩოები, შინაარსობლივად და სტილისტურად იგი შეიღვრება დაკავშირებული პლატონის სხვა თხზულებებთან და გარდამავალ ეტაპად ითვლება იდეების დიალოგებიდან („ფედრუსი“, „სიმპოსიონი“, „სახელმწიფო“) მეტაფიზიკური დიალოგებისაკენ („თეტიკი“, „სოფისტი“, „პოლიტიკოსი“) და შედის ტეტარალოგიაში — „პარმენიდე“, „თეეტეტი“, „სოფისტი“, „პოლიტიკოსი“, რასაც სტილური და ფაქტობრივი მასალა უჭერს მხარს. ც. რიტერი თვლის, რომ იგი ჩვ. წა. მდ. 866 წლის შემდეგაა დაწერილი, „პარმენიდეს“

ურანგ გამოცემელს, ა. დიეს მიანიჩა, რომელიც ტეტარალოგის წინათქმას წარმოადგენს და ამიტომ „თეეტეტე“ აღრტ. ე. ი. 368 წლამდე უნდა იყოს დაწერილი. ა. ფ. ლსვეტი 368 წელზე ჩერდება, ხოლო Hauptwerke der antiken Literatur-ში მითითებულია 361-360 წლები.

წინამდებარე თარგმანში წარმოდგენილია დიალოგის პროლოგი, მსჯელობა იდეების შესახებ და ინტერმედია (ერთისა და სიმრავლის შესახებ კამათის დაწყებამდე).

„ვისარგებლეთ პლატონის „პარმენიდეს“ ბერძნული ტექსტის დიეს კრიტიკული გამოცემით: Platon, Oeuvres complètes, t. VIII, I. er partie, Parménide, Paris, 1974.

პარმენიდე:

კ ე ფ ა ლ ო ს ი 2: როდესაც ჩვენი მშობლიური ქალაქიდან, კლამონენდან ათენში ჩამოვედით, აგორაზე¹ შევხვდით აღმნატოსსა და გლაკონს² აღმნატოსმა ხელი მოჰკიდა და მიითხრა:

— გამარჯობა, კეფალოს! თუ შენ ისეთი რამე გინდა, რის გაკეთებასაც მე შევძლებდი, მიიხარო.

— შეც სწორედ სათხოვნელად ვარ ჩამოსული.

— მოლა მიიხარო, რაც გინდა.

შეც ვუთხრა:

— რა ერქვა შენს ნახევარძმას? აღარ მახსოვს, რადგან ზავზე იყო, წინათ რომ ჩამოვედი კლამონენდან. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. მის მამას კი მგონი, პირილამპენი³ ერქვა.

— სწორია.

— თუიფონ?

— ანტიფონი⁷ მაგრამ ამას რატომ მეკითხები?

— ესენი, — ვუპასუხე, — ჩემი თანამოქალაქენი არიან, სიბრძნის დიდი მოყვარენი, რომელთაც გაუგიათ, რომ ეს ანტიფონი ვინმე პითოლოროსს⁸ ძენონის⁹ მეგობარს, ხშირად ხვდებოდა ხოლმე და მსჯელობა, რომელიც ოდესღაც სოკრატეს, ძენონსა და პარმენიდეს შორის გამართლდა, ბევრჯერ სწენია პითოლოროსისაგან და ახლაც ახსოვს.

— კეშმარტივებს ბრძანებო, — მიპასუხა.

— სწორედ ამის მოსმენა გვინდა.

— ძნელი არ არის, — მიიხარა აღმნატოსმა, კუბუკონისას ის მართლაც ბეჭითად სწავლობდა, ახლა კი, პაპისა და წინაპრების კვალობაზე საცხენოსნო საქმეს მისდევს. მაგრამ, თუ გინდა, მივიღეთ მასთან: სულ ახლახან აქ იყო

**კლამონი
პარმენიდე**

და შინ წავიდა. აქვე ახლოს, მელიტაში¹⁰ ცხოვრობს.

ეს რომ თქვა, წავედით. ანტიფონი სახლში დაგვხვდა. ის მჭედელს აღვირს აძლევდა შესატყუებლად. როდესაც მჭედელი დაიხოფა, მძებმა უთხრეს, რისთვისაც მივედით. იმან მიცნო, რადგან აღერ რომ ვიყავი ჩამოსული, მაშინ ვყავდი ნანახი. მომესალმა. ხოლო, როდესაც ვთხოვეთ გადმოეცა საუბარი, ჭერ იუარა, რადგანაც მიჩანდა, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმე იყო. მერე კი მაინც გვიამბო.

ამრიგად, ანტიფონმა თქვა: როგორც პითოდოროსი ამბობდა, ოდესღაც დიდ პანათინაიებზე¹¹ ჩამოსულან ძენონი და პარმენიდე. პარმენიდე უკვე კარგა მოხუცებული იყო, სრულიად გაქაღვარებული, შესახედავად კეთილმშენიერი, ხნოვანებით მან წელზე შეტისა. ძენონი კი მაშინ მან წლისა იქნებოდა, ახოვანი და სასიამოვნო გარეგნობისა. ჯმობდნენ წ. თათქოს პარმენიდეს საუკვრელი იუოო. ისინი პითოდოროსთან, ჰელაქის გადავანს გარეთ, კერამიკონში¹² ჰარერდნენ. აქ მოვიდა სოკრატეც და მასთან ერთად სხვებიც, რომელთაც სურდათ, მოესმინათ რაიმე ძენონის ქმნილებათაგან, რადგანაც მაშინ ძენონს და პარმენიდეს ეს ნაწარმები პირველად ჰქონდათ ჩამოტანილი. სოკრატე იმხანად ძალიან ახალგაზრდა იყო. კითხულობდა თვითონ ძენონი. პარმენიდე კი შემთხვევით გარეთ იყო გასული. წასაკითხი ცოცხალი რომ იყო დარჩენილი, გარდაც პითოდოროსი შემოვიდა, რომელსაც პარმენიდე და არისტოტელემ, შემდეგვე ერთი ოცდაათაგანი¹³, შემოჰყუენენ. ამათ თხზულების შცირე ნაწილსა მოუწერეს, თუმცა ძენონისგან წინათაც მოესმინათ.

როდესაც სოკრატემ მოისმინა, სხოვია გემორობინა პირველი მსჯელობის პირველი დებულება, ხოლო, როცა (ძენონმა) წაიკითხა, ჰკითხა:

— ძენონ, ასე არ ამბობ? — „თუ მრავალი არსებობს, იგი მსგავსიც უნდა იყოს და არამსგავსიცოც“, თუ სხვანაირად?

— ასე — უპასუხა ძენონმა.

— ე. ი. თუ შეუძლებელია, რომ არამსგავსი მსგავსი იყოს და მსგავსი არამსგავსი, შეუძლებელია მრავლის არსებობაც, რადგან, გამოდის, რომ მრავალი რომ არსებულიყო, შეუძლებელი იქნებოდა იქნებოდა? შენი მსჯელობით, ყველა სხვა აზრისაგან განსხვავებით, იმის თქმა გინდა, რომ მრავალი არ არსებობს¹⁴ — და თვლი, რომ მსჯელობის თითოეული ნაწილი ამის დადასტურებაა? რამდენი მსჯელობაც დაწერე, ყველა იმის საბუთად მოგყავს, რომ მრავალი არ არსებობს და მიგჩინა, რომ თითოეული მათგანი ამის ნათელყოფაა? ასე ამბობ თუ არასწორად გაგიგე?

— არა, — უპასუხა ძენონმა, — შენ კარგად

გაგიგია, რასაც მთლიანობაში ამბობს მსჯელობა.

— შე ვგერძობ, პარმენიდე; — განაგრძო სოკრატემ, — რომ არა მარტო სიუვარულით სურს ძენონს შენთან დაახლოვება. არამედ თხზულებითაც. ამიტომაც დაწერა შენაირად, თუმცა გადაუტეხებია და ახლა ცდილობს მოგაჩვენოს, ვითომ სხვა რამეს ამბობს. პოემასი შენ ამბობ, რომ ერთი არის ყველაფერი და მშვენივრადაც ამტკიცებ, ის კი ამბობს, რომ არ არსებობს მრავალი და უამრავ მნიშვნელოვან საბუთს იშველიებს. ამგვარად, ერთი ამბობს, რომ არსებობს მრავალი და თითოეული ისე მსჯელობს, ვერ მიხვდები, რომ თითქმის ერთსა და იმავეს ამბობენ და ამიტომ ჩემთვისაც და სხვებისთვისაც თქვენი ნათქვამი გაუგებარი რჩება.

— ჰო, ასეა, სოკრატე, — უპასუხა ძენონმა, — მაგრამ შენ ნაწარმოების ჰემმარიტ აზრს მთლიანად ვერ ჩასწვდომიხარ, თუმცა დაკონიელი მემძებარი ძაღლების მსგავსად კარგად მიჰყუები იმის კვალს. მაგრამ გავიწყდება, რომ ჩემი თხზულება სულაც არ იჩემებს იმას, რასაც შენ გულისხმობ და არ ცდილობს, რომ აღმაიანებს რაღაც დიდი დღუმალოს. არა, შენ რაღაც არარსებულის შესახებ დაპირაკობ. მართალი თუ გინდა, ეს თხზულება პარმენიდეს დებულებას ემხარება და იმათ წინააღმდეგ ილაშქრებს, ვინც ცდილობს მას დასცინოს და ამბობს, თითქოს შენდელუმიდან „ერთი არსებობს“ — მრავალი სასაცილო და წინააღმდეგობრივი აზრი გამოდინარეობდეს. ამგვარად, ეს ნაწარმი მიმართულია იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც მრავლის არსებობას ამტკიცებს და ათმაგად უკუშიაგებს მათ სამაგიეროს. მას სურს ნათელი გახადოს, რომ, თუ კარგად ჩავუყვირდებით, უფრო სასაცილოა იმათი დებულება — „არსებობს მრავალი“, ვიდრე პარმენიდეს — „არსებობს ერთი“. რაც შენებება შე, კამათის სიუვარულმა დამაწერიან ახალგაზრდობაში ეს თხზულება, მაგრამ ნაწერი ვილაკამ მომპარა და, ამგვარად, აღარ მიფიქრია იმაზე, გამომეტანა იგი დღის სინათლეზე თუ არა. შენი მსჯელობისა, სოკრატე, სწორედ ის გავიწყდება, რომ კამათისიანი ყმაწვილური სიუვარულია და არა მოზუცისათვის დამახასიათებელი პატემოყუვარეობის გამო დავწერე იგი. თუმცა, როგორც ვთქვი, ურიგოდ არ გაგიგია ნაწარმოების აზრი.

— კარგი, ვლებულმ შენიშვნას და ვფიქრობ, რომ სწორია შენი ნათქვამი, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ხომ არ გგონია, რომ არსებობს ერთი მხრივ — მსგავსებისა და მეორე მხრივ, მისი საწინააღმდეგო — არამსგავსების იდეა? და ამ ორი ეუზიორებით მცე, შენც და სხვაც — ყველაფერი, რასაც მრავალს ვუწოდებთ? და ვინც მსგავსებას ეუზიარება, მგავსი იქნება იმ მიზეზით და იმდენად, რა მიზეზით და რამდენად

დაც ნაწიარებია, ვინც არამსგავსებას ეწიარება — განსხვავებული, ხოლო ვინც ორივეს — ორივე? რა არის განსაკვირი იმაში, რომ უველა სავანი ეწიარება ერთმანეთის საწინააღმდეგო ორივე იდეას და, რამდენადაც ორივეს არიან ნაწიარები, ერთმანეთის მიმართ მსგავსნიც იყვნენ და განსხვავებულნიც? ვფიქრობ, უცნაური ის უფრო იქნებოდა, ვინმეს რომ ეჩვენებინა, თითქოს მსგავსი თავისთავად ხდება არამსგავსი და არამსგავსი — მსგავსი. ხოლო ის რომ ენახებინათ, განსხვავებულობას უმსგავსებას ნაწიარებს ორივე თვისება ახასიათებსო, ეს, ძენონ, სრულიადაც არ მომეჩვენებოდა უცნაურად. ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, ვინმეს რომ დაენახებინა, თითქოს უველაფერი, ერთი მხრივ, არის ერთი, რადგანაც ერთსა ნაწიარები და, მეორე მხრივ — მრავალი, რადგანაც მრავალსა ნაწიარები. მაგრამ, თუ დამარწმუნებს, რომ რაც ერთია, თავისთავად მრავალიც არის და, რაც მრავალია, თავისთავად ერთიც არის, ეს უკვე გამოვირღებოდა. უველა სხვა რამის მიმართაც ასევე იქნება: თუ ვინმე მიჩვენებს, რომ სახეები და გვარები თავისთავად ამ წინააღმდეგობრიობის მატარებელი არიან, ეს მართლაც გამაკვირვებია. მაგალითად, რა არის განსაცვიფრებელი იმაში, ვინმე რომ მოდგეს და ამბიციოს, რომ მე ერთიცა ვარ და მრავალიც. რადგან, თუ მოუნდება იმის ჩვენება, რომ მრავალი ვარ, იტყვის, რომ სხვა არის ჩემი მარჯვენა და სხვა მარცხენა მხარე, სხვა — წინა და სხვა უკანა, სხვა — ზემოთა და სხვა ქვემოთა მხარეები, და უოველიც ეს იმითომ, რომ მრავალს ვარ ნაწიარები. ხოლო იმის საჩვენებელი, რომ ერთი ვარ, იტყვის, რომ ჩვენ შორის შეიღთვან ვერ ერთი ადამიანი ვარ, რადგანაც ერთს ეწიარები. აი, ამგვარად დავგარწმუნებს, რომ ორივე საბუთი ჭეშმარიტია. ხოლო, თუ ვინმე დაიწყებს ქვისა და მორების სიმრავლისა და ერთობის ჩვენებას, ვიტყვით, რომ ის გვიჩვენებს მრავლისა და ერთის მაგალითს და არა იმას, რომ ერთი მრავალია და მრავალი — ერთი. და, რომ ამით რაიმე საკვირვებს კი არ ამბობს, არამედ მხოლოდ იმას, რაზეც უველა უმოდ დავითანხმებით. ახლა კი, თუ ვინმე გააკეთებდა იმას, რაზედაც მე ვილაპარაკე, ე. ი. — გამოიხადე თავისთავად იდეებს, როგორებიცაა მსგავსება და განსხვავებულობა, სიმრავლე და ერთობა, უძრავობა და მოძრავობა და სხვა მრავალი ამგვარი რამ, და, თუ დაამტკიცებდა, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან გამოყოფა და გაერთიანება, მაშინ გაკვირვებული დავრჩებოდი, ძენონ, და აღფრთოვანდებოდი კიდევაც. ჩემი აზრით, შენ თამამად კი მსჭელობ, მაგრამ ჩემზე, როგორც მოგახსენე, გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას დატოვებდა, ვინმეს რომ ეთქვა, თვითონ იდეებიც იმგვარივე სიმწილებებს შეიცავნო და

ის, რაც ხილული საგნების მაგალითზე დამახავე, გონებით აღსაქმელებზეც დაგენახებინა. როგორც პითაგოროსი ამბობდა, მას ეგონა, რომ სოკრატეს ეს სიტყვები გააანაწიენებდნენ პარმენიდესა და ძენონს, მაგრამ ისინი დიდი უურადლებით ისმენდნენ და, სოკრატით აღფრთოვანებული, გაკვირვებული ღიმილით გადაჭხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. როდესაც სოკრატემ სიტყვა დაასრულა, პარმენიდემ თქვა: — სოკრატე, რა ღირსეული ხარ! საუბრისას შენი მგზნებარება აღფრთოვანებას იწვევს მაგრამ ეს მითხარი, თვითონ შენ კი განასხვავებ, ანუ, თუ მიგაჩნია, რომ ცალ-ცალკე არსებობენ — ერთი მხრივ იდეები თავისთავად და მეორე მხრივ კი მათთან წიარებული? და შენი აზრით, მსგავსება განსხვავებულია იმ მსგავსებისაგან, რომელიც გვანასიათებს ჩვენს და სხვებსაც — ერთს, მრავალს და უველა იმას, რის შესახებაც ახლა ლაპარაკობდა ძენონი?

— ასე მგონია, — უპასუხა სოკრატემ.

— და ისეთებასაც, — განაგრძო პარმენიდემ, — როგორებიცაა, სამართლიანობის იდეა, როგორც ასეთი; სრულყოფილების იდეა და ა. შ. უველა ამგვარს?

— დიახ.

— და ადამიანის იდეაც ჩვენგან განყენებულია და უველა ჩვენი მსგავსისაგანაც? განასახებობს თავისთავად იდეა ადამიანისა, ცეცხლის, ან წყლისა?

— უოველთვის მიჭირს, პარმენიდე, ამით შესახებ ასე თუ ისე რაიმეს თქმა. — უპასუხა სოკრატემ.

— ხოლო იმათ შესახებ, სოკრატე, რომლებიც ჩვენ სასაცილოდ მიგაჩნია, როგორებიცაა — თმა, ჭუჭუბი, ნაგავი და სხვა უღირსი და უფასური რამეები, ამით შესახებაც გიჭირს რაიმეს თქმა? არ იცი, საჭიროა თუ არა, რომ თითოეული ამათგანისათვის გამოვყოთ განყენებული არსებული იდეა, განსხვავებული იმისაგან, რასაც შეიძლება ხელი შევავხოთ?

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა სოკრატემ, — ესენი ისეთები არიან, როგორებაც ვხედავთ. მათი შესაბამისი იდეის წარმოდგენა არათუ ვადაპარებია, არამედ სისულელიც კი იქნებოდა. თუმცა, ზოგჯერ მინც ვფიქრობ — ხომ არ შეიძლებოდა ამით მიმართაც დამეშვა ასეთი რამე? მაგრამ უოველთვის, როცა არჩევანის წინაშე ვდგავარ, მაშინვე შეშინებული უკან ვიხევი, რომ არ ჩავედლა უძირო ხისულელი და არ დავიღუპო. უკან დაბრუნებული, მე კვლავ იმათ დავტრიალებ, რომელთა შესახებაც ჩვენ ახლახან ვთქვით, რომ იდეა შეესაბამებათ.



— ახალგაზრდა ხარ, სოკრატე, და ჭერ არ შეუპყრინხარ სიბრძნისადმი სიყვარულს იმ ძაღლით, როგორც, ჩემი აზრით, მომავალში შეგიპყრობს და მაშინ აღარ მოგეჩვენება, რომ ამათგან რომელიმე ყურადღების ღირსი არ არის. ახლა კი სიუმაწვილის გამო ხალხის აზრს შედმეტბად აქცევ ყურადღებას. მაგრამ მოდი, ეს მიითხარ: შენი აზრით, არსებობენ გარკვეული იდეები, რომელთა სახელებსაც იღებენ მათთან ნაწიარები საგნები და გამოდის, თითქოს მსგავსებებს ზიარებული თვითონაც მსგავსი ხდება, დიდობას ზიარებული — დიდი, სიღამაზეს და სამართლიანობას — ლამაზი და სამართლიანი, არა?

— დიად, ასეა — უპასუხა სოკრატემ.
— აქედან გამოდინარე, თითოეული ზიარებულითაგანი მთლიან იღვას ეწიარება თუ მთლიანის ნაწილს? ან იქნებ ამისგან განსხვავებული სხვაგვარი ზიარებულობაც არსებობს?
— რანაირად? — ჰკითხა სოკრატემ.
— როგორ ფიქრობ, მთლიანი იდეა, რომელიც მრავალთაგან თითოეულშია, ერთია თუ არა?
— კი მაგრამ, რა შეუძლებს ხელს, ერთი რომ იყოს? — უთხრა სოკრატემ.

— მაშინ იდეა, რომელიც ერთია და იგივეობრივი, ერთდროულად მრავალ ცალკე მყოფ საგნებში იქნებოდა და, ამგვარად, თავისთავსაც გამოეყოფოდა.
— სრულიადაც არა, — უპასუხა სოკრატემ — როგორც ერთიდაიგივე დღე ერთდროულად მრავალგან არის და თავისი თავისაგან სულაც არ არის გამოყოფილი, ასევე იდეაც, რომელიც ერთიანია და იგივეობრივი, ამავე დროს ყველაფერში არის განაწილებული.

— მშვენივრად ახერხებ, სოკრატე, ერთისა და იგივეობრივის ერთდროულად მრავალგან განაწილებას. ეს ალბათ, იგივეა, ერთი ტილო რომ გადააფარებინა მრავალი აღამიანისათვის და გეტყვავ, რომ ერთი მთლიანადაა გადაფარებული მრავალზეო, თუ ასე არ ფიქრობ?
— ასე, — უპასუხა.
— მაშინ ტილო მთლიანად გადაფარებოდა მრავალთაგან თითოეულს, თუ მისი ერთი ნაწილი — ერთს, მეორე კი მეორეს?

— ნაწილი.
— მაშასადამე, სოკრატე, თვით იდეებიც დაყოფადი ყოფილა და ის, რაც მათ ეწიარება, ეწიარება მათ ნაწილს და თითოეულ მყოფში იქნება არა მთლიანი იდეა, არამედ მისი მხოლოდ ნაწილი.
— ჩანს, ასეა.
— იქნებ იმის თქმა გინდა, სოკრატე, რომ ერთიანი იდეა ჩვენთვის სინამდვილეში ნაწილებად იშლება და თან ერთიც რჩება?
— არავითარ შემთხვევაში, — უპასუხა სოკრატემ.

— აბა ნახე: თუ თვით სიდიდეს ნაწილებად დაყოფ და მრავალ დიდ საგანთაგან თითოეუ-

ლი დიდი აღმოჩნდება სიდიდის უფროსი ნაწილის გამო, ვიდრე თვით ეს სიდიდეა, განა ეს უაზრობა არ იქნება?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა სოკრატემ.
— მერე: თუკი თითოეული საგანი ტოლობის მცირე ნაწილს მიიღებს, გახდის თუ არა ტოლობის ეს მცირე ნაწილი მას რაიმეს ტოლად?
— შეუძლებელია.
— ახლა რომელიმე ჩვენგანს რომ ჰქონდეს მცირეს ნაწილი: მცირე ხომ უფრო დიდი იქნებოდა თავის ამ ნაწილზე. მაშ თვით მცირე დიდი იქნებოდა, ხოლო ის, რასაც მიემატებოდა მცირისაგან მოკლებული ნაწილი, ნაკლები გახდებოდა და არა დიდი უწინდელზე.

— სრულებითაც არ იქნებოდა ასე — უპასუხა სოკრატემ.
— მაშ, შენი აზრით, სოკრატე, სხვა რა გზით ეწიარებიან იდეას საგნები, თუ მათ არც მის ნაწილთან და არც მთელთან შესხლებიან ზიარება?
— ზეგნსა ვფიცავ, სულაც არ არის ადვილი რაიმე ზეგნის მოძებნა ამის გასარკვევად.

— აბა ამაზე რაღას იტყვი?
— რაზე?
— ჩემი აზრით, შენ იმიტომ მიგაჩნია ერთიანად ყვეელი იდეა, რომ, როდესაც საგნებს, რომლებიც დიდი ზომისად გეჩვენებიან, თაღს გადაავლებ, მათში რაღაც ერთ და იგივეობრივ იდეას ხედავ და დასკვნი, რომ თვით სიდიდე ერთიანია.

— მართალს ამბობ, — უთხრა სოკრატემ.
— გონების თვლით რომ შეხედო ყველაფერს — თვითონ სიდიდესაც და სხვა დიდ რამეებსაც, მაშინ კვლავ ხომ არ აღმოჩნდება კიდევ რაღაც ერთიანი სიდიდე, რომლის გამოც ეს ყველაფერი დიდი ზომისად გეჩვენება?
— ალბათ.

— ამგვარად, აღმოჩნდება, რომ თვითონ სიდიდის, ამ იდეისა და მისი შემადგენელი ნაწილების გვერდით არსებობს სხვა იდეაც სიდიდისა. და ყველა მათ გარდა კიდევ სხვაც, რომლის გამოც ესენი დიდები არიან. და ასე, თითოეული იდეა ერთი კი აღარ გამოგვივა, არამედ უსაზღვრო სიმრავლე. — კი, მაგრამ, პარმენიდე, — მთუგო სოკრატემ — ყოველი ამ იდეათაგანი აზრი რომ ყოფილიყო, რომლის ადგილი მხოლოდ სულშია, ასეთ შემთხვევაში თითოეული მათგანი ხომ ერთი იქნებოდა და ის, რაზედაც ახლა ვილაპარაკეთ, მათ აღარ შეეხებოდა?

— როგორ? — ჰკითხა პარმენიდე, — მაშ გამოდის, რომ ყოველი აზრი ერთია და არ არის აზრი რაიმეზე?
— არა, ეს შეუძლებელია, — უპასუხა სოკრატემ.
— აბა (აზრია) რაიმეზე?
— დიას.

— არსებულზე თუ არარსებულზე?
— არსებულზე.
— ხომ არ გულისხმობს ეს აზრი რაღაც ერთს, რომელიც უკველა ამ საგანს მოიცავს და რაღაც ერთ იდეას წარმოადგენს?
— დიახ.
— შემიძღვ. ხომ არ წარმოადგენს იდეა იმას, რაც მოაზრებულია როგორც ერთი და, ამგვარად, უკველა (საგანის) მიმართ მუდამ იგივეობრივია?
— უკველადაც ასე იქნება.
— როგორ? — განაგრძო პარმენიდე, — განა აუცილებელი არ არის, რომ თქვი, როგორც შენ თქვი, უკველა (საგანი) იდეას ეწიარება, იდეორო, რომ ან თითოეული მათგანი შედგება აზრებისაგან, ან კიდევ არის აზრი, მაგრამ აზროვნებას მოკლებულია?
— მაგრამ ეს ხომ უაზრობაა, პარმენიდე. მე მგონი, უკველაზე სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ იდეა ნიმუშივითაა ბუნებაში, საგნები კი მას ჰგვანან და მისი ხატები არიან. ხოლო თვითონ ზიარებულობა საგნებისა იდეებთან სხვა არა არის რა. თუ არა მათთან დამსგავსება.
— მაგრამ, — უთხრა პარმენიდე, — თუ რაიმე ემსგავსება იდეას, განა შესაძლებელია, რომ იდეა არ იყოს მსგავსი იმ საგნისა, რომელიც მას დაემსგავსა და მსგავსი იმდენად, რამდენადაც ის მას დაემსგავსა? ან იქნებ არის რაიმე საშუალება, რომ მსგავსი არ ჰგავდეს მსგავსს?
— არ არის.
— განა აუცილებელი არ არის, რომ მსგავსიც და ისიც, რისი მსგავსიც ისაა, ერთსა და იმავე იდეას ეზიარებოდეს?
— აუცილებელია.
— ხოლო თვით ის, რომელთან ზიარების შედეგადაც მსგავსი მსგავსად იქცევა, იდეა ხომ არ იქნება?
— რა თქმა უნდა.
— ე. ი. არაფერი არ ჰგავს იდეას და არც იდეა ჰგავს სხვა რაიმეს, თორემ ამ იდეის გვერდით უკველთვის გამოჩნდება სხვა (იდეა) და, თუ ესეც ჰგავს სხვას, — კიდევ სხვა და ა. შ. — ე. ი. თუ იდეა მასთან ზიარებულის მსგავსია, არასოდეს შეწყდება ახალი იდეების წარმოშობა.
— მართალი ხარ.
— ამგვარად, გამოდის რომ, იდეაში საგნები მსგავსების მეშვეობით არ მონაწილეობენ და უნდა ვეძიოთ სხვა რამ, რითაც მონაწილეობენ.
— ალბათ.
— ხედავ, სოკრატე, რამხელა დაბრკოლება წარმოიშობა, როცა თავისთავად არსებულ რაიმე იდეას გამოჰყოფ?
— ძალიან დიდი.
— მაგრამ იცოდე, რომ შენ, ასე ვთქვათ,

ჭერ კიდევ არ შეგიგრძენია, რამდენად დიდი დაბრკოლება გადაგელობება, თუ მიიჩნევ, რომ თითოეული მყოფისათვის შეიძლება ერთიანი იდეის გამოყოფა.
— რატომ? — ჰკითხა სოკრატემ.
— ბევრი რაზანა, და უკველაზე შეტად კი ამის გამო: ვინმეს რომ ეთქვა, იდეები, როგორც რაღაც ისინი გვესახებოდა, შეუტყნობადნი არიანო, შეუძლებელი იქნებოდა დასაბუთება, რომ ამ აზრის პატრონი ცდებოდა, თუ, რასაკვირველია, მოაქებრ მრავალნადადი და თანაც ნიჭიერი არ იქნებოდა და, ამასთანავე, არ ეცდებოდა მრავალი და შორეული საბუთების აღმოჩენასა და მოძიებას, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა იმის გადარწმუნება, ვინც იმ აზრზე დგას, რომ იდეა შეუტყნობადია.
— კი მაგრამ, რატომ? — ჰკითხა სოკრატემ.
— იმიტომ, სოკრატე, რომ, მე მგონი, შენც და სხვაც, ვინც აღიარებს თითოეული (საგნისათვის) რაღაც თავისთავად არსებას, უპირველეს უკვლისა, უნდა დაგვეთანხმოს, რომ ჩვენში არაფერი ამგვარი არ არის.
— თუ არა და სხვანიარად როგორღა იქნებოდა იგი თავისთავადი? — უპასუხა სოკრატემ.
— ეს კარგად თქვი. როგორცა ჩანს, იდეებში მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში არიან, რაღაც არიან, მათ ერთმანეთთან მიმართებაში აქვთ არსება და არა ჩვენში არსებულ მათს მსგავსებასთან მიმართებაში, რომლებთან ზიარების გამოც გვეწოდება ესა თუ ის სახელი. ხოლო, თავის მხრივ, ჩვენში არსებული იდეის თანამოსახელენი არსებობენ აგრეთვე ერთმანეთთან და არა იდეებთან მიმართებაში, ისინი თავის თავში არიან და არა თავიანთ თანამოსახელებში (იდეებში).
— რას გულისხმობ? — ჰკითხა სოკრატემ.
— ვთქვათ, — განუმარტა პარმენიდე, — რომელიმე ჩვენგანი ვინმეს ბატონს ან მონას: იგი არ იქნება მონა ბატონისა თავისთავად, როგორც ასეთისა, და არც ბატონია ბატონი მონისა თავისთავად, მათ შორის ურთიერთობა ისეთია, როგორც აღმნიანსა აღმნიანს მიმართ, ხოლო ბატონობა თავისთავად არის ის, რაც არის იგი მიმართებაში მონობასთან თავისთავად, როგორც ასეთთან. იმას, რაც ჩვენშია, არავითარი შესაძლებლობა არა აქვს მიმართებაში იყოს იდეებთან ისევე, როგორც მათ ჩვენთან. ვიმეორებ, რომ (იდეები), ისეთნი, როგორნიც არიან, თავიანთ თავთან მიმართებაში იმყოფებიან და ასევე, ისინი, ჩვენში არიან, ასეთები არიან ერთმანეთთან მიმართებაში, გასაგებია, რასაც ვამბობ?
— სავსებით გასაგებია — უპასუხა სოკრატემ.

კლაბონი
პარმენიდე

— ამიტომაც თავისთავად ცოდნა, როგორც ასეთი, უნდა იყოს ცოდნა ჰუმანიტეტისა, როგორც ასეთისა, არა?

— რა თქმა უნდა.

— მერე, ყოველი ცოდნა, როგორც ასეთი, უნდა იყოს ცოდნა ყოველი მყოფის, როგორც ასეთისა, თუ არა?

— კი.

— მაშასადამე, იქნება თუ არა ჩვენი ცოდნა ჩვენში არსებული ჰუმანიტეტის ცოდნა, და ასევე — ყოველი ჩვენი ცოდნა მიემართება თუ არა ყოველ ჩვენშორის მყოფს?

— აუცილებლად.

— მაგრამ თავისთავად იდეები, შენივე დაშვებით, არცა გვაქვს და არც შეიძლება მათი ჩვენშორის ყოფნა.

— არავითარ შემთხვევაში.

— ხოლო ყოველი თავისთავად გვარი შეიცნობა თვით ცოდნის იდეის წყალობით?

— დიახ.

— რომელიც ჩვენ არა გვაქვს?

— არა-შეთქი.

— ამგვარად, რამდენადაც თვითონ ცოდნას არა ვართ ზიარებულნი, ვერცერთ იდეას ვერ შევიმეცნობთ.

— როგორც ჩანს, ვერა.

— ამიტომაცაა შეუცნობელი ჩვენთვის თავისთავადი სილამაზე, სიკეთე და სევდით, ყველა ის, რასაც თავისთავად არსებულ იდეად მივიჩნევთ.

— ალბათ.

— მაშინ კიდევ უფრო საოცარ რამეს დაგანახებენ.

— ახა რას?

— თვლი თუ არა, რომ, თუ არსებობს ცოდნის რაიმე თავისთავადი გვარი, იგა ბევრად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ჩვენი ცოდნა? და სილამაზეზეც და ყველა დანარჩენზეც ასევე ითქმის?

— დიახ.

— ამგვარად, თუკი რაიმე მაინც არის ზიარებულ თავისთავადს ცოდნას, ყველაზე მეტად ღმერთთა მფლობელი ზედმიწევნითი ცოდნისა.

— უმკველად.

— მაშ, შეუძლია თუ არა, ის, რაც ჩვენშია, შეიცნოს ღმერთმა — თავისთავადი ცოდნის მფლობელმა?

— რატომაც არა?

— იმიტომ, რომ — უპასუხა პარმენიდემ, — ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ არც იდეებს შეუძლიათ რაიმე მიმართება ჰქონდეთ ჩვენში (არსებულლებთან) და არც ჩვენში (არსებულლებს) — იდეებთან, არამედ ისინი თითოეულნი ცალცალკე მიემართებიან ერთმანეთს.

— მართალია, შევთანხმდით.

— ე. ი. თუ ღმერთს აქვს უზედმიწევნო-ლები თავისთავადი ბატონობა და უსრულყო-

ფილესი თავისთავადი ცოდნა, არც ცოდნა, არც ცოდნა, არც ცოდნა (არსებულლებზე), არც (მათი) ცოდნა შეიცნობს ჩვენსას და არც სხვა რაიმეს, ჩვენშორის მყოფს. როგორც ჩვენი ძალა ვერ უფლობს ღმერთებზე, და ვერც ჩვენი ცოდნით შევიმეცნობთ ვერაფერს ღვთაებრივს, ასევე იმათაც, არც ბატონობა აქვთ ჩვენზე და ვერც შეიცნობენ აღმაიწურ საქმეებს, (მისუბედავად იმისა, რომ) ღმერთები არიან.

— მაგრამ — მიუგო სოკრატემ, — დიდად საკვირველი ამბავი არ იქნებოდა ღმერთისთვის ცოდნა რომ ჩამოგვერთოთია?

— კი მაგრამ, სოკრატე, — უპასუხა პარმენიდემ — ესეც და ბევრი სხვაც აუცილებლობით გამომდინარებობს იდეების არსებობის შემთხვევაში: თუ დაფუძვებით, რომ მყოფთა იდეების არსებობენ და თითოეული მათგანი განისაზღვრება როგორც რაღაც თავისთავადი იდეა, მაშინ მსმენლები გამოუვალ მდგომარეობაში თავადრდებიან და იკამთებენ, რომ ესენი (იდეები) ან სრულიად არ არსებობენ, ან, თუ აუცილებელია მათი არსებობა, (მაშინ) აღმაიწური ბუნებისათვის მსუცნობელი არიან, ამის მთქმელს სჭირა თავისი ნათქვამისა და, როგორც ახლანდის ვთქვით, საოცრად ძნელია გადასარწმუნებელია, ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს კაცი, რომ შესძლოს გაგება იმისა, რომ არსებობს რაღაცა გვარი ყოველი (საგნისა) და თავისთავადი არსება, ხოლო კიდევ უფრო საოცარი ნიჭია საჭირო იმისათვის, რომ გამოწვლიდვით გამოიკვლიო ყველაფერი ეს, და სხვასაც გააგებინო.

— გეთანხმები, პარმენიდე, — უთხრა სოკრატემ — შენი ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა.

— მაგრამ, მეორე მხრივ, — თქვა პარმენიდემ — თუ ვინმე მხედველობაში მიიღებს ყველაფერ თქმულსა და სხვა ამგვარ რამეებსაც და მაინც კიდევ არ დაუშვებს მყოფთა იდეების არსებობას, არ გამოყოფს თითოეულ იდეას ცალ-ცალკე, მაშინ, რაკი არ მიიჩნევს, რომ არსებობს ყოველი საგნის თავისთავადი, მარად არსებული იდეა, ვეღარ მოიკრებს გონებას და მოსაზრებს მსჯელობის ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს, მე მგონი, შენც კარგად შეიგრძენი.

— მართალს ამბობ, — უთხრა სოკრატემ.

— ფილოსოფიას რაღას უწამ? რა გზას დადგები ასეთი რამეების უტოლინარი?

— ამჭირად, მე მგონი, გამოსავალი არაფერი ჩანს.

— ეს იმიტომ, რომ სანამ გაივარჯიშებდი, მანამ დაიწყო სილამაზის, სამართლიანობის, სიკეთისა და ყველა სხვა იდეის განსაზღვრა, ეს გუშინწინაც შევამჩნიე, შენსა და აი, ამის — არისტოტელეს — საუბარს რომ ვისმენდი აქ. დარწმუნებული იყავი, მშვენიერია და ღვთაებრივი შენი მისწრაფება მსჯელობისადმი, მაგ-

რამ, სანამ ახალგაზრდა ხარ, თავს ძალა დაატანე და ყველაზე მტკაღ იმავი ივარჯიშე, რასაც ბევრი არასაბიროდ თვლის და ყბედლობას უწოდებს, თუ არა და ჭეშმარიტება ხელიდან წავივს.

— კი მაგრამ, რანაირად ვივარჯიშო, პარმენიდე?

— აი, როგორც ძენონისგან მოისმინე — უპასუხა პარმენიდე — თუმცა, ადგროთვანებით ვალარებ, რომ იმასაც კი უპასუხე, რომ უარყოფ ხილული საგნების ირგვლივ აზრის ხეტიალს და არჩევი იმას, რაც გონებითაა მისაზრდელი და იღედა გაიგება.

— მართლაც, — თქვა სოკრატემ, — ჩემი აზრით, ამით სულაც არ არის ძნელი აჩვენო, რომ მყოფნი მსგავსნი ან არამსგავსნი, ან კიდევ სხვაგვარნი არიან.

— სწორიცაა, — უთხრა პარმენიდე — მაგრამ, თუ უკეთ ვინა გავარჯიშება, ამის გარდა ესეც უნდა გააკეთო: არა მხოლოდ მიიჩნიო, რომ თითოეული საგანი არსებობს, და შემდეგ, აქედან გამომდინარე, განიხილო, არამედ ისიც დაუშვა, რომ ეს საგნები არ არსებობენ.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა სოკრატემ.

— თუ ვინა, მაგალითად, (განიხილე) დეპულემა, რომელიც ძენონმა ჩამოაყალიბა: — თუ არსებობს მრავალი, რა უნდა გამომდინარეობდეს აქედან თვითონ სიმრავლისათვის თავის თავის მიმართ და ერთის მიმართ, ასევე ერთისათვის თავის თავთან და მრავალთან მიმართებაში. მეორე მხრივ, თუ არ არსებობს მრავალი, ასევე უნდა განიხილო, თუ რა გამომდინარეობს ერთისა და სიმრავლისათვის მათი თავიანთ თავთან და ერთმანეთთან მიმართებაში, ასევე უნდა მოეჭყეტო, თუ ჩვეულებით, რომ არსებობს მსგავსება ანდა თუ იგი არ არსებობს და უნდა განვიხილოთ, თუ რა გამოვა ამ ორი თვალსაზრისიდან: იქიდანაც, რაც საფუძვლად არის მიღებული და სხვისგანაც, ერთმანეთთან და საყოფართავთან მიმართებაში, იგივე შეიძლება ითქვას მოძრაობის და უძრაობის, წარმოშობისა და მოსპობის, არსებობისა და არარსებობის შესახებ. მოკლედ, რისი არსებობის ან არარსებობის, ან რაიმე სხვა მდგომარეობის შესახებ მსჯელობ, უნდა განიხილო, თუ რა გამომდინარეობს ან თვითონ იმისათვის, ან კიდევ სხვებისათვის იმ შემთხვევებშიც, როცა მათ სათითაოდ ვიღებთ და მათთან, როცა (ვიღებთ) მრავალს ერთად. თავის მხრივ, ესეც ყოველთვის თავის თავთან ან სხვასთან მიმართებაში უნდა განიხილო: ან როგორც არსებული, ან როგორც არარსებული, თუ ვინა, რომ ნავარჯიშებმა, ბოლოს სრულად შეიცნო ჭეშმარიტება.

— გაურკვეველ რასმე ამბობ, პარმენიდე, ასე რომ, კარგად ვერც კი მესმის. იქნებ თვითონვე რაიმე მაგალითით განგემარტა, რომ უკეთ გაიმეო?

— უზარმაზარ საქმეს მავალბე, სოკრატე, მობუდს.

— მაშინ, შენ ხომ არ გავგარკვევი, ძენონ? ამაზე ძენონს გაეცინა და უპასუხა:

— ისევე თვითონ პარმენიდეც ვთხოვოთ, სოკრატე, რადგანაც არც ისე იოლია, რასაც ის ამბობს, განა ვერა ხედავ, რა საქმეს მავალბე? ჩვენ რომ მტენი ვიყოთ, თხოვნა არც კი ელირებოდა, რადგან ამაზე ლაპარაკი, თანაც მოზუცისათვის, ბევრის თანდასწრებით არ ღირს, რადგანაც ბევრს არ ესმის, რომ დიდი ძიებისა და ბევრი ხეტიალის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტების პოვნა და შემეცნება. ამგვარად, ჩემო პარმენიდე, სოკრატესთან ერთად შეც გთხოვ, რათა ამასობაში თვითონაც მოგისმინო.

მერე ანტიფონემ განაგრძო, რომ პითაგორეს თქმით, ძენონის ამ სიტყვების შემდეგ არისტოტელემ და სხვებმა დაუწყეს თხოვნა პარმენიდე, რომ არ ეუარა და განემარტა თავისი ნათქვამი.

ბოლოს პარმენიდე თქვა:

— ეტყობა, უნდა დაგთანხმდეთ, თუმცა იბიოქისი ცხენივითინ ვგრძობ თავს: უკვე ბებერი მოასპარეხისა, რომელიც ეტლთა რბოლას ელოდება და თავისი გამოცდილების გამო ეწინაა იმისა, რაც მოელოს. ხოლო პოეტი, როდენაც მას თავის თავს აღარებს, ამბობს, რომ თვითონაც იძულებულია სიბერეში უნებლიეთ სასიყვარულო ასპარეზე გამოვლეს.¹⁷ შეც, სანამ დავიწყებდე, შიში მიტანს იმის გახსენებისას, თუ როგორ უნდა გადავლახო ასეთმა მოზუცებულმა ამხელა სიმრავლე მსჯელობებისა. მაგრამ თქვენც უნდა გასიამოვნოთ, მით უმეტეს, რომ, როგორც ძენონმა თქვა, სულ ჩვენიანები ვართ. როგორც დავიწყეთ და, პირველ ყოვლისა, რა მივიღოთ ამოსავლად? თუ გნებავთ, რადგანაც გასართობად ამ საქმესმიმგვანებულ თამაშს მოვიკიდეთ ხელი, დავიწყებ ჩემით, ჩემი დებულებიდან თავისთავადი ერთის შესახებ: რა შედეგი უნდა მოჰყვებ, თუ დავუშვებთ, რომ ერთი არის და, შემდეგ, თუ ერთი არ არის.

— ძალიან კარგი, — თქვა ძენონმა.

— მაშ, ვინ იქნება ჩემი მოპასუხე ყველაზე ახალგაზრდა ხომ არა? რადგანაც იგი არ გამოცდილვა მრავალსიტყვაობას და მოპასუხებს მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობს. ამასთან

პლატონი
პარმენიდე



ნავე, მისი პასუხები ჩემთვის დასვენებაც იქნებოდა.

— შე მზად ვარ, პარმენიდე, — თქვა არის-

ტოტლემ, — რადგანაც, როცა ყველაზე უფრო ლაგაზრდა ახსენე, ალბათ მე მიგულისხმებენ და შეგე გიპასუხებ.

შენიშვნები

1. **პარმენიდე** — (VI-V ს.) ელველი ფილოსოფოსი, ელვატური ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი. არისტოკრატების ჩამომავალი, რომელმაც თავის ქალაქს კანონები შეუდგინა. მის პოლიტიკურ-ეთიკურ შეხედულებებს პითაგორელთა კვალი ატყვია, თუმცა თვითონ არ ყოფილა პითაგორელთა წრის წევრი, პირიქით, მათი მოწინააღმდეგე — ქსენოფანეს მეგობარი იყო. სამაგალითოდ იყო მიჩნეული მისი ცხოვრების წესი. პარმენიდემ უარყო არარსი, აღიარა მხოლოდ არსი, რომელიც მისი აზრით არის არა სიმრავლე, არამედ ერთი, ოღონდ, პერაკლიტესგან განსხვავებით, არა წარმოშობადი და განარწმუნადი, არამედ უცვლელი, უძრავი, სფეროსავით დამთავრებული და დაუნაწევრებადი. პერაკლიტესთან ერთად პირველმა გამოყო ერთმანეთისგან გრნობით აღქმა (doxa, მოჩვენებითი ცოდნა) და გონებითი აღქმა (aletheia, ჭეშმარიტი ცოდნა).

2. **პედაგოგი** — ეს კეფალოსი პლატონის სხვა ნაწარმოებებში არ გვხვდება. იგი არ არის ორატორ ლისიასის მამა, რომელიც იხსენიება „სახელმწიფოში“ და „ფედროსში“.

3. **პლატონი** — იონიური ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. განთქმული კერამიკული ნაწარმით. ფილოსოფოს ანაქსაგორას სამშობლო.

4. **ბორბ** — ჰომეროსის დროს — ვარის, სასამართლოს და სახალხო შეკრების ადგილი. შემდეგ — საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი, სამოქალაქო და საკარლური ნაგებობებით.

5. **ადმინანტოსი და გლაპკონი** — პლატონის უფროსი ძმები, არისტონისა და პერიქტიონის შვილები. მათ გარდა პლატონს ჰყავდა თავისზე უფროსი და — ფოტონე.

6. **პირილაკამ** — პლატონის დედის, პერიქტიონის მეორე ქმარი. რომელიც ამავე დროს იყო პერიქტიონის დედის (თუ დედინაცვლის) ძმა.

7. **ანტიფონი** — პლატონის ნახევარძმა, პერიქტიონის და პერილაკამის ვაჟი. როგორც მიღებული იყო, ჰუბუტობის ეამს ფილოსოფიას სწავლობდა. შემდეგში, როგორც პლატონის სხვა დიალოგებიდანაა ცნობილი, ძმები ხშირად საუბრობდნენ ხოლმე ფილოსოფიურ პრობლემებზე.

8. **პითოლოგონი** — ისოლოქოსის ძე, ფილოსოფიის მორტიფიკლე და მფარველი, ძენონის მეგობარი.

9. **ძენონი** — (480-430 ძვ. წ. აღ-ით.) ელველი (სამხრეთი იტალია) ფილოსოფოსი. პარმენიდეს მიმდევარი, დიოგენე ლაერტის ცნობით, მისი სულიერი ძე. დაწერილი აქვს მრავალი თხზულება, რომელთაგან მხოლოდ ნაწყვეტებია შემორჩენილი ანტიკური ფილოსოფოსების ნაწერებში. პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა ტირან ნეარხოსის წინააღმდეგ მოწყობულ შეთქმულებაში. მოკლეს წაშვებით. გადმოცემით, როცა ტირანმა შეთქმულთა დასახლება უბრძანა, ძენონმა კბილებით ენა მოიკეცა და სახეში შეაფურთხა ტირანს.

10. **მელიტა** — ანტიკური დემი.
11. **დიდი პანათენაიები** — ათენის ყველაზე დიდი დღესასწაული, ქალაქის მფარველის — ათენას პატროსაცემად. გადმოცემით თუნუცის მიერ დაარსებული. 565 წელს ჩვ. წ. აღ-მდე ათენის ტირანმა პისისტარატემ ხელახლა ააღორძინა. დღესასწაული იწყებოდა ღამის მსვლელობით, განათებული ჩირაღდნებით, მუსიკითა და ცეკვებით. ქალოშვილები ათენას ქანდაკებას მიაართმევდნენ მთელი თვის განმავლობაში მოქსოვილ ძვირფას ტანსაცმელს. ათენას ქანდაკება აგრეთვე მიერთებოდა სხვადასხვა პოლისებიდან მოსული ძღვენი. დიდი პანათენაიები მთავრდებოდა მსხვერპლშეწირვით, მუსიკალური და ათლტური შეჯობებებით და დიდი დოლოთ. გამარჯვებულებს ზილდოდ გადაეცემოდათ ზეთისხილის ტოტებისგან დაწნული გვირგვინი და ძვირფასი ამფორა.

13. **პარამიკონი** — ათენის გარეუბანი, რომლის ერთი ნაწილი ქალაქის კედლის შიგნითაც მდებარეობდა. კედლის გარეთ იყო ბრძოლებში დაღუპულ გმირთა სასაფლაო, რომლის გათხრების დროსაც უამრავი გეომეტრიული სტილის კერამიკული ჭურჭელი იპოვნეს.

14. 30 ოლიგარქოსის კომისია, რომელიც შედგა 405 წ.-ს პელოპონესის ომში ათენის დამარცხების შემდეგ. კომისიას მინდობილი ჰქონდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, მაგრამ მიითვისა სახალხო ხელისუფლება, გააუქმა დემოკრატია და მიიღო „30 ტირანის“ სახელწოდება. 404 წ.-ს თრასიბულეს მეთაურობით აწანუებულმა დემოკრატებმა დაამხეს ოლიგარქია.

15. „მრავალი არ არსებობს“ — ასეთია ელველების ძირითადი თეზისი. პარმენიდეს აზრით სამყარო ერთიანია, მასში არ არის და არ შეძლება იყოს არანაირი ცალკეული საგნები.

ქეშმარიტად არსებობს მხოლოდ ერთი და არა სიმრავლე.

16. ძენონის კვლევის მეთოდი იყო მსჯელობის შინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენა — საწინააღმდეგო მოსაზრებების დაშვება და შემდეგ მისი უარყოფა.

17. იზიპოსი — საგუნდო ლირიკის წარმომადგენელია. მის სახელთანაა დაკავშირებული საგუნდო ლირიკის ახალი ჟანრის — ენკომიის (შესხმა) შექმნა. ჩვენამდე მოღწეულია მცირეოდენი ნაწყვეტების სახით. წერდა ძირითადად სასიყვარულო ჯემაზე. სიყვარული მისთვის გარედან მოსული, დაუძლეველი, შიშის მომგვრელი ძალაა. იზიპოსი ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნის I ნახევარში. დაბადებულია სამხრეთ იტალიაში. დიდხანს მუშაობდა ქორმაისტერად ტირან პოლიკრატე სამოსელის კარზე და ალბათ აქვე შეხვდა ანაკრეონტსაც, მისი სიკვდილის შესახებ დანამდვილებით არაფერია ცნობილი. შილერის „იზიპოსის წეროების“ საშუალებით გავრცელებ-

ულ ამბავს, რომ ვითომ იგი ყაჩაღებმა მოკლეს და ეს დანაშაული წეროებმა ამხილეს, საფუძვლად უდევს გავრცელებული მოტივი ელინიზმისა.

ეს ამბავი მოთხრობილია ნემესიოს ემესელის (IV-V საუკ.) თხზულებაში „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ქართულად თარგმნა იოანე პეტრიწმა (იხ. ნემესიოს ემესელი „ბუნებისათვის კაცისა“, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914 წ., გვ. 163-164).

18. იგულისხმება შემდეგი ნაწყვეტი (ლილი, II, 7):

მე შემომცქერის წარბებსქვემოდან
ეროსი თავის წყლიან თვალებით
და ათას ეშხით, კიბრიდის ბადით
ლამობს, რომ მჭიდროდ ისევ შემკონოს.
ვთრთი, მეშინია მისი მოსვლისა —
ასე რბოლებში განთქმული ცხენი,
ტანი რომ უგრძობს სიბერის მოსვლას,
სწრაფმავალ ეტლთა შეჭიბრებაზე
უგულოდ მიდის, მუხლებდამდგარი.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა
და შენიშვნები დაურთო
ანა ხარანაშულმა.





დანაშაულისა და სსსჯულის განზოგადება

ამ ოციოდე წლის წინ საქართველოში უანპოლ სარტრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენმა ლიტერატურულმა გაზეთმა დაბეჭდა მისი მოთხრობა „კედელი“. ამ ანტიფაშისტურ მოთხრობაში მოქმედება წარმოებს ცივ მიწურში სახელდახელოდ მოწყობილ საპატიმროში. აქ იტანჯებიან სხვადასხვა შეხედულების ესპანელები, რომელთაც დილით დახვრტენ.

ერთ-ერთი მათგანი, იბიტი, ფლანგისტებს დაახვრტეტად არ მიჰყავთ, თუკი იგი გასცემს ესპანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლის — რამონ გრის ადგილსამყოფელს. იბიტი, რა თქმა უნდა, არ აპირებს რამონ გრის გაცემას:

„— მოიფიტრე? — მკითხა ბოლოს ფლანგისტმა ოფიცერმა.

ცნობისმოყვარეობით ვუპწერდი. ისე ვუპწერდი, მეტად იშვიათსა და საინტერესო ჯიშის შწერებს რომ უპწერენ ხოლმე.

მერე ვუთხარი:
— მე ვიცი სად არის რამონ გრი. იგი სასაფლაოზე იშლებდა. მესაფლავის ბარაკში ან მიცვალებულთა აკლდამებში.

ამას გასაცურებლად ვამბობდი. მინდოდა მენახა, როგორ წამოიშლებოდნენ, როგორ აისხამდნენ იარაღს, დიდი ამბით გასცემდნენ ბრძანებებს და უთავბოლოდ აწრიადლებოდნენ... მართლაც წამოხტნენ“.

როგორც ვხედავთ, ფლანგისტი ოფიცერი მიმართავს იბიტს მაცდუნებლად, ხოლო იბიტისთვის იმდენად ძვირფასია რამონ გრი და იმდენად საძულველნი არიან ფლანგისტები, რომ მხოლოდ გზის ასახნევად და მათ ახურჩად ასაგდებად მიუთითებს სასაფლაოზე, მაგრამ, მართლაც, მესაფლავის ბარაკში რამონი აღმოჩნდება და ფლანგისტები მას შეიპყრობენ...

შეიძლება ეს იყო პირველი მხატვრული ნაწარმოები გამოკვეთებული ქართულ ენაზე, სადაც მკითხველებმა ვიგრძენით შეშთხვევითობის როლის მნიშვნელობა ადამიანის ყოფიერებაში. ვიგრძენით, რომ შემთხვევითობას ვრცელი ასპარეზი აქვს სინამდვილის რეალობაში და რომ შემთხვევითობის სარტისხეული სიტუაცია უბრალო და უცნაურ „დამთხვევას“ კი არ წარმოადგენდა, არამედ შემთხვევითობის ფილოსოფიის ერთ-ერთ ასპექტს შეადგენდა.

ჩვენი სამყარო, ჩვენი ბინამდვილის რეალობა მოკლებულია მკაცრ მიწეზობრიობას და,

რამდენადმე წარმოგვიდგება როგორც აღმათობრივი ან შემთხვევითობათა სამყარო. სინამდვილის სიღრმისეული კანონები, როგორც ცნობილია, უფრო იმგვარი სახისაა, რომ შემთხვევას ანიჭებენ საკმაოდ მნიშვნელოვან თავისუფლებას და ამიტომ სინამდვილე ადამიანს წრმოუდგება არა როგორც აუცილებლობაში დასრულებული და აბსოლუტური კაუზალობით წინასწარგანსაზღვრული, არამედ როგორც წინასწარ გამოუცნობი და განახლებისათვის მზადმყოფი.

არაერთი მეცნიერი აღიარებდა შემთხვევითობას, როგორც ძირითად ელემენტს თვით სამყაროს აგებულებაში. ამ შეხედულებასთან ახლოა წმ. ავუსტინეს ტრადიციები: სამყაროს სისტემაში „ეს შემთხვევითობის ელემენტი, ეს ორგანული არასრულყოფილება შეიძლება განვიხილოთ, ძლიერ გამოთქმებს თუ არ მივმართავთ, როგორც ბორცვება — ნეგატიური ბორცვება — რომელიც წმ. ავუსტინემ დაახასიათა ვითარცა არასრულყოფილება და არა როგორც პოზიტიური წინასწარგანზრახული ბორცვება მანქანულთა“ — წერს ნორბერტ ვინერი თავის ფართოდ ცნობილ წიგნში „კიბერნეტიკა და საზოგადოება“.

შემთხვევითობა არაა მოცემული მოვლენის არსში, იგი არასუბსტანციურია, მისი მოვლინება არასდროს არაა „აუცილებელი“. მასზე ამგვარად წერენ: „ესაა ის, რაც შეიძლება იქნეს და შეიძლება არც იქნეს, შეიძლება მოხდეს ასე, მაგრამ შეიძლება მოხდეს სხვაგვარადაც“. ამგვარი შემთხვევითობის დიდი წილი უნდა იყოს ადამიანის სპონტანური გამოვლინებებში. ამიტომ მათი ბუნებაც წინასწარგაუცნობია.

ადამიანის ყოფიერებაში შემთხვევითობამ სხვადასხვაგვარი როლი შეიძლება შეასრულოს: შეუძლია იყოს აბსურდული, სახედისწერო, დანაშაულებრივი... უილიამ ჯეკსონის წიგნში „მომხუთის თათი“ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, მამა, ოცნებობს — საიდანმე და როგორმე იშოვოს 100 გირვანჯა. საბოლოო ანგარიშში ფე აღწევს მიზანს: დანიხავს თავისი სახლის კარებთან აგენტს იმ კომპანიიდან, სადაც მისი ვაჟი მსახურობდა და აგენტს შესთავაზებს მას 100 გირვანჯას, მაგრამ ეს თანხა სანუფილოდ მამას გამოუგზავნა ქარბანამ, სადაც მისი ვაჟი დაადუსა. ასეთ შემთხვევითობაშიც, ცხადაა, მხოლოდ



ცხოვრების ტრაგიკული გრიზანა ანდა ბედის მწარე ირონია თუ გამოსჭვავის და მტეი არაფერი. ახსურდი, მდგომარეობის ტრაგიზმი თუ ბედის ირონია ერთმანეთშია გადაწეული.

გრ. აბაშიძის რომანი „უორნალი“ არა მარტო სპონტანური და სერიოზულ თემატიკას მოიცავს, არამედ მსოფლმხედველობრივადც ორიგინალური თხზულებაა. რომანში არაერთი წინეობრივი, სოციალოგოიურ-ფილოსოფიური ასპექტია წარმოდგენილი, მაგრამ უმთავრესი მაინც არის შემთხვევითობის სოციალური, წინეობრივი თუ ფსიქოლოგიური არსების კვლევა დიდი რეალობის, ობიექტური აუცილებლობის ფონზე. რა ადგილი უკავია შემთხვევითობას საერთოდ აღამიანის უფიფერებაში? რაგორია შემთხვევითობის მიმართება „ბანალურ“ აუცილებლობასთან?

ბრმა არის შემთხვევითობა? არსებობს იგი წმინდა (ახლოლუტური) შემთხვევითობის სახით? თუ რომანის მოქმედების განვითარებაში აღამიანის არსების წინეობრივ შესაღასთან რაიმე კანონზომიერ მიმართებაში იმყოფება? აქვს თუ არა მოცემულ შემთხვევითობას აღამიანის გენეტიკურ-წინეობრივ თავიებებულებებთან რაიმე რიგის კავშირი? რა კავშირში შეიძლება იყოს შემთხვევითობა მოვლენის არსთან, კანონზომიერ ფაქტთან?

ასეთია ძირითადი საკითხები, დასმული ავტორის მიერ რომან „უორნალი“ და შეძლებისდაგვარად, მხატვრულად გადაჭრილი.

თუკი უან-პალ სარტრის „კედელში“ შემთხვევითობა მისი წმინდა სახით გვევლინება, გრ. აბაშიძის რომანში არ არსებობს წმინდა შემთხვევითობა, შემთხვევითობა, რომლის უკან არ იმალებოდეს მოვლენათა ფარული კანონი. „სადაც უედლაირზე წარმოების შემთხვევითა თამაში, იქ თვითონ ეს შემთხვევითობა მუდამ ექვემდებარება შინაგან, ფარულ კანონებს. მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რათა ეს კანონები აღმოვაჩინოთ“ (მარკსი, ენგელსი, ტ. 21, გვ. 306).

გრ. აბაშიძის რომანი „უორნალი“, რომელიც შემთხვევითობათა სისტემას ეყრდნობა, ამ შემთხვევითობებს მხატვრული მისტიფიკაციის გზით გვაწოდებს. კვითხულობით რომანს და უოველი შემთხვევითობა ჭერ დამოუკიდებელი, იზოლირებული, განაპირებული — „წმინდა სახით“ — წარმოგვიდგება. მაგრამ ეს მხოლოდ, როგორც ითქვა, ლიტერატურული მისტიფიკაცია და, როგორც ჭკვიით დავრწმუნდებით, საბოლოოდ, უოველი მათგანი დიდი სინამდვილის გადმოცემას ემსახურება, წინეობრივი აზრის ცალკეულ ასპექტს წარმოადგენს.

ახლა კი დროა გაიხსნას ფრჩხილები და ითქვას, თუ რომანის მიხედვით კონკრეტულად რა მხატვრული მასალა ნაფულისხმები ჩვენს მიერ თეორიულ ცნებებში: „შემთხვევითობა“, „აუცილებლობის საფუძველი“ და სხვა. ვისაც

რომანი ახსოვს, ალბათ დაგვეთანხმება, ნაწარმოები თითქოს თავისებური მოსტეული უნებლიე დანაშაულობათა პარადიგმებისა. შემთხვევითობას ისეთივე გოულოდნელი და პრაპაციონებელი კავშირი ახასიათებს მოვლენათა პრაქსისთან, ვითარცა უნაღლიე დანაშაულს არის ჩანდნე აღამიანის პირი. ვნებასთან. ჩვენ გვგონია, რომ მიმართებები თანაზომიერია: რაც ითქმის შემთხვევითობის შესახებ, ითქმის უნებლიე დანაშაულის შესახებაც — რომან „უორნალი“.

შემთხვევითობა ემორჩილება ალბათობის წესებს, უნებლიე დანაშაულიც ალბათობის წესებს მიჰყვება. მაგრამ დიალექტიკურად მოაზროვნე ავტორის ნაწარმოებიდან საბოლოოდ ის ირკვევა, რომ სწორედ ალბათობის კატეგორიას აძლებს იგი ნაკლებ უპირატესობას და უპირატესობას ანიჭებს აუცილებლობის ლოგიკურ საფუძველებს.

აი, უნებლიე დანაშაულის პირველი პარადიგმა (რომელიც რომანის დასაწყისშივეა მოცემული). იგი თავს იჩენს პატარა, მ წლის ლევან გაფრინდაშვილის ცხოვრებაში, თვალის ერთი შევლებით მოგვევლინება წმინდა, ალბათობრივ შემთხვევითობად (ი. ი. უნებლიე დანაშაულად) და მკითხველის თვალში განსაკუთრებულ წინეობრივ დაღს არც კი დაამჩნევს არასრულსაკოვან გმირს. საერთოდ, რომანის მთავარი გმირია სწორედ ლევან გაფრინდაშვილი, რომლის შემთხვევითი, უნებლიე დანაშაულობები შეადგენენ მის ცხოვრებას. ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა, ლევან გაფრინდაშვილი ბოროტის მთესველი იყოს (თუნდაც გაუცნობიერებლად), ბოროტი თან სდევდეს, პერმანენტულად სიავისა და დანაშაულის გავრცელება უზღებოდეს და მაინც, ეს ერთმანეთისგან იზოლირებული დანაშაულობები უნებლიე შემთხვევითობებს წარმოადგენდნენ, ლევანში არ ერთიანდებოდნენ.

მაგრამ ჩვენ სწორედ რომ „გავსწრაფით“ ჩვენს სათქმელს, ხოლო სათანადო საილუსტრაციო მასალის წარმოადგენაში კი ჩამოვჩრით. ასე რომ, განვიხილოთ პირველი ნიმუში ლევანის უნებლიე დანაშაულისა.

პატარა ლევანი ხშირად დდიოდა სოფელ უორნალის ტყეში სოკოს საყრედად. იმ სახედისწერო დილითაც კარგ ვერძე ევლო და თავისი ბიძისათვის, დევანოზ ახსნალომისათვის, რომელიც მას წრდიდა ღა აძლედა აღწრდას, სავსე კალათი მოაგროვა. შინ მიმავალი ლევანი ტყის პირს გადაეყარა მისივე ტოლ გოგონას, რომელიც აგრეთვე სოკოზე წამოსულიყო; გოგო დაფრთხა, მთელი სოკო დაახნია და დაფრთხული მყვლის ბარდებში გაეხვია. ლევანი დაემარა გოგოს ბარდიდან განთავისუფლებაში და

ბურამ კანკაპპ
დანაშაულისა და სასჯელის
ბანდონილებანი

რადგან გოგო მინც ტიროდა, შინ ზედცარიელი დედინაცვალთან ვერ ბედავდა დაბრუნებას და ბარდებში კაბაც შემოება, დაუთმო ამ უცნო გოგონას თავისი სოკობით სავსე კალათი.

გვიან, დაღამებისას დაბრუნდა შინ ახესალომ დეკანოზი და მისგან გაიგო, პატარა ლევანმა რომ ეკა (ასე ერქვა იმ გოგონას) და მისი დედინაცვალი ორივენი, მოიწამლენ და დაიბოცნენ სოკოსაგან. ასე, მისდაუნებურად, გახდა ლევანი ორი აღმანიანს მკვლელი. იგი შესძრა სულის სიღრმემდე ამ ამბავზე; გააოგნა და რელიგიური განცდა გაულრმავა. მაგრამ ეს ეპიზოდი აქ არ მთავრდება. ლევანი აღსარებისათვისა და საბრძოლველად მიდის ყორწილის მონასტრის ეკლესიაში და მხურვალედ იწინიებს თავის დანაშაულს.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ სოკოსაგან მოწამვლის ეპიზოდი, რომელიც ნაწარმოების დასაწყისშივეა მოცემული, ლევანს თითქმის არ აუცნებია ჩრდილს და ამ წნეობრივი ორაზროვნებით სავსე სურათებში იქნებ მეტ შთაბეჭდილებას ახდენდეს ლევანის ღიბანობა, გულწრფელი აღსარება, უმწვავესი განცდები ეკას დაღუპვის გამო და მისი თავდავიწყებული ვალბოა ეკლესიის ქორღეზე.

მაგრამ თუკი ეკას დაღუპვის ამბავი რეტროსპექტივაშია მოცემული და თვითონ ლევანი იგონებს მას დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ, ახლა, როდესაც რომანის მოქმედება უნდა განვიხილოთ, ლევანის გამო კვლავ რამდენიმე კაცი დაიღუპება... შეიძლება თუ არა ასეთი „თანმიმდევრობა“ ბოროტმოქმედებთა იყოს შემთხვევითი (უნებლიე), შეიძლება თუ არა მივუკუთვნოთ ისინი შემთხვევითობებს? თუ დიდი რიცხვის კანონის თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ დიდი რაოდენობის შემთხვევით მოვლენათა ერთობლივ მოქმედებას მიუყვართ ვადაწმკვეტ შედეგებამდე, რომლებიც თითქმის არ არიან დამოკიდებულნი შემთხვევითობისაგან?

უდავოდ, ბოლო მოსაზრება მისაღებია და სახელმძღვანელო: დიდი რიცხვის კანონის ანალოგიას მოვიშველიებთ თუ შემთხვევითობის გამოუყენებლად, ფარულ კავშირს ობიექტურ აუცილებლობასთან, რომანის მკითხველითავეს ცხადი ხდება, რომ ჩადენილი უნებელი ბოროტმოქმედებანი კანონზომიერია ლევანისათვის, მრავალი უნებელი დანაშაულის ერთობლიობა იძლევა შედეგს, რომელიც თითქმის დაუდევლოა შემთხვევითობისაგან და ვლინდება ნამდვილ ბოროტმოქმედებაში. მკითხველი რწმუნდება, რომ ლევანი ეპოქალური მოვლენაა, ეპოქის შვილი: იგი ტრაგიკული ფიგურაა, მრავალნატიანი აღამიანია, საკუთარი გენეტიკური „შიფრის“, ქვემოთიერი და ცნობიერი მიდრეკილებების, სოციალური და ეპოქალური მოვლენების სათამაშოა. ვრწმუნდებით, რომ ამ სათამაშოს აუცილებლად ტრაგიკული გამომეტყველება უნდა ჰქონდეს.

სადღა მისი ბავშვობა? ნუთუ აღსანიშნავია კავშირი აღარა აქვს მის უმანკო ბავშვობას ბოროტებით აღსავსე მოწიფულობასთან?

მ წლის ბავშვი თუ სათიერების განსახიერება, 15 წლისა შეიძლება იქცეს აღმანიის ბნელი, მწგრეველი, დესტრუქციული ბუნების განზორციელებად? ლევანის გარდაქმნა, მისი შეხედულებების მეთამოროვნებრი, რახაკორველია, მასიური ცნობიერების ფანატიზაციისა და მასიური სუბეტის უიღრმე ზეგავლენის შედეგია. იგია საფუძველი ლევანის წნეობრივი გარდაქმნებისა. წიგნში, ერთის მხრივ, სწორედ ეს მეთამოროვნებრი წარმოადგენს ინტერესის საგნს და უფრო ფართოდ წარმოადგენისა და ჩვენების სურველს აღძრავს; მაგრამ, მეორე მხრივ, აქ იგივე პრინციპი მოქმედებს: ავტორის პროცესის ჩვენება კი არ აინტერესებს, ფართო სოციალურ პანორამას კი არ გვიხატავს, არამედ მის არსებას, კინეტისენციას, დედააზრს.

მეორე პარადიგმაში გამოხატულია ის წნეობრივი მიქნაც, რომელსაც ეწია ლევანი თუთმეტი წლის ასაკში. რადგან მას თუთმეტ წამაღებ ბიძამისი — დეკანოზი ახესალომი — წრდილი, საკუთარი მამა — იასონი — მხოლოდ ახლა გაიცნო. გვიან ღამით ლევანს ეძინა, გამოღვიძებული შეილი ჩაკოცა, ჩიბიდან რევოლვერი ამოიღო და მოულოდნელობისაგან დაბნულ ბიჭს მარჯვენა ხელში შეაჩერა... ლევანში რევოლვერი აღვიძებს და სიცოცხლისაკენ იწვევს მის ბნელ ინსტიქტებს, ეშმაკულ გენეტიკურ „შიფრს“. მავნე მეშველერობით საწუისს. შემდეგ თავის ვადაწმკვეტ როლს თამაშობს მასიური ფსიქოლო, მასის გაუანგარიშებელი, ბნელი სწავლებელი: სოფლის კომკავშირის კრებამ მონასტრიდან წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის გამოტანა და გუმბათიდან ქვრის მოხსნა გადაწყვიტა. ქვარს გუმბათიდან ლევანი ჩამოგლიჯავს.

ავტორის აზრით, ეს ეპიზოდიც ლევანის ცხოვრებაში უნებელი დანაშაულია და აი რატომ.

რომანისტიც მართებული აზრით, როცა უნებელი დანაშაულის წიგნით ტიპური მიწვევარემოებასა და გამოშვევს საფუძველებზე ვსჩქელობთ, თუ თეორიულად გვინდა ჩავწვდეთ მას, ყურადღება ვრცლად უნდა შევჭეროთ მასიურ ფსიქოლოზე და ამ უკანასკნელის ანალიზს გვერდი არ უნდა ავუაროთ. უნებელი დანაშაულის განხილვა სხვადასხვა ასპექტითაა შესაძლებელი, მაგრამ ყველაზე საინტერესო და ყველაზე აქტუალურ ასპექტს სწორედ ამ სფეროში მოვხვნივთ.

მართლაც, ცნობილია, რომ ევრეთ წოდებულ კრიტიკულ ეპოქებში, დიდ პოლიტიკურ-სოციალურ მოძრაობებში ჩათრეულ აღმანიებს რაიზიკითად ისტერიული უნი და დესტრუქციული ლტოლვები იპყრობდა და ყველა ბნელი კომპლექსი ისტორიის ზედაპირზე ამოტივტივ-



დებოდა ხოლმე. მასიური ფსიქოზი ღრმა წარსულის უპიროვნო უოფნის ნოსტალგიასაც შეიცავდა. ღრმა წარსულის გაღვივებული ინსტიქტი, როდესაც ადამიანთა გარკვეული ტომი ერთმანეთს ერთ დაუნაწევრებელ სხეულად გაიწყობდა, ერთმანეთს თავისთავს უქვემდებარებდა, მაგრამ ერთმანეთისაგან არ გამოყოფდა, კვლავ თავის უფლებებში შედიოდა და მთელი სიმკაცრით მოქმედებდა. ეს ფსიქოზი მით იყო ძლიერი, რომ პირველყოფილ გამოცდილებაში ეღვა ფეხი.

ამას გარდა, მასიური ფსიქოზი — წარსულისადმი, სულიერი მემკვიდრეობისადმი თუ კულტურული მონაპოვრისადმი მტრულად მიმართული ცნობიერების ფანატიზაციაა და შეუწყურებლობის ატმოსფეროს გამოძვრება. მასიური ფსიქოზი მასიური ცნობიერების ფანატიზაციაა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის ყველაზე ბნელ ინსტიქტებზე. მასიური ფსიქოზი, აგრეთვე, ნიჰილისტურ-მწვრთელი ტენდენციაცაა კულტურულ-ისტორიულ ღირებულებების მიმართ, ხალხის სულიერი მემკვიდრეობის მიმართ, სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი უარყოფითი ინსტიქტების ისტერიული გაშიშვლება, დესტრუქციულ ლტოლვათა გამღვავება.

მასიური ცნობიერების ფანატიზაციისა და მასიური ფსიქოზის, მათი მძაფრი სუბექტივობის მსხვერპლი გახლავან ლევან გაფრინდაშვილი და მისი ბავშვობის განსურელი მეგობარი ანდრო ავალიანი. ლევანი, ამდენად, მსხვერპლია და ამდენადვე, მისი ბოროტმოქმედებაც „უნებლიე“ სახეს იღებს, შეეძინა ეკვივითობის სახეობად გვეყვინება.

სებოხა მოვუშინოთ თვით ავტორს, გრ. აბაშიძეს, რომელიც ამ საკითხების შესახებ თეორიულ უაღაღებ შესანიშნავად მსჯელობს „უორნალის“ მეორე წიგნში. „... მასიური ფსიქოზის დროს პიროვნება, ინდივიდი ექცევა საერთო ალტუენების ქვეშ, მთვრალივით ბრუვდება გონების დამანებლებელი ერთიანი სწრაფვით, ითქვიფება მასაში და ჭარბავს საკუთარ სახეს, საკუთარი განსჯის უნარს. მასიური ფსიქოზით ამგვარად ეგზალტირებული ადამიანი თავისთვისადმი კონტროლს ჭარბავს და მზად არის განუყოფავად, ანგარიშიუცემლად ჩაიღინოს ბოროტება ან ისეთი მოქმედება, რომელსაც ნორმალურ ვითარებაში არამედ აღარაა არ ჩაიღინება. ამ დებულების საილუსტრაციოდ თქვენ მოგაქვთ ლინჩის მაგალითი, როცა მასიური აღგზნებით გაოგნებული ადამიანები ქვას ესროდიან ბოროტმოქმედს, რომლის მიერ ჩაიღინდა დანაშაულზე ზოგჯერ წარმოდგენაც არა აქვთ. ეს უთუოდ სწორი დაკვირვებაა, მაგრამ თქვენი დაკვირვების მეორე ნიშნუში კიდევ უფრო საინტერესოა...

— რევოლუციების ან მწვევე შინაოლიტიკური კრიზისების დროს მასიური ტერორი მა-

რთლაც მასიური ფსიქოზის სახეს იღებს ზოგჯერ. საერთო გაოგნების ქვეშ მოქცეული ადამიანები განუსტყლად, ანგარიშიუცემლად ჰკლავენ ან დაბეზლებით ლუპავენ ზოგჯერ ახლოებელ პირებსაც კი, და ამას მალალი იდეის სამსახურით ან მოვალეობისადმი წმინდა ერთგულებით ამართლებენ. პოლიტიკური ტერორისა და დაბეზლების მასიური ფსიქოზის კლასიკური მაგალითად, აქვენ, სრულიად საფუძვლიანად, ნერონისა და ტიკელინის ეპოქას თვლით. თუმცა გაბეღულდება რომ გუოფნოდათ, ჩვენთან უფრო ახლო ეპოქებში იქნებ უფრო დამახასიათებელი ილუსტრაციაც მოგეძებნათ... — რედაქტორმა ეშმაკურად გაუღიმა და თვალის თვალში გაუფარა“.

ახეთია რომანის მოქმედების განვითარების ფონი, არსებობდა. გმირები, დამუხტულნი ამ მასიური ფსიქოზით, იქცევიან თქვენს თვალწინ ისე, რომ საკუთარ პიროვნებას არ ეკუთვნიან. ამიტომაც შემოხვევითობის როლი გაზრდილი ამ რომანში, ხოლო უტყუარი მიწვინობრივი კავშირები მხატვრული ინტერესების წინა პლანზე არცა ძეცს.

აი, მასიური ცნობიერების ფანატიზაციისა და პოლიტიკური სუბექტივის კიდევ ერთი მაგალითი რომანში, სადაც ლევანი „გაცემეს“ თავისი ბავშვობის უახლოეს და უსაუკარდეს მეგობარს, ანდრო ავალიანსა და, გარდა იმისა, რომ უნებლიე დამნაშავის როლში გამოდის, იგი, აგრეთვე, მასიური ცნობიერების ფანატიზაციის აშკარა მსხვერპლიცაა.

შკითხველს ახსოვს, რომ ერთ საწიემო ვახშმის დროს სოფელ უორნალის მივარდნილი „არალეგალური“ ბიბლიოთეკის შესახებ (რომელიც იმდენად იყო არალეგალური, რამდენადაც მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა) ლაპარაკი ანდრო ავალიანმა წამოიწყო, მაგრამ ზუსტი კოორდინატების დადგენა და „აქრძალულ წიგნზე“ ინფორმაციის მიწოდება ლევანმა ითვია. ამის შემდეგ ორივეს აპატიმრებენ. მაშ, რატომ ითვლება, რომ ლევანი ანდროს დაპატიმრებაში დამნაშავე? უფრო იმიტომ, რომ როგორც მკითხველს ახსოვს, ლევანს სულ ჩქარა ათავისუფლებენ, ხოლო ანდრო ავალიანს დაპატიმრება და გადასახლება სამუდამო აღმოჩნდება.

ცხადია ისიც, რომ უსამართლობანი და დაბეზლება-ინსინუაციები იმ დროისათვის შორატული სენივით იყო, მასიური ცნობიერების ფანატიზაციის ნაყოფი გახლდათ და აბსურდამდე იყო დაუვანილო. ლევანი, რომელიც შორს იდგა ამგვარი ბეზლიაობისაგან, თვითონ ხდება უაზრო დაბეზლების მსხვერპლი. თანასოფლელები და კლდეოთის მცხოვრებნი კი მას აბრალბენ

გურამ ქანაბაძე

დანაშაულიცა და სასჯელიც
ბანუომილიბანი



ანდროს დაპატიმრებას... ლევანში მძლავრად აისახა ეპოქის სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენები და თავველა აებნა. ამიტომ იგი უნებლიე დამნაშავე და მასიური ფსიქოზის მსხვერპლი. მართლაც, მას უტევენ იმ პოზიციიდან, რომ იგი მოვალატა, რადგან წიკოტა აკრძალული წიგნი. ლევანი კი იმგვარადაა აღზრდილი, რომ მისთვის წიგნი აკრძალული არ შეიძლება იყოს და საწინააღმდეგოა ზარები და შეხედულებები იმიტომ გამოითქმის, რომ ჭეშმარიტება უფრო კარგად გამოჩნდეს.

მამამისი იასონი ლევანს უმარჯვლევადობაში ეუბნება (როდესაც იგი გუმბათიდან ჭერის მომსხვერვლის ცდის შემდეგ ძირს ჩამოვარდება): „— შენც ექვმა დაგამარცხა, თორემ, აბა, გუმბათიდან ჭერის მოხსნა რა საძნელო უნდა ყოფილიყო...“ ამ დალოცვილი შვილს, რომელიც თავის დროზე შვეიცარიასი იყო გაგზავნილი უნივერსიტეტში სასწავლებლად, დაუშვებლად მიანიხა, ჭერის — ამ მარადიული სიმბოლოს, ამ წმინდა გამოსახულების — დამსხვერვისას ექვმა თუკი მოგვცა. მას დაუშვებლად მიანიხა, საერთოდ, დაეჭვება, რომელიც დაფიქრებისა და რეფლექსიის საფუძველიც დევს.

აი, კიდევ ერთი პარადიგმა, მასიური ფსიქოზის კიდევ ერთი მსხვერპლი — ტრავმირებული უშანგა გამურელიც, ოცდაათი წელს დახვრებილი ქართველი ინტელიგენტის ვაჟი. სასტიკმა დრომ უშანგის გამოუმუშავა დამამცირებლად დამთმობი ხასიათი, კომპრომისული ბუნება, ლახტისა და შემდეგ ჭადრაკის თამაშისას ერთხელ არ გახედა მოგოკ ანდროსათვის და ჭადრაკის ოთხი პარტიის განმავლობაში მოთმინებით ემსახურებოდა მის სიხარბესა და აგრესიულობას.

უშანგე თვითდამცირებას და რეზიგნაციას მიმართავს, რათა როგორმე ცხოვრებაში ადგილი მოიპოვოს.

ლევანი ეშმაკეულია — გაუთავებელი „უნებლიე დამნაშავეა“ და სიკვდილს თესავს.

ანდრო აგრესიულია, ზეგობრივად უგუნურია, პატივმოყვარეა და როგორც გვახსოვს, კონიუნქტურა მისთვის გეზის მიმცემია. რბევა და ცემა (გავიხსენოთ ლახტში უშანგის დაუზოგავი და სასტიკი გამეტება) მისთვის სპორტი კი არაა ან უბრალო წუთიერი ზომიერების დაკარგვა, იგი მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. ამიტომ გვგონია, რომ რომანიტმა სწორი გადაწყვეტილება არ მიიღო, როდესაც უშანგის გამოფენის გახსნის დღეს ანდროს მიერ წარმოთქმული შანტაჟისტური სიტუა შეარბევა იმ აქციით, რომელსაც „კონიუნქტურშიკი“ ანდრო მიმართავს უნივერსიტეტში უშანგისთან შეხვედრის საღამოზე, თუმცა შეარბევა კი? ჩვენი აზრით, ანდრო ავალიანი რომანში პოტენციური კაცობაში უნდა ყოფილიყო, რომელსაც არ დასცალდა თავისი ინსტიტუტების სრული რეალიზაცია, ხოლო უნივერსიტეტში უშანგის ქებათა-ქება და პირზე კოც-

ნა — სუფთა კონიუნქტურული სტრუქტურის ხომ უკვე სტალინური პრემიის დასურვით და... ასეთია ეს შემწარავი გარემო სინამდვილე, დანახული მწერლის თვალით.

და მართლაც, მკითხველს ანდროზე სრულად წარმოდგენა არ შეეძლება, თუკი არ მოვიგონოთ მის ამაზრზეგნის სცენა, ის იდეოლოგიური შანტაჟი, რომელსაც მიმართა ანდრომ თავისი ბავშვობის მეგობრის იდეურად გასანადგურებლად და რომელსაც უშანგის საშხატრო აკადემიიდან გარიცხვა და ღვედა უნდა მოჰყოლოდა. ასეთია მასიური ფსიქოზის მასშტაბები. საგარეოდ დარბაზში ანდროს ფანატიკური გამოხვდა დ. დაუნდობელი სისასტიკე (იგი თავს ესხმის სწორედ უვალაზე ნიჭირ ახალგაზრდას. ბავშვობის მეგობარს, თანსაფრთხელს), რა თქმა უნდა, ფსიქოზის წარმოადგენს: იგი საუთნარ თავს არ ეუფთვნის, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ამ დარბაზში მის მიერ უშანგის გამეტება ბავშვობის გაგრძელებაა, ლახტში ქაზრით მისიკვდილებს ინსტიტუტების ხელშეწყობა აღორძინება და სხვისი გეგმა, ამ შემთხვევაში, ანდროს უშინაგანს მოთხოვნილებას წარმოადგენს.

კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით რომანისტს, როდესაც იგი ანდროს ხატავს კომპრომისულად და არა ანტიომიურად („...დამბინა — ანტინომების ერთიანი ხლართა...“); ანდრო იმ ხანის ექო და გამოძახილია, ამიტომ უფრო დასრულებული აკაცია და უკეთური უნდა იყოს იგი, უფრო ჩამოუადიბებული კონიუნქტურის კაცი უნდა იყოს, თანამედვერული თავის სპილენძში (როგორც მკითხველს იცის, იგი უახლოესი მეგობრის, ლევანის ცოლის გამუდმებული საყვარელია და ლევანის ქალიშვილი, სინამდვილეში, ანდროს ბუშია).

სიტუა, რომელსაც წარმოსთქვამს ეს უგუნური ანდრო ავალიანი საგამოფენო დარბაზში, თითქოს კალკირებულია ამ რამდენიმე ათეული წლის წინ არსებული დუხიური ოფიციალური იდეური სინამდვილიდან. როგორც ვთქვით, რომანში იგი სრულებით არაა უტარიბებული, თუმცა კი ნამდვილად უტარიბებულს წააგავს.

ანდროს უვალაზე მტრები ეჩვენება: იგი უფართოეს გლობალურ საკითხებზე ლაპარაკობს, მაგრამ თუ რატომაა საჭირო ძველი თბილისის მტრეივების აღდგენა ქართულ ბუროკრატულ რეჟიმში თუ ფერწერაში, მაშინ როცა ახალი, დიდი თბილისი შენდება. ამაზე არაფერს იტყვის. იგი გაბრუებულია საკუთარი აგრესიულობით, რომელსაც ხელს შეუწყობდა წარსულის დახვეწილი სურათებით ტრაგედია.

ანდრო მასიური ფსიქოზის არა მარტო მსხვერპლია, არამედ მისი ერთ-ერთი ძლიერი ხელი-სშემწყობი და გამავრცელებელიც. როგორც ვიცით, ჭკარა მასიური ფანატიკაცია ორივეს შიანთავსს, ხოლო ანდრო თუ საბოლოოდ შეეწირება მის სუბსტიტურ ძალას, ლევანი ისევ უბრუნდება საზოგადოებას, თავის ავადმყოფ

ქალიშვილს და იწვევს კორექტორად მუშაობას რაიონულ გაზეთში.

● მაინც უნებური დანაშაულის ყველაზე რთულ და საინტერესო პარადიგმას წარმოადგენს ლევანის სიცოცხლის უკანასკნელ მონაკვეთთან დაკავშირებული უღამაზესი ქალიშვილის, ციცო ლორიას სიკვდილი. მკითხველს შევახსენებთ, თუ როგორი ხაოცრების შემწეობით, ფანტასტიკისა და დეტექტივის ზღურბლზე მიხვდება ლევანის „უნებური დანაშაულის“ უხილავი საცდები ციცო ლორიას, რომელსაც არც იცნობს.

როგორც ვკითხვით, ლევანს დამბლადაცემული, მძიმედ ავადმყოფი ქალიშვილი ჰყავს, რომლის სამკურნალო ახალი საზღვარგარეთული პრეპარატი თბილისშიც ჩამოსულა და იმედმოცემულმა მამამ მაშინვე რაიონის აფთიაქის გამგეს, ალექსანდრეს მიმართა თხოვნით, ალექსანდრემ სამი ფლაკონი წამალი უშოვნა და ჩამოუტანა გაფრინდაშვილებს, სასურდლად კი დაუსახებლად შემოდგომისთვის საკრალური ციფრი: სამი ათასი მანეთი (კურხა რეფორმამდელია), საიდან უნდა ჰქონოდა სამი ათასი მანეთი წამლისათვის უილაჯო გაზეთის კორექტორს? სასწოწარკვეთილებამდე უნდა მისულიყო თვითონ ლევანი, როცა დათამბდა ეს 3000 ნესხა აბესალომისაგან, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება ებრძოდა, ახალგაზრდობაში კი ეკლესიის ჭვარი შეუგინა და დაუმსხვრია? მაგრამ მისი უმწეობა და საცოდობა ქალიშვილის სიკვდილის პირად მისვლის შიშმა გადასწონა. უკვე ბნელდება, როცა იგი დაადგა იმ აღმარის, აბესალომის სახლისაკენ რომ მიჰყავდა. აქ პოულობს იგი სასურველ თანხას.

სულ ცოტა ზანში ეს საშათისიანი ფულის დასკა ლევანმა მეთვთაიქე ალექსანდრეს გადასცა და წამალი სახლში წამოიღო. რადგან იმავდროულად თვით ბიძამის აბესალომს მოეტანა ლევანის ოჯახში საკუთარი 3.000 მანეთი წამლისათვის, არავის გაუვიტრდა ლევანის გამგზავრება ქალიშვილთან ერთად ლენინგრადს სამკურნალო ციფლის ჩასატარებლად.

რადგან რომან „უორნალიში“ უმთავრესია დანაშაულისა და სასჯელის თანამედროვე პრობლემატყა: ეკრძოდ, უნებური დანაშაულის წენობრივი დენამიკა და მისი წერილობით პარამეტრებში, ბუნებრივია ვითრებით — ანეთი რა ბიოროტება ჩაიდინა გამწარებულმა მამამ უორნალის აღმართზე? რომელი ადამიანი არ იზამდა მავის მდგომარეობაში იმავებს, ვანა აბესალომისკენ მიმავალი გზა გოლგოთას გზა არ იყო მისთვის? მაგრამ რომანში, პრობოთად რომ ვთქვათ, ეს „კაუზალური“ კლანი არაა მთავარი: მის მოქმედებაში თითქოს აღიბეჭდება რაღაც მისტიკური ფაქალიშვის ნიშნები, როდესაც ლევანის ყოველი მოქმედება — ეს არის ყულფის

ნელ-ნელა მოკერა ორი მისთვის უცნობი პირის კისერზე. „იეგბ ის მიუწვდომელი ძალა — წერს ავტორი — ის განაგებს ადამიანთა ურთიერთობას, რომ დანაშაულის ჩასადენად წინასწარ განწერიულს ყველა პირობას უქმნის ბიოროტების მოსახდენად?... საბოლოოდ კი, ვისაც წიგნი წაუკოთხავს, დაგვეთანხმება, რომ წიგნი თავის აზრობრივ მთლიანობაში გვკარნახობს: ყოველი შემთხვევითობა უკავშირდება მოვლენის არსებას წმინდა სახით ეს წიგნი შემთხვევითობას არ იცნობს. მართალია, სცნობს იმ გარემოებას, რომ შემთხვევითობის როლი ადამიანის ყოფიერებაში რამდენადმე იღვმალეების ბურუსითაა გუალირებული. მაგრამ მათი ამოხსნისათვის ავტორს მხოლოდ მხატვრული ვარაუდების მოშეღობება კი არ რჩება, არამედ იგი ხელმძღვანელობს მწყობრი ეთიკური სისტემით, ჰუმანურობის უარტრებად პრინციპული გამოვლინებით. განვავროთ ლევანის უკანასკნელი უნებური დანაშაულის სქემის განხილვა.

...უორნალის მუშათა სახადილოს გამგედ მუშაობს ვინმე პარმენ ზარიძე, ხოლო მის სახადილოს ენახურება გიგა ავალიანი, როგორც სატვიტო მანქანის მძღლო, ვაგი ანდრო ავალიანისა. ორივეს სურს საოცრად ლამაზი და მიმზიდველი ციცო ლორიას სიყვარული, მისი ცოლობა. გიგა ამის მიღწევას აპირებს დაუსწრებელზე გაუმოლოდინე სწავლით, ათალი გრძნობით; პარმენ ზარიძეს, რომელიც წლოვარებისავე უხენსია ციცოზე, უფრო მოკლე გზა აურჩევია: იგი შემნახველ საღაროს მიადგება, გამოაქვს იქედან ფული, მაგრამ ისე, რომ სამ ათასს ცალკე დასტად შეაკვრევიცებს, თვრება და ასე ამგვარად მიდის ციცო ლორიას დასაპრობად. ციცო გარბის მისგან, უნდა სამუდამოდ გაეცალოს ამ ადგილებს; მაგრამ უორნალიდან მიმავალი მანქანის მძღლო გიგა, ხოლო მისი გამცილებელი — გაღვშილი პარმენ ზარიძე, ფულდენიანი პატარა ჩემოდნით, სიყვარული ორი მამაკაცისა აქ უხილავად იჩენს თავს და მკითხველი რწმუნდება, რომ ამგვარი თანაარსებობა სახედისწერო ძალისა: ერთ-ერთი ძლიერ მოსახვევთან ზარიძე საბარგო მანქანის ძარიდან გადმოვარდება და იღუპება, მისი ჩემოდანი ოშლება და ფული გზაზე იფანტება. სულ ცოტა ზანში სწორედ ამ ფულს პოულობს ლევან გაფრინდაშვილი და მიაქვს მეთვთაიქე ალექსანდრისთან.

შეუვარებულნი გიგა და ციცო მანქანის კაბინაში ვერაფერს იგრძნობენ. ისინი ჩამოღიან რაიონულ ცენტრში, სადაც გადაწყვეტენ ერთად წვიდნენ თბილისში და იქ ხელი მოაწერონ. გიგა ავალიანს მეთვთაიქე ალექსანდრე ბიძავ ეკუთვნის და საქორწინო საჩუქრად ეს უკანას-

გზურამ ბანბაბა
დანაშაულისა და სასჯელის
ბანწმობილბანი



ქნელი სწორედ იმ 3.000 მანეთთან პაქტს გადასცემს, ლევანისაგან რომ მიიღო. ვიგას და ციციუს თბილისში შეიპყრობენ! ზარიძე ხომ ვიგას მანქანაზე დაილაშა, ხოლო შემოქმედების შედეგად დადგინდა, რომ ვიგას საფულეების აღმოჩენილი სამი ათას მანეთამდე ფული, თავისი ნომრების თანმიმდევრობით, ემთხვეოდა ზარიძის მიერ გატანილ ფულს შემხანგველი სალაროდან... ციცი ციხეში კვდება.

როგორც ვხედავთ, ავტორს შემთხვევითობის კატეგორია საბედისწერო უკიდურესობამდე აქვს გამოყენებული. მაგრამ შემთხვევითობისათვის ასეთი ფართო ასპარეზის მინიჭება მშვენივრად ჯდება მითხვების მხატვრულ წარმოსახვაში. ეს საოცარი ქვეყანა სახვთა უსაოცრესი შემთხვევითობებით, მაგრამ განა სწორედ ამგვარ წინასწარგანუკერძელ რეალობაში კიდევ უფრო დამაჩერებლად არ მოსჩანს ზნეობრივი წარმოდგენების დიდი რეალობა? ავტორის აზრით, თუკი წინასწარგამოუცნობი ქმედებანი, შემთხვევითობის ნაირსახეობანი ადამიანის ყოფიერებაში შეიძლება დაყვანილ იქნას ერთ დიდ ზნეობრივ სინამდვილეზე, მოკლენის არსებობაზე მათი მნიშვნელობა და სარწმუნოება ამით მხოლოდ იზრდება. ასეთია ამ წიგნის არსი.

ავტორის ზნეობრივი შეხედულებანი პრეტენზიული არ არიან. რა თქმა უნდა, ავტორს რომ სხვა განზრახვა არ ჰქონოდა, იგი არადაწი უშაღ გარკვევდა და დაამტკიცებდა კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით: პარმენ ზარიძე თავისი ქვის დარტყმით იყო მოკლული (როგორც ეს მომავალ ცოლ-ქმარს მაიაწერეს) თუ უფროდ მთვარული კაცი მანქანადანა გადმოვარდნილი. მაგრამ აქ, როგორც ზემოთაც ითქვა, პირობითობას დიდი როლი ეთმობა და ავტორს ყოველნაირი გზით სურს დაამტკიცოს, რომ თუკი ადამიანი ერთხელ ბოროტს დაუპყვშირდა, მისგან უნდა ყოველგვარ უკეთურებასა და გულის შემძრავ შემთხვევითობას ელოდეს კაცი. ე. ი. ბედისწერამ და უბედურმა შემთხვევამ, ავტორის ეთიკური მოსაზრებით, ზარიძის მკვლელობაში ხელი შეხსოვს ვიგასა და ციციუს, რადგან ლევანის მიერ 3.000-ის მითვისებამ უშეკელი გახადა ეს სიტუაცია. ლევანი გადაწვევტ როლს ითამაშებს მათ დალუპავში. მას შემდეგ, რაც ლევანში ამოტივტივდება რეაოლვერი, იასონი, ეშმაკეული გენი და იგი ბიძამისის ეკლესიის გუმბათიდან ჩამოამტვრევს ჭვარს, იგი დალუპული ადამიანია, სიკვდილის მთესველია, მისი ხსნა აღარ შეიძლება. მაგრამ საკითხავი აი რა არის: ასეთად უნდა დაბადებულყო, თუ ეშმაკეულისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ღვთის მადლით ცხებულის დაბადებაშიც შემთხვევითობის კანონი სუფევს? ამის თაობაზე (ანუ დაახლოებით ამ საკითხების გარშემო) რომანისტი გვაცნობს თავის თვალსაზრისს, რომელიც, შესაძლოა მეოთხე რ-

მანის დედააზრადაც გამოვაცხადოთ; გენეტიკური სთვის გარემო — აქტური კატალიზატორითა, რომელიც ამუღვენებს და აჩქარებს პროცესებს, ხელს უწყობს მათ მიმდინარეობასა და განვითარებას. ე. ი. ადამიანში იმთავითვე მოცემული თვისებების, გენეტიკური კოდის, ზნეობრივი შეფრის გახსნას, განხორციელებას. მაგრამ თუ როგორია ზნეობრივი და „გენეტიკური კოდი“ ადამიანის — ეს წინასწარგანაზღვრულია. ეს დეკანოზი ახესალოში ესაუბრება თავის პატარა ძმისწულს, ლევანს: „ეშმაკი ფრთხილია და უშნაკო ადამიანს ადვილად ვერ აქვთებს ცოდვას. —განაგრობდა ახესალოში, — კეთილი საქმის ბოროტად შეტარება ეშმაკს მხოლოდ იქ შეუძლია, სადაც სიკეთეს ღვთის მადლი არ ახლავს. ზოგი ადამიანი ისე იბადება, ის მადლი თან არ მოჰყვება. ასეთი ადამიანის გზა ძნელია და ცელით მოფენილი. კაცს სიკეთის დათესვა უნდა და ბოროტს თესავს; კარგი უნდა გააკეთოს და ავი გამოუღის; წაღმა უნდა წავიდეს და უკულმა მიდის. ცოდვაა ასეთი ადამიანი. ერთ ხანს ეზრდვის მწარე ბელს, მაგრამ ლოკითა და მოთხინებით თუ ვერ დასძლია, მაშინ თვითონაც ბოროტდება, უკეთურების გზაზე დგება და ახალახალი დანაშაულის ჩადენით ცდილობს მიუზღოს სამაგიერო იმ ღმერთს, რომელმაც მის ჭაჩენს მადლი არ გამოუყოლა და თავიდანვე ეშმაკს დაუთმო ბოროტების იარაღად...“

როგორც ვხედავთ, ავტორი იმ აზრისია, რომ ადამიანები ზნეობრივი შკალის მიხედვით ძალზე განირჩევიან ერთმანეთისაგან და ეს ერთმანეთისაგან გარჩევა, ზნეობრივი დიფერენციაცია ხდება დაბადებისთანავე („თავიდანვე“), როცა ადამიანმა არაფერი იცის თავისი თავის შესახებ, ზნეობრივ ღირებულებათა არსებობის შესახებ. ჩვენ არ ვირჩევთ ჩვენს თავს, იგი ამგვარი თუ იმგვარი სახით გვეძლევა თვითონ მშობლის ბუნებისაგან, რომელიც შემდეგში ჩვენს თავს ისტორიულ გარემოს გადასცემს. საკმარისია ამ გარემოში გარკვევისას პირველი ნაბიჯები გადავდგათ ჩვენი თანდაყოლილი მორალური წარმოდგენებისდა მიხედვით, რომ ჩვენი ჭერ კიდევ ნორჩი პიროვნება საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, ჩვენმა ზნეობრივმა წყობამ (ეთოსმა) მიიღოს მტკიცე ფორმა და სწორედ ამგვარად ჩვენ ცხოვრების ლაბირინთებში გავიფანტოთ.

რომანში კიდევ არაერთი ნიმუშია უნებური დანაშაულისა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა ითქვას რუსი ჭარისკაცის, ვალერის შესახებ. პირველ რიგში იმტომ, რომ ვალერის თავგადასავალი ავტორის მიერ რომანის ლიტერატურულ ღერძადაა გამოყენებული — იმ თვალსა-



ზრისთაც, რომ იწყება რომანის პირველსავე გვერდებზე და მის ბოლო გვერდებაშეა გაშლილი-გაპართული (ხოლო სხვა პერსონაჟთა პარადიგმები თითქოს ამ ღერძის გარშემოა მონტირებული) და იმ თვალსაზრისითაც, რომ რაშიც ბრალი ედება ვალერიის, თანაბრად ვრცელდება რომანის ზოგიერთ სხვა გმირზეც: ვალერი ხომ უნებლიე დამნაშავეა. მაგრამ რატომია ვალერიის ბედს „საღერძო“ მნიშვნელობისა და ლირისების — ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

საქმე ისაა, რომ ვალერიის ბოროტმოქმედების თავგადასავალი დაწერილია ზედმეტად ილუსტრატულად; ეურანლისტური სტილისტიკის ურავო კვალით, ვიდრე ეს ითქმის სხვა პერსონაჟთა თავგადასავლების შესახებ. ჩემი აზრით, ვალერიის შემთხვევა მოკლებულია ჰემოზოიკური დრამატუზმის და ბევრად უფრო ხელშეწყობილია ვენებებითა ნაკვები და ნაშენები, ვიდრე სხვა ნიშნუები რომანისა. გონებაპერტიოტი პლანი — გონებაპერტიოტი პლანი, მაგრამ სიცოცხლის მწველი შეგარძნება თავისას მოითხოვს; ვიონების დაღუპვის სცენას აქლია სიცოცხლის მნიშვნელობა ინდივიდუალური ბედზე, ფათერაქის შინაგანი განცდა, ცოცხალი დეტალები...

როგორც ითქვა, „სორნალი“ თითქოს თავისებური მონტაჟია უნებურ დანაშაულობათა ნიმუშებისა. და აი, კიდევ ერთი უნებური დანაშაული-შემთხვევითობა: იგი ნაწარმოებში დავშირებულია ცნობილი ფერაინელი მოქანდაკის, ტერენტი ტაჩენკოს სახელთან. ვფიქრობთ, არც ტაჩენკოს დანაშაულია ავტორის მიერ ოსტატურად გამოხატული. მართალია, ამ ვარემონებს განიხილა თავისი შემაბსუბუქებული მიწვევები; მაგალითად, ის რომ, ამ თავგადასავალს ერთი პერსონაჟი (ტაჩენკო) უყვება მეორე პერსონაჟს (ვალერიის), ხოლო შესაძლებელია პერსონაჟი (ლევან) კითხულობს გაზეთში, ამის შესახებ, ე. ი. ასეთ შემთხვევაში, წმინდა აღწერითობას ავტორი ვერ გაეცემა. ამის გარდა, ამ პარადიგმაში ხელს სხვა მხარეა ძლიერი, რომლის შესახებ ქვევით ვისაუბრებთ. უნებლიე დანაშაულს აქ აპირობენს უაზრობა, აღვირაბს-ნილობა: ახალგაზრდა ტერენტი ტაჩენკო ზენობრივად იმდენად დაეცემა და გალოთდება, რომ არ რცხვენია დრამადრო ღამით მიუხედავად ქალს ერთობიან ბანიში, რომლის, მეორე კუთხეში იძინებს მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი. ღამის ერთ-ერთი სკანდალის დროს, როცა ნაცემი დედა იატაკზე აგდია, ხოლო გამწარებული გოგო ზელზე კბენს ტაჩენკოს; ეს უკანასკნელი ისეთი გაცოცხლებული, არა-დაშინებული სახით გაიწევა ამ პატარა, დედის დამცემი ქალიშვილისავე, რომ იგი, შიშისაგან გონებადაკარგული, ფანჯრიდან ხტება.

ასე, ერთი ადამიანის სრული დეგრადაცია თუ წეობრივი დაცემა იწყება მეორე სხვა ადამიანის საბოლოო დაღუპვის, განადგურების, თუმცა კი არავითარი სერიოზული მიზე-

ზობრიობა არ შეიძლება არსებობდეს იმის გასამართლებლად, ეს პატარა ქალიშვილი უნდა აღზარდოს აქ შემთხვევითობა (უნებური, განუზრახველი ბოროტების სახით) ტრაგიკული უაზრობის სახიერებით წარმოგვიდგება და გამოუწორობებულ ცდომილებად რჩება სამყაროს საფიქრებაში.

უკველზე უინტერესო ნაწილი ამ პარადიგმისა იწყება მას შემდეგ, რაც ტერენტი ტაჩენკო გამოდის ციხიდან, თავს აღწევს ცხოვრების ფსკერს და თანდათანობით ხდება ცნობილი უკანონო მოქანდაკე.

გრივად აბაშიძის აზრით, ადამიანი მით უფრო ღრმად, საგნობრივად და უკვლისმომცველად გრძნობს საკუთარ ცოდვილებს, ცოდვილ წარსულს, რაც უფრო გაღრმავებულია მისი გონი და განცდილობა მისი სული. რაც უფრო ადამიანური ხარ შენ, მით უფრო ვრცელი საფუძველი შეგექმნება დიდი და დახვეწილი ტანჯვისათვის. მით უმეტეს, თუკი შენი ცოდვილები თავლანთივია და აკვიტებულ იფიად გექცა. ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტება, ესა თუ ის დანაშაული ან ცოდვილება მით უფრო შეუკავებლად იზრდება და გამოწვევად მკაფიო სახეს იღებს, რაც უფრო მეტად იხვეწება, უნებურად ძლიერდება და მალაღ ცნობიერებას იძენს ბოროტების ჩამდენი პიროვნება. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო ცხადი და აუტანელი ხდება იგი მომავალ შეგნებულ ცხოვრებაში.

თუკი ღღვან გაფრინდაშვილისთვის უნებლიე დანაშაულებათა რიცხობრივი ჯამი ისეთი დიდი იყო, რომ ეს ჯამი უკვე იძლიოდა შედეგად ნამდვილ დანაშაულს (რომელიც ირგვლივ სიკვდილს თესდა), ჯარისკაც ვალერიის დანაშაული მართლაც უნებურად (თუმცა კი მისი ისტორიაც ჯამი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილითაა აღხებდილი), ერთგვისია და ვერ გვაფიქრებინებს, რომ მისი ცოდვილება მისივე პიროვნების მავნე თუ ბოროტი საწყისებიდან მომდინარეობდეს. ჩვენი აზრით, ღღვან გაფრინდაშვილის დანაშაულობებსა და ვალერიის თუ ტერენტი ტაჩენკოს უნებლიე დანაშაულობათა შორის დიდი პრინციპული განსხვავებაა. ამ ორი უკანასკნელის ჩადენილი დანაშაულობები, ულავოდ, ბრმა შემთხვევითობას განეკუთვნებიან და მათი პიროვნების მახასიათებლად არ გამოდგებიან. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ბუნებრივია, თუკი ავტორი ტერენტი ტაჩენკოს სინდისის მწვევე ქენჯნას აკმარებს და ბუნებრივი უნდა იყოს ისიც, რომ მკითხველს გადაჭარბებულ აფექტად შიანია ვალერიის თვითმკვლელობა.

გურამ პანაძე
 დანაშაულისა და სსსრფსის
 ბანუომილბანნი



როგორც ვნახეთ, რომან „ჟორნალში“ ორი ფუნდამენტური პრობლემაა წამოყენებული. პირველი და უმთავრესია დესტრუქციის საკითხი, თუ რაოდენ ძლიერი შეიძლება იყოს ადამიანში დესტრუქციული (მგრაველი და სხვა სიტყვებით: მავნე, უკეთური, ეშმაკური...) ინსტიქტები, დამღუპველი და მგრაველი ლტოლვები. არ არის ადამიანი, რომელიც დესტრუქციულ ელემენტს არ შეიცავდეს, ამბობენ მეცნიერები. კრიტიკულ ეპოქებში რაც უფრო ძლიერი დესტრუქციული ლტოლვები გააჩნია პიროვნებას და რაც უფრო მაღალი პოსტი უკავია მას, მით უფრო ხაზშია იგი ხაზგადგობისათვის.

დაუფიქარი, თითქმის კლასიკური ნიმუში დესტრუქციული ხწრაფვის შექმნა თავის ადრეულ რომანში — „მუსიკა ქარში“ — რეზო ჭეიშვილმა. ამ რომანის ერთ-ერთ თავში მოთხრობილია კეთილი ბიჭუნას შესახებ, რომელიც იმდენად კეთილი იყო და ისე უუვარდა თავისი ბაბუა, რომ თითქმის ყოველდღე, ბაბუას სიყვარულით, ქუთაისიდან მატარებლით ჩადიოდა ახლომდებარე პატარა სოფელში, სადაც სამკურნალო დანიშნულების მიმართული წყარო ეკუთვნებოდა, ავსებდა იქ ლტარნიან ზოლოს და მატარებლით შინ უკან ბრუნდებოდა. მხოლოდ შინ დაბრუნებისას ეს უშავილი ღია ვაკონებს შორის იდგა ზოლში, მჭრელად რელსებს მოჭადრებულვით ხაშტარებოდა და ერთ რომელიდაც მომენტში ზელს უშვებდა წყლით სავსე ბოთლს ისე, რომ რელსზე ხმაურით „აფეთქებულიყო“, გამსკდარიყო.

ავტორი გვუყვება, ეს უცნაური რიტუალი სისტემატურად მეორდებოდაო. უშავილი ცარიელი ბოთლით ყოველ ცისმარე მთეზურეოდა სამოგზაუროდ და უკან ბრუნდებოდა მუდამ ხელცარიელი. და ნურავინ იფიქრებს, რომ გულბრწყვილობაა იმის ფიქრი თითქოს ბიჭი სამოგზაუროდ არ მიდიოდა ბაბუას სიყვარულით და მიდიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაბრუნებისას მატარებელში რელსზე გაეხეთქა წყლით სავსე ბოთლი, რათა წამოეჩაღა. გაუცნობიერებლად ეწეოდა დაშლის, ნგრევის სახაზობა. ავტორიც ასე გვუყვებს მასალას და ჩვენც ვაჭერა, რომ ბავშვის ძალიან უყვარს თავისი ბაბუა და სიყვარულით მიდის წყაროში, მაგრამ მასში, როგორც ვხედავთ, ძლიერი დესტრუქციული მოთხოვნილებაა. როცა რომანში ამ ადგილს ვკითხულობდით, ადვილად წარმოვიდგინებდი — რა შინაგან შევებას იგრძნობდა ის ბიჭი, ან რა ემოციური აფეთქების ტალღები გაიფიქრებდა მასში, როცა წყლით სავსე შუშის ჭურჭელს ფოლადის რელსებს მიანარცხებდა... აქ ხაზობდა კარგად არის გამოხატული ადამიანის დესტრუქციული ბუნების გამომხატველი ქცევა, რომელიც უხიქაურმა „ცენ-

ზურამ“ ცნობიერების წლებშია ასე რიტუალურად შენიღბა და არაცნობიერის საშუალებლობა მოაქცია, ნგრევის წადილი აღწევს „არაღეგალურად“ არსებობს, ერთ დროს საცხებით ღეგალიზებული მდგომარეობიდან გადაინაცვლა ქვეფსიქიურში და გამოცხადდა ასოციალურ ინსტიქტად, მაგრამ მისი აშკარა გამოვლინებულ არ შემწყდარა და არც შეიძლება შეწყდეს.

მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც რომანშია წამოჭრილი, მასიური ცნობიერების ფანჯარისთვის ანუ მასიური ფსიქოზის საკითხია. პიროვნება ადვილად ექცევა მასიური ტერორის, მასიური რეპრესიებისა თუ მძლავრი შინაპოლიტიკური ძვრების აღწნებულ ატმოსფეროში (უცერად მაგონდება რომენ როლიანს მიერ აღწერილი ქურჯარი ამზობის ერთი სცენა, თუ როგორ ჰყარავს თავს მამაკაცი და ქურაში აღწნებულ კბენს სრულიად უცნობ ქალს...) მაშინ ადამიანის უმადლესი ღირებულებრივი მიღწევები: შემწუნარებლობა, სამართლიანობა, სიბნაალული თუ გონიერება ჰყარავენ თავის შინაარს, დანიშნულებას და ურველივებ, როგორც ყოფიანა, ისეც ბატონობს აგრესიულობის ინსტიქტი.

რომ ვიჩვენოს თუ რამდენად ახსურდებოდა და არაადამიანურია მასიური ტერორი, ავტორი აღგვიწერს სცენას მიერ დახატულ მხატვრულ ტილოს — ტრიპტიხს, რომელიც დახვრეტის მასობრივი სცენაა გამოსახული, გამოსახულია თვითონ მხატვრის, უშინავის მამის დაღუპვაც თავის თანამებრძოლებთან ერთად. ტრიპტიხზე იკითხება: როდესაც სამაზრო ცენტრში გასაჭაუნად და დასახვრეტად გამწადებული პატიმრებით სავსე მატარებელი სადგურში იდგა, შემთხვევით გამოუვლია „დებილ მელიტოსას“ (რომელსაც მთელი სოფელი იცნობდა როგორც ხაწყალ, უწყინარ სულელს და გონებრივად სალოსს, სადგურიდან ტვითრს რომ უწიდავს მგზავრებს და ცვეკითა და მანქვით ართობდა ზოლში მის ირგვლივ უსაქმოდ თავშეყრილებს). მან არც ოცდათობი წლის ამხებისა იცოდა რაიმე და არც ამ მატარებლის დანიშნულებაზე ჰქონდა რაიმე წარმოდგენა. როგორც სადგურის მუდმივი სტუმარი და მგზავრთა გამგეობი, ვაკონის კიბისთან მისულა, ისიც პოლიტიკურ პატიმრად მიუღიათ, ვაკონში შეუგდიათ და კარი ჩაუკეტიათ...

ტრიპტიხის მეორე ნაწილზე სამაზრო ცენტრში ვაჭაუნად პატიმართა ერთი დიდი ჭჭუფი ვაკონის შიგნით იყო დახატული. განწირულ პატიმრებს დებილი მელიტონა შუაში ჩაეყენებინათ, რადგან მხოლოდ ის იყო ახლა შემძლე იმისა, რომ ხელები გაეშალა, ბუწნით ჩამოეარა, ემღერა, ეხორხოცა და ამანარად გარშემო მყოფნი რამდენადმე გაერთო. სიყ-

ვდილის წინათგანდობა მხოლოდ სიმონს, უშანგის მამას, უკრთოდა სახეზე.

ტრიპტიხის უკანასკნელი ნაწილი დახვრეტის უღმობელი სცენაა, რომელზეც მხატვარმა მამის უკანასკნელი დღე წარმოიღვინა და წარმოხა. ტილო „აპოკალიფსური ცეცხლით იყო განათებული, შეშლილი სახეები დიდი ექსპრესიით იყო ნაჩვენები, შუაში ისევ დებილი მელიტონა იდგა, ოღონდ ტკივილისაგან დაკრებილი და სიკვდილიან შეგების მოულოდნელობით გაოგნებული. ტყვიით მოცედილი დებილისათვის დაჭრილ სიმონს შეეშველებინა ხელი, შრისხანებით ანთებული ნაოფიცრალის თვალები ექნენეს შუშას გადმოსვარდნად მოდგომოდენ“.

ავტორი მიმართავს ძლიერ, ფსიქოლოგიურად შეურიგებელ გამომსახველობით ხერხებს, როდესაც სურს გამოხატოს ტერორისა და ძალმომრეობის მძინევარების ეპოქალური სულისკვეთება. დებილი მელიტონას ფიგურა შემთხვევით არაა შეტანილი ზემონახსენებ სცენებში: ტერორი იწვევს მხოლოდ გამძვინვარებას, სამართლიანობა ტყვია-წაშლით არ მოიპოვება. ასეთი გზა მუდამ სისასტიკის მთესველი და უწყალო იქნება. დებილი მელიტონას დახვრეტა დროის ლაკონური პორტრეტია.



რომანში არის შურისგების საბედისწერო მოტივებიც, დანაშაული ხომ იმდენადაა, რამდენადაც მას სასჯელის ზომა მიეწოდება. თუნდაც ეს სასჯელი შურისგების სახით იყოს მოვლინებული. ავტორის მუშანისტური შეხედულებით, ბოროტება განიწმინდება მისივე სასჯელითა და შურისგებით, რომლებიც მას, საბოლოოდ, არ ასცდება. უდავოა, რომ ეს წნეობრივი ოპტიმიზმი, ეს ბოროტის ძლიერის თვალსაზრისი ძალზე ქართული კონცეფციაა, ფოლკლორში რომ იღებს სათავეს, ქართული მსოფლშეგრძნება.


გრ. აბაშიძის „ყორნალისთვის“ დამახასიათებელია თხრობის მშვიდი, თითქმის აუღელვებელი მანერა. ავტორი, როგორც ჩვენი დროის მიმბრუნებელი, ოდნავ „გულგრილი“ ობიექტივიზმითაც კი ეკიდება და აღწერს ისეთ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს, რო-

შელთა დრამატული შინაარსი, ცხადია, ურიგდება მიუყრდობებელ დამოკიდებულებას.

კომპოზიციური ტექნიკა რომანში საკმაოდ მაღალია და რთული; კომპოზიცია ნაწარმოებში აქტიური მხატვრული კომპონენტია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ მას ცალკე საკითხად ვერ გამოვყოფთ. მხოლოდ ვიტყვი, რომ მის სტრუქტურას, ძირითადად, განსაზღვრავს, მოგონება. დღეს მოგონებამ დასავლეთის მწერლობაში ლამისა დაიკაოს ცნობიერების ნაკადის ადგილი. მოგონება იქცევა სინამდვილის ტოლფასოვან მოვლელად. მოგონება (უდავოდ, მარსელ პრუსტის შემდეგ) ისევე რეალურია, როგორც თვით რეალობა. მოგონება უფლებზეა წარსულზე. მოგონება შეიძლება მოინახულოს. აღმინანს არსებობამ იგი აქცია საკუთარი პირვნების ნაწილად. მოგონებას ის უპირატესობა აქვს, რომ „სახელ“ („მოიჯად“) ჩამოყალიბდა და დაუფიქრებია (ასეთია მოგონება, მაშასადამე, ასეთია ჩემი ცხოვრება...). მოგონებით შეიძლება იცხოვრო რამდენჯერმე, სინამდვილით — მხოლოდ ერთხელ. მოგონება შეიძლება იყოს სუბიექტური, სინამდვილე — მუდამ ობიექტურად მკაცრია!

მოგონების ესთეტიკა მართლაც ძლიერია „ყორნალი“: ასოციაციურ წარმოდგენათა კავშირი (როცა ყოველ გახსენებას თან სდევს ახალი „პარალელური“ თავდადასავალი) თუ რეტროსპექტიული კომპოზიცია (როცა წარსული იქნეს ახალ, დღევანდელ მნიშვნელობას), წიგნი ვრცლად რომ გამოიყენებინა, ფსიქოლოგიურად აფართოებენ პერსონაჟის სასიცოცხლო არეებს, ავრცობენ ცხოვრების შეგრძნების ზღვრებს.

ბოლოს, ეანრის შესახებაც. არის თუ არა გრივლ აბაშიძის „ყორნალი“ დეტექტივი? „ყორნალი“ ტრადიციული დეტექტივი არ არის და მას კრიმინალურ რომანთან ვერ დავაკავშირებთ თუნდაც იმიტომ, რომ მასში კარბადაა მოცემული წნეობრივ-პოლიტიკური პრობლემები, რომელთა სერიოზულობა და სოლიდურობა ბევრად სცილდება ხსენებული ეანრის კომპეტენციას. „ყორნალი“ უფრო ფილოსოფიური ხასიათის რომანია — წნეობრივად და პოლიტიკურად გამახვილებული საკითხებით.



„შეპოქეპლის გალი“

მისი მოთხრობებიდან ადამიანური სიბოროტის მოსკვივის. ასე ფიქრობს ალბათ ნებისმიერი მკითხველი, ვისაც რეზო ინანიშვილის მოთხრობები წაუკითხავს. იგი წერს ადამიანებზე, ადამიანის სულზე, მათინაც კი, როცა ბუნების პეიზაჟს ხატავს, იმ ადამიანებზე, თავიანთ საქმეში რომ ჩაქარგულან და გული სიცილითა აქვთ სავსე. ყველა მათგანი ბუნების განუყოფელი ნაწილია, იმ მიწეგრძობის პარონიის ბგერებით, წუთისოფელი რომ ჰქვია და რომელიც ხშირად ირღვევა, მაგრამ მწერალი არასოდეს გაჰყვირის: ხალხო, ეს რა ხდება, უშველეთ გაუძიებულ საქმეს-ო. როცა რაიმე უარყოფითს ხედავს, მხოლოდ მიაჩნდება, გულიხტკივლით შეავლენს თვალს უარყოფით პერსონაჟს, ბუნებას რომ შეწინააღმდეგებია, მთავარი რომ დავიწყებია. რამდენი ცხოვრობს არაბუნებრივად? რამდენი რამ იკარგება ჩვენს თვალწინ? იკარგებიან სიტყვები, რადგან იკარგებიან ის საგნები, რომელთაც აწ დაქარგული სიტყვები აღნიშნავდნენ. რეზო ინანიშვილმა ეს კარგად იცის და ყველა მოთხრობაში თუ არა, ზოგან მაინც შემოგვაპარებს, გვიცოცხლებს იმ შრომითს პროცესებს და მასთან დაკავშირებულ მივიწყებულ სიტყვებს, შემოგვაპარებს ისე ბუნებრივად, რომ თან გვიხარია, თან გული გვტკივა.

მის პატარა მოთხრობებში რომანის სატიკვარი და სიმბოლო ისეა ჩაწნობილი და ჩაწურული, რომ ერთი სიტყვაც რომ გამოტოვო, „მუხიბაკლური ყური“ მყისვე იგარძნობს ჩავარდნილი კლავის არსებობას.

რეზო ინანიშვილი წერს ისე, როგორც მის შინაგან ბუნებას შეეფერება. იგი წერს ისე, როგორც შეუძლია, ე. ი. არასოდეს იგონებს და სათავეშივე უარყოფს მოჩვენებით სიბოროტებს და კოკობზიკობას. ბუნებრივად რეზო ინანიშვილის მთავარი მიწერული თვისებებია. რეზო ინანიშვილის ენა ბუნებრივი ენაა, ხალხის ენაა — ქართული ხალხური ზღაპრებიდან, კლასიკური მწერლობიდან (განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას პროზიდან) ამოწრდილი.

კარგა ხანია, რაც ადამიანის გაუცხოვებაზე წერენ და მსჯელობენ. ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბუნებას, მოყვასს, საკუთარ თავს და ეგვრთ წოდებულ ტექნიკური პროგრესის მორევში ჩაძირულმა დაიწყო წუწუნის უბედობაზე, უმოძრაობისგან დაუძლურებულ სხეულზე, სუნთქვის უშრობაზე, მოკლედ —

ათას რამეზე. ერთმა ჭალაქელმა ნაცნობმა ისიც მითხრა — მე სრულებით ვერ აღვიქვამ ბუნებას, მიწა ჩემთვის ტალახაია. ამაოდ ვცდილობდი მამინე ამებსა მისთვის, რომ მიწა, ტალახი კი არა, დედაა ჩვენი, იქნებ უფრო მეტიც, თუ დედაზე უმეტესი რამ არსებობს ამ ქვეყნად.

ასეთ დროს, ბუნებასთან ადამიანის გაუცხოვების გლობალურ პერიოდში, რეზო ინანიშვილი წერს მოთხრობებს ბუნებაზე და ბუნების ნამდვილ შვილებზე. მასაც შეეძლო რომელიმე დაავადებული ფსიქიკის ადამიანის ცხოვრებაზე მოთხრობა და ეგრეთწოდებული „უსიკონალიზი“ მოემარტვებინა. არა. მან სხვა გზა აირჩია. ქართული ტრადიციული პროზის გზას გაჰყვა უღალატოდ და შექმნა საკუთარი ენა და სტილი. მხოლოდ ინანიშვილისთვის დამახასიათებელი სტილი, სრულიად გამორჩეული სამყარო.

მის მოთხრობებს სიამოვნებით კითხულობენ ბავშვები, ახალგაზრდები, საშუალო და უფროსი თაობის მკითხველები. ყველა თავისას ეძებს და პოულობს კიდევ. იგი არც საბავშვო მწერალია, არც სახალღო. იგი მწერალია საზოგადოებრივი, ყველასათვის. ამის მიღწევა კი ერთეულთა ხეველია.

შარშან ერთად ვისვენებდით ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში. თორმეტი დღე თითქმის ერთად ვიყავით. ის შიამბოღა საოცრად საინტერესო ამბებს, როგორც წესი ასე იწყებდა: „ერთბელე, კაცო“... და გააგრძელებდა. მაშინ დავრწმუნდით, რომ იგი გაცილებით უკეთესი მწერალია, ვიდრე შეპირად მთხრობელი. პირიქითაც ხომ ხდება?! იძაბებოდა თხრობისას, განიცდიდა, იმ სიტყვებს ეძებდა, იმ გამორჩეულ ფრაზებს ეძებდა — ესოდენი დატვირთვა რომ აქვთ მის მოთხრობებში. ზოგჯერ გრძელ ჯონს დაიქერდა ხელში, ჯონს ან ბამბუკის ნაჭერს, თან ხელს შორს, ზღვისკენ გაშვებდა, გვეტყობოდა: იქ, ჩემი პალაა, იქითკენ უნდა წავიდეთ, დახვდეთ. თითქოს ისედაც ბუნებაში იყო, ზღვის პირას, მზეში, სუროსა და ლაქაშების, ბზის ტვერში, მაგრამ მას უფრო ახლოს უნდოდა ბუნებასთან მისვლა. იქ, მოშორებით, თითქოს ბუნების გულიხტული იყო. მიდიოდა პალისკენ როგორც უწმინდესი ტაძრისკენ, მხოლოდ იქ შეიძლებოდა გაწმენდა, დავანება, უკველადიური ურთიერთობებისგან განთავისუფლება. მის ბევრ მოთხრობაში განმარტოვდებიან პერსონაჟები ბუნების წიაღში, მაგრამ ბუნებისკენ სწრაფვა სიმარტოვისკენ სწრაფვას არ ნიშნავს



— პირიქით; სიმუდროვეში, სრულ ხიმატო-ვეში ფიქრსმიცემული კაცი თვალს მოავლებს გამწვანებულ გზას და სიკეთით ივსება სტრიქონები, სიკეთით და აღამაინური სითხოთი.

„ლილის ათის ნახევარი იყო, მაგრამ ისე ცხელოდა, ღუჭრ კედლებს რომ ჩავდევდი, თითქოს ცეცხლზე მიუღებულ ვივება კაცებს მივუყვამბოდი ძირძირ. დაბლა, კიდევ უფრო უარესი ხიციხის მოლოდინით ჩაუტრსულ ქალაში, ვერხვებიც კი არ ატოკენდნენ ფოთლებს, არც ვერხვები, არც თრიბლები. ჩიტებიც და ქრაიონებიც არ იღებდნენ ხმას, ხვლიკებიც არ გადარბ-გადმორბოდნენ ბილიკზე. მაინც ჭოუტად მივაბიჯებდო ზემოთ და ზემოთ. გავიარე უკვე შეფერია-ნებულნი ნაყოფით ტრეტადამიმბებული ასკილები, ბუჭუჭა ცხრატყავები, სიცხისგან შეწუხებული ფოთოლგაცვენილი კუნლიანები, ვადავჭერი ზვიდან წამოსული თეთრად გადაშხმარა ნაღვარალი და მივუახლოვდი ქალის რცხილიან ტყეწვრილს. შორიდანვე შევინაშენ — მწვანე რცხილებში წითლად დუღდუღებდნენ შემწიფებული ჩიტავალები. გავჩქარდი, გავგზიხინდი. მე მათთან მივდიოდი, ჩიტავალებთან. მივედი, ნაცნობ აღამაინებავით მივეხალაშე, — გნახეთ მშვიდობით! მშვიდობით იყვენენ. ისეთი ჭანხალი, მგლისსაფანტის სიმსხო ვალები ესხათ, ისეთ ლამაზ კუფლებად და კუნწულებად გამოკიდებულიყვენენ რცხილებსა და შვინდანალებს შორის, ბალახებში ჩაჭყქი და იქიდან მუუურებლი თვალებმჭოუტული, — რა მშვენიერები ხართ, რა საოცრები!“ („გოჭილების ექიმა“).

რევან ინანიშვილის პეიზაჟი უკველთვის ცოცხალი და მიმზიდველია, მაგრამ არა როგორც ფერადი ფორტ; მიმზიდველია თავისი მოძრაობით, სულიერი დინამიკით. ჩიტავალები მისთვის აღამაინებია, აქი მათკენ მოდიოდა, მიეხალმა კიდევ; ამხელა გზაც მათთვის გამოიარა.

იგი პირდაპირ არასოდეს ამბობს სათქმელს. მინიშნება, ქვეტექსტი, ინტონაცია მიგვაკვლევინებს გზას სათქმელისაკენ. დედააზრი კი გამოკრთის, ციმციმებს, როგორც ბინდბუნდში ციციანთელა, რომელსაც თვალი უნდა მაიყოლო, რომ არ ჩაიჭირეს, არ დაგეყარება. დაკარგვით კი არ იკარგება, თუ თვალი მოიარიდე, თვითონ აგერთება თვალწინ და ისევ მიიპალება. ამ „თამაშში“ — აზროვნების ამგვარ მდინარეხაში, — თანაბრად ჩართულია გრძნობა და გოგება.

სიკეთე ასხივებს რევან ინანიშვილის მოთხრობებიდან. დღევანდლობის არეული რიტმი და უდროობით, მოუცდელლობით შთანქმეული აღამაინი ვეღარ ფიქრობს ცაზე და ზმელთზე, ამაღლებულზე, იგი უკველდღიური, აუცილებელი საზრუნავითაა დაკავებული. მხოლოდ ცალკეული პიროვნებები ახერხებენ, როგორღაც, გამოძებნონ „თავისუფალი“ დრო და იფიქრონ იმაზე, რაზეც მათი წინაპრები ფიქ-

რობდნენ. ფელინის თანამში „ორკეტრის ტრეპტიცია“ მუსიკოსი ქალი მკვება, თუ რა უნდა მოელოდინს მისი ბავშვმა ერთხელ: მითხარით, სად დის მუსიკა, როცა არ უჩრავთ? ეს მოულოდნელი, არამიწიერი შეკითხვა გვაოგნებს თავისი პირველყოფილი სიწმინდით და სიმაღლით. ჩვენ არ შეგვიძლია აუღელვებლად მოვუხმინოთ ბავშვის ამ შეკითხვას და არ ვაღიაროთ, რომ მუსიკა ჩაიფერვლა ჩვენში. როცა ვამბობ „მუსიკა“ — მე ვგულისხმობ ბავშვს, პირველადმომჩინეს, შემოქმედს, ძიებისთვის და წვისთვის გაჩენილს, რომელიც თანდათან ნებდება საზრუნავს და ივიწყებს თავისივე შეკითხვას: სად მივლი მუსიკა, როცა არ უჩრავენ?

გაუბრებელი სული უკველდღიურად, უფრო და უფრო არსშია. გაუბრებულ სულს, ბავშვობავეკვარ სახებსას სულიერი სინტირე მოურჩენელ ავადმყოფობასავით შეურია. ბავშვის სულს აფაქიზებდნენ და აწრთობდნენ „მოცილილი“ მამა-პაპანი, მშობლები, მეზობლები, ერთი სიტყვით აღამაინები, რომელთა გარემოცვაშიც იზრდებოდა ბავშვი. გავიხსენოთ რევან ინანიშვილის „ვაშლის ბაღი“, როგორ აძინებს ბებია შვილიშვილს, რომელსაც მოუვლელი მშობლები მკვავს. თუმცა სწორად ვერ ვთქვი, ბებია კი არ აძინებს შვილიშვილს, — თავს ეცლება, ენახევა, ლოცავს, თვალის ჩინივით უფრთხილდება, ავი თვალისგან იფარავს, როგორც სიმაღ გამოულ მზის სხივს, ისე ეფერება მშერით. ამ ძილისპირულ წამღერებში უფრო ღრმა მისტერია სუფევს, შიშაც გამოკრთის, მოულოდნელის წიში: „ქალი წამღერებით ამბობს: — წადით, წადით, უველანი წადით ახლა! ჩემმა ოქრობიჭმა უნდა დაიძინოს, ჩემმა ოქროთი ხავსე კიდობანმა უნდა დაიძინოს, ჩემმა ბროლიანტებით ხავსე კიდობანმა უნდა დაიძინოს, ჩემმა გულიხსტულმა, ჩემმა სულის სულმა, ჩემმა სიხარულის სიხარულმა უნდა დაიძინოს. დავენაცვლე და დავეფერვლე მე ამას, წამლად დავენაუე და მალამოდ დავედე მე ამას, ჩემს მზის სიხარულის ბიჭს, ჩემს მარგალიტის კიკებიან ბიჭს, ჩემს ბროლის კიკებიან ბიჭს. წადით ახლა უველანი. ჩემმა ბაკუნამ უნდა დაიძინოს. წადი შენ, მე-ლიავ, კუდაგარძელიავ, შენც წადი ტურავ, ტურეკელიავ; უურედლაქვეტილო, მსუნავო, ჩემმა ბაკუნამ უნდა დაიძინოს, თქვენთვის აღარ სცაღლია. შენც წადი, აუავ, ჩემს ბაკუნას პური აღარ უჭირავს, კანაში წევს, უნდა დაიძინოს... თქვენ წადით მელოავ და ტურავ, აუავ, ფსიფს და დათუნავ, თქვენ წადით და ნანინა მოვიდეს თავისი მამიღებით თქვენც მოდით, თქვენც გეპატივებათ ჩემი ბაკუნა, ძილის ტკიბილო სტუმრებო, ჭრელო, ჭრელო სიზმრებო, ჭრელო ზეკაუნავ და ბოლომკარატულა მერცხალო, ჩიტო, ჩიტობატონავ, ლამაზო მოლაღერო, ოქრისფერი

ბივი ალხაიზივილი
„შემომამეძინ ბედო“

ბიკო--გოგიავე, ტპილად შგალობელი ბულებუ-
ლო...“

ამ ხაოყარი წამდერება-ძილსისაიულის შემ-
დეგ, პაპა-ბენიას მოკლე დილაოგიდან ირკვევა,
რომ ბავშვის შშობლები ქალაქში არიან, ბავშვის-
თვის ვერ მოუყლიათ, მუშაობენ.

წამდელი მეთხველი, რომელიც გულისყურს
მადევენებს უოვლე სტრიკონს, ქვეტმქსტხ, —
მოდლიანობაში გაოზრების უვლაფერს, დარწმუნ-
დება, სოციალური მოტივი რა მადფრად იგრძნო-
ბა მის მრავალ მოთბრობაში.

„თებროს სოფელი დღესაც პატარაა და დღე-
საც მეზობელი სოფლის სკოლაში დადინა, თებ-
რომაც იმ მეზობელ სოფელში დაამთავრა რვა
კლასი. ისეთი კობტა გოგო დადგა, — ტანმორ-
ჩილი, მაგრამ კობტა, წელში გამოყვანილი,
ტურ-ქილდგაყობალი — მამამის მამწვე მოუ-
დღდენ თებროს მთხოვნელები... ბედალ თუ საუ-
ბედლოდ, ჩამოვიდა ქალაქში გათხოვილი თებ-
როს დედა, — რა ღროს ამის გათხოვებაზე
ლაპარაკია, დაბნელებულებოო. — ჩამკიდა თებ-
როს ხელი, წაიყვანა თავისთან, თბილისში, სა-
მკერვალო სასწავლებელში მოაწყო და ბინა-
შიაც დაიწერა დროებითი“.

ახე დაიწყო ერთი სოფლელი გოგოს ცხოვ-
რება ქალაქში. მისი ცხოვრება კი ტუჰისცალი-
ვით ჰგავს სხვა სოფლელი გოგოების ცხოვრე-
ვას. საკუთარი ოჯახს, გარემოს, ბუნებას მო-
წყვეტილი იმ ცხოვრობენ თბილისში, აღარც
სოფლები არიან, აღარც ქალაქები. „თებ-
როს მამაც საწინააღმდეგო თვალნათლივ ხედავს საკუ-
თარ სიმარტოვეს, მარტოობის ჰაერსაც კი თავის
ირგვლევ და ციებისმგავრად ურცხლა იპურობს“.
თიქვისი უაზრობად ექვა თებროს უკეთესი
დღის მოლოდინი. იგი თითქოს იძულებით ცხო-
ვრობს ქალაქში, უაზროდ, საკუთარი ბუნების
საწინააღმდეგოდ. საკუთარი ბუნება ვერ უაზ-
რო თებროს, მაგრამ იგი შთანთქმა ქალაქში, მიუ-
ჩვეველმა, თავბრულამხვევემა რიტმებში. „სასთუ-
მლოთან უდაგას პატარა ფლაკონებით კორდიამი-
ნი და კატაბალახს წვეთები. ახლა საამქროს
ახალი უფროსი, ბინძური კაცი, მოსვლისთანავე
რომ წაშობაძაბა: — შენაო, რა გვნაო, თბილისში
რატომ არა ხარ ჩაწერილიო, — ელლაბუცება.
ეძალება. როგორც კი პატარა ხაშუალება მიე-
ცემა, აუცილებლად ხელს შეეცლებს, სიმკვრი-
ვეს უხიწავს... უბნის ინსპექტორის უურამდევ
მიადწია, ჩაუტყრავები რომ ცხოვრობენ ეს სოფ-
ლელი გოგოები, და კვირა არ გავა, რომ არ
მოუკაჟუნოს ფანჯარაზე და არ აკითხოს ღრე-
კით: ახა, გაჯანახლოო, თუ... შიტს არაფერს
ამბობს. მაგრამ გოგოები ხვედნიან, გაჯანახლოთ
თუ ჰკითხულობთ რამესო? („თებროს“). გამოუ-
ჩნდება პატარანი ამ დღეში მყოფ სოფლელ გო-
გოებს? ვინ იცის?! მათი ხედი კი წამდვილად
არაა შეხაშური. ამიტომ გვეუფლება უცნაური
ხედავ, როცა მწერალი თითქოს სხვათა შორის
შენაშნავს: „ძალიან იშვიათად ეღიებება („თებ-

რო“), მაგრამ, როცა იღიებება მაშინაც კვეთ-
ტურს კბილებს აკერს და ღრმად ღუნავს, შეეცდები
„დაბლიმებს ტროტუარის პირას ამოსვლას“
ხებს, მაგრამ იმ წამსვე თითქოს რაღაც ხაშწუ-
ხარო ამბავი გაახსენდება და ადრინდებურად
მიენაცრება სახე“.

ამ მოთბრობაში მადფრად აისახა ურთულესი
პრობლემა, რომელსაც ჩვენს ქალაქში უოველ
ნახიჭვე წააწყდება კაცი. მოდიან სოფლიდან,
ტოვებენ სოფელს, ცხოვრობენ დაქირავებულ
ბინებში, უჭირს, ვერ ეგუებიან, უკან, სოფლად
ბრუნდებიან, ვეღარც იქ ეგუებიან. ქალაქში
ჩაიკარგნენ, შთანთქნენ, ხაზმრად სოფელში
არაიან, ცხადში ქალაქში. ეძებენ, ეძებენ და ძიე-
ბახა და მოლოდინში გადის სიცოცხლე. თებროს
სოფელში გამორჩეული გოგო იყო, რვა კლასი
რომ დაამთავრა, „მამამის მამწვე მოუდღდენ
თებროს მთხოვნელები“, მაგრამ ობოლ თებ-
როს ჩამოუვიდა ქალაქში გათხოვილი დედა და
ქალაქის გზას გაუყენა. ვითომ სიკეთე გაუქცია,
„ხალხში გამოიყვანა“ — თებროს კი იქ უნდა
ყოფილიყო, იქ, სოფელში, თავის ბუნებაში.
თავის სოფლებებში და გაეგრძელებინა იმგვარ-
ი ცხოვრება, რასაც მისგან მისივე ბუნება მო-
ითხოვდა. ადამიანები უნებლიეთ ან
შეგნებულად დაურთვენ უაზრობით
ბუნებას. არაბუნებრივად ცხოვ-
რობენ, იწყება გაორება. ბძმლოა საკუთარ
თავთან, ბძმლოა, რომელიც პიროვნების განად-
გურებნით მთავრდება. სოფლის იდილოური ხამ-
უაროდან ქალაქის მორვეში მოხვედრა თავბრულ-
დამხვევია, სოფლის სიმწვიდის მერე ქალაქური
რიტმის მიჩვევა ძნელია, მიიუშვებეს, თუ მთე-
ლი გულით გრძნობ, რომ აქ შენი ადგილი არაა,
შენს საუვარულ საქმეს არ აკეთებ. ქალაქისკენ
მეჭანიკურმა სწრაფვამ დაახსება ჩვენი სოფე-
ლი. ეს გარეგნული ბრჭყვიალება და ფეიერვერ-
კი, რითაც ქალაქი ოზიდავს სოფლის ახალ-
გაზრდობის ცერტაფიკატს, სულ მალე
ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ განცტრის-
ფერდება, გამწარდება მაშინვე. როგორც კი
იგრძნობს მოუწყობელი პირობებით გამოწვეულ
სირთულეს და დედაქალაქში „ბინის დაბქირა-
ვებლის“ ფრთაშეკვეცილ ცხოვრებას. აი, რამ-
დენი პრობლემაა ამ პატარა მოთბრობაში, რომ-
ლის სათაურიც ავტორის მთელი წიგნისთვის
დაურქმევია.

სოფლელი კი, ზოგ სოფელში „უროლები მო-
მრავლდენ, თათარი მოგუნატრება მავათ მაჟუ-
რებელს“. ვინ არის ლაფანა დოდიშვილი? რით
გამოიჩინა თავი, მწერლის რისხვა რომ დაიშხა-
ხურა? ლაფანამ, თურმე, მამის ქელები რომ გა-
დაიხდა, „მეორე დღესვე მივიდა კუზაინთან, —
ეგ კუზაინი ბო იცი, მეზარულდი, საწყალიო.
ავადმყოფი, გაუბედურებული, მივიდა მეორე
დღესვე ლაფანა მაგ კუზაინთან და აი, ესე და-
ადგა, აი, — შენაო, შენი ესე და ისეო, იმ ქე-
ლებში რომ დახქევი და გადაიწყვე ხაშლამის



ლურთები, ხომ არ გგონია, ის ხორცი მუქათო მომცა ვინმემ, ფული რატომ არ დასდოა". შე-
შეწუხებული კუზიანი, წასულა, მეგობლისთვის
გამოლურთმევია თუმანი და მიუცია „დამწურებ-
ნული“ ლაფანასთვის. ლაფანა ახლა სხვასთან
მისულა „ი სუფრის თავს რომ წამომეჩემე, ფუ-
ლი არ უნდა დაგედლო?! ბრეცი მაგას დასდგო-
ნია, მეო, წადი და, ვისაც გინდა, ჰკითხეო, ხორ-
ცი მე არ მიკამია და თევზიო, უკან ამომდის
ცხეთი ყველაფერიო... ბოლოს ბრეცმა უანგა-
რიშა, რაც შეკამა: ცოტა ღობოო, პური, წიწ-
მატი და ნახევარი ბოთლი ბორჯომი, უანგარიშა
და მანეთისა გამოვიდა. ლაფანაჲც, ის მანეთი,
კობტად ჩაიყეცა ჯიბეში. ერთმაც მძისწულის
ცოლს საათი მიაჩთვა ქორწილში. მძისწული
კარგა ხნის მკვდარი იყო, რძალს რომ მიუფარ-
და: „ჩემი შვილიშვილი რომ ჯარში მიდიოდა,
რატომ არ მოხვედი, ფული რატომ არ დასდე,
მაიტათ ჩემი მორთმეული საათი უკანო“. ეს
ორი ამბავი მონაცონა იმასთან შედარებით,
რასაც ნოველის ბოლოს მოგვითხრობს მწერა-
ლი: „ბოძაქე მიწის თხუნელა, ბედლის თავი,
ათი წელიწადი მარტო რუსთავის ბუფეტში
იღვა, დედას არა მარხავდა. ფული მქონდა მი-
ხარბული, დამიშალა, ვეღარა ვპოულობო,
გავარდა ტუეში და სამი დღე იქ იყო, სანამ ის
ფული დამ არ იპოვნა“. ბოძაქემაც ჯერ ის ფუ-
ლი დათვალა, მერე დადგა ჰიბისფულად.

ის ამაზრზენი ამბები, რაც ამ ნოველაშია აღ-
წერილი, ჩვენს თვალწინ ხდება. მწერალი შე-
შფოთებული, გულნატკენი, ხანაც გამეხებული
უამბობს მკითხველს საშინელ ამბებს და და-
ასკვინს: „მე ცოტას ვამბობ კიდევ“.

არა, ცოტას არ ამბობს მწერალი. იგი მოვ-
ლენების პასიური მჭვრეტელი არაა; ნახევარ-
ტონების, მინიშნებებისა და უსაღო ხატვის ოს-
ტატი აქ უკვე თავს ვეღარ იკავებს და გულ-
ნატკენი გგვუბნება: „მე ცოტას ვამბობ“.

აღამიანთა ცხოვრების, შათი ფიქრებისა და
სატკივარის თავისებური, გამორჩეული მხატვარ-
ია რევას ინანიშვილი. ცხოვრობს იგი თავის
ქვეყანაში, ქვეყანა კი თვითონვე შექმნა, ამ
ქვეყანას რევას ინანიშვილის პროზა ჰქვია.

უცნაურია „შემოქმედის ბედი“, — მან უნდა
შექმნას მთლიანობა, არაფრიდან უნდა შექმნას
ახალი, მხატვრული მთლიანობა, — დასრულე-
ბული, სრულყოფილი სამუარო, რომელიც ალა-
მიანებს გააოცებს, მიიწილავს, თავს წააკითხებს,
ჩაფიქრებს თავიანთ ბედზე, უკეთესი ცხოვრე-
ბისკენ უბიძგებს. რევას ინანიშვილის მოთხრო-
ბები ადამიანს სულს უფაქიზებს, ენას ასწავ-
ლის, მშობლიურ ენას, ისეთ კაცს ასწავლის,
აღრე რომ ეგონა, ქართულს ისედაც ვისწავლი,
რა სწავლა უნდაო, იმასაც, კარგად ვიცოო, რომ
მგონია. მისი ფრაზა ხატოვანია, ზუსტი, მკვეთ-
რი რიტმით წაშენები.

„შემოქმედის ბედი“ უცნაურია, ხევე უცნაუ-
რია, როგორც რევას ინანიშვილის „შემოქმედის
ბედი“ — „სამაგილო რვეულიდან“.

„ორჯერ ხმაშალა მიტარია ჩემი შემოქმედე-
ბის არასწორი შეფასების გამო“. ასე იწვევა
ეს ნოველა. მისი ნახატები ორჯერ შეაფასეს.
პირველად „საშიშში“ კაცებმა, მეორედ კი
მეტველმანემ. ამ ორ, სხვადასხვა შემფა-
სებელს ერთნაირად ჰქონდათ „ტვინი მო-
წყობილი“. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ეგრეთ
წოდებული „შეცდომების პერიოდში“, მაგრამ
ის ორი ხმაშალად წამოტირება უკვალოდ არ
გამქარალა ბავშვის მეხსიერებაში; თუმცა იგი არ
გაბოროტებულა, არ გაავებულა. ხატვა არ მიუ-
ტოვებია, ახლაც ხატავს, ოღონდ შავი ფანქრით
კი არა, ფერადი სიტყვებით.

ბიჭვინთის შემოქმედებითი ხაზლის ერთ-ერთ
ოთახში ვისხედით და გულითადად ვსაუბრობ-
დით. გაშლილ „სამაგილო რვეულს“ შორიდან
შევაველ თვალად, როცა იგი ადგილ-ადგილ მიკით-
ხავდა გამოქვეყნებულ ეპიწოდებს. თვალ
შევაველ და გავოცდი, ნაწერს კი არა, ნახატს უფ-
რო ჰგავდა. სიყვარულით იყო გამოყვანილი ყო-
ველი ასო, ყოველი სიტყვა. სიტყვებს ის სილა-
შაზე გადასცემოდათ, ის მშვენიერება გამოეხა-
ტათ გრაფიკულად, რაც მათ, სიტყვების დაბა-
დებას თან ახლდა.

რევას ინანიშვილის პროზას მრავალი ახალ-
გაზრდა მიმდევარი ჰყავს. ზოგმა თანდათან და-
აღწია თავი გავლენას, დააღწია მას მერე, როცა
ბევრი რამ შეისწავლა და შეითვისა მისი შემო-
ქმედებითი, მწერლური გამოცდილებიდან. ბევრი
ახლაც იმეორებს ინანიშვილის სტილს, მოღუ-
ლებს.

დღის ჩუმი, ფიქრიანი კაცი ჩვენს გვერდით,
თბილისში, მისი აქტიური პოზიცია სიკეთის
თესვაა, ადამიანების და ბუნების სიყვარულია,
მისი აქტიური პოზიცია მწერლური ოსტატობაა
და არა კულისებში ფუტკა კამათი. რამდენი ლი-
ტერატორი მიუახლოვდა სამოც თოფული ხელ-
ცარიელი, ისე რომ მთელი ცხოვრება სიტყვას
ქარს ატანდა და მაგიდასთან დაჯდომა ეწარებო-
და. მან კი ჩუმი, მკაცრი რულუნებით საკუთარი
„შენობა აავო“, ყველასკან განსხვავებული „შე-
ნობა“. მისი შენობის სარკმლები კეთილად იშე-
რიბიან ცისკენ, ზღლისკენ, მთა-გორებისკენ, და
ეს მაშინ, როცა ყველას სადღაც ეჩქარება, რო-
ცა ადამიანებს ერთმანეთისთვის არ სცლიათ.
როცა უღრმოზა თანდათან აშორებს მათ. აღა-
მიანთა დაახლოება, სიკეთით აღვება, გაბორო-
ტებულ, გაუხეშებულ სულთა გაფაქიზება რევას
ინანიშვილის მოთხრობებს შეუძლიათ.

რეგაზ სირაძე

ქართული ესთეტიკის საესოფიკოსათვის

უძველესი კულტი მზისა, „მზეშინა“, „ლილი“ და „რიბა“, დედოფლის მინდვრისა და ლეკვოთარას ანუ თითონ კალღმერთის (სტრაბონი) ტაძრები, სვანური ლემი და ზოგადქართული ბორჯღალი, დალის თმების ნათელი, მითოსური მზის თვალი ვაზის მტევანში, ყამარქალი და უფრო მშტად, მშეკალები და მშეკაბუკები, თუშური მილივნები და დასავლური ჩინილაკი, კოლხური მითოსური რელიქტები მეგრულ ენასა და ეთნოგრაფიაში...

„მონათვლის“ ქართული გააზრება, უძველესი სახე ქართული ჯვრებისა, ჯვარი ვაზისა და „ხვეტიცხოველი“, ქართველ აგიოგრაფთა ანტისოლარული პოლემიკა, „შენ ხარ ვენახი“, „ამირანდარქანაინის“ „მზის ჭაბუკები“, თამარ-IV შიპოსტასის მზიური სახეობა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მზე, დ. გურამიშვილის მზე-თა-მზე, ნ. ბარათაშვილის — „მშვენიერება ნათელია ზეციით მოსული“, მზისა და ნათლის ტროპიკა გალაქტიონის პოეზიაში, — აი, ზოგადად ის თვალსაწიერი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქართული სხისნიმეტყველების საფუძველზე საფუძველია მზისა და ნათლის ესთეტიკა.

ქართული ესთეტიკა მთლიანობა, მრავალფეროვნების მთლიანობა. მისი ერთიანობის განსაზღვრელია მისივე ეროვნული შინაარსი და მხატვრული განსაზღვრების ზედრთული ბუნება. კონკრეტულ დროში აღმოცენებული და შემდგომ მრავალჯერ და მრავალჯერად ფორმირებული ამირანის ან ნესტანის სახეები ზედრთულიცაა. მათში განუყოფელია კონკრეტულდროული და ზედრთული. ამ მხრივ, ზელოვნება ენის ემგავსება. ენის ფუნქციაც უკველთვის დროითა და გარემოებით განსაზღვრება, მაგრამ ენა ზედროულიცაა და არ შეიძლება არ იყოს ზედროული. ენაშიც თანაარსებობენ სხვადასხვა ეპოქის ესთეტიკური პლასტები, ზეირად ენის ძველი ფორმები ახლებური ესთეტიკური ფუნქციით გაცხოველდებიან ბოლმე.

ესთეტიკურ აზროვნებაში „წარსული“ პირობითი რამაა. „წარსულიც“ ზედროულია ესთეტიკისათვის. აქ დროთა დინება მარტივად როდ

განსაზღვრავს სიძველე-სიახლეს. ამას განსაზღვრავს ყოველი ახალი აწმყოს ესთეტიკური ატმოსფერო. ყოველ დროს თავისი წარსული აქვს. გუშინდელი ზელოვნება შეიძლება გაცილებით მოძველებული აღმოჩნდეს, ვიდრე უფრო ადრეულ ეპოქათა შემოქმედება.

კიდევ რამდენიმე ზოგადი წანამძღვრის გათვალისწინება მოგვიხდება.

ესთეტიკურ ცნებებს თუ კატეგორიებს ორგვარი მნიშვნელობა აქვთ: კონკრეტული-ისტორიული და ტიპოლოგიური. რომანტიკული თუ რეალისტური ასახვა, მოწამეობა თუ რაინდობა, — ესენი შეიძლება კონკრეტული-ისტორიული შინაარსით გვესმოდეს და ერთ გარკვეულ ეპოქას უკავშირდებოდნენ. მაგრამ მათ შეიძლება შეიძინონ ტიპოლოგიური შინაარსიც. მაშინ „რომანტიკული“ ან „რაინდული“ სულ სხვადასხვა ეპოქაში შეიძლება დაიძნოს. ასეთ შემთხვევაში დიპრონოზი და სინქრონოზი ერთმანეთს ავსებს. ისტორიული დიფუზიით გვიანდელმა მოვლენამ შეიძლება ადრეც იჩინოს თავი და პირუკუ. ასე უნდა გავიგოთ ქვემოთ განხილულ სახეთა ურთიერთმიმართება.

განსაზღვრების საში ტიპი

ეპოქათა სახისმეტყველების (ანუ განსაზღვრების) სპეციფიკის ძიებისას ვარჩევთ განსაზღვრების სამ ტიპს, სამი ტიპის სახეს, რომლებშიც ესთეტიკური აზროვნების სამი პრინციპი შეღავნდება: ესენია: I. ეიდეტური სახეები, II. ეიკონური სახეები, III. წმინდა მხატვრული სახეები. პირველთა საფუძველია წარმართული მზის ესთეტიკა, მეორეები — მუსიკურ-ანსამბლური იერარქიაში და მესამესი — სიტყვის უნივერსალიზმი; არსებითად მაინც ყველას მსკვალავს მზისა და ნათლის ესთეტიკა. თითოეული ტიპის სახეს ცალკეული ეპოქის მიხედვით განვიზიდავთ: ეიდეტურს — მითოსური ხანისა, ეიკონურს — ადრე ქრისტიანული პერიოდის და წმინდა მხატვრულ სახეებს — რენესანსის ეპოქის მიხედვით, რადგანაც თითოეული მათგანი მთელი სრულყოფილებით



ამ ეპოქებში გამოვლინდა, მაგრამ ეს როდი ნი-
შნავს, რომ ცალკეული მათგანი მხოლოდ ერთ
ეპოქაში გვხვდება. ისინი ზშიარედ თანაარსე-
ზობენ ხოლმე. ანე რომ, ეს სახეები, ერთის
შხირვ, განვითარების ეტაპებს ასახავენ, ხოლო
შეორეს შხირვ, ესთეტიკური აროვნების, ვი-
თარცა ერთი მთლიანობის, თანაარსებად სამ
ნაკადს.

თ, ეს სახეებიც:

- I. „ზოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ჰქქდა, მიწა გრგვინადა, სული გვიანა ჰხვდებოდა, ჩამოდიოდა ვარსკვლავი, მთვარეც უსულმა დგებოდა“.
- II. „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედგში დანერგული, აღვა სულნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამყო, ვერვინ გგობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.
- III. „მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლია მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან, შაჯდომა სარატანისა, სულთქმნა, რა ნახა ყვავილი, მან უნახაემნ ხანისა“ (1328).

ამ სამ პოეტურ სახეში, ვითარცა სამ მიკრო-
კოსმოსში, ხაში ეპოქა, ხაში მიკროკოსმოსი
ჩანს.

მათ შორის განსხვავება ნათელია, „ზოგაის
მინდი კვდებოდა“ ვერ იქნებოდა ხასულიერო-
ქრისტიანული პოეზია, ისევე როგორც „შენ
ხარ ვენახი“ არ შექმნილა მითოსური ესთე-
ტიკის საფუძველზე. არც რუსთველის ზემო-
შობზობილ სტროფში ჩანს მიწნორგადიული
პოეზიის სპეციფიკური ნიშნები. მიუხედავად
ამისა, ამ სტროფთა შორის არის ბევრი რამ საე-
როთო. სამთავეს ესთეტიკურ შინაარსს სძენს ნა-
თელი, რომელიც თითოეულ მათგანში თავისე-
ბურად ვლინდება. შეფე დემეტრეს ლექსში
 („შენ ხარ ვენახი“) მითოსური მზე არა ჩანს,
მაგრამ ჩანს ხატისებური („ეიკონური“) მზე,
რომლის „სულიერი სხივებით“ გაბრწყინებულია
„ვენახი“ ანუ ვაზი, თავად ხატი ღვთისმშობლი-
ხა. რუსთველის სტროფში ასტრალური მზეა.
ის აღარა ჩვეულებრივი ხატი („ეიკონური“
სახე). ის სიმბოლოა სულიერი განწყობილებიხა.

ამ სახეებში ჩანს ზოგი რამ საერთო. უფრო
შეტად კი განსხვავებანი. ასეთ საფუძველზე
მიზანშეწონილობით წარმოდგება კითხვები: რა
ქმნის ქართული ესთეტიკური აროვნების სპე-
ციფიკაზ? როგორია მიხი გამოვლენის თავისე-
ბურებანი?

წინასწარ განვმარტოთ ქართული ესთეტიკის
აროვნების ჩვენს მიერ გამოყოფილი ხაში
ნაკადის (თუ — განსახოვნების ხაში ტიპის) ზო-
გადი რაობა.

1. მზის ენთიმებიკა. მზის ესთეტიკა წარმარ-
თობის ხანაში, უფრო ზუსტად, მითოსური არო-
ვნების წიაღში ისახება. ამგვარი დაზუსტება იმ-
იტომაა საჭირო, რომ მითოსური განსახოვნება
მხოლოდ წინაქრისტიანულ ხანაში როდი გვხვდე-
ბა, მან ყოველთვის შეიძლება იჩინოს თავი.
არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რო-
დის შეიქმნა „ზოგაის მინდი“. რომელ ეპოქაში-
აც არ უნდა შექმნილყო ეს ლექსი, მთავარია,
რომ ესაა მითოსური აროვნების გამოშხატე-
ლი. ამიტომ ეს ტიპილოგოგურად მითოსს დ:
ძითოსის ზანას განეკუთვნება. ეს არის არსე-
ბითი. ამგვარი განსახოვნებას საფუძველია მი-
თოსური მზის ესთეტიკა.

მითოსური მზის ესთეტიკა პლასტიკურ გან-
სახოვნებას გულისხმობს, ანუ პლასტიკურად
აღსაქმელი ისეთი სახეების შექმნას, რომელ-
თაც ესთეტიკურ შინაარსს მზე ანიჭებს. „შიუ-
რობაა“ ასეთი პლასტიკის ესთეტიკური შინა-
არსი. უშუოდ ისინი საზეობრიობას დაკარგავ-
დენ. მითოსი სწორედ მათი მშორი გამშვენი-
ერებით ვლინდება. მზეა მათთვის მშვენიერების
მიწნიებელი. ასეთია „ზოგაის მინდის“ შინა-
არსი, თავისი პლასტიკურად აღსაქმელი სახეე-
ბით.

ამგვარ სახეებში ე. წ. ეიდეტური ესთეტიკა
ვლინდება, რადგანაც მათი აღქმა ხდება უშუა-
ლო ხედვით, საგნობრივი რეალობით (და არა
მიღმურ კანონზომიერებთა „ხილვით“. როგ-
ორც ეს ქრისტიანულ-ეიკონურ ხელოვნებაშია)
ასეთ სახეებში თვთ ესთეტიკურ კანონზომიერ-
ებებს უშუალოდ ვხედავთ. კანონზომიერება
თვთი პლასტიკაშია (როგორც იტყვიან, სული სა-
განშია) და არა მის მიღმა, შორეულ შინა-არსში,
ზოგაის მინდის ვარდაცვალების იღუმალი ში-
ნარსი ჩანს მიმცხრალ, წითელ მშეში. თუ რა-
ოდენ სხვაობს ამას „ეიკონური სახეები“, კა-
რგად შეგვარგანობინებს ძველი ქრისტიანული
ხატების ესთეტიკური ბუნება. მაქოვრის, ვინა
ღვთისმშობლის ხატის შინაარსი მიღმურია და
„წინახაბე“ (ხილული სახე) მხოლოდ შორეუ-
ლად მიუთითებს მასზე. ისევე როგორც ეს
გამოსახულება არ შეიძლება იყოს ღმერთი (ეს
იქნებოდა ეგრძოთაყვანისმცემლობა), ასევე შე-
უძლებელია ხატის ესთეტიკური შინაარსი მის
გრძნობად-ქონკრეტულ რაობაზე დავიყვანოთ.

„ეიდეტური“ სახეებში, როგორც ვთქვით,
რამაზს სირამძმ
პართული ესთეტიკის საციფიკაციკათმის

ესთეტიკური არის თვით პლასტიკაშია. ეს წო-
გალი კანონზომიერებაა. ქართულ განსახოვნე-
ბაში ეილექტური სახეების შინაარსს ქმნის მი-
თოსური მზე და მზის მითოსური ნათელი. ეს
ნათელი კი მზის „სულია“. ასეთი შანიათისაა
წარმართული რელიეფი, ზალთების პლასტიკა,
ორნამენტული დეკორი და ფოლკლორული
სახეები. ასეთივე იყო ქართული დარბაზის
დედაბოძის მზე-ბორჯალი, ან თუნდაც კერიის
ცეცხლი, ვითარცა მზე-ღვთების განსახოვნება,
მისი „პიპოსტაზი“.

ესაა ქართული მხატვრული აზროვნების
(სახისმეტყველების) ერთ-ერთი ძირითადი ფორ-
მა, გამომხატველი მზიური ესთეტიკისა.

მითოსური მზე მხოლოდ ქართულ ესთეტი-
კაში როდი გვხვდება, მაგრამ მზის განსახოვნე-
ბის კონკრეტული ფორმები ქმნის ქართული ეს-
თეტიკური აზროვნების თავისებურებებს.

II. მუსიკური-ანსამბლური იმპარტიზმი. ამ-
გვარი განსახოვნება მეტ განმარტებას ით-
ხოვს.

ამ ტიპის სახეთა რაობა მდინარებაში ნამდვი-
ლდება, ამიტომაც ვუწოდებ მათ მუსიკური ანუ
მუსიკის ტიპისა (და არა — მუსიკალური, მართლ-
აცა, მუსიკის შემცველი. ეს ორი ტერმინი —
მუსიკური და მუსიკალური ქართულშია ცუნდა
სხვადასხვაობად, როგორც ეს სხვა ენებშია).
ასეთი სახეები მედინია, მდინარებაზეა აგებუ-
ლი. მათთვის არარსებითია პლასტიკური მდგრა-
ლობა, მდგრადი ელემენტებიც კი მდინარებაში,
პროცესში იძენენ კემშარიტ მნიშვნელობას.

ამგვრად მათ განვიხილავ ადრეული შუასაუ-
კუნეების მიხედვით, თუმცა მსგავსი განსახო-
ვნება უკვე იდროის ხელოვნებაშია. ასეთია,
მაგალითად, რუსთველური საზე: „ღანა დაიცა,
მოცაკვდა, დაიცა, ვახსხლმდინარდა“. ასეთი-
ვეა — „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ-
მშითი ნაფერი, ელვარებდა ნაპირი სამულაშო
მხარეში“. უნეი არ ბადებს განცდას — „მშვე-
ნიერო წამო, შეჩერდიო“. აქ წამის გამარდიუ-
ლებაც კი დასაძლევია სწორედ მარადიულობი-
საკენ სწრაფვით. მედინობა არმედობა დავი-
ნახოთ ლექსის ევფონიაშიც კი. რომან ინგარ-
დენი ლექსის „მუსიკურ“ რაობას ზედავდა მი-
სივე ჩაკტილი სტრუქტურის ფარგლებშიაც
კი, რაც განცდათა უსაზღვრო მდინარებს შეე-
ფარდება.

მაგრამ მუსიკური განსახოვნება სახეთა უკ-
ველგვარ მდინარებას როდი გულისხმობს. ეს
არაა თანაბარნიშვნელოვანი რიტმული ერთე-
ულების ციკლური მოხავედლობა, რასაც ქმნი-
და, მაგალითად, ანტიკური ტაძრების სვეტნარი,
ანდა, რიტმი წარმართული ფერბულებისა (წოგ-
ჭერ ამგვარი „ანტიკური რიტმი“ ქრისტიანულ
ტაძრებსაც შემოირჩა და ფეოდალური ხანის ქო-

რიგორაფიასაც). აქ მოძრაობა ციკლურ
წრებრუნვითი, და არა ვექტორული: აქ მდინა-
რება უბრუნდება და იმერებს თავის თავს.

მუსიკური განსახოვნებისას სახეები ლაგდება
მიწნობრივი ცენტრის შიშართ. ქართული ტაძ-
რისთვის ასეთი „წინაგობრივი ცენტრია“ მისივე
გუმბათი. ტაძრის უკველი არქიტექტურული
ფორმა ერთ საერთო ცენტრს გულისხმობს.
მსგავსი ტელეოლოგიური ცენტრი აქვს აგიო-
გრაფიულ ოსწულელებსაც, ესაა წმინდანის აღ-
სასრული. მისკენ მიედინება უკველი მოვლენა
და მათ აზრი ენიჭებათ იმ საერთო დასასრუ-
ლისაკენ მდინარებაში.

ამიტომაც სახეთა მსგავსი განლაგებას ვუწო-
დებ მუსიკურ-ანსამბლურ იერარქიზმს. ასეთ
შემთხვევაში ცალკეული სახეები ერთ მთლიან
სახეობრივ სისტემას ტელეოლოგიური მდინა-
რებით ქმნიან. მუსიკურ-ანსამბლურ სახეთა
სისტემა შეუძლებელია ამოწურვებოდეს პლა-
სტიკურ სახეთა მდგრადობით. თვით არქიტექ-
ტურის პლასტიკური ფორმებიც კი „მდინარე-
ბასა“ ქმნიან.

ეს მეტადრე გვეთქმის შუასაუკუნეობრივ პო-
ეზიაზე.

უწა-მოლი წერდა: „განსხვავებენო პოეზიას
ბერძნულს, ანდა პლასტიკურს და ახალს, ანდა —
რომანტიკულს, რომელსაც მუსიკურსაც
უწოდებენო“. ეს იყო ზეგელის ეპოქა. მაშინ შუა-
საუკუნეების ხელოვნებას რომანტიკულს უწო-
დებდენ, თვით ზეგელის აზრით, იმით, რომ
„რომანტიკული ხელოვნების საფუძურე სული
ხდება, რომ მისი კემშარობა არ შედევნდ-
ბა ზორცილებში ჩაძირვით. პირიქით, სული
თავის კემშარობაში რწმუნდება იმის წყალო-
ბით, რომ განწოვრება გარეგან სტიქიას და
მთლიანად შეერწყმის თავის თავს და გარე-
სინამდვილეს მიჩნევს მისთვის შეუხაბამო უკ-
ფიერებად“.

ამ განმარტებით იხილ ჩანს, რომ შუასაუ-
კუნეობრივი განსახოვნება ეპიკურია, ბატი-
სებურია, რამეთუ მისი კემშარობი შინა-არსი
გარეგულად არა შედევნდება, არმედ მულ-
მურია და დაფარული.

აქ სულის ფორმაც კი სულია. სხვაგვარად:
სახეთა ფორმა სულიერებაშია. სახვითი ფორ-
მები, არქიტექტურული იყო, გინა ფრესკული,
არსებითად პლასტიკით არ მნიშვნელობს. პლა-
სტიკაც კი უნდა გასულიერდეს ჩვენს შემეცნე-
ბაში, უნდა მოხდეს მათი დემატერიალიზება, ანუ
„განსახება“ — საგნობრიობისგან განტვირ-
თვა. ამდროინდელი მხატვრობა ისხადა პა-
რადოქსულ მიზანს: დაიბატოს ადამიანის სული.
სული კი უნდა გამოსახულიყო სულიერივე
ფორმებით. ამგვარი ესთეტიკა ითხოვს: როცა
ვუყურებთ ღვთისმშობლის ფრესკულ სახეებს,
ღვთისმშობელი ოდენ ამ გამოსახულების ფარ-
გლებში არ უნდა წარმოვადგინოთ. იგი ჩვენივე

ფანტაზიით უნდა აღვახვოთ მიღმური შინაარსით, ამ შემთხვევაში ესთეტიკური შემცენებაც კი „მუსიკურია“ ანუ შედინია სახიდანაა პირველსახისაკენ.

და რაც მოვარია: ამგვარი სახეების შემცენება ხდება როგორც სვლა სინათლის ხარისხობრივად ზეაღმაველი საფეხურებისკენ. მუსიკურ-ანსამბლურია სინათლის იერარქია. მხატვრული სახეები საფეხურებისადაა გვახლოებს დიდ ნათელთან. მთელი სამყარო სახეების სისტემაა. ისინი ერთმანეთს აირეკლავენ როგორც სარკეები. ესაა კოსმური ნათლის საფეხურებისთვის გადაცემა სახეებიდან სახეებამდე, ხელუღ სახეებში სინეტივა, მიღმურსა და უბილაჯშია კეშმარტი სინათლე, ეს ნათელი კი უნდა ვიხილოთ ბნელში.

ნათელის იერარქიის პრინციპით შეესაბამება ყოველი ცალკეული სახე, ან სახეთა სისტემა, ვითარცა მიკროკოსმოსი, სახეთა ზეციურ წყობას, ვითარცა მაკროკოსმოსს. ასე აირეკლავს ამქვეყნიური იერარქია ზეციურს (ფხვედლოდისონიე არეპაველი). ასე უკავშირდება ერთმანეთს სახეთა მუსიკურ-ანსამბლური სისტემები და ნათლის იერარქია.

III. სიტყვის უნივერსალუმი. „სანამ ესთეტიკა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, არ არსებობდა ისეთი რაიმეც, რაც არ იყო ესთეტიკური“ (ს. ავერინცევი). — ეს სიტყვები ედება ანტიკურ ხანს და შუახაყუნებს. რენესანსის ხანიდან თანდათან გამოყოფა საკუთრივ ესთეტიკურის სფერო, ესთეტიკურში შეიძინა თვითმპარი მნიშვნელობა, გამოცალკევდა „ტიქნი“-ხელოსნობა და „ტიქნი“-ხელოვნება.

ხად გამოვლინდა პირველად საკუთრივ-ესთეტიკურ ფენომენად გადაქცევა ან თუნდაც—აქეთენ სწრაფვა?

შეიძლება აქ დავგვსახელებინა ანტიკური ქანდაკებანი, რომლებიც ფუნქციადაკარგულნი შემორჩნენ შუახაყუნებს და მხოლოდ რენესანსა ააღორძინა ისინი, ვითარცა ხელოვნების ძეგლები. იგივე ითქმის წარმართულ არქიტექტურაზე. თავისი ლევისსახურებითი ფუნქცია მან დიდი ხანია დაკარგა და რენესანსის ხანა მხოლოდ წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით შეიძლება დაინტერესებულიყო ანტიკური ტაძრებით. მაგრამ ყოველივე ეს მინც წარსულის ათვისებას შეეძება. სხვა ახალი დროის შემოქმედებაში გარკვევა.

ქართულ სინამდვილეში მხატვრულ აზროვნებაში რენესანსული გარდატეხის ყველაზე ნათელი მარკენებელია „ეიკონური“ სიტყვის ნაცვლად მხატვრული სიტყვის დამკვიდრება. მხატვრული სიტყვა დემიურგად იქცა. სიტყვა თავად ქმნის ახალ სინამდვილეს, მხატვრულ რეალობას.

ამას წინ უძღოდა გარდამავალი საფეხური, რომელიც გამოიხატა ქართველი მხეობების

(ჩახრუხადისა და შეთელის) სიტყვისადმი დამოკიდებულებაში. მხეობები შეეცადნენ სიტყვის გამოშხატელობით ძალის მაქსიმალურ გამოვლინებას, მაგრამ ეს ხდებოდა იმ მიზნით, რათა უზენაესი იდეალების წინაშე სიტყვის უძლურება ეჩვენებინათ. ამიტომ მხეობებთან სიტყვა არსებითად შიაც ეიკონურია, მას ჯერ კიდევ არ აქვს გამოკვეთილად თვითმპარი მნიშვნელობა, თუმცა უკვე ისახება საამისო ტენდენციები.

ეიკონური სიტყვიდან მხატვრულ სიტყვაზე გადასვლა საბოლოოდ რუსთაველთან ხორციელდება.

ეიკონური სიტყვა ეფარებოდა სინამდვილეს, მხატვრული სიტყვა კი თავისთავადი მნიშვნელობით მნიშვნელობს, ეიკონური სიტყვა მხოლოდ სიმბოლოა მიღმური სინამდვილისა, მხატვრული სიტყვა უშუალოდ შეიცავს მხატვრულ სახეს.

ეიკონური სიტყვა ისტორიულად კონკრეტულ დროში არსებულ მოვლენას ედება (ასეა აგოგრაფიაში), მხატვრული სიტყვა კი გამოწავს, ე. ი. ახალ სინამდვილეს ქმნის. ამიტომაც ითვლება ამგვარი სიტყვა დემიურგად. ქართული სახისმეტყველება არსად ისე მძლავრად არ გამოვლინებულა, არც მხატვრობაში, არც ზურთმომძღვრებაში და არც სხვა რამ დარგში, როგორც მხატვრულ სიტყვაში. მხატვრულმა სიტყვამ შეირწყა განსახოვნების ყოველი ფორმა და ყველა ძირითადი პრინციპი, რუსთაველის ხანაში უკვე ფრიად ნათლად ჩანს ეს. სიტყვა მაქსიმალურად მოიხილური გახდა. როცა ძველი ლექსისი მოდელირება არა კმაროდა, დაიწყო მანამდე უცხო სიტყვაქმნაობა.

მზის ესთეტიკა

ბართული ჩუპურთმა, ვაზი, ძაღვის თმა და მზე — ამგვარად ამ ოთხ სახეს ვირჩევ განსახილველად.

განსახოვნების სხვადასხვა ფორმებში თითოეული ამ ოთხ სახეთაგანი თავისთავადი მნიშვნელობისაა, მაგრამ ესენი შეიძლება გამოვიყენოთ სახეთა გარკვეული ტიპების სახელმძღვანელებად: ჩუპურთმა შეიძლება ჩაითვალოს იდეოგრაფიული მნიშვნელობის სახეთა გამოხატულებად, ანდა — გეომეტრიზებული პლასტიკის პარადიგმად, ანუ სახე-ნიმუშად, ვაზი ბუნების მოვლენათა და შინაგანი სისავსის სიქარების გამოხატულება, ძაღვის თმა საკრალური შინაარსის მქონე სახეთა მაგალითია, ხოლო მზე კონკრეტულისა და უზოგადების მოლიანობის სახე-იდეა.

ასე რომ, ჩუპურთმა, ვაზი, თმა და მზე, —

რამაზ სირამა

ბართული ესთეტიკის საციფიკისათვის

კონკრეტული სახეებიც შეიძლება იყოს და სახეთა ტოპოლოგიური ჩგუფების სახელდება-
ნიც. ტოპოლოგიურ მნიშვნელობას მათ მტა-
ფორული გააზრება ანიჭებს.

ასეთ შემთხვევაში მტაფორულობა გაუ-
გებრობას არა ბადებს. პირიქით, ამგვარ მოვ-
ლენათა აღსანიშნავად შედგმტად მკაცრი და
ფსევდო-აჟადემიური სიზუსტე სწორედ იმას
იბზოვს, რომ გაცნობიერებულ გვქონდეს სი-
ზუსტესთან შესაძლებელი მიაზლოების ზღვა-
რი, თორემ ტერმინებს იმდენად შექსიშაღური
და ზუსტი დეფინიციები მოვზავიეთ თავს, რომ
ზშირად უტურეაქციას ვაქვდებით. სიტყვამ
დაჯარგა სილაღე, — მზატრულ თავისუფლენ-
ბას როდი ვგულისხმობთ, — დაჯარგა აზრის
სიღრმისეული და რეფლექსური ნიუანსირების
უნარი და „სააზროვნო ტექნიკის“ მონად იქ-
ცა, აზრობრივი სიღრმებისაჟენ სწრაფვა ცნე-
ბა-ტერმინების ნორმირებულმა კომპინაცი-
ებმა შეცვალა, ამიტომაც დღეს ზშირად ირ-
ჩევენ მტაფორული ტერმინებისაჟენ მიბრუ-
ნებას უტოლოთშიაც და რუსეთშიაც. შემთხვე-
ვითი რაღბა, რომ მ, ბაბტინი კატეგორიულად
აფუძნებდა „პოლიფონიური ხასიათების“ სა-
მოდ მტაფორულ ცნებებს. აღარას ვამბობთ
„ახალი კრიტიკის“ (გ. ბაშლიარისა და სხვენ-
ბის) მტაფორულ ტურმინოლოგიაზე, როცა
ემპედოკლეს ოთხელემენტოვანი ონტოლოგიის
ცნებები (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი) ადა-
მიანთა მზატრული სახეების ანალიზისთვისაა
მოხმობილი. კ. დღევი-სტროსის აზრით, ფრო-
იდის თეორია ოიდიოსის კომპლექსზე თავა-
დაა ერთ-ერთი იერსახე ოიდიოსის მითისა.

დიდად საყურადღებოა მარკნულ კულ-
ტურულ-ისტორიულ მოვლენათა მოაზრება
მარკნული კულტურის ფენოგენეზი მიხედ-
ვით. ვფიქრობთ, შეიძლება ესთეტიკური კატე-
გორიის მნიშვნელობა შევამოთ რუსთველურ
„შოიან ღამეს“, „შოიანი ღამე“ შეიძლება ეწოდოს
მზატრულ სინამდვილეს არა მტაფორულად,
არამედ ამ ტერმინის ანტიფონიური შინაარსით:
მზატრული სინამდვილე ვითარცა სიცხადისა
და შეუსწოვლობის მთლიანობა, ქართულობა
ამგვარი ტერმინებისა, არ ნიშნავს ცნების
ოდენ ქართულობას. უმთავრესია ქართული
ადაპტაცია ამ საყოველთაოდ ცნობილი წარ-
მოდგენის (მ. გიგინევილი). ძალზე საყუ-
რადღებოდ იყენებდა ამ გზას იაღე პეტრიწი,
როცა სამების ერთიანობის ზოგად შინაარსს
სამშინანი ქართული სიმღერით ამტკიცებდა
(შზარ, ფირ, ბამ). და მასვე უკავშირება მზის
სამსახურებას (დისკო-ნათელი-სიბთბ).

1. ქართულ რამურმამში არის ერთი მთა-
ვარი ხაზი, რომელიც ვაზის მიმობრას გვაგო-
ნებს. იგი დაიუვანება ძველი ქართული ასომ-
თავრული „ჰარის“ მოზაზულობაზე (S). ამგ-
ვარი ხაზი ორნამენტულ მოტივად იჩენს თავს

ჭერ კიღე უძველეს ძეგლებზე: ბაღთების
არშიებზე, რომელთა ცენტრში ირმებია, შეკე-
რღზე მზის ნიშნებით, S-ის მომარგვლებულ
ბოლოებში სპირალისებური „მზეების“ ჩახა-
ზული. ამგვარი ნიშნები ზან ერთმანეთის გვე-
რღგვერდაა, ზანაც ერთმანეთზეა გადაბმული.
S („ჰარი“) — ნიშანი აღმორჩილია მცხეთის
ერთ-ერთ ანტიკურ სტელაზე.

ქართული ჩუქურთმის აღნიშნული მოტივი
ფართოდაა გავრცელებული შუა საუკუნეების
ორნამენტში. იგი „კლასიკური ხასიო“
გვხვდება: ნიკორწმინდის, სამთავროს, წულრუ-
ღამების, ფიტარეთის და ქვათხევის ტაძართა
ჩუქურთმებში, ბეჟა და ბეშქენ ოპიზართა ქე-
ღურ ორნამენტებზე, ან დავით აღმაშენებლის
სამოსის დეკორზე (გელათის ფრესკა)...

ჩუქურთმებში ძალზე ზშირად S-ის მოზა-
ზულობა ვაზის ფოთლებითაა დამშვენებული.
ეს კი, ბუნებრივია, საფუძველს ქმნიდა ქარ-
თული ჩუქურთმა ვაზის სიღამაზესთან დაე-
კავშირებნათ, ქართულ სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში დღემდე მხოლოდ ამ მოტივის საფუ-
ძველზეა დაკავშირებული ჩუქურთმასთან ვა-
ზი.

ყოველივე ეს გვკარნახობს, ქართული ჩუ-
ქურთმის ორნამენტის ძირითად მოტივად S-
ის მოზაზულობა მივიჩნიოთ და იგი ვაზის მო-
ძრობის, მისი მიმობრის გეომეტრიზებულ
მოტივად ჩავთვალოთ. S ანუ „ჰარი“ ვაზის
გრაფიკული ნიშანი უნდა ყოფილიყო, თანაც
ეს შეიძლებოდა და უნდა მომზადარიყო იმთა-
ვითვე, აზნანის წარმომზამდე, მაშინ S ანუ
„ჰარი“ ვაზის ზოგადი გამოზატრულია იქნებო-
და. ეს არის ჩვენთვის არსებითი.

S („ჰარი“) ნიშანი ქართულ ჩუქურთმაში
აფიქსირებს განსახოვნების გარკვეულ ექსტე-
ტიკურ პრინციპს, S ამ პრინციპის გრაფიკუ-
ლი ნიშნად, რას აფიქსირებს S-ნიშანი?

S — ნიშანი ვაზის მოძრობაში მზიურ
ძალას, ვაზის მზიურობას გამოზატავს და ამი-
ტომაც იგი ორნამენტშიაც მზის გრაფიკული
ნიშანია.

S — ნიშანზე დამყარებულ სახეებში მზეა
გამოზატრული.

იმთავითვე შევნიშნავთ: ასეთი სახეები სი-
ნამდვილესთან მიაზლოებას კი არ ესწრაფვის,
არამედ ცდობებს მისგან დაშორებას, რათა
მხოლოდ პირობით ფორმებში გამოზატოს სი-
ნამდვილის არსი (გვიხსენოთ, რაღედ „არა-
რეალისტურია“ ქალის და კაცის უძველესი
მცირე ქანდაკებანი, სამაგიეროდ, აქ პირობითი
ფორმებით რელიეფურადაა ნაჩვენები ქალუ-
რი და კაცური ნიშნები), როცა სურთ პოეტურ
სახეებში ჩანდეს მზე და ადამიანი, იქმნება
მითოსური ლექსი „ზოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა“. ჩუქურთმაში
მზე ვაზის მიმობრის ფორმით შემოღის (არა:

მოულოდნელი, რომ ამას უფრო გრძობდეს პოეტის თვალი: „გუნებით დამპარგავი გრძნულ ჩუქურთმებით, ქარვით დამპარგავი ნაწი შუქურთმებით... ხვეულთ ღიაღმა ვხედავ რა უხვია, დრომ მას დიბადმამ კრძალვით შეუხვია“. აქ ერთ წარმოდგენაში მთლიანდება: ჩუქურთმა, თმები, ნათელი და დიდივე. ამიტომ რომღენ მტაფორულადაც არ უნდა გვეჩვენოს გალაკტიონის სიტყვები: „ვიწაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“, — მათში არის სრულიად რეალური აზრი).

ქართული ჩუქურთმის ორნამენტი ვაზის ხაზით მზეს აფიქსირებს, S — ნიშანი ვაზის მზიურობას გამოხატავს. მსგავსი ნიშანი მზის გამოსახატვად მართო ჩვენში როდღე ყოფილა გავრცელებული, მაგალითად, იგი გვხვდება ბერძნულ ორნამენტში.

მაგრამ ქართულ ორნამენტში S—ნიშანი არ უნდა ყოფილიყო უშუალოდ მზის გამომსახველი, როგორც ბორჯღალი ან სვასტიკები, არამედ სწორედ ვაზისა და ვაზის მზიურობისა. რომ S—ნიშანი არაა ბორჯღალისებური სვასტიკისებრი უშუალო გამომსახველი მზისა, ამას გვაფიქრებინებს რამდენიმე გარემოება. ქართული კლასიკური ჩუქურთმის მოხაზულობაში ჩართულია ხოლმე ვაზის ფოთლები (მაგალითად, ოპიწართა ქედურობაზე, სხვა მრავალ ჩუქურთმაზე, დავით აღმაშენებლის ფრესკაზე და ა. შ.). და კიდევ: დარბაზის დეკორატივზე მზის უშუალო გამომსახველია ბორჯღალები (მზის სხივებიანი წრეები), ხოლო მისი მაგვარი მოხაზულობანი მზის მოძრაობაზე მიგვანიშნებს. მზიური მოძრაობა კი შეიძლება და ნახსულიყო ვაზში. ე. ი. S მზიური მოძრაობას გამოხატავს ვაზში, და არა უშუალოდ მზეს, ცნობილი მსოფლიო სიმპათიის კანონის თანახმად, ვაზის „მოძრაობაში“ შეიძლება არაკლიოიყო მზის მოძრაობა, ცხადია, სხვა რაიმეც, მაგრამ მზიურობა ყველაზე მეტად. ნიშანდობლივია, რომ S („ქარ“) ნიშანი არაა დედაბოძებზე. S—ნიშანი მცენარის, ვაზის ნიშანია, დედაბოძი კი თავადაც ცხოვრების ხის სიმბოლო, S მასზე არც მზის ნიშნად შეიძლება იყოს, რადგან დედაბოძზე მზეს ბორჯღალი გამოხატავს.

ამიტომაც, ქართულ ჩუქურთმათა ორნამენტების ძირითადი მოტივი ამიტომ დაყრდნობა S—ისებურ მოხაზულობას, რომ გამოეხატათ ამჟვენიურ მოვლენებში მზიური ძალის არსებობა. იგი ყველაზე მეტად ვაზში დაუნახავთ და მისი მოძრაობის სიმბოლოდ S (ძველქართული „ქარი“) მიუჩნევიან.

ამ სახით შესულა ქართულ ჩუქურთმაში მზის ესთეტიკა, S—ნიშანი ჩუქურთმაში მზის ესთეტიკის თავისებური დაფიქსირება.

აქვე რამდენიმე სიტყვით შევნიშნავთ, რომ

S („ქარ“) ნიშანი ცალკე არა დგას. უძველეს ქართულ ორნამენტში თუ არქიტექტურულ ფორმებში ხშირად გვხვდება იდეოგრაფიული ნიშნები და საკრალური მნიშვნელობის შქონე გამოსახულებანი, ასეთია თავად დარბაზის დედაბოძი. იგი ხომ „ცხოვრების ხეს“ გამოხატავს. ასეთივეა, როგორც უკვე ვამბობდით, მისი მსგავსი მოხაზულობა, მანიშნებელი მზის ციკლური მოძრაობისა.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ძალზე გავრცელებულია ფორმა, რომელიც მოცემულია ასომთავრულ „ღანში“ (0); ორი პარალელური ხაზი თავზე რკალური შეერთებით, ღვთის კარის ნიშანია, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ასეთი ფორმა აქვს ტაძრების კარიბჭეებს და „სარკმლებს“. ამასვე შეესაბამება ტაძრის ძირითადი გამჭოლი ინტერიერისა და საყურთხევის აბსოლუტური გეგმილის მოხაზულობა.

ყოველ ამგვარ მხატვრულ სახეში („ცხოვრების ხის“ ფორმებში, „მზის ორბიტაში“ — „მ“, თუ „ღვთის კარში“—„ღანში“, — მოცემულია განსახოვნების გარკვეული ესთეტიკური საფუძველი. ამიტომ თითოეული მათგანი შეიძლება ყოფილიყო „სახელმძღვანელი“ განსახოვნების ზოგადი ტიპისა. თუ ჩვენ მაინც ჩუქურთმა გამოვყავით, ეს იმიტომ, რომ ის სხვა დიდი სიტყვაში შედის, რომელშიაც უფრო ნათლად ვლინდება ქართული ესთეტიკის ზოგადი კანონზომიერებანი. ამ საფუძველზევე ავიღებოდა ჩვენება კავშირებისა განსახოვნების სხვადასხვა ფორმებს შორის.

II. პუნ. მითოსის ხანიდან, როცა უმთავრეს ღვთაებად იქცა მზე, მას ამჟვეუნად თავისი სწორფერნი ბუკვდა. ისევე როგორც ნადირთა შორის მზის „წილი“ ანუ ხვედრი იყო ღმობი, მცენარეთაგან ვაზი ჩაითვალა მის სწორფად. ამდენად, ვაზი ღვთაებრივ მცენარედ მიიჩნეოდა. ქართველთა წარმოდგენით იგი იყო „სიცოცხლის ხე“, ნაყოფიტრების სიმბოლო.

არაბული ასტროლოგიური ტრაქტატის ქართულ თარგმანში, რომელიც ქრისტიანულად აღწერილია, წერია: „ლომისა ბურჯი მზისა სახლი არს, ცეცხლისაი არს და მის ცეცხლისაი, რომელ ქუასა შიგან არს... ხეთაგან, რაიცა დიდნი და მაღალნი არიან“ (ეტილო და შვილთა მათობათაგის, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1975, გვ. 22). ასეთი გაგებით, მზის წილი შეიძლება ყოფილიყო ის მცენარეები, რომლებიც, ახე ვთქვათ, „ფიზიკურად“ სხვაზე მეტად მისწრაფვიან მზისკენ და ამიტომაც არიან ისინი „დიდნი და მაღალნი“. აქ ცალკე დგას ერთი ფრაზა: „ცეცხლი, რომელ ქუასა შინა არს“. ეს უკვე პოეზიაა. ეს ცეცხლი ყოფილა ღმობის ზოგადი ქარული სახისმეტყველება ასეთივე „ცეცხლს“ წარმოიდგენდა ვაზში,

რამაზ სირამაძე

ქართული ისტორიის საპეცივიკისამთხვის

ცდეს, თავისთავში ვერ დასატყვევებს და მშიურად გამოამახვილებს. ამ აზრითაა ვაზი მზის „წილი“ ანუ „ბედური“.

ქართველ ქრისტიანულ წარმოდგენაში ვაზი „სამოთხის ხედი“ იქცა, საკმარისია გავხსნენოთ ცნობილი რელიგიური ანანურის ტაძრის დასავლეთ კედელზე, საერთოდ, ხშირია ვაზის მოტივი ქართული ტაძრების დეკორაში, სვეტიცხოველზე, სამთავისზე და ა. შ.

უველგან ჩანს, რომ მზის ძალითაა აღვსილი ვაზის ტანი, მისი მიმოხრა. ვაზი უველაზე მეტად განიცდის და შეიწოვს მზეს. მზის ძალი ვაზიდან ღვინოში გადადის. მტევანი და ტანი ვაზისა მზის ძალას ქალღირსი სიუვარულით განიცდიან. ამიტომ ვაზი ქალურ საწყისს გამოხატავს, მზე — კი ვაჟურს. მზიური სიუვარული ძალითაა დაგრებილი ვაზის ტანი და ამავე ძალით ეტმასუნება იგი ჭიკვოს. ეგვიპტეშია მისი სილამაზეს. ამიტომ იყო მიმზიდველი ვაზის მიმოხრა და ამიტომაც დაამსგავსეს მას ქართული ჩუქურთმა, ჩუქურთმაში ვაზის სილამაზე ჩააწნეს. მისი „იდეოგრამა“ გამხდარა S (ჭარი), გამოხატველი ვაზის მიმოხრისა, ამ გზით S იდეოგრამა გამოხატავს მზის ესთეტიკას.

ქრისტიანობაში მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. განსახიფების ძველი ფორმები გამოიყენა ვითარცა არქიტექტონი და ახალ ესთეტიკას შეურწყა, ქრისტიანობა არა ცნობდა არც საკუთრივ მზისა და არც საკუთრივ ვაზის თავიანთსებებს. მაგრამ ქართულ ესთეტიკაში შეუძლებელი იყო არ დაშკვიდრებულიყო საკუთრივ მზისა და საკუთრივ ვაზის სილამაზე და ამიტომაც ჩააწნეს ჩუქურთმაში ვაზი, ვაზისა და მზის ესთეტიკა საბოლოოდ დაამკვიდრეს. საცა ვაზი იყო, იგულისხმებოდა მზეც. ხშირად ვაზის მიმოხრით მოწონული ქართული ჩუქურთმა მზის თვალსა მკვად.

წარმართულ წარმოდგენას — უორძინს მარცვალში მზე იხედებო, — ცვლის ქრისტიანული სიმბოლიკა: „მე ვარ ვენახი და მამაი ჩემი მოქმედი არს“. დ. გურამიშვილი წერს: „ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა ზედ გამოობა კარგი უორძინი“. აქ უორძინია ქრისტიკ, ხოლო „სულია ღვინო კეთილი“, ამგვარი განსახიფების წინა პლანს, წინასახეს ქმნის „მოქმედი“, ვენახი, უორძინი და ღვინო და ესენი მიმართებიან უმაღლეს საღვთო იდეებს. ღვინო „სული წმინდაა“, რომელიც ევკარისტიაში შედის, მასსადაღმე, ისაა უმაღლეს ნაიელთან მაზიარებელი. ღვინო — „სულიწმინდა“ და ქრისტიკ შეენაცვლა ძველ მიმართებას ვაზი — მზე, ამას საქართველოში მითოსური ძირები ჰქონია, ცნობილია, რომ ახალქალის სადღესასწაულოდ, რომელიც მზის მობრუნებას უკავშირდებოდა, ვაზისაღმე მიძღვნილ საწესოს ასრულებდნენ. ვაზის განდიდებით ვანადიდებდნენ მზეს.

ვაზისა და მზის ერთიანობა ღვთისმშობლის მიმნიაც შეესულა. ჩვენ დასაწყისშივე მოვიტანეთ „ავე მარიას“ ციკლის ცნობილი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

ეს იამბიკო იწყება „ვენახით“ (ვაზით) და მთავრდება მზით, მისი პირველი სტრიქონია — „შენ ხარ ვენახი, ახლად აღუვალებული“, ხოლო სულ ბოლო სტრიქონი — „და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“. „შენ ხარ ვენახი“ და „შენ ხარ მზე“ ერთსადაიმევე პირს ენება. იგია აუვალებული ვენახი და გაბრწყინებული მზე. ვენახი უვავის მზის ბრწყინვალეობით.

დაბოლოს, ამგვარი სახისმეტყველების უმათერესი აზრის შესახებ.

ვაზი სიმბოლიკა იმგვარი მოვლენებისა, რომელიც შეიცავს სიჭარბეს სისხვისა, ანუ შინაგანი ძალით შედგება აღვსილობას. ასეთია ვაზი, მას შინაგანი ძალია მოსჭარბებია, ეს ძალია გადადის ღვინოში, ამავე ძალის დაუტყვენლობითაა დაგრებილი მისი ტანი. ვაზის ტანის მიმოხრა გარედან ზემოქმედებით კი არა გამოწვეული, არამედ შინაგანი აღვსილობის შედეგია. ვაზი თავისი შინაარსის სისხვის სიჭარბით მკავს ღვთისმშობელს. ღვთისმშობლის სისხვის სიჭარბე სწორედ მისი ღვთისმშობლობაა, ის ხომ შინაგანად სჭარბობს თავისსავე აღამიანურ ბუნებას იმით, რომ მასშია და მისგან იშვება ძე-ღვთაბა, „მზე სიმართლისა“.

ამგვარადვე შეიძლება ვაზისაღმე განიხილოთ იყო ვაზიც და მზის ეძლეოდა მას სახისმეტყველებითი მიწვევლობა, სხვაგვარად კი „უშუალო თავიანთსება ბუნების საგნებისა, ბუნების კულტი და გაფეტხება ჭერი კედევ არაა ხელდასვენება. ხელდასვენების პირველი ქმნილებებია მითოსური სახითისა“ (მეგლი).

დასასრულ, სისხვის სიჭარბით გამოწვეული ვაზის მიმოხრაში ანთროპომორფული ასპექტის შესახებ: ვაზის მოძრაობის ჩუქურთმისეულ პლანტიკაში, თითქოსდა, პირდაპირ არ გამოხატება აღამიანის მიერ საკუთარი სხეულის განცდა, მაგრამ ის მინც აღამიანის ტანის მოძრაობას მკავს, რადგანაც აქ შინაგანი ძალისმიერი მოძრაობა ჩანს. მოჭარბებული ძალით ვაზი არა მხოლოდ იზრდება, არამედ მისი ტანი იკრინება და აგრებივად ეტმასუნა ჭიკვოს. ამგვარი მოძრაობის „კოლია“ სწორედ S („ჭარი“), იგი მზიური მოძრაობის სქემაა.

შემდგომში, აღბათ, უფრო ნათლად გამოვლინდება ბევრი რამ სურთო ქართული ჩუქურთმისა და ქართულ ციკვას შორის, გამოვლინდება მათი აზრობრივ-ემოციური ექვივალენტები ქართულ ლექსში, მაშინ უფრო ნათლად შესაგრძობია გახდება, რომ „ენობრივ შინაარსში და ბეტრებში არა არის არა, რაც მანამდე არ უყოფლობს ჩვენზე ტანის დინამიკურ მოქმედებაში“ (ვ. პეინიცი).

ჯოჟოლას სახე „სტუმარ-მასპინძელში“

„სტუმარ-მასპინძელში“ უმძაფრესი კოლიზიაა მოცემული. „ჯოჟოლა მიმართავს თემს:

„რად სტებთ საუფლო ჩვენს წესსა...“

თემს (მუხას პირით) მიმართავს ჯოჟოლას:

„თემის პირს რომ სტებ, თავხედო!“

თემს „სტებს“ „საუფლო წესს“, ჯოჟოლა — „თემის პირს“.

თემის წევრი დაპირისპირებულია თემს (უველა დანარჩენს, შეიძლება ითქვას, მთელ ქისტოს), თემს კი:

„...რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესით...“

რაში მდგომარეობს ეს წესი? — სიტუაციის მიხედვით „მოსხნას“ ყოველგვარი „ისტორიული“ ადათ-წესი; ასეთია ნება, ამ შემთხვევაშიც, მთელი ქისტეთისა (თემისა). ბუნებრივად დაისმის კითხვები: რომელია სიტუაციაში (კოლიზიაში) მართალი, თემი თუ ჯოჟოლა? რაში მდგომარეობს გმირის ტრაგედია? როგორია ადათ-წესებისა და მხატვრული სიტუაციის ურთიერთობა? სიტუაციაში როგორია დამოკიდებულება ჯოჟოლასი ზვიადურისადმი?

ჩვენს აზრით, ჯოჟოლას „სახე“ მკვლევართა მიერ არ არის სრულყოფილად ამოხსნილი. ტრადიციულად ჯოჟოლას ბასიათის განხილვის პირდაპირ მთავარ სიტუაციაში (თემთან შეჯახების კოლიზიაში) იწყებენ, ამიტომ, ბუნებრივია, მსჭვლოდა თემისა და ჯოჟოლას ადათ-წესებისადმი მიმართებას ეხება ზოლმე, დიდი ადგილი ეთმობა ადათ-წესების (ტრადიციების) გარჩევას, მათს „სავალდებულოებას“, — თითქოსდა მხატვრულ ლიტერატურაში ადათ-წესის თავისთავად განსაზღვრავდნენ გმირთა ხასიათს. სათანადო ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ვაჟას პოემათა კოლიზიები აუვანლია ტრაგიკულ კონფლიქტამდე, ამდენად, პოემები ლებულობენ ტრაგედიის სახეს, ხოლო ტრაგედიებში „არის ასახვა არა მხოლოდ დასტურებულის, არამედ აგრეთვე შიშისა და სიბრალულის აღმძვრელი მოვლენებისა“ (არისტოტელე). ფაქტობრივად ყურადღების გარეშე რჩება ვაჟას ჰუმანიზმის თითქოს უცნაური, მაგრამ არსებითი დეტალი: „მტერიც“ შეიძლება შევუვაროთ და შევიბრალოთ, რაც ადამიანის დიდებუნიერების გამოხატულებაა.

მაგალითისათვის რამდენიმე მკვლევარის თვალსაზრისს მივმართოთ: „ჯოჟოლა სრულიადაც არ ზრუნავს ზვიადურის, როგორც მტრის, დაცვაზე:

„მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავალა“.

როგორც ვხედავთ, ჯოჟოლა ცნობს იმ ადათს, რომლის თანახმად ოჯახიდან გასული სტუმრის მიმართ ძალაში შედის სისხლის აღების მოთხოვნა“ (გრ. კიკნაძე, „ვაჟა ფშაველას შემოქმედება“, 1957, გვ. 72. აგრეთვე წიგნში „ვაჟა ფშაველას ხუთი პოემა“ (წინასიტყვაობა, 1975, გვ. 20).

„ჯოჟოლა საყვედურობს ქისტებს არა ზოგადად იმას, რომ მათ სურთ ზვიადურის მოკვლა (ამაში იგი მათ ეთანხმება. და არ შეიძლება არ დეთანხმოს), არამედ იმას, რომ მათ სწორედ აქ უნდათ გაუსწორდნენ მას“. (გ. ბუაჩიძე, წიგნში „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, გვ. 208).

„ჯოჟოლამ ზვიადური დაიცვა, მაგრამ იცავდა არა კონკრეტულად პიროვნებას, არამედ იდეალს — სტუმარ-მასპინძლობის წესს“ (რ. სირაძე, წიგნში „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, გვ. 382).

ამ მოსაზრებებით პიროვნების ტრაგედი გაირიდან შეტანილად, თავსმოხვეულად ჩაითვა, რადგანაც იგი (პიროვნება) არისო „თემშივე არსებული წინააღმდეგობის მსხვერპლი“ (გრ. კიკნაძე, წიგნში „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, გვ. 21). ამით ჯოჟოლა კარგავს თავის ინდივიდუალურობას, იმას, რაც მასში არსებობს, როგორც ამაღლებული. თუკი „ასეთი შინაგანი შეუთანხმებლობა (წინააღმდეგობა; უ. ჯ.) შესაძლებელია სხვა სახის — და არა მარტო თემურ საზოგადოებრივ წყობილებაში“ (იქვე), მთ უშეტეს, — იგი ერთგვარი ობიექტური მოვლენა ყოფილა და ამიტომაც პიროვნების სუბიექტურ გამოვლენილებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

თემის შინაგანი წინააღმდეგობის დახასიათება და „ამ პრობლემის გაშუქება“ (გრ. კიკნაძე), სწმ იმასმე ნიშნავს, რომ ვაჟა დაინტერესებულია თემის სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. აკი აღნიშნულია, რომ

...ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვაჟს მხატვრული ნაწერების მიხედვით გამოვიტანოთ დანაკვა, რომ იგი თემით, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიით, იყოს დანატრეხებული“ (გრ. კიანად ვაჟა ფშაველას შემოქმედება“, გვ. 80). მკვლევარი, თავისდაუნებურად, წინააღმდეგობაში ვარდება.

აღნიშნულია: „ვაჟას გმირმამისთვის არ არის ცნობილი ადამი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მამის, როდესაც მტერია სტუმრად...“ მაგრამ ჯოჟოლას მიმართ (რომელთანაც მტერია სტუმრად!) ხომ აქვე ნათქვამია: „ჯოჟოლა ცნობს იმ ადამს, რომლის თანახმად ოჯახიდან გასული სტუმრის მიმართ ისევე ძალაში შედის სისხლის აღების მოთხოვნა“ (ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, გვ. 20). მასხადადამე, ჯოჟოლასთვის „ცნობილია ადამი“, რომ, როცა „მტერია სტუმრად“ (ე. ი. „ოჯახიდან სანამ არ გასულია“), სტუმარი ხელშეშებაშია! ეს ორივე იცის: ჯოჟოლა ვაჟა და თამაზს, მაგრამ თემი არ იცავს ამ ადამს იმიტომ, რომ სხე მითითდება სიტუაციაში.

როგორც ვხედავთ, მკვლევართა მიხედვით, გმირის ტრაგედია ადამ-წესების დაპირისპირებულობაში, „წინააღმდეგობაში“ ანდა მათს დაცვასა თუ არდაცვაში მდგომარეობს.

თავისთავად ისმება კითხვა: ნუთუ ჯოჟოლა იმდენად სქემატურია, როგორც გმირი, რომ მხოლოდ ადამ-წესები განსაზღვრავენ მის მხატვრულ სახეს? ნუთუ ჯოჟოლა ნებისმიერი რეალურ-ეთნოგრაფიული ტიპია და მეტი არაფერი?

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პაპას მხატვრული მიზანი „თემის შინაგანი წინააღმდეგობის“, როგორც ტრაგედიის მიზანის, ჩვენმა პი არ არის, არამედ ჩვენმა გმირის შინაგანი ამაღლებულობის, როგორც ტრაგედიის მიზანის. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია მ. კვესელავას ფუძემდებლური დასკვნა: „თემის წევრულულებანი, მითები და ლეგენდები ასახვის ობიექტი კი არ არის მიხთვის (ვაჟასთვის; უ. ქ.) არამედ მასალა დიდი, ზოგადკაცობრიული იდეების გამოსახატავად“ („რუსტური პარადიგმა“ II, 1961, გვ. 118). აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, ადათების „შინაგანი წინააღმდეგობით“ არ შეიძლება გმირის ტრაგიკული მდგომარეობა ამოიხსნას, მეორე მხრივ, ჯოჟოლასგან მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის ადამის დაცვა (თუმცა ეს ადამი თავისთავად ჰუმანურია) არ შეიძლება „ზოგადკაცობრიული იდეების განხორციელებად ჩაითვალოს;

ვაჟას დადებითი გმირები (ჯოჟოლა, ზვიადური, ალუდა, მინდია და სხვები) იდეალური გმირები არიან. ისინი არ ავლენენ უარყოფით თვისებებს. ვაჟას დადებითი გმირი თავისი მოქმედებით არის მისაბამი, იგი იდეალადაა

წარმოდგენილი და ამ იდეალის განხორციელების და ლამაზი იმარტისთვის იმარტის.

ვაჟა ისე ხატავს თავის გმირებს, რომ თვითონვე მოხილულია მათით. „ვაჟა ტკბება თავისი გმირების და მათი მომადრავებელი ვნებების სიდიდით“ (ნ. ნათაძე, „ლიტერატურული წერილები, 1978, გვ. 208) ვაჟა-ფშაველას (იკი კაცობა“) წინააღმდეგობა თავისთავად, ვაჟა „კაცობის არსში“ სილაშავეს ხედავს (მ. კვესელავა „რუსტური პარადიგმა“ II, 1961, გვ. 121). ესთეტიკურია მწერლის მიმართება ჯოჟოლას კაცობის არსისადმი. „ესთეტიკური საგანი რეალაციონისტური წარმოსახვის არის და ამიტომ მის არსში სუბიექტის მონაწილეობა იგულისხმება“ („ესთეტიკის და ხელოვნებისმცოდნეობის საკითხები“ I, 1978, გვ. 19, 20). რეალაციონისტური ბუნებისაა ჯოჟოლა (სხვა იდეალური გმირები), როგორც პაპას ესთეტიკურ-წინააღმდეგობა იდეალი, მასხადადამე; იგი არც „რეალურის ტოლი“, ეთნოგრაფიული „ტიპია“. ამეთივე ხასიათისაა ვაჟასთან ბუნების პეიზაჟი.

სწორად და ნათლად მიუთითა „სტუმარ-მასპინძლობის“ და „ალუდა ქეთელურის“ გმირთა ხასიათის ტრაგიკული არსზე ნოდარ ნათაძემ „მხოლოდ ბოლო ხანებში ითქვა სავსებით ნათლად და გარკვევით, რომ ამ პოემების ნაშთილი თემა არის არა თემური ადამ-წევრები, არამედ ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა, რომელიც თემური საზოგადოების მასალაზეა გაშლილი... ალუდა ქეთელურის“ და „სტუმარ-მასპინძლობის“ ტრაგიკული კვანძს ადამიანის ნების, ადამიანის მორალური წარმოდგენებისა და ცხოვრების რკინისებური აუცილებლობის შეჩვენება შედგენს“ („ლიტერატურული წერილები“ გვ. 206).

ალუდას ტრაგედია დამარტებლად აჩვენა თამაზ ჩხენკელმა წიგნში „ტრაგიკული ნიღბები“. აქ ნათელყოფილია, რომ ალუდა გმობს ამ წუთისოფელში გამოვლენილ კაცთა მტრობის „სისხლიან წერს“, კაცთა კვლის სისხლიან ჩვეულებებს, ხოლო მკვლავის მოჭრის ადამი მხოლოდ ფონია მისი ამ კაცთაგანური ბუნების განოსამუდავებლად.

ამტრად ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ: ჯოჟოლას მიერ სტუმარ-მასპინძლობის ადამის დაცვა მხოლოდ ფონია მისი კაცთაგანური ბუნების გამოსავლინებლად და რომ იმ იცავს ჯიბადაურს, როგორც „მტრს“.

„სტუმარ-მასპინძლობის“ პირველ თავში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთი სტრიქონი წარმოაჩენს ჯოჟოლას ხასიათს: „მისი მკვლავის სისხლი სწყურია“. „ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს, თუ როგორია გადაწყვეტილება“ (არისტოტელე). მეორე თავში, მხოლოდ-ნელად, ჯოჟოლა და ზვიადური ერთმანეთს შეხედებიან. პირველი, რაც ცნაურდება დილა-

ოგის დასაწყისში, ეს არის უნდობლობა. მაგრამ უნდობლობა მყისვე იფანტება და იფანტება ჭოყოლას მხრიდან;

რა ვლინდება ჭოყოლას და ზვიადაურის ურთიერთგამოცანების დილაღში? — ჭოყოლა არა მარტო გულუხვი, დიდსულოვანი და სულგრძელია, არამედ ისეთი გულწრფელი, რომ — გულუბრყვილოც. ჭოყოლა იმდენად გულუბრყვილოა, რომ ზვიადაურს „უკვირს“ კიდევაც.

იდეალის განმახორციელებელი რომ არის, სწორედ ეს საზღვრავს ჭოყოლას ხასიათს; ვუამ თავიდანვე იდეალად „განამზადა“ გმირი; ეს მტკიცდება პოემის ამვე, მეორე თავშიც, ამიტომაც, ასეთი გულუბრყვილო რომ არის ჭოყოლა; მან იმდენად განიცადა ზვიადაურის „ჩივილი“ — რომ ვერაფერი მოკლა და სხვ., — რომ მაშინვე თავისი ნადავლი შესთავაზა, მას ჭერ ვინაობაც არ გამოუთიხავს, თუმცა ზვიადური „ხვესური სჩანს იერიით“ და ეს მაშინ, როცა ჭოყოლას „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია“. მას ხომ სწორედ ხვესურებში უნდა მოეძია ძმის მკვლელი!

ზვიადურმა ჭოყოლა მოხიბლა, — ამ სიტყვის პარადოქსი და კარგი გაგებით. ეს გახაგებია, რადგან პოეტმა ორი იდეალი შეახვედრა ერთმანეთს.

ჭოყოლამ დაარღვია თემში (საერთოდ, მთაში) მიღებული მონადირული წესი, როდესაც თავმოქრილი და „ფეხებჩატყული“ ნადირის წილი ზვიადაურს შესთავაზა; რატომ? — ჭოყოლა ემორჩილება შებრალებებზე და გულუხვობაზე აღმოცენებული გულის ნებას.

პოემის მესამე თავი. ჭოყოლა და ზვიადაური სოფელ ქარევაში შევლინ. ჭოყოლა გულთბილად ეპატუება ოჯახში, მას თავი „იწონება“ სტუმრით და ცოლს — აღაზას მიმართავს: „—აი, სტუმარი მოგვყარე,“

ღვთის წყალობა ჩვენდგება...“

მეოთხე თავში კონფლიქტის შემპარობებელი მეორე კომპონიუტრი (სიუჟეტური) განტოება იწყებს გამოყოფას. ჭოყოლას ხახლში აღმოჩნდება მოხუცი ქისტი მერონგურე, რომელიც იცნობს ზვიადაურს. სოფელში იგი „ენახა ლესავს შხამითა“. მისივე სიტყვებში დახასიათდა ზვიადური, როგორც ქისტიმის მოსისხლე მტერი. ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ ზვიადაურის განსაკუთრებულ „მტერობას“ დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციაში თემის გამართლებისათვის.

ზვიადური „უნდა მტრის საფლავზე დაკლან“, — ასეთია სოფლის გადაწყვეტილება. „გაგზავნენ ერთი მწვერავი“, მას „ვინ იცის, გული სავსე აქვს! გველის შხამით და გველითა“. ეს სტრიქონი და „ენახა ლესავს შხამითა“ მიემართება თემის დახასიათებისაკენ და იგი წარმოსდგება, როგორც უარყოფითი.

მათი საშუალებით (მწვერავი და მწვერავი მერონგურე) თემი ავლენს თავის სახეს: იგი ლაჩარია, გაბოროტებული (და არა საერთოდ ბორკილი) და მშაკვარი.

ჭოყოლა პიროვნებაა, მის ხასიათში უნდა გამოიკეთოს მისი ძალა. ჩვენ ვნახეთ, რომ პოემის პირველ, მეორე და მესამე თავში მან გამოავლინა გულუხვობა, თანაგრძობა (შებრალება), გულწრფელობა (გულუბრყვილოცა). მან ეს თვისებები (გრძნობები) გამოავლინა ზვიადაურისადმი მიმართებაში და გაერთმობიანდა მის პატივისცემაში. თემში თავისი თვისებები: ლაჩრობა, გაბოროტება და მშაკვრობა გამოავლინა ზვიადაურისადმი მიმართებაში და გაერთმობიანდა შურისძიების სურვილიში. მოქმედება იმ გზით მიდის, რომ თემის გაბოროტება (შურისძიების სურვილი) ზვიადაურისადმი უნდა შეიქმნას ხელს თემის ერთ-ერთი წევრის პატივისცემის („ძმონის“ სურვილს) ამბავი პირისადმი.

მაგრამ აქამდე გამოვლენილი ჭოყოლას ხასიათი ჭერ იმის პირობას არ გვაძლევს, ზვიადაურისადმი პატივისცემა აუცილებლად „ძმობის“ სურვილად წარმოვადგინოს; იგი ჭერ კიდევ არაა ისეთი „დიდი ძალა“, რომელიც კონფლიქტს „გაუძლებს“. და აი, მეოთხე თავში ნათქვამია:

„ივანშემს, თვისი სტუმარი მასაინძელს მოსწონს გულითა, კარგი ვუკაცი ეტყობა — ფიცულობს თვის რჭულითა. ეს ერთი ცნობა ხვალ ძმობა, ერთად შევთვისდეთ სულითა“. ის, რასაც ჭოყოლა ახლა „ფიცულობს“, მისი შინაგანი ხმაა, მონოლოგია, გაულის ხმაა, შინაგანი გადაწყვეტილებაა და, როგორც ასეთი, მტკიცე გადაწყვეტილებაა. თემთან შეჯახების მძაფრ სიტუაციაში სწორედ ამ გადაწყვეტილებას არ უღალატა, უფრო სწორად, ვერ უღალატა ჭოყოლამ.

მეხუთე თავი მოულოდნელობით იწყება, — ჭოყოლას „შემკრთალი“ მიმართვით აღაზასადმი: „—რა ამბავია დიაცო? ხმალი მინდა და ხანჭარი“.

მოულოდნელობის გაცნობიერება (რეაგირება) თავის დაცვის ინსტიქტის საფუძველზე დაიწყო („ხმალი მინდა და ხანჭარი“), მოულოდნელობამ დაბადა ჭოყოლას გულში ეჭვი და უნდობლობა.

ჭოყოლას რბელობაში აქცენტი გადატანილია სტუმრის, ოჯახისა და პირადი ღირსების შეურაცხყოფაზე. თემი, ჭოყოლას თქმით, „უნამუსოა“.

ჭოყოლას აზრით, „ბრიყულია“ მათი ქცევა, ამიტომ უმიზეზოა. რადგან ეს ასეა, ასეთი

უშანგი ჯანგირაშვილი
 ჯომოლას სანხ „სტუმარ-მასპინძელში“



„ეკვიპით“, „უმინჯეოლ“ სტუმარ-მასპინძლის საუფლო წესის დარღვევა არ შეიძლება, მის დაცვას „აბსოლუტური ვალდებულების“ მნიშვნელობა ენიჭება. მოულოდნელი სიტუაციის გამო ჯოჟოლას ამ რეპლიკაში მაინცდამაინც არ ჩანს ზვიადურის „სიმათიის“ მხარე, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მან თავისი მასათის ბუნება დაკარგა, უბრალოდ, აქ არ ზღას ამის გამოვლენის საქირება, ხოლო ასეთი მხარე რომ დაეჭირა, არც ვარემოება უშლიდა ხელს, რადგან ჯოჟოლამ ჭერ კედლე არ იცის ზვიადურის მტრობა. თავისთავად სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა კონკრეტულად ზვიადურის დაცვის გზაა.

პოემის სამივე თავში (მეორე, მესამე, მეოთხე) აქცენტი გადატანილია ჯოჟოლას და ზვიადურის ადამიანურ დაახლოებაზე, კერძოდ, ჯოჟოლამ ზვიადურში „კარგი ვაჟაკი“ რომ შეიცვალა (IV თავი), რასაც არავითარი კავშირი არ აქვს სტუმარ-მასპინძლობის წესთან, მის დაცვასთან. ტრადიციული კანონის ამოხსნაპალა ის, რომ ზვიადურის „სიპარბა“ დანაწილდა: ერთი მხრივ, ზვიადური არის „ბრანჯეულმებრძვი“ მძიმარი, მითრამ მხრივ, ზვიადური არის „ბარჩხეულმებრძვი“ სტუმარი. პოემის შექმნის ამოსავალი ფაბულური პირველწყარო: ზვიადურის ვაჟაკობა პოემაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად ვითარდება.

სტუმარი მტერი აღმოჩნდა. ჯოჟოლა მიხვდა, რომ ზვიადური სიკვდილის ღირსი ყოფილა, მაგრამ მან ამ კაცთან ადამიანური ურთიერთობის გულთბილი გზა განვლო, „მშად გახლომის“ სურვილამდე. ეს სურვილი მის გულში სრულიად ახალია. თემის „გულის-თქმას“, რომელიც პოემის მეოთხე თავში სოფლის (თემის) გადაწყვეტილებიდან მომდინარეობს, დაპირისპირებულია ჯოჟოლას „გული“, რომელმაც ზვიადურთან დაახლოების სითხო უკვე განიცადა, კარგ ვაჟაკად აღიარა და მშად გახლომა მოისურვა. ჯოჟოლა არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს თემის გადაწყვეტილების სიმართლეს, იმას, რომ „მტრის მტრულად მოეყურა“, რომელიც მაინც უშთავებს, საარსებო მნიშვნელობის ადათია. ეს იქიდან ჩანს, რომ ჯოჟოლას ხმა ამ მომენტისთვის უკვე მოტეხილია და მღერ „თხოვნაზე“ გადავა. „მის“ დამკლავა ჯოჟოლასთან იმავინ ბამომიხატება, რომ „ბარჩხეულმებრძვი მძიმარი“ უპლაფმარი პაბტიმოს, მოხსნას ყოველგვარი „წარსული“ (და არა მხოლოდ იმაში, რომ სტუმარ-მასპინძლობის ადათი დაცვას).

ჯოჟოლა „თხოვნაზე“ ჩამოვიდა, ესაა „გან-რისხებული თხოვნა“, მაგრამ მაინც „თხოვნა“. განა საკითხავი არაა, თუ რა უფლებით იჩემებს ჯოჟოლა მასპინძლობას მაშინ, როდესაც

მისი სტუმარი მის სახლს „გაცდენდა“ ცხადია, იგი იცავს ზვიადურს, როგორც „მტრს“. მასში როგორც „კაი ყმაში“ შემბრალე გული დომინანტობს, რომელიც ვაჟას, იდეალური გმირის (იდეალის) მიუცილებელი კომპონენტია (გვიხსენოთ ალუდა, მინდა). ამითი აღწევენ ისინი „გაგების“ უშაღლეს დონეს.

ჯოჟოლამ ზვიადურის მიმართ ყოველგვარი „წარსულის ვაჟაღისწინებულობა“ მოხსნა. მითმავა ზურისგზაზე ძლიერი; ამავე აზრს გამოხატავს ბიბლიური შეგონება: „რაი სხვათაგან მოძულეულ იქმნე ყოვად შენდა და იხილე, რათა შენც არაოღეს შევრება უქნა“. აი, ასამთი მიმბრძვამელია ჯოჟოლა! ჯოჟოლა „მოტეხილი“ ხმით, მაგრამ სხვადასხვა გზებით ცდილობს თანასოფლელებს განზრახვაზე ხელი ააღებინოს; მთლიანად რეპლიკა კი ასე მოვარდება: „ვკი თქვენ, ქისტის-შვილებო, მომდგარნო ჩემს კარს ჯარადაი უიარაღოს აწვალეთ, გული რასა ჰგრძნობს თავდა?“

ჯოჟოლას ლამაზმა სულმა მთელი სიღაღით იფეთა. გული „მეტყველებს“, შებრალეების გრძობა გამოდის წინა პლანზე.

სიტუაციაში თემი მართალია, მაგრამ მორალურად დამარცხდა; ჯოჟოლა კი დამარცხდა, მაგრამ იგი გამარჯვებულია — აი, ასეთ ალოგიკურმა ჭეშმარიტების არსი.

თემის შინაგონი სხვადასხვა პოზიციები შეაჯახა ერთმანეთს და არა ადამ. წინა-ბი. (მხატვრული) სიტუაციისმიერი დაპირისპირებალუა ბაბაულ იმან, რომორც თემის (ადათების) „შინაგონი შინადადამდგობა“. ადათს დაუმორჩილეს სიტუაცია და არა პირიქით; სიტუაციას კი პარსონაშების მნებათა მოძრაობანი მნინან ადათ-წესები „მასალა“ ვაჟასთვის (მ. კვენელავა) და იგი საშუალებაა იდეალის (გმირის) ხელში. თემის გადაწყვეტილება არ არის „კარიზული გადაწყვეტილება“ (დ. ბენაშვილი), მისი სამართლებრივი სისტემა არ არის კანონიზირებული, როგორც სახელმწიფოში და რამე „კოდექსის“ მუხლების მიხედვით იგი ვერ იმოქმედებს.

თემის უარყოფითობა იმაში გამოიხატა, რომ იგი ვერ წარმოსდგა როგორც „ამაღლებული“, „შურისგების რეფლექსი“ ვერ დაიოკა, პი-იქით, რომორც „ჩვეულმებრძვი“, თვითონ გახდა მიზეზი სხვისი „ამაღლებულობის“ გამოვლენებისა.

„თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“.

ეს თემის „შინაგონი წინააღმდეგობის“ მაჩვენებელი კი არ არის (როგორც მიიჩნევენ მკვლევარები), არამედ ეს არის სპეციფიკური (და ამდენად დადებითი) ნიშანი მისი, როგორც

საზოგადოებისა. ამ ფორმულირებით თემს შეეძლო, რასაკვირველია, სტუმარ-მასპინძლობის წესი არ დერღვია, მაგრამ მან ამჭერად ასე იჩინა. და თემის ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებით თუ ვიმსჯელებთ, ეს არჩევანი უფრო ლოგიკურია. ასეთი ფუნქცია აქვს თემს „ხევისბერ გოჩაშიც“. თემის გადაწყვეტილება ონისის მიმართ სამართლიანი იყო, მაგრამ სამართლიანი არ არის გოჩასთვის (პირვენებისათვის), რადგან მან, და ეს ჩვენ ვიცით, განსაკუთრებული მორალური სამყარო ააგო შვილის მიმართ, ისევე, როგორც ჯოყოლამ „ააგო“ განსაკუთრებული მორალური სამყარო ზვიადურის მიმართ.

ჯოყოლა ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ იგი დამარცხდება ამ „ცხოვრების რკინისებურ აუცილებლობასთან“ (ნ. ნათაძე) შეჭახებაში. დამარცხდება არა იმიტომ, რომ მისი მორალური შინაგანი სწრაფვა არ არის თავისთავად დიადი, არამედ იმიტომ, რომ თემი შპრ ბპიმებს და არ დაეთანხმება ჯოყოლას სულის სწრაფვას და ტკივილს, რადგან „იმის გაგება, რომ შურისმგებელი მკვლეელი მართალი არ არის, უძნელესი რამაა“ (თ. ჩხენკელი, „ტრაკიგული ნიღბები“). ამიტომაც დაკარგა მუხასთან წონასწორობა ჯოყოლამ, იგი ძალდად ხსენებას „ჩაეჭიდა“, რაც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა, უეჭველია, ასეთი რეაგირების მიზეზი და სასიკვდილოდ დაჭრა იგი.

ზვიადურის დამტირებელ ალაზას ასე მიმართავს ჯოყოლა: „იტირე?! მაღლი გიქნია, მერა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუღამაც უხდება, გლოვა ვაჟაკის კარგისა“. ამ რაინდულ პასუ-


ხში, უღრმესად გაიხსნა და განისაზღვრა ჯოყოლას პოზიცია ზვიადურისადმი, რაც ასე თუ ისე „შენიღბულად“ არსებობდა თემთან შეჭახების მძაფრ კოლიზიაში, ხოლო ნათლად ჩანდა კოლიზიის წინარე სიტუაციებში გამოვლენილ მის ხასიათში.

სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ პოემის მეთორმეტე თავში, ხევსურებთან ბრძოლაში, ჯოყოლა კვდება, როგორც ქისტებთან დაპირისპირებული პიროვნება. შეთხუთმეტე თავში, თუმცა ჩვენებაა, ჯოყოლა თავის სახეს სრულად ხსნის და აგვირგვინებს, სწორედ იგი „გასძახებს“ თავის „ძმობილს“; სასაფლაოდან წამოვა ზვიადური, იქვე ალაზაც ამოდის და: „ეუჟაკობისას ამბობენ, ერთ-ურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და დაძმობისასა“.

„ვაჟას პერიოკულ პოემებში გმირები კვდებიან და კვლავ იზადებიან, როგორც თავის თავზე ზნეობრივად აღმატებული, შტრობისა და ბოროტების დამძლევი, ახალ ეთიკურ ღირებულებათა დამამკვიდრებელი, ღვთაებრივი აღაშინები“ (თ. ჩხენკელი).

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჟას იდეალური გმირი აინტერესებს უნიკალურ სიტუაციაში. ჯოყოლას ხასიათი კომპლუზიურიად ჩამოშალირებაული, განვითარებული და დასრულებულია.

ალარას ვაშობთ ალაზაზე, რომელიც, როგორც იდეალი, ჯოყოლას განშტოებაა, მისი თანამოწარეა; ორივე, როგორც ხასიათი, ერთმანეთს ავსებს და მწერლისეულ იდეალს ამთლიანებს.



„შპრა ნოუ“

წარსულ საუკუნეებთან შედარებით თანამედროვე ეპოქა სხვა მოთხოვნილებებს უყენებს პოეტურ ნაწარმოებს და ეს, უწინარეს ყოვლისა, ენება ფორმას, ახალ ეპოქაში სპარსულ ლიტერატურას ესაბირობოდა ახალი ფორმები და ახალი თემები, რათა სრულყოფილად აესახა ირანში მიმდინარე ბოლოქარი მოვლენები. საუკუნის დასაწყისშივე, 1905-1911 წლების რევოლუციის პერიოდში, გაიყო სპარსული ლიტერატურა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: კონსერვატორებად და ნოვატორებად. თავდაპირველად ეს იყო წმინდა პოლიტიკური დაყოფა, მაგრამ შემდგომში მათ შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ ლიტერატურაშიც კავშირი ახსნა. კონსერვატორები ყოველნაირად ცდილობდნენ ძველი პოეზიების შენარჩუნებას, არ სურდათ ახალი შინაარსისათვის ახალი ფორმა მიეცათ, ჩქმალავდნენ იმ აქტუალურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ირანელ ხალხს. სასტიკად იბრძოდნენ ყოველივე ახლისა და ორიგინალურის წინააღმდეგ. ასეთ შეურიგებელ ბრძოლაში აღმოცენდა და განვითარდა ახალი სპარსული ლექსი—„შერე ნოუ“. ნოვატორი პოეტების შესახებ უფრანალი „არმაღანი“ წერდა: „ისინი უარყოფენ ლექსის ტრადიციულ ზომას, რითმას, შინაარსს, მაგრამ ეს სტილი მთლიანობაში მაინც ბრწყინავდა და ჩინებულია. ის სავსებით ახალია. ჩვენს დროში ვინც ასეთი სტილის ლექსი თქვა პირველად, ალა მირზა ალი აქბარ დეჰხოდა იყო, რომელმაც მარსია დაწერა მირზა ჯემან-გირ ხანის გარდაცვალებაზე“. თვითონ დეჰხოდა ლექსებს იშვიათად წერდა. აი, რას ამბობს იგი ამის შესახებ: „მე, ზოგჯერ, თავშესაქცვად ლექსებს ვწერდი და ჩემს მეგობრებს ვუციბოხავდი. მათ, ჩემი ხათრისათუ სხვა რაღაც მოსაზრებების გამო, არ სურდათ ამ ლექსების ღირსებაზე აზრი გამოეთქვათ. მე თვით არ ვციც, ეს ჩემი ნათქვამი ლექსია თუ არაო. ამ საკითხის განსჯა მკითხველისათვის მიმინდვია.“ წწორედ აქედან იწყება სპარსული ლექსის განვითარების ახალი საფეხური, ე. წ. „შერე ნოუ“, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი მოაუღარული სპარსული ლიტერატურული უფრანალის „სოხანის“, ფურცლებზე. ვიდრე ჩვენ უშუალოდ „შერე ნოუს“ ნიმუშებს განვიხილავდეთ, მანამდე გავცნოთ თვით ირანელთა

აზრს თანამედროვე სპარსული ლექსის ღირსებაზე.

1975 წლის „სოხანის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა საიდი სირჯანის საპოლემიკო წერილი: „ესაა თანამედროვე ლექსი?“, რომელშიც ავტორი კრიტიკულად აფასებს სპარსული ლიტერატურისათვის, როგორც ჩანს, ამ მეტად საჭირობოროტო საკითხს. აი, რა არის ნათქვამი ამ წერილში: „მე და „სოხანის“ მკითხველებს გვსურს ვთხოვოთ უფრანალის რედაქტორს ავჯიხანს, იმ სტრიქონებში, რომლებიც უფრანალმა შესთავაზა მკითხველებს თანამედროვე ლექსის ნიმუშების სახით, რა აზრი, ესთეტიკა და ოსტატობა გამოხატული ან რასთან დაკავშირებით არის დაწერილი?“

წერილის ავტორი ამგვარი ლექსების მოწოდების მიზეზსაც ასახელებს; მისი აზრით, თანამედროვე დასავლეთ-ევროპული პოეზიის ნიმუშების თარგმანებმა, რომლებიც სპარსული საზოგადოების უცხო ზომით არის დაწერილი ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზომის გარეშე არის თარგმნილი, კალამი აღებინა ყველას, ვისაც ლიტერატურაში თავის გამოჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი. მათ ხელმისაწვდომად მიიჩნიეს ურითმო და უაზრო ლექსების წერა და უფრანალ-გაზეთების ფურცლებზე აავსეს საეჭვო ღირსების მქონე ლიტერატურული პროდუქციით. იგი შეახსენებს მკითხველებს, რომ სპარსული ლექსი საუკუნეების მანძილზე იყო აღმადარი სპარსული კულტურისა, რომელიც მსოფლიოს აცნობდა ირანელი ხალხის სულიერ სიმდიდრეს. ამიტომ მისი ხელყოფა არავის ეპატიება. სპარსული ენა არც ხელოვნურად შექმნილი ესპერანტოა და არც ამაზონის ჯუნგლების ველურთა ენა, რომ შეიძლება მისი გადაკეთება ვაა-პოეტების სურვილისამებრ, დაასკვნის წერილის ავტორი.

ერთ-ერთი წერილის ავტორს სპარსული ლექსის გადაგვარების მთავარ მიზეზად მკითხველთა ინსტიტუტის მოშლა მიანიხი. „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როცა რუდაქი, მანუჩერი, ხანაი, ჰაფეზი და სხვები ლექსებს წერდნენ, იცოდნენ, რომ მათი გავრცელების ყველაზე საიმედო საშუალებას ხალხი წარმოადგენდა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ლექსი იშვარად ეთქვათ, რომ მსმენელს რაც შეიძლება მალე და ადვილად დაემახოსოვებინა“.

ეს სიტყვები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოველი ადვილად დასამახსოვრებელი ლექსი უურადღების ღირსი იყოს და ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდეს. სწორედ აქ არის საჭირო პოეტური ოსტატობა, რომ ერთი შეხედვით იოლად აღსაქმელი ლექსი უადრესად დახვეწილი და მხატვრული ოსტატობის გამოხატულება იყოს. სპარსული ლექსის გლობალურ გავრცელებას სპარსულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ სპარსულ ლექსს მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ელფერი არ გააჩნდა: „სპარსული ლექსის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არც ერთი თვალსაზრისით კლასობრივი არ არის.“ წერილის ავტორი ხინანულით აღნიშნავს, რომ ტექნიკის განვითარებამ, რადიოსა და ხმის ჩაწერის აპარატის გამოგონებამ მკითხველთა ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ეს წინათ იყო, მოშალა. ამან კი თანამედროვე პოეტებს საშუალება მისცა წერონ ისე, როგორც მოეპოიანებოთ. „წლების მანძილზე ჩვენს პრესაში და, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში საოცარი ვითარება სუფევდა. ვინც სპარსული ლექსის აბრას ამოგარებელი უაზრო, ურითმო და გაუგებარი ლექსების წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ყოველი მხრიდან ისეთი პიროვნებების თავდასხმის საგანი ხდებოდა, რომელთაც არც სპარსული ენისა და ლიტერატურის გაგებობადი რაიმე და არც თავიანთი შეხედულება გაჩნდათ ლექსის ღირსებაზე.“ შემდეგ მას ხანმოკლე მოაქვს ნაწევრები ისევე ამაღლ რეზა აჰმადის ლექსიდან „ჩემი დროა“.

გამძვრა მე ის ტყავი
მოცისფრო რომ იყო.
ამას

წვიმას ვეუბნები,
რადგან ის ჩემი ქერტლია...
ეს ღრუბლის ახსნა-განმარტებაა
და არა ჩემი პერანგისა,
მე რომ ვთქვი.

ასეთი რამის წაკითხვაზე კაცს მართლაც რომ ტვინში სისხლი ჩაეკეცევაო, დაასკვნის წერილის ავტორი.

ასეთი ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ახლა უშუალოდ გავცნოთ ეურნალ „სოხანის“ ფურცლებზე წარმოდგენილი ლექსების ნიმუშებს და ვნახოთ, რა ღირსება და ნაკლები განიხილოს. განხილვას დავიწყებთ ამაღლ რეზა აჰმადის ლექსით „ჩემი დროა.“ რომელიც ვახდა ზემოთხსენებული წერილების ავტორთა განხილვის საგანი. ლექსი მიძღვნილია პოეტისა და მხატვრის მანუჩეპარასადმი:

ოთახში შემოფრენილი მტრელი
კედლის პეშეებზე დარჩა ვითარცა ნათელი
ლაქა...

საეჭვოა სამოთხე იყოს,
მაგრამ საქმე ისაა, რომ
ჩემი დღე იმის სახლთან თავდება.
სატრფოს ზილფი

ვარდობის ჯამის დადგომამდე
კვლავ შავი დარჩება.

ღავეშვით ასე იქნება,
მაგრამ სატრფო საღ არის?
მე კვლავ მიინავს,
მიუვარს,
პური მაქვს.
ხელში ქვეშები მიჭირავს.
ჩემი კანის ფერი
კმეყოფილი ვარ,
ისამნის ყვავილს სრესენ,
სატრფო საღ არის?

სინამდვილის აღწერის ნაცვლად ავტორი გვთავაზობს იმას, რაც მისთვის არის სასურველი ანდა მისი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ასეთი ლექსები ახალგაზრდა მკითხველის ცნობისმოყვარეობას აღნიშნავს. რაც უფრო გაუგებარი და ექსტრავაგანტურია ლექსი, მით უფრო ბრმად იხრის იგი ქედს ასეთი პოეტის წინაშე. მოდასაულოლმა ირანელმა ახალგაზრდებმა ზოგიერთი თანამედროვე პოეტი ეგრძაღ აქციეს. „თანამედროვე ახალგაზრდებს რომ ჰქონოთ, — აღნიშნავს ეურნალი—მრავალსაუკუნოვან სპარსულ ლიტერატურაში მხოლოდ 4-ს პოეტი და ისიც „შერე ნოუს“ წარმომადგენელი თუ არის ყურადღების ღირსი“. უნდა დავძინოთ, რომ ეურნალი „სოხანი“ აჰმად რეზა აჰმადს „შერე ნოუს“ მიმდევრად თვლის, მაგრამ, ჩვენის აზრით, ზემოთხსენებული ლექსი უფრო „მოუქმ ნოუს“ „ახალი ტალღის“ სურრიალისტური მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, რომლის მიმდევართა კმნილებათაც უველადერი უაზრობამდეა დაუვანილი. როგორც ცნობილია, ორიგინალობა და მოულოდნელობის ფაქტორი უველეთვის წარმოდგენა ლექსის ღირსებას, მაგრამ ფხველორიგინალობა, როგორც ამას წარმოადგენილი ნიმუში გვთავაზობს, მომავალი კარგის არაფერს უქადის სპარსულ ლექსს. თუ რამდენად უიდეოა „შერე ნოუს“ ზოგიერთი ნიმუში, ხაილუსტრაციოდ მოვიყვანთ აბან მაქინის ერთ მცირე ზომის ლექსს „დღეები და ბუდეები“:

მთელი დღე ბულის კეთებას მოანდომეს და
მერე გაფრინდნენ.

მე ის ბუდეები დავცაოილე,
მაგრამ შენ ვერსად გპოვე.
დღისით აშენებულ ბუდეს გამთენიისას
დავანგრევე,

იმ იმედით, რომ
შიგ შავი გველი იქნება და
მე დამქნებს.

ნათელია, რომ ავტორისეული ჩანაფიქრის მთლიანად გაცნობიერება უველეთვის ვერ ხერხდება, ვინაიდან ზოგიერთი პოეტური სახე შეუღწევადია, მაგრამ აზრსა და მუსიკალობას რომ თავი დავანებოთ, ლექსი რაიმე განწოხილებას

ამირან ლომთაძე
„შერე ნოუს“

ხომ უნდა უქმნიდეს მკითხველს. დასახლებული
ნიმუში კი უყოველივე ამ ხაყეთეს მოკლებულია.
ამ ტიპის ლექსებს განეკუთვნება ნოუზარ ფარ-
ანგის „კიდევ ერთი დაწერილი“, ათაშის „მთქნარე-
ბა“, ქიანუშ ესპაიის „ქარის ფრთებზე“ და სხვა.

საბედნიეროდ, „სოხანის“ ფურცლებზე დაბეჭ-
დილია „შერე ნოუს“ ოსტატურად ნათქვამი მრავ-
ალი ნიმუშიც. ერთ-ერთი მათგანია ხოსრო ფარ-
შიდვერდის „შემოდგომა“. პროფესორი მოამბედ
ისპაყ თავის ცნობილ ნაშრომში „თანამედროვე
ირანის მესიტყვინი“, ჩამოთვლის რა თანამედ-
როვე სპარსული პოეზიის მთავარ დამახასიათე-
ბელ ნიმუშებს, ერთ-ერთ პუნქტად ასახელებს ბუ-
ნების და მოლუკიდებლად აღწერას, მაშინ როცა
აღრე იგი მხოლოდ ფონს წარმოადგენდა.

ფრიალ საინტერესოა ის გარემოება, რომ „შე-
რე ნოუს“ წარმომადგენლები ბუნების ასიურად
აღწერას კი არ ჭერდებიან, არამედ ცდილობენ
წარმოაჩინონ ბუნების როლი ადამიანის ცხოვრე-
ბაში. მათ ლექსებში გაისმის პროტესტის ხმა ბუ-
ნების ხელყოფის წინააღმდეგ. ფარვის ბამდალი
ლექსში „ფოთოლი ქალაქის სიმახინჯის დასაფა-
რავად“ წერს:

ვაი, თუ ამწვიანებულ მთა-ველზე
მხოლოდ ზღაპარი-ლა შემორჩეს.
რკინის არტახებში გაკრული ბერწი მიწა
ამიერიდან ვეღარც ვარდს შობს და ვერც
ყვავილარს.
ვერ გაიმეტებს იგი ფოთოლს ქალაქის
სიმახინჯის დასაფარავად
ო! ღმერთო ჩემო, ოდენ თუ მართო აღამისა
და ევასათვის!

ფურანალ „სოხანში“ წარმოდგენილ ლექსებს
შორის სატრფიალო-სამიწნერო ლირიკის მოკრ-
ძალეული ადგილი უჭირავს. ბაჰმან საღემის,
ვალაჰ დორუდიანის, მოამბად დაბირ საყის, ნო-
უზარ ფარანგის და სხვათა ლექსები ხასიათდ-
ებიან პოეტური სისავსით, სიღრმით, არაჩვეულ-
ებრივად ფერადოვანი შედარებ-მთავაფორებით,
მხავილი გრძნობითა და მწველი განცდებით, მაგ-
რამ ამის მიუხედავად მათ მაინც აკლიათ კლავ-
სეკური დაწელისათვის დამახასიათებელი ბრწყინ-
ვალეობა.

ფურანალ „სოხანის“ ფურცლებზე გვხვდება
ფილოსოფიური ხასიათის ლექსებიც: შეიმანათ
მირ საღემის „განათებული სარკმლის სურათი“,
ფერეიდუნ მაშარის „გარდასხვა“, თაყი ფურ
ნამშედიანის „მარყიუში მოგზაურობა“. სიმინ
ბაჰბაჰანის „ცოდვილი“ და სხვა.

„შერე ნოუს“ თემათა რკალშია მოქცეული
პოლიტიკური ლექსებიც. ფურანალ „სოხანის“
ფურცლებზე წარმოდგენილ ნიმუშთა შორის
ახეთი მეჭდი საღემის ლექსი „იქვე, შენთან
ვარ“, რომლიდანაც ერთ ნაწევრს აქ წარმოგად-
გენთ:

ექვი! შენთან ვარ, გესმის? კვლავ გესალმები.
როცა სამარესავით ჩამობნელდება,
წამოღებით და

ჩვენი მიცვლებულების სისხლში და ტალახში
მოსვრილი ტანსაცმელი
ცისფერი და ოქროსფერი ვარსკვლავებით.

სავსე ნაყადუღებში,
გრძელ, უკუნ ღამეში და წარმოუდგენელ
სინგნელში
ფაქიზად გარეცხეთ და ცოცხალ მოგონებათა
და სატიკიართა ხეებზე გააფინეთ.

განსაკუთრებით საყურადღებოა მაშარის ლექ-
სი „ფირდოუსის ძახლი“, რომელიც „შერე
ნოუს“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მი-
ნებული. მხატვრული და ემოციური ბორცვებსმის
თვალსაზრისით იგი მართლაც საუკეთესოა „სო-
ხანში“ გამოკვეყნებულ ლექსთა შორის. მსუბუ-
ქი სვედიანა და საოცარა გულითადადობით იგონებს
პოეტი ურმობის უამს განცდილი ფირდოუსის
„შაჰნამეს“ გმირთა საარაკო საქმეებს. „ძღვევა-
მოსილება ცოდნაში“. უპირველეს ყოვლისა,
ლექსში ფირდოუსი ხალხის ქომაგად იმედის
მიმცემად არის დახატული. შეიძლება ითქვას,
რომ ეს არის სახალხო ხსოვნა პოეტისა, რომე-
ლიც ერის სულიერი ცხოვრების განუწყრდი
ნაწილია.

როგორც შემოთ დასახლებული ლექსებიდან
ჩანს, „შერე ნოუს“, იგივე „შერე აზად“ ანდა,
როგორც მას თვით ამ ფურანალის რედაქტორი
ფარვიზ ხანლარი უწოდებს, „ვაჰან აზად“, სპარ-
სულ კლასიკურ ლექსთან შედარებით წარმოად-
გენს თვისობრივად სრულიად ახალ სახეს ლექ-
სისას, ე. წ. ვერლიბრს, რომელიც კანონიერი
ლექსისაგან განსხვავდება ტემათა არათანაბარ-
მარცვლიანობით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში,
რითმის უქონლობითაც. სპარსულ პოეზიაში ვერ-
ლიბრის წარმოშობის მიზეზად ძირითადად
ასახელებენ ორ ფაქტორს: ტექნიკურ რეკოლუ-
ციას და თანამედროვე დასავლეთ-ევროპული
პოეზიის ნიმუშების თარგმანს. პირველი მიზეზი
ჩვენ უყოველგვარ საფუძველს მოკლებულად
მიგვარჩნა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არასე-
ბობს მეცნიერებისა და ტექნიკის მზრვ ირანზე
გაცილებით განვითარებული მრავალი ქვეყანა,
რომელთა ლიტერატურაშიც ვერლიბრმა ფეხი ვერ
მოიკიდა. ტექნიკურმა რეკოლუციამ შეიძლება
თავისებური გავლენა მოახდინოს ადამიანის
ფსიქიკაზე. ადამიანმა სხვა თვალთ უწედას
აქამდე არსებულ სამყაროს, სხვათა საწოშით მი-
ულგებს ბევრ, თითქმის და საბოლოოდ გადაჭრულ
საწოგადობებზე უყოვა-ცხოვრების დადგენის,
მაგრამ იმდენად არა, რომ თავდაყრბა ალაყენოს
ესთეტიკური ღირებულების შეცნობის კრეტერი-
უმი და ლიტერატურული ტრადიციები. ტექნი-
კური რეკოლუცია პოეზიის საფუძვლებს ემუქ-
რებოა, — ამტკიცებენ „შერე ნოუს“ მოწინა-
აღმდეგები. ამასთან დავუშვებთ ურცვო არ
იქნება მოციყვანით ცნობილი ინდოელი მწერ-
ლისა და ფილოსოფოსის რაბინდრანათ თაგორის
ხიტუებები: „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარ-
ება არავითარ ხაფრთხეს არ უქმნის პოეზიას.

ერთადერთი ნამდვილი საფრთხე, რაც შეიძლება სიტუაციაში მწერლობას ემუქრებოდეს, ის არის, რომ თანამედროვე დამახულ და ცვალებად ცხოვრებაში ადამიანმა ვაი თუ ვიღაც შეძლოს თავისი აზრების პოეტურად გამოხატვა, მაგრამ მშვენიერების შეგრძნების უნარი მას უკველთვის ექნება". მართლაც, თვით ვერლიბრი კი არ არის საშვი სპარსული პოეზიისათვის, არამედ ის, რომ ვერლიბრის ფარდას ამოფარებული სიყალბე არ შეიპაროს სიტუაციაში მწერლობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ვერლიბრის მომქმადვრების მერვე მიზეზად ასახელებენ თარგმანებს ეტროული ენებიდან და, საშართლიანადღ. სპარსულისათვის უცხო წიშით დაწერილმა და, რაც მთავარია, ამვე წიშით თარგმნილმა თანამედროვე დასავლეთ-ეტროული პოეზიის ნიმუშების გაცნობამ მადა გაუღიძა მიმბაძველობის მოყვარულთ. ამას გარდა თარგმანების უმეტესობა წერდება და პირდაპირ არის გადმოღებული ორიგინალიდან. რაღა თქმა უნდა, ასეთი თარგმანი ბუნდოვანი და ძნელად გასაგები იქნება. ამასთან დაკავშირებით, შენიშვნის სახით, უნდა მოვითანოთ ერთი ნაწვეტი წერილიდან, რომელიც ჭერ კიდევ 1806 წელს დაიბედა ჭურნალ „აიანდ“-ში: „უცხო ენებიდან მთარგმნელებს არ უნდა მიეცეთ უფლება, რომ უცხო სიტყვები და ბუნდოვანი გამოთქმები თავისი სურვილისამებრ შემოიტანონ სპარსულ ენაში.“ როგორც ჩანს, სპარსული ენისა და ლიტერატურის ეს სიტუაციული საკითხი ჭერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოგვარებული.

„შერე ნოუს“ მოწინააღმდეგენი სცოდავენ, როცა მას უპირისპირებენ კლასიკურ ლექსს. „შერე ნოუს“ მისივე კანონებიდან გამოშლინარე დებულებებით უნდა ვიმსჯელოთ და მისი ღირსება

სულ სხვა მოთხოვნების წაყენებით უნდა შეფასდეს. ახალი სტილი ძველის განვითარების საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული და არა მის უარყოფაზე. თანამედროვე სპარსული ლექსი არ უნდა მოწყდეს კლასიკური ლექსის წიადაგს. მან მიმბაძველობის გარეშე, საკუთარ ლაზორატორიაში უნდა შეძლოს რაიმე მისაღები ფორმის აღმოჩენა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანებში ირანელმა პოეტებმა უსურადღება მიაპყრეს სონეტს. მათი აზრით სონეტი უველაზე მეტად ეგუება სპარსული ლექსის ბუნებას.

„შერე ნოუს“ ფუძემდებელი, ცნობილი პოეტი ნიმა იუშიბა წერდა: „თავისუფალი ლექსის დანიშნულება დააკმაყოფილოს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ესთეტიკური მოთხოვნილებაში.“ საშწუხაროდ, „სოხანის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსების უმეტესობა მოკლებულია მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ ელერაობას. ლექსებში არ ჩანს მშრომელი კაცის თვალით დანახული ცხოვრება, არ არის გამოხატული მისი ფიქრები და მისწრაფებანი. ეს მთ უფრო საოცარია, რომ შემოთგანბილული ყველა ლექსი უკლებლივ შექმნილია 1875-1876 წლებში, უშუალოდ ირანის რევოლუციის წინა პეროდში. ვთქვათ, შამის ცენზურის პირობებში შეუძლებელი იყო სათქმელის აშკარად გამოხატვა, მაგრამ აღვგორიულად ხომ მაინც უნდა იყოს მინიშნებული რაიმე სახალხო სატივარი, წუხილი, ის დიდი რისხვა, რამაც ფეშლევიათა დინასტიას მოუღო ბოლო.

საერთოდ, „შერე ნოუს“ ჭერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მომავალში ალბათ სათადალო ადგილს დაიჭერს მრავალსაუფუნოვან სპარსულ ლიტერატურაში.

ნანა გელაშვილი

სიმონ მეფე ყიზილბაშთა ტყვეობაში

სიმონ მეფის (1556-1569) ქართლის სამეფო ტახტზე ასვლისას (1578-1600) საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო: ოსმალთა და სპარსთა გაუთავებელი შემოსევების შედეგად დასუსტებული და გაჩანაგებული ქვეყნის დედაქალაქი სპარსელებს ეპყრათ. ამიტომ, გამეფებისთანავე, სიმონის უმთავრეს მიზანს თბილისის განთავისუფლება წარმოადგენდა. შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ სიმონის ძმა

დავით მეფეს განუდგა და თავის მომხრე თავადებთან ერთად 1562 წელს ყაზვინში ეახლა ირანის შაჰს. იგი იქ გამუსლიმანდა და დაუდხანად იწოდა. შაჰ-თამაშა (1524-1576) მას „შვილის“ წოდება მიანიჭა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლობა უბოძა და საქართველოში გამოსტუმრა. მიუხედავად ამისა, სიმონი და მისი მომხრეები იმედს არ კარგავდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ ყიზილბაშთა და მოღალატე ქართველ თავადთა წი-



ნაღმდებ. 1567-68 წლებში დიდიმთან და სამადლოსთან ბრძოლებში სიმონმა კიდევ დაამარცხა მოლაღატე ძმა, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისი განთავისუფლება მაინც ვერ მოხერხდა რადგან დაღ-ზანს, ყიზილბაშებთან ერთად, მეზობელი სახანოებიც მხარს უჭერდნენ.

სიმონ მეფის ურჩობით გაგულისებულმა შაჰ თამაშმა ვადაწყვეტა ბოლო მოეღო მისი გუზობლობებისათვის: მისი ბრძანებით, 1569 წელს ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი საქართველოსკენ გამოემართა. ვადაწყვეტი ბრძოლა სიმონსა და სპარსელებს შორის მოხდა ფარეხისთან (აღგეთის ხეობა), რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ქართლის მეფისათვის: მეფე შეიპყრეს და სპარსეთში — შაჰთან გაგზავნეს.

ვიღრე უშუალოდ სიმონ მეფის ციხიდან განთავისუფლებას განვიხილავდეთ, მოკლედ შევეხებით ირანისა და საქართველოს ურთიერთობას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, როგორც ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, 1578 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის II ომი (1578-1590), რომლის უმთავრესი მიზანი, ისევე როგორც ადრე, ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება იყო. მათგან კი ორივე მუსლიმური სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს ანიჭებდა. ირანი მოუშვადებელი შეხვედა ამ ომს, შაჰ თამაშის სიკვდილის შემდეგ ატეხილი ფეოდალური შინაომები აღარ ცხრებოდა: ყიზილბაშური ტომების თავაყებმა ბრძოლა გააჩაღეს პირველობისათვის და ერთმანეთს დაუპირისპირეს გარდაცვლილი შაჰის ვაჟები: ჰაიდარ მირზა (დედით ქართველი, რომელსაც ირანში მყოფი ქართველი დიდებულები უჭერდნენ მხარს) და ისმაილ მირზა. საბოლოოდ ჰაიდარ მირზა ვერაგულად მოკლეს, ვერც ისმაილმა შეძლო სამეფო ტახტზე გამაგრება, — მოკლული ძმის მომხრეებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ ყიზილბაშურ ტომთა ბელადებმა სამეფო ტახტზე აიყვანეს შაჰ-თამაშის უსინათლო ვაჟი მოჰამედ მირზა, რომელიც მოჰამედ ხოდაბანდეს (ღვთის მონა) სახელით გამოფდა (1577-1587). ირანში შექმნილი არეულობით მოხერხებულად ისარგებლა ოსმალებმა, რომელიც შესანიშნავად იყო ინფორმირებული იქაურ ამბებზე. ოსმალების სულთანის ბრძანებით საქართველოსკენ გამოემართა უზარმაზარი არმია მუხტაფა ლაღა ფაშას სარდლობით. ზოგან ბრძოლით, ზოგან მოლაღატე თავადთა წყალობით, ლაღა ფაშა სულ მალე ქვეყნის შუაგულში აღმოჩნდა.

სწორედ ასეთ დაძაბულ და მძიმე ვითარებაში მოუხდა სიმონ მეფეს სამშობლოში დაბრუნება. სიმონის ციხიდან განთავისუფლებ-

ბის შესახებ ცნობები მოპოვება შესაძლებელია ქართულ, ისე სპარსულ წყაროებში, ისპანდერ მუნშის გადმოცემით, სიმონს და ისა-ხანს (იესე) ციხიდან გამოეშვა შაჰ ისმაილ II (1576-1577), მაგრამ სამშობლოში მისივე არ დაუბრუნება (უფრო სწორად, არ დასცალდა). მხოლოდ მოჰამედ ხოდაბანდეს გამოფების შემდეგ მიეცათ მათ საქართველოში წამოსვლის შესაძლებლობა, ოღონდ როგორც ირანის სამეფო კარის ინტერესების დამცველებსა და აღმასრულებლებს: შაჰმა იესეს შაჰ თამაშის ძმისწული მათხოვა და შაჰის გამგებლად დანიშნა, სიმონმა კი, შაჰ შემდეგ რაც მუსლიმანობა აღიარა და სულთან მახმუდ-ხანად იწოდა, „ძმის“ წოდება მიიღო, „პატივითა და ღირსებით მოხილი საქართველოსკენ გაემართა და სამეგვიდარეო ქვეყანას დაეუფლა“ (ისპანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ვ. ფუფურიძემ, შენიშვნები დ. კაციტაძის, თბ., 1988, გვ. 28).

განსვავებულ ცნობას გვაწვდის XVI საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი შერეფ-ხან ბილესი (წარმოშობით ქურთი). ამ ცნობის თანახმად, სიმონ მეფე ტყვეობიდან განთავისუფლა არა შაჰ ისმაილმა, არამედ მოჰამედ ხოდაბანდემ. ამის შემდეგ მან სიმონს თბილისისა და მისადმი დაქვემდებარებული მხარეების გამგებლობა უწყალობა და საქართველოში გაისტუმრა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბრადღებოა სპარსელი ისტორიკოსის მახმუდ ნათაშის ნაშრომში დაცული ცნობები. კერძოდ, იგი მოგვითხრობს სიმონ მეფისა და ისა-ხანის სტუმრობის შესახებ შაჰის კარზე. ავტორის გადმოცემით, სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ, შაჰს სხვადასხვა მხარეთა მეფეები და ელჩები ეწვივნენ მისალოცად. მათ შორის „ისა-ხანი — ლევანის ვაჟი და სიმონ მეფე — ლუარსაბის ვაჟი საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად; აუცილებელი მისართმევის მიართმევის, დალოცვისა და ზოტბის შესხმის მისი უავგუსტოების გამეფების მოლოცვის შემდეგ, სამშობლისებრი მეტლისი გამოართა, სადაც სახელოვანი სტუმრები პატივისცემითა და ღირსებით იქნენ შემკულნი“ (ნ. გელაშვილი, მაჰმუდ ნათაშის ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია, 1988, I, გვ. 93).

ამრიგად, თითქმის რვა წლის ტყვეობის შემდეგ, სიმონ მეფე განთავისუფლდა შაჰ ისმაილ II. მისი განთავისუფლების მიზეზებზე ვრცლად და საინტერესოდ მოგვითხრობს

იზნადა ვენეციის საელჩოს ინფორმატორი კონსტანტინელოში ტომაზო მინალო.

სპარსული უფლისწული და ქართლის მეფე ერთად უოფილან გამომწვედულნი ალამუთის ციხეში, სადაც მათ შორის ისეთი გულითადი მეგობრობა ჩაისახა, რომ სიმონმა ისმაილის შეგონებით მიატოვა თავისი სჭუდეო მინალო შენიშვნა, რომ მეფეზე დიდო გავლენა იქონია სპარსელ უფლისწულთან მეგობრობამ, რომელიც გამეფების შემთხვევაში, სიმონს დიდ პატივს პირდებოდა, და იმის შეგნებამ, რომ ქრისტიანად დარჩენის შემთხვევაში სამეფაო ტუყვობა ელოდა. ამასობაში შამ თამაზიც გარდაიცვალა და მალე ისმაილი ყაჯინში მიიწვიეს გასამეფებლად. მან მართლაც არ დაივიწყა თავისი ტუყვი მეგობარი და სამეფო ტახტზე ასვლის საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებლად ციხეში მყოფი სიმონის მოყვანა ბრძანა. მასთან ერთად შამა იესეც გაანათავისუფლა და ორივენი დიდი პატივით მიიღო (ტომაზო მინალო, ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსთ შორის, ტურინი, 1588, ეტალიურად და თარგმნილი პატრი ლაზარე გოწალიშვილისა, გვ. 87).

სიმონ მეფე, ისმაილთან კარგი ურთიერთობის გამო, იმედოვნებდა, რომ კვლავ დაიბრუნებდა თავის სამეფოს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შამი მოულოდნელად გარდაიცვალა და სიმონის ჩანაფიქრი ვანუხორცილებელი დარჩა. მინალოს გადმოცემით, სპარსის სიკვდილით შეწუხებულმა ქართლის მეფემ აღარ იცოდა რა ეღონა: დალოდებოდა ახალი შამის კურთხევას თუ შამივე დაბრუნებულიყო სამშობლოში. ბევრი ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა დარჩენილიყო ყაჯინში და ახალი შამის წინაშე ერთგულების დამტკიცებით და მისი კურთხევით წამოსულიყო საქართველოში. სიმონის აზრით, თვით შამის სურვილიც იქნებოდა, რომ იგი საქართველოში გაეგზავნა, სადაც ოსმალები უკვე შეჭრილიყვნენ და სადაც იგი თავის ძმაზე — დაუდ-ხანზე (რომელმაც ოსმალთა შინით თბილისი გადაწვა და გაიქცა) მებრძოდ დაუხვდებოდა მტერს. მართლაც, სიმონს დედბანს ლოდინი არ დასჭირდა: მოჰამედ ხოდაბანდის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე მისადმი გაგზავნილ თხოვნაში სიმონი, გმობდა რა ძმის ლაჩრობას, თხოვდა შამს, დაებრუნებინა იგი თავის ცუდად დაცულ მამულებს და პირობას ითვლოდა, რომ თავს არ დაწოგავდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. არ შეუშინდებოდა დიდ საქმეებს და არ ითავილებდა მცირეს, ოღონდ კი სცოდნოდა, რომ ემსახურებოდა თვით მოჰამედს. შამმა დიდი კმაყოფილებით შეიწყარა მისი თხოვნა: სიმონი ქართლის ხანად დანიშნა, უნილბაშთა დიდი ლაშქარი ჩააბარა და ზარ-ზე-

იმით გაისტუმრა საქართველოში (მინალო, ვი, გვ. 87).

ქართულ წყაროებში (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) სიმონ მეფის ტუყვობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ შამ ისმაილმა გამოყვანა სიმონი ალამუთის ციხიდან და თავისთან მიიყვანა, მოვიანებით კი, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა საქართველოს შეესია, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: შამ ხოდაბანდეს დედამ, „რომელიც იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა, დაახვია კრმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სვიმონ მეფეს (ვითარცა წესი არს ქართველთა)“ და ასე შეუთვალა: „რომელიცა გნებავს, აღდე და წარვიდე ქუეყანასა შენსა ნიქითა დილითა და ბრძოდე ოსმალთა“. ანალოგიური ცნობებია ფარსადან გორგჯანიძესთან და ბერი ეგნატაშვილთან.

ამრიგად, სიმონ მეფე გამოემართა საქართველოკენ, სადაც უკვე ოსმალთა ლაშქარი თარეშობდა. 1878 წლის ოქტომბერში იგი უკვე საქართველოში იყო, უნილბაშთა ლაშქრისა (რომელსაც სარდლობდა ალი ყულიხანი) და ირანში ტუყვედ ნამყოფი ქართველების თანხლებით. სწორედ ამ პერიოდში ლალა მუსტაფა ფაშა აზერბაიჯანიდან, კახეთზე გავლით, ქართლში ბრუნდებოდა (მას შემდეგ, რაც უკვე დაიშორილა სამცხე, ქართლი თბილისითურთ, კახეთი). თბილისში კი ამ დროისათვის უკვე ოსმალთა საწინააღმდეგო მოძრაობა იყო დაწყებული. ოსმალური გარნიზონი, რომელიც თბილისში იდგა, უმძიმეს პირობებში ჩავარდა, ვინაიდან ქალაქის მოსახლეობას სურსათ-ხანოვაცე გადამალული ჰქონდა, ოსმალთა მდგომარეობას იმედროინდელ თბილისში ვრცლად აგვიღონის XVII საუკუნის მომალე ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიონის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჭიჭიამ, თბ., 1964, გვ. 54).

ასე რომ ქართლში დაბრუნებულ სიმონ მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ხელსაყრელი პირობები დახვდა. მინალოს გადმოცემით, აქ იგი დიდი პატივით მიუღიან, სიმონი კი, თავის მხრივ, თანამემამულეებს არწმუნებდა, რომ იგი გამუსლიმანდა არა იმის გამო, რომ მოჰამედის რწმენა ქრისტიანულ ამჟობინა, არამედ მხოლოდ სამეფაო ტუყვობის აცილების მიზნით და იმისათვის, რომ თავისი იარაღი ქრისტესს სამსახურად მოეხმარა. სიმონ მეფე თავგანწირვით ჩაება ოსმალთა წინააღმდეგ ომში. მან პარტიზანული მტრობები გაუმართა ოსმალეთში

ნანან ბილაშვილი
სიმონ მეფე უნილბაშთა ტუყვობაზე

დასაბრუნებლად მიმავალ ლალა მუსტაფა ფაშას, ნათანის გადმოცემით, „სიმონ მეფე — ლუარსაბის ვაჟი, ქართველთა უძლიერელ ლაშქართან ერთად, მამაცი და გულადი რაინდების თანხლებით, მის ლაშქარს უშიშრად თავს დაესხა: ბევრი დახოცა, ნაწილიც შეიპყრო, უთვალავი აღჭურვილობა და იარაღი თავის მხარეში წაიღო“. სიმონის მედგარი და უშიშარი ბრძოლის შესახებ ლალა მუსტაფა ფაშას წინააღმდეგ მსგავსი ცნობებიც დაცული ისქანდერ მუწუნის ნაშრომშიც, მასში აღნიშნულია, რომ სიმონმა დიდი ზარალი მიაყენა ოსმალთა არმიას, რომელსაც, თავის თანამზრახველებთან ერთად, იგი ზაჩვარდენებსა და მთის გადასასვლელებზე უსაფრდებოდა და მოულოდნელ თავდასხმებს უწყობდა.

სპარსულ ცნობებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადასტურებენ ქართული საისტორიო თხზულებებიც. მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, „მეფემ სიმონ გარდასდვა თავი ხონთქრის გასაჭავრებლად და ყუენის (იგულისხმება ირანის შაჰი — ნ. გ.) საამებლად იქნია ხმალი და მრავალი ურუში დახოცა“.

როგორც ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, სიმონ მომდევნო წლებშიც შეუნებელი ენერგიით განაგრძობდა ოსმალთა წინააღმდეგ გამოს-

ვლებს და საბოლოოდ სწორედ მეფე მდგე ბრძოლას შეეწირა: ბედის უკუღმართობით ვმ წლის წინ მომხდარი ამბავი განმეორდა (იმ განსხვავებით, რომ მაშინ სიმონი უიწილბაშებს ეომებოდა): ალგეთის ხეობაში ოსმალებთან მორიგი ბრძოლის დროს, სიმონ მეფე ცხენიდან გადმოვარდა, მოღალატე ქართველმა — ამჟერად თავადმა ბარათაშვილმა, რომელიც მტრის ერთ რაზმს მოუძლოდა, მეფე უჩვენა ოსმალებს და მათაც მასწინვე შეიპყრეს სიმონი (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“). გამარჯვებულმა ოსმალებმა 1600 წელს დატყვევებული მეფე სტამბოლს ჩაიყვანეს, სადაც იგი ციხეში გამოამწყვდიეს.

სიმონმა ისე განუტევა სული ტყვეობაში, რომ ქედი არ მოუხრია ოსმალების სულთნის წინაშე, რომელიც დამორჩილების შემთხვევაში ათხვევარ წყალობას პირდებოდა. ასე დაიღუპა უცხოობაში ქართლის სახელგანთმეფე, რომელიც მთელი თავისი ზეობის განმავლობაში ხან უიწილბაშ, ხან კი ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ (დიდძალი გამოსასყიდის მიღების შემდეგ) სულთანმა მისი ნეშთი ქართველებს გამოატანა, რომლებმაც მეფე მშობლიურ მიწას მიბარეს მცხეთაში.





აგული დადიანი

პართული ჭიდაობიდან მოვლივართ

იგი სრულებით არ ჰგავს მოჭიდავეს, სპორტის ოსტატს; არც სახელგანთქმულ მწვრთნელს, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელს: საშუალო ტანისაა, გამზდარი, ქერა, ოდნავ შელოტი, მაღალი შუბლით, უფრო ზუმანტიარული საგნების მასწავლებელს ჰგავს, პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორს, თუნდაც, აი, გორისას, დიას, გორისას, სადაც თავად განაგებს სტუდენტების ფიზიკურად აღზრდის საქმეს.

— ზოდე! — ქართულრად უქცევს და ილიმება საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიაშვილი, — ვერა და ვერ დადგა ჩემგან დიდი მოჭიდავე, მაგრამ ჯაკური იმით ვიყარე, რომ შესანიშნავ მოჭიდავეებს დავეულოე გზა მსოფლიოს სარბიელზე.

ბევრი მოწარდი და ახალგაზრდა მოდის ჩვენი თან ძიუ-დოს შესასწავლად, ყველას ვასწავლით, მაგრამ ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელის, არგენტინელი მენოტის თქმისა არ იყოს — მე შემძლია ნიჭიერი მოჭიდავე გამოვიცნო, ფართო გზაზე გავიყვანო, მაგრამ მისგან შევექმნა დიდი მოჭიდავე, თუ მას ამის მონაცემები არა აქვს, ეს შეუძლებელია. ბავშვს ნიჭი უნდა ჰქონდეს, შემდეგ კი შეიძლება ოფლისდგრა შეიძლოს — აი, ეს გზაა სასურველი ყველასათვის.

ქართული ჭიდაობიდან მოვლივართ! ყველა ქართველმა ფალავანმა, ვინც კი საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსი და ოლიმპიადის პრიზორის ან ჩემპიონის წოდება მოიპოვა თავისუფალსა და კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუ-დოსა და სამბოში — ჩვენი ქართული ჭიდაობის წყალობაა. ვისაც გინდათ ხელი დაადეთ, დავით ციმაკურიძე იქნება იგი თუ ვახტანგ ბალავაძე, ლევან თედიაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი თუ მრავალი სხვა, ყველა ჩვენი-ბური ჭიდაობით აღიზარდა.

— არსენ მეტეკიშვილი?

— რა თქმა უნდა, იგი ქართველ მოჭიდავედ

დარჩა მაშინაც კი, როცა კლასიკურს ჭიდაობდა, ბებლადუბელმა ქართველმა ფალავანმა ოცქერ მაინც მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში, კლასიკურშიც. იგი ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონი იყო, მაგრამ ხდება პარადოქსული, უფრო, ვიტყვოდი, სასაცილო ფაქტები: როდესაც ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების ჩამოთვლა დაიწყო, ყველას ახსენებენ, არსენს კი გამოტოვებენ — მეტეკიშვილი მოსკოვში ცხოვრობდა და მისი სახელით გამოდიოდაო. ასე დავკარგეთ მოჭიდავე კ. მაისურაძე, წყალბურთელები პ. მშვენიერაძე, გ. ჩიჭვანია, ფრენბურთელი გ. ახვლედიანი, თავისუფალი მოჭიდავე ზ. ნებიერიძე და ალბათ, კიდევ სხვები.

მეტეკიშვილი კი, მართალია, მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა და ახლა საგარეჯოს სოფ. გიორგი წმინდის სახელმწიფო განისვენებს. ჩემი სურვილია, რომ ყველა შურნალისტმა და სპორტის მესვეურმა მეტეკიშვილსა და სხვა „არაქართველ“ ქართველ სპორტსმენებს თავიანთი ადგილი მიუჩინონ ქართული და საბჭოური სპორტის განვითარების მატთანვე.

არსენაზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ალალი იყოს! იგი ამის ღირსია. ზო, იმას მოგახსენებდით, ჭიდაობა ქართულსა და კახელ ბაღლებს სისხლში აქვთ გამჯდარი. — „ურმა უტირალი არ ვარგა“ — გახსოვთ ჩვენბური სიმღერის სიტყვები? ზოდა, ამ კუთხეში შეუძლებელია მოინახოს „უჭიდაოდ“ აღზრდილი ვაჟაკი — ვისაც ჭიდაობაში ფხა არ მოეხინჯოს. ბაღლმა აუცილებლად უნდა იქიდალოს, მოიმავროს კუნთი, სახსარი, სხეული, სძლიოს ჭიდაობის დროს სიფრთხილის და შიშის ინტინქტს, შეიძინოს შემართება, გულადობა. მეტად ძნელია მშობარა ბავშვთან ვარჯიში. არის შემთხვევები, როცა ფალავანი დიდ სახელს მოიხვეჭს, მსოფლიოში ცნობილი მო-

ქიდავე ვახდება და მოულოდნელად მას დამარცხების შიში შეიპყრობს. ეს, ვიტყვოდი, უკუჩვენებელი სენია.

გურამ პაპიაშვილის აზრით, ქიდაობა ვაუკაცებმა წარღეს, პატიოსანსა და უშიშარ პიროვნებებს.

რამდენიმე წლის წინათ გ. პაპიაშვილის ერთ-ერთ ნიჟიერ მოწაფეს თემურ ზუბულურს ვესაუბრე. იგი მაშინ ევროპის ორგზის ჩემპიონი იყო გუნდურ ჩათვლაში. მსოფლიოს ჩემპიონი და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი შემდეგ გახდა. „ქიდაობა ჩემი კაცობის ძალაა, ცხოვრების შინაარსი, სიყვარულია“, — თქვა მან და დამიდასტურა მისი აღმზრდელის კრედი. და მართლაც, ყველა, ვინაც მასთან უვარჯიშოა, დიდი უშემატებელი გამოიჩნეოდნენ. მათ შორის ევროპის ჩემპიონები — უდროოდ დაღუპული ფარნაოზ ჩიქვილაძე, განსვენებული ანზორ კიკნაძე, ვეტერანები ანზორ კინბროსაშვილი, ვახტანგ ბორჩაშვილი, რომან მაღალაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი და სხვები. მის მიერ გავრდილი ათობით სპორტის ოსტატი.

— ძიუ-დოს სპეციალისტი დიდი ხანია ხართ?

— 1982 წლიდან. იქამდე სამბოში ვიყავი მწვრთნელად, იგი ტრამპლინი აღმოჩნდა ახალი სპეციალობისთვის.

— სამბოში რა წარმატებები გქონდათ?

— ჭერ თავად ვქიდაობდი, სპორტის ოსტატი ვახდებ. შემდეგ — მწვრთნელობას ვეწარმე. 1980 წელს პატარა სენსაცია მოვახდინე ხარკოვში სტუდენტთა საკავშირო ტურნირზე. გორის პედინსტიტუტის ბიჭებმა საჭიდაო ჩოხების ნაცვლადა სამბოს ჭრებში მოიგვეს. მოირგეს და ქართული ხერხების ისეთი კორიანტლი დააყენეს, რომ მათი გამქლე არ მოინახა. პირველი ადგილი ავიღეთ. შემდეგ მიჩაჩეს და ძიუ-დო მოვსწავლე. დავიწყე სწავლა, ახლაც ვსწავლობ...

— შეძლებთა ითქვას, რომ გორის ძიუ-დოს სკოლა ერთ-ერთი უძლიერესი სკოლაა ჩვენს ქვეყანაში?

— ასე ვთქვათ. მაგრამ ზოგი ურნალისტი და თეორეტიკოსი წინ აუენებს, „მაიკოპის სკოლა“, „კურსკის სკოლა“, „კიევისას“. ჩვენ და თბილისი რატომღაც ჩამოთვლისას სულ „და სხვ.“-ში ვხვდებით. ანდა სულაც არ გვიხსენებენ.

ერთი კი აღიარებული ფაქტია: ძიუ-დო გამდიდრდა ქართული ხერხებით და ილეთებით. ეს იაპონელებმაც აღიარეს და ამას ვერსად გაქცივით. ამიტომ ისინი უფრო ქართულ სკოლაზე ჩამოვადებენ სიტყვას, ვიდრე სხვა სკოლებზე. თავისუფალი ქიდაობა თუ სამბო, ასე ვთქვათ, სავსეა ქართული ხერხებით.

— დაგვისახელეთ რომელი ქართული ილეთი გამოდგა ძიუ-დოში.

— კავური, მოგვერდი, კისრული, ცურული ჩვენებური ქიდაობა სამასზე მეტ ხერხს და მის ვარიანტს მოითვლის, ამიტომ ჩვენს მოსწავლეებს დავესწავლინა ვიღაცეები და სპორტელები რომ ძიუ-დოში კარგად გაიწავოს. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დაეუფლოს სუფთა იაპონურ ხერხებს „შებოქვას“ და მტკიცეული ილეთების გამოყენებას (სამწუხაროდ, აქ მოვიკოვებთ). მაგალითად, დურმიშხან ბერუაშვილი ერთი წლის ვარჯიშის შემდეგ ვახდა ევროპის ჩემპიონი ძიუ-დოში, დურმიშხან შესანიშნავად ქიდაობდა ჩვენებურად. შესანიშნავი ქართული მოქიდავენი იყვნენ ანზორ კიკნაძე ფარნაოზ ჩიქვილიც, შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ზუბულური, შოთა ხაბარელი და მრავალი სხვა, ასე რომ ქართული ქიდაობიდან მოვდივართ.

ძიუ-დოს სწავლა გულმოდგინედ დავიწყებ. მოსკოველები ევგენი ჩუმაკოვი, ანატოლი ხარლამოვი, ელადენი ანდრეევი, ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, აი, მწვრთნელები და ენთუზიასტები, რომლებიც იწყებდნენ ძიუ-დოს, მათთან ერთად ვიხმენდიო ლექცია-საუბრებს, ვესწრებოდი სემინარებს, ვმეცადინეობდი მოსკოვში, ჰოლანდიაში, იაპონიაში. ჩემს პედაგოგად ჩამოაყალიბებამი დიდი როლი ითამაშეს ჩემმა მასწავლებლებმა ალექსანდრე რატიამ. ირაკლი ნემსაძემ, გიორგი ონიკაშვილმა. ესენი მოქიდავენი არ იყვნენ, მაგრამ როგორც პედაგოგები — უბალონი.

— ჩვენი ერთ-ერთი საყვარელი მოქიდავეა თემურ ზუბულური, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი 95 კგ. წონით კატეგორიაში. მან მოსკოვის ოლიმპიადაზე ფინალური შეხვედრა წააგო ბელგიელი რობერ ვან დერ ვალდთან, იქამდე იგი ოთხჯერ დამარცხდა სუბულურთან; ხომ არ არის აქ რაიმე ობიექტური მიზეზები?

— რა თქმა უნდა, არის და მეტად საგულისხმოც, ამის შესახებ საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა უკვე თქვა. მე მხოლოდ გავიშვებ მის სიტყვებს: თემურს წონის დაკლების თავისი რეჟიმი აქვს გამოუმუშავებული, რაც საერთო სტანდარტის მიღებული წესებისაგან დიდად განსხვავდება. საკავშირო ოლიმპიურ შეჯიბრებებში თემურს არ დაუჭერეს და საერთო სტანდარტში მოაქციეს. იგი რამდენიმე თვის დიეტაზე ჰყავდათ და წონას უნარჩუნებდნენ. დიეტაზე დასუსტა ფიზიკურად. მას ძალა კიდევ ეყო უძლიერესი მეტოქის დიტიხ ლორენცის (გდრ) დასამარცხებლად. ვან დერ ვალდთან კი დამარცხდა ფინალში — ფიზიკურ დატვირთვას ვეღარ გაუძლო: ძიუ-დოში ხომ ერთ დღეში ვლინდება გამარჯვებული. ოლიმპიადის შემდეგ სუბულური და ბელგიელი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხჯერვე ქართველმა ფალავანმა იმარჯვა, უკანასკნელად კი მსოფლიო ჩემპიონანტი, ანგარიშია 8:1.



— ასეთ მარცხს თამაშ ნამგალაურისაგან არ მოველოდით, ხომ არ დაიჩაგრა?

— მისი უიღბლობა ოლიმპიური ნაქრების მწვრთნელთა ბრალია. თქვენ წარმოიდგინეთ, ოლიმპიადის დაწყებამდე სამი დღით ადრე მას კიდევ დაუნიშნეს საკონტრაქტო შეხვედრა უკვე ნევზოროვთან, რომელიც საერთოდ შეკრებაზე არც ყოფილა გამოძახებული. ნევზოროვი შესანიშნავი მოჭიდავე იყო და ოლიმპიადის ჩემპიონიც გახდა მონრეალში. მისი კლასი დაქვეითდა, ხანში შევიდა. უკვლევიც ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ნამგალაურს თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადეს და გამოსადედ შეხვედრებს სისტემატურად უნიშნავდნენ. ამ უნდობლობამ გაანერვიულა ეს ბრწყინვალე მოჭიდავე. მსოფლიო პირველობის მესხად პრიზიორი. მაგრამ ნამგალაური ყველა საკონტრაქტო შეხვედრას დიდი უპირატესობით იგებდა. როცა ნევროვოვი დაამარცხა, ეს ამბავი საკავშირო სპორტკომიტეტმა გაიგო და სასტიკად აღკვეთა ნამგალაურის გამოცდა. უკვე გვიან იყო. კაცი გადაიწვა.

— როდესაც თქვენთან მოდის ახალგაზრდა მოჭიდავე, პირველ რიგში რას ცდილობთ?

— ყველა სპორტსმენს ჭიდაობის თავისებური ინდივიდუალური თვისება აქვს. ვცდილობ ეს თავისებურება განვუვითარო, გავუზარდო, არასოდეს არ ვცდილობ მოვახვიო მას ჩემეული სტილი, ამა თუ იმ ხერხის ხმარების ჩემეული გააზრება. ინდივიდუალური განვითარება— აი, ძირითადი გზა მოჭიდავის აღზრდისა.

— კარგი ახალგაზრდობა გყავთ?

— დიდი იმედი მაქვს, რომ ღოს-ანუფელისის ოლიმპიადამდის გორსა და კასპში, ალბათ, უკვე იზარდებიან... ლეკები მგლისანია.

... დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადი. საქართველოში ძიუ-ლოს „საურდენი პუნქტების“ — გორის, თბილისის,

დუშეთის აღზრდილებმა მრავალი აღიარებული სკოლის წარმომადგენლები დაჩრდილეს პირველ გუნდურ ადგილთან ერთად სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს (თ. ნამგალაური, შ. ხაბარელი, შ. ბერუაშვილი, ბ. გოგიჩაიშვილი, ჯ. მჭედლიშვილი, რ. მარგველანი, დ. ბოდაუელი). აქ კომენტარი ზედმეტია!

... მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ღირსებას ნამგალაური და ხაბარელი იცავდნენ. ისინი მხოლოდ ძიუ-ლოს სამშობლოს — იაპონელ სპორტსმენებთან დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

... იანვრის ბოლოს თბილისის სპორტის სახსლში გაიმართა ძიუდოსისტა XV ტრადიციული ტურნირი. გაიმარჯვეს შალხა ბერუაშვილმა (95 კგ), რამაშ მარგველანმა (71 კგ), შოთა ხაბარელმა (78 კგ), და გია გოგოლაურმა (65 კგ). რვა წონითი კატეგორიებიდან ოთხი ჩვენი თანამემამულე პირველ ადგილზეა.

ორმა მეორე ადგილი (ტრისტან ბაშარული — 65 კგ და ავთანდილ გუბულაძე — ახლოლუტური კატეგორია) და ერთიც მესამე ადგილი (თამაშ ნამგალაური — 71 კგ) მოიპოვა. ფირუშ მარგიანმა (65 კგ) და ლერი ნაკანმა (71 კგ) მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

... დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა:

ოქროს მედალი, ამჯერად თავის წონაში (95 კგ) მოიპოვა შ. ბერუაშვილმა, ბრინჯაოსი ბ. გოგიჩაიშვილმა, ვერცხლის მედლები დამისახურეს თ. ნამგალაურმა და გ. ხაბარელმა, კარგად იასპარეზეს თ. კარიაულმა, კ. კურტანიძემ და სხვა მოჭიდავეებმაც, რომლებიც რესპუბლიკის გარეთ სწავლობენ ან არშიაში მსახურობენ. დროა დამკვიდრდეს ტერმინი — ძიუ-ლოს ქართული სკოლა!



ზაურ ბადუაშვილი

სოფლის საპარიკმაზროში

სოფლის საპარიკმაზროში შევედი და... პლაჟზე ამოვყავი თავი. ვის არ ნახავდით აქ: სილვანა პამპანიანი, ბრიჯიდ ბარდო, სოფი ლორენი, ლუჩია ბოზე, ჯინა ლოლობრიჯიდა, სუზიკ ვატრო, კლაუდია კარდინალე, მიშელ მარსიე, დინა დურბინა და სხვ. აქვე იყო ვანო დალაქი და მისი ბლაგვი სამართებით საწამებლად გამზადებული ორი მსხვერპლი ოთხივე კედლიდან მისი საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი მსოფლიო კინოს ვარსკვლავები თავიანთ ღიმილსა და მზით გარუჭული სხეულის ნატიფი ნაკვთების სინარჩარეს აფრქვევდნენ. დამატყვევა შავის და კანარის კუნძულებს ოქროს ქვიშამ და ტროპიკულმა ყვავილებმა. მათ სურნელებსაც კი შევიგრძნობდი ვანოს „ტრანსიოიდეკოლონი“ რომ არ იკლებდეს იქაურობას.

— მარჯვნივ დაიქი თავი, ბიჭო!

— ძია ვანო, ბრიჯიდ ბარდოსკენ?

ამ დროს ის მეორე გლეხი ფერად ფოტოსკენ.

ამ დროს ის მეორე გლეხი ფერად ფოტოებზე დაუინებით სწავლობს ადამიანის ანატომიას.

— ხელს ნუ წაავლებ, შაქრო! — შეეხმინა ვანო.

— დაბანილი მააქ!

უცბე რომელიც იპარსავდა იმ ბიჭმა შეპიკვლა.

— აი, შე ლაყვე შენა, ხომ გითხარი სუზიკ ვატროსკენ იუფრე-მეთქი, წაგძლია პამპანიანი? არა უშავს, მაგ ქალისათვის ღირს სისხლის დაღვრა. ცოტა იოღს წაგისვამ და მორჩება. აბა ეხლა ასწი ნიკაპი და ახედე ლოლობრიჯიდას.

მაღე ვანო დავიმართოხელე და ვეკითხები, რა როლს თამაშობენ აქ ეს ლამაზმანები-მეთქი.

— 'ვეილო, ესენი, — დაიწყო ვანომ, — აქ უფრო დიდ როლს თამაშობენ ვიდრე კინოში. მანამ ამ სურათებს ვიშოვიდი, ვერც გეგმას ვასრულებდი და მეც უხეღფასოდ ვიჭექი, აი თუ დააკვირდი, შაქროს გუშინ მოვპარსე წვერი. დღეს ისევ მოვიდა მარცხენა უღვაში შემისწორე და მანეთიანი გადაიხადა. სინამდვილეში კი სურათების დასათვალიერებლად იყო. ამ სურათებისა სცხვენიათ და რა ბლაგვიც გინდა იყოს სამართებელი, ვაჟაკურად უძლუბენ. ამით გულისათვის ელექტრო სამართებლებს შეეშვა ხალხი. მართალია, ცოტა ხათაბალაშიც ვაგვები. აი, მუტრუკანთ გოგაის ცოლი მომივარდა. ქმარი ნუ გამიგიჟეო. აქედან რომ გამოიდის, ხან კერძს მიწუნებს, ხან ვარცხნილობას და სულ მებუზუნებოო. ორ ძროხასა და იმხელა ვენახს ვუვლი, თაქარა მზეში ყანაში თვეობით გვერდში ვუღებვარ, ესენი გაუკეთებენ ამდენ საქმესა? მაშ კაცი, გამთათხა. იმ გოგაის სადღაც მინი „კუპალინიკა“ უშოვია და ეს ჩაიცივო, ცოლისთვის უთქვამს, იმ სისქე ქალს როგო ჩაუვიდოდა და მთელი აუაღმავალი შექონიათ. საბჭოს თავმჯდომარე — პრანჭაათ ვასო, ამიჭანყეს. იმან რომ დაათვალიერა აქაურობა მონროს სურათი ძალიან მოეწონა, ის ვაჩუქე და ჩამომხსნა. ბიჭო, ქალაქში ხარ, თუ შეგხვდეს კარგი უფრანდლი, გამომიგზავნე, თუ კაცი ხარ, — მოსოვა ვანომ. ვიცდები-მეთქი და დავემშვიდობე. გზაში ვფიქრობდი, სოფელი ქალაქს ნამდვილად დაეწვევა-მეთქი.

პირველი სართულის გაყოფა...

პირველ სართულზე ცხოვრობ და თავებელ
იწვევდი. ყველა, ვინც ჩვენს ეზოში შემოდიხ,
ფანჯარაზე მიკაკუნებ.

— ბოლოში, თქვენი მეუღლე შინ არის?
— მეცხოვრობა ერთი ქალი.

ჩემს ძახილზე ჩემმა მეორე ნახევარმა გა-
მანათა.

— არა, ეს ის არ არის, — ამბობს უცნობი.

— ქალბატონო ოცდახუთი წელია ჩემს
ვერდილს წევს და ცხლა ვინღა შემიცვლის?
ის არის, — ვუმტკიცებ მე.

ცოლმა გაარკვია: უცნობს მისამართი შეშ-
ლოდა.

ათ წუთში ორჯერ დააკაკუნეს: ერთმა — ხუ-
ჭუჭა ძალიან ზომ არ შემოსულაო, მეორე-
მ — კაფელი ვის აქვს აქ გასაყიდო?!!

სადილად ვიხხედით, როცა კარზე მოგვიბრა-
ხუნეს. დავტყე დანას ხელი, გავვარდი გარეთ
და რას ვხედავ: ეზოში „სასწრაფო“ დგას,
ორი ჯაგარაშლილი ლურჯხალათიანი ქილი
მანქანას მიჰყვებიდა, გაკვირვებული ექიმს და
ტანჯარაზე ექიანი ჩემს დანას შეჰყურებენ.

— ამ ნომრიდან დავვირეკეს ნერვული
ავადმყოფი გვყავსო, პეტრე ლორია, სად
ცხოვრობს? — შემეცინა ექიმს და დანა ისე
ჩამოშარტვა ვერც კი გავიგე. ნერვული ავად-
მყოფი თქვენ გამხადეთ-მეთქი და... სიტყვა არ
შქონდა დამთავრებული, რომ უცებ თავზე
ტომარა ჩამოშარტვის, ფოსტაში ჩასაბარებელ
ბანდეროლივით შემეფუტეს და დამაგდეს. ხმაუ-
რზე ცოლი გამოვიდა.

— ლორია თქვენა ხართ? — ჰქითა ექიმმა.

— ლორია მესამე სართულზე ცხოვრობს
— უპასუხა ცოლმა და მე რომ შეკრული
დამინახა ჩემს ქალიშვილებთან ერთად, ისეთი
კვილი ატეხა რომ მეც ვივებევი: ლორია მე
ხომ არა ვარ-მეთქი.

— შევცდით, ქალბატონო, გვაპატიეთ და
ძალიან გთხოვთ, მანამ იმ ლორიას არ წაიყვანთ,
ამის ნუ გახსნით, თორემ დავგოცავს ეს
კაცი — თქვა ექიმმა.

ლოჯიში ჩამაწვიენს. ღამის ორ საათზე კი
ძლიერმა ბრახუნმა მთელი ოჯახი ფეხზე წამო-
გვყარა. ფანჯარაში გავიხედე და გავშრი კაცი:
მილიციის მუშაი იდგა იქ. ხელფასითა ცვხო-

ვრობ, არსად არ მიჩხუბია, გარდა ერთი შემ-
თხვევისა, როცა ტელეფონ-ავტომატსა ვთხლი-
შე. მაშინაც ხელი დამიჭირეს ნუ დამატრევე
მაგას ორი კაპიის გულისათვისო და ხუთ-
კაპიიანი მომცეს.

უცებ მომაგონდა: ამ შემოდგომაზე, კახეთში,
ჩემს სიმამრს, სახელმწიფოსთვის მისაყიდ
მაჭარს ორი ვედრა წყალი დავახსი. აღმათ ეს
საქმე გახსენს-მეთქი. ცოლმა თქვა, მე დავახსი
ჩემადო. ეგ საქმე ერთ-ერთმა უნდა აიღოთ
თორემ გრუბოვი უფრო ცუდიო — ჩაე-
რია ჩემი ქალიშვილი. ფანჯარაში მილიციელს
გავძახე, თან რა წამოვიდო-მეთქი. სულერთია
ყველაფერსა ვსვამო. კარი გაუღე და ღვინო
დავუსხი. სამსახურებრივ მოვალეობას ვას-
რულებ, ამიტომ ბოლო სადღეგრძელოს ვსვამ:
წამსვლელ-დამჩრომს გაუმარჯოსო. ორი და-
ლიე წამსვლელისა ცალკე და დამჩრომისა
ცალკე-მეთქი. მინდოდა გამეგო წამსვლელში
ვის გულისხმობდა. არ დამიჭრა. საწერ ოთა-
ხში შევედი ცოლ-შვილს დავემშვიდობები-
მეთქი. ოცდახუთი წელი თავში ათი მანეთი
შემქონდა შემსალაროში მანქანის საყიდლად.
ჩემს განთავისუფლებამდე ეგ ფული იმარეთ-
მეთქი და გამოვიდა. მილიციელმა გვერდზე
მეზობლის ბინაში შემეყვანა. რა არ ვნახე იქ
მაგადავ: ოქროული, შემსალაროს წიგნაკები
ფულის დასტები, საზღვარგარეთული ფაფუ-
რის ლარნაკები, ობიგაციები და აქვე, მილი-
ციის თანამშრომლები. ყველაფერი აღრიცხეს,
როგორც დამსწრეს, ხელი მომაწერინეს, მად-
ლობა გადამიხადეს და სახლში გამომიშვეს.
ჩემს ბინაში სინათლე ენთო. ოცდახუთი წლის
დანაშოგს ანთავებდნენ: „შვილო, ამბობდა ცო-
ლი, რაც მამაშენი დედაჩემის სიძეა, ერთი მა-
ნეთის საჩუქარი არ იცის მისგან, შუბა მინდა
ვუყიდო იმ ქალს, ფიზიკის მასწავლებელს
საუბრები უნდა ვუყილო, ფერადი ტელი...“ ამ
დროს შევედი. კარი დავხურე. იმათ ბლანსი
დახურეს და სახნები წაახურეს.

მეორე დღეს განცხადება გამოვაქვეყნე:
მზად ვარ ჩემი ოთხთახიანი ბინა გავცვალო
ორჯერ ნაკლებფართობიან ორთახიანზე,
ოღონდ მეხუთე სართულზე მალლა იყოს-
მეთქი.



სმობა რამ „სინსკრის“ ახალგაზრდა ავტორებსა

გური ფეტვალაშვილი დაიბადა 1953 წელს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება.

იბეჭდება 1976 წლიდან.

ანა ხარბანაშვილი დაიბადა 1962 წელს. 1979 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა. სწავლობს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.



ჩვენი მისამართი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-44-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გაშვებები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკარის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-82.

გადაეცა ასაწყობად 7.03.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.84 წ., ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 805. უე 07971 ტირაჟი 58.500

საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6/78

ფანტონი 60 კპპ.

საქართველოს
საბჭოთავო
წიგნობის
სამსახური
თბილისი 782888

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ